ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს ისტორია

XIX საუკუნე

სახელმძღვანელო ისტორიის
ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

გამომცემლობა **არტანუჯი**

სახელმძღვანელოში გაშუქებულია XIX საუკუნის საქართველოს ისტორია. ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროცესების განვითარებაზე. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა რუსეთის კოლონიური პოლიტიკისა და ქართული ეროვნული მოძრაობის ცალკეული ეტაპების დახასიათებას.

განკუთვნილია სტუდენტების, ასპირანტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

სახელმძღვანელო დაწერილია ავტორთა კოლექტივის მიერ შემდეგი შემადგენლობით: ვახტანგ ჯანელიავა – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი); ვახტანგ გურული – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; მერაბ ვაჩნაძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; დიმიტრი შველიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; გიორგი ნადირაძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; პაატა ფირანიშვილი – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; მიხეილ ბახტაძე – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; ბონდო კუპატაძე – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

რედაქტორები: პროფ. **ვახტანგ გურული**
დოც. **ბონდო კუპატაძე**

რეცენზენტები: დოც. **ავთანდილ ნონკოლაური**
დოც. **ჯაბა სამუშია**

ISBN 99940-11-98-7

© გამომცემლობა „არტანუჯი", 2004
© რუკები: ბონდო კუპატაძე, გამომცემლობა „არტანუჯი", 2004

რედაქტორებისაგან

ნინამდებარე სახელმძღვანელოში გაშუქებულია **საქართველოს ახალი ისტორიის** უმნიშვნელოვანესი პერიოდის — XIX საუკუნის — ისტორია.

XIX საუკუნის დამდეგი საქართველოს ისტორიაში აღინიშნა დიდი ეროვნული კატასტროფით — ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობით. სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში დიდი სახელმწიფოების — სპარსეთის, ოსმალეთის, რუსეთის — დაპირისპირებას შეეწირა. **დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მხრიდან სრული პასიურობის პირობებში რუსეთმა შესძლო სპარსეთისა და ოსმალეთის პოლიტიკური და სამხედრო წინააღმდეგობის დაძლევა და XIX საუკუნის დამდეგს (1801-1810 წწ.) ქართული სამეფო-სამთავროები დაიპყრო.** პოლიტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე რუსეთმა საქართველოს დაპყრობა ორი ფორმით განახორციელა: ქართლ-კახეთისა და იმერეთის დაპყრობას სამეფოების გაუქმება და რუსული მმართველობის შემოღება მოჰყვა. რაც შეეხება სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროებს, აქ დაპყრობა სამთავროების რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღების გზით განხორციელდა (იგივე ბედი XIX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს სვანეთის სამთავრომაც გაიზიარა). რუსეთის ქვეშევრდომობაში შესული სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის მთავრები რუსული კოლონიური ადმინისტრაციის ნების უსიტყვო აღმსრულებლებად იქცნენ.

მართალია, რუსეთმა საქართველო ადვილად დაიპყრო, მაგრამ XIX საუკუნის დამდეგისათვის რუსეთის მდგომარეობა სანუგეშო მაინც არ იყო. ევროპაში რუსეთის მონაწილეობით საფრანგეთის წინააღმდეგ მებრძოლი კოალიცია მარცხს განიცდიდა. საქართველოში რუსეთის დამკვიდრებას ვერ ურიგდებოდნენ სპარსეთი და ოსმალეთი, ორივე ისლამური სახელმწიფო რუსეთთან ომისათვის ემზადებოდა. ანტირუსული მოძრაობა ძალას იკრეფდა ჩრდილო კავკასიაში. ამ რეგიონში დამკვიდრების გარეშე კი რუსეთის პოზიციები სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) მტკიცე ვერ იქნებოდა. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ გამორიცხული არ იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნების გააქტიურება და მათი მონაწილეობა რუსეთ-სპარსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებაში. და ბოლოს, აშკარა იყო, რომ დაპყრობილ საქართველოში დაიწყებოდა ეროვნული მოძრაობა. ამ მოძრაობის მასშტაბების განსაზღვრა, ცხადია, XIX საუკუნის დამდეგს რუსეთს არ შეეძლო, მაგრამ იგი რომ თავისი ხასიათით ანტირუსული იქნებოდა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნას წამოაყენებდა, ეჭვს არ ინვევდა. ყოველივე ზემოთ თქმული რუსეთის საიმპერატორო კარს აიძულებდა საქართველოს კოლონიზაცია სწრაფი ტემპით განეხორციელებინა, მტკიცედ დამკვიდრებულიყო საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში, რათა მოსალოდნელ გართულებებს მომზადებული შეხვედროდა.

რუსული კოლონიზაცია საქართველოში რამდენიმე ეტაპად განხორციელდა. ყოველი ეტაპი ერთმანეთისაგან ვანსხვავდებოდა მხოლოდ კოლონიზაციის განხორციელების ფორმებით, არსი კი ყოველთვის ერთი და იგივე იყო. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კოლონიზაციის გეგმა ისე იყო შემუშავებული, რომ იგი მთლიანად პასუხობდა რუსეთის იმპერიის ზოგად საგარეო-პოლიტიკურ კონცეფციას და კონკრეტულად რუსეთის პოლიტიკას კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში. კოლონიური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები შემუშავებული იყო მაღალი დონის პროფესიონალების მიერ, ხოლო მისი რეალიზება მეტწილად დავალებული ჰქონდათ სათანადო გამოცდილების მქონე უნარიან და ენერგიულ მოხელეებს.

საქართველოში რუსული კოლონიზაციის **პირველი ეტაპი** იწყება XIX საუკუნის დამდეგიდან (1801-1802 წლებიდან) და გრძელდება 30-იანი წლების ბოლომდე. ესაა რუსული კოლონიზაციის ყველაზე „ველური" პერიოდი, რომელიც ფაქტობრივად სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის პირობებში ხორციელდებოდა და უამრავი ქართველის სიცოცხლე შეინირა. პირველ ეტაპზე რუსული კოლონიზაცია რამდენიმე ამოცანის გადაჭრას ისახავდა მიზნად. ეს მიზნები იყო: 1) სპარსეთისა და ოსმალეთის რევანშისტული მისწრაფებების აღკვეთა, მათი განდევნა საქართველოდან და საერთოდ სამხრეთ კავკასიიდან; 2) ანტირუსული ძალების დასუსტება (ბაგრატიონთა სამეფო სახლის დევნა და შევიწროება, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და სხვ.); 3) დემოგრაფიული ვითარების ქართველთა საზიანოდ შეცვლა — საქართველოში უცხოტომელთა ჩამოსახლება; 4) ტრადიციული ქართული სოციალური წყობის

შეცვლა და მისი რუსულთან დაახლოება; 5) საქართველოს ეკონომიკის რუსეთის ეკონომიკისადმი დაქვემდებარება, საქართველოს დამოუკიდებელი სამეურნეო ორგანიზმის ლიკვიდაცია; 6) ეროვნული მოძრაობის დათრგუნვა.

საქართველოს კოლონიზაციის **მეორე ეტაპი** იწყება XIX საუკუნის 40-იანი წლების დამდეგიდან (1841-1846 წლების ადმინისტრაციული მმართველობის რეფორმიდან) და გრძელდება 80-იანი წლების დამდეგამდე. ამ პერიოდში კოლონიზაციის „ველური" მეთოდები შეცვალა შედარებით უფრო „ცივილურმა" მეთოდებმა. ამასთან, კოლონიზაცია გახდა უფრო კარგად გააზრებული და მიზანდასახული. საქართველოს კოლონიზაციის მეორე ეტაპი მიზნად ისახავდა: 1) საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის რუსეთის შიდა გუბერნიების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფასთან სრულ შესაბამისობაში მოყვანას; 2) რუსეთში მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებში საქართველოს ინტეგრაციას და ამ გზით საქართველოში რუსეთის ბატონობისათვის აუცილებელი ძლიერი სოციალური დასაყრდენის შექმნას; 3) ქართული ეროვნული ცნობიერების დაკნინებას და ქართველი ერის ასიმილაციისათვის პირობების მომზადებას.

საქართველოს კოლონიზაციის **მესამე ეტაპი** იწყება XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგიდან (1882 წელს მეფისნაცვლობის გაუქმებით) და გრძელდება XX საუკუნის დამდეგამდე. ამ პერიოდში ნაწილობრივ აღდგა კოლონიზაციის ძველი, „ველური" მეთოდები და დაიწყო აშკარა და დაუნდობელი ბრძოლა ქართველი ერის სრული ასიმილაციისათვის. ქართული ენის, ქართული კულტურის დევნამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია, სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა ქართველი ერის ერთიანობის ხელყოფის მიზნით. დაიწყო ნიადაგის მომზადება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქართველი და არაქართველი (არაავტოქტონი) მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირების პროვოცირებისათვის.

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის განხორციელებას სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია XIX საუკუნის დამდეგიდან დაწყებულმა ეროვნულმა მოძრაობამ. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ **XIX საუკუნე რუსეთის კოლონიური პოლიტიკისა და ქართული ეროვნული მოძრაობის მუდმივი და შეურიგებელი დაპირისპირების ეპოქაა.** საქართველოში ყველა მოვლენა ამ დაპირისპირების ფონზე ვითარდებოდა, საქართველოს მომავალი, ქართველი ერის ყოფნა-არყოფნა ამ დაპირისპირების საერთო შედეგებზე იყო დამოკიდებული.

ქართული ეროვნული მოძრაობა მთელი XIX საუკუნის მანძილზე ერთიანი იყო, რადგან მას ახასიათებდა ერთი საერთო ნიშანი: **„შეუწყნარებლობა რუსული სახელმწიფოებრიობისა"** (არჩილ ჯორჯაძე). მიუხედავად ამისა, ეროვნული მოძრაობის ისტორიაში მაინც გამოიყოფა რამდენიმე ეტაპი.

ქართული ეროვნული მოძრაობის **პირველი ეტაპი** იწყება XIX საუკუნის დამდეგს (1802 წელს) და გრძელდება XIX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგამდე. ესაა ეროვნული მოძრაობის სანყისი პერიოდი. ამ ეპოქის ეროვნული მოძრაობის ღირსშესანიშნავი ფურცლებია: 1802 წლის პოლიტიკური გამოსვლა კახეთში, 1804 წლის აჯანყება ქართლის მთიანეთში, 1812 წლის აჯანყება კახეთში, 1819-1820 წლების აჯანყება იმერეთსა და გურიაში. მიუხედავად სტიქიურობისა და ლოკალურობისა, ეს მოვლენები იმის ნათელი დადასტურება იყო, რომ ქართველი ერი არ შეურიგდებოდა სახელმწიფოებრიობის დაკარგვას. დაღვრილი სისხლი კიდევ უფრო ზრდიდა სიძულვილს დამპყრობლისადმი.

ეროვნული მოძრაობის **მეორე ეტაპი** იწყება XIX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგიდან (იმერეთსა და გურიაში აჯანყების დამარცხების შემდეგ) და გრძელდება XIX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგამდე (1832 წლის შეთქმულების დამარცხებამდე). ამ პერიოდში ლოკალური და სტიქიური ეროვნული მოძრაობა ხდება საერთოქართული, წინასწარ შემუშავებული სტრატეგიული პროგრამითა და ამ პროგრამის რეალიზების გზით (ტაქტიკით).

ეროვნული მოძრაობის **მესამე ეტაპი** იწყება XIX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგიდან (1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ) და გრძელდება XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლომდე). ესაა პერიოდი, როდესაც 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ეროვნულ მოძრაობაში თითქოს აღინიშნება გარკვეული შეყოვნება (და არა უკანსვლა!), რადგან 1841 წლის გურიის აჯანყების გარდა რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ დიდი, მასობრივი გამოსვლა (აჯანყება, შეთქმულება) აღარ მომხდარა. სინამდვილეში კი სწორედ ამ პერიოდში მომზადდა ნიადაგი ეროვნული მოძრაობის შემდეგი და განსაკუთრებული ეტაპის დაწყებისათვის.

ეროვნული მოძრაობის **მეოთხე ეტაპი** იწყება XIX საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნაზე და გრძელდება 90-იანი წლების ბოლომდე. ესაა ეპოქა ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით დაწყებული დიდი ეროვნული მოძრაობისა, რომელმაც ქართველობა და საქართველო იხსნა ასიმილაციისაგან და შეგვინარჩუნა „მამული, ენა, სარწმუნოება“.

XIX საუკუნის 90-იანი წლების მიწურულიდან ეროვნული მოძრაობის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით XIX საუკუნის საქართველოში ძირითადად ორი პერიოდი გამოიყოფა. **პირველი პერიოდი** იწყება XIX საუკუნის დამდეგიდან და გრძელდება 60-იანი წლების შუა ხანებამდე (ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ბატონყმობის გაუქმებამდე). ესაა ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის არსებობის ხანა მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით. **მეორე პერიოდი** იწყება XIX საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებიდან და გრძელდება 90-იან წლებამდე. ესაა ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრების ხანა მისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური სისტემითა და სოციალური წყობით. ამ პერიოდში იწყება საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაცია რუსეთის ეკონომიკასთან.

XIX საუკუნეში სპარსეთთან და ოსმალეთთან გადახდილი ომების შემდეგ დადებული **ბუქარესტის** (1812 წ.), **გიულისტანის** (1813 წ.), **თურქმანჩაისა** (1828 წ.), **ადრიანოპოლის** (1829 წ.) **ზავებით**, ასევე **სან-სტეფანოს ზავითა** (1878 წ.) **და ბერლინის ტრაქტატით** (1878 წ.) რუსეთმა სპარსეთსა და ოსმალეთს წაართვა საქართველოს ისტორიული ტერიტორია სამხრეთ-აღმოსავლეთ, ჩრდილო-დასავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ჭარ-ბელაქანი, აფხაზეთი, სამცხე, აჭარა და სხვ.).

XIX საუკუნეში დიდი აღმავლობა განიცადა ქართულმა კულტურამ, განსაკუთრებით ქართულმა მწერლობამ. რუსეთის იმპერიის დიდ სამეცნიერო ცენტრებში (პეტერბურგში, მოსკოვში) ჩამოყალიბდა ძლიერი ქართველოლოგიური სკოლები. ქართველმა მეცნიერებმა დიდი წვლილი შეიტანეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებაში.

XIX საუკუნემ იდეურად მოამზადა XX საუკუნის საქართველოს ისტორიის ყველაზე დიდი მოვლენა — სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს.

წინამდებარე სახელმძღვანელო — „საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე“ დანერილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტისათვის შედგენილი პროგრამის შესაბამისად.

XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი გააყალბა რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიამ. ისტორიის გაყალბების მასშტაბები კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოთა წყობილების არსებობის პერიოდში. გაყალბდა არა მარტო ცალკეული ფაქტები და მოვლენები, არამედ მთელი ისტორიული პროცესი — პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ისტორია. წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია ეროვნული მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ფალსიფიკაციამ. XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან — საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991 წ.) შესაძლებელი გახდა XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის ობიექტურად გაშუქება. მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტი ისტორიის შექმნას პოლიტიკური სისტემა ხელს აღარ უშლის, ერთბაშად ყველაფრის დაძლევა და სრულყოფილი სახელმძღვანელოს შექმნა ალბათ მაინც მომავლის საქმეა.

ავტორთა კოლექტივი ყურადღებით მოეკიდება სპეციალისტების, სტუდენტებისა და ფართო მკითხველის მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და სურვილებს, შეძლებისდაგვარად ასახავს მას სახელმძღვანელოს შემდგომ გამოცემებში.

სახელმძღვანელოს ილუსტრირება და რუკები ეკუთვნის **ბონდო კუპატაძეს**. მადლიერებით გვინდა მოვიხსენიოთ გამომცემლობა „არტანუჯის“ დირექტორი ბატონი **ბუბა კუდავა**, რომელმაც თავს იდო სახელმძღვანელოს გამოცემასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოგვარება.

თავი I

საქართველოს ხელისუფლება და მოსახლეობა XIX საუკუნეში

§1. საქართველოს პოლიტიკური რუკა XIX საუკუნეში

საქართველოს ისტორიული ტერიტორია XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დამდეგს წარმოდგენილი იყო შემდეგი პოლიტიკური ერთეულებით: **ქართლ-კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო, გურიის, ოდიშის, აფხაზეთის** და **სვანეთის სამთავროები.** ქართული მიწები შედიოდა აგრეთვე ოსმალეთის იმპერიაში **ახალციხის** და **ტრაპიზონის საფაშოების** სახით, სპარსეთის სახელმწიფოში **ერევნის სახანოს** სახით, აგრეთვე **ქარ-ბელაქნის** უბატონო თემსა და **ელისუს** სასულთნოში.

დასავლეთ საქართველოს მფლობელებს შორის ტერიტორიული ცილობის საგანს წარმოადგენდა: **ლეჩხუმი** (ოდიშსა და იმერეთს შორის), **სამურზაყანო** (აფხაზეთსა და ოდიშს შორის), **საჯავახო** (იმერეთსა და გურიას) და **პალიასტომის რაიონი** (გურიასა და ოდიშს შორის).

სვანეთი სამ ნაწილად იყო გაყოფილი: **თავისუფალი სვანეთი, სადადეშქელიანო სვანეთი** (იგივე სვანეთის სამთავრო) და **სადადიანო სვანეთი.**

შავიზღვისპირეთის სიმაგრეები: ფოთი, ანაკლია და სოხუმი თურქების ხელთ იყო. ჩრდილო-დასავლეთის საზღვარს ავინროებდნენ თურქთაგან წაქეზებული ჯიქები.

1801 წლის 18 იანვრის რუსეთის იმპერატორის **პავლე I**-ის მანიფესტით, რომელიც იმავე წლის 12 სექტემბრის **ალექსანდრე I**-ის მანიფესტითაც დადასტურდა, რუსეთის იმპერიამ დაარღვია 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები და გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო. აღმოსავლეთ საქართველო შეუერთდა რუსეთს და აქ დამყარდა რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო მმართველობა, რომელიც თანდათანობით რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიების მსგავს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ სისტემად ჩამოყალიბდა. უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ძალაუფლება გადავიდა საქართველოს მთავარსარდლის ხელში. ქართლი დაიყო სამ მაზრად: **გორის, ტფილისის** (ლორეს) და **დუშეთის,** კახეთი კი ორ მაზრად: **თელავის** და **სიღნაღის.**

მაზრების საზღვრებს გარეთ დარჩნენ ქართლ-კახეთის მთის მოსახლეობა და სამხრეთით მცხოვრები მაჰმადიანები. მთის მოსახლეობისათვის რომ გაეადვილებინათ ახალი მმართველობის წესებთან შეგუება, იქ დატოვეს ადგილობრივი ქართველი მოხელეები, რომელთაც ზედამხედველად რუსი ოფიცრები მიუჩინეს. ამ პირობებით ჩამოყალიბდა **ბორ-ჩალოს, ყაზახის, შამშადილის, ბამბაკის** და **შურაგელის** დისტანციები.

1804 წელს რუსეთის იმპერიამ შემოიერთა განჯის სახანო, რომელიც შემდგომში ელიზავეტოპოლის ოკრუგად გადაკეთდა და საქართველოს უმაღლეს მმართველობას დაექვემდებარა. 1803 წელს რუსეთის იმპერიამ ქვეშევრდომობაში მიიღო **გრიგოლ დადიანი,** რომელიც ცნო სამეგრელოს მემკვიდრეობით მთავრად. დადიანები მოვალენი იყვნენ ყველაფერში დამორჩილებოდნენ საქართველოს მთავარსარდალს ან მის მიერ სამეგრელოში მივლინებულ მოხელეს.

1804 წელს რუსეთმა ანალოგიური ხელშეკრულება დადო სოლომონ II-სთან, იმ განსხვავებით, რომ იმერეთის მეფე მხოლოდ საქართველოს მთავარსარდალს უნდა დაქვემდებარებოდა. სადაო ლეჩხუმის საკითხი რუსეთის იმპერატორმა სამეგრელოს სასარგებლოდ გადაწყვიტა, სანაცვლოდ რუსეთმა ცნო იმერეთის მეფის უფლებები გურიის სამთავროზე.

1804 წელს რუსეთის ჯარის **ყულევში (რედუტ-კალე)** გადმოსხმით დაიწყო რუსეთის მიერ დასავლეთ საქართველოში დამკვიდრების ხანგრძლივი პროცესი. 1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსეთმა შეძლო **ფოთის, სოხუმის** და **ახალქალაქის** დაკავება. თუმცა 1812 წელს ბუქარესტის ზავით ფოთი და ახალქალაქი დაუბრუნა ოსმალეთს.

1810 წელს რუსეთის იმპერიამ გააუქმა იმერეთის სამეფო. პროექტით იმერეთი დაიყო ექვს (ქუთაისის, რაჭის, შორაპნის, ვაკის, ჩხარის, საჩხერის) ოკრუგად. ეს პროექტი არ

განხორციელებულა და 1814 წლიდან იმერეთი ოთხ ოკრუგად დაიყო (გაუქმდა ჩხარის და საჩხერის). იმერეთის ოლქის უფროსი და მისდამი დაქვემდებარებული ოკრუგების უფროსები ემორჩილებოდნენ საქართველოს მთავარსარდალს და უშუალო სამხედრო ზედამხედველობას უწევდნენ სამეგრელოს, გურიის და აფხაზეთის სამთავროებს, რომლებიც რუსეთის ქვეშემვრდომები იყვნენ და **შინაური ავტონომია** ჰქონდათ შენარჩუნებული.

1804-1813 წლების **რუსეთ-სპარსეთის** ომი დასრულდა **გიულისტანის ზავით**. სპარსეთმა ცნო რუსეთის უფლებები აღმოსავლეთ საქართველოზე, დაღესტანზე და თავის ყოფილ სახანოებზე (ყარაბაღი, განჯა, შირვანი, შაქი, ბაქო, დარუბანდი, ყუბა, თალიში).

1826-1828 წლების **რუსეთ-სპარსეთის** ომის შედეგები აისახა თურქმანჩაის ზავში, რომლის ძალითაც სპარსეთმა რუსეთს დაუთმო ერევნის და ნახიჩევნის სახანოები.

1828-1829 წლების **რუსეთ-ოსმალეთის** ომი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ისტორიული ქართული მიწების დაბრუნების თვალსაზრისით. ადრიანოპოლის ზავით რუსეთის იმპერიამ ახალციხის საფაშოს 24 სანჯაყიდან მიიღო 8 სანჯაყი (ახალქალაქი, ხერთვისი, ჭაჭარაქი, ანყური, აბასთუმანი, ადიგენი, ახალციხე, ქვაბლიანი), რომელიც გაერთიანდა **ახალციხის ოლქში** და ამ სახით 1840 წლამდე იარსება.

ამ ომის დროს გაიზარდა **რუსეთის** ხელისუფლების უნდობლობა **გურიის** სამთავროს გამგებელ **სოფიო გურიელის** მიმართ, რასაც 1829 წელს **გურიის** სამთავროს გაუქმება მოჰყვა. აქ **რუსი** ოფიცრის თავმჯდომარეობით **გურული** თავადებისაგან შეიქმნა **„დროებითი სამმართველო საბჭო“**, რომელმაც 1840 წლამდე იარსება.

XIX საუკუნის 30-იან წლებში **რუსეთის** მთავრობა იწყებს **უმძიმეს** ომს **ჩრდილო** კავკასიაში. ამ პირობებში ერთის მხრივ უცვლელი დარჩა დასავლეთ **საქართველოს** პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტრუქტურა (კერძოდ, სამთავროთა ავტონომია), ხოლო მეორეს მხრივ გაძლიერდა **სასაზღვრო**-თავდაცვითი ნაგებობები **აფხაზეთსა** და **სამეგრელოში**. ამ ვითარებაშიც **რუსეთი** იყენებდა ყველა საშუალებას, რათა თავისი **უშუალო** გავლენა დაემყარებინა თუნდაც მცირე ტერიტორიებზე. კერძოდ: 1837 **წელს ნებელდაზე** და 1840 **წ. სამურზაყანოზე**. 1834 **წელს** სვანეთის სამთავრო **რუსეთის** ქვეშევრდომი გახდა.

XIX საუკუნის 30-იან **წლებში** შექმნილი **სამხედრო-თავდაცვითი „შავი ზღვის სანაპირო ხაზი“** თანდათანობით **გაგრძელდა** **სამხრეთისაკენ**. **აფხაზეთის** მთავარი, ამ ხაზის **მესამე განყოფილების** **უფროსის**, ხოლო **სამეგრელოს** მთავარი – **მეოთხე განყოფილების** **უფროსის** **სამხედრო** დაქვემდებარებაში მოექცა. **გურიაზე** და ქ. ფოთზე **გავრცელდა** **მეოთხე** **განყოფილების** **როგორც** **სამხედრო**, **ისე** **სამოქალაქო** **ხელისუფლება**.

კავკასიის **დაპყრობის** **პირველი** **ეტაპი** **დასრულდა** XIX **საუკუნის** 30-**იან** **წლებში**, **რის** **შედეგადაც** 1840 **წლის** 10 **აპრილს** **სენატორ** **პავლე** **განის** **პროექტის** **საფუძველზე** **შედგენილმა** **დებულებამ** **დააწესა** **ამიერკავკასიის** **ახალი** **ტერიტორიულ-ადმინისტრაციული** **მოწყობა**.

ახალი **დებულება** **არ** **შეეხებოდა** **და** **უცვლელად** **ტოვებდა** **სამეგრელოს**, **სვანეთის** **და** **აფხაზეთის** **სამთავროთა** **ავტონომიას**. **ამიერკავკასიაში** **ჩამოყალიბდა** **ორი** **მსხვილი** **ერთეული**: **საქართველო-იმერეთის** **გუბერნია** **და** **კასპიის** **ოლქი**.

საქართველო-იმერეთის **გუბერნია** **იყოფოდა** 11 **მაზრად**: **ტფილისის**, **გორის**, **თელავის**, **ბელაქნის**, **ქუთაისის**, **ელიზავეტოპოლის**, **ალექსანდროპოლის**, **ერევნის**, **ნახიჩევნის**, **ახალციხის** **და** **გურიის**. **მაზრები** **თავის** **მხრივ** **იყოფოდნენ** **უბნებად**, **რომელთა** **საერთო** **რიცხვი** **საქართველო-იმერეთის** **გუბერნიაში** **შეადგენდა** **ორმოცდაოთხს**.

ახალ **ადმინისტრაციულ** **დაყოფაში** **იყო** **მთელი** **რიგი** **შეუსაბამობები** **და** **სამეურნეო-ეკონომიკური** **თვალსაზრისითაც** **გაუმართლებელი** **გამიჯვნები**. **ხელისუფლება** **მოერიდა** **მოსახლეობასთან** **დაპირისპირებას** **და** **თანდათანობით** **განახორციელა** **რიგი** **ცვლილებები**. 1842 **წელს** **თელავის**, **ტფილისის** **და** **გორის** **მაზრებიდან** **გამოიყო** 3 **ოკრუგი**: **თუშ-ფშავ-ხევსურეთის**, **ოსეთის** **და** **მთიელების**. 1844 **წელს** **აღდგა** **სიღნაღის** **მაზრა**.

1844 **წელს** **კავკასიის** **მხარემ** **რუსეთის** **ადმინისტრაციულ** **სისტემაში** **უფრო** **მაღალი** **სტატუსი** **მიიღო** – **მას** **სათავეში** **ჩაუდგა** **მეფისნაცვალი**, **რომელიც** **უშუალოდ** **რუსეთის** **იმპერატორს** **ექვემდებარებოდა**. **შესაბამისად**, 1846 **წელს** **კავკასიის** **სამეფისნაცვლოში** **განხორციელდა** **ახალი** **ადმინისტრაციული**

დაყოფა. ჩამოყალიბდა: **ტფილისის, ქუთაისის, დარუბანდის** და **შამახიის გუბერნიები**.

ტფილისის გუბერნიაში შედიოდა: **ტფილისის, გორის, თელავის, სიღნაღის, ელიზავეტოპოლის, ერევნის, ნახიჩევნის** და **ალექსანდროპოლის მაზრები; მთიელთა, ოსთა** და **თუშ-ფშავ-ხევსურთა** ოკრუგები.

ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა: **ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ოზურგეთის** და **ახალციხის** მაზრები, აგრეთვე **სამეგრელოს** და **სვანეთის** სამთავროები. შორაპნის მაზრას გორის მაზრიდან გადაეცა ლიხის ქედის დასავლეთით მდებარე სოფლები, ხოლო რაჭის მაზრას ოსეთის ოკრუგიდან მამისონის ხეობა.

1849 წელს ტფილისის გუბერნიას ჩამოშორდა **ერევნის, ნახიჩევნის** და **ალექსანდროპოლის** მაზრები, რომელთა გაერთიანებითაც შეიქმნა **ერევნის გუბერნია**. ალექსანდროპოლის მაზრის **ახალქალაქის უბანი** გადაეცა **ახალციხის მაზრას** (ქუთაისის გუბერნია).

ყირიმის ომის დასრულების შემდგომ რუსეთის ახალი კოლონიური პოლიტიკისათვის შეუფერებელი იყო დასავლეთ საქართველოს სამთავროთა ავტონომიური მდგომარეობა. ხელსაყრელი საბაბის გამოძებნის შემთხვევაში დღის წესრიგში დადგებოდა მათი გაუქმების საკითხი.

1857 წელს სამეგრელოს გამგებელი **ეკატერინე დადიანი** თავის მცირენლოვან ვაჟთან, **ნიკოლოზ (ნიკო) დადიანთან** ერთად პეტერბურგში გაიწვიეს და ფაქტობრივად სამთავრო გააუქმეს. 1867 წელს იურიდიული მხარეც მოგვარდა, ნიკო დადიანმა ფინანსური კომპენსაციის სანაცვლოდ უარი თქვა სამეგრელოს მთავრის ტიტულზე და ყოფილი სამთავრო ქუთაისის გუბერნიაში შევიდა **ზუგდიდის, სენაკის** და **ლეჩხუმის** მაზრების სახით.

1857-1859 ნლებში **დადეშქელიანთა** ორ შტოს შორის არსებული ნინააღმდეგობა კარგად გამოიყენა რუსეთის მთავრობამ და სვანეთის სამთავრო გააუქმა. ყოფილი **სადადიანო, სადადეშქელიანო** და **უბატონო სვანეთი** გაერთიანდა **სვანეთის საბოქაულოში**, რომელიც 1868 ნლიდან დაექვემდებარა ლეჩხუმის მაზრის უფროსს.

1864 ნელს რუსეთმა გააუქმა **აფხაზეთის სამთავროც**. 1866 ნელს **სამურზაყანოს** და **ნებელდის** საბოქაულოები და ყოფილი აფხაზეთის სამთავრო გაერთიანდა **სოხუმის განყოფილებაში**.

1859 ნელს **მამისონის ხეობა** და **ოსეთის ოკრუგის** ჩრდილოეთი ნანილი ჩამოშორდა ქუთაისის და ტფილისის გუბერნიებს და გადავიდა **კავკასიის ხაზის** შემადგენლობაში. **ოსეთის ოკრუგი** გაუქმდა და მისი დანარჩენი ნანილი შეუერთდა **გორის მაზრას**, 1874 ნელს კი **თიანეთის მაზრას**.

1859 ნელს გაუქმდა **თუშ-ფშავ-ხევსურეთის** ოკრუგი და მის ადგილზე ჩამოყალიბდა **თიანეთის** ოკრუგი, რომლის ტერიტორიაც შეივსო მიმდებარე სოფლებით. **ბამბაკის უბანი ალექსანდროპოლის** მაზრიდან (ერევნის გუბერნია) გადაეცა **ტფილისის მაზრას**.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 ნლების ომის შედეგად რუსეთის იმპერიისათვის ამიერკავკასიაში გადმოცემული ტერიტორია გაიყო **ყარსის** და **ბათუმის** ოლქებად. **ბათუმის** ოლქი (ბათუმის და ართვინის ოკრუგების შემადგენლობით) 1883 ნლიდან შევიდა ქუთაისის გუბერნიაში.

სამთავროების (სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი) გაუქმებასთან დაკავშირებით გატარდა სამხარეო-ადმინისტრაციული რეფორმა. 1868 ჩამოყალიბდა: **სენაკის, ზუგდიდის, ლეჩხუმის მაზრები** და **სოხუმის ოკრუგი**. ეს უკანასკნელი 1885 ნლიდან ადმინისტრაციულად ქუთაისის გუბერნატორს დაექვემდებარა. ტფილისის გუბერნიას შეუერთდა **ახალციხის მაზრა** და **ზაქათალის ოკრუგი**, ხოლო ჩამოშორდა განჯის მაზრა, რომლის ბაზაზეც ბაქოს და ერევნის გუბერნიების რიგ მაზრებთან ერთად 1870 ნელს შეიქმნა **ელიზავეტოპოლის გუბერნია**.

1880 ნელს ტფილისის მაზრის სამხრეთის ნანილი და **თრიალეთის** და **ლორეს** საბოქაულოები გადაკეთდა ბორჩალოს მაზრად (ტფილისის გუბერნია).

1886 ნლის დებულებით ამიერკავკასიის გუბერნიის მაზრები დაიყო **საპოლიციო უბნებად** (საბოქაულოებად), ამის შემდგომ, საუკუნის ბოლომდე საქართველოს ტერიტორიის ადმინისტრაციული დაყოფა ძირითადად უცვლელი დარჩა.

1900 ნლისთვის ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა შვიდი მაზრა: **ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის** და **ლეჩხუმის** და სამი ოკრუგი: **ართვინის, ბათუმის** და **სოხუმის**. ტფილისის გუბერნიაში გაერთიანდა ცხრა მაზრა: **ტფილისის, გორის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის, თიანეთის, ბორჩალოს, ახალქალაქის** და **ახალციხის**.

საქართველო 1804 წელს


რ უ ს ე თ ი ს
ი მ პ ე რ ი ა
ო ს მ ა ლ ე თ ი ს
ი მ პ ე რ ი ა
ს პ ა რ ს ე თ ი
შავი ზღვა
ფსხუ
ლიხნი
ნუბალდა
მესტია
ლენტეხი
ორბელი
ლაილაში
ონი
ოქუმი
ილორი
ანაკლია
ყულევი
ფოთი
სალხინო
ბაღდათი
ბორჯომი
ახალციხე
ოსმალეთი
ბათუმი
ბორჯომი
ბაკურიანი
ბაზალეთი
ბაზიანი
ბოლნისი
ბოლოქი
ბორჩალო
ბაკური
ბაკაკი
ბიჭვინთა
ბალიანი
ბალაქანი
ბაკუბა
ბაკა
ბაკაბანი
ბაკალინი
ბაკალეთი
ბაკალი
ბაკალა
ბაკალეთი
ბაკალეთი
ბაკალეთი

§ 2. ხელისუფლების სტრუქტურა და ადმინისტრაცია XIX საუკუნეში

XIX საუკუნეში საქართველოს ხელისუფლების ტრანსფორმაციის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო სუვერენული ქართული სახელმწიფოებრიობის თანდათანობით ლიკვიდაცია და რუსული მმართველობის დამკვიდრება. საბოლოოდ საუკუნის ბოლოსთვის საქართველო რუსეთის იმპერიის ორგანულ ნაწილად იქცა რუსული ადმინისტრაციული სისტემით და ოფიციალურ ტერმინოლოგიაში აღარ გამოიყენებოდა სიტყვა **„საქართველო"**.

XIX საუკუნის მანძილზე ხელისუფლების და სისტემის ცვლილება სამ ძირითად ეტაპად შეიძლება დაიყოს. **პირველი ეტაპი** (1801-1840 წლები) – რუსეთის დროებითი მმართველობის, გარდამავალი პერიოდის სტრუქტურების შემოღებას და დამკვიდრებას გულისხმობდა. **მეორე ეტაპზე** (1840-1865 წლები) – რუსული მმართველობის საბოლოო ფორმირება და განმტკიცება მოხდა, გაუქმდა ქართული სახელმწიფოებრიობის უკანასკნელი ნაშთები (სამთავროები). **მესამე ეტაპზე** (1865-1890-იანი წლები) – ადმინისტრაციასა და ხელისუფლების სისტემებში დამკვიდრდა დემოკრატიული ელემენტები (თვითმმართველობა, არჩევითი სისტემა) და სახელისუფლო სტრუქტურები პროგრესული ფორმით მოდერნიზდა.

ა) მმართველობის პირველი პერიოდი. 1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII. ვითარების გამორკვევამდე მისი ვაჟი დავით გიორგის ძე შეუდგა მეფის მოვალეობის შესრულებას. თუმცა რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ქართული სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაცია და ისეთ ხელსაყრელ მდგომარეობას, რაც მეფის გარდაცვალებით შეიქმნა, ხელიდან არ გაუშვებდა. ვითარებას ართულებდა ის ფაქტიც, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის პირობის მიხედვით რუსეთის საიმპერატორო კარისგან მეფედ კურთხევის ნებას დავით „განმგის" მსგავსად გამოითხოვდა განსვენებული მეფის ნახევარძმა იულონ ბატონიშვილიც.

ქართლ-კახეთის სუვერენობის ლიკვიდაცია გააჭიანურა პეტერბურგში მომხდარმა ამბებმა. პავლე I-ის მკვლელობამ და ალექსანდრე

გიორგი XII

I-ის ტახტზე ასვლამ „კავკასიის საკითხისადმი" რუსეთის დამოკიდებულება გარკვეულწილად შეცვალა და უფრო ფრთხილი გახადა. 1801 წლის მაისში საქართველოში იმპერატორისგან გამოგზავნილმა გენერალმა **კარლ კნორინგმა**

კარლ კნორინგი

დავითი მმართველობიდან გადააყენა და **„დროებითი მმართველობა"** დააარსა, რომლის თავმჯდომარე იყო გენერალი **ივანე ლაზარევი**, ხოლო წევრებად ხუთი ქართველი თავადი – მდივანბეგები. ამ „დროებითმა მმართველობამ" ერთი წლის განმავლობაში შეამზადა ნიადაგი რუსეთისთვის ხელისუფლების საბოლოოდ გადასაცემად.

იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით გამოცხადდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსეთთან შერთება. დამტკიცდა „საქართველოს მმართველობის" დებულება, რომლის თანახმად ძალაუფლება გადაეცა **„საქართველოს უმაღლეს მმართველობას"**, რომელიც ოფიციალურად გაიხსნა ტფილისში 1802 წლის 8 მაისს.

საქართველოს უმაღლესი მმართველობის

პავლე I

სათავეში იდგა **საქართველოს მთავარმართებელი** (მთავარსარდალი) გენერალი კარლ კნორინგი. იგი უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალი იყო კავკასიის რუსულ მმართველობაში. მის პირველ მოადგილედ ითვლებოდა სამოქალაქო საქმეებში მთავარმართებლის თანაშემწე – **„საქართველოს მმართველი“**, ამ თანამდებობაზე დაინიშნა მინისტრი პეტრე კოვალენსკი.

საქართველოს უმაღლეს მმართველობაში ყოველგვარი საქმის წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, კანონები და ინსტრუქციები უშუალოდ საიმპერიო კანონმდებლობის დუბლირებას წარმოადგენდა. ენის უცოდინარობა და შეუსაბამო კანონები კი უკმაყოფილებას ბადებდა მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის. მმართველთა სამეულმა (კარლ კნორინგი, პეტრე კოვალენსკი და ივანე ლაზარევი) უხეშ ძალმომრეობაზე დამყარებული პოლიტიკით, მექრთამეობით, არა მხოლოდ მოსახლეობა გადაიმტერა და რუსეთის იმპერიის მიმართ ყოველგვარი ნდობა დაუკარგა, არამედ კავკასიაში რუსეთის გაბატონების გეგმასაც საფრთხე შეუქმნა. ქართველი თავადაზნაურობა უკვე ირაზმებოდა ბაგრატიონთა საგვარეულოს გარშემო მონარქიის აღსადგენად.

1802 წლის სექტემბერში იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გადააყენა კარლ კნორინგი და საქართველოს მთავარმართებლად დანიშნა

ალექსანდრე I

გენერალი **პავლე ციციანოვი** (1802-1806), განათლებული და ნიჭიერი პიროვნება, გამოცდილი როგორც სამხედრო საქმეში, ისე მმართველობის სფეროში. ქართული წარმოშობის მიუხედავად (პაპამისი, პაატა ციციშვილი ვახტანგ VI-თან ერთად გადასახლდა რუსეთში), იგი რუსეთის იმპერიის ერთგული მსახური იყო და ამდენად, კავკასიის უმტკივნეულოდ შეერთების დასახულ ამოცანას, მასზე უკეთ ვერავინ გაართმევდა თავს.

პავლე ციციანოვმა თავის თანაშემწეებთან **დიმიტრი ორბელიანსა** და **გუჩკოვთან** ერთად წარმატებით შესრულა იმპერატორის ბრძანება: ქვეშევრდომობის დამადასტურებელი ხელშეკრულებები დადო ამიერკავკასიის სახანოებთან,

პავლე ციციანოვი

სამეგრელოს მთავარ **გრიგოლ დადიანთან** და იმერეთის მეფე **სოლომონ II**-თან, აღკვეთა ლეკთა თარეში და შემოიერთა **ჭარ-ბელაქანი**, ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლები რუსეთში გადაასახლა და ამგვარად რუსეთის იმპერიას ქართლ-კახეთში მონარქიის აღდგენის საფრთხე ააცილა თავიდან.

პავლე ციციანოვმა ქართველი თავადებისა და აზნაურების გულის მოსაგებად და რუსეთის იმპერატორისადმი უქვეშევრდომილესი განწყობილების შესაქმნელად რუსეთში არსებული კანონი თავადაზნაურთა მარშლების (წინამძღოლების) შესახებ საქართველოში შემოიტანა და ქართულ სინამდვილეს მოარგო. პავლე ციციანოვის მიერ შექმნილი დებულება **სათავადაზნაურო საგუბერნიო კრების** შესახებ, რომელიც ალექსანდრე I-მა დაამტკიცა, ითვალისწინებდა სამ წელიწადში ერთხელ გუბერნიის და მაზრების **თავადაზნაურთა წინამძღოლების** არჩევას. კრებაში მონაწილეობა შეეძლოთ 20 წლის ზემოთ მამაკაცებს.

1803 წლის 5 ივნისს ტფილისში გაიმართა **თავადაზნაურობის I ყრილობა**, რომელშიც

მონაწილეობდნენ თავადები და ყოფილი სამეფო (იმჟამად უკვე სახაზინო) აზნაურები. ყრილობაზე აირჩიეს გუბერნიის **თავადაზნაურობის მარშალი** და **მრჩეველები**. პავლე ციციანოვის ჩარევით ანტირუსულად განწყობილი კანდიდატურის საწინააღმდეგოდ აირჩიეს თავადი **გარსევან ჭაეჭავაძე**.

1809 წლიდან სათავადაზნაურო საგუბერნიო კრების დებულება გამკაცრდა. თავადაზნაურთა კრებაში არჩევისთვის დაწესდა ქონებრივი და სამსახურებრივი ცენზი. ამიერიდან კრებაში მონაწილეობის მსურველს სოლიდური უძრავი ქონება ან ოფიცრის თუ სამოქალაქო სამსახურის ჩინი უნდა ჰქონოდა. თავადაზნაურობის კრება ადმინისტრაციასა და თავადაზნაურობას შორის შუამავლის ფუნქციას შეასრულებდა და მხოლოდ მოსახლეობის ამ ფენის წოდებრივი საკითხების მოგვარებით შემოიფარგლებოდა. უფლებამოსილების გადაჭარბების ყოველი მცდელობა ხელისუფლების მიერ უმკაცრესად აღიკვეთებოდა. ამდენად, ეს არჩევითი ორგანო ქართველი ერის სურვილების და მისწრაფებების ნაწილობრივი აღმსრულებელი დაწესებულება იყო.

პავლე ციციანოვმა თანდათანობით გააუქმა **მოურავობის** ინსტიტუტი. გარდაცვლილი მოურავის ადგილზე ახალი აღარ ინიშნებოდა. პავლე ციციანოვმა საფუძველი ჩაუყარა შემდგომში რუსული ხელისუფლების მიერ წარმატებით შეთვისებულ მეთოდს – მოსახლეობისაგან დაცლილ ადგილებზე სომეხი და სხვა ეროვნების, იმპერიისთვის „კეთილსაიმედო" ელემენტების ჩამოსახლებას. იგი შეეცადა რიგი სიახლეების დანერგვას საქართველოში: სელის, მატყლის და ტყავის გადამამუშავებელი სანარმოების დაარსებას, თეატრის გახსნას, აღწერა ტფილისის მოსახლეობა და გახსნა კეთილშობილთა სასწავლებელი, რომლის მთავარ მიზანს მომავალი თაობისთვის რუსული ენის შესწავლა წარმოადგენდა.

პატივმოყვარე პავლე ციციანოვი, რომელიც თავისი ცხოვრების უმთავრეს მიზნად იმპერატორის სკიპტრის ქვეშ სრულიად კავკასიის მოქცევას მიიჩნევდა, შეენირა კიდეც კავკასიისთვის ომს. ბაქოს ხანმა მუხანათურად შეიპყრო გენერალი და მისი მოკვეთილი თავი შაჰს გაუგზავნა.

1806 წლის ივნისში ალექსანდრე I-მა საქართველოს მთავარმართებლად გენერალ-



ივანე გუდოვიჩი

ანშეფი **ივანე გუდოვიჩი** (1806-1809) დანიშნა. 65 წლის გენერალი უკვე სამსახურიდან იყო გადამდგარი, როდესაც მისი ძველი – „კავკასიის ხაზის" სარდლობის დროინდელი დამსახურებები გაიხსენეს. მმართველობის დასაწყისში ივანე გუდოვიჩმა მართლაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია როგორც სპარსეთის, ისე ოსმალეთის წინააღმდეგ ომში, რაც მისთვის ფელდმარშლის ჩინის მინიჭებით აღინიშნა. წარმატებებით გაამაყებულმა გენერალმა ერევანთან მძიმე მარცხი იწვნია, რასაც 1809 წელს მისი გადაყენება მოჰყვა.

ალექსანდრე ტორმასოვის ხანმოკლე მთავარმართებლობა (1809-1811) კავკასიაში რუსეთის გაბატონების საქმეში მორიგი წარმატებით აღინიშნა. თანამედროვეთა დახასიათებით ეს ამპარტავანი და დაუნდობელი გენერალი ფრიად ვერცხლისმოყვარე იყო და მისი მმართველობის პერიოდში მოხელეთა მექრთამეობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ალექსანდრე ტორმასოვმა პოლკოვნიკ **თევდორე სიმონოვიჩთან** ერთად მოტყუებით შეიპყრო სოლომონ II და შემდგომში იმერეთში დაწყებულ აჯანყებას სასტიკად გაუსწორდა. 1810 წელს იმერეთის დამოუკიდებლობის გაუქმებასთან ერთად, ალექსანდრე ტორმასოვის მთავარმართებლობის დროს რუსეთის

ალექსანდრე ტორმასოვი

ქვეშევრდომობაში შევიდა მამია გურიელი და აფხაზეთის მთავარი გიორგი (საფარ-ბეგ) შერვაშიძე. 1811 წელს ალექსანდრე ტორმასოვმა პეტერბურგიდან მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი **ანტონ II** ნიჟნი-ნოვგოროდში გადასახლა და მცხეთის საკათალიკოსო ტახტი გააუქმა. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესი სინოდის დიკასტერიისადმი დაქვემდებარებული ეკლესიის სათავეში **ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი** ჩააყენეს. 1810 ხელს ახალციხეზე განხორციელებული წარუმატებელი იერიშის და შავი ჭირის გამო ქვეყანაში მდგომარეობა დაიძაბა. ასეთ ვითარებაში მთავარმართებელმა გადადგომა ამჯობინა, მთავარმართებლად მისი მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი, მარკიზი **ფილიპ პაულუჩი** (1811-1812) დაინიშნა.

ფილიპ პაულუჩი წარმოშობით იტალიელი იყო, იგი სამშობლოდან ნაპოლეონის მმართველობას გამოექცა და რუსეთს შეაფარა თავი. წარმატებულმა სამხედრო კარიერამ განაპირობა მისი კავკასიაში გამოგზავნა. ფილიპ პაულუჩი, დისციპლინის მოყვარული პიროვნება, ძნელად ეგუებოდა რუსულ ბიუროკრატიულ სისტემას. მთავარმართებლად დანიშვნისთანავე ბრძოლა გამოუცხადა მექრთამეობას და ჯარში ფეხმოკიდებულ ლოთობას. იგი სასამართლო საქმეების ოპერატიულად გადაწყვეტილების მომხრე იყო. ამის მიუხედავად, ფილიპ პაულუჩი ადგილობრივი პირობების აბსოლუტურად არმცოდნე, რომელსაც არათუ ადგილობრივ მოსახლეობასთან ხშირად საკუთარ რუს მოხელეებთანაც თარჯიმნის დახმარებით უნევდა ურთიერთობა, შეცდომებსაც ხშირად უშვებდა. მან 30.000-იანი რუსული არმიის შენახვა და გამოკვება მთლიანად ადგილობრივ მოსახლეობას დააკისრა, რასაც 1812 წელს კახეთის აჯანყება მოჰყვა. სამხედრო წარუმატებლობის შემდგომ ფილიპ პაულუჩიმ აჯანყებულებთან მოლაპარაკება ამჯობინა. დაპირდა მათ ამნისტიას, რეფორმების გატარებას. ეს დაპირებანი მთავარმართებლის მხრიდან უფლებამოსილების გადაჭარბებად მიიჩნიეს და პეტერბურგმა იგი უკან გაიწვია. აღსანიშნავია, რომ კახეთის თავადაზნაურობამ იმპერატორს მისი დატოვებაც კი თხოვა, თუმცა უშედეგოდ.

ფილიპ პაულუჩი

ნიკოლოზ რტიშჩევი

სოლომონ II

1812 წლის აპრილში კავკასიის მთავარმართებლად დაინიშნა კავკასიის და ასტრახანის გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი **ნიკოლოზ რტიშჩევი** (1812-1816), უინიციატივო და უნიათო პიროვნება. მისი მთავარი დამსახურება საიმპერატორო კარის წინაშე კახეთის აჯანყების საბოლოოდ ჩახშობა და სპარსეთთან დადებული გულისტანის ზავი იყო.

ნიკოლოზ რტიშჩევმა ნაწილობრივ განახორციელა ფილიპ პაულუჩის რეფორმების პროექტი, კერძოდ გააუქმა მაზრის კაპიტან-ისპრავნიკის თანამდებობა, მაგრამ მოურავობის აღდგენის ნაცვლად **ზედამხედველის** თანამ-

დებობა შემოილო და ამ თანამდებობაზე სახელმწიფო მოხელედ ქცეული ქართველი თავადები დანიშნა. 1816 წელს ნიკოლოზ რტიშჩევმა თანამდებობიდან გადადგომა ითხოვა. ეს თხოვნა სიამოვნებით იქნა მიღებული. საიმპერატორო კარს შექმნილ ვითარებაში „ციციანოვის სტილის" მთავარმართებელი სჭირდებოდა, რათა სახანოების შემოერთების პროცესი წარმატებით დაესრულებინა.

1816 წლიდან კავკასიის და ასტრახანის გუბერნატორობასთან ერთად საქართველოს მთავარმართებლის თანამდებობას იღებს **ალექსი ერმოლოვი** (1816-1827). 1812 წლის რუსეთ-საფრანგეთის ომის გმირი, ოცდაცხრამეტი წლის გენერალი რუსეთში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. ალექსი ერმოლოვი მტკიცე ხასიათის და ძალაუფლებისმოყვარე პიროვნება იყო, რუსეთის იმპერიის თავგამოდებული მსახური იმავდროულად აპროტესტებდა რუსულ სახელისუფლებო და სამხედრო წრეებში გაბატონებულ სალდაფონურ დამოკიდებულებას და ფორმალიზმს, რადგან თვლიდა, რომ ამგვარი განწყობა „ხელმწიფისა და რუსეთის კეთილდღეობისთვის ზიანის მომტანი" იყო.

ალექსი ერმოლოვმა უარყო თავის წინამორბედთაგან დამკვიდრებული კავკასიის ადგილობრივ ხელისუფალთა მოქრთამვა-მოსყიდვის მეთოდი და იარაღის ძალით შეუდგა დასახული მიზნის შესრულებას. მან ერთი მეორის მიყოლებით გააუქმა სახანოები და დაიწყო ომი ჩრდილოეთ კავკასიის დასამორჩილებლად. ალექსი ერმოლოვის სისასტიკე თვით მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. მას უბრალოდ არ ესმოდა რატომ უწევდა მოსახლეობა წინააღმდეგობას რუსულ ჩექმასა და ხიშტს. „ეს ხალხი ღირსი არ არის ალექსანდრე I-ის სათნო მმართველობისა, მას რკინის კვერთხი ესაჭიროება, ... უდიდესი გმირობაა საჭირო, ილეწოდე ისეთი ხალხის სასარგებლოდ, რომლის დამახასიათებელი თვისებაა უმადურობა, და რომელსაც რუსეთისადმი მიკუთვნება ბედნიერებად არ ეჩვენება, რომელსაც მრავალჯერ ულალატია მისთვის და კიდევ მზად არის ულალატოს" – წერდა იგი მიხეილ ვორონცოვს.

ალექსი ერმოლოვმა სისხლში ჩაახშო იმერეთის და გურიის 1819-1820 წლების აჯანყება. მისი თერთმეტწლიანი მოღვაწეობა კავკასიაში

ალექსი ერმოლოვი

სამხედრო კამპანიის წარმოებით შემოიფარგლებოდა. ტფილისშიც კი მისი საცხოვრებელი სახლი სამხედრო ყაზარმას ჰგავდა, სადაც დროს კარტის და ბილიარდის თამაშით კლავდნენ.

სამოქალაქო მმართველობის სფეროში ალექსი ერმოლოვის მთავარ საზრუნავს მეტნაკლებად მცოდნე და პატიოსანი მოხელეების შერჩევა წარმოადგენდა. თვითონ იგი ნაკლებად ერეოდა სამოქალაქო მოხელეთა საქმიანობაში, ამიტომაც მოხელეთა ბოროტმოქმედებას და თაღლითობას ფართო გასაქანი მიეცა. რეფორმების მრავალრიცხოვანი პროექტები ალექსი ერმოლოვის მმართველობის პერიოდში დაივიწყებას მიეცა. თუმცა იმ მოხელეებს, რომელთაც იგი ენდობოდა (მაგალითად, საქართველოს პროკურორ იაგორ ჭილაშვილს), ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლოთ. ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება, რაც ალექსი ერმოლოვის უშუალო შუამდგომლობითა და მცდელობით განხორციელდა, იყო 1821 წელს დაწესებული შელავათიანი ტარიფი ევროპიდან ამიერკავკასიაში შემოტანილ საქონელზე (სატრანზიტო გზა: ოდესა-ყულევი-ტფილისი-სპარსეთი).

1826 წელს სპარსეთმა ომი დაიწყო რუსეთის წინააღმდეგ. ალექსი ერმოლოვი ამ მოულოდნელ კამპანიას მოუმზადებელი შეხვდა. ახალმა იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა, რომელიც კავკასიის მთავარმართებელს არ ენდობოდა, შექმნილი ვითარება საბაბად გამოიყენა და ალექსი ერმოლოვს მოადგილედ თავისი უახლოესი მეგობარი ივანე პასკევიჩი გამოუგზავნა. ორმოცდახუთი წლის გენერალი **ივანე პასკევიჩი**, ალექსი ერმოლოვის სრული ანტიპოდი, იმპერატორის მფარველობით სარგებლობდა. მან შეძლო ალექსი ერმოლოვის დისკრედიტირება და 1827 წელს თავად დაი-

ნიშნა საქართველოს მთავარმართებლად და კავკასიის ჯარების სარდლად. ეჭვიანი და პატივმოყვარე ივანე პასკევიჩი იოლად მოექცა მლიქვნელი მედროვეების გავლენის ქვეშ. სპარსეთთან და ოსმალეთთან ომებში გამარჯვებამ იგი დაუჯერა საკუთარ უძლეველობაში და გადაწყვიტა ერთბაშად მოეგვარებინა კავკასიის მთიელთა პრობლემა. პასკევიჩის, რომელმაც დიდი საომარი წარმატებების გამო უმაღლესი სამხედრო ჩინი – ფელდმარშლობა მიიღო, მოქმედებამ ჩრდილოეთ კავკასიაში კიდევ უფრო გაამწვავა ანტირუსული განწყობილება და ფართოდ გაავრცელა **მიურიდიზმის** მოძრაობა.

ივანე პასკევიჩი

ივანე პასკევიჩმა (1827-1831) იმპერიას დაუმორჩილა სამხრეთ-დასავლეთ ქართული ტერიტორიები. 1829 წელს, **სოფიო გურიელის** გაძევების შემდგომ, გურიის სამთავრო გადაეცა გურული თავადებისგან შემდგარ **დროებით საბჭოს**. იმავე წელს ადრიანოპოლის ზავით ოსმალეთისაგან გადმოცემულ სამცხე-ჯავახეთში **(ახალციხის ოლქში)** ივანე პასკევიჩმა 30 000 სომეხი გადმოასახლა არზრუმიდან და ეს მხარე რუსული კოლონიზატორული პოლიტიკის ნიმუშად აქცია.

ივანე პასკევიჩი უკმაყოფილო იყო ამიერკავკასიაში ადგილობრივი ხელისუფლების სიჭრელით. მან იმპერატორს სთხოვა რეფორმების დაჩქარება და მთელ ამიერკავკასიაში ერთიანი რუსული კანონმდებლობის შემოღება, ერთიანი ადმინისტრაციის შექმნა რუსეთის საგუბერნიო-სამაზრო დაწესებულებათა მიხედვით. მანვე მოითხოვა მთავარმართებლისთვის **მეფისნაცვლის** უფლებების მინიჭება. ივანე პასკევიჩმა რეფორმების პროექტი ნიკოლოზ I-ს წარუდგინა 1831 წლის აპრილში. იმპერატორმა პროექტი მოიწონა და სენატს გადასცა დასამუშავებლად. 1831 წლის სექტემბერში პასკევიჩი პოლონეთის აჯანყების ჩასახშობად გაიწვიეს და მის ნაცვლად კავკასიის მთავარმართებლად ინფანტერიის გენერალი **ბარონი გრიგოლ როზენი** (1831-1837) გამოიგზავნა.

ევროპული მმართველობის სტილის მომხრე მთავარმართებელმა მალე აუღო ალღო მხარეში შექმნილ ვითარებას და შეწინააღმდეგა სენატორების **კუტაისოვისა** და **მეჩნიკოვის** პროექტს – საქართველოში სათემო მმართველობის შემოღებას. **გრიგოლ როზენი** საერთოდ ნაჩქარევი გარდაქმნების წინააღმდეგი იყო, რადგან მიიჩნევდა, რომ ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლობა მოსახლეობის და ხელისუფლების დაპირისპირებას გამოიწვევდა.

კავკასიაში რეფორმების გასატარებლად 1833 წელს პეტერბურგში დაარსდა **„განსაკუთრებული კომიტეტი"** (სამხედრო, ფინანსთა, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრების მონაწილეობით), რომელსაც სამხედრო მინისტრი ჩერნიშევი თავმჯდომარეობდა. თავდაპირველად გადაწყდა კავკასიის მმართველობას სათავეში ჩადგომოდა **მეფისნაცვალი უზენაესი სასამართლოთი** და **მეფისნაცვლის საბჭოთი**. მხარე სამ ნაწილად: **შავიზღვისპირეთის გუბერნია** (ქრისტიანული მოსახლეობით დასახლებული ტერიტორია), **კასპიის** ოლქი (მაჰმადიანური ტერიტორია), კავკასიის ოლქი (ჩრდ. კავკასია) დაიყოფოდა და მოხდებოდა კანონმდებლობის სრული რუსიფიკაცია.

ბარონ გრიგოლ როზენის აზრით რუსული მმართველობის და კანონმდებლობის გავრცელება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ხუთ

გრიგოლ როზენი

მაზრაში იყო შესაძლებელი. **იმერეთი, გურია** და **ახალციხის** ოლქი კი გარდამავალი პერიოდის სამხედრო-სამოქალაქო ადმინისტრაციის ხელში უნდა დარჩენილიყო.

ამ ორი განსხვავებული შეხედულების შესაჯერებლად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად 1837 წელს კავკასიაში გამოიგზავნა ახალი კომისია სენატორ **პავლე განის** მეთაურობით. იმავე წელს, ნიკოლოზ I-ის კავკასიაში ვიზიტისას, სენატორმა პავლე განმა მხარის მმართველობის მდგომარეობა ძლიერ მუქ ფერებში დაუხატა იმპერატორს. ბარონი გრიგოლ როზენი დაუყოვნებლივ გაიწვიეს და მთავარმართებლად გენერალ-ადიუტანტი **ევგენი გოლოვინი** (1837-1842) დანიშნეს.

სრულიად უინიციატივო, ფორმალობის მოყვარული და იმპერატორის ბრმად მორჩილი ევგენი გოლოვინი მისაღები ფიგურა იყო რეფორმის დაუყოვნებლივ განხორციელების პირობებში. ევგენი გოლოვინმა და პავლე განმა სახელმწიფო საბჭოს დაამტკიცებინეს პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა კავკასიის მმართველობაში ეროვნული ნიშნის საბოლოოდ მოსპობას და იმპერიის სტრუქტურებთან ასიმილაციას.

ბ) **მმართველობის მეორე პერიოდი.** 1840 წლის 10 აპრილს უმაღლესი განკარგულებით დამტკიცდა სამი პროექტი: 1) „ამიერკავკასიის მმართველობის დანესებულებანი (ბარონ პავლე განის პროექტი); 2) „საქალაქო საზოგადოებათა მმართველობის დებულება"; 3) ამიერკავკასიის საერობო კომიტეტების დებულება". (მეჩნიკოვ-კუტაისოვ-განის პროექტი).

პირველი დოკუმენტის თანახმად ამიერკავკასია იყოფოდა ორ ადმინისტრაციულ ერთეულად: **საქართველო-იმერეთის გუბერნია** (ტფილისის, გორის, თელავის, ბელაქნის, ქუთაისის, ელიზავეტოპოლის, ალექსანდროპოლის, ერევნის, ნახიჩევანის, ახალციხის, გურიის მაზრები) და **კასპიის ოლქი** (შირვანის, ყარაბაღის, შუშის, თალიშის, ბაქოს, დერბენდის და ყუბის მაზრები). შესაბამისად მმართველობა იყო სამსაფეხურიანი: **სამხარეო, საგუბერნიო** და **სამაზრო.**

ამიერკავკასიის მმართველობის სათავეში იდგა **მთავარმართებელი** (უფლებამოსილების მასშტაბით შეეფარდებოდა რუსეთის ცენტრალური რაიონების გენერალ-გუბერნატორს). მთავარმართებლის თანაშემწე და მისი

ნიკოლოზ I

არყოფნის შემთხვევაში შემცვლელი იყო **ტფილისის სამხედრო გუბერნატორი.** მხარეში ადმინისტრაციის ყოველდღიურ საქმიანობას კურირებდა, საკანონმდებლო წინაღმდეგობებს ანესრიგებდა **მთავარმართებლის საბჭო,** რომლის წევრებს მთავარმართებლის წარდგინებით ნიშნავდა იმპერატორი.

გუბერნიის მმართველობას ხელმძღვანელობდა **სამოქალაქო გუბერნატორი.** გუბერნიის მმართველობაში შედიოდა: **სახაზინო პალატა, სახელმწიფო ქონების პალატა, სისხლის და სამოქალაქო სამართლის პალატა, საპროკურორო ნაწილი, თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულო, მშენებლობის კომისია, სტატისტიკის, საერობო** და **ეპიდემიოლოგიური კომიტეტები.**

ქვედა ადმინისტრაციულ ინსტანციას წარმოადგენდა სამაზრო მმართველობა, რომელშიც შედიოდნენ: **მაზრის უფროსი,** მისი თანაშემწეები, **უბნის მსაჯულები, ქალაქის პოლიცია, მაზრის ხაზინადარი, მაზრის სასამართლო** და **მაზრის პროკურორი.** მაზრის უფროსს ექვემდებარებოდა მაზრის ყველა ჩინოვნიკი. მას ევალებოდა სახაზინო საკუთრების მდგომარეობის შესახებ ყოველთვიური

ევგენი გოლოვინი

ანგარიშის წარდგენა, მეთვალყურეობა გადასახადების აკრეფაზე, დამნაშავეთა შეპყრობა და სასამართლოსთვის გადაცემა და სხვა.

მეორე დოკუმენტი ანესრიგებდა საქალაქო მმართველობას ქალაქ ტფილისში. მმართველობა შედგებოდა **ქალაქისთავისა** და **ექვსი ხმოსნისგან**. ქალაქისთავს საარჩევნო ცენზის მქონე მოსახლეობა ირჩევდა, **ხმოსნებს** კი ცალ-ცალკე ქალაქის მოსახლეობის ფენები: ა) უძრავი ქონების მფლობელები; ბ) ვაჭრები; გ) ხელოსნები (თითოეული ფენა ორ ხმოსანს ირჩევდა). ამომრჩევლები ირჩევდნენ აგრეთვე სახელმწიფო გადასახადების გამანაწილებელ ოცდაათ კაცს და ექვს გადასახადების ამკრეფს.

ქალაქის მმართველობას ეკალებოდა: ა) ქალაქის კეთილმოწყობა და შემოსავალ-გასავლის კონტროლი; ბ) სამრენველო და საყოფაცხოვრებო საქონლით და სურსათით მოსახლეობის მომარაგება; გ) დოკუმენტების გაცემა; დ) მოქალაქეთა და ხაზინის საკუთრების დაცვა; ე) სახელმწიფო შემოსავლების დროულად და სრულად შემოტანა ვ) სახაზინო თანხების ხარჯვაზე კონტროლი.

მესამე დოკუმენტი ითვალისწინებდა საგუბერნიო და სამაზრო საერობო **საბეგრო კომიტეტების** შექმნას. მასში მონაწილეობდნენ: **სამოქალაქო გუბერნატორი, გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი** და **სახაზინო ქონების პალატის თავმჯდომარე**. შესაბამისად სამაზრო კომიტეტში შედიოდნენ: მაზრის უფროსი, მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი და სამაზრო სასამართლოს მოსამართლე. ამ კომიტეტების ფუნქციას წარმოადგენდა საერობო, სამხედრო და სამოქალაქო ბეგარის ბიუჯეტის დადგენა და განაწილება მოსახლეობაზე, შემდეგ კი შემოსავლების აღრიცხვა. უშუალოდ გადასახადების აკრეფას **სახაზინო ქონების პალატა** ანარმოებდა. იგივე უზრუნველყოფდა რუს კოლონისტებს მიწებით, აკონტროლებდა მაზრის ხაზინადართა საქმიანობას.

1840 წლის ადმინისტრაციულ-საფინანსო რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო გადასახადების ამოლების მონესრიგება. ამისთვის უზომოდ გაიზარდა მანამდეც არანაკლებ გაბერილი ბიუროკრატიული აპარატი. მძიმე ვითარება შეიქმნა სასამართლოებში, სადაც წვრილმანი საქმეებიც კი უსასრულოდ ჭიანურდებოდა ფორმალური მიწერ-მოწერის და

ალექსანდრე ნეიდგარდტი

ინსტანციებს შორის სარჩელის მონაცვლეობის გამო. ხალხის უკმაყოფილება იმდენად დიდი იყო, რომ ხელისუფლება მცირე დათმობაზე ნავიდა: მაზრის სასამართლოებს მისცეს 200 მანეთის ფარგლებში სამოქალაქო საქმეზე განაჩენის გამოტანის უფლება. შეზღუდული სახით სამართალწარმოებაში კვლავ დაუშვეს ვახტანგ VI-ის კანონმდებლობა.

1841-1842 წლებში კავკასიაში მდგომარეობა გართულდა. გურიის აჯანყებას მოჰყვა **შამილის** ბრწყინვალე გამარჯვებები რუსეთის არმიაზე, რომელმაც მთელი მსოფლიო აალაპარაკა. იმპერატორმა ევგენი გოლოვინი დაუყოვნებლივ უკან გაიწვია და მის ნაცვლად 1842 წელს ახალი მთავარმართებელი **ალექსანდრე ნეიდგარდტი** (1842-1844) გამოგზავნა. ამ უკანასკნელის ორწლიანი მოღვაწეობა კიდევ უფრო სამარცხვინო შედეგით დასრულდა. შამილის დიდება ზენიტს აღწევდა და ნეიდგარდტმაც გადადგომა ითხოვა.

იმპერატორის წინაშე 1844 წლისთვის ურთულესი დილემა იდგა. კავკასიის მხარე განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა. აქ ძველებურად შემთხვევითი პიროვნების ან კარგი სამხედრო მონაცემების მქონე გენერლის დანიშვნა მთავარმართებლად შედეგს ვერ მოიტანდა. მითუმეტეს იმ დროს, როდესაც მარკიზ დე კიუსტინმა მთელი ევროპის წინაშე

შამილი

ფარდა ახადა რუსულ ბიუროკრატიას, ხოლო იმამმა შამილმა რუსული არმიის ძლევამოსილების მითი გააქარწყლა და სირცხვილი აჭამა რუსეთის გენერალიტეტს. ნიკოლოზ I-ს ჭირდებოდა ისეთი კაცი, რომელიც სამხედრო საქმის ცოდნასთან ერთად განათლებული და სახელმწიფო საქმეებში ჩახედული იქნებოდა, მოქნილი პოლიტიკით შეძლებდა ქართველი თავადაზნაურობის მომადლიერებას და მათზე დაყრდნობით მოახერხებდა იმპერიაში კავკასიის უმტკივნეულოდ ასიმილაციას, ადგილობრივი მოსახლეობის გარუსებას. იმპერატორმა არჩევანი მიხეილ ვორონცოვზე შეაჩერა.

მიხეილ ვორონცოვი

მიხეილ ვორონცოვი (1844-1854) იყო უაღრესად ჭკვიანი, განწონასწორებული, ხელქვეითებისადმი მომთხოვნი, ადამიანებთან ურთიერთობაში დახვეწილი პიროვნება. რუსეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი და სახელმოხვეჭილი მხედართმთავარი, რომლის სამხედრო კარიერაც პავლე ციციანოვთან კავკასიაში დაიწყო, სახელმწიფო სამსახურის ბოლო წლებს ითვლიდა, როდესაც პირადად იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა თხოვა კავკასიის საქმეთა მოგვარება და აბსოლუტური ძალაუფლების მინიჭებასაც დაჰპირდა.

1844 წლის დეკემბერში **კავკასიის მეფისნაცვლად** დანიშნული მიხეილ ვორონცოვი ყულევის ნავსადგურით საქართველოში 1845 წლის მარტში ჩამოვიდა. მიხეილ ვორონცოვის ხელში მოექცა სრული ძალაუფლება კავკასიაში. მას მიენიჭა მინისტრის რანგი, რის შედეგადაც ყველა დანარჩენი მინისტრის უფლებამოსილება კავკასიაზე გაუქმდა. მიხეილ ვორონცოვი პეტერბურგში კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარის მეშვეობით აცნობდა იმპერატორს კავკასიაში საქმეთა მიმდინარეობას, ხშირად კი უშუალოდ უკავშირდებოდა ნიკოლოზ I-ს და მისგან ითხოვდა ნებართვას უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

მიხეილ ვორონცოვმა ქართველ თავადაზნაურობასა და მაჰმადიანთა ზედაფენას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, გახადა ისინი თავისი პოლიტიკის დასაყრდენად. „მათრახის“ პოლიტიკა „თაფლაკვერის“ პოლიტიკით შეიცვალა. მიხეილ ვორონცოვის ბრძანებით სამ წელიწადში შედგა ქართველი თავადაზნაურობის სიები, რომელთაც 1850 წელს იმპერატორმა დაუმტკიცა წოდებები. წოდების გარეშე დარჩენილ პირებს მიეცათ უფლება თავადაზნაურთა საკრებულოს მეშვეობით განეგრძოთ აზნაურის წოდების ძიება. 1849 წლის კანონით მიხეილ ვორონცოვმა გლეხებს წინაპრის თავისუფლების დამადასტურებელი საბუთის გარეშე სასამართლოში ყმობიდან განთავისუფლებაზე სარჩელის შეტანა აუკრძალა. ამ გადაწყვეტილებით მეფისნაცვალმა ძლიერ ასიამოვნა ქართველ თავადაზნაურობას.

წინამორბედთაგან განსხვავებით ვორონცოვმა ქართველი თავადაზნაურობა აქტიურად ჩააბა სახელმწიფო სამსახურში. ამ მიზნით იგი ყოველწლიურად სულ უფრო მეტ წარჩინებულ ქართველ ახალგაზრდას აგზავნიდა რუსეთის ქალაქებში სახელმწიფოს ხარჯზე უმაღლესი განათლების მისაღებად. მიხეილ ვორონცოვმა სათავე დაუდო ადგილობრივი წარმოშობის მოხელეთა ნახალისება-წარჩინების პოლიტიკას, რაც რუსეთის ხელისუფლებას სასურველს ხდიდა კავკასიის მოსახლეობის ზედა ფენებისთვის.

მიხეილ ვორონცოვის პოლიტიკის დადგირგვინება იყო ევროპული წეს-ჩვეულებებისა და განათლების შემოტანა, რის გამოხატულებაც იყო ქართული თეატრის, საჯარო ბიბლიოთეკის, პირველი ქართული ჟურნალის „ცისკარის“ დაარსება, მეცნიერებისთვის ხელშეწყობა, სალონური და ფუფუნებით ცხოვრების სტილის დანერგვა. ობიექტურად, მიხეილ ვორონცოვის მოღვაწეობამ ზოგადად საზოგადოების პროგ-

ნიკოლოზ მურავიოვი

ალექსანდრე II

რესი განაპირობა და XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმებისთვის მზადყოფნის ატმოსფერო შექმნა.

1854 წელს მძიმედ დაავადებული მიხეილ ვორონცოვი გადადგა. მეფისნაცვლად დანიშნა **ნიკოლოზ მურავიოვი** (1854-1856). პედანტი, ასკეტური ცხოვრების მიმდევარი და პრინციპული ნიკოლოზ მურავიოვი იმავდროულად პატივმოყვარე, ძუნწი და ეჭვიანი იყო, რაც მის მმართველობაშიც აისახა. მრავალი კარგი წამონყება ფინანსების არქონის მომიზეზებით ახალმა მეფისნაცვალმა ან შეაჩერა ან სრულებით გააუქმა. მან ყოველივე საომარი პირობების მოთხოვნებს დაუმორჩილა. ნიკოლოზ მურავიოვის პოლიტიკამ დიდი უკმაყოფილება წარმოშვა ხელქვეითებში, რითაც კარგად ისარგებლა მისმა უშუალო კონკურენტმა, იმპერატორ ალექსანდრე II-ის უახლოესმა მეგობარმა ალექსანდრე ბარიატინსკიმ და მეფისნაცვლის გადაყენებას მიაღწია.

ალექსანდრე ბარიატინსკი (1856-1862) იყო კავკასიის ომების აქტიური მონაწილე, მან სამხედრო კარიერის ყველა საფეხური კავკასიაში გაიარა. ვორონცოვის საქმის გამგრძელებლად ითვლებოდა და მეფისნაცვლად მის დანიშნას დიდი სიხარულით შეხვდნენ. ალექსანდრე ბარიატინსკიმ მეფისნაცვლის უფლებების კიდევ უფრო გაფართოებას მიაღწია, მიიღო ფინანსების განკარგვის უფლებაც. 1858 წლის რეფორმით დააარსა **მეფისნაცვლის საბჭო** და **მთავარმმართველობა**. მთავარმმართველობა შედგებოდა ოთხი დეპარტამენტისა (საერთო საქმეთა, სასამართლო, ფინანსების, სახელმწიფო ქონების) და ორი სამმართველოსგან (სოფლის მეურნეობის და კოლონისტთა საქმეების).



ალექსანდრე ბარიატინსკი

მეფისნაცვლის საბჭო მხოლოდ სათათბირო ორგანოს წარმოადგენდა ძლიერ შეზღუდული უფლებებით. საბჭოზე დასაყენებელ საკითხს წინასწარ განიხილავდა შესაბამისი დეპარტამენტი. შემდეგ მთავარმმართველობის უფროსი (ე. ი. ფაქტიურად აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური) მას მეფისნაცვალს წარუდგენდა. თუკი მეფისნაცვალი საჭიროდ ჩათვლიდა, საკითხს განიხილავდნენ საბჭოზე. თუმცა პრაქტიკული გადაწყვეტილების მილებას და კანონად ქცევას კვლავ მეფისნაცვლის თანხმობა სჭირდებოდა.

დეპარტამენტებს (თავისებურ ადგილობრივ სამინისტროებს) შორის უმნიშვნელოვანესი იყო საერთო საქმეთა დეპარტამენტი, სადაც შედიოდა: სასწავლო, საფოსტო, სამედიცინო და სამშენებლო ნაწილები, არქივი, სტამბა,

მიხეილ რომანოვი

საჯარო ბიბლიოთეკა და გაზეთების რედაქციები. სასამართლო დეპარტამენტში განიხილებოდა კავკასიის მხარის ყველა სახის სასამართლო საქმე, განიხილავდნენ აპელაციებს ადგილობრივი სასამართლოებიდან და ხშირ შემთხვევაში საბოლოო განაჩენიც გამოჰქონდათ.

1859 წელს ალექსანდრე ბარიატინსკიმ შექმნა კიდევ ერთი – **კონტროლის დეპარტამენტი**. ამ დეპარტამენტს უნდა შეემოწმებინა ყველა დაწესებულების ხარჯთაღრიცხვა. იმ მრავალრიცხოვან კანონპროექტებს, რომელიც ალექსანდრე ბარიატინსკის მეფისნაცვლობის დროს იქმნებოდა, წინასწარი აპრობაცია **სამოქალაქო მონყობის განყოფილებაში** უნდა გაევლო. რეორგანიზაციის შემდგომ ძლიერ დაკნინდა მეფისნაცვლის საბჭოს მნიშვნელობა.

ალექსანდრე III

აღსანიშნავია, რომ საბჭოს რეა წევრიდან სამი ქართველი იყო. საბჭოს თავმჯდომარეობდა გრიგოლ ორბელიანი. 1857 წლიდან **გრიგოლ ორბელიანი** ტფილისის გენერალ-გუბერნატორი და მეფისნაცვლის მოადგილე ხდება.

ალექსანდრე ბარიატინსკიმ ფაქტიურად შეასრულა მის წინაშე დასახული ყველა ამოცანა: დაატყვევა შამილი და დასასრულამდე მიიყვანა ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან ომი, გაუქმა დასავლეთ საქართველოს უკანასკნელი ავტონომიური სამთავროები: სამეგრელო და სვანეთი, მოამზადა აფხაზეთის სამთავროს გაუქმება. ბარიატინსკიმ წამოიწყო ამიერკავკასიაში რკინიგზის მშენებლობის და გლეხთა განთავისუფლების პროექტების შედგენა. მისი ინიციატივით ქალაქებში ვაჭრობა-ხელოსნობის თავისუფალ განვითარებას ფართო ასპარეზი მიეცა. ტფილისის 80 ოჯახმა მიიღო საპატიო მოქალაქის წოდება.

გრიგოლ ორბელიანი

1862 წლის დეკემბერში ალექსანდრე ბარიატინსკი ავადმყოფობის გამო გაათავისუფლეს მეფისნაცვლობიდან. მისი ადგილი დაიკავა იმპერატორის ძმამ **მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვმა** (1862-1882). ალექსანდრე ბარიატინსკის წარმატებული საქმიანობის მიუხედავად, მისი რეფორმების ნაწილი საიმპერატორო კარის გაღიზიანებას იწვევდა, რადგან მეფისნაცვლის ხელში ზედმეტმა ძალაუფლებამ მოიყარა თავი. ახალმა მეფისნაცვალმა გააუქმა მთავარმმართველობა, აღადგინა **მეფისნაცვლის კანცელარია** და **საბჭო** ფართო უფლებებით.

გ) მმართველობის III პერიოდი. თითქმის ოცი წელი განაგებდა კავკასიას დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი. მისი მეფისნაცვლობა დაემთხვა რუსეთში განხორციელებული დიდი რეფორმების ეპოქას. დიდი მთავარი თავისი ძმის მსგავსად ლიბერალური შეხედულებებით გამოირჩეოდა და ცდილობდა თავის დაქვემდებარებაში მყოფი მხარე ეკონომიკური განვითარების მხრივ რუსეთის წამყვანი გუბერნიებისთვის გაეთანაბრებინა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის ადმინისტრაციული რეფორმები, რაც 1868-1874 წლებში გატარდა კავკასიაში. მათ შორის ყველაზე სრულყოფილი იყო საქალაქო რეფორმა.

მიხეილ რომანოვის მეფისნაცვლობის პერიოდში იწყება ფირმა **„სიმენსის"** მოღვაწეობა კავკასიაში. ამ ფირმის საქმიანობამ დიდი წვლილი შეიტანა მხარის კომუნიკაციების განვითარებაში. ათიოდე წლინადში **ტელეგრაფის** ქსელით დაიფარა საქართველოს მაგისტრალები. ჯერ კიდევ ალექსანდრე ბარიატინსკის ინიციატივით დაწყებული **რკინიგზის** მშენებლობის პროექტი განახლდა. რკინიგზის პირველი ხაზი: ტფილისი-ფოთი 1872 წელს ამოქმედდა, 1883 წელს დასრულდა ბაქო-ბათუმის ხაზის მშენებლობა.

1881 წლის 1 მარტს პეტერბურგში იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობით დასრულდა დემოკრატიული რეფორმების ხანა რუსეთის იმპერიაში, მათ შორის კავკასიაშიც. ამ ფაქტმა განსაკუთრებული ზიანი სწორედ საქართველოს მიაყენა. გაუქმდა ადმინისტრაციული ავტონომიის ფორმალური გამოხატულება – **მეფისნაცვლის** ინსტიტუტი. მეფის-

ალექსანდრე
დონდუკოვ-კორსაკოვი

ნიკოლოზ I

გრაფი შერემეტიევი

ნაცვლობის გაუქმებას შედეგად მოყვა პეტერბურგისადმი დაქვემდებარებული ბიუროკრატიული საოლქო აპარატის ჩამოყალიბება, რომელიც განსაკუთრებული პროიმპერიული და ანტიქართული პოლიტიკის გატარებით გამოირჩეოდა.

იმპერატორმა ალექსანდრე III-მ 1882 წელს კავკასიიდან გაიწვია დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი – ლიბერალი მოღვაწე, რომელმაც თავისი ხანგრძლივი მმართველობის პერიოდში გარკვეული პატივისცემა მოიპოვა საზოგადოებაში. მთავარმართებლად დაინიშნა **ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი** (1882-1890) – კავალერიის გენერალი, შამილთან და ოსმალეთთან ომების მონაწილე, იმპერიის ერთგული მსახური და პეტერბურგიდან მომდინარე განკარგულებების უტყვი შემსრულებელი.

1883 წელს მიიღეს კავკასიის მმართველობის ახალი დებულება. მთავარმართებელი დაექვემდებარა იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრს და მას მხოლოდ ადმინისტრაციულ-პოლიციური საქმეების შესრულება დაეკისრა. საფინანსო, საგზაო და განათლების უწყებები იმპერიის შესაბამის სამინისტროებს გადაეცათ. მთავარმართებელს იმავდროულად **კავკასიის ჯარების მთავარსარდლობაც** უბოძეს და მხარეში გასამხედროებული მდგომარეობა შექმნეს. სახელმწიფო სამსახურში ქართველებს ნაკლებად ილებდნენ და უპირატესობას რუსეთიდან ჩამოსულ, მხარის არმცოდნე მოხელეებს ანიჭებდნენ. აღდგა ორმოცი წლის წინ არსებული ადმინისტრაციული რეჟიმი.

ქართული საზოგადოება ძლიერ უკმაყოფილოდ შეხვდა ცვლილებებს. ყოველ წვრილმანზე პეტერბურგის ნებართვის მიღება, რაც ბიუროკრატიულ ბარიერებს ქმნიდა, ასევე მოსახლეობის კეთილსაიმედოობაზე გაძლიერებული ადმინისტრაციული კონტროლი აუტანელ ატმოსფეროს ქმნიდა. ამას დაერთო XIX საუკუნეში ბოლო ადმინისტრაციული რეფორმა – 1886 წელს ამიერკავკასიის მაზრები დაიყო **საპოლიციო უბნებად** (საბოქაულოებად). ბოქაულებად შემთხვევითი ადამიანები ინიშნებოდნენ მცირე ხელფასით, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა ბიუროკრატიულ მარწუხებს მოსახლეობისთვის. ბოქაულის ხელში თავი მოიყარა სრულმა ძალაუფლებამ: სამხედრო-პოლიციურ-სასამართლო უფლებამოსილებამ, რამაც განსაკუთრებით დააზარალა სასოფლო თვითმმართველობები.

1890 წლიდან კავკასიის მთავარმართებელი **გრაფი შერემეტიევი** (1890-1896), რომელიც აგრძელებდა წინამორბედის პოლიტიკას. მართალია 1892 წლის ახალი საქალაქო დებულებით საქართველოს კიდევ ხუთმა ქალაქმა (თელავი, სიღნაღი, ახალქალაქი, სოხუმი, ოზურგეთი) მიიღო თვითმმართველობა, მაგრამ უკვე ძლიერ შეზღუდულ პირობებში. **ხმოსნების** ნაცვლად ირჩევდნენ – **რწმუნებულებს**, **ქალაქის თავის** ნაცვლად – **მამასახლისს**, რომლებიც ზემდგომი ადმინისტრაციის წინაშე იყვნენ პასუხისმგებელნი. ქალაქებში მაღალმა საარჩევნო ცენზმა გამოიწვია თვითმმართველობებში მსხვილი ფინანსისტების გაბატონება, რომლებიც ადმინისტრაციასთან გარიგებით ზღუდავდნენ მოსახლეობის დაბალ ფენებს.

გიორგი გოლიცინი

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში განსაკუთრებით გაძლიერდა შეტევა ქართულ ეროვნულ დანესებულებებზე, პერიოდულ გამოცემებზე. ანტიქართული ტენდენცია პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი იმპერატორ ნიკოლოზ II-ის რჩეული მთავარმართებლის **გიორგი გოლიცინის** (1896-1904) მმართველობის პერიოდში.

§ 3. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში

XIX საუკუნეში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის, ბინადრობის და საქმიანობის შესახებ პირდაპირი ცნობები საკმაოდ მწირია. მოსახლეობის სრულყოფილი აღწერა რუსეთის იმპერიაში პირველად მხოლოდ 1897 წელს ჩატარდა. მანამდე კავკასიაში ტარდებოდა კამერალური აღწერები (1805, 1817, 1832, 1843, 1850, 1864 და 1873 წლებში), კეთდებოდა სტატისტიკური შეფასებები, დგებოდა საოჯახო სიები (1886 წლის).

1800 წელს გიორგი XII-ის მიერ ჩატარებული აღწერა, აგრეთვე „მორიგე ჯარის" შესადგენად ერეკლე II-ის მიერ წარმოებული კომლობრივი აღწერები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობაზე. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შეფასება პირველად მთავარმართებელმა **ალექსანდრე ტორმასოვმა** მოახდინა.

ქართლ-კახეთის მოსახლეობა 1801 წლისთვის დაახლოებით 320 ათასი უნდა ყოფილიყო. **იმერეთის სამეფოში** 160 ათასი კაცი ცხოვრობდა, **ოდიშის (სამეგრელოს)** სამთავროში – 100 ათასი, **გურიის სამთავროში** – 30 ათასი, აფხაზეთში – 80 ათასი, სვანეთში – 10 ათასი. ახალციხის საფაშოს ქართული სანჯაყების მოსახლეობა არ უნდა ყოფილიყო 100 ათასზე ნაკლები. ამდენად მთლიანად ქართული მიწებზე მოსახლეობის ოდენობა XIX საუკუნის დასაწყისისთვის დაახლოებით **800 ათასი** იქნებოდა.

მოსახლეობის სიმჭიდროვე უფრო მაღალი იყო დასავლეთ საქართველოში (13 კაცი 1 კვადრატულ კილომეტრზე), ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში (9 კაცი 1 კვადრატულ კილომეტრზე). ერთადერთი დიდი ქალაქი ამ დროს იყო **ტფილისი** (15 000 მოსახლით), ყველა დანარჩენ ქალაქში ერთად ცხოვრობდა 5-6 ათასი კაცი.



ტფილისი

ეროვნული შემადგენლობის მიხედვით XIX საუკუნის დასაწყისისთვის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას **ქართველები** შადგენდნენ (80%). დაახლოებით თანაბარი რაოდენობით იყვნენ ნარმოდგენილნი: **სომეხი, აფხაზი, თათარი, ოსი** ეროვნების მოსახლეობა (4-6%), ყველაზე მცირე რაოდენობით კი **ებრაელები** და **ბერძნები**.

ნოდებრივი თვალსაზრისით განსხვავებული ვითარება იყო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში. მოსახლეობის პრივილეგირებული ზედაფენა (თავადები, აზნაურები, სამღვდელოება) მოსახლეობის საერთო რაოდენობის გაცილებით მეტ პროცენტს შადგენდა დასავლეთ საქართველოში (10%), ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში (5%). თავისთავად ცხადია, ზედა ფენის დიდი უმეტესობა წვრილი აზნაურები და ქონებრივად ნაკლებ შეძლებულნი იყვნენ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს მოსახლეობის სპექტრზე გარკვეული გავლენა მოახდინა რუსეთის იმპერიის კოლონიურმა პოლიტიკამ. სახელმწიფო მოხელეები და სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი ჯარისკაცების დიდი ნაწილი სამუდამოდ საქართველოში რჩებოდა საცხოვრებლად, აქვე ქმნიდნენ ოჯახს. საქართველოში რუსი მოსახლეობა გაჩნდა და ხელოვნურად გაიზარდა სექტანტების (დუხობორები, სკოპცები, მალაკნები) ჩამოსახლების შედეგადაც. ამ კოლონიზაციის სურათი საუკუნის მანძილზე მრავალისმეტყველია. თუ XIX საუკუნის დასაწყისში **რუსების** რაოდენობა ნულოვანი იყო, 1865 წელს უკვე 25 ათასს (მოსახლეობის 2%), ხოლო 1897 წელს 100 ათასს (მოსახლეობის 5%) აჭარბებს.

კოლონიზაციის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა **სომეხი** მოსახლეობაც. მთავარმართებელმა ივანე პასკევიჩმა 1829-1831 წლებში 30 000 **სომეხი** ლტოლვილი არზრუმის მხრიდან ჩამოასახლა სამცხე-ჯავახეთში. ნალეკაში ჩამოასახლეს 5 ათასზე მეტი **ბერძენი**, 1818 წელს 2 ათასი **გერმანელი** ჩამოასახლეს ქვემო ქართლში.

ხელოვნური მიგრაცია განსაკუთრებით დიდი მასშტაბით შეეხო მაჰმადიან მოსახლეობას. ეს რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო. 1829-1831 წლებში გამიზნული პროპაგანდით დაშინებული **მაჰმადიანები** (ქართველები და თურქები) ტოვებენ ახალციხის საფაშოს ყოფილ სანჯაყებს და ოსმალეთში აფარებენ თავს. ძალდატანებით მიგრაცია ხელისუფლებამ განახორციელა

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა XIX საუკუნეში

ეროვნება	რაოდენობა (ათასობით)					რაოდენობა (პროცენტობით)				
	1801 წელი	1832	1865	1886	1897	1801	1832	1865	1886	1897
ქართველი	622 ათ.	677 ათ.	950 ათ.	1 188 ათ.	1 331 ათ.	79%	76%	74%	72%	69%
სომეხი	47 ათ.	84 ათ.	122 ათ.	173 ათ.	197 ათ.	6%	9.5%	9.5%	10 5%	10.3%
თათარ-თურქი (ბაბლინ-მაჰმადიანი)	30 ათ.	27 ათ.	51 ათ.	62 ათ.	81 ათ.	4%	3%	4%	3.8%	4.2%
ოსი	29 ათ.	32 ათ.	45 ათ.	71 ათ.	81 ათ.	3.6%	3.6%	3.6%	4.3%	4.2%
რუსი (სლავები)	-		26 ათ.	42 ათ.	101 ათ.			2%	2.6%	5.3%
აფხაზი	52 ათ.	56 ათ.	60 ათ.	38 ათ.	42 ათ.	6.6%	6.3%	4.6%	2.3%	2.2%
ბერძენი	0.5 ათ.	7 ათ.	12 ათ.	29 ათ.	38 ათ.	0.1%	0.8%	0.9%	1.8%	2%
ებრაელი	3 ათ.	4 ათ.	8 ათ.	12 ათ.	17 ათ.	0.4%	0.5%	0.6%	0.7%	0.9%
გერმანელი	-		4 ათ.	5.5 ათ.	7 ათ.			0.3%	0.3%	0.4%
დანარჩენი	—	4 ათ.	9 ათ.	21 ათ.	22 ათ.		0.5%	0.7%	1.3%	1.1%
სულ	784 ათ.	892 ათ.	1 289 ათ.	1 641 ათ.	1 917 ათ.					



ქუთაისი

აფხაზთა მიმართ XIX საუკუნის 60-იან წლებში. აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდგომ მაჰმადიან აფხაზთა დიდი ნაწილი აგრეთვე ოსმალეთში გადასახლდა.

1832 წელს ჩატარებული **მესამე კამერალური** აღწერა უფრო მეტი სიზუსტით გამოირჩეოდა. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 30 წლის მანძილზე 100 ათასით გაიზარდა. **რუსეთის ხელისუფლების კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ქართველი მოსახლეობის წილმა იკლო.** ეს პოლიტიკა მთელი XIX საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. ძირითადად ამის გამო იყო, რომ ამ პერიოდში ქართველთა პროცენტულმა წილმა მოსახლეობის საერთო რაოდენობაში დაახლოებით 10%-ით დაიკლო (80%-დან 69%-მდე შემცირდა).

მთლიანად მოსახლეობის მატების მეოთხედი 1801-1832 წლებში **მექანიკურ შევსებაზე** (გადმოსახლებები) მოდიოდა. მოსახლეობის ზრდის დაბალი ტემპი გაპირობებული იყო მრავალრიცხოვანი ომებით, შიმშილობებით, ავადმყოფობებით. თუმცა იმდროინდელი ვითარება თავისთავად ცხადია ახლოსაც ვერ მივიდოდა იმ მძიმე ყოფით პირობებთან, რაც გვიან შუასაუკუნეების საქართველოში არსებობდა.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის დემოგრაფიული მდგომარეობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: საქალაქო ცხოვრების ნაკლებგანვითარებულობა და შესაბამისად ქალაქის მოსახლეობის დაბალი პროცენტი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში (5%-დან მხოლოდ 8%-მდე გაიზარდა 50 წლის მანძილზე); მთის რეგიონების დასახლების შედარებით მაღალი სიმჭიდროვე (მთელი მოსახლეობის 20% ბინადრობდა მთიან რეგიონში), რაც სოციალ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით აიხსნება. მთიდან ბარში მოსახლეობის მიგრაციის პროცესი ჯერ არ იყო დაწყებული.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოსახლეობის დემოგრაფიული სურათი მკვეთრად იცვლება. ეს XIX განსაკუთრებით ხდება საუკუნის 60-იანი წლების რეფორმების შემდგომ. ბატონყმობის გაუქმებამ, ეკონომიკური განვითარების ტემპის დაჩქარებამ, ყოფითი პირობების გაუმჯობესებამ და ზოგადად მშვიდობიანმა ცხოვრებამ შობადობის ზრდაზეც მოახდინა გავლენა, იმავე დროს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურაც შეცვალა. სოფლად ეკონომიკური სახსრის გარეშე

საქართველოს ქალაქების მოსახლეობა

ქალაქები	მოსახლეობის რაოდენობა		
	1865 წ.	1886 წ.	1897 წ.
ტფილისი	71 051	144 822	159 631
ქუთაისი	11 807	22 643	32 492
ბათუმი	—	14 803	28 512
სოხუმი	1 612	412	7 809
ახალციხე	11 617	16 116	15 387
გორი	5 054	7 243	10 457
ფოთი	1 309	4 709	7 666
ახალქალაქი	2 260	4 303	5 443
თელავი	4 088	6 280	6 647
სიღნაღი	5 521	6 044	5 119
დუშეთი	2 525	2 027	2 456
ოზურგეთი	700	1 472	4 694
სხვა ქალაქები	1 256	3 725	16 887
სულ	118 800	234 600	303 200

დარჩენილი მოსახლეობა ქალაქს, სამრეწველო ცენტრებს მიაწყდა. ამან ქალაქების სწრაფი ზრდა გამოიწვია.

ქვემოთ მოყვანილი დიაგრამიდან და ცხრილიდან ნათლად ჩანს თუ როგორ სწრაფად გაიზარდა ქალაქების მოსახლეობა და შესაბამისად როგორ შეიცვალა მათი პროცენტული შეფარდება სოფლის მოსახლეობასთან XIX საუკუნის მანძილზე. გაიზარდა არა მხოლოდ მოსახლეობა, არამედ ქალაქების რაოდენობაც. მოხდა ქალაქების ფუნქციური დანაწილება, გაჩნდა მრავალფუნქციური ქალაქები, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი იყო.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ითვლებოდა ექვსი ქალაქი: **ტფილისი, ქუთაისი, გორი, თელავი, სიღნაღი, ახალციხე**. ისინი გვიან ფეოდალური ქალაქის ტიპის დასახლებებს წარმოადგენდნენ, შიდაციხით, რაბათით, გალავნით... ამასთან ტფილისის გარდა თითოეული ქალაქის მოსახლეობა 3 000 კაცს არ აღემატებოდა. შედარებით მრავალრიცხოვანი **ახალციხეც** რუსეთთან შეერთების შემდგომ მოსახლეობისგან დაიცალა.

ქალაქების ნელი განვითარების ტემპი შეიცვალა რკინიგზის ხაზის გაყვანისა და ეკონომიკური კავშირურთიერთობების გაფართოების შემდგომ, მკვეთრად გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა (იხ: ცხრილი). **1897 წლის აღწერით** საქართველოში (ტფილისის და ქუთაისის გუბერნია) ოფიციალურად **12 ქალაქი** და **19 ქალაქის ტიპის დასახლება** აღირიცხა. ქალაქებს შორის 3 მრავალფუნქციური მსხვილი ადმინისტრაციული ცენტრი (ტფილისი, ქუთაისი, ბათუმი), 8 სამაზრო ცენტრი (სოხუმი, ახალციხე, გორი, თელავი, სიღნაღი, დუშეთი, ოზურგეთი, ახალქალაქი) და ერთი პორტი (ფოთი) იყო. ქალაქის ტიპის დასახლებები (დაბები) ფუნქციურად ხუთ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: 1) **ადმინისტრაციული ცენტრები** (ყვირილა ანუ ზესტაფონი, ზუგდიდი, ონი, შულავერი, სენაკი, თიანეთი, ცაგერი); 2) **საკვანძო-სატრანსპორტო დაბები** (მიხაილოვო ანუ ხაშური, სამტრედია, ყულევი – ნაესადგური); 3) **საკურორტო დაბები** (ბორჯომი, გუდაუთა, აბასთუმანი, გაგრა); 4) **სავაჭრო დაბები** (სურამი, ჩხარი, ლაილაში, ანაკლია); 5) **სამრეწველო დაბები** (ჭიათურა, ტყიბული).

დაბების მოსახლეობა 1-3 ათასი კაცის ფარგლებში მერყეობდა (1897 წლის აღწერის მიხედვით). შედარებით მრავალრიცხოვანი იყო **ზუგდიდი** და **შულავერი**. ქალაქებს შორის გამორჩეული ადგილი ეკავა ტფილისს. **ტფილისი** ბაქოსთან ერთად კავკასიის **უდიდეს** ქალაქს წარმოადგენდა და მოსახლეობის რაოდენობითაც (160 ათასი) ბევრად აღემატებოდა სხვა ქალაქებს. ქვემოთმოყვანილი

საქართველოს ქალაქის და სოფლის მოსახლეობის შეფარდება XIX საუკუნეში



სოხუმი

ცხრილიდან ჩანს, რომ მოსახლეობის რაოდენობით საქართველოს ქალაქები სამ ნაწილად დიფერენცირდება: **დიდი** (ქუთაისი, ბათუმი), **საშუალო** (ახალციხე, გორი, სოხუმი, ფოთი) და **მცირე** (თელავი, სიღნაღი, ოზურგეთი, ახალქალაქი, დუშეთი). სწორედ მოსახლეობის რაოდენობა განსაზღვრავდა XIX საუკუნის 70-90-იან წლებში ქალაქებისთვის თვითმმართველობის იურიდიული სტატუსის მინიჭებას. თვითმმართველობა ჯერ შედარებით ერავალრიცხოვანმა, შემდგომ კი მომცრო ქალაქებმაც მიიღეს. სულ XIX საუკუნის ბოლოსთვის თერთმეტ ქალაქს ჰქონდა თვითმმართველობა.

რეფორმების შემდგომ პერიოდში შედარებით მოწესრიგდა მოსახლეობის აღრიცხვიანობა. მსხვილ ქალაქებში ერთდღიანი აღწერებიც ტარდებოდა. ხელისუფლებამ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებაც დაიწყო. ასეთი მონაცემები გამოქვეყნდა 1865, 1886 და 1897 წლებში.

მოსახლეობის შიდა მიგრაცია (სოფლებიდან ქალაქებში), როგორც ზემოთ ითქვა, წარმოადგენდა ქალაქების ზრდის მთავარ წყაროს. მოსახლეობა იძეროდა ძირითადად მთიანი და მცირემიწიანი რეგიონებიდან ახლომდებარე ქალაქისკენ. მაგალითად: გურიის მოსახლეობისთვის მიგრაციის მთავარ ობიექტებად იქცა **ბათუმი** და **ფოთი**, ხოლო სამეგრელოს მოსახლეობისთვის – **ფოთი** და **სოხუმი**.

საზოგადო მიგრაციის ობიექტებს წარმოადგენდნენ **ტფილისი** (სადაც მოსახლეობა საქართველოს ყველა კუთხიდან იყრიდა თავს) და **ქუთაისი** (ძირითადად დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა). XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზეთიდან და აჭარიდან ოსმალეთში გადასახლებულთა ადგილს იკავებენ **სომხები, ბერძნები, რუსები, ესტონელები**...

XIX საუკუნის მანძილზე საქართველოს მოსახლეობის საშუალო წლიური მატების ტემპი თანდათანობით იზრდებოდა, რის შედეგადაც 100 წლის მანძილზე თითქმის 3-ჯერ მოიმატა მოსახლეობამ. თუმცა ამ მატებაში გადამწყვეტი იყო ქალაქის მოსახლეობის ზრდა (იგი თითქმის 5-ჯერ გაიზარდა), მაშინ როცა სოფლის მოსახლეობა მხოლოდ გაორმაგდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც გრძელდება საქართველოს ტერიტორიაზე არაქართველი მოსახლეობის ჩამოსახლების პროცესი. თუ საუკუნის პირველ ნახევარში ამ პროცესს რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ორგანიზებული სახე ჰქონდა და გამოკვეთილ კოლონიურ მიზნებს ისახავდა, რეფორმების შემდგომ პერიოდში ამგვარი მიგრაციის მთავარი მიზეზი სოციალ-ეკონომიკური იყო. არაქართული მოსახლეობა (რუსები, სომხები, ბერძნები, ოსები...) უკვე აღარ სახლდება კომპაქტურად და ძირითადად ქალაქს ეტანება სამუშაოს შოვნის მიზნით, მათი დიდი ნაწილი კი სამუდამოდ მკვიდრდება ქალაქში.

მოსახლეობის აღწერის დროს რუსეთის იმპერიის ხელისუფლება სააღწერო ანკეტაში ითხოვდა არა ეროვნების, არამედ **მშობლიური** ენის მითითებას. ამდენად ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრა ხელისუფლების მიერ მართვადი ფაქტორი იყო. საფუძვლად იღებდნენ სარწმუნოებრივ და ეთნოგრაფიულ ნიშნებს (მაგალითად: ქართველ გრიგორიანებს აცხადებდნენ სომხებად, ქართველ კათოლიკეებს ფრანგებად. ცალკე ეთნიკურ ჯგუფებად ყოფდნენ: ქართლელებს, ხევსურებს, იმერლებს, გურულებს, სამურზაყანოელებს...). ეს ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერების დათრგუნვის მიზნით კეთდებოდა.

1897 წლის აღწერამ საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა ხუთ ძირითად კატეგორიად წარმოადგინა. მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ **გლეხები** (83,6%). მათი უმეტესობა მცირემინიანი და ქონებრივად შეუძლონი იყვნენ. ფართოდ იყო გავრცელებული მინის იჯარით აღება. აღსანიშნავია, რომ გლეხთა სოციალური ფენის გარკვეული ნაწილი ქალაქის მოსახლეობის ღარიბობას შადგენდა. ისინი ქალაქის საწარმოებშიც მუშაობდნენ და სოფლად მიწასაც არ იყვნენ მოწყვეტილნი.

საქართველოს მოსახლეობის 5,6%-ს **თავადაზნაურთა** წოდება წარმოადგენდა. მათ დიდ ნაწილს ნაკლებად შეძლებული წვრილი აზნაურობა შეადგენდა (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში). **სასულიერო** წოდებას მოსახლეობის 1,6% წარმოადგენდა.

ქალაქის მოსახლეობაში უმეტესობას წარმოადგენდნენ ვაჭრები, საპატიო მოქალაქენი (მოსახლეობის 0,7%) და **მდაბიონი** („მეშჩანები"). მდაბიოთა (მეშჩანთა) ფენა საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო (მოსახლეობის 6,5%) და მას მიეკუთვნებოდნენ **ხელოსნები** და **დაქირავებული შრომით დაკავებული მოქალაქენი.** მოსახლეობის დაახლოებით 2% აღწერის სტატისტიკაში იხსენიებოდა უცხო ქვეყნის ქვეშევრდომად (ძირითადად: ოსმალეთის, სპარსეთის), მაგრამ მათი უმეტესობა უკვე მუდმივ მოსახლედ იყო ქცეული.

1897 წლის მოსახლეობის აღწერაში ცალკე არ აღუნუსხავთ **„გონებრივი შრომით"** დაკავებული ადამიანები. ისინი არც პროფესიული დახარისხებისას (იხ. დიაგრამა) გამოიკვეთებიან. როგორც ჩანს, ამ კატეგორიის მოსახლეობა თავადაზნაურთა, „მეშჩანთა" და საპატიო მოქალაქეთა ნაწილს წარმოადგენდა.

XIX საუკუნის ბოლოსთვის საქართველოში საკმაოდ დაბალი იყო განათლების დონე, რაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებით აიხსნება. მატერიალურ შესაძლებლობებთან განათლების დონის შესაბამისობა ნათლად არის წარმოდგენილი ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. წერა-კითხვის უცოდინართა ხვედრითი წილი გაცილებით მაღალი იყო სოფლის მოსახლეობაში (84%). მთლიანად საქართველოს მასშტაბით კი წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 25%-ს არ აღემატებოდა.

§4. საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა

XIX საუკუნეში საქართველოს მოსახლეობა 3 ძირითად სოციალურ ფენად შეიძლება წარმოვიდგინოთ: **I. თავადაზნაურობა და სამღვდელოება** (ანუ პრივილეგირებული ზედა ფენა, რომელიც თანდათან კარგავს პრივილეგიებს და ნაწილობრივ ქონებასაც); **II. ქალაქის მოსახლეობა** (შედგებოდა უფრო შეძლებული ვაჭრებისა და საპატიო მოქალაქეებისაგან, რომლებიც საქალაქო ბურჟუაზიის საფუძვლად იქცა; აგრეთვე ნაკლებად შეძლებული ხელოსნებისა და „მდაბიორთაგან" ანუ როგორც რუსეთში უწოდებდნენ „მეშჩანებისგან"); **III. გლეხობა** (მოსახლეობის დიდი უმეტესობა – ეკონომიკურად შეუძლო და სოციალურად დაქვემდებარებული. ამ ფენამ საუკუნის მანძილზე შეძლო პიროვნული და ნაწილობრივ ქონებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება. გლეხობისგან წარმოიშვა XIX ს. II ნახევარში ქალაქის პროლეტარიატი – მუშათა ფენა).

ა) თავადაზნაურობა: 1801 წლისთვის საზოგადოების ზედა ფენა 3 ნაწილად იყოფოდა: მეფე-მთავრები და ბატონიშვილები; თავადები; აზნაურები. რუსეთის საქართველოში გაბატონებამ ყველაზე მეტად სწორედ ამ ფენის პირადი ინტერესები დააზარალა. სამეფო-სამთავრო საგვარეულოს წარმომადგენლებმა სამშობლოსთან ერთად ქონებრივი და სახელისუფლებო პატივიც დაკარგეს. ისინი

რუსეთში გადაასახლეს, მცირე პენსიები და ყმამამული უბოძეს, გვარები შეუცვალეს (ბაგრატიონები დაანანილეს: გრუზინსკებად, მუხრანსკებად, იმერეტინსკებად, დადიანებს მინგრელსკები უწოდეს და ა. შ.), რათა აღარ ეფიქრათ წარსულზე და იმპერიისთვის თავდადებული სამსახურის პირობებიც შეუქმნეს.

თავადობაც ასევე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მეფობის გაუქმებით მათ მუდმივი შემოსავლის წყაროც დაკარგეს, ხელისუფლებაში მცირე ჯამაგირიანი სამსახურის შოვნის იმედიც. გაუქმების საფრთხის წინაშე იდგა სამოურაოებიც. მოურავს მეფისგან მიცემული სოფლებიდან და საგლეხო გადასახადებიდან 10% ეკუთვნოდა, ამდენად რუსეთის მმართველობამ ვერ გაბედა ამ ინსტიტუტის ხელაღებით გაუქმება. თუმცა ამის დროც მოვიდა.

აზნაურთა მრავალრიცხოვანი ფენა საკმაოდ ჭრელი იყო ქონებრივი და სოციალური (სამეფო, საეკლესიო და სათავადო აზნაურები) თვალსაზრისით. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ **სამეფო აზნაურები.** მეფობის გაუქმებისთანავე მოხდა ამ ფენის გამოცხადება ტახტის აზნაურებად და ისინი თავადებთან ერთად გაერთიანდნენ ერთ სოციალურ კატეგორიად („დვორიანსტვო" ანუ თავადაზნაურობა), როგორც იყო მთელ რუსეთში. თანდათან შემოვიდა ამ ფენის რუსული დანაწევრებაც: ტიტულიანი თავადაზნაურობა („კნიაზი" ანუ თავადი, გრაფი) და უტიტულო თავადაზნაურობა.

საეკლესიო აზნაურები 1811 წელს (ავტოკეფალიის გაუქმების შემდგომ) გადარიცხეს თავადაზნაურთა ფენაში. იმერეთ-გურიის საეკლესიო აზნაურთა მიკუთვნება თავადაზნაურთა ფენისთვის მოხდა მოგვიანებით, 1835 წლიდან. მესამე კატეგორიის აზნაურთა – **სათავადო აზნაურთა** საკითხი უფრო გაჭიანურდა, რაც გამოწვეული იყო რუსეთში ამ კატეგორიის ფენის არარსებობით (ყმა-აზნაურის ცნება გაუგებარი იყო). ამ აზნაურებს დასჭირდათ დამტკიცება, რომ მიუხედავად თავადთა ყმობისა ისინი ნამდვილად აზნაურები იყვნენ და შესაბამის პატივს იმსახურებდნენ.

1832 წელს აიკრძალა ყმების ყოლა მოქალაქეებისა და ყველა არათავადაზნაურისთვის. ამ ფაქტმა აამაღლა აზნაურთა სტატუსი. 1833 წელს ქართლ-კახეთის სათავადო აზნაურები განთავისუფლდნენ ყმური მდგომარეობისგან. დასავლეთ საქართველოს სათავადო აზნაურთა მდგომარეობა კი მხოლოდ რეფორმის შემდეგ შეიცვალა.

ქართველი თავადაზნაურობის რუსეთის იმპერიის სამსახურში ჩასაყენებლად დიდი მუშაობა გასწია ჯერ მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა (რომელმაც მეფის სამსახურში მყოფი პირებისთვის ჩინი და პენსიები დაანიშნინა), შემდგომში კი მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა, რომელმაც დაასრულა ამ წოდების ჩამოყალიბების და იმპერიის ერთგულ მსახურებად ქცევის პროცესი.

1827 წელს იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ბრძანებით ქართველი თავადაზნაურობა იურიდიულად გაუთანაბრდა რუსეთისას, მაგრამ მათ არ მისცეს მოხელეთა არჩევის უფლება. ქართველ თავადაზნაურებს მხოლოდ რუსი მოხელის მრჩევლის ადგილი ჰქონდათ და 1840 წლის რეფორმამ ესეც დააკარგვინა. მხოლოდ მიხეილ ვორონცოვმა მისცა მათ საშუალება დანიშნულიყვნენ სახელმწიფო თანამდებობებზე, მაგრამ არა როგორც

რეალური სასწავლებლების და გიმნაზიების მოსწავლეთა წოდებრივი და ეროვნული შემადგენლობა (რუსეთის იმპერიის 1897 წლის აღწერის მიხედვით)

	წოდებრივი შემადგენლობა (%)				ეროვნული შემადგენლობა (%)			
	თავადაზნაურობა	საქალაქო წოდებანი	გლეხობა	დანარჩენი წოდებები	ქართველი	სომეხი	რუსი	დანარჩენი
საქართველოს მოსწავლეთა კონტიგენტი	56,4	34	3	6,5	24	28	35,5	12,5
საქართველოს მოსახლეობა	6	7	83	4	69	11	5	15

თავადაზნაურები, არამედ როგორც მოხელენი.

რუსეთის მსგავსი პირველი სათავადაზნაურო დანესებულება აღმოსავლეთ საქართველოში 1818 წელს შექმნა მთავარმართებელმა ერმოლოვმა, დასავლეთ საქართველოში ანალოგიური ორგანიზაცია მხოლოდ 1850 წელს ჩამოყალიბდა. თითოეული მაზრიდან აირჩეოდა 3-4 დეპუტატი **გუბერნიის თავადაზნაურობის დეპუტატთა** საკრებულოში მონაწილეობისთვის. არჩევნები ხდებოდა 3 წელიწადში ერთხელ, **ირჩევდნენ თავადაზნაურობის წინამძღოლს** (მარშალს). საკრებულოს არავითარი პოლიტიკური უფლებები არ გააჩნდა. ეს იყო მხოლოდ შუამავალი ხელისუფლებასთან თავისი წოდების ინტერესების დასაცავად.

დეპუტატთა საკრებულოს ოფიციალურად დაეევალა 20-30-იან წლებში წარმოებული სამუშაოს – თავადაზნაურობის მემკვიდრეობითი უფლების მქონე პირთა ვინაობის დადგენის, ბოლომდე მიყვანა. ეს პროცესი განსაკუთრებით დააჩქარა მიხეილ ვორონცოვმა. მან მეფისნაცვლის საბჭოსთვის წარსადგენი თავადაზნაურთა სიები 3 წელიწადში მოამზადებინა საკრებულოს. საბჭომ წოდების მაძიებელი თავადაზნაურობა 5 თანრიგად დაყო: **1. უეჭველად წოდების ღირსნი; 2. დამატებითი საბუთებით წოდების მიმღებნი;** 3. თავადაზნაურობა, რომელთა წოდების საკითხი შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებდა; 4.იმერეთ-გურიის სათავადო აზნაურები, რომლებიც ჯერ კიდევ ყმურ მდგომარეობაში იყვნენ; 5. ვისაც უარი ეთქვა წოდებაზე (ამ კატეგორიაში მოხვდა აღმოსავლეთ საქართველოს 677 და იმერეთ-გურიის 668 გვარი).

პირველი ორი თანრიგის თავადაზნაურებს 1850 წლის 6 დეკემბერს იმპერატორმა დაუმტკიცა წოდება. დანარჩენი 3 თანრიგის ნარმომადგენლებს უფლება მიეცათ სათავადაზნაურო საკრებულოების მეშვეობით განეგრძოთ აზნაურის წოდების ძიება. ასეთ პირებს **„იშჩუშები“** (მაძიებელნი) დაერქვათ.

ვორონცოვმა ქართველი თავადაზნაურობის საკეთილდღეოდ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. თუკი მანამდე გლეხებს მასობრივად შეჰქონდათ საჩივარი სასამართლოში და ბატონს უწევდა დამტკიცება, რომ გლეხი ნამდვილად მისი ყმა იყო. 1849 წლის კანონით საბატონო გლეხს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო თავისუფლების ძიება თუ თვითონ წარადგენდა თავისი ან წინაპრის თავისუფლების დამამტკიცებელ საბუთს.

ბატონყმობის გაუქმებამ თავადაზნაურობის დიდი ნაწილი მძიმე დღეში ჩააგდო. მათი 80% ნვრილი მინათმფლობელი იყო და ორიოდე კომლი ჰყავდა. ქუთაისის გუბერნიაში მხოლოდ 2 მსხვილი მებატონე იყო (500 კომლის მფლობელი). ტფილისის გუბერნიაში 14 მემამულეს ჰყავდა 100 კომლ ყმაზე მეტი. ნვრილ აზნაურებს ბატონყმობის გაუქმების შემდგომ დაეკისრათ მებეგრე გლეხების და შინაყმების გამოკვება, რასაც საკმაო სახსრები ჭირდებოდა. მსხვილი თავადაზნაურობის დიდმა ნაწილმა ალღო ვერ აუღო ახალ პირობებს, კვლავ ცდილობდა ტფილისსა და ქუთაისში მოჩვენებითი ფუფუნებით ცხოვრებას, მაშინ როდესაც მისი სახლი და მამული სოფლად ვალებში მიდიოდა. ამ შემთხვევაში თავს იჩენდა მეორე პრობლემაც, ვალში გაყიდული მინა და მამული ხშირ შემთხვევაში არაქართველ მევალეებს ან ბანკებს უვარდებოდათ ხელში. ამ ტენდენციის შესაჩერებლად ილია ჭავჭავაძის თაოსნობით შეიქმნა **სათავადაზნაურო ბანკი**, რომლის მთავარი მიზანი გაკოტრებული მამულების შესყიდვა და შემდეგ კვლავ ქართველ კლიენტებზე (ძირითადად შეძლებულ გლეხებზე) მიყიდვა იყო.

ოდიშის სამთავროში ბატონყმობის გაუქმების ნინ თითქმის მთელი ქონება დადიანების ხელში აღმოჩნდა. დავით დადიანმა ყულევის და ანაკლიის ნავსადგურებიდან კონტრაბანდული საქონლის შემოტანით დიდი მოგება ნახა, ზუგდიდში ააშენა ძვირფასი სასახლე, გახსნა აბრეშუმის ფაბრიკა. მისი მიზანი იყო სამთავროს გაუქმების მომენტისთვის რუსეთისთვის დიდი კომპენსაცია გამოეთხოვა, დაგროვილი ქონების სანაცვლოდ, რასაც მიაღნია კიდეც.

აფხაზეთის თავადობა **პროქართული** (შერვაშიძე-ჩაჩბა, ანჩაბაძე-აჩბა, ინალ-იფა, ...) და **პროთურქული** (მარღანია-მაან, მარშანია, ძიაფშ-იფა, ...) ორიენტაციისანი იყვნენ. სამთავროს გაუქმებას მოჰყვა პირველთა საკუთრების დაკარგვა. მეორე ნაწილის უმეტესობა მუჰაჯირობის მსხვერპლი შეიქმნა.

XIX საუკუნის ბოლოს თავადაზნაურობა ძირითადად ერთიანი წოდებრივი კატეგორიაა,

1897 წლის აღწერით ეს წოდება მოსახლეობის 5,6% შეადგენს.

საუკუნის დასაწყისში პრივილეგირებულ ფენას წარმოადგენდა სამღვდელოება. მართალია ის წოდებრივი თვალსაზრისით ერთიანი იყო, მაგრამ მატერიალური შეძლების და პატივის მიხედვით ამ მრავალრიცხოვან ფენაში განირჩეოდა მაღალი (ეპისკოპოსები, არქიმანდრიტები...) და დაბალი (მღვდლები, დიაკვნები...) სამღვდელოება. დაბალი სამღვდელოების უმეტესობა აზნაურთა მსგავსად ყმურ დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას და ეპარქიათა შემცირებას (21 ეპარქია დაიყვანეს 5-ზე) საეკლესიო ქონების აღრიცხვა და სახაზინო ქონებად გადაწერა მოჰყვა. რუსეთის ეკლესიის სინოდის პოლიტიკა გულისხმობდა ერთიანი სასულიერო ფენის შექმნას, რომელიც მთავრობის ჯამაგირზე იქნებოდა დამოკიდებული. ამ მიზნით რუსეთის იმპერატორის ბრძანებით დაბალი სამღვდელოების წარმომადგენლები ყმობიდან განთავისუფლდნენ: ქართლ-კახეთში (1808 წელს), დასავლეთ საქართველოში (1821-1832 წლებში), ოდიშში (1841 წელს). სახაზინო უწყებაში საეკლესიო აზნაურების, ყმა-მამულის გადასვლის პროცესი და სამღვდელოების ჯამაგირზე გადაყვანა დასრულდა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში. სასულიერო წოდება გათავისუფლდა გადასახადებისგან. 1897 წლის მოსახლეობის



საქართველოს მოსახლეობის პროფესიული შემადგენლობა 1897 წლის აღნერის მიხედვით



საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა 1897 წლის აღნერის მიხედვით

აღნერით სასულიერო ფენის რიცხვი 34 ათასს უდრიდა.

ბ) ქალაქის მოსახლეობა, ვაჭარ-ხელოსნები: რუსეთის იმპერიის შემოსვლამ კავკასიაში ადგილობრივი ვაჭრობის საერთაშორისო ვაჭრობაში უფრო აქტიურად ჩართვა განაპირობა. ამასთან რუსეთ-ირანის და რუსეთ-ოსმალეთის ომებით ყველაზე დიდი მოგება მსხვილმა ვაჭრებმა და მოიჯარადრეებმა ნახეს. განსაკუთრებით ხელსაყრელი სავაჭრო გარემო შეიქმნა XIX საუკუნის 20-იან წლებში. ევროპიდან და აზიიდან შემოტანილ საქონელზე ფაქტიურად უბაჟო ვაჭრობა წარმოებდა. სავაჭრო სახლების მფლობელებს **პირველი გილდიის ვაჭრის** უფლებები მიენიჭათ და გადასახადებისგან გათავისუფლდნენ. 10-წლიანმა შეღავათიანმა პერიოდმა (1821-1831 წლები) განაპირობა 20-მდე მსხვილი ვაჭრის გაჩენა – რომლებიც მომავალში ტფილისის მსხვილი ბურჟუაზიის საფუძვლად იქცა. მათი უმეტესობა გრიგორიანი ქართველები ან გაქართველებული სომხები იყვნენ.

XIX საუკუნის 20-40-იან წლებამდე ძირითად სავაჭრო მაგისტრალს ნიჟნი ნოვგოროდი-ოდესა-ყულევის გზა წარმოადგენდა. 1846 წელს ყულევი გახდა სანავსადგურო ქალაქი, თუმცა 1872 წელს ფოთი-ტფილისი რკინიგზის ხაზის გაყვანამ ძველი სავაჭრო მაგისტრალის მნიშვნელობა საბოლოოდ გააცამტვერა და ბათუმის შემოერთებამდე და ქალაქად ქცევამდე (1878-1888 წწ.) შავიზღვის-



პირეთში წამყვან სავაჭრო პუნქტს ფოთი წარმოადგენდა.

გამდიდრების მიუხედავად სავაჭრო ბურჟუაზია მრეწველობის განვითარებისთვის მაინცდამაინც არ ზრუნავდა. ერთეული კომერსანტები (მაგ: ფრანგი კასტელი, ზავილეისკი, ანანოვი, ზუბალაშვილი) ცდილობენ საწარმოების გახსნას და ადგილობრივი მნიშვნელობის სამრეწველო პროდუქციის შექმნას. ბურჟუაზია ეროვნული შემადგენლობით ძირითადად ებრაული და სომხური იყო, ქართველი ვაჭრების უმეტესობა ჩარჩების დონეზე დარჩა. შავი ქვის მრეწველობაც ძირითადად უცხოელი კაპიტალისტების ხელში აღმოჩნდა.

რუსეთის ხელისუფლებამ ქალაქის მოსახლეობის და განსაკუთრებით მისი ზედაფენის საკანონმდებლო ნორმებში მოქცევა საკმაოდ გააჭიანურა. ქართლ-კახეთის სამეფოში **არსებულ „პირველხარისხოვან მოქალაქეებს"** ძველი პრივილეგიები გაუუქმეს, 1833 წელს ყმების ყოლაც აუკრძალეს. რუსეთში „საპატიო მოქალაქეთა" ფენა ძლიერ მრავალრიცხოვანი იყო, აქ შედიოდნენ: დიდვაჭრები, დაბალი რანგის მოხელენი, ინტელიგენცია, პირად აზნაურთა და ეკლესიის მსახურთა შვილები. საქართველოში საერთო-იმპერიულ ნორმებთან ქალაქის მოსახლეობის შეთანასწორება მხოლოდ XIX საუკუნის 60-იან წლებში მოხდა.

1861 წელს იმპერატორის ბრძანებით ტფილისის 79 ოჯახმა და მათმა შთამომავლობამ მიიღო **„შემეიდრეობით საპატიო მოქალაქის წოდება"**. 1897 წლის აღწერით საპატიო მოქალაქის სტატუსით 7000 კაცი სარგებლობდა. 1863 წლის კანონით შემოიღეს ქალაქის დანარჩენი მოსახლეობის დაყოფა **სავაჭრო გილდიებად** და **მდაბიორებად („მეშჩანებად")** ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. **I გილდიის ვაჭრებად** გამოცხადდნენ, ისინი ვისი ქონებაც 10-50 ათას მანეთად იყო შეფასებული და მათ საპატიო მოქალაქეების მსგავსად ეძლეოდათ საგარეო ვაჭრობის წარმოების უფლება. **II გილდიის ვაჭართა** ქონება 5-10 ათასი მანეთით განისაზღვრა და მათ შიდა ვაჭრობაში ჩართვის საშუალება მიეცათ. **III გილდიის ვაჭრების** ქონება 1-5 ათასამდე მერყეობდა და ისინი წვრილი ვაჭრების სტატუსით სარგებლობდნენ. გილდიის ვაჭრები ყოველწლიურ 1%-იან საშემოსავლო გადასახადს იხდიდნენ, მათზე არ შეიძლებოდა ფიზიკური სასჯელის დაწესება.

შემდგომში III გილდია გაუქმდა. გამდიდრებულები I და II გილდიაში ჩარიცხეს, ხოლო დანარჩენები მიუერთეს მდაბიორთა („მეშჩანთა") ფენას. 1897 წლიდან დაწესდა გილდიის მოწმობის თავისუფალი გაყიდვა.

ქალაქების რაბათის მოსახლეობას წარმოადგენდნენ **„მეშჩანები"** ანუ **მდაბიონი**. ისინი ძირითადად იყვნენ ხელოსნები. ამ ფენის შევსება სოფლებიდან ჩამოსული ბატონისგან გათავისუფლებული გლეხებით ხდებოდა. სახაზინო გლეხის „მდაბიორის" წოდებაში გადასვლას სენატის ნებართვა ჭირდებოდა.

ხელოსნები ამქრებად იყვნენ გაერთიანებულნი. ერთ სფეროში რამდენიმე **ამქარი** არსებობდა. ამქრის სათავეში იდგა **უსტაბაში**. ამქარში შედიოდნენ: ხელოსნები, თავისუფალი მოქალაქენი და ყმები. ამქარი მონაწილეობდა ქალაქის, კერძოდ ტფილისის მართვაში ჯერ კიდევ 1841 წლიდან, როდესაც პირობითი თვითმმართველობა მიიღო ტფილისმა და 6 ხმოსანი აირჩა ქალაქის საბჭოში ვაჭრების, ხელოსნების და თავისუფალი მოქალაქეების კურიიდან. თანდათანობით ამქრის და უსტაბაშების გავლენა ქალაქზე შეავიწროვა „ახალმოსულთა" სავაჭრო ელემენტმა – არზრუმელმა სომხებმა – რომლებიც ხელოსნობას და წვრილ ვაჭრობას მისდევდნენ და ორჯერ აღემატებოდნენ ამქართა ნევრებს. ისინი შესატყვისი პოლიტიკური უფლებებისთვის იბრძოდნენ.

ამქრების და „ახალმოსულთა" დაპირისპირების, განსაკუთრებით კი 1864 წლის ტფილისის საქალაქო არჩევნებში ამ უკანასკნელთა გამარჯვების შედეგი იყო 1865 წლის ამქართა აჯანყება ტფილისში. ხელისუფლება ჩაერია ამ დაპირისპირებაში და 1867 წლის 11 აპრილს მიღებული დებულებით შეზღუდა ამქართა მონოპოლია, კონკურენციის პირობებში ხელოსნებს წარმოების განვითარების საშუალება მიეცათ. 94 ამქარი დაიყვანეს 21 ამქრამდე (17 – ხელოსნების, 4 – მუშების).

ქალაქის თვითმმართველობის რეორგანიზაციის შედეგად დაწესებული მაღალი ქონებრივი საარჩევნო ცენზი XIX ს-ის 70-90-იან წლებში ტფილისის სათათბიროში სომხური ბურჟუაზიის უპირატესობას უზრუნველყოფდა. 1886 წლის არჩევნებში ქართველებმა ტფილისის სათათბიროში მხოლოდ 9% მიიღეს, ამიტომ შემდგომ 4 არჩევნებს ქართულმა „პარტიამ" ბოიკოტი გამოუცხადა. ამგვარმა ტაქტიკამ უარესი შედეგი მოიტანა და 1900 წლიდან ისევ დაუბრუნდნენ არჩევნებში მონაწილეობას.

ქალაქის სათათბიროს არჩევნები ეწყობოდა ყოველ 4 წელიწადში. ხმოსნები ირჩევდნენ **ქალაქის გამგეობას** (მთავრობას) **და ქალაქის თავს**. ახალი საქალაქო დებულების (1870 წლის) თანახმად პირველად არჩეული ქალაქის თავები იყვნენ: **დიმიტრი ყიფიანი** (ტფილისის თავი), **ნიკოლოზ აბაშიძე** (ქუთაისის), ელიმირზოვი (გორის), ვახრამოვი (ფოთის)... ქალაქის თავი და სათათბირო თავის ყველა გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელი იყო გუბერნატორის წინაშე.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში საქართველოს ქალაქებმა თანდათანობით მიიღეს თვითმმართველობები და შეზღუდული საარჩევნო უფლება: ტფილისმა (1874 წლიდან, 72 ხმოსანი), ქუთაისმა (1875 წლიდან, 52 ხმოსანი), გორმა (1876 წლიდან, 42 ხმოსანი), ახალციხემ (1876 წლიდან), ფოთმა (1882 წლიდან), ბათუმმა (1888 წლიდან). ამომრჩეველი 3 თანრიგად იყო დაყოფილი, საარჩევნო უფლებით მოსახლეობის დაახლოებით 5% სარგებლობდა. 1892 წლის რეფორმით კიდევ უფრო შეიზღუდა თვითმმართველობის უფლებები და შემცირდა ამომრჩეველთა რიცხვი. ამ დროისთვის თვითმმართველობა ჰქონდა საქართველოს 11 ქალაქს: **ტფილისს, ქუთაისს, ფოთს, ბათუმს, გორს, ახალციხეს, თელავს, სიღნაღს, ახალქალაქს, სოხუმს, ოზურგეთს.**

ქალაქების სათათბიროთა შეზღუდული უფლებები აისახებოდა მათი ბიუჯეტის განაწილებაში. შემოსავლების 60% იხარჯებოდა ადმინისტრაციის, პოლიციის და ქალაქში განლაგებული არმიის შენახვაზე. ქალაქის კეთილმონყობაზე და სხვა საჭიროებებზე ბიუჯეტის მცირე ნაწილი იხარჯებოდა. განსაკუთრებით უმნიშვნელო იყო განათლებაზე გათვალისწინებული ხარჯები (საშუალოდ 3-6%, მხოლოდ თბილისის ბიუჯეტიდან იყო გამოყოფილი 10% განათლების დასაფინანსებლად).

XIX ს-ის ბოლოს ქალაქების შემოსავლების მატებაში დიდი როლი შეასრულა ამიერკავკასიაში სარკინიგზო ქსელის გამართვამ (ტფილისი-ფოთის ხაზი გაიხსნა 1872 წელს, სამტრედია-ბათუმის და ტფილისი-ბაქოს ხაზი 1883 წელს, ხოლო ხაშური-ბორჯომის და შორაპანი-საჩხერის განშტოებები 1894 წელს ამოქმედდა). საუკუნის ბოლოსთვის ტფილისი ამიერკავკასიის უმდიდრეს ქალაქს წარმოადგენდა 1.400.000-იანი ბიუჯეტით (მას ამ მხრივ მხოლოდ ბაქო აღემატებოდა). ბათუმის ბიუჯეტი შეადგენდა 600 ათას, ქუთაისის 250 ათას, ფოთის კი 180 ათას რუბლს.

გ) გლეხები: XIX საუკუნის დასაწყისში გლეხობა საქართველოს მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვანი სოციალური ფენაა. იგი იყოფოდა 3 ნაწილად: სახელმწიფო, საეკლესიო და საბატონო გლეხები.

1801 წლისთვის ქართლ-კახეთის სამეფოში გლეხების 20 % **საეკლესიო გლეხები** იყვნენ, 40-40 % კი **სახელმწიფო** და **საბატონო**. რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ სოციალ-ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში **სამეფო გლეხები** აღმოჩნდნენ. მათ მეფობის გაუქმების შედეგად სახაზინო გლეხის სტატუსი მიიღეს და მცირე გადასახადს უხდიდნენ სახელმწიფოს, კომლზე 4-5 მანეთს. **საეკლესიო გლეხები** 1825 წლიდან იმერეთ-საქართველოს სინოდალურ კანტორას დაუქვემდებარეს და მათი გადასახადების კომუტაციაც მოახდინეს, საშუალოდ მათი გადასახადი კომლზე 10-15 მანეთს შეადგენდა. საეკლესიო გლეხების ეკონომიკური მდგომარეობა ამ რეფორმის

შემდეგ შედარებით გამოსწორდა. ყველაზე უფრო გაუარესდა საბატონო გლეხების მდგომარეობა. რადგან ქართულისგან განსხვავებით რუსული ბატონყმობის კანონები გაცილებით მძიმე იყო. მათ მოსავლის მეათედი უნდა მიერთმიათ ბატონისათვის და მრავალრიცხოვანი საბეგრო ვალდებულებაც შეესრულებინათ. ამის გარდა სახელმწიფოსთვის კომლს უნდა გადუხადა საშუალოდ 20 მან. (დასავლეთ საქართველოში) და 45 მან. (აღმოსავლეთ საქართველოში). მხოლოდ 1848 წელს მიეცათ საბატონო გლეხებს უძრავი ქონების შეძენის უფლება.

XIX ს-ის დასაწყისში ფულის მიმოქცევის გაზრდამ და სამხედრო უწყების გაძლიერებულმა მოთხოვნილებამ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე გლეხობაში ქონებრივი დიფერენციაცია გამოინვია. გაჩნდნენ შეძლებული, საკუთარი მიწის მფლობელი გლეხები. გლეხობის დიდი ნაწილი სრულებით გაღატაკდა, რადგან ისინი საბატონო გადასახადსაც იხდიდნენ და ქირითაც მუშაობდნენ სხვის მიწაზე. 1818 წლის კამერალურ აღწერაში უკვე 2 შემთხვევაა დაფიქსირებული, როდესაც გლეხი გლეხისავე ყმაა. 1845 წელს გლეხობა მთლიანად ფულად გადასახადზე გადაიყვანეს. ბატონყმობის გაუქმებამ გლეხებს პირადი თავისუფლება კი მიანიჭა, მაგრამ დროებითვალდებულების შემოღებამ კიდევ დიდი ხნით შეუზღუდა ეკონომიკური განვითარება. დროებითვალდებულობის პერიოდში გლეხს ყოველწლიურად საშუალოდ 30 მანეთის გადახდა უხდებოდა. 40 წლის მანძილზე (1865-1904) **ტფილისის გუბერნიაში** გლეხების მხოლოდ 27 % შეძლო მიწის გამოსყიდვა კერძო საკუთრებაში, ხოლო **ქუთაისის გუბერნიაში** 60 %.

მუშათა ფენა: XIX საუკუნის 30-იან წლებში მუშათა რაოდენობა ტფილისში 300 კაცს არ აღემატებოდა. რეგიონებში ძირითადად **დღიური მუშები** იყვნენ. მიხეილ ვორონცოვის მმართველობის პერიოდში გაიხსნა რამდენიმე სერიოზული საწარმო, რომელმაც შეცვალა მანუფაქტურული წარმოება. იაკობ მარის სანერგე მეურნეობაში, ნიკოლოზ ჩიჯავაძის აბრეშუმის გადამამუშავებელ საწარმოში ძირითადად დღიური მუშები დასაქმდნენ. 1858 წლისთვის ტფილისში-73, მთელ აღმოსავლეთ საქართველოში კი 200 მცირე საწარმო იყო. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ სოფლიდან წასული ღარიბი და უმიწაწყლო გლეხები, დღიურ მუშებთან და ღარიბ ხელოსნებთან ერთად ქმნიან სამრეწველო მუშების მრავალრიცხოვან ფენას. მათი რაოდენობის ზრდას ხელი შეუწყო XIX ს-ის 70-იან წლებში ტყიბულის ქვანახშირისა და ჭიათურის მანგანუმის წარმოების დაწყებამ, აგრეთვე რკინიგზის გაყვანამ კავკასიაში. XIX საუკუნის ბოლოს მსხვილ საწარმოებში (ადელხანოვის ფეხსაცმლის, ბოზარჯიანცის თამბაქოს, როტშილდის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის...) მუშათა რაოდენობა რამდენიმე ათასს შეადგენდა. მათ უმძიმეს პირობებში (12-16 საათიანი სამუშაო დღე, დღიური ხელფასი-50 კაპიკიდან 1 მანეთამდე) უხდებოდათ მუშაობა. საწარმოებში უგულვებელყოფილი იყო ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნები და მუშას სახიჩრობის, შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში სასამართლოთი უნდა ებრძოლა კომპენსაციისათვის. XIX საუკუნის 90-იან წლებში გაჩნდა პირველი საგაფიცვო კომიტეტები, რომლებიც ორგანიზებულად ცდილობდნენ მუშათა უფლებების დაცვას საწარმოს ადმინისტრაციის წინაშე.

თავი II

საქართველო XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე

§ 1. საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება საქართველოში XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში

ერეკლე II

1783-1800 წლები ქართლ-კახეთის სამეფოსათვის უმძიმესი პერიოდი იყო. რუსეთთან კავშირმა ერეკლე II-ს გარეშე მტრებთან ერთად შინაური ოპოზიციაც გაუმრავლა და აუმხედრა. იმ თავადების ნაწილი, რომლებიც წინააღმდეგი იყო გეორგიევსკის ტრაქტატისა (1783 წ.) ახალციხის ფაშასთან გაიქცა, ლეკთა ბრბოების მეგზური გახდა და მათთან ერთად ქართლ-კახეთის სარბევად მოიწევდა. ზოგიერთმა თავადმა ქვეყნის შიგნით დაიწყო მოქმედება: მორიგე ლაშქარში აღარ გამოდიოდნენ, ერეკლეს მიერ 1765-1770 წლებში გამოცემულ საგლეხო კანონებს არ სცნობდნენ, ვაჭარ-ხელოსნებს ავიწროებდნენ.

ქართლ-კახეთის სამეფოში რუსული ორიენტაციის წინააღმდეგ არსებობდა საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი დასი, რომელიც ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკას კრიტიკული თვალსაზრისით განიხილავდა და მიაჩნდა, რომ უცხო სახელმწიფოებთან კავშირის დამყარება ან გაწყვეტა ყოველთვის კონკრეტული საგარეო-პოლიტიკური ვითარების შესაბამისად უნდა მომხდარიყო. ამ დასს სათავეში ედგა მდივანბეგი **სოლომონ ლიონიძე** და სარდალ-სახლთუხუცესი **დავით ორბელიანი**, ერეკლე მეორის სიძე. მათი აზრით, ქართლ-კახეთის ყოველგვარი უბედურების წყარო 1783 წლის ტრაქტატი და ქვეყანაში რუსთა ჯარის ყოფნა იყო.

ქართლ-კახეთში რუსეთის გამოჩენამ შეაშფოთა მისი მაჰმადიანი მეზობლები. ისინი ერეკლე II-ს გადაუდგნენ და ცდას არ აკლებდნენ, რომ რაიმე ზიანი მიეყენებინათ ქვეყნისათვის. კავკასიის მაჰმადიან ხანებს ოსმალეთი უჭერდა მხარს და ერეკლეს წინააღმდეგ ბრძოლისათვის აქეზებდა. ოსმალეთი თავის პოლიტიკას ამიერკავკასიაში უმთავრესად ახალციხის ფაშას მეშვეობით ახორციელებდა. ახალციხის ფაშა **სულეიმანს** არ გამოპარვია ის გარემოება, რომ ერეკლე რუსეთის დახმარებით ცდილობდა ოსმალთა მიერ მიტაცებული სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებას. სამფლობელოს დაკარგვის შიშით და სულთნის მთავრობის დავალებით, „განძვინდა ფაშა ახალციხის სულეიმან ათაბაგი, აღუნოდა ლეკთა და ყო ოხრება ქართლისა“.

ოსმალეთმა ფულით, საჩუქრებითა და სხვადასხვა დაპირებით ქართლ-კახეთის წინააღმდეგ აამხედრა ამიერკავკასიის ხანები და დაღესტნის მთავრები. ამიერკავკასიის ხანები აყვედრიდნენ ერეკლეს რუსთა შემოყვანას, აფრთხილებდნენ, ემუქრებოდნენ. უფრო მეტიც: მეფეს გადაუდგნენ და ხარკი შეუწყვიტეს განჯისა და ერევნის ხანებმა; თვით ყაზახ-შამშადილოს თათრებიც კი შფოთავდნენ და მეფეს აღარ ემორჩილებოდნენ. დაღესტნელთა თარეში გრ-



ბორჩალოს ციხე

ძალდებოდა, ქვეყანამ კვლავ დაცლა იწყო.

ოსმალეთის ნაქეზებით ომარ-ხან ავარიელი 1785 წლის სექტემბერში 20 000-იანი ლაშქრით ქართლ-კახეთს შემოესია. ერეკლე II-მ ვერ შეძლო საჭირო რაოდენობის ჯარის შეკრება, რადგან ამ დროს ახალციხის მხრიდან მოსალოდნელი იყო ლეკ-ოსმალთა შემოსევა. რუსთა ორი ბატალიონითა და ქართველთა მცირერიცხოვანი ჯარით ომარ-ხანთან პირისპირ შებმა შეუძლებელი იყო. ომარ-ხანმა გადალახა ალაზანი და იორი, შემდეგ მტკვარი, ისე რომ წინააღმდეგობა თითქმის არ შეხვედრია. აჰყვა დებედას ხეობას. აიღო ბორჩალოს ციხე, გაძარცვა და გაანადგურა ახტალის საბადოები. ახტალის საბადოების განადგურებით ქართლ-კახეთის სამეფომ 100 ათასი მანეთის ზარალი ნახა. ომარ-ხანმა ასევე ააოხრა ლორე და ახალციხეში გადავიდა. აქედან იგი იმერეთს შესია, მრავალი სოფელი აანიოკა, გაძარცვა და ტყვეებითა და ნადავლით დატვირთული ისევ ახალციხეში დაბინავდა. რამდენიმე თვის განმავლობაში ომარ-ხანი თავისუფლად დათარეშობდა და მხოლოდ მას შემდეგ გაეცალა საქართველოს, როცა ერეკლე II იძულებული გახდა მისთვის ყოველწლიური „ჯამაგირი" – 5000 მანეთი დაენიშნა და გარდა ამისა 10 000 მანეთი მიეცა ლეკთა ბელადებისათვის დასარიგებლად.

ამრიგად, ქართლ-კახეთის სამეფოს მძიმე დღეები დაუდგა. მოსახლეობა იხიზნებოდა, მეურნეობა მოიშალა, მნიშვნელოვნად იკლო სახელმწიფო შემოსავალმა.

გართულდა რუსეთის საგარეო მდგომარეობაც. 1787-1791 წლებში ომი მიმდინარეობდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის. რუსეთს ომი ჰქონდა აგრეთვე შვედეთთან, მღელვარება დაინყო პოლონეთშიც. ამავე დროს მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილი იყო 1789 წელს საფრანგეთში დაწყებული დიდი რევოლუციისადმი. სპარსეთში შინა არეულობა დასასრულს უახლოვდებოდა. ასეთ პირობებში რუსეთს არ შეეძლო რეალური დახმარება გაეწია საქართველოსათვის. მისი ინტერესი ჩვენი ქვეყნისადმი შესუსტდა.

გარსევან ქაქაბაძე

ერეკლე II და ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩი რუსეთის სამეფოს კარზე **გარსევან ქაქაბაძე** რუსეთის საიმპერატორო კარს მოაგონებდნენ გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და დახმარებას მოითხოვდნენ, მაგრამ შედეგი არ ჩანდა.

ქართლ-კახეთი განსაკუთრებულ გასაჭირში ჩავარდა, სახელმწიფო ხაზინაში შემოსავალი აღარსაიდან შემოდიოდა. ერეკლე II იძულებული იყო მოსახლეობა სამი წლით სამეფო გადასახადისაგან გათავისუფლებინა. მოხარკე ქვეყნები (სახანოები) ქართლ-კახეთს აღარ ჰყავდა. **ახტალის საბადოები** ომარ-ხანის შემოსევის შემდეგ ორ წელიწადს აღარ მოქმედებდა. ვაჭრობა დაეცა და საბაჟო შემოსავალმაც იკლო. ერეკლე თავის მოკავშირეს ფულს სთხოვდა სესხად, მაგრამ რუსეთის საიმპერატორო კარისაგან მან ვერაფერი მიიღო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დროისათვის რუსეთში ქართლ-კახეთისადმი ინტერესი შენელდა. რუს პოლიტიკოსებს ყოყმანი დაეტყოთ. ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდება ძნელი აღმოჩნდა. ოსმალეთის გავლენაც მეტად ძლიერი იყო მთელ კავკასიაში, ხოლო მოკავშირე ქართლ-კახეთი – სუსტი.

ასეთ ვითარებაში ოსმალეთი მოუნოდებდა ერეკლე II-ს მასთან „მეგობრობა" აღედგინა და რუსეთს ჩამოშორებოდა. ოსმალეთი ამაოდ ცდილობდა ჩაეგონებინა ერეკლე II-თვის, რომ ქართლ-კახეთს რუსეთის მხარეზე გადასვლის შემდეგ დაუდგა მძიმე ხანა.

თავადების ერთ ნაწილს, როგორც ერეკლეს, მხოლოდ რუსეთთან კავშირი მიაჩნდათ ხსნის ერთადერთ გზად. ამ დასს ეკუთვნოდნენ აგრეთვე სომეხი დიდვაჭრები და სომეხთა ეკლესიის წარმომადგენლები. თავის მხრივ, ქართველი თავადების ნაწილი – ე. წ. „მარკოზაშვილის დარბაზელები", რუსეთთან კავშირის აშკარა მოწინააღმდეგენი იყვნენ.

ამგვარად, XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში ქართლ-კახეთის რუსეთთან კავშირმა სახელმწიფოს მდგომარეობა ვერ შეუმსუბ-

უქა. პირიქით: ქვეყანას გარეშე მტრები მოუმრავლდნენ, და, ქართლ-კახეთი ამიერკავკასიაში განმარტოებული დარჩა.

ამ დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში ქართლ-კახეთის სამეფოში კვლავ მწვავედ დაისვა მოკავშირის საკითხი. დაიწყო საგარეო ორიენტაციის გადასინჯვა.

1786 წლის 12 სექტემბერს ქართლ-კახეთსა და ახალციხის საფაშოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება გაფორმდა. ქართლ-კახეთის სამეფო და ახალციხის საფაშო ამიერიდან ხელს იღებდნენ ერთიმეორის მტრობაზე. ერეკლე II ვალდებულებას იღებდა, რომ თავის სამეფოში მანამდე მყოფი რუსების ჯარის გარდა მეტს აღარ შემოიყვანდა. ახალციხის ფაშა კი მოვალე იყო ოსმალეთის ჯარები ქართლ-კახეთის საზღვრებთან არ დაეყენებინა. ახალციხის ფაშასთან ასეთი ზავის დადებით ერეკლე II-მ ერთმანეთთან შეათავსა რუსთა ჯარის ყოფნა თავის სამეფოში და სამშვიდობო ურთიერთობის დამყარება ოსმალეთის საფაშოსთან.

1786 წლის 18 დეკემბერს ერეკლე II-მ **საგარეჯოში** თათბირი მოიწვია და ოსმალეთის ელჩებს მოუსმინა. დღის წესრიგში საგარეო ორიენტაციის გადასინჯვა, კერძოდ კი, ოსმალეთთან ურთიერთობის მოგვარების საკითხი იდგა. ერეკლემ ამით აგრძნობინა რუსეთს, გონს მოსულიყო და 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული ვალდებულებები შეესრულებინა. 1786 წლის 12 სექტემბრის ზავი ახალციხის ფაშასთან და საგარეჯოს თათბირი იმის მომასწავებელი იყო, რომ ერეკლე II დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე გადასვლას აპირებდა.

საგარეო ორიენტაციის გადასინჯვის ცდას მისი შეცვლა არ მოჰყოლია. საგარეჯოს თათბირი ახალი „ორიენტაციის" ძიების მხოლოდ ერთ-ერთი რგოლი იყო და რთული ვითარებიდან თავის დაღწევას ემსახურებოდა.

სოლომონ I

1787 წელს რუსეთის საიმპერატორო კარმა საქართველოდან ჯარი უკან გაიწვია. რუსეთი ოსმალეთის წინააღმდეგ ომის დროს საქართველოში ფრონტის გახსნას მიზანშეწონილად არ თვლიდა.

ერეკლე II კარგად ხედავდა, რომ ქვეყნის ხსნისათვის არსებითი, უმთავრესი საკუთარი ძალების მობილიზაცია იყო. ქართლ-კახეთის მეფე ჩააგონებდა ქართველ მეფე-მთავრებს, რომ საჭირო იყო ურთიერთ შორის მტკიცე კავშირის დამყარება და ერთიანი ძალით ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ.

არანაკლებ მძიმე ვითარებაში იმყოფებოდა იმერეთის სამეფო. იმერეთის მეფე **სოლომონ I** 1784 წელს გარდაიცვალა. მას ვაჟი არ დარჩენია. იმერეთის ტახტისათვის იბრძოდნენ სოლომონ I-ის ძმისწული **დავით არჩილის ძე** და სოლომონის ბიძაშვილი **დავით გიორგის ძე**. ტახტის მემკვიდრეებს შორის დაუსრულებელი ბრძოლა წარმოებდა. ბოლოს იმერეთის თავადების ერთმა ჯგუფმა ქართლ-კახეთისა და იმერეთის ერთ სამეფოდ გაერთიანების საკითხი დასვა. იმერეთის თავადების წარმომადგენელნი ერეკლესთან გამოცხადდნენ შესათანხმებლად. მეფემ დარბაზი შეკრიბა. მსჯელობა სამ დღეს გაგრძელდა. **გაერთიანების წინადადებას უარი ეთქვა.** ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობაში იმყოფებოდა, ხოლო იმერეთს ოსმალეთი თავის გავლენის სფეროდ მიიჩნევდა და ამდენად, ქართლ-კახეთისა და იმერეთის გაერთიანებას ოსმალეთი ვერ მოითმენდა. მიუხედავად ამისა, ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ამერ-იმერის გაერთიანების პროგრესული იდეა მწიფდებოდა.

იმერეთის შემოერთების საქმე ჩაიშალა, მაგრამ ერეკლეს შვილიშვილის – **დავით არჩილის ძის** (შემდეგში სოლომონ II-ის სახელით ცნობილის) გამეფება იმერეთში, რაც 1789 წელს ერეკლეს ხელშეწყობით მოხდა, გაერთიანებისათვის ბრძოლაში მოპოვებული ერთგვარი წარმატების მაჩვენებელი იყო. სოლომონ II (1789-1810) ბოლომდე დარჩა ერეკლეს ერთგული მოკავშირე და მისი უპირატესობის ამღიარებელი.

როგორც აღნიშნეთ, მართალია, იმჟამად ამერ-იმერის გაერთიანება ვერ მოხერხდა, მაგრამ მონინავე ძალებმა მაინც თვალსაჩინო წარ-

აღა-მაჰმად-ხანი

მატება მოიპოვეს. 1790 წლის ივნისში სოლომონ ლიონიძის თაოსნობით გაფორმდა „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშის და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა ტფილისს". ტრაქტატს ხელს აწერდნენ: ერეკლე II, სოლომონ II, სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი და გურიის მთავარი სიმონ გურიელი. ეს ტრაქტატი მიზნად ისახავდა მტრის წინააღმდეგ საერთო ძალებით გამოსვლას.

საქართველოს მდგომარეობა სულ უფრო და უფრო რთულდებოდა. სპარსეთში დამთავრდა მრავალწლიანი შინააშლილობა. ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გამარჯვება ყაჯართა საგვარეულოს წარმომადგენელს, მრისხანე და შეუბრალებელ აღა-მაჰმად-ხანს დარჩა.

1795 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში აღა-მაჰმად-ხანი ტფილისისაკენ დაიძრა. 11 სექტემბერს კრწანისის ველზე გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა, რომელიც დილის 6 საათზე დაიწყო და საღამოს 5 საათზე დამთავრდა სპარსელთა გამარჯვებით. ქართველთა უმრავლესობა ბრძოლის ველზე დაეცა, მაგრამ სპარსელებმა თითქმის სამჯერ მეტი – ცამეტი ათასი კაცი – დაკარგეს.

ერეკლე II იმედოვნებდა, რომ დიდ ჯარს მოუყრიდა თავს და მტერს ეაჟკაცურად დახვდებოდა. სამხედრო საბჭოზე ერეკლეს განუცხადებია: მე მინდა აღა-მაჰმად-ხანი და მისი ჯარი ისე გავაფუჭო, რომ საქართველოდან ამბის მთქმელი ყიზილბაში ველარ გავიდესო. მართლაც, ქართველებს რომ მთელი თავიანთი შესაძლებლობანი გამოეყენებინათ, აღა-მაჰმად-ხანი დამარცხებას ვერ გადაურჩებოდა. ერეკლეს ბრძოლის ველზე შეეძლო სერიოზული სამხედრო ძალის გამოყენა, თუმცა განსაცდელის ჟამს 4-5 ათასი კაცი ძლივს შეგროვდა. ეს იყო შედეგი იმისა, რომ რუსეთის შემყურე ერეკლეს საკუთარი ძალებისადმი რამდენადმე უყურადღებობა დასჩემდა. რუსეთიდან კი დამხმარე ძალა არ ჩანდა. გარსევან ჭავჭავაძე ერეკლე II-ის დავალებით 1795 წლის ივლისის ნოტით რუსეთის მთავრობისაგან უკვე მერამდენედ კატეგორიულად მოითხოვდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების შესრულებას. რუსეთის მთავრობამ ამგვარი მნვავე მოთხოვნაც უპასუხოდ დატოვა. რუსეთის საიმპერატორო კარი, ამიერკავკასიაში გამწვავებული ვითარებიდან ისეთ ფინალს მოელოდა, რომელიც ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში ჩარევას უფრო ხელსაყრელს გახდიდა.

1795 წელს კრწანისის ომში დამარცხების მიზეზი შინააშლილობაშიც უნდა ვეძიოთ. „მარკოზაშვილის დარბაზელები" სოფელ-სოფელ დაძრწოდნენ და ხალხში დეზორგანიზაცია შეჰქონდათ. სამართლიანად აღნიშნავს ალექსან-

კრწანისი

დრე ორბელიანი: „თითქმის ქალაქ ტფილისის მახლობლად მოვიდა აღა-მაჰმად-ხანი, ჯარი ჯერ კიდევ არსად იყო მეფის ირაკლისათვის, ყოველს მხარეს აიყარნენ ქართველები და მაგარს ადგილებში დაიხიზნენ. თავადნი თუ აზნაურნი, ანუ გლეხნი სულერთიან. ამისათვის იტყვიან: ციხე შიგნიდან გატყდებაო. ასე იყო მაშინ



ანანური

ეკატერინე II

საქართველოს საქმე. მეფის ირაკლის მტრობის გულისათვის ის უსინდისონი, სადაც იმ დროს მთელს საქართველოში მეფის ირაკლის მტრები ჩუმად დანანწალებდნენ და ხალხს აშინებდნენ: ალა-მაჰმად-ხანი ორასი ათასი ჯარით მოდის, დაიხიზნენით, თორემ სულერთიან წაკლეკამსო". მოღალატეთა თავხედობა იქამდე მივიდა, რომ თავადმა ანდრონიკაშვილმა ორასი ქიზიყელი მეომარი კრწანისის ბრძოლის წინაღამეს გაპარა.

ამრიგად, კრწანისის ტრაგედიის ძირითადი მიზეზი ქართლ-კახეთის მცდარი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია და ქვეყნის შინაგანი დაუძლურება, ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე იყო.

ალა-მაჰმად-ხანის ჯარებმა ტფილისი მინასთან გაასწორეს. **თეიმურაზ ბატონიშვილი** გადმოგვცემს: ტფილისში შემოსვლისთანავე ალა-მაჰმად-ხანი მეფის პალატებისაკენ გაეშურა. შაჰმა ყურადღებით დაათვალიერა შენობა, ინახულა მეფის სალარო, რაც მოეწონა, თვითონ წაიღო, შემდეგ სასახლე ლაშქარს მისცა გასაძარცვავად. მან ჯარს ნება დართო გაეძარცვათ და დაეწვათ ეკლესიები, სასახლეები და კერძო სახლები, გაენყვიტათ ან ტყვედ წაეყვანათ მცხოვრებნი.

ანანურში გახიზნული ერეკლე II ძალებს იკრებდა. უშედეგოდ დამთავრდა მოლაპარაკება ალა-მაჰმად-ხანსა და ერეკლეს შორის. კრწანისის ტრაგედიის შემდეგ ურთიერთობის აღდგენა გამორიცხული იყო. სპარსეთსა და ქართლ-კახეთს შორის პოლიტიკურ კავშირს საფუძველი გამოეცალა.

1795 წლის 20-21 სექტემბერს ალა-მაჰმად-ხანი თავისი ლაშქრით, ნაძარცვით და 15 ათასამდე ტყვით, ტფილისს გაეცალა.

ალა-მაჰმად-ხანის საქართველოში ლაშქრობამ ოსმალეთის დიდი კმაყოფილება გამოიწვია. სულთანმა ალა-მაჰმად-ხანს საგანგებოდ მიულოცა გამარჯვება და კავშირიც შესთავაზა. დიდად კმაყოფილნი დარჩნენ საფრანგეთი და ინგლისი. ისინი ხომ ამ ფაქტში რუსეთის დამარცხებას ხედავდნენ და ამიერკავკასიიდან თავიანთი მეტოქის, რუსეთის, საბოლოოდ განსადევნად ალა-მაჰმად-ხანს კვლავ საქართველოში ლაშქრობას ურჩევდნენ.

რუსეთის საიმპერატორო კარი თავის შეცდომას გვიან მიხვდა. ალა-მაჰმად-ხანი ტფილისიდან წასული იყო, როცა კავკასიის ხაზის უფროსმა გენერალმა **ივანე გუდოვიჩმა** პეტერბურგიდან ერეკლესათვის დახმარების აღმოჩენ-

პავლე I

ნის ნებართვა მიიღო. ამ დროს რუსეთში ერთხელ კიდევ გაცოცხლდა ჩრდილოეთ სპარსეთის დაჭერისა და ინდოეთთან სავაჭრო კავშირის დამყარების გეგმა, რომელიც პეტრე I-მა შეიმუშავა თავის დროზე. საქართველოს დაცვისა და ალა-მაჰმად-ხანის დასჯის საბაბით 1796 წლის გაზაფხულზე 30 ათასი კაცისაგან შემდგარი რუსთა ჯარი დარუბანდის გზით ამიერკავკასიაში შემოიჭრა.

რუსთა ჯარმა გენერალ **ვალერიან ზუბოვის** სარდლობით, აიღო **დარუბანდი, ყუბა, ბაქო, სალიანი, შამახია,** გავიდა **მულანს** და შიგნით **სპარსეთში** სალაშქროდ ემზადებოდა.

ივანე გუდოვიჩი

პეტერბურგში სპარსეთის ლაშქრობის გეგმასთან ერთად პეტრე I-ის ძველი გეგმის მეორე ნაწილიც მოაგონდათ: ამიერკავკასიაში ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნა. გეგმის ავტორების აზრით, ასეთ სახელმწიფოდ ქართლ-კახეთის სამეფო უნდა ქცეულიყო. პეტერბურგიდან ერეკლეს ამხნევებდნენ, რომ მისი სამეფოს ფარგლები მდ. არაქსიდან ოსმალეთის საზღვრებამდე უნდა გაფართოებულიყო. მაგრამ ყველაფერი ეს ისევე სწრაფად გაქრა, როგორც აღმოცენდა.

1796 წლის 6 ნოემბერს რუსეთის იმპერატორი **ეკატერინე II** გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრემ **პავლე I-მა** რუსეთის საგარეო პოლიტიკის კურსი შეცვალა, სპარსეთში ლაშქრობა შეწყვიტა და ჯარი უკან გაინვია. აღა-მაჰმად-ხანმა ეს თავის გამარჯვებად მიიჩნია და კვლავ საქართველოში ლაშქრობა დააპირა. **აღა-მაჰმად-ხანი** ყარაბაღს მოვიდა, მაგრამ 1797 წლის 6 ივნისს შეთქმულებმა იგი ყარაბაღშივე გამოასალმეს სიცოცხლეს.

XVII საუკუნის მიწურულს ქართლ-კახეთის სამეფო მძიმე განსაცდელში ჩავარდა. შინააშლილობა და გარეშე მტრები მას საბოლოო დალუპვას უმზადებდნენ. 1795 წელს სპარსელთა გამანადგურებელმა ლაშქრობამ მოშალა ქვეყნის ეკონომიკა და ლახვარი ჩასცა მის პოლიტიკურ ცენტრს – ტფილისს.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ კიდევ უფრო შეამცირა ისედაც შეთხელებული ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობა. ბრძოლაში დაღუპულთა და ტყვედ წაყვანილთა გარდა ზოგი შიმშილმა იმსხვერპლა, ზოგი შავმა ჭირმა, ხოლო ნაწილმა მთიანეთს შეაფარა თავი. 65 ათასი ოჯახიდან, რომელიც აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე ცხოვრობდა ქართლ-კახეთში, 35 ათასი დარჩა. ეს იყო ნამდვილი ეროვნული კატასტროფა.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად განადგურებული ქართლ-კახეთის სამეფო და დანგრეული ტფილისი ღრმა იარებს იშუშებდა. ქვეყანა ძალებს იკრებდა, მაგრამ პატარა სახელმწიფოს თავდაცვითი შესაძლებლობა წინანდელთან შედარებით ნელ-ნელა კლებულობდა.

ერეკლე II-სა და ქართლ-კახეთის პოლიტიკოსთა გატაცება რუსეთის მიერ დასახული მომხიბლელი გეგმებით კვლავაც ხანმოკლე აღმოჩნდა. მალე ქვეყანა საკუთარი ძალების ანაბარად დარჩა.

აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობამ 1795 წელს



თელავი. ბატონის ციხე

კიდევ ერთხელ და თვალსაჩინოდ დაამტკიცა, რომ სპარსეთი საქართველოს მოკავშირედ ვერ გამოდგებოდა. სპარსელ დამპყრობთადმი ხალხის სიძულვილს საზღვარი აღარ ჰქონდა. ერეკლემაც გადაჭრით უარყო მაჰმადიანურ სპარსეთთან მორიგების გზა და ქრისტიანულ რუსეთთან კავშირის განმტკიცება-გაღრმავებით კიდევ უფრო გააღიზიანა საქართველოს კარსმომდგარი მრისხანე დამპყრობელი.

რუსეთის იმპერატორის პავლე I-ის მიერ რუსთა ჯარების კასპიისპირეთიდან უკან გაწვევით და სპარსეთთან ომის ძენწყვეტით ძეშფოთებულმა ერეკლე II-მ გარსეკან ქავქავაძე კვლავ მიავლინა პეტერბურგს. ერეკლე პავლე I-ს სთხოვდა, რომ საქართველოში 4 ათასი მეომარი გამოეგზავნა. ამასთანავე, ერეკლე პავლე I-ს აღა-მაჰმად-ხანის მიერ გამოგზავნილ მუქარის წერილებსაც უგზავნიდა. ამ წერილებში სპარსეთის მბრძანებელი რუსთა ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანას მოითხოვდა და 1795 წლის სისხლისღვრაში დამნაშავედ ერეკლეს აცხადებდა, რომელიც სპარსეთს გადაუდგა და მის სამფლობელოში რუსები შემოიყვანა. მიუხედავად ერეკლე II-ის კატეგორიული მოთხოვნისა, რუსეთიდან რეალური დახმარება არ ჩანდა.

რუსეთის საიმპერატორო კარი ფორმალურად არ უარყოფდა გეორგიევსკის ტრაქტატს, მაგრამ ტრაქტატით გათვალისწინებულ ვალდე-

ვალერიან ზუბოვი

ბულებებს არ ასრულებდა. საკმარისია მივუთითოთ თუნდაც ერთ დოკუმენტზე, რომ ყოველივე ეს ნათელი გახდეს. საქართველოს საკითხზე პაველ I კავკასიის ხაზის უფროსს გენერალ **ივანე გუდოვიჩს** სწერდა: „მეფე ერეკლესთან, ამ მპყრობელთან ხელშეკრულების თანახმად სასურველია გვქონდეს ყოველგვარად სასიამოვნო დამოკიდებულება და კეთილგანწყობილება, და ერთსულოვნება დამყარდეს მასსა და იმ მფლობელებს ძირის, რომლებიც რუსეთის ერთგულნი არიან, რათა საჭიროების შემთხვევაში შერთებული ძალებით ყველა ისინი დადგნენ ჩვენი მტრების მცდელობის წინააღმდეგ, ხოლო ჩვენის მხრივ, რაც შეიძლება ნაკლებად იყოს საჭირო მათ დასახმარებლად შეიარაღებული გამოსვლა".

ერეკლე II-ს ყოველგვარი საფუძველი ჰქონდა, დაჟინებით მოეთხოვა რუსეთის საიმპერატორო კარისაგან ჯარითა და ფულით დახმარება დანგრეული ქვეყნის აღდგენა-გაძლიერებისათვის. რუსეთი ერეკლესაგან დიდად დავალებული იყო იმით, რომ ქართლ-კახეთის სამეფომ დიდი მატერიალური და მორალური მსხვერპლი გაიღო რუსეთის იმპერიის მიზნების განხორციელებისათვის ამიერკავკასიაში. მართალია, ერეკლე რუსეთის ძალთა გამოყენებას საკუთარი ინტერესებისათვის ცდილობდა, მაგრამ ასეთი ცდების ობიექტური შედეგი ქართლ-კახეთის საბოლოო გაძლიერება კი არა, რუსეთის გავლენის გაფართოება და ამიერკავკასიაში მისი პოზიციების განმტკიცება იყო.

XVIII საუკუნის 90-იან წლებში რუსეთთან ურთიერთობის მთელი ისტორია იმაზე მიუთითებდა, რომ მეფის რუსეთი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე განიხილავდა ქართლ-კახეთისადმი „დახმარებას", რაც საბოლოო ანგარიშში აქ რუსეთის სრული გაბატონებით უნდა დამთავრებულიყო; მაშინ საჭირო ჯარიც, ისევე როგორც ფინანსებიც გამოჩნდებოდა.

ერეკლე II-ის დაჟინებული მოთხოვნები და ხვენნა-მუდარა უშედეგო აღმოჩნდა. 1797 წლის შემოდგომაზე ქართლ-კახეთში დარჩენილი რუსთა ჯარიც გაიყვანეს, ერეკლე II-ს ფულადი სესხიც არ მისცეს.

ასეთ ვითარებაში გარსევან ჭავჭავაძე 1797 წლის 31 დეკემბრის ნოტით რუსეთის საიმპერატორო კარისაგან გადაჭრით მოითხოვდა 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას ან მასზე უარის თქმას.



გეორგიევსკის ტრაქტატი

1797 წლის 31 დეკემბრის ნოტაზე პასუხის მოლოდინში 1798 წლის 11 იანვარს თელავში 78 წლის ასაკში გარდაიცვალა **ერეკლე II**, რომელსაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ შეუნყვეტია სახელმწიფო მოღვაწეობა. ერეკლეს გარდაცვალება მით უფრო საბედისწერო იყო, რომ ტახტის მემკვიდრე გიორგის იმ რთულ ვითარებაში სახელმწიფო საქმეთა ღირსეულად გაძღოლის უნარი არ გააჩნდა.

ერეკლე II-ის გარდაცვალებასა და გიორგი XII-ის მეფედ კურთხევასთან დაკავშირებით ქართლ-კახეთის ისედაც რთული და დაძაბული საშინაო-პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო გართულდა და დაიძაბა. სამეფო სახლის წარმომადგენელთა შორის ტახტის დაუფლებისათვის. სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა, ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ბატონიშვილთა უფროსი და უმცროსი თაობების წარმომადგენლები, რომლებიც იულონ ერეკლისძისა და დავით გიორგისძის გარშემო დაჯგუფდნენ.

ქვეყნის შინაგანი სისუსტით ისარგებლა რუსეთის საიმპერატორო კარმა და 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით აღიარებული ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობა XIX საუკუნის დასაწყისში ანექსიით შეცვალა.

გიორგი XII

§ 2. ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობა რუსეთის მიერ

ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის გარდაცვალებით ქვეყანამ დაკარგა მტკიცე და ჭკვიანი წინამძღოლი, უბადლო სარდალი, რომელიც ქვეყნის შინაურ ოპოზიციას ასე თუ ისე თრგუნავდა, ხოლო ყმადნაფიცი და მეზობელი ქვეყნების განდგომა-აგრესიას აკავებდა. გიორგი XII-ის ხანმოკლე მეფობის პერიოდში (1798-1800) ქართლ-კახეთის სამეფოში საშინაო და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით სასიკეთო ღონისძიება არ გატარებულა, პირიქით, ინგრეოდა ერეკლესდროინდელი, ქვეყნისათვის სასარგებლო ნამონყებანი. **რუსეთთან ურთიერთობის საკითხშიც გიორგი XII-მ გადაუხვია ერეკლესეულ ხაზს და ქვეყნის დამოუკიდებლობის შეზღუდვაზე თანხმობით ერთგვარად წააქეზა კიდეც რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისაკენ.**

1799 წლის 7 სექტემბერს და 1800 წლის 24 ივნისს გიორგი XII-ის რწმუნებით ქართველმა ელჩებმა **გარსევან ჭავჭავაძემ, გიორგი ავალიშვილმა** და **ელიზბარ ფალავანდიშვილმა** რუსეთის იმპერატორ პავლე I რუსეთ-ქართლ-კახეთის ხელშეკრულების ახალი პროექტი წარუდგინეს. პროექტის ძირითადი მოთხოვნები ასეთი იყო: 1799 წლის 7 სექტემბრის ხელშეკრულების პროექტით გიორგი XII ითხოვდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფლობელობაში ყოფილიყო იმ უფლებათა საფუძველზე, რომლითაც სარგებლობდნენ რუსეთის იმპერიის ფარგლებში შემავალი სხვა მხარეები. გიორგი XII პავლე I-ს თხოვდა წერილობით გარანტიას ბაგრატიონთა სამეფოს სამემკვიდრეო უფლებების დაცვისათვის. ანალოგიური თხოვნა წარუდგინეს ქართველმა ელჩებმა პავლე პირველს 1800 წლის 24 ივნისს. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, **რომ** ამჯერად გიორგი XII თავის თავს ცნობდა ქართლ-კახეთის მეფედ და რუსეთის იმპერატორის ვასალად და ყოველწლიურ ჯამაგირსა და ოცდაათი ათას სულ ყმა-გლეხს მოითხოვდა რუსეთში. ამავე პროექტში მეფე გიორგი ქართლ-კახეთის სამეფოს დასაცავად რუსეთის ჯარის კონტინგენტის გაზრდას ითხოვდა. გიორგი XII ითხოვდა, რომ ქართლ-კახეთის მოსახლეობის ყველა წოდება გათანაბრებოდა რუსეთის იმპერიის შესაბამის წოდებებს, გლეხობას რამდენიმე წლით უნდა მისცემოდა საგადასახადო შეღავათი და სხვ.

ივანე ლაზარევი

ჯერ კიდევ 1799 წლის დასაწყისში გიორგი XII-მ მოსთხოვა რუსეთის იმპერატორს მემკვიდრეობის წესის შეცვლა და ნაცვლად **იულონ ბატონიშვილისა** ტახტის მემკვიდრედ თავისი შვილის **დავითის** დამტკიცება. პავლე I-მა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი აღადგინა და 1799 წლის 18 აპრილს გიორგი XII-ის მოითხოვნა შეასრულა. 1799 წლის 26 ნოემბერს ალმოსავლეთ საქართველოში რუსთა 46-ე ეგერთა პოლკი შემოვიდა, რომელსაც მეთაურობდა გენერალი **ივანე ლაზარევი**. მას თან ჩამოყვა რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი გიორგი XII-ის კარზე – მინისტრი **პეტრე კოვალენსკი**. ტფილ-

იულონ ბატონიშვილი

დარეჯან დედოფალი

ალექსანდრე ბატონიშვილი

ისის მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა რუსთა ჯარის შემოსვლას, რამაც ილია ჭავჭავაძეს ათქმევინა: „მეფის კარიდან დანყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა. ყველას, დიდიდამ პატარამდე, ქალით კაცამდე, გული აევსო იმ სანატრელ იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერად და უტკივრად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობაში ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი". განაწამები ხალხი ფიქრობდა, რომ რუსთა ჯარი ქვეყანას მშვიდობას მოუტანდა და მდგომარეობას შეუმსუბუქებდა. პირველი შედეგი, რუსთა ჯარის შემოყვანას რომ მოჰყვა, მართლაც დიდი იმედების მომცემი იყო. თუმცა მალე გაირკვა რომ, რუსეთის იმპერიის სახით ქართველი ერის წინაშე აგრესორი ქვეყანა იდგა, რომელიც დაპყრობით ემუქრებოდა არა მარტო ქართლ-კახეთის სამეფოს, არამედ მთელ საქართველოს.

ავადმყოფ მეფე გიორგი XII-ს ხანმოკლე მეფობის პერიოდში ყველაზე მეტად ის აწუხებდა, თავისი ძმებისა და დარეჯან დედოფლის მხრიდან მომდინარე საფრთხე აეცილებინა თავიდან. ერეკლე II-ის ქერივი **დარეჯან დედოფალი** და მისი შვილები (გიორგი მეფის ნახევარძმები) საკმაოდ აქტიურად მოქმედებდნენ გიორგი XII-ის წინააღმდეგ. ისინი ქართლ-კახეთის სხვადასხვა კუთხეში თავადებს იბირებდნენ და აზერბაიჯანის სახანოებისა და ახალციხის ფაშას დახმარებით აპირებდნენ სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებას. ამავე დროს ქართლ-კახეთის სამეფოში აშლილობა და არეულობა არ ნელდებოდა. ერეკლე II-ის შვილი, **ალექსანდრე ბატონიშვილი** ცდილობდა გარე ძალის დახმარებით გაეკაფა გზა სამეფო ტახტისაკენ. 1800 წლის 7 ნოემბერს რუს-ქართველთა ჯარმა სასტიკად გაანადგურა ომარ-ხან ავარიელის (ხუნძახის მფლობელის) ოცი ათასიანი ლაშქარი. ომარ-ხან ავარიელის ლაშქარს ალექსანდრე ბატონიშვილიც მოჰყვებოდა. მართალია, ამჯერად იგი დამარცხდა და გაიქცა, მაგრამ ახალი ლაშქრობის საფრთხე კვლავ არსებობდა. მართებულად მიუთითებს აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი: „1783 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე ქართლ-კახეთი თანდათან ეცემოდა. იშვიათად განუცდია აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ასეთი ხანა: თითქოს მთელი მსოფლიო მტრად აუტყდა სუსტ ქვეყანას; საგარეო მტრები შინაურ მტრებს, რეაქციონერ თავადებს დაუკავშირდნენ და ამ ძლიერმა კავშირმა ქართველი საზოგადოების მოწინავე ძალები დროებით დაამარცხა".

1800 წლის 17 ნოემბერს ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩებმა, გარსევან ჭავჭავაძემ, გიორგი ავალიშვილმა და ელიზბარ ფალავანდიშვილმა, ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის სახელით რუსეთის იმპერატორ პავლე I-ს მოხსენება წარუდგინეს. ელჩები აცხადებდნენ, რომ გიორგი XII-ს სურს რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომი გახდეს და იქვე მოუთითებდნენ იმ პირობებზე, რომელთა დაცვა ქართლ-კახეთის მეფეს საჭიროდ მიაჩნდა:

1. ქართლ-კახეთის მეფე ვალდებულებას კისრულობს, რომ პირნათლად შეასრულოს ყველაფერი ის, რასაც ასრულებენ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომები. ის აღიარებს ყველა კანონსა და ბრძანებას, რომელსაც რუსეთის იმპერატორი გამოსცემს, სცნობს რუსეთის იმპერატორს საკუთარ ხელმწიფედ და თვითმპყრობელად.

2. გიორგი XII ითხოვს, რომ ის დატოვებულ იქნას ქართლ-კახეთის მეფედ, ხოლო მის შემდეგ ქართლ-კახეთის მეფეებად დამტკიცებულ იქნან მისი მემკვიდრეები, რომლებიც რუსეთის იმპერიის ერთგული ქვეშევრდომები იქნებიან.

3. ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ დადგენილი მმართველობა და კანონები უნდა გატარდეს, მაგრამ ის მისალები უნდა იყოს ქართველი ხალხისათვის.

4. თავის მხრივ, ქართლ-კახეთის მეფეებს რუსეთის იმპერატორის ბრძანებულების გარეშე უფლება არ უნდა ჰქონდეთ საკუთარი კანონების გამოცემისა.

დავით ბატონიშვილი

5. ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის იმპერატორისაგან ითხოვს ჯამაგირის დანიშვნასა და რუსეთში სოფლების ბოძებას.

6. ქართლ-კახეთის სამეფოს მთელი შემოსავალი უნდა გადასცემოდა რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას საჭიროების მიხედვით მოხმარებისათვის.

7. ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის იმპერატორისაგან ითხოვდა გლეხობაზე გადასახადებში შეღავათების გავრცელებას.

8. გიორგი XII ითხოვდა ქართლ-კახეთის ციხე-სიმაგრეებში ექვსი ათასი ჯარისკაცის ჩაყენებას. ციხე-სიმაგრეების კომენდანტებად ქართველები უნდა ყოფილიყვნენ.

9. ქართლ-კახეთის სამეფოში უნდა შექმნილიყო ქართული მილიცია ეროვნული ტანსაცმლით.

10. გიორგი XII რუსეთის მთავრობისაგან ითხოვდა რუსეთიდან მცოდნე სპეციალისტების გამოგზავნას, რომლებიც წარმართავდნენ ოქროს, ვერცხლისა და სხვა ლითონის მადნების დამუშავებას.

11. გიორგი XII რუსეთის იმპერატორისაგან ითხოვდა ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ფულის რუსულ-ქართული წარწერით მოჭრის უფლებას იმპერატორის გვირგვინისა და ქართული სამეფო ღერბის გამოსახულებით.

12. გიორგი XII ითხოვდა ყველა იმ უფლებისა და კანონის გავრცელებას ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობაზე, რომლებიც რუსეთის ქვეშევრდომებს ეხებოდა (როგორც თავადაზნაურობაზე, სამღვდელოებასა და ვაჭრებზე, ისე მთელ მოსახლეობაზე) და სხვ.

ქართლ-კახეთის მეფის ელჩების მოხსენებას წინ უსწრებდა გრაფ **მუსინ-პუშკინის** მოხსენება რუსეთის იმპერატორისადმი, რომელმაც დაარწმუნა პავლე I, თუ რამდენად დიდი სარგებლობა შეეძლო მოეტანა რუსეთის იმპერიისათვის ქართლ-კახეთის შეერთებას.

რუსეთის საიმპერატორო კარი ყურადღებით ადევნებდა თვალს ქართლ-კახეთის სამეფო კარზე შექმნილ ვითარებას. რუსეთის იმპერატორი პავლე I 1800 წლის 15 ნოემბერს საიდუმლოდ სწერდა კავკასიის ხაზის უფროს გენერალ **კარლ კნორინგს**: „მეფის ავადმყოფობა საფუძველს გვაძლევს, რომ მალე მოველოდეთ მის გარდაცვალებას. ამიტომ, როგორც კი ეს მოხდება, დაუყოვნებლივ გაგზავნეთ იქ ჩვენი სახელით განცხადება, რომ ჩვენგან ნებართვის მიღებამდე არ შეუდგნენ ტახტის მემკვიდრის მეფედ კურთხევას“. ერთი სიტყვით, ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის ე. წ. სათხოვარ პუნქტებს, რომლებიც ქართველმა ელჩებმა წარუდგინეს პავლე I-ს, განხორციელება არ ეწერა.

ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩების მიერ წარდგენილ სათხოვარ პუნქტებს არაჩვეულებრივი წარმატება ხვდა წილად. საქართველოს საკითხი აქტიური გახდა რუსეთის პოლიტიკისათვის და ქართველი ელჩების მოხსენებაც პავლე I-ის განსაკუთრებული ყურადღების ღირსი აღმოჩნდა. იმპერატორმაც არ დააყოვნა და 1800 წლის 17 ნოემბერს ქართველი ელჩების მიერ წარდგენილი მოხსენების ყველა პუნქტის აპრობაცია ორ დღეში, 1800 წლის 19 ნოემბერს მოახდინა. გახარებული და დამშვიდებული ელჩები გიორგი ავალიშვილი და ელიზბარ ფალავანდიშვილი თავიანთი თანმხლები პირებითურთ ტფილისში გამოემგზავრნენ. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ქართლ-კახეთის მეფის სათხოვარს არ ელოდა განხორციელება.

ქართველი ელჩები ჯერ კიდევ ტფილისში არ იყვნენ ჩამოსულნი, როცა რუსეთის საიმპერატორო კარზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება **ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლების გაუქმების** შესახებ. მომზადდა მანიფესტი, რომლის თანახმად ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლება უქმდებოდა და ქვეყანა რუსეთთან შეერთებულად ცხადდებოდა. 1800 წლის 18 დეკემბერს რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს **ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების** შესახებ. ეს აქტი არა მარტო ქართლ-კახეთის სამეფოს, არამედ მთელი საქართველოს რუსულ გუბერნიად გადაქცევას მოასწავებდა. 1800 წლის 18 დეკემბრის მანიფესტი ხელყოფდა ქართველ ბაგრატიონთა დინასტიურ უფლებებს, რითაც დარღვა ის პირობა, რომელიც 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით იყო გათვალისწინებული

ალექსანდრე I

და რასაც რუსეთის მთავრობა ქართველ ელჩებთან მოლაპარაკებისას ყოველთვის ადასტურებდა. პავლე I-ის მიერ ხელმოწერილი მანიფესტი საიდუმლოდ გადაუგზავნეს გენერალ **კარლ კნორინგს** სათანადო მითითებით: გიორგი XII-ის გარდაცვალებამდე მანიფესტი არ უნდა გამოეცხადებინათ.

გიორგი XII 1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა. მისმა გარდაცვალებამ კიდევ უფრო გაამწვავა წინააღმდეგობა ბატონიშვილებს შორის. **დავით** და **იულონ ბატონიშვილები** გააფთრებით ებრძოდნენ ერთმანეთს სამეფო ტახტის დასაუფლებლად. კავკასიის ხაზის უფროს გენერალ **კარლ კნორინგს** საბაბი მიეცა იმისათვის, რომ პავლე I-საგან საიდუმლოდ მიღებული მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შესახებ ოფიციალურად გამოეცხადებინა. მიუხედავად ამისა კნორინგმა თავი შეიკავა, ვინაიდან იცოდა, რომ პეტერბურგიდან ქართველ ელჩებს მანიფესტის საწინააღმდეგო სიგელები მოჰქონდათ. 1801 წლის 8 იანვარს ტფილისში დაბრუნდნენ ქართველი ელჩები გიორგი ავალიშვილი და ელიზბარ ფალავანდიშვილი, რომლებმაც ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილს მოახსენეს საქმის „ნამდვილი ვითარების" შესახებ. 1801 წლის 14 იანვარს ქართლ-კახეთის სამეფო კარის ნევრთა საზეიმო შეკრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ქართლ-კახეთის არისტოკრატიისა და სამღვდელოების წარმომადგენლები, ქართველმა ელჩებმა დავით ბატონიშვილს გადასცეს რუსეთის იმპერატორისაგან გიორგი XII-ის სახელზე გამოგზავნილი სიგელი („ორმხრივი აქტი"). **დავით ბატონიშვილმა რუსეთის საიმპერატორო კარზე ჯერ კიდევ დაუმტკიცებელი ხელშეკრულებით თავი ქართლ-კახეთის სამეფო გამგებლად გამოაცხადა.** ის დარწმუნებული იყო, რომ მალე იმპერატორისაგან მეფედ დამტკიცების სიგელსაც მიიღებდა. მეფედ დამტკიცების ნაცვლად დავით ბატონიშვილს პეტერბურგიდან მოსთხოვეს, რომ რუსეთის იმპერატორთან გაეგზავნა ქართლ-კახეთის სამეფოს ნდობით აღჭურვილი დეპუტაცია, რომელიც პავლე I-ს წარუდგენდა თხოვნას ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში მიღების შესახებ. დავით ბატონიშვილი ამ ფაქტმა აღაშფოთა და მან არ ისურვა დეპუტაციის გაგზავნა რუსეთის დედაქალაქში. მიუხედავად ამისა, დავითის სურვილის წინააღმდეგ, რუსეთის მოხელეებმა, რომლებიც ახლდნენ ტფილისში მინისტრად მოვლენილ კოვალენსკის და ქართველი არისტოკრატიის რენეგატმა წარმომადგენლებმა მაინც შეძლეს მცირერიცხოვანი დეპუტაციის გაგზავნა პეტერბურგში.

1801 წლის 16 თებერვალს რუსეთის იმპერატორ პავლე I-ის მიერ ხელმოწერილი მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შესახებ ტფილისში, სიონის ტაძარში, საგანგებოდ შეკრებილ ხალხს წაუკითხეს. **პავლე I-ის მიერ ხელმოწერილი მანიფესტით აღმოსავლეთი საქართველო რუსეთის გუბერნია უნდა გამხდარიყო, ხოლო მისი მმართველობა რუსეთის საგუბერნიო მმართველობის შესაფერისი უნდა ყოფილიყო.** 1801 წლის 6 მარტს რუსეთის იმპერატორმა ქართლ-კახეთის გენერალ-გუბერნატორად კავკასიის ხაზის გენერალ-ლეიტენანტი კარლ კნორინგი დანიშნა. ამგვარად, რუსეთის სატახტო ქალაქში ქართლ-კახეთის სამეფოს დეპუტაციის ჩამოსვლას არ დაელოდნენ და აღმოსავლეთ საქართველოს შეერთება რუსეთთან და მისი ადმინისტრაციული მოწყობა ცალმხრივად გააფორმეს.

ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის სიცოცხლეში 1800 წლის 18 დეკემბერს პავლე I-ის მიერ ხელმოწერილი მანიფესტი 1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგისა და მოსკოვის „უწყებებში" გამოქვეყნდა. 1801 წლის 20 იანვრის ბრძანების საფუძველზე ქართლ-კახეთის სამეფო სახლის ყველა ნევრს (ბაგრატიონებს) რუსეთის დედაქალაქში ინვევდნენ.

რუსეთის იმპერატორი პავლე I შეუდგა პირველი ღონისძიებების გატარებას ბაგრატიონთა ხელისუფლების ლიკვიდაციისათვის. ასეთ მძიმე სიტუაციაში ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილი, ერეკლე II-ის შვილიშვილი, თავი-

სი დიდი პაპის ტრადიციათა ღირსეული გამგრძელებელი ვერ აღმოჩნდა. დავითი ვერ გაერკვა შექმნილ ვითარებაში, და ხელისუფლების დაკარგვის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით რაიმე არსებითი ღონისძიება ვერ გატარა.

იმპერატორ პავლე I-ს აღარ დასცალდა თავისი ჩანაფიქრის განხორციელება. 1801 წლის 11 მარტს იგი შეთქმულებმა მოკლეს. რუსეთის იმპერატორის ტახტი დაიკავა მისმა შვილმა ალექსანდრე I-მა. ახალგაზრდა იმპერატორმა, რომელიც მამამისზე გაცილებით ჭკვიანი და გონიერი იყო, ქართლ-კახეთის საკითხის ხელაღებით გადაწყვეტისაგან თავი შეიკავა. იმპერატორი შიშობდა, რომ ქართლ-კახეთში სახელმწიფოებრიობის გაუქმებას საქართველოსა და საერთაშორისო ასპარეზზე, შეიძლებოდა, გართულება მოჰყოლოდა.

ამასობაში ქართველმა ელჩებმა ქართლ-კახეთის დეპუტაციითურთ პეტერბურგს ჩააღწიეს.

გიორგი ავალიშვილმა და ელიზბარ ფალავანდიშვილმა გარსეგან ჭავჭავაძისეული ნოტის საფუძველზე ვრცელი მოხსენება წარუდგინეს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ს. მოხსენება ძირითადად ასახავდა ქართლ-კახეთის სამეფოს არისტოკრატიის მცირე ნაწილის სურვილს, რომელიც გიორგი XII-ს თანაუგრძნობდა ერეკლე II-ის შვილებს შორის სამეფო ტახტის მემკვიდრეობისათვის გამართულ ბრძოლაში. მოხსენება შეეხებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს მმართველობის ძირითად საკითხებს და მათ პრინციპულ გადაწყვეტას ითხოვდა:

1. აღმოსავლეთ საქართველოს მმართველად უნდა დანიშულიყო გიორგი XII-ის ერთ-ერთი ძეთაგანი, ის უნდა ყოფილიყო იმპერატორის მოადგილე და ეტარებინა ქართლ-კახეთის მეფის წოდება.

2. ქართლ-კახეთის მეფის ანუ იმპერატორის მოადგილის თანაშემწედ უნდა დანიშნულიყო რუსი მოხელე; ორივეს სახელით უნდა მომზადარიყო სამეფოსათვის „რიგისა და სამართლის" მიცემა.

3. ქართლ-კახეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო უნდა ყოფილიყო სამეფო საბჭო, ხოლო მისი წევრები: ქართლ-კახეთის მეფე, მისი თანაშემწე (რუსი მოხელე), სამი ქართველი თავადი და აღმოსავლეთ საქართველოში მყოფი რუსთა ჯარის სარდალი. სამეფო საბჭოს მდივნები უნდა ყოფილიყვნენ ქართველი და რუსი მოხელეები.

4. ადგილობრივი მმართველობა სასამართლო, პოლიცია და სხვა სამეფო საბჭოს მსგავსი პრინციპით უნდა მოწყობილიყო. ყველგან მმართველობის სათავეში ქართველი უნდა მდგარიყო, ხოლო რუსი მოხელეებისათვის თანაშემწის (მოადგილის) ადგილი იყო ნაგულისხმევი.

5. ბატონიშვილებს, თავადებსა და აზნაურებს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფლობელობაში გადასვლის შემდეგაც მამულები ხელუხლებლად და სამუდამოდ უნდა შენარჩუნებოდათ.

6. ქართლ-კახეთის მართლმადიდებლური ეკლესია დამოუკიდებელი უნდა დარჩენილიყო.

7. აზნაურები უნდა ჩამორთმეოდათ ბატონიშვილებს, თავადებს, ეკლესია-მონასტრებს და იმპერატორის ბრძანებით ისინი უნდა გამოცხადებულიყვნენ სახელმწიფო აზნაურებად.

8. უნდა შექმნილიყო მუდმივი ჯარი. ჯარში სამსახურის ხანგრძლივობა არ უნდა ყოფილიყო იმდენი რამდენიც რუსეთში, იგი უნდა შემცირებულიყო.

9. ყმა გლეხებს უნდა აკრძალვოდათ თავისი ნებით მებატონის დატოვება. უნდა აღდგენილიყო ერეკლე II-ის კანონი ტყვეობიდან თავისი ნებითა და საშუალებებით თავდახსნილ გლეხთა ყმობიდან განთავისუფლების შესახებ. გლეხობა თორმეტი წლით უნდა განთავისუფლებულიყო სახელმწიფო გადასახადებისაგან.

10. ჭარ-ბელაქანი ქართლ-კახეთის სამეფოს უნდა დაბრუნებოდა.

ქართველი ელჩები რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-საგან მოითხოვდნენ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში ოფიციალური ორმხრივი აქტით დამტკიცებულიყო.

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების საკითხი **სახელმწიფო საბჭოს** მიანდო გასარჩევად. სახელმწიფო საბჭომ ხმის უმრავლესობით რუსეთთან შეერთების აუცილებლობა დაასაბუთა. იმპერატორი სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებას ეთანხმებოდა, მაგრამ მაინც ყოყმანობდა. რუსეთის ახალგაზრდა იმპერატორი გრძნობდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების საკითხი პავლე I-ის მიერ კანონიერად არ იყო გადაწყვეტილი. გარდა ამისა,

ქართლ-კახეთის სამეფოს გერბი (1800 წ.)

ქართლ-კახეთის ტახტის მაძიებელთა წერილები, რომელიც მოსდიოდა ალექსანდრე I-ს, მოწმობდა, რომ ერეკლე II-ის მემკვიდრეებში ერთსულოვნება არ იყო. სახელმწიფო საბჭოში იყვნენ ე. წ. ანგლოფილები, რომლებიც ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებას არ ურჩევდნენ იმპერატორს. ამდენად, ქართველი ელჩების – გარსევან ჭავჭავაძის, გიორგი ავალიშვილისა და ელიზბარ ფალავანდიშვილის – მოხსენებას შედეგი არ გამოუღია. ალექსანდრე I-მა სახელმწიფო საბჭოს რჩევით, კავკასიის ხაზის სარდალს გენერალ კარლ კნორინგს დაავალა: გაეთვალისწინებინა ქართული საზოგადოებრივი აზრი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შესახებ და წარედგინა შესაბამისი მოხსენება განსახილველად სახელმწიფო საბჭოში. გენერალ კნორინგს უნდა გამოეკვლია: **პირველი.** შეეძლო თუ არა ქართლ-კახეთს არსებობა როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს; **მეორე.** რუსეთთან შეერთების სურვილი საერთო-სახალხო იყო თუ არა.

ალექსანდრე I-მა გენერალი კარლ კნორინგი წინასწარ გააფრთხილა, თუ როგორ უნდა ეწარმოებინა ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო და საგარეო-პოლიტიკური ვითარების შესწავლა, როგორი უნდა ყოფილიყო დასკვნები იმ მოხსენებითი ბარათისა, რომელსაც იგი წარუდგენდა სახელმწიფო საბჭოს. აქვე იმპერატორი გენერალ კნორინგს სწერდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთება რუსეთის იმპერიის ინტერესების თვალსაზრისით მართებული იყო, ხოლო რუსეთის მთავრობა დიდი ხანია ამ საკითხზე ფიქრობდა და ქართლ-კახეთის შეერთებას სასურველად მიიჩნევდა. იქვე ალექსანდრე I შენიშნავდა, რომ სამართლიანობა მოითხოვდა ანგარიში გასწეოდა ქართლ-კახეთის სამეფოში მცხოვრები ქართველი ხალხის უფლებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ძნელი როდია გავითვალისწინოთ ტფილისში გენერალ კარლ კნორინგის ჩამოსვლის ნამდვილი მიზეზი. გენერალმა კნორინგმა ტფილისში ჩამოსვლისთანავე დავით ბატონიშვილი გადააყენა და ქართლ-კახეთის სამეფოს დროებით გამგებლად გენერალი **ივანე ლაზარევი** დანიშნა. ტფილისში მოვლენილმა კნორინგმა „გამოიკვლია და შეისწავლა“ ქართული საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის თვალსაზრისი და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის დამყარება თითქოს მთელი ხალხის ნება-სურვილს გამოხატავდა. კნორინგის მოხსენება, რომელიც ვითარებას ცალმხრივად, რუსეთის საიმპერატორო ტახტის სარგებლიანობის კუთხით აფასებდა, ალექსანდრე I-მა სახელმწიფო საბჭოს წარუდგინა განსახილველად. რუსეთის სახელმწიფო საბჭომ მოისმინა გენერალ კარლ კნორინგის „დასკვნა და აზრი“, რომ თითქოს ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებლად არსებობა არ შეეძლო და მისი შველა მხოლოდ ამ სამეფოს გაუქმებითა და თვითმპყრობელური მმართველობის დამყარებით შეიძლებოდა, რაზედაც თითქოს ქართველი ხალხი და მისი ხელისუფლების წარმომადგენლები თანხმობას აცხადებდნენ. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მტკნარი სიცრუე იყო და სინამდვილეს არ შეეფერებოდა. შემთხვევითი არ იყო, რომ კნორინგის მოხსენება მაშინვე უარყვეს რუსეთის გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწეებმა, სახელმწიფო საბჭოს წევრებმა – გრაფმა **ვორონცოვმა**, გრაფმა **კოჩუბეიმ** და გრაფმა **ჩარტორიისკიმ**. ისინი ამხელდნენ კნორინგის მოხსენების სიყალბეს, აღნიშნავდნენ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს მმართველებს, ასევე ქართველ ხალხს სამეფოს გაუქმების თაობაზე თანხმობის მიცემა არ შეეძლოთ. ვორონცოვი, კოჩუბეი და ჩარტორიისკი კატეგორიულად უარყოფდნენ კნორინგის მიერ წამოყენებულ მოსაზრებას, რომ თითქოს ქართლ-კახეთის სამეფო იმ კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში ვერ შეძლებდა არსებობას და მოითხოვდნენ მის შენარჩუნებას 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე. სახელმწიფო საბჭოში გრაფ **მუსინ-პუშკინის** მოხსენებაც იხილებოდა. მუსინ-პუშკინი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ პავლე I-ის დროს იყო აღმოსავლეთ საქართველოში მოვლენილი ეკონომიკური დაზვერვის მიზნით. მან ჯერ პავ-

ლე I-ს, ხოლო შემდეგ სახელმწიფო საბჭოს წარუდგინა სპეციალური მოხსენება, სადაც ასაბუთებდა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების დიდ ეკონომიკურ სარგებლიანობას რუსეთის იმპერიისათვის, ხოლო შეერთებას ქართველი ხალხის ყველა ფენის გულწრფელ სურვილად მიიჩნევდა.

1801 წლის 8 აგვისტოს რუსეთის სახელმწიფო საბჭომ გამოიტანა საბოლოო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე **ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაცია დასრულდა და იგი რუსეთის იმპერიის გუბერნიად იქცა.** სახელმწიფო საბჭო თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნავდა, რომ შექმნილი ვითარების გამო სახელმწიფო საბჭო ვერავითარ უსამართლობას ვერ ხედავს ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებაში, პირიქით, შეერთებაში ხედავს ქართლ-კახეთის სამეფოს ხსნას, ხოლო რუსეთის იმპერიისათვის – არსებით სარგებლობას.

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შესახებ შედგენილ იქნა ახალი მანიფესტი, რომელსაც 1801 წლის 12 სექტემბერს ხელი მოაწერა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა. მანიფესტში ალექსანდრე I აღნიშნავდა, რომ ქართლ-კახეთის მთავარმართებლად დანიშნა კარლ კნორინგი, რომელიც მისი უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ ქვეყანაში დაამყარებდა ისეთ მმართველობას, ქართველი თავადებისა და აზნაურების წარმომადგენლებიც რომ მიიღებდნენ მონაწილეობას. იმპერატორს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ რუსული მმართველობა ქართველ ხალხს მშვიდობას, კეთილდღეობასა და სიმდიდრეს მოუტანდა. მანიფესტი ქართლ-კახეთის მცხოვრებთ პპირდებოდა, რომ ქვეყნის შემოსავალი მათსავე საჭიროებას მოხმარდებოდა, რომ ქართველთათვის უზრუნველყოფილი იქნებოდა საზოგადოებრივი უპირატესობანი, რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება და საკუთრების ხელშეუხებლობა. მანიფესტის თანახმად ასევე ხელშეუხებელი უნდა ყოფილიყო ბატონიშვილთა საუფლისწულოები. ალექსანდრე I-ის მიერ ხელმოწერილი მანიფესტი ქართველი ხალხისაგან ერთგულების ფიცს მოითხოვდა.

მანიფესტით გათვალისწინებული არცერთი დაპირება სიმართლეს არ შეფერებოდა. ის მხოლოდ მაღალფარდოვანი, სენტიმენტალური სიტყვებით შელამაზებული ფრაზების ნაერთს წარმოადგენდა, რომელსაც განხორციელება არ ეწერა.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი რუსეთის საიმპერატორო კარზე საიდუმლოდ შეიმუშავეს, პეტერბურგში მყოფმა ქართველმა ელჩებმა მის შესახებ მხოლოდ მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ გაიგეს. ქართველმა ელჩებმა, გარსევან ჭავჭავაძემ, გიორგი ავალიშვილმა და ელიზბარ ფალავანდიშვილმა პროტესტი განუცხადეს რუსეთის მთავრობას. ელჩები აღნიშნავდნენ: მანიფესტიც შეადგინეთ და დაამტკიცეთ, ჩვენს გარეშე ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთთან შეერთებულად გამოაცხადეთ, ყოველივე ამის გამო საკუთარ თავს უბედურად ვთვლით, ვინაიდან თქვენგან მოკლებული ვართ პატივისცემასა და ნდობას. შეურაცხყოფილი და მოტყუებული გარსევან ჭავჭავაძე თავის ნაცნობებსა და მეგობრებს სწერდა: „ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმეს, ქვეშევრდომებადაც კი არ მიგვიღეს. არავინაა ისე დამცირებული, როგორც ქართველი ხალხი".

რუსეთის საიმპერატორო კარი განზრახ აყოვნებდა 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის ტფილისში გამოცხადებას, თუმცა ქართლ-კახეთის ოკუპაცია ამის მიუხედავად მაინც ხორციელდებოდა. პეტერბურგში მყოფი ქართველი ელჩები იმედს არ კარგავდნენ და მდგომარეობის გამოსწორებისათვის იბრძოდნენ. გარსევან ჭავჭავაძემ 1802 წლის 27 იანვარს სპეციალური ნოტა წარუდგინა ალექსანდრე I-ს. იგი მოითხოვდა რუსი მოხელეების გამოწვევას ქართლ-კახეთის სამეფოდან და იქ ადგილობრივი მმართველობის აღდგენას. სახელმწიფო საბჭომ 1802 წლის 6 თებერვალს განიხილა გარსევან ჭავჭავაძის ნოტა და უარყო იგი. ქართველ ელჩებს მოაგონეს, რომ მათ რწმუნების ვადა გაუვიდათ და პეტერბურგი უნდა დაეტოვებინათ.

ასე დამთავრდა ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ისტორია. რუსეთი აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონდა. ამით საძირკველი ჩაეყარა რუსეთის იმპერიის შემდგომ ტერიტორიულ გავრცობას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში.

ამრიგად, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის საიმპერატორო კარმა შეზღუდულ ავტონომიაზეც უარი განუცხადა და იგი თავის

გუბერნიად აქცია. ქართლ-კახეთის სამეფოს, რომელიც რუსეთისაგან მოელოდა დახმარებას თავისი სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად სპარსეთ-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ, კოლონიური ჩაგვრის უღელქვეშ მოექცა. გაპარტახებულმა ქვეყანამ ვერ შეძლო თავისი სახელმწიფოებრიობის დაცვა!

§ 3. დასავლეთ საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ

1804 წელს საქართველოში მომავალი პავლე ციციანოვი შეხვდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ს, რომელმაც საიდუმლოდ დაავალა მთავარმართებელს, რომ ყოველი ხელსაყრელი მომენტი გამოეყენებინა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების რუსეთთან შეერთებისა და აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროებზე ფეხის მოკიდებისათვის.

დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დამდეგს მეტად მძიმე პოლიტიკური ვითარებაში აღმოჩნდა. წარუმატებლად დამთავრდა სოლომონ I-ისა და სოლომონ II-ის ბრძოლა დასავლეთ საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანებისათვის. სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები პოლიტიკურ დამოუკიდებლობას იჩემებდნენ და შეუპოვრად ებრძოდნენ იმერეთის მეფის ცენტრისტულ ტენდენციებს. გარდა ამისა, ეს სამთავროები განუწყვეტლივ ებრძოდნენ ერთმანეთს სადავო ტერიტორიების გამო და ერთმანეთთან ბრძოლაში საერთო მტრის – ოსმალეთის – გამოყენებასაც არ თაკილობდნენ.

1788 წელს სამეგრელოს მთავარი **კაცია დადიანი** გარდაიცვალა. მთავარი გახდა მისი ვაჟი გრიგოლი, რომლის მთავრად კურთხევა იმერეთის მეფის დაუკითხავად მოხდა. როგორც ჩანს, **გრიგოლ დადიანი** იმერეთის მეფის სასურველი კანდიდატი არ იყო და, ამიტომ ჯერ დავით გიორგის ძემ და შემდეგ სოლომონ II-მ დაიწყეს ბრძოლა სამეგრელოს სამთავროს დამორჩილებისა და ლეჩხუმის ხელში ჩაგდების მიზნით. 1792 წელს სოლომონ II-მ გრიგოლ დადიანი ტახტიდან გადააყენა და სამეგრელო მის ძმას, **მანუჩარს**, გადასცა. დამარცხებული გრიგოლ დადიანი იძულებული გახდა ლეჩხუმში გახიზნულიყო, საიდანაც იგი მთავრის ტახტის დაბრუნების მიზნით ებრძოდა, როგორც თავის ძმას, ისე სოლომონ II-ს. ბოლოს გრიგოლი ახალციხეში გადავიდა და ოსმალებს დახმარება სთხოვა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ამის შემდეგ ერეკლე II-ს მიმართა, რომელმაც იკისრა შუამდგომლობა გრიგოლსა და სოლომონ II-ს შორის. სოლომონ II გრიგოლისთვის სამეგრელოს სამთავროს დაბრუნების წინააღმდეგი იყო. ბოლოს გრიგოლმა თავის ბიძის **გიორგი დადიანის** და ლეჩხუმის სარდალ-მოურავის **ქაიხოსრო გელოვანის** დახმარებით შეძლო გადასულიყო სამეგრელოში გრიგოლ დადიანი ბოლოს ქუთაისში ჰყავდა სოლომონ II-ს იქიდან გაიპარა, და **ნოლას** ციხეში გამაგრდა. სოლომონ II-მ და მანუჩარ დადიანმა ალყა შემოარტყეს ნოლას ციხეს, მაგრამ მისი აღება ვერ შეძლეს. მაშინ იმერეთის მეფე იძულებული გახდა, საქმე მორიგებით დაესრულებინა. გრიგოლმა სამეგრელოს მთავრობა მიიღო, მანუჩარს კი მიეცა სალიპარიტიანო. ეს მოხდა 1799 წელს. შერიგების შემდეგაც გრიგოლ დადიანსა და სოლომონ II-ს შორის ფარული თუ აშკარა ბრძოლა ისევ გრძელდებოდა.

1802 წელს, აღმოსავლეთ საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების პერიოდში, სოლომონ II-ს სამეგრელოს მთავართან ომი ჰქონდა გაჩაღებული. გრიგოლ დადიანი მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. სამეგრელოს სამთავროს შიგნით არეულობა ძლიერდებოდა: მანუჩარ დადიანი გურიელს მთავრის ტახტს ეცილებოდა, გრიგოლს აღარც თავადები ემორჩილებოდნენ. **სამეგრელოს მთავარი შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ შესვლაში ხედავდა.** გრიგოლ დადიანი 1802 წლის 5 ოქტომბერს



ზუგდიდი. დადიანების სასახლე.

პავლე ციციანოვი

თავის ცოლისძმას დავით ბატონიშვილს სთხოვდა ეშუამდგომლა **პავლე ციციანოვის** წინაშე, რათა სამეგრელოს სამთავრო რუსეთის მფარველობაში მიეღოთ. ამასვე სთხოვდა გრიგოლ დადიანი იმერეთში მოვლინებულ რუს მოხელეს, სოკოლოვს. სამეგრელოს შესვლა რუსეთის მფარველობაში სოლომონ II-ის ბრძოლას დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის დიდად ართულებდა. იმერეთის სამეფო, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მხრიდან რუსეთის ჯარებით იქნებოდა შემორტყმული და სოლომონ II იძულებული გახდებოდა, მთავარმართებელ პავლე ციციანოვის ნების აღმსრულებელი ყოფილიყო. რუსეთი გრიგოლ დადიანის წინადადებას პირველ ხანებში მაინც ფრთხილად ეკიდებოდა, რადგან სამეგრელოს სამთავროში რუსთა ჯარის საკვებითა და სხვა

სტამბოლი

საშუალებებით მომარაგების საკითხი გარკვევას მოითხოვდა. როგორც აღენიშნეთ, სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ რუსეთის მფარველობის ქვეშ შესულიყო, რათა იმერეთის მეფისაგან თავი დაეღწია. სტამბოლში მიმდინარეობდა მოლაპარაკება **ქუჩუკ-კაინარჯის ზავის** (1774 წ.) პირობების გადასასინჯად. რუსეთის დიპლომატიას უნდა დაერწმუნებინა ოსმალეთი, რომ მისი უფლება სამეგრელოზე არარეალური იყო, რათა ოსმალეთი არა მარტო სამეგრელოს, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს დაკავებას პროტესტის გარეშე შეხვედროდა. როგორც გაირკვა, სამეგრელოს რუსეთის მფარველობაში შესვლის საკითხი არ გამოიწვევდა ოსმალეთის მთავრობის მხრივ წინააღმდეგობას, ამიტომ პეტერბურგიდან პავლე ციციანოვი გააფრთხილეს, რომ მას ჯარი შეეყვანა და დაეკავებინა სამეგრელოს სამთავრო.

სტამბოლიდან მიღებული ცნობების შემდეგ სამეგრელოს საშინაო საქმეებში ჩარევა პავლე ციცანოვს თავისუფლად შეეძლო. სამეგრელოს რუსეთის მფარველობაში შესვლის საკითხი აღარ გადადებულა. დაინყო ციციანოვსა და გრიგოლ დადიანს შორის მიმოწერა სამეგრელოს სამთავროს რუსეთის მფარველობაში მიღების თაობაზე. მთავარმართებლის მიერ შეთავაზებული პირობები სამეგრელოს მთავარს საესებით აძლევდა ხელს. გრიგოლ დადიანი ფაქტობრივად სრულ კაპიტულაციას აცხადებდა და სამეგრელოს სამთავროს საგარეო და საშინაო ცხოვრების ბედ-იღბალს კავკასიის მთავარმართებელ პავლე ციციანოვს ანდობდა. ფაქტობრივად სამეგრელო რუსეთის **მფარველობაში** კი არ შედიოდა, არამედ მისი **ქვეშევრდომი** ხდებოდა.

რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას იმერეთის მეფე სოლომონ II-ც ითხოვდა, მაგრამ რუსეთის საიმპერატორო კარს ამ მოთხოვნისათვის ანგარიში არ გაუწევია. რუსეთმა დახმარების ხელი სამეგრელოს სამთავროს გაუწოდა. ეს, რა თქმა უნდა, იმიტომ კი არ მოხდა, რომ რუსეთს სამეგრელო ეცოდებოდა, ან სამეგრელოს სამთავროს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე იმერეთის სამეფოს, არამედ იმიტომ, რომ იმერეთის მეფე სოლომონ II კიდევ უფრო დაეუძლურებინა და შემდეგ თავი-

კავკასიის მხარე 1842 წელს



სი ნება-სურვილი ეკარნახა მისთვის. **რუსეთს სურდა, რომ სამეგრელოს სამთავრო გადაექცია პლაცდარმად იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ.** ეს ასეც მოხდა.

სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა 1803 წლის 2 დეკემბერს ხელი მოაწერა **„სათხოვარ პუნქტებს"**, ხოლო 4 დეკემბერს სამეგრელოს სამთავრო რუსეთის **ქვეშევრდომობაში** შევიდა. 1804 წლის ივნისში გრიგოლ დადიანის **ქვეშევრდომობის** ფიცის დამტკიცების შემდეგ გამოიცა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის სიგელი გრიგოლ დადიანისადმი, რომელშიც აღნიშნული იყო: „ჩაგრიცხავთ რა თქვენ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომთა შორის, ჩვენ გვსურს ეს არა გასაფართოებლად ისედაც ერცელი იმპერიისა, არამედ თანავუგრძნობთ სამეგრელოს სამთავროს მკვიდრთა გაჭირვებულ მდგომარეობას, რომელთაც მეზობელი ქვეყნები ყოველი მხრით ავინროებენ. მოვიღეთ რა მონყალება, გადავწყვიტეთ, ეს ჩვენი ერთმორწმუნე ხალხი მივიღოთ რუსეთის იმპერიის მფარველობა-დაცვის ქვეშ, რომლის ფრთებქვეშაც, დე, მიეცეს სამეგრელოს მშვიდობიანობა და იგემოს მან დიდი ხნის მოწყურებული მყუდროება და უშიშროება, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი სხვა ოლქების თანაბრად". სიგელის ტექსტი ძალიან ჩამოჰგავს ალექსანდრე I-ის მიერ 1801 წლის 12 სექტემბერს ხელმოწერილი მანიფესტის ტექსტს, რომლითაც მან ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფლობელობაში აღიარა. როგორც ვხედავთ, **რუსეთის საიმპერატორო კარი არ ღალატობდა ტრადიციას და თავის დამპყრობლურ პოლიტიკას დაჩაგრული ხალხისადმი მონყალების ნიღბით ფარავდა.**

რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესულ სამეგრელოს მთავარს სამთავროს **მემკვიდრეობითი მფლობელობა** უმტკიცდებოდა; მთავრის გარდაცვალების შემდეგ მისი მემკვიდრე რომ მთავარი გამხდარიყო, ამისთვის **რუსეთის იმპერატორის დასტური** იყო აუცილებელი; მთავრის უფლებაში რჩებოდა სამეგრელოს **შინაური მმართველობა და სამართალი,** ოღონდ დამნაშავის სიკვდილით დასჯა ან დასახიჩრება იკრძალებოდა. სამეგრელოს მთავარი რუსეთის მთავრობას, კერძოდ, მთავარმართებელს ან მის მიერ სამეგრელოს სამთავროში გაგზავნილ მოხელეს **უყოყმანოდ უნდა დამორჩილებოდა;** სამეგრელოს სამთავროში **მუდმივ სამყოფლად რუსთა ჯარი უნდა შესულიყო,** რომელიც მთავარს უნდა უზრუნველეყო ბინით, სათბობითა და განათებით, მასვე ჯარი უნდა მოემარაგებინა პურით, ღომით, ბრინჯით და შერია-თივით; რუსული მმართველობის მოხელეებს **სამთავროს შინაურ საქმეებში ჩარევის უფლებაც კი ეძლეოდათ.** ავტონომიური თვითმმართველობის ასეთი ფორმა იყო გარდამავალი საფეხური სამეგრელოს სამთავროს **სრული ლიკვიდაციისაკენ.**

რუსეთის საიმპერატორო კარმა თავისი ავტორიტეტით, ფულადი დახმარებითა თუ სხვა საშუალებებით სამეგრელოს მთავარს გამდგარი თავადები დაუმორჩილა და იმერეთის მეფის სოლომონ II-ის წინააღმდეგ დიდ ძალად აქცია. ეს ტაქტიკური სვლა დასავლეთ საქართველოში რუსეთის იმპერიის მფლობელობის გაფართოებას ისახავდა მიზნად. ასეთმა პოლიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიღო. სამეგრელოს მთავარი თავს არ ზოგავდა რუსეთის მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ქართლ-კახეთის რუსულ მმართველობასთან შედარებით, სამეგრელოს სამთავროს მმართველობა უფრო ლოიალური იყო. პეტერბურგში ვარაუდობდნენ, მთავარი სამეგრელოში სამთავროს „უფროსად" დაეტოვებინათ ჩვეულებრივი მოხელის უფლებებით. არც პავლე ციციანოვი იყო ამის წინააღმდეგი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამის განხორციელება მიზანშეწონილად არ მიაჩნდა. დადიანის მთავრის რანგში დატოვება პავლე ციციანოვს სხვა ქართველი მთავრებისა და მუსლიმი ხანების თვალის ასახ-

სოლომონ II

ვეად სჭირდებოდა. მთავარმართებელი პეტერ-ბურგის საიმპერატორო კარს უმტკიცებდა, რომ სამეგრელოს სამთავროს გაუქმება მომავალში ადვილად შეიძლებოდა, როცა იქ რუსეთი მტკიცედ მოიკიდებდა ფეხს. საიმისო საბაბიც გამოიძებნებოდა, რომ დადიანი დაედანაშაულებინათ 1803 წლის ხელშეკრულების რომელიმე მუხლის დარღვევაში.

ამრიგად, სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შევიდა საშინაო თვითმმართველობის (ავტონომიის) შენარჩუნებით. ეს ფაქტობრივი დაპყრობა იყო, რომელიც მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა მოხერხებულად განახორციელა. რუსეთის იმპერიისათვის ამ ფორმით სამეგრელოში დამკვიდრებას ორმაგი მნიშვნელობა ჰქონდა: ჯერ ერთი, იგი თავიდან იცილებდა სამთავროს გაუქმებასთან დაკავშირებულ სერიოზულ კონფლიქტებს, და მეორე, უშუალოდ რუსული მმართველობის შემოღების გადავადებით აურაცხელ ხარჯებს ზოგავდა. შეერთების აღნიშნული ფორმით კი რუსეთის იმპერიის მიზნები მაინც ხორციელდებოდა.

სამეგრელოს სამთავროს დაპყრობა დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა იყო რუსეთის იმპერიისათვის. სამეგრელოს დაპყრობით რუსეთმა მოიპოვა საიმედო პლაცდარმი იმერეთის სამეფოსა და სხვა სამთავროების შესაერთებლად, გარდა ამისა, რუსეთს შეეძლო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებსაც დაუფლებოდა.

1784 წლის 23 აპრილს იმერეთის მეფე სოლომონ I გარდაიცვალა. სოლომონ I-ს მემკვიდრე არ დარჩენია, ამიტომ მან იმერეთის სამეფო ტახტის მემკვიდრედ თავისი ძმისშვილი დავით არჩილის-ძე გამოაცხადა. მეფობაზე პრეტენზიას აცხადებდა აგრეთვე სოლომონ I-ის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე.

იმერეთის სამეფოს გავლენიანმა თავადებმა, სამეგრელოსა და გურიის მთავრებთან ერთად დავით გიორგის-ძის გამეფებას დაუჭირეს მხარი. იმერეთში **დავით არჩილის-ძის** მეფობის მომხრეებიც იყვნენ, მაგრამ იგი არასრულწლოვანი იყო და ამიტომ 1784 წელს **დავით გიორგის-ძე** გამეფდა.

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II დროებით შეურიგდა **დავით გიორგის** ძის გამეფებას. ბუნებრივია, რომ ერეკლე იმერეთის მეფე დავით გიორგის ძეს სოლომონ I-ის ანდერძის შესრულებას მოსთხოვდა (დავით არჩილის ძე ერეკლე II-ის შვილიშვილი იყო). ასეც მოხდა, თანახმად ერეკლე II-ის მოთხოვნისა, იმერეთის მეფემ, დავით გიორგის ძემ, დავით არჩილის ძე თავის მემკვიდრედ გამოაცხადა, ყმა-მამული მისცა და სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ სამეფო ტახტის დათმობა აღუთქვა.

სოლომონ ღიონიძე

შინაგანმა არეულობამ, გავლენიანი თავადების მძლავრობამ და თურქთა გამუდმებულმა თავდასხმებმა, რაც სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ გახშირდა, იმერეთის მეფის ხელისუფლების დაკნინება გამოიწვია. დავით გიორგის ძე უძლური აღმოჩნდა, რომ იმერეთის სამეფოს საშინაო და საგარეო საკითხები მოეგვარებინა. ამასობაში დავით არჩილის ძეც სრულწლოვანი გახდა, მაგრამ მეფე პირობის შესრულებას და დავით არჩილის ძისთვის სამეფო ტახტის დათმობას არ ჩქარობდა.

1789 წლის 11 ივლისს ახალი მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო იმერელმა ფეოდალებმა დავით გიორგის ძე ტახტიდან ჩამოაგდეს. სამეფო ტახტი **სოლომონ II-ის** სახელწოდებით დაიკავა სოლომონ I-ის ძმისშვილმა და ერეკლე II-ის შვილიშვილმა **დავით არჩილის ძემ** (1789-1810). საშინაო და საგარეო პოლიტიკაში სოლომონ II ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს ბაძავდა. ერეკლეს მხარდაჭერით გამეფებული სოლომონ II პაპის ერთგულ მოკავშირედაც გამოდიოდა. ასე იყო, მაგალითად, 1795 წელს კრწანისის ბრძოლის დროს. სოლომონ II-ც ერეკლე II-ის მსგავსად, იმერეთის სამეფოს შემდგომი გაძლიერების იმედებს რუსეთის მფარველობაში შესვლას უკავშირებდა.

სოლომონ II-მ ტახტზე ასვლისთანავე **ბესა-**

რიონ გაბაშვილს (ბესიკს) გრიგოლ პოტიომკინთან თავისი დესპანის რწმუნება მიანიჭა. (ბესიკი, ჯერ კიდევ 1787 წლის ივლისში მეფე დავით გიორგის ძემ გაგზავნა **გრიგოლ პოტიომკინთან** თავის მუდმივ წარმომადგენლად). **ბესიკი** და **მაქსიმე კათალიკოსი** ამაოდ ცდილობდნენ, რომ რუსეთის მხარდაჭერა და დახმარება მიეღოთ. სოლომონ II-მ ბესიკს „აზრი და სათხოვნელი" გაუგზავნა რუსეთის მთავრობისათვის გადასაცემად. მაგრამ 1791 წლის 24 იანვარს ბესიკი იასაში მოულოდნელად გარდაიცვალა. სოლომონის „აზრი და სათხოვნელი" ბესიკის სიკვდილის შემდეგ, მისივე ანდერძის მიხედვით, მისმა უმცროსმა ძმამ **სვიმონ გაბაშვილმა** გადასცა ჯერ გრიგოლ პოტიომკინს, ხოლო გრიგოლ პოტიომკინის გარდაცვალების შემდეგ (გრიგოლ პოტიომკინი გარდაიცვალა 1791 წლის 5 ოქტომბერს) 1791 წლის 3 დეკემბერს, გრიგოლ პოტიომკინის შემცვლელს გრაფ **ალექსანდრე ბეზბოროდკოს**. სოლომონ II რუსეთისგან ითხოვდა იმერეთის სამეფოსა და რუსეთს შორის დადებულიყო ისეთი ხელშეკრულება, როგორიც ქართლ-კახეთის სამეფოსთან გაფორმდა 1783 წელს. ამასობაში რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომი 1791 წლის 29 დეკემბერს რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. **იასის საზავო ხელშეკრულებით** (1791 წ.) ოსმალეთის უფლებები დასავლეთ საქართველოზე და კერძოდ, იმერეთის სამეფოზე ისევე დამტკიცდა, როგორც ეს 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავის 23-ე მუხლით იყო გათვალისწინებული. ამდენად, რუსეთის მთავრობამ იმერეთის სამეფოს მფარველობაზე ფაქტობრივად უარი თქვა.

იმერეთის მეფე სოლომონ II დასავლეთ საქართველოს ხელმწიფის, მეფის პრეტენზიებით გამოდიოდა. მთავართა არსებობას იგი მხოლოდ მორჩილების პირობით ურიგდებოდა. ცნობილი დიპლომატი და მეფის მარჯვენა ხელი **სოლომონ ლიონიძე** წერდა, რომ „აფხაზეთი უძველესი დროიდანვე იმერეთისა იყო". იმერეთს ეკუთვნოდა ფოთის ციხეც. მეფე სამეგრელოს მთავარს დადიანს უყურებდა, როგორც თავის ურჩ ყმას. სოლომონ II-ის აზრით, დადიანი, მართალია „მთავრად დაადგინა", მაგრამ იგი მეფის მორჩილი უნდა ყოფილიყო. დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა შორის განხეთ-

ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი)

ქილება უფრო გამწვავდა ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ, როცა 1798 წელს ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე უუნარო **გიორგი XII** ავიდა. შესუსტდა ის კავშირ-ურთიერთობა, რომელიც ერეკლე II-სა და სოლომონ II-ს შორის არსებობდა.

1799 წლიდან ქართლ-კახეთის სამეფოში რუსთა ჯარების თანდათანობითმა გამრავლებამ თავისებური გავლენა მოახდინა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ეს გავლენა მით უფრო ღრმავდებოდა, რაც უფრო მწვავდებოდა წინააღმდეგობა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე **დავით** და **იულონ** ბატონიშვილების მომხრეთა შორის. გიორგი მეფე ავადმყოფობდა, ხოლო ქართლ-კახეთის სამეფო არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი შეუმჩნეველი არ დარჩენილა სოლომონ II-ის კარზე. შექმნილი ვითარებიდან ერთი მთავარი დასკვნა, რომელიც მაშინ იმერეთის მეფემ გამოიტანა, იყო მთელ დასავლეთ საქართველოზე იმერეთის მეფის ხელისუფლების გავრცელება, მთავართა დამორჩილება და ქართლ-კახეთში იულონ ბატონიშვილის გამეფებისათვის ზრუნვა. სოლომონ II-სა და მის თანამებრძოლთა აზრით, ეს იქნებოდა გარანტი იმერეთის სამეფოს დამოუკიდებელი არსებო-

გიორგი XII

ბისათვის. სოლომონ I ფიქრობდა, რომ, თუ იგი დასავლეთში გაბატონდებოდა, მაშინ რუსეთი მას მფარველობაში მიიღებდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე და ცნობდა მის ხელისუფლებას მთავრებზე.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთმა შეიერთა. ქართლ-კახეთში სამეფო ხელისუფლება გაუქმდა და რუსული მმართველობა დამყარდა. როგორც აღვნიშნეთ, მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთმა დაიპყრო იმერეთის სამეფოს და მთელი დასავლეთ საქართველოს ბედიც გადაწყვეტილი იყო!

XVIII საუკუნის 90-იანი წლებიდან რუსეთში მიღებული მრავალრიცხოვანი ელჩობების შემდეგ დავას არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ სოლომონ I რუსული ორიენტაციის პოლიტიკოსი იყო და იმ დროისათვის საქართველოს გადარჩენის ერთადერთ გზას რუსეთის მფარველობაში ხედავდა. ერთი შეხედვით, თითქოს გაუგებარი ხდება ის პოზიცია, რომელიც სოლომონ II-მ 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის შემდეგ რუსეთის მიმართ დაიკავა. მაგრამ აქ გაუგებარი არაფერია: სოლომონ I, ისევე როგორც ერეკლე II, რუსეთის მფარველობას იმიტომ ეძიებდა, რომ თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა დაეცვა. რუსეთი ერეკლესა და სოლომონს საქართველოს დაცვისთვის სჭირდებოდათ. საშინაო საქმეებში კი ისინი დამოუკიდებელნი უნდა ყოფილიყვნენ. 1801-1802 წლების მოვლენებმა სოლომონ I-ს იმედები არ გაუმართლა. რუსეთის საიმპერატორო კარმა ქართლ-კახეთში რუსული მმართველობა შემოიღო. ეს, ცხადია, სოლომონ II-ს სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა.

ქართლ-კახეთში მეფობის პრეტენდენტთა შორის ამტყდარ დავაში სოლომონ II-ც ღებულობდა მონაწილეობას და სამეფო ტახტზე იულონ ბატონიშვილის უფლებას იცავდა. ვინაიდან, ერეკლე II ცოცხალი აღარ იყო, მისი დაწყებული საქმის დასრულებას ახლა სოლომონ II იჩემებდა. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების აღდგენა – ასეთი იყო იმერეთის მეფის მიზანი. საქმეს ისიც ართულებდა, რომ 1803 წლის 4 დეკემბერს სამეგრელოს სამთავრო რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა. სამეგრელო ფაქტობრივად რუსეთის მიერ აღმოჩნდა დაპყრობილი. ჩვეულებრივ, აღმოსავლეთიდან მომავალი მტერი იმერეთის სამეფოს ამიერიდან დასავლეთიდანაც შემოადგა!

მას შემდეგ, რაც რუსეთმა სამეგრელოს სამთავრო დაიპყრო, პავლე ციციანოვის ურთიერთობა იმერეთის მეფესთან **კატეგორიული** და **ქედმაღლური** გახდა. ამავე დროს რუსი მოხელეები ჭორებს ავრცელებდნენ, რომ თითქოს სოლომონ II რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა. იმერეთის მეფე კი მთელი მონდომებით ცდილობდა რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას საშინაო დამოუკიდებლობის შენარჩუნებით. სოლომონ II-მ იცოდა, რომ რუსეთთან გაფორმებული მფარველობითი ტრაქტატი სანდო არ იქნებოდა და მისი დაცვის გარანტიას ეძებდა. ამიტომ იგი რუსეთს სთხოვდა, რომ იმერეთთან გაფორმებული ხელშეკრულება საერთაშორისო აქტად გამოეცხადებინათ. ამ მიზნით, პავლე ციციანოვთან შეთანხმებით, სოლომონ II-მ რუსეთში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი ცნობილი დიპლომატი **სოლომონ ლიონიძე**. გასაგები იყო, რომ სოლომონ ლიონიძის ელჩობა პეტერბურგში მარცხით უნდა დამთავრებულიყო, ვინაიდან იმერეთის მეფის თხოვნა, რომ 1783 წლის ტრაქტატი ყოფილიყო ამოსავალი წერტილი რუსეთისა და იმერეთის სამეფოს ურთიერთობაში, რუსეთისათვის მიუღებელი იყო. XIX საუკუნის დასაწყისისათვის 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის აღდგენა რუსეთს ხელს არ აძლევდა.

ამასობაში, პავლე ციციანოვმა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-საგან მიიღო ბრძანება, რათა მას ჯარი შეეყვანა იმერეთის სამეფოში და დაეკავებინა მისი ტერიტორია. ყოველივე ეს პავლე ციციანოვმა აცნობა იმერეთის მეფის წარმომადგენელს **ქაიხოსრო წერეთელს**. სოლომონ II რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობას კისრულობდა იმ შემთხვევაში, თუკი მას დაუბრუნებდნენ ლეჩხუმს და ხელუხლებელი იქნებოდა მისი მეფობა. სოლომონ II-ის წინააღმდეგ გალაშქრებამდე პავლე ციციანოვი თავდაუზოგავად ცდილობდა, რომ იმერეთის გავლენიანი თავადების მოსყიდვის გზით გავლენა მოეხდინა სოლომონ II-ზე და იგი ნებაყოფლობით დაემორჩილებინა.

სოლომონ II-მ მისთვის არასახარბიელო მდგომარეობაში ამჯობინა დათმობის გზას

დადგომოდა. 1804 წლის 16 აპრილს იმერეთის მეფე და მთავარმართებელი პავლე ციციანოვი ერთმანეთს შეხვდნენ სოფელ **ელაზნაურში** (ხარაგაულის რაიონი). ლეჩხუმის გამო მოლაპარაკებები ჩაიშალა. „–სამწუხაროდ, აუცილებლად ვცნობ, რომ თქვენთან მექნება სხვაგვარი შეხვედრა, ბრძოლის ველზე ხმალამონვდილი" – უცხადებდა პავლე ციციანოვი სოლომონ II-ს დამშვიდობებისას. 1804 წლის 20 აპრილს რუსეთის არმიის ნაწილებმა გადალახეს იმერეთის სამეფოს საზღვრები, რუსები შეუდგნენ იმერეთის სოფლების დაკავებას და ხალხის რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცებას. სოლომონ II დასთანხმდა რუსეთის ქვეშევრდომობას. 1804 წლის 25 აპრილის **ელაზნაურში** სოლომონ II-სა და პავლე ციციანოვს შორის დაიდო ტრაქტატი. აღნიშნული ტრაქტატით სოლომონ II ძირითადად იმავე მდგომარეობაში ექცეოდა, როგორშიც სამეგრელოს მთავარი. რუსეთი, მართალია, აღიარებდა იმერეთის სამეფო ტახტზე სოლომონის მემკვიდრეობით უფლებას, მაგრამ ფაქტობრივად მეფეს რუსი მოხელეების ნება-სურვილის აღმსრულებლად ხდიდა.

ელაზნაურის ტრაქტატის პირობების თანახმად, იმერეთის მეფე სოლომონ II რუსეთის იმპერატორის **სამუდამო ქვეშევრდომი** უნდა გამხდარიყო; იმერეთის მეფობა სოლომონ II-ს **საშვილიშვილოდ** უმტკიცდებოდა; ტახტის მემკვიდრე, თუ სოლომონს შვილი არ ეყოლებოდა, მისი ძმისშვილი კონსტანტინე ბატონიშვილი უნდა ყოფილიყო; იმერეთის მეფის ტახტზე ასვლა **რუსეთის იმპერატორის სიგელით** უნდა დამტკიცებულიყო; ქვეყნის **ადმინისტრაცია** და **სამართალი** იმერეთის მეფის ხელთ რჩებოდა, სისხლის სამართლის საქმეებში კი მას **რუსული კანონებით** უნდა ეხელმძღვანელა; იმერეთის სამეფოში **რუსთა ჯარი** უნდა შესულიყო, რომელიც ბინით, გათბობითა და სურსათ-სანოვაგით იმერეთის მეფეს უნდა უზრუნველეყო.

1804 წლის 4 ივლისს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს რუსეთის იმპერიასთან შეერთების ტრაქტატები დაამტკიცა. როგორც პავლე ციციანოვი, ისე იმპერატორი ტრაქტატების პირობებით დიდად კმაყოფილნი იყვნენ. რუსეთის იმპერიის ინტერესები საქართველოში საკმაოდ უზრუნველყოფილი იყო.

გურიის მთავარი შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ითხოვდა რუსეთთან ცალკე ტრაქტატის გაფორმებას ან, ყოველ შემთხვევაში, სამეგრელოს მთავრის თანაბრად ხელშეკრულებაში მონაწილეობას, მაგრამ პავლე ციციანოვმა ამას ყურადღება არ მიაქცია. გურიის სამთავროს ის იმერეთის სამეფოს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა და იმერეთის რუსეთთან შეერთებასთან ერთად გურიაც რუსეთთან შეერთებულად მიაჩნდა. პავლე ციციანოვმა 1804 წლის 29 მაისს გურიის მთავარს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა მიულოცა. მოგვიანებით, 1810 წელს, იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ **მამია გურიელმა** მაინც შეძლო რუსეთის **ქვეშევრდომობაში** შესვლის შესახებ ხელშეკრულების დამოუკიდებლად გაფორმება. გურიის სამთავროს შინაგანი ავტონომია შეუნარჩუნდა.

ელაზნაურის ტრაქტატით სოლომონ II-ის უფლებები იმერეთის მეფეს ამიერიდან ფაქტობრივად რუსეთის იმპერიის მოხელედ აქცევდა. თავისი უფლებებით სოლომონ II სამეგრელოს მთავართან იყო გათანაბრებული. ის, რაც ასე თუ ისე მისაღები იყო სამეგრელოს მთავრისათვის, სრულიად მიუღებელი იყო იმერეთის მეფისათვის, რომელიც საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის იბრძოდა. **რუსეთი იმერეთის მეფის ამგვარ მისწრაფებას საფუძველშივე ახშობდა**. რუსეთის მიერ თავსმოხვეული ელაზნაურის ტრაქტატს, ბუნებრივია, სოლომონ II ვერ შეურიგდებოდა.

მიუხედავად სამეგრელოს სამთავროს დაპყრობისა და იმერეთის მეფის სოლომონ II-ის რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში იძულებით შეყვანისა, დასავლეთ საქართველოში რუსეთის ბატონობა ჯერ კიდევ არ იყო განმტკიცებული. მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ქუთაისში, მიავლინა რუსი მოხელე **ლიტვინოვი** 50 თუ 80 ჯარისკაცისაგან შემდგარი მცველთა რაზმით. ლიტვინოვს ფრიად მნიშვნელოვანი დავალება ჰქონდა პავლე ციციანოვისაგან მიღებული. სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის მმართველის ტიტულით აღჭურვილი ლიტვინოვის ამოცანა იყო რუსეთის იმპერიის პოლი-

ტიკური ბატონობის განმტკიცება, სამეგრელოსა და გურიის მთავრების გაძლიერება და იმერეთის მეფის სოლომონ II-ის შეზღუდვა. ამავე დროს, ლიტვინოვს დავალებული ჰქონდა 1804 წლის მაის-ნოემბერში სამეგრელოში რუსთა ჯარების გადასხმისათვის პირობების მომზადება.

ამრიგად, XIX საუკუნის დასაწყისისათვის რუსეთმა არა მარტო შეინარჩუნა და განამტკიცა თავისი ბატონობა ქართლ-კახეთში, არამედ დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილიც დაიპყრო, კერძოდ, იმერეთის სამეფო, სამეგრელოსა და გურიის სამთავროები.

რუსეთის მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენდა შავი ზღვის ნავსადგურები **ბათუმი, ფოთი** და **ანაკლია**, სადაც თურქთა გარნიზონები იდგა. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ფოთის ნავსადგური იყო. რუსეთისათვის ფოთის მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ პავლე ციციანოვმა პეტერბურგიდან იმპერატორის ბრძანება მიიღო: ნებისმიერი ხერხით ფოთი დაეკავებინა ისე, რომ ოსმალეთთან ომი არ გამოწვია.

1804 წლის ოქტომბერში ყირიმიდან გამოგზავნილი რუსეთის ჯარი **მდინარე ხობის** შესართავთან გადმოსხეს. რუსთა ჯარმა, რომელიც გენერალ **რიგკოფის** მეთაურობით აფხაზეთში უნდა შესულიყო, გზად **ანაკლიის** ნავსადგურიც დაიკავა. ოსმალეთის **აქტიურმა** საპასუხო მოქმედებამ პავლე ციციანოვი აიძულა ანაკლია დაეტოვებინა და იგი ოსმალეთის ქვეშევრდომ ქელეშ-ბეგ შერვაშიძისათვის გადაეცა. ყოველივე ეს მხოლოდ დროებით უკან დახევას წარმოადგენდა. მთავარმართებელ პავლე ციციანოვს გადაწყვეტილი ჰქონდა, ფოთის ნავსადგური, შავი ზღვის მთელი ჩრდილო სანაპიროები ოსმალეთისათვის წაერთმია.

სამეგრელოს სამთავროში რუსეთის ჯარის (ერთი პოლკის) შეყვანამ, ლეჩხუმის სამეგრელოს მთავრის საკუთრებად აღიარებამ, დასავლეთ საქართველოში რუსი მოხელის ლიტვინოვის საქმიანობამ სოლომონ II დაარწმუნა, რომ მისი სამეფოს აღსასრული დამდგარიყო! ამიტომ იმერეთის მეფე ყველა ღონეს ხმარობდა, რათა ამიერკავკასიაში რუსული მმართველობის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები გაეერთიანებინა. ამისათვის სოლომონ II კავშირს ამყარებდა **სპარსეთთან, ოსმალეთთან**, ფარულად უკავშირდებოდა სპარსეთში გადახვეწილ **ალექსანდრე ბატონიშვილს**, იმედის თვალით შეჰყურებდა რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ 1804 წელს ქართლის მთიანეთში დაწყებულ აჯანყებას. მაგრამ სოლომონ II-ის იმედებს განხორციელება არ ეწერა.



ბათუმი

რუსეთის არმიის წარმატება სპარსეთთან ომში, ქართლის მთიანეთის აჯანყების დამარცხება, ბატონიშვილების იულონისა და ფარნაოზის რუსეთს გადასახლება, აღმოსავლეთ კავკასიის მუსლიმურ სახანოებზე რუსეთის მეფის ხელისუფლების გავრცელება და ქუთაისში რუსეთის ჯარის ნაწილების შესვლა სოლომონ II-ის იმედებს აქარწყლებდა.

1805 წლის 19 თებერვალს იმერეთის მეფეს **სოლომონ II-ს** ზარ-ზეიმით გადაეცა **რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლის სიგელი**. 1805 წლის 10 ივნისს სამეგრელოს მთავარს **ლევან დადიანს** გადაეცა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის სიგელი და ინვესტიტურის ნიშნები, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა იმერეთის მეფის მდგომარეობა. სოლომონ II ცდილობდა რუსეთის იმპერიისათვის ერთგულება-მორჩილების ჩვენებით მისი რისხვა თავიდან აეცილებინა, თუმცა კარგად იცოდა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარს მისი ერთგულებისა არა სწამდა რა. სოლომონ II რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მოკავშირეების ძებნას განაგრძობდა. ის დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის მეფე თავის სახელმწიფოში სხვა მეფის არსებობას არ დაუშვებდა და ადრე თუ გვიან ის იმერეთის სამეფოსაც ისევე გააუქმებდა, როგორც ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა. იმერეთის მეფე ყურადღებით ადევნებდა თვალს ევროპაში მიმდინარე პროცესებს და იმედოვნებდა, რომ საფრანგეთთან ომში რუსეთი დამარცხდებოდა. ამავე დროს, სოლომონ II-ს საიდუმლო ურთიერთობა ჰქონდა სპარსეთის შაჰთან, ოსმალეთის სულთანთან, ალექსანდრე ბატონიშვილთან, და საერთოდ, რუსეთის იმპერიისადმი მტრულად განწყობილ ყველა ძალასთან. სოლომონმა იცოდა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი ამ რთულ ვითარებაში იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ ომს არ დაიწყებდა, ვიდრე ამის აშკარა საბაბს სოლომონ II არ მისცემდა.

ლევან დადიანი

იმერეთის მეფესა და რუს მოხელე ლიტვინოვს შორის დამოკიდებულება სულ უფრო და უფრო იძაბებოდა. სოლომონ II ვერ იტანდა ლიტვინოვის მტრულ და თავხედურ მოქმედებას დასავლეთ საქართველოში. რუსი მოხელე თავის მხრივ შესანიშნავად ხედავდა, რომ სოლომონ II ნაძალადევად თავსმოხვეული ელაზნაურის ტრაქტატის ერთგული არ იყო და ამიტომ მეფის საქმიანობას ფხიზლად ადევნებდა თვალყურს, მეტიც, მის საწინააღმდეგო ღონისძიებებს ატარებდა. მას შემდეგ, რაც რუსთა ჯარი ქუთაისში შევიდა, იმერეთის მეფე გაეცალა თავის სატახტო ქალაქს, რადგან ეშინოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მას დაიჭერდნენ და რუსეთში გადაასახლებდნენ. მეფე ჯერ **ვარციხეში**, ხოლო შემდეგ **საჯავახოში** დადგა.

მთავარმართებელი პავლე ციციანოვი სოლომონ II-ს უნდობლობასა და რუსეთის იმპერატორისადმი ორგულობაში ადანაშაულებდა, მისგან მოითხოვდა ქუთაისში დაბრუნებას, კონსტანტინე ბატონიშვილის პეტერბურგში გაგზავნას და მისი უახლოესი თავადებისაგან შემდგარი დეპუტაციის გამგზავრებას იმპერატორთან. ამ გზით რუსეთს სურდა სოლომონ მეფისათვის მისი ხელისუფლების დასაყრდენი თავადობა ჩამოეშორებინა, ხოლო იმერეთის მეფე ქუთაისში შინა პატიმრობაში ჰყოლოდა. სოლომონ II ქუთაისში დაბრუნების პირობად ქალაქიდან რუსთა ჯარის გაყვანას მოითხოვდა. იმერეთის მეფე პავლე ციციანოვს ლეჩხუმის გამო ისევ საყვედურობდა, ლიტვინოვის გადაყენებასა და მის ნაცვლად სხვა მოხელის დანიშვნას ითხოვდა. სოლომონ II და მთავარმართებელი პავლე ციციანოვი შესანიშნავად ხედავდნენ, რომ მათ შორის მშვიდობიანი თანაარსებობა ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იყო, ორივე მხარე გადამწყვეტი მოქმედებისათვის ემზადებოდა. პავლე ციციანოვს აღარ დასცალდა თავისი ჩანაფიქრის განხორციელება.

1805 წლის ნოემბრის ბოლოს ციციანოვი ბაქოს სახანოს დასაპყრობად გაემართა და მალე ბაქოს ალყა შემოარტყა, შემდეგ კი მოლაპარაკება გამართა ბაქოს ხანთან. მან **ჰუსეინ-ყული ხანთან** მოსალაპარაკებლად **ელიზბარ ქსნის**

ერისთავი გაგზავნა და ბაქოს ჩაბარება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში იერიშით დაემუქრა მას. ბაქოს ხანმა ციხის ჩაბარების შესახებ მოლაპარაკების მომენტში 1806 წლის 8 თებერვალს ვერაგულად მოაკვლევინა მთავარმართებელი პავლე ციციანოვი.

პავლე ციციანოვის სიკვდილის შემდეგ მთავარმართებლად დანიშნული გენერალ-ფელდმარშალი ივანე გუდოვიჩი (1806-1809) და კავალერიის გენერალი **ალექსანდრე ტორმასოვი** (1809-1811) აგრძელებდნენ იმერეთის სამეფოზე ზეწოლის პოლიტიკას და სოლომონ II-ს ავიწროებდნენ. იმერეთის სამეფოს გაუქმებას ჯერ კიდევ მთავარმართებელი ივანე გუდოვიჩი აპირებდა 1808-1809 წლების ზამთარში. 1808 წლის 10 თებერვლის თარიღით ივანე გუდოვიჩმა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-საგან საიდუმლო ბრძანება მიიღო. ბრძანების თანახმად, იმერეთის მეფე სოლომონ II ოჯახითურთ და ტახტის მემკვიდრე კონსტანტინე რუსეთში უნდა გადაესახლებინათ. იმერეთის სამეფოში რუსეთის პოლიტიკის მომხრე თავადებისაგან რუსი ოფიცრის ხელმძღვანელობით უნდა შემდგარიყო საბჭო – „იმერეთის დროებითი მმართველობა". ივანე გუდოვიჩს ალარ დასცალდა იმერეთის სამეფოს ლიკვიდაცია, 1809 წლის 5 მარტს იგი მთავარმართებლობიდან გაათავისუფლეს. ამიერკავკასიის მთავარმართებლად გენერალი **ალექსანდრე ტორმასოვი** დანიშნეს.

იმერეთის მეფემ ახალ მთავარმართებელთან თაეისი სახლთუხუცესი **ზურაბ წერეთელი** გაგზავნა მოციქულად. მეფის ორგულმა თავადმა მთავარმართებელს სოლომონ II-ის სიმტკიცის გასაგებად ძალის გამოყენება ურჩია. 1810 წლის 29 იანვარს ალექსანდრე ტორმასოვმა ულტიმატუმით მიმართა სოლომონ II-ს – სამი დღის განმავლობაში გაეგზავნა პეტერბურგში ტახტის მემკვიდრე კონსტანტინესთან ერთად მისი უახლოესი თავადებისაგან შემდგარი დეპუტაცია, რომლის ერთ-ერთი წევრი ზურაბ წერეთელიც უნდა ყოფილიყო. იმერეთის მეფე ელაზნაურის ტრაქტატს ძალადობის აქტად მიიჩნევდა და რუსეთის იმპერატორთან სამადლობელი დეპუტაციის გაგზავნას შეუძლებლად თვლიდა. სოლომონ II ალექსანდრე ტორმასოვს აცნობებდა: იმისათვის ხომ არ უნდა გავგზავნო დეპუტაცია, რათა მოვახსენო იმპერატორს:

ალექსანდრე ტორმასოვი

„გმადლობთ უმდაბლესად, დიდი ხელმწიფეო, ვინაითგან დამამდაბლე მეფე ერთმორნმუნე და დამაკლე სამფლობელოთა ჩემთა ყოვლად უმოწყალესითა ამით ღრამოტითაო". ამ დროისათვის სოლომონ II ელაზნაურის ტრაქტატს რუსეთის მთავრობის მხრივ დარღვეულად მიიჩნევდა ელაზნაურის ტრაქტატის დარღვევად მიაჩნდა იმერეთის მეფეს ის, რომ რუსთა ჯარი მისი სურვილის წინააღმდეგ ქუთაისში იყო დაბანაკებული. ელაზნაურის ტრაქტატი სოლომონ II-სათვის მიუღებელი უფრო იმით იყო, რომ ის იმერეთის მეფის სუვერენულ უფლებას არარაობად აქცევდა და სოლომონ II რუსეთის იმპერატორის მოხელის მდგომარეობამდე დაჰყავდა. ამის გამო სოლომონი ამ ხელშეკრულების გადასინჯვას მისი დადების დღიდანვე დაჟინებით მოითხოვდა.

1810 წლის 20 თებერვალს მთავარმართებელმა ალექსანდრე ტორმასოვმა ქუთაისში იმერეთის სამეფო ხელისუფლების დამხობა საჯაროდ გამოაცხადა. 20 თებერვალსვე რუსთა ჯარები გაემართნენ **ვარციხისაკენ**, სადაც გამაგრებული იყო იმერეთის მეფე. მთავარმართებელმა იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ სალაშქროდ მოუხმო გურიისა და სამეგრელოს მთავრებს, რომლებიც მაშინვე გაემართნენ სოლომონ II-ის წინააღმდეგ. ბრძოლა ერთ თვეს გაგრძელდა. რუსთა მთავარი ძალები უტევდნენ ვარციხეს, სადაც გამაგრებული იყო იმერეთის მეფე. 1810 წლის მარტის ბოლოს ალექსანდრე ტორმასოვის ჯარის ნაწილებმა ბრძოლით დაიკავეს ვარციხე.

1810 წლის 1 აპრილს რუსებმა სოლომონ II მოტყუებით შეიპყრეს და ტფილისში ჩამოიყვანეს. არსებობს ცნობა, რომ დატყვევებიდან რამდენიმე დღის შემდეგ სოლომონ II-ს ესტუმრა

მთავარმართებელი გენერალი ალექსანდრე ტორმასოვი (სოლომონი მთავარმართებლის რეზიდენციის პირველ სართულზე ჰყავდათ დატყვევებული). კითხვა, რომელიც მეფემ მთავარმმართებელს შემოსვლისთანავე დაუსვა, იყო შემდეგი: მითხარით, რა შთამომაველობისა ხართ და როგორ მოხვდით ასეთ მაღალ თანამდებობაზე? ალექსანდრე ტორმასოვმა უპასუხა: თანამდებობაზე ჩემი პატიოსნებით მოვხვდი, ხოლო წარმოშობით ჭნაური ვარო. მეფეს ირონიულად გაეღიმა და მთავარმმართებელს მიმართა: თქვენ, რომ პატიოსნებით მიგეღწიათ ასეთი მაღალი თანამდებობისათვის და ღირსეული წარმოშობის ბრძანდებოდეთ, მე ასე უპატიოსნოდ არ მომექცეოდითო, მოტყუებით და ათასგვარი ხრიკებით ჯარი გარს შემომახვიეთ და დამატყვევეთ, განა ეს პატიოსნებაა. მთავარმმართველმა დაუყოვნებლივ უსიტყვოდ დასტოვა მეფის ოთახი. 1810 წლის 10 მაისს სოლომონ II-მ მსახურის ტანსაცმელში გამონყობილმა, იშვიათი მოხერხებით შესძლო ტყვეობიდან გაქცევა და 23 შეიარაღებული თავადის თანხლებით ახალციხის საფაშოში გადავიდა. სოლომონ მეფემ თავის ტანსაცმელთან ერთად საწოლში დასტოვა ის ჯიღდო და საჩუქრები, რომლებიც მას ნაბოძები ჰქონდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-საგან.

ამიერიდან სოლომონ II რუსეთის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლაზე გადავიდა და სათავეში ჩაუდგა 1810 წლის იმერეთის აჯანყებას. სოლომონის ძალები რუსეთის ძალებთან შედარებით სუსტი იყო. აჯანყება დამარცხდა. სოლომონ II და მისი მომხრენი იმერეთს გაეცალნენ. იმერეთის სამეფოს საკითხი საბოლოოდ გადაწყდა – იგი რუსეთის სამფლობელოდ იქცა. ახალციხეში მყოფ სოლომონს მთავარმართებელმა ალექსანდრე ტორმასოვმა დესპანები გაუგზავნა და წინადადება მისცა: დაეტოვებინა ახალციხის საფაშო და გადასულიყო ტფილისში, სადაც მას რუსეთის იმპერატორისაგან მოელოდა შეწყალება და სათანადო პატივი. იმერეთის მეფემ ეს წინადადება არ მიიღო. ახალციხის საფაშოდან სოლომონი საქართველოში აღარ დაბრუნებულა. 1815 წლის 15 თებერვალს სოლომონ II ორმოცდაერთი წლის ასაკში **ტრაპიზონში** გარდაიცვალა. მასთან მყოფმა ქართველებმა მეფე ბერძნების წმინდა გრიგოლ-



ახალციხე

ის ეკლესიაში დაკრძალეს. 1990 წელს ქედუხრელი მეფის ნეშტი ტრაპიზონიდან ქუთაისში გადმოასვენეს და გელათის ტაძარში დაკრძალეს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთი შეუდგა ოსმალეთის გაძევებას ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთიდან. რუსეთის გააქტიურებას დიდი სიხარულით შეხვდნენ ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეები. აფხაზეთის მთავრები – **შერვაშიძეები** – ანტითურქულ ორიენტაციაზე დადგნენ. განსაკუთრებით ეს ითქმის შერვაშიძეთა საგვარეულოს სამურზაყანოს შტოზე. სამურზაყანოს მფლობელი **ლევან შერვაშიძე** 1771 წელს რუსეთის ჯარს ეხმარებოდა ფოთის ციხის ალყის დროს. ანტითურქულ პოლიტიკას დაადგა აფხაზეთის მთავარი **ზურაბ შერვაშიძეც**, რომელმაც ლევან შერვაშიძის დახმარებით სოხუმის ციხიდან განდევნა თურქები. მალე ზურაბ და ლევან შერვაშიძეთა შორის შუღლი ჩამოვარდა და ლევან შერვაშიძის დახმარებით თურქებმა კვლავ შეძლეს სოხუმის დაბრუნება.

სოლომონ II-ის საფლავი ტრაპიზონში. XIX-XX საუკუნეების მიჯნის ფოტო.

1805 წლის 9 ივლისს სოფელ ბანძაში გაიმართა სამეგრელოს მთავრის ტახტზე ახალი მთავრის – **ლევან V დადიანის** ასვლის ცერემონიალი. ამ ცერემონიალში მონაწილეობდნენ **ლევან** და **მანუჩარ შერვაშიძეები**, რომელთაც დაადასტურეს, რომ სამურზაყანო სამეგრელოს მთავრის კუთვნილება იყო. ამასთან ერთად, ლევან და მანუჩარ შერვაშიძეებმა რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაიფიცეს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სამურზაყანო, როგორც სამეგრელოს სამთავროს ნაწილი, რუსეთის ქვეშევრდომობაში გადადიოდა.



სოხუმის ციხე

რუსეთის მიერ სამურზაყანოს სამეგრელოს განუყოფელ ნაწილად ცნობა და სამურზაყანოს მფლობელი შერვაშიძეების რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა დიდი დარტყმა იყო აფხაზეთის მთავრის – ქელეშ-ბეგ შერვაშიძისათვის. ქელეშ-ბეგ შერვაშიძემ ვითარება რეალისტურად შეაფასა და სამეგრელოს სამთავროსთან ურთიერთობის გამწვავება არ უცდია. პირიქით, **ქელეშ-ბეგ შერვაშიძემ** ლევან V დადიანის დედას – **ნინო ბაგრატიონ-დადიანს**, რომელიც იმჯანად სამთავროს განაგებდა, 1806 წლის 26 მაისს მეგობრობის დამადასტურებელი წერილი გაუგზავნა. ცხადია, ოსმალეთი ქელეშ-ბეგ შერვაშიძეს ამას არ აპატიებდა. ოსმალეთის გაღიზიანება გამოიწვია იმანაც, რომ ქელეშ-ბეგმა თავის უმცროს შვილ – **საფარ-ბეგს** უფლება მისცა ისლამი უარეყო და ქრისტიანულად მონათლულიყო. ქელეშ-ბეგის ასეთი მოქმედება მიუღებელი იყო ოსმალეთისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა რუსეთ-ოსმალეთის ომი (1806-1812 წწ.) მიმდინარეობდა. 1808 წლის 2 მაისს ოსმალეთის ნაქეზებით აფხაზეთის მთავარი ქელეშ-ბეგ შერვაშიძე მოკლა მისივე შვილმა **ასლან-ბეგმა**. ასლან-ბეგ შერვაშიძეს დაუპირისპირდა მისი ძმა **საფარ-ბეგ (იგივე გიორგი) შერვაშიძე**.

საფარ-ბეგ (გიორგი) შერვაშიძემ თხოვნით მიმართა ნინო ბაგრატიონ-დადიანს, რათა მას ეშუამდგომლა რუსეთის იმპერატორთან აფხაზეთის სამთავროს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის თაობაზე. რუსეთის საიმპერატორო კარმა **საფარ-ბეგ (გიორგი) შერვაშიძის** თხოვნა დააკმაყოფილა.

1810 წლის 8 ივნისს სოხუმთან რუსეთის სადესანტო რაზმი გადმოსხდა. ამ სადესანტო რაზმმა და რუსეთის რეგულარული არმიის იმ რაზმმა, რომელსაც გენერალი დიმიტრი ორბელიანი მეთაურობდა, 10-20 ივნისს მიმდინარე ბრძოლების შედეგად **სოხუმი** დაიკავა. 1810 წლის ოქტომბერში გენერალმა დიმიტრი ორბელიანმა საფარ-ბეგ (გიორგი) შერვაშიძეს რუსეთის ქვეშევრდომობის დამადასტურებელი სიგელი გადასცა. იმავდროულად გიორგი შერვაშიძე აფხაზეთის მთავრად გამოცხადდა.

იმერეთის სამეფოს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის (1804 წ.) ერთ-ერთ პირობას იმერეთის მეფის მიერ **ლეჩხუმისა** და **სადადიანო** სვანეთის სამეგრელოს მთავრის კუთვნილებად ცნობა წარმოადგენდა. მართალია, სოლომონ II ამ პირობას დაეთანხმა, მაგრამ 1804-1810 წლებში რუს მოხელეებს განუწყვეტლივ უმტკიცებდა, რომ ლეჩხუმი და სვანეთი ისტორიულად იმერეთის სამეფოში შედიოდა. 1810 წელს, მას შემდეგ რაც რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებული სოლომონ II დამარცხდა და ოსმალეთში გადაიხვენა, ლეჩხუმი და სადადიანო სვანეთი რუსეთის იმპერატორმა კვლავ სამეგრელოს მთავარს **ლევან V დადიანს** დაუმტკიცა.

რუსეთს სვანეთის სამთავროში შეღწევა გაუადვილა დადეშქელიანების საგვარეულოში არსებულმა დაპირისპირებამ.

XIX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგისათვის სვანეთი გაყოფილი იყო ორ ნაწილად. **ქვემო სვანეთი** სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა და ამდენად რუსეთის ქვეშევრდომობაში იმყოფებოდა. **ზემო სვანეთი (ბალზემო სვანეთი)** ერთმანეთის მოწინააღმდეგე **ეცერისა** და **ფარის** საფეოდალო სახლებად იყო გათიშული. ეცერს (სულ 30 სოფელი) **თათარყან დადეშქელიანი** ფლობდა, ხოლო ფარს (სულ 21 სოფელი) – **ციოყ დადეშქელიანი**. ცალკე არსებობდა ე. წ. **თავისუფალი (უბა-**

სოხუმი

ტონო) სვანეთი, რომელიც არავის ექვემდებარებოდა.

სამეგრელოს მთავარმა ლევან V დადიანმა დიდი როლი შეასრულა სვანეთის სამთავროს რუსეთის მფლობელობაში შესვლის საქმეში. 1822 წლამდე ლევან დადიანის მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. ლევან დადიანმა, მართალია, შეძლო **თენგიზ დადეშქელიანის** გადმობირება და რუსეთის ქვეშევრდომობაზე დათანხმება, მაგრამ რუსეთის ქვეშევრდომობაზე უარს აცხადებდა თათარყან დადეშქელიანი. 1823 წელს წინასწარ

სვანური კოშკები

მოფიქრებული გეგმის თანახმად ლევან დადიანმა თათარყან დადეშქელიანის მოწინააღმდეგე ციოყ დადეშქელიანის დაზე – **დარეჯანზე** დანიშნა თავისი შვილი დავითი. სამეგრელოს მთავარი ვარაუდობდა, რომ ამ გზით ციოყ დადეშქელიანს რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებაზე დაითანხმებდა. ციოყ დადეშქელიანს იმხანად თავი შეუკავებია რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებაზე. ლევან დადიანი იმედს მაინც არ კარგავდა. ამჯერად თავისუფალი (უბატონო) სვანეთის გადაბირება ცადა და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია.

XIX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგიდან რუსეთმა აქტიურად დაიწყო მოქმედება სვანეთში შესაღწევად. რუსეთს ხელს უწყობდა დაპირისპირების გამწვავება ციოყ და თათარყან დადეშქელიანებს შორს. ამავე დროს აფხაზეთისა და ყაბარდოს გავლენით დადეშქელიანების საგვარეულოს ზოგიერთმა წარმომადგენელმა ისლამი მიიღო. მაჰმადიანები იყვნენ ციოყიცა და თათარხანიც. ლევან დადიანი რუსი მოხელეების დავალებით ციოყსა და თათარხანს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლას ურჩევდნენ. ციოყმა და თათარყანმა რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღება ცალ-ცალკე ითხოვეს. 1833 წლის 9 დეკემბერს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზI-მა ხელი მოაწერა **ციოყ დადეშქელიანის** „სათხოვარ პუნქტებს“, ხოლო 25 დეკემბერს – **თათარყან დადეშქელიანის** „სათხოვარ პუნქტებს“. ამიერიდან ციოყი და თათარყანი იწოდებოდნენ სვანეთის **„მფლობელებად“**. ცხადია, რუსეთი ციოყისა და თათარყანის „მფლობელებად“ ცნობით კიდევ უფრო ამწვავებდა დადეშქელიანების საგვარეულოში არსებულ დაპირისპირებას.

რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ ციოყიცა და თათარყანიც გაქრისტიანდნენ. ციოყმა ნათლობის სახელად მიიღო **ნიკოლოზი**, თათარყანმა – **მიხეილი**. რუსეთის იმპერატორმა ორთავეს მაიორის სამხედრო წოდება უბოძა.

1840 წელს რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა **თავისუფალი სვანეთიც**.

სვანეთის სამთავროს ქვეშევრდომობაში მიღების შემდეგ რუსეთს გარკვეულ დრომდე დადეშქელიანთა ხელისუფლება მნიშვნელოვნად არ შეუზღუდავს. სვანეთში არც რუსეთის ჯარი შესულა.

თავი III.

რუსეთის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის პირველ მესამედში

§ 1. რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის შინაარსით იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ საქართველოს მიმართ რუსეთის საიმპერატორო კარის ვერაგული პოლიტიკა ქვეყნის დაპყრობის შემდეგ უფრო ნორმალური დამოკიდებულებით შეიცვლებოდა. თავდაპირველად მოსახლეობაც იმედიანად იყო განწყობილი და მშვიდად ხვდებოდა 1802 წლის გაზაფხულზე ქართლ-კახეთში შემოსულ რუსეთის ჯარს.



ტფილისის სიონი

სახალხო ენთუზიაზმი ხანმოკლე აღმოჩნდა. ტფილისში ჩამოსულმა გენერალმა **კარლ კნორინგმა** 1802 წლის 16 აპრილს სამეფო ოჯახისა და ქართველი არისტოკრატიის წარმომადგენლები **სიონის** საკათედრო ტაძრის ეზოში მიიწვია, რუსეთის იმპერატორის მანიფესტის გასაცნობად. პირველი ეჭვები მაშინ გაჩნდა, როდესაც თავმომწონე თავადობას იარაღის ტაძრის ეზოს გარეთ დატოვება მოსთხოვეს. წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

ეჭვი დიდ აღშფოთებაში გადაიზარდა, როცა იარაღაყრილ ქართველობას გამოუცხადეს ქვეყანაში რუსული ადმინისტრაციის შემოღების საჭიროება, ხოლო ყველაზე გავლენიან პირებს მოსთხოვეს რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულების ფიცის დადება. დიდი იყო უკმაყოფილება, მაგრამ, როცა აღმოჩნდა, რომ სიონის მიდამოები რუსთა ჯარით იყო გარშემორტყმული, იარაღაყრილი ქართველობა დაიშალა, თუმცა ისე, რომ ფიცი არ დაუდია. ქალაქი მღელვარებამ მოიცვა, ვაჭარ-ხელოსნებმა დუქნები და სახელოსნოები დახურეს, ქალაქის თავკაცები **დავით ბატონიშვილს** წარუდგნენ და რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში თანადგომა აღუთქვეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ქართველობამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და ამჯერად წინააღმდეგობაზე უარი თქვა. მართალია, რუსთა წინააღმდეგ გამოსვლები მაინც აღინიშნა, მაგრამ მათ ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა.

რუსებმა ჯერ კიდევ **გიორგი XII-ის** სიცოცხლეში დაიწყეს ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო საქმეებში ჩარევა და ადგილობრივი ხელისუფლების შეზღუდვა. რუსი დიპლომატებისა და სამხედროების გავლენა რუსეთის ჯარის რაოდენობის ზრდასთან ერთად ძლიერდებოდა. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ, 1800 წლის დეკემბრის მიწურულიდან 1801 წლის იანვრის დამლევამდე, ფაქტობრივად, ქართლ-კახეთის სამეფოს მმართველობას კონტროლს უწევდა გენერალი **ივანე ლაზარევი**.

1801 წლის მარტში, იმპერატორ პავლე I-ის 18 იანვრის მანიფესტის საფუძველზე, შემუშავდა ქართლ-კახეთის მმართველობის წესები.

კარლ კნორინგი



დუშეთი

11 მარტს საქართველოს **გენერალ-გუბერნატორად** დაინიშნა გენერალი **კარლ კნორინგი**. ფაქტობრივად, კარლ კნორინგი გახლდათ რუსთა ჯარის **მთავარსარდალი** საქართველოში და დაპყრობილი ქვეყნის **სამოქალაქო საქმეთა პირველი მთავარმართებელი**. ტფილისში ჩა-



სიღნაღი

მოსულმა კ. კნორინგმა 1802 წლის მაისიდან ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის მემკვიდრე და მმართველი **დავით გიორგის ძე** გადააყენა

თელავი. ერეკლე II-ის სასახლე.

და ქვეყნის დროებით მმართველად ანუ **„საქართველოს მმართველად“** გენერალ-მაიორი **ივანე ლაზარევი** დანიშნა. ივანე ლაზარევის მმართველობა ერთ წელიწადს გრძელდებოდა და გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა მმართველობის სრული რუსიფიკაციისაკენ.

ახალი მმართველობის პრინციპები ჩამოყალიბებული იყო იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტში. მის გამოსაქვეყნებლად შესაფერის დროს ეძებდნენ. როცა ტფილისში რუსთა ჯარის დამატებითი ნაწილები შემოვიდნენ, საოკუპაციო ხელისუფლებამ მომაგრებულად იგრძნო თავი და 1802 წლის 8 მაისს საჯაროდ გამოაცხადა **რუსეთის მმართველობის** დამყარება ქართლ-კახეთში. საოკუპაციო ხელისუფლება ხაზს უსვამდა, რომ თავის მმართველობას საქართველოს ერთ ნაწილში – ქართლ-კახეთში კი არ ამყარებდა, არამედ საერთოდ – საქართველოში. ახალი მმართველობის შესახებ დოკუმენტსაც შესაბამისი სახელწოდება წაუმძღვარეს: **„საქართველოს შინაგანი მმართველობის დებულება“**.

„საქართველოს მმართველობას“ სათავეში ჩაუყენეს **„საქართველოს მთავარსარდალი“** ანუ **„მთავარმმართველი“**. შემდგომში ორივე ამ ტერმინის მაგიერ დამკვიდრდა **„მთავარმართებლის“** სახელწოდება. მთავარმართებელი იყო ჯერ აღმოსავლეთ, შემდეგ მთელი საქართველოს და კავკასიის რუსული მმართველობის **უმაღლესი ხელისუფალი**. იმავდროულად, მთავარმართებელი საქართველოში, კავკასიაში განლაგებულ რუსეთის ჯარების **მთავარსარდალი**. მთავარმართებელი პასუხისმგებელი იყო იმპერიის შინისტრების წინაშე. საქართველოს, ხოლო შემდეგ **კავკასიის მთავარმართებლის** თანამდებობა არსებობდა 1801-1844 და 1882-1904 წლებში. 1844-1882 და 1905-1917 წლებში მთავარმართებლის თანამდებობა შეცვალა **კავკასიის მეფისნაცვლის** თანამდებობამ.

მთავარმართებლის თანაშემწედ ითვლებოდა **„საქართველოს მმართველი“**, რომელიც უმთავრესად სამოქალაქო სფეროს განაგებდა. მმართველი ხელმძღვანელობდა **„საქართველოს უზენაეს მთავრობას“**, რომელიც ოთხ განყოფილებად – ექსპედიციად დაიყო. ესენი იყო: **აღმასრულებელი, სამოქალაქო საქმეების,**

სისხლის სამართლის და **სახაზინო ქონებათა** ექსპედიციები. შემდგომში საქართველოს მმართველს **„საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორსაც"** უწოდებდნენ. რუსეთის მმართველობაში სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება თავიდანვე გაიმიჯნა. საქართველოს მმართველი პირველი, აღმასრულებელი, ექსპედიციის უფროსადაც ითვლებოდა. საქართველოს პირველ მმართველად პეტრე კოვალენსკი დაინიშნა. დანარჩენი ექსპედიციების უფროსებადაც რუსი მოხელეები გაამწესეს, ხოლო მათ მრჩევლებად ქართველი თავადები დანიშნეს.

რუსულმა მმართველობამ ქართლ-კახეთი ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაპყო. შეიქმნა ხუთი მაზრა: **გორის, ტფილისი-ლორეს, დუშეთის, თელავის** და **სიღნაღის**. აღმოსავლეთ საქართველოს იმ რაიონებში, სადაც მუსლიმი ხალხები ცხოვრობდნენ, საუბნო ერთეულები – **„დისტანციები"** შეიქმნა. სულ შეიქმნა შემდეგი დისტანციები: **ბორჩალოს, ყაზახის, შამშადილის, ბამბაკისა** და **შორაგალის**.

მაზრის მმართველობას ახორციელებდა **საერობო პოლიცია** და **სამაზრო სასამართლო**, რომლის შემადგენლობაშიც ორი მსაჯული ითვლებოდა. მსაჯულებად ადგილობრივ ქართველ თავადებს ნიშნავდნენ. მაზრების სათავეში რუსი მოხელეები – **კაპიტან-ისპრავნიკები** ჩააყენეს. რუსი მოხელეები – **კომენდანტები** – განაგებდნენ საქართველოს ქალაქებსაც. მათი თანაშემწეები – **პოლიცმეისტერები** – ქართველი თავადები იყვნენ.

აღმოსავლეთ საქართველოში სრულიად ახალი, ქართველი ერისათვის უცხო და მიუღებელი **სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი** დამყარდა. მმართველობის სისტემიდან გამოდევნეს **ქართული ენა**. მართვა-გამგეობისა და სასამართლო სისტემის ენად, ქართველი ხალხისათვის სრულიად გაუგებარი რუსული ენა იქცა. ქართველი თავადაზნაურობა ერთბაშად ჩამოაცილეს სახელმწიფოს მმართველობის სადავეებს და მეორეხარისხოვან თანამდებობებზე დანიშნეს.

რუსეთის საოკუპაციო მმართველობას აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის პირველ წლებში არ ჰქონია სრული და აბსოლუტური ხასიათი. რუსეთის ხელისუფლებამ საჭიროდ ჩათვალა, თავდაპირველად ცალკეულ ფორმალურ დათმობებზე წასულიყო და მინიმალურად მაინც გაეთვალისწინებინა ქართველი ერის ტრადიციები, ცხოვრების წესი, ქართველი არისტოკრატიის ინტერესები. სწორედ ამ მიზნით რუსულმა მმართველობამ ძალაში დატოვა ვახტანგ VI-ის სამართალი. როგორც აღვნიშნეთ, ნამყვან ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დანიშნულ რუს მოხელეებს ქართველი არისტოკრატიის წარმომადგენლები მიუჩინეს მრჩევლებად. საიმპერატორო ხელისუფლება თავდაპირველად იმასაც მოერიდა, რომ დაპყრობილი სამეფოსათვის ჩვეულებრივი რუსული ადმინისტრაციული ერთეულის – გუბერნიის სახელი ეწოდებინა და ქვეყანას საკუთარი სახელი – **საქართველო** შეუნარჩუნა.

მთავარმართებელმა ალექსანდრე ტორმასოვმა დაპყრობილი ქვეყნის ახალი მმართველობის შექმნა იმერეთში რუსთა ჯარის მეთაურს **თევდორე სიმონოვიჩს** დაავალა. **„იმერეთის ოლქის"** რუსული მმართველობის დებულება მთავარმართებლის კანცელარიაში მომზადდა და თავდაპირველად ქართლ-კახეთში დამყარებული რუსული მართვა-გამგეობის სისტემის გამარტივებულ ვარიანტს წარმოადგენდა. **„დადგენილება იმერეთის ოლქის შინაგანი მმართველობის შესახებ"** საზეიმოდ უნდა შესულიყო ძალაში. საამისოდ სპეციალური განანესი შემუშავდა, მაგრამ „დადგენილების" განხორციელება ვერ მოხერხდა. იგი უვარგისად ცნო თვით იმერეთის ოლქის პირველმა რუსმა ხელისუფალმა თევდორე სიმონოვიჩმა.

თევდორე სიმონოვიჩმა 1810-1814 წლებში იმერეთის საოლქო მართვა-გამგეობის სამი პროექტი შეიმუშავა რომელთაგანაც ცხოვრებაში არც ერთი არ განხორციელებულა სრული სახით. უფრო სიცოცხლისუნარიანი იყო სიმონოვიჩის მესამე პროექტი – **„დადგენილება საეარაუდო საოლქო მმართველობის შექმნამდე იმერეთის დროებითი მმართველობის შესახებ"**, რომელიც 1814 წლის დასაწყისში იქნა შემუშავებული. ამ დოკუმენტს დაემყარა ოლქის რუსული მმართველობის ორგანიზაცია, რომლის ოფიციალური შემოღება ხელისუფლებამ ვერ შეძლო, თუმცა იგი ფაქტობრივად არსებობდა და მოქმედებდა 1840 წლამდე.

იმერეთის ოლქი ოთხ „ოკრუგად“ დაიყო. ეს ოკრუგები იყო: **ქუთაისის, ვაკის, შორაპნის** და **რაჭის**. მათ ერთპიროვნულად განაგებდნენ რუსი ოფიცრები. **ოკრუგის უფროსს** ორი თანაშემწე ჰყავდა, რომლებსაც ქართველი არისტოკრატიის წარმომადგენლებისაგან ირჩევდნენ. თანაშემწეები ოკრუგის მართვაში უმნიშვნელო მონაწილეობას იღებდნენ.

რუსულმა მმართველობამ საქართველოში თავდაპირველად ძალაში დატოვა **მოურაობის** ინსტიტუტი. მოურავები სოფლის საქმეებს განაგებდნენ. აღმოსავლეთ საქართველოში მოურავების ინსტიტუტი XIX საუკუნის 20-იან წლებში გაუქმდა. იმერეთსა და გურიაში სოფლის მოურაობა 1840 წლამდე არსებობდა.

იმერეთის ოლქის დროებითი მმართველობის სათავეში რუსი მოხელე – **მმართველი** იდგა. იმერეთი მმართველის უშუალო საგამგეოს წარმოადგენდა, მაგრამ მისი ფაქტობრივი ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს ჯერ კიდევ გაუუქმებელი სამთავროების ტერიტორიაზეც ვრცელდებოდა. 1810 წელს საქართველოს მთავარმართებელი ალექსანდრე ტორმასოვი იმერეთის ოლქის პირველ მმართველს თევდორე სიმონოვიჩს აცნობებდა, რომ იგი დანიშნულია **„იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის მმართველად“**. 1810-1840 წლებში იმერეთის დროებითი მმართველობის სათავეში იდგნენ: **პოლკოვნიკი თევდორე სიმონოვიჩი (1810-1815), პოლკოვნიკი სტანისლავ მერლინი (1815-1816), გენერალი ივანე ხატუნცოვი (1816-1820), პოლკოვნიკი ივანე პუზირევსკი (1820), პოლკოვნიკი პეტრე გორჩაკოვი (1820-1825), გენერალი ვასილ ბებუთოვი (1825-1827), გენერალი კარლ ჰესე (1827-1831), გენერალი პეტრე ვაკულსკი (1831-1834), გენერალი დიმიტრი ახლესტიშჩევი (1834-1837), გენერალი აკიმ ესპეხო (1837-1840).**

იმერეთის მმართველი იმავდროულად იყო დასავლეთ საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარების **სარდალი**. მმართველს მთავარმართებელი ნიშნავდა და იმპერატორი ამტკიცებდა. იმერეთის მმართველი კავკასიის მთავარმართებლის წინაშე იყო ანგარიშვალდებული და მხარეს ერთპიროვნულად მართავდა.

იმერეთის სამოქალაქო საქმეებს მმართველის ხელმძღვანელობით ოლქის **„მმართველობა“** ახორციელებდა. მას **„დროებით მმართველობას“, „მთავრობას“** და ხან **„დივანსაც“** უწოდებდნენ. მმართველობა შედგებოდა **რუსი თავმჯდომარის, ორი რუსი მრჩეველისა** და **ორი ქართველი მდივანბეგისაგან**. მდივანბეგებს ქართველი არისტოკრატიის წრიდან ირჩევდნენ. იმერეთის დროებითი მმართველობის ექსპედიციებად დაყოფა არ შემოუღიათ. სამოქალაქო საქმეების განხილვის პროცესში გამოიყენებოდა მეფე ვახტანგ მეექვსის **„სამართლის წიგნი“**. რაც შეეხება სისხლის სამართლის, სამხედრო და პოლიტიკური ხასიათის დანაშაულს, მათ **რუსული კანონმდებლობის** საფუძველზე იხილავდა **სამხედრო-სასამართლო კომისია**.

იმერეთში დამყარებული რუსული **„დროებითი მმართველობა“** შერეული ხასიათისა იყო და **სამხედრო-საოკუპაციოსთან** ერთად **სამოქალაქო** ხასიათს ატარებდა. 1810-1840 წლებში საოკუპაციო ხელისუფლება იძულებული გახდა მართვა-გამგეობაში ბევრი ქართული ტრადიციული ინსტიტუტი ხელუხლებლად დაეტოვებინა. ამისი მიზეზი იყო რუსეთის ხელისუფლების ჯერ კიდევ არასტაბილური მდგომარეობა კავკასიაში და ის დიდი წინააღმდეგობა, რომელსაც ქართველი ერი უწევდა დამპყრობელს.

§ 2. რუსეთის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში

1. ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრთა გადასახლება რუსეთში. ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებამ ყველაზე მეტად ქართლ-კახეთისა და იმერეთის ბაგრატიონთა სამეფო სახლები დააზარალა. მსოფლიოს წარჩინებულ საგვარეულოთა შორის ეს ერთ-ერთი ძირძველი დინასტია მრავალი საუკუნის განმავლობაში სათავეში ედგა ქართულ სახელმწიფოს და ქართველ ერს. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთში, ხოლო შემდგომ 1810 წელს იმერეთში ბაგრატიონებმა ერთბაშად დაკარგეს „ღვთითბოძებული“ ხელისუფლება.

ამგვარ უსამართლო მოპყრობას არ შეიძლება უკმაყოფილება არ გამოეწვია ბაგრატიონ-

თა სამეფო სახლის წევრთა შორის. ბევრი მათგანი იძულებული იყო ბედს შერიგებოდა, მაგრამ ბაგრატიონთა შორის შეურიგებელნიც აღმოჩნდნენ. **ალექსანდრე ერეკლეს ძე** სპარსეთში გადაიხვენა და დიდხანს იბრძოდა რუსეთის გაძევებისათვის საქართველოდან. **იულონ** და **ფარნაოზ** ბატონიშვილები აქტიურად ცდილობდნენ მონაწილეობა მიეღოთ 1804 წლის ქართლის მთიანეთის აჯანყებაში.

რუსეთის იმპერიის ხელისუფლება შიშობდა, რომ მოსალოდნელი **ანტირუსული გამოსვლების** შემთხვევაში სამეფო სახლის წარმომადგენლები სათავეში ჩაუდგებოდნენ მოძრაობას. რუსეთის ხელისუფლებამ ბაგრატიონთა სამეფო სახლის საქართველოდან მთლიანად გადასახლება გადაწყვიტა. იმპერატორი ალექსანდრე I მზად იყო ბაგრატიონებისათვის საუკეთესო პირობები შეექმნა პეტერბურგში, ოღონდ სამეფო სახლის არც ერთი წარმომადგენელი არ დაეტოვებინა საქართველოში.

ქართლ-კახეთის ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენლები ძირითადად ქართლ-კახეთის ორი უკანასკნელი დედოფლის – **დარეჯანისა** და **მარიამის** გარშემო იყრიდნენ თავს. სწორედ ამ მიზეზით **პავლე ციციანოვმა**, პირველ რიგში დედოფლების გადასახლება გადაწყვიტა.

ერეკლე II-ის მეუღლე, **დარეჯან** დედოფალი, ყველა ღონეს ხმარობდა, რომ სამშობლოში დარჩენილიყო. როცა იგი მიხვდა, რომ საქართველოში დარჩენა შეუძლებელია, შეეცადა ავადმყოფობის მომიზეზებით, რაც შეიძლება გაეჭიანურებინა რუსეთში გამგზავრება. დარეჯან დედოფალმა მუხრანს მიაშურა საცხოვრებლად, ხოლო როცა რუს ჯარისკაცთა ბატალიონის თანხლებით მაინც იძულებული გახდა მოზდოკისაკენ გასდგომოდა გზას, განუწყვეტლივ ჩერდებოდა შიდა ქართლის სოფლებში ღამის გასათევად. **პეტერბურგში** დასახლებულ დარეჯან დედოფალს, მიუხედავად ცხოვრების ნორმალური პირობებისა, დიდხანს აღარ უცოცხლია – იგი 1807 წლის შემოდგომაზე გარდაიცვალა.

უფრო ტრაგიკულად წარიმართა ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფლის, გიორგი XII-ის ქვრივის – **მარიამის** გადასახლების პროცესი. მარიამმა ჯერ კიდევ 1802 წელს მიმართა

მარიამ დედოფალი

იმპერიის ხელისუფლებას, რომ მისთვის სამი წლით მაინც დაერთოთ საქართველოში ცხოვრების ნება. ამაო იყო დედოფლის ვედრება. 1803 წლის 19 აპრილს დილის 6 საათზე, **პავლე ციციანოვის** ბრძანებით, მარიამ დედოფლის სასახლეს რუსეთის ჯარის ორმა ასეულმა ალყა

ფარნაოზ ბატონიშვილი

შემოარტყა. ჯარისკაცებმა სასახლის ოთახები და შესასვლელები დაიკავეს. რუსი ოფიცრები მარიამ დედოფლის ოთახში შევიდნენ და მას პავლე ციციანოვის ბრძანება გადასცეს. დედოფალს ოჯახის თანხლებით უნდა დაეტოვებინა დედაქალაქიც, ქვეყანაც და რუსეთში გამგზავრებულიყო. ოთახში მყოფმა ბატონიშვილებმა, **ჯიბრაილმა** და **თამარმა,** დამალული ხანჯლები

იოანე ბატონიშვილი

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა (XIX საუკუნე)



ბაგრატ ბატონიშვილი

ამოილეს და ოფიცრებს დედოფლის ოთახის დატოვება მოსთხოვეს. გენერალი **ივანე ლაზარევი**, რომელიც პავლე ციციანოვის ბრძანებით ოპერაციას ხელმძღვანელობდა, დედოფლის ოთახში შევიდა და დაუყოვნებლივ მოსთხოვა გამგზავრებისათვის სამზადისს შესდგომოდა. ოფიციალური ვერსიით, ივანე ლაზარევმა გაიგონა ხმაური, შევარდა ოთახში და მივარდა თავის ქვეშაგებზე მჯდომ დედოფალთან. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ დედოფალმა საბნისქვეშ დამალული ხანჯალი ამოიღო და მარცხენა გვერდში დასცა რუს გენერალს. ივანე ლაზარევმა ოთახი გადაირბინა და ზღურბლზე დაეცა მკვდარი. არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის მიხედვითაც, ლაზარევი თავადმა **ნიკოლოზ ხიმშიაშვილმა** განგმირა და შეუმჩნევლად მიიმალა.

რუსი გენერლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი მარიამ დედოფალი ოჯახის თანხლებით სასწრაფოდ მოაცილეს ტფილისს. 1803 წლის ზაფხულში იგი **ბელგოროდის** დედათა მონასტერში გამოკეტეს. ბელგოროდის გადასახლებაში მარიამ დედოფალს თან ახლდა მისი ექვსი შვილი. 1811 წელს ქართლ-კახეთის უკანასკნელ დედოფალს იმპერატორმა მოსკოვში ცხოვრების ნება დართო.

ბატონიშვილებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა **დავით გიორგის ძე** იყო. სულ ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეს გიორგი XII პირველი მეუღლის – ქეთევანისგან ცხრა შვილი ჰყავდა, მათ შორის ვაჟები: **დავითი, იოანე, ბაგრატი** და **თეიმურაზი**. 1803 წლის დასაწყისში დავით ბატონიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა მიიღო იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრისაგან პეტერბურგში საცხოვრებლად „მიწვევა". დავითმა სნეულების მომიზეზებით სამშობლოში დატოვება ითხოვა, მაგრამ უშედეგოდ. **დავით ბატონიშვილს** მოსამზადებლად ერთი თვეც კი არ მისცეს და **ვახტანგ ერეკლეს ძესთან** ერთად გაამგზავრეს საქართველოდან.

პავლე ციციანოვი ჩქარობდა. არც ერთი ბაგრატიონი არ უნდა დარჩენილიყო საქართველოში. 1804 წლის ივნისში, ქართლის მთიანეთის აჯანყების დროს, რუსებს ხელში ჩაუვარდათ საოკუპაციო რეჟიმის ენერგიული მოწინააღმდეგე **იულონ ერეკლეს ძე**, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის ერთ-ერთ უპირველეს პრეტენდენტად ითვლებოდა. აღფრთოვანებული პავლე ციციანოვი წერდა, რომ იულონ ბატონიშვილის შეპყრობა ძლიერი ციხე-სიმაგრის აღებაზე მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდა, რადგან სანამ ასპიტთა ეს მოდგმა იქნება საქართველო-



ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი

ში, მანამდე ქვეყანა ვერ დამშვიდდება, ერის მათდამი, (ე. ი. ბაგრატიონებისადმი) ბრიყვული ერთგულების გამოო. 1805 წელს **იულონ ერეკლეს ძე** და **ფარნაოზ ერეკლეს ძე** საქართველოდან გადაასახლეს.

XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსეთის ხელისუფლებამ ქართლ-კახეთის სამეფო სახლის ყველა მნიშვნელოვანი წარმომადგენელი



თეიმურაზ ბატონიშვილი

გადასახლა რუსეთში, **მხოლოდ ალექსანდრე ბატონიშვილს** ვერ მოუხერხა ვერაფერი. ალექსანდრე ბატონიშვილი ათეული წლების განმავლობაში იბრძოდა ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის. იგი 1844 წელს გარდაიცვალა სპარსეთში.

1810 წელს დღის წესრიგში დადგა იმერეთის ბაგრატიონთა სახლის წევრთა რუსეთში გადასახლების საკითხი. მდგომარეობას ართულებდა იმერეთიდან ახალციხეში გადახვეწილი **სოლომონ II**. რუსულმა მმართველობამ სოლომონთან მკვლელების მიგზავნაც კი სცადა, მაგრამ ამაოდ. იმერეთის დროებითი მმართველი **თევდორე სიმონოვიჩი** მთავარმართებელს განუმარტავდა, მოსახლეობაში იმდენად დიდია სოლომონისადმი ერთგულება, რომ მისი მკვლელობის მონადინე ვერაფრით ვიპოვეთ, მიუხედავად ჩვენი მრავალგზისი მცდელობისაო.

იმერეთის სამეფო სახლს სამი მეფის: **სოლომონ I-ის, დავით II-ისა** და **სოლომონ II-ის** ოჯახთა წევრები შეადგენდნენ. მათგან იმერეთის ბაგრატიონთა სამეფო სახლის უმთავრესი წარმომადგენლები იყვნენ: სოლომონ I-ის **მეუღლე გულქან ნულუკიძე**; მეფის ქალიშვილები **დარეჯანი** და **მარიამი** თავიანთი შვილებით; დავით II-ის **მეუღლე – ანა** და მისი მრავალრიცხოვანი შვილები; სოლომონ II-ის **მეუღლე – მარიამი** და მისი ორი და. იმერეთის უკანასკნელ მეფეს შვილები არა ჰყავდა.

როდესაც მთავარმართებელმა **ალექსანდრე ტორმასოვმა** სოლომონ II მოტყუებით დაატყვევა, რუსეთის ხელისუფლება ფიქრობდა იმერეთის მეფის გადასახლებას რუსეთის რომელიმე გუბერნიის სოფელში. სოლომონის ახალციხეში გაქცევის შემდეგ, მთავარმართებელმა **მარიამ დედოფლის** ფოთის ციხე-სიმაგრეში მოთავსება გადაწყვიტა. იმერეთის მმართველი თევდორე სიმონოვიჩი უფრო კეთილგონიერი აღმოჩნდა და მთავარმართებელს არწმუნებდა, რომ დედოფლის უპატიოდ ფოთში გადაყვანა, იმერეთის მოსახლეობაში მღელვარებას გამოიწვევდა. თევდორე სიმონოვიჩი უმჯობესად თვლიდა, რომ დედოფალი მარიამი ქუთაისში მიეწვა და იქ ჰყოლოდა მეთვალყურეობის ქვეშ. მარიამმა დატყვევების შიშით უარი შეუთვალა იმერეთის მმართველს და სოლომონ II-ის დასთან ერთად სამეგრელოს მთავრის **ლევან დადიანის** ოჯახს შეაფარა თავი.

მთავარმართებელმა ალექსანდრე ტორმასოვმა მკაცრი ბრძანება გაუგზავნა იმერეთის მმართველს, რომ ჯერ შეგონებით დაეყოლიებინათ დედოფალი მარიამი, ხოლო თუ ეს უკანასკნელი უარს განაცხადებდა, ძალის გამოყენებით ჩამოეყვანათ იმერეთში და შემდეგ ტფილისში. მთავარმართებლის ბრძანებით, ასევე უნდა მოქცეოდნენ იმერეთის ბაგრატიონთა სამეფო სახლის სხვა წევრებსაც.

1810 წლის ნოემბერში გაძლიერებული ბადრაგის თანხლებით ტფილისში ჩაიყვანეს სოლომონ II-ის **მეუღლე – მარიამ დედოფალი**, მეფის და **მარიამი**, სოლომონ II-ის ქალიშვილი – **დარეჯანი** და იმერეთის სამი უკანასკნელი მეფის ოჯახობის რამდენიმე ათეული წევრი. მთავარმართებელმა ტორმასოვმა არ შეისმინა სოლომონ II-ის თხოვნა, გაეთავისუფლებინა დედოფალი მარიამი. 1810 წლის დეკემბერში სუსხიან პერიოდში დედოფალი მარიამი და მეფის და მარიამი **ვორონეჟში** გადაასახლეს. საბოლოოდ იმერეთის უკანასკნელი დედოფალი **პეტერბურგში** დასახლდა.

1810 წლიდან XIX საუკუნის 20-იან წლებამდე პეტერბურგსა და მოსკოვში გადაასახლეს სოლომონ I-ის, დავით II-ისა და სოლომონ II-ის ოჯახის წევრების, მემკვიდრეებისა და მათი ოჯახის წევრთა დიდი უმრავლესობა. გადასახლებულთა შორის აღმოჩნდა იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის შვილი **კონსტანტინე ბატონიშვილიც**, რომელიც 1810 წელს დედასთან – **ანა დედოფალთან** ერთად დიდი პატივით მიიღეს მოსკოვში.

როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის იმპერიის ხელისუფლება წყალობას არ აკლებდა რუსეთში გადასახლებულ საქართველოს სამეფო სახლის წარმომადგენლებს. ბატონიშვილთა უმრავლესობა პეტერბურგსა და მოსკოვში დაბინავდა. ისინი ფაქტობრივად ხელისუფლების კმაყოფაზე ცხოვრობდნენ, ენიშნებოდათ ჯამაგირი და პენსიები, გზა ხსნილი ჰქონდათ სახელმწიფო და, განსაკუთრებით, სამხედრო კარიერისაკენ.

ერთადერთი, რაც გადასახლებულებს ეკრძალებოდათ, სამშობლოში დაბრუნება იყო. ყველა ერთნაირად ვერ ეგუებოდა უცხო ქვეყანაში პატივით ცხოვრებას და სამშობლოსთან განშორებას.

გადასახლებულ ბაგრატიონთა პირველი თაობის წარმომადგენლები **„ქართველ ბა-**

ტონიშვილებად" მოიხსენიებოდნენ **„უგანათლებულესობის"** ზედწოდებით. XIX საუკუნის მანძილზე და შემდგომშიც ბაგრატიონთა სამეფო სახლის შთამომავლობის არაერთმა წარმომადგენელმა გამოიჩინა თავი როგორც საქართველოს, ისე რუსეთის პოლიტიკურ, სამხედრო, კულტურულ სარბიელზე.

რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ თავის მთავარ მიზანს მიაღწია – ბაგრატიონთა სამეფო სახლი ჩამოაცილა ქართველი ერის ბრძოლას თავისუფლებისათვის.

2. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ ქართველი ერის სულიერების უმთავრეს საყრდენს – **საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლურ ეკლესიას** შეუტია. მისი მიზანი იყო საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალიის გაუქმება და იერარქიულად რუსული ეკლესიისადმი დაქვემდებარება. მხოლოდ ამის შემდეგ მიაღწევდა საიმპერიო ხელისუფლება თავის უმთავრეს მიზანს – **საქართველოს ეკლესიის რუსიფიკაციას.**

ჯერ კიდევ იმპერატორ პავლე I-ის სურვილი იყო, დაპყრობილი საქართველო სამოქალაქო ხაზით დაქვემდებარებოდა სენატს, ხოლო სასულიერო ხაზით – **რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის უწმინდეს სინოდს.** იმავე პოლიტიკას ადგა იმპერატორი ალექსანდრე I-იც. ქართველი ერის წინააღმდეგობამ აიძულა იმპერიის ხელისუფლება, მეტი სიფრთხილე გამოეჩინა საქართველოს და ეკლესიის რუსიფიკაციის პროცესი თანდათანობით განეხორციელებინა.

ქართველებისათვის შედარებით მისაღები ფორმა რომ ჰქონოდა, რუსეთის ხელისუფლებამ წინადადება მისცა კათალიკოს-პატრიარქს **ანტონ II-ს,** შეედგინა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი. ანტონ II განზრახ აჭიანურებდა პროექტის შედგენას. გარდა ამისა, ქართლ-კახეთის კათალიკოს-პატრიარქი ენერგიულად დაუპირისპირდა რუსული ადმინისტრაციის ცდებს, ჩარეულიყვნენ ქართლ-კახეთის ეკლესიის საქმეებში.

რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ანტონ II-ის გზიდან ჩამოშორება გადაწყვიტა. მთავარმართებელი ალექსანდრე ტორმასოვი სინოდის უმაღლეს მოხელეს – ობერპროკურორს წერდა, რომ ანტონ II ერთპიროვნულად წყვეტდა საქმეებს, „არავის უწევდა ანგარიშს" და სასურველი იქნებოდა მის მაგიერ „საქართველოს უწმიდესი სინოდის ეგზარქოსად" დანიშნულიყო არქიეპისკოპოსი **ვარლაამი,** რომელიც „კარგად იცნობდა სასულიერო მმართველობის წესებს რუსეთში". თავის მხრივ, იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1809 წელს პეტერბურგში მიიწვია ანტონ II, თითქოს, საქართველოს ეკლესიის საქმეების მოსაგვარებლად. ანტონ II-მ იცოდა, რომ რუსეთის სატახტოდან მას უკან აღარ გამოუშვებდნენ და ჯანმრთელობის გაუარესების მომიზეზებით წასვლას აგვიანებდა. ერთი წლის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქი იძულებული გახდა პეტერბურგში გამგზავრებულიყო.

ამ დროისათვის, როგორც ანტონ II-ის, ისე ქართლ-კახეთის ეკლესიის ბედი გადაწყვეტილი იყო. პეტერბურგში ალექსანდრე ტორმასოვის წინადადება მიიღეს. აღარც ალექსანდრე I მალავდა თავის ზრახვებს. რესკრიპტში ანტონ II-სადმი ალექსანდრე I აღნიშნავდა: „საქართველოს სამეფოს რუსეთის სახელმწიფოსთან შეერთების შემდეგ საქართველოს ეკლესიაც უთუოდ უნდა შეუერთდეს უწმინდესისა და უმართებულესის სინოდის გამგებლობას. ახალ მართვა-გამგეობასთან შეუთავსებელი იქნებოდა საქართველოში კათოლიკოსის ყოფნა". იმპერატორი ანტონ II-ს სთხოვდა, უარი ეთქვა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრობაზე.

მიუხედავად წინააღმდეგობისა, ანტონ II საქართველოს ეკლესიის მეთაურობას ჩამოაშორეს და რუსეთში დატოვეს. იმპერატორმა ჯერ ანდრია პირველწოდებულის, შემდეგ

ანტონ I

ალექსანდრე ნეველის ორდენით დააჯილდოვა ანტონი, ყოველწლიური ჯამაგირიც უბოძა. მიუხედავად ამისა, გადაყენებული კათოლიკოს-პატრიარქი პროტესტით შეხვდა იმპერატორის გადაწყვეტილებას.

საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტის შედგენა დაევალა ჯერ კიდევ მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვის მიერ ანტონ II-ის შემცველად წამოყენებულ კანდიდატს – არქიეპისკოპოს ვარლამს. ეს უკანასკნელი გახლდათ ქსნის ერისთავების ჩამომავალი და გარუსებული საეკლესიო იერარქი, რომელიც რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის წევრიც იყო.

ვარლამის მიერ შემუშავებული საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი უმნიშვნელო ცვლილებით დამტკიცა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა. ეს მოხდა 1811 წლის 30 ივნისს. **მცხეთის საკათალიკოსო ტახტი გაუქმდა. კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობა რუსეთის ხელისუფლებამ შეცვალა საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობით. საქართველოს ავტოკეფალურმა ეკლესიამ არსებობა შეწყვიტა.**

საქართველოში საეკლესიო საქმეების მართვისათვის შეიქმნა სპეციალური ორგანო – **დიკასტერია**. მას სათავეში ჩაუყენეს საქართველოს პირველი ეგზარქოსი **ვარლამი**. საქართველოს საეგზარქოსო **რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდეს სინოდს** დაექვემდებარა. რუსეთის საერო და საეკლესიო ხელისუფლებამ უპრეცენდენტო აქტი განახორციელა – მან გაუქმა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია და ძალისმიერი გზით დაიქვემდებარა იგი. ეს იყო ტრაგიკული მოვლენა საქართველოსათვის. ამიერიდან დაიწყო უმძიმესი სულიერი გაუცხოების ხანა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ხოლო საქართველოს ეკლესიის ისტორიაში – რუსიფიკაციის, საეკლესიო ცხოვრების რუსულ ყაიდაზე გარდაქმნის, საეკლესიო ქონების რუსთაგან ძარცვა-მითვისების მძიმე ეპოქა.

1811 წლისათვის მცხეთის საკათალიკოსოში არსებობდა 13 ეპარქია: **მცხეთის, სიონიტფილისის, სამთავროს, რუისის, ნალკის, სამთავისის, ურბნისის, ნიქოზის, ალავერდის, ნინოწმინდის, რუსთავის, ნეკრესისა და ბოდ-**

ვარლამ ერისთავი

ბის. რუსეთის ხელისუფლებამ ეპარქიების რიცხვი ორამდე შეამცირა და აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთის საკათალიკოსოს ტერიტორიაზე შექმნა **ქართლისა (მცხეთის)** და **კახეთის (ალავერდის)** ეპარქიები.

1814 წელს **მცხეთის** საკათალიკოსოს ბედი **აფხაზეთის** საკათალიკოსომაც გაიზიარა. შეიქმნა ე. წ. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა, რომელიც განაგებდა საქართველოს ეკლესიის (ყოფილი მცხეთისა და აფხაზეთის საკათალიკოსოების) საქმეებს და იერარქიულად რუსეთის ეკლესიის უწმინდეს სინოდს ექვემდებარებოდა. საქართველოს ეგზარქოსს **საქართველო-იმერეთის ეგზარქოსი** ეწოდა. ვარლამი ერთადერთი ქართველი ეგზარქოსი იყო, რომელიც 1817 წელს ჩამოაცილეს თანამდებობას. ამის შემდეგ საქართველოს ეგზარქოსად მოევლინა რუსი შოვინისტი საეკლესიო მოღვაწე **თეოფილაქტე რუსანოვი**. აქედან მოყოლებული ეგზარქოსებად მხოლოდ **რუსები** ინიშნებოდნენ.

თეოფილაქტემ განკარგულება გასცა, რომ ტფილისის სიონის ტაძარში კვირაში სამჯერ ღვთისმსახურება **რუსულ ენაზე**, ხოლო დანარჩენ დღეებში ქართულად შესრულებულიყო. მან გადაწყვიტა მთელ საქართველოში ეპარქიათა

თეოფილაქტე რუსანოვი



სვეტიცხოველი

რიცხვი ოთხამდე შეემცირებინა, რაც განხორციელდა კიდეც.

საქართველოს ეკლესიაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას მინიმალურადაც ვერ აუმჯობესებდა ზოგიერთი პროგრესული ხასიათის რეფორმაც. 1808 წელს იმპერატორ ალექსანდრე I-ის განკარგულებით ქართველი სამღვდელოება უფლებრივად გაუთანაბრდა რუსეთის შიდა გუბერნიების სამღვდელოებას. დაბალი სამღვდელოება განთავისუფლდა ბატონყმური დამოკიდებულებისაგან. დასავლეთ საქართველოში ეს რეფორმა XIX საუკუნის 40-იან წლებში განხორციელდა.

რუსეთის საერო და საეკლესიო ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი საქართველოს ეკლესიის ქონების მითვისება და მისი



ალავერდი

ეკონომიკური სიძლიერის შესუსტება იყო. საქართველოს ეკლესიას მნიშვნელოვანი ქონება (მიწები, ყმა-მამული და სხვ.) გააჩნდა, რაც რუსეთის ხელისუფლების კორუმპირებულ სისტემას გულგრილს ვერ დატოვებდა. 1820 წელს საქართველოს ეკლესიის შემოსავალი ვერცხლით 70.000 მანეთზე მეტს შეადგენდა, ხოლო 1839 წელს – 500.000 მანეთზე მეტს ასიგნაციებით. აღმოსავლეთ საქართველოში საეკლესიო მამულების რაოდენობა, რომლებზეც საეკლესიო გლეხები ცხოვრობდნენ 218.000 დესეტინას შეადგენდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში დაახლოებით 20.000 დესეტინა დასახლებულ-დაუსახლებელ მინის ფართობს.

რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ საეკლესიო მამულების სეკულარიზაცია – სახელმწიფო ხაზინისათვის გადაცემა და საეკლესიო გადასახადების კომუტაცია – ნატურალური გადასახადის ფულად გადასახადზე გადაყვანა – გადაწყვიტა. ეს პროცესი ხანგრძლივი იყო და 1811 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე გაგრძელდა. ჯერ მოხდა საეკლესიო აზნაურების თავიანთი ყმა-მამულით სახაზინო (სახელმწიფო) უწყებაში გადარიცხვა (1841 წ.). შემდეგ მოხდა უძრავი საეკლესიო ქონების გადასვლა სახაზინო სისტემაში (1852 წ.), ხოლო ბოლოს სახაზინო უწყებას გადაეცა ყველა დასახლებული და დაუსახლებელი საეკლესიო მიწა (1869 წ.).

ხელისუფლების ღონისძიებათა შედეგად სახაზინო უწყებაში გადასული საეკლესიო მიწების ფართობმა დაახლოებით 540.000 დესეტინა შეადგინა. ამ მიწების ღირებულება 680 მილიონ მანეთზე მეტად შეფასდა. მიწის ფონდისგან განძარცულ ქართულ ეკლესიას საკომპენსაციოდ ყოველწლიურად 106.000 მანეთი გამოუყვეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩამორთმეულ დესეტინა მიწაში მის ყოფილ პატრონს 19 კაპიკს უხდიდა რუსეთის იმპერიის ხაზინა.

რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ საქართველოს ეკლესიას მთლიანად მოუშალა ეკონომიკური ბაზა და მისი ქონების ბატონ-პატრონი გახდა.

საქართველოს ეკლესია, რომლის ავტოკეფალიასაც არაბები, მონღოლები, ოსმალო და ყიზილბაში დამპყრობლებიც კი არ შეხებიან, ერთმორწმუნე რუსეთის მიერ იქნა ლიკვიდირებული.

3. სოციალური ექსპანსია. საქართველოს დაპყრობის შემდეგ რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის **სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია** იმპერიის სივრცეში. საქართველოს მოსახლეობის სოციალური აგებულება და მისი შემადგენელი ფენების ცხოვრების წესი ბევრად განსხვავდებოდა რუსული სოციალური სინამდვილისაგან. იმპერიის ხელისუფლებას სურდა **ქართული ტრადიციული სოციალური ურთიერთობების ლიკვიდაცია და რუსული სოციალური წყობის დამკვიდრება.**

იმპერიის ხელისუფლებამ პირველ რიგში **ქართული არისტოკრატიის ზედაფენას** – თავადობას და სათავადოების სისტემას შეუტია. რუსული მმართველობის დამყარების შედეგად ქართულმა არისტოკრატიამ პოლიტიკური ძალაუფლება დაკარგა. მოიშალა უმაღლესი პოლიტიკური, სამხედრო და ადმინისტრაციული თანამდებობების მემკვიდრეობითი ფლობის ძველი სისტემა, ლიკვიდირებული იქნა სათავადოებიც.

პარალელურად მიმდინარეობდა **თავადთა სახლების გაყრა-გაყოფა, რაც საერთო-საგვარეულო ყმა-მამულის დაქუცმაცებას ინვევდა.** ვითარდებოდა კერძო საბატონო მფლობელობა. XIX საუკუნის პირველ მესამედში ციციშვილების ცნობილი სათავადო სახლი ათჯერ გაიყარა და საბოლოოდ ოცდაათამდე დამოუკიდებელ კერძო საბატონო ერთეულად დანაწილდა. ასეთივე ბედი ეწია ამილახვრებს, მუხრანბატონებს, აბაშიძეებს, ანდრონიკაშვილებს, ვაჩნაძეებს, ავალიშვილებს, წერეთლებს, ჩერქეზიშვილებს და სხვა სათავადო სახლებსაც. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი თავადების „საერთო-საგვარეულო" მინათმფლობელობა საბოლოოდ დაქუცმაცდა შედარებით წვრილ კერძო საბატონო მინათმფლობელობად.

რუსეთის იმპერიის ხელისუფლება მსხვილი სათავადო სახლების დაქუცმაცებას ხელს იმიტომაც უწყობდა, რომ ასუსტებდა წამყვან პოლიტიკურ ძალას საქართველოში, რომელსაც შეეძლო მთავარ ოპოზიციურ ძალად გადაქცეულიყო.

თავადთა ფენის დასუსტებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა **სათავადო აზნაურობის** განთავისუფლებამ თავადთა დამოკიდებულებისაგან. იმპერიის ხელისუფლება ხელს უწყობდა სენიორალურ-ვასალური დამოკიდებულების მოსპობას. 1833 წლის ივლისში სპეციალური კანონით აღმოსავლეთ საქართველოს სათავადო აზნაურები განთავისუფლდნენ თავადების დამოკიდებულებისაგან. შესაბამისად, დაიწყო **სათავადო აზნაურთა მამულების გამოყოფა თავადების მამულებისაგან.** დასავლეთ საქართველოში ეს პროცესი XIX საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო.

1847 წელს **გიორგი მუხრანბატონმა** რუსეთის იმპერატორს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი – **„ქართველი ხალხის სხვადასხვა ნოდებათა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ".** მისი მონაცემებით, საქართველოში მომხდარი სოციალური ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა **თავადაზნაურთა** ერთიანი კლასი, რომელიც ქონებრივად სამ ფენად იყოფოდა. **პირველ ფენას** შეადგენდნენ „უმდიდრესი" თავადაზნაურები, რომლებიც 200-300 კომლ გლეხზე მეტს ფლობდნენ. ასეთ „უმდიდრესთა" რიცხვი 15 ოჯახს არ აღემატებოდა. **მეორე ფენას** 40-50 ყმაგლეხიანი თავადაზნაურები შეადგენდნენ და „მდიდრებად" ითვლებოდნენ. **მესამე ფენაში** 20-30 ყმაგლეხიანი ან უფრო ნაკლები ქონების პატრონი თავადაზნაურები შედიოდნენ. გიორგი მუხრანბატონის დასკვნით თავადაზნაურობის ქონებას კვლავ უსაზღვრო დანაწევრება ელოდა, რაც ამ ფენას საბოლოო დაკნინებით ემუქრებოდა.

რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა საქართველოს მოსახლეობის რაც შეიძლება დიდი ნაწილი მოექცია სახელმწიფო-სახაზინო უწყების დაქვემდებარებაში.

ერთ-ერთი პირველი სოციალური კატეგორია, რომელიც სახაზინო უწყების დაქვემდებარებაში მოექცა, **დაბალი სამღვდელოება** იყო. მასში შედიოდნენ მღვდლები, დიაკვნები, მედუქნეები და სხვა სასულიერო პირები. მათი დიდი ნაწილი მებატონეთა ყმობაში იყო მოქცეული. 1808 წლის ივლისში, რუსეთის იმპერატორის ბრძანების საფუძველზე, აღმოსავლეთ საქართველოს დაბალი სამღვდელოება განთავისუფლდა ყმური დამოკიდებულების და გადასახადებისაგან. დასავლეთ საქართველოში დაბალი სამღვდელოების განთავისუფლებამ გაჭიანურებული პროცესის სახე მიიღო და ძირითადად XIX საუკუნის 30-იან წლებში დასრულდა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, 1811 წლიდან, ფაქტობრივად, სახაზინო უწყების დაქვემდებარებაში ითვლებოდნენ ყოფილი **საეკლესიო აზნაურებიც**. იურიდიულად ეს გვიან გაფორმდა, როცა 1841 წლის ივლისში გამოცემული კანონით საეკლესიო აზნაურები თავიანთ ყმა-მამულით სახაზინო უწყების დაქვემდებარებაში გადაირიცხნენ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში განხორციელებულ სოციალურ ცვლილებებს საქართველოს **არისტოკრატიის** ცხოვრებაში ზოგჯერ პროგრესული ხასიათიც ჰქონდა. ასეთ ცვლილებათა რიგს მიეკუთვნებოდა: საეკლესიო აზნაურების გადასვლა სახაზინო უწყებაში, დაბალი სამღვდელოების ყმობისაგან განთავისუფლება, აზნაურების განთავისუფლება თავადთა დამოკიდებულებისაგან, სათავადოების სისტემის მოშლა და საერთო-საგვარეულო მინათმფლობელობის მაგივრად კერძო საბატონო მფლობელობის განვითარება, თანამდებობების მემკვიდრეობით ფლობის ინსტიტუტის გაუქმება და სხვ.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ქართველი **გლეხობის** ცხოვრებაშიც. კოლონიური სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს მწარმოებელი მოსახლეობა – გლეხობა მოექცია სახაზინო უწყების დაქვემდებარებაში. ამ გზით, გლეხობის მიერ შექმნილი მატერიალური დოვლათი რუსეთის იმპერიის ხაზინის საკუთრება გახდებოდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში გლეხური მოსახლეობის უმრავლესობას **საბატონო გლეხობა** შეადგენდა. მეორე ადგილი **სახელმწიფო**, ხოლო მესამე ადგილი **საეკლესიო** გლეხებს ეკავათ. საქართველოს დაპყრობისთანავე რუსეთის ხელისუფლებამ ყოფილი სამეფო და საუფლისწულო გლეხები სახელმწიფო (სახაზინო) გლეხების კატეგორიაში გადაიყვანა.

ხელისუფლებამ ამავე დროს სცადა, რაც შეიძლება გაეზარდა **სახელმწიფო გადასახადების** რაოდენობა. გადასახადების რიცხვი კი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი იყო.

სურსათის გადასახადი , რომელსაც ყველა კატეგორიის გლეხი იხდიდა კომლზე 3 კოდი პურეულის სახით, საყოველთაო სახელმწიფო გადასახადი იყო ჯარის გამოსაკვებად დანიშნული.

კოდის პური წარმოადგენდა გადასახადს, რომელსაც მხოლოდ სახელმწიფო გლეხები იხ-

ქართული ფული

დიდნენ, კომლზე 4 კოდი პურის ოდენობით.

ღალა წარმოადგენდა გადასახადს ხაზინის სასარგებლოდ ყველა კატეგორიის გლეხისათვის, რომელიც კი სახელმწიფო მიწის ნაკვეთს ეჯარის სახით იღებდა დასამუშავებლად.

კულუხი იყო სახელმწიფო გადასახადი ვენახის მფლობელი სახელმწიფო და სხვა კატეგორიის გლეხებისათვის, რომლებსაც ვენახი ჰქონდათ გაშენებული სახელმწიფო მიწებზე.

პურეულ მახტას იხდიდა ძირითადად მუსლიმანი მოსახლეობა.

ფულადი მახტა იყო ყველაზე დიდი ფულადი შემოსავალი ხაზინისათვის. მას იხდიდნენ ვაჭარ-ხელოსნები და ის სახელმწიფო გლეხები, რომლებიც ვაჭრობა-ხელოსნობას მისდევდნენ.

მალი იყო სახელმწიფო ფულადი გამოსაღები ქალაქის მცხოვრებთათვის. იგი 1844 წელს გააუქმეს და ერთიან ფულად სახელმწიფო გადასახადს შეუერთეს.

საბალახე იყო ნატურალური სახელმწიფო გადასახადი, რომელსაც სახელმწიფო საძოვრებით მოსარგებლე გლეხები იხდიდნენ.

ნატურალური და სახელმწიფო გადასახადების გარდა, გლეხობა ასრულებდა მთელ რიგ **სახელმწიფო შრომით ბეგარა-ვალდებულებებს.** ეს იყო ჯარის მომარაგება ტრანსპორტით, გზების გაყვანა და სხვა მრავალი, რითაც განსაკუთრებით გაიტანჯა ქართველი გლეხობა XIX საუკუნის პირველი მესამედის განუწყვეტელი საომარი კამპანიების დროს.

დასავლეთ საქართველოში ძირითადად სამი სახის სახელმწიფო გადასახადი არსებობდა: **საური** – საყოველთაო ფულადი სახელმწიფო გადასახადი; **საციხე** – ასევე სახელმწიფო ფულადი გადასახადი, რომელიც ქვეყნის თავდაცვის საქმეს ხმარდებოდა და **საუდიერო** – ნატურალური სახელმწიფო გადასახადი. არსებობდა სხვა სახის გადასახადებიც. 1824 წლიდან იმერეთის სახელმწიფო გლეხთა მდგომარეობა

კიდევ უფრო დამძიმდა, როცა ნატურალურის მაგიერ **სულადობრივი ფულადი გადასახადი** შემოიღეს. რაც შეეხება სამეგრელოს, გურიას, სვანეთსა და აფხაზეთს, სანამ ამ კუთხეებში სამთავროები არსებობდა, რუსეთის ხელისუფლება ადგილობრივ გადასახადებს არ შეხებია.

საბატონო გადასახადების სისტემა XIX საუკუნის პირველ მესამედში თითქმის არ შეცვლილა. მართალია, ფულადი გადასახადები განუწყვეტლივ იზრდებოდა, მაგრამ მისი წილი ნატურალურ გადასახადებთან შედარებით ხუთჯერ ნაკლები იყო.

რუსეთის ხელისუფლება რიგ სხვა ღონისძიებებსაც ახორციელებდა, რათა მწარმოებელი მოსახლეობის რაც შეიძლება მეტი რაოდენობა გადაეყვანა სახაზინო უწყებაში და მაქსიმალურად გაეზარდა სახელმწიფო შემოსავალი. ხელისუფლებამ არსებითად განაახლა მეფე ერეკლე I-ის მიერ გამოცემული ბრძანებულება, რომლის ძალითაც ტყვეობიდან დაბრუნებული გლეხი **სახაზინო** საკუთრებაში გადადიოდა. 1824 წლის კანონით ყმა გლეხებს უფლება მიეცათ მებატონის მამულის საჯარო გაყიდვის შემთხვევაში, ბატონისათვის გამოსასყიდი თანხა მიეცათ და **ყმობისაგან** განთავისუფლებულიყვნენ. ამგვარი გლეხები ან სახაზინო უწყებაში გადადიოდნენ ან თავისუფალი მესაკუთრეები ხდებოდნენ. ბატონყმური დამოკიდებულებისაგან ისეთი გლეხებიც შეიძლებოდა განთავისუფლებულიყვნენ, რომელთა ყმობის დამადასტურებელ საბუთს მებატონე სასამართლოში ვერ წარადგენდა.

რაც შეეხება ყმა-გლეხთა საბატონო ბეგარა-გადასახადებს, იგი საქართველოში დარჩა ბატონყმობის გაუქმებამდე.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებული სოციალური ცვლილებების შედეგად გლეხთა ზოგიერთი კატეგორიის, განსაკუთრებით კი სახელმწიფო გლეხების, მდგომარეობა სოციალური თვალსაზრისით, შედარებით გაუმჯობესდა, თუმცა მატერიალური თვალსაზრისით, მათი საერთო მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩებოდა. ვითარებას განსაკუთრებით ამძიმებდა ფულადი გადასახადების ზრდა.

სოციალური სისტემის ცვლილებებს რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ქართველი ერის საკეთილდღეოდ არ ახორციელებდა. ამ ცვლილებათა მიზანი იყო საქართველოს მოსახლეობის წამყვანი მაორგანიზებელი ძალის – არისტოკრატიის დასუსტება და მისი ოპოზიციური პოტენციალის განადგურება.

რუსეთის ხელისუფლების სოციალური პოლიტიკის შედეგად ქართულმა არისტოკრატიამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში თანდათან დაკარგა ჯერ პოლიტიკური ძალაუფლება, შემდეგ კი – სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ერის მაორგანიზებელი პოლიტიკური მედროშის როლი. დაპყრობილი საქართველოს მართვის მთავარი ბერკეტები ცხოვრების ყველა სფეროში რუსეთის იმპერიის ხელისუფლების ხელში გადავიდა.

როგორც ითქვა, ყმა-გლეხობის მიმართ განხორციელებული სოციალური ცვლილებების შედეგად საქართველოს ძირითადი მწარმოებელი ფენა სახაზინო უწყების დაქვემდებარებაში გადავიდა, რითაც რუსეთის ხელისუფლებამ უზრუნველყო სახელმწიფო შემოსავლის მაქსიმალური ზრდა, თუმცა ეს ქართველი ერის ეკონომიკური ძარცვის ზგით მიიღწეოდა.

ტრადიციული ქართული სოციალური სისტემის ლიკვიდაციას თან სდევდა რუსეთის იმპერიისათვის დამახასიათებელი სოციალური სისტემის დამკვიდრება, რისი მთავარი შედეგიც ის იყო, რომ პოლიტიკურ სფეროსთან ერთად, ქართველი ერის სოციალური ცხოვრების წარმმართველი და ბატონ-პატრონი რუსეთის საიმპერიო ხელისუფლება გახდა.

4. ეკონომიკური ექსპანსიის დასაწყისი. XIX საუკუნის პირველი მეოთხედი განსაკუთრებით მძიმე იყო საქართველოს მოსახლეობისთვის. რუსეთმა შვება ვერ მოუტანა საქართველოს. მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესების ნაცვლად კიდევ უფრო გაუარესდა. რუსეთის დაპყრობითმა ომებმა, მუდმივმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, გამუდმებულმა აჯანყებებმა, კიდევ უფრო გააუარესა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. საქართველოს მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვა რუსთა ჯარის სურსათით მომარაგება, გაორმაგებული გადასახადები, მოხ-

საქართველო 1870 წელს


ადმინისტრაციული ნიშნები
ტფილისი გუბერნიის, განყოფილების ცენტრი
ზუგდიდი მაზრის, ნაიბის ცენტრი
ბიქვინთა სხვა პუნქტები
შავი ზღვა
ბიქვინთა
გუდუთა
სოხუმი
ნოვაელდა
ოსაფირა
ოსური
ზუგდიდი
ანაკლია
ყულევი
ფოთი
ურცა
მესტია
უშგული
ცაგერი
ალპანა
ლეწერი
ონი
მარტვილი
ხონი
ქუთაისი
ყვირილა
ქუთაისი
ლანჩხუთი
ოზურგეთი
ლიხაური
ჭიათურა
ბაღდათი
ზესტაფონი
ბორჯომი
ახალციხე
ბოლ
ბორ
ბაკ
ბა
ბა
ბა

საქართველო-იმერეთის გუბერნია

ტფილისის მაზრა
1. ტფილისის უბანი
2. დუშეთის უბანი
3. სართიჭალის უბანი
4. ბორჩალოს უბანი

თელავის მაზრა
5. თელავის უბანი
6. ყვარელის უბანი
7. უკანა-მხარის უბანი
8. სიღნაღის უბანი

ბელაქანის ოკრუგი
9. ბელაქნის უბანი
10. ენისელის უბანი
11. ელისუს უბანი

თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოკრუგი
12. ფშავის უბანი
13. ხევსურეთის უბანი
14. თუშეთის უბანი

მთიელთა ოკრუგი
15. მთიულეთის უბანი
16. ხევის უბანი

ოსთა ოკრუგი
17. პატარა ლიახვის უბანი
18. გერის უბანი
19. ჯავის უბანი
20. ნარის უბანი

გორის მაზრა
21. ქსნის უბანი
22. სურამის უბანი
23. ხიდისთავის უბანი

ქუთაისის მაზრა
24. ვაკის უბანი
25. საბუკის უბანი
26. შორაპნის უბანი
27. ქუთაისის უბანი
28. საჩხერის უბანი
29. რაჭის უბანი

გურიის მაზრა
30. ოზურგეთის უბანი
31. აკეთის უბანი

ახალციხის მაზრა
32. აბასთუმნის უბანი
33. ხერთვისის უბანი
34. ახალქალაქის უბანი

ელიზავეტოპოლის მაზრა
35. ყაზახის უბანი
36. შამშადილის უბანი
37. ელიზავეტოპოლის უბანი
38. აირუმის უბანი

ალექსანდროპოლის მაზრა
39. ბამბაკის უბანი
40. შურაგელის უბანი

ერევნის მაზრა
41. სარდარ-ასაშის უბანი
42. გოგჩის უბანი
43. ზანგიბასარის უბანი
44. სურმალინის უბანი
45. შარურის უბანი

ნახიჭევნის მაზრა
46. დარალაგეზის უბანი
47. ნახიჭევნის უბანი
48. ორდუბადის უბანი

ოდიშის სამთავრო

სვანეთის სამთავრო
1. მიხეილ დადეშქელიანის
2. თათარყან დადეშქელიანის
3. თავისუფალი სვანეთი

აფხაზეთის სამთავრო
1. ბზიფის ოკრუგი
2. აფხაზეთის ოკრუგი
3. აბეუას ოკრუგი
4. სამურზაყანოს ოკრუგი
5. წებელდა
6. ფსხუ

კასპიის ოლქი

თალიშის მაზრა
1. ლენქორანის უბანი
2. სეფედაშის უბანი
3. არეევანის უბანი
4. მულანის უბანი
5. სალიანის უბანი

შირვანის მაზრა
6. კობრისტანის უბანი
7. ბერგუშეთის უბანი
8. ლაგიჩის უბანი
9. კოშუნის უბანი

10. ბაქოს მაზრა

ყარაბაღის მაზრა
11. ზანგეზურის უბანი
12. მიგრინის უბანი
13. ვანანდის უბანგი
14. ჩელსირტის უბანი
15. ქებირლინის უბანი
16. ჯევანშირის უბანი

შაქის მაზრა
17. არეშის უბანი
18. ნუხის უბანი
19. ხაჩმაზის უბანი
20. ყაბალას უბანი

ყუბის მაზრა
21. შაბრანის უბანი
22. ბუდულის უბანი
23. ყუბის უბანი
24. ხაზრინის უბანი

დერბენტის მაზრა
25. თერგის უბანი
26. დერბენტის უბანი

კავკასიის ოლქი
1. ყიზლარის ოკრუგი
2. მოზდოკის ოკრუგი
3. პიატიგორსკის ოკრუგი

იმამ შამილის გაელენის სფეროში მყოფი რდ. კავკასიის თემები.

ოსმალეთის იმპერია
1. ტრაპიზონის ვილაიეთი

ახალციხის (ჩილდირის) ვილაიეთი
2. ქობულეთის სანჯაყი
3. აჭარის სანჯაყი
4. არტანუჯის სანჯაყი
5. არდაგანის სანჯაყი
6. ჩილდირის სანჯაყი
7. გოლას სანჯაყი
8. ტაოსკარის სანჯაყი
9. კისკიმის სანჯაყი
10. ისპირის სანჯაყი
11. თორთომის სანჯაყი
12. ოლთისის სანჯაყი
13. ნარმანის სანჯაყი
14. ფენეკის სანჯაყი

არზრუმის ვილაიეთი
15. ბაიბურდის სანჯაყი
16. ერზინჯანის სანჯაყი
17. გერჯის სანჯაყი
18. კირის სანჯაყი
19. შუშარის სანჯაყი
20. არზრუმის სანჯაყი
21. თერკმანის სანჯაყი
22. ბასიანის სანჯაყი
23. ქვემო ბასიანის სანჯაყი

ბაიაზეთის ვილაიეთი
24. ვალაშკერტის სანჯაყი
25. კოსუს სანჯაყი
26. ხნუსის სანჯაყი
27. ხამურის სანჯაყი
28. დიადინის სანჯაყი
29. ბაიაზეთის სანჯაყი

ყარსის ვილაიეთი
30. კაგიზმანის სანჯაყი
31. გეჩევანის სანჯაყი
32. ტახტინის სანჯაყი
33. ზაეიშადის სანჯაყი
34. შურაგელის სანჯაყი

ავლაბრის ბაზარი

ელეთა მექრთამეობა და ა. შ. ომების მომიზეზებით რუსეთის ცენტრალური და განსაკუთრებით კი ადგილობრივი კოლონიური ხელისუფლება პირდაპირ ძარცვავდა საქართველოს მწარმოებელ მოსახლეობას.

მიუხედავად ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებისა, ქართველი გლეხობა მამაპაპურ სამეურნეო საქმიანობას მისდევდა. გლეხი ვერ აუდიოდა საკუთარი და მემამულეების კუთვნილი პურისა თუ სხვა პროდუქტის წარმოებას და ბაზარზე მხოლოდ იშვიათად გაჰქონდა შემთხვევითი ჭარბი პროდუქტი. აღმავლობის ნაცვლად დაქვეითების გზას დაადგა ქვეყნის სოფლის მეურნეობის სხვა ტრადიციული დარგებიც: მევენახეობა, მებაღეობა-მებოსტნეობა, მეცხოველეობა.

1801-1805 წლებში ქართლ-კახეთში გადასახადის სახით 16 ათასი ჩეტვერტი (ჩეტვერტი დაახლოებით 7 ფუთს უდრიდა) ხორბალი და ბურღული შეაგროვეს. ეს რაოდენობა ქვეყანაში განლაგებული რუსთა ჯარის მოთხოვნილებას მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა. საჭირო იყო 280 ათასამდე ჩეტვერტი ხორბალი. ხელისუფლებამ მარცვლეულის ნაწილი ქვეყნის გარედან შემოზიდა, ნაწილი მოსახლეობას იძულებით ჩამოართვა, ვითომ რეკვიზიციის წესით, ხოლო ნაწილი თავისუფალი შესყიდვის წესით შეიძინა გლეხობისაგან. ჯარისათვის საკმარისი მარცვლეული მაინც ვერ შეგროვდა.

ხალიჩებით მოვაჭრის დუქანი

გლეხობა ჩამორჩენილი სამეურნეო იარაღის გამოყენებისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო მარცვლეულის მოსავალს ვერ ზრდიდა, რუსთა ჯარის რაოდენობა კი განუწყვეტლივ მატულობდა. მარცვლეულზე მოთხოვნილება 1810 წლამდე ორჯერ და მეტად გაიზარდა, მოსავალმა კი პირიქით, იკლო. ამისი მიზეზი იყო მიწის დაუსვენებლობის გამო ნიადაგის გამოფიტვა, ასევე მიწის სიმცირე და ყამირი ნიადაგის აუთვისებლობა.

მდგომარეობას მეტად ამძიმებდა ის გარემოებაც, რომ როგორც მარცვლეულზე, ისე ღვინოზე და სხვა პროდუქტზეც, ფასს ხელისუფლების ხელშეწყობით შემსყიდველები აწესებდნენ. მწარმოებელი მოსახლეობის ეკონომიკური ყოფა ისე გაუარესდა, რომ მის შესახებ ქართველი საზოგადოების მოწინავე წრეებშიც ალაპარაკდნენ. **ალექსანდრე ჭავჭავაძე** გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ გლეხობას მეურნეობის გაუმჯობესება-განვითარების სტიმული აღარ ჰქონდა, რადგან ქვეყანაში გამეფებული თვითნებობის გამო „აღარავითარი საკუთრება არ არსებობდა“.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში შეფერხდა ქვეყნის ისედაც ემბრიონალურ მდგომარეობაში მყოფი **სამრეწველო** განვითარება. ამ პერიოდში საქართველოში არსებობდა **სამღებროები, თოფისწამლის** წარმოება, **მინის** წარმოება, **ამბრეშუმსაქსოვი** და **საფეიქრო** სარეწები, **საპნის, სანთლის,** აგურ-**კრამიტის** წარმოება, **სპირტსახდელები, ჭურჭლეულის** სახელოსნოები და სხვ. ამგვარი სახელოსნოები ადგილობრივ ბაზარს ემსახურებოდნენ. მათი უმრავლესობა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ეკონომიკური აღმავლობის ხანაში იყო შექმნილი. ამ სახელოსნოებს XIX საუკუნის პირველ მესამედში წინსვლა, განვითარება არ განუცდიათ.

ვერ აღდგა **სამთო მრეწველობა,** რომელიც აღმავლობას განიცდიდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. იმ პერიოდისათვის **ალავერდის** სპილენძის წარმოებაში წელიწადში საშუალოდ

შალეულით მოვაჭრის დუქანი

10-15 ათას ფუთ სპილენძს ილებდნენ. იმ პერიოდისათვის XIX საუკუნის დამდეგს სპილენძის წარმოება 3500 ფუთს არ აღემატებოდა. დიდად შემცირდა წარმადობა **ახტალის** ვერცხლის სარწყბშიც.

ეკონომიკური მდგომარეობის შესამჩნევი გაუმჯობესება XIX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან გახდა შესაძლებელი. დაცხრა ანტი-



ტოვები მტკვარზე

რუსული აჯანყებების ტალღა. რუსეთი საქართველოს სიახლოვეს ან მის ტერიტორიაზე აღარ ეომებოდა სხვა ქვეყნებს. ხელისუფლებაც იძულებული გახდა ყურადღება გაემახვილებინა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და მწარმოებელი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. სხვაგვარად იგი ვერ დააკმაყოფილებდა მრავალათასიანი რუსული ჯარისა და გამრავლებული მოხელეების მზარდ მოთხოვნილებას.

ხელისუფლებას საქართველოს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარება არ ანაღვლებდა. მისი მიზანი იყო საქართველო ექცია რუსეთის მრეწველობისათვის იაფი **ნედლეულის ბაზად** და რუსული საქონლის **გასაღების ბაზრად**. ბატონყმური ურთიერთობების სიმტკიცისა და თვით რუსული ბურჟუაზიის სისუსტის პირობებში ეს პროცესი ძნელად, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა. საქართველოში გამოჩნდნენ ევროპული კაპიტალის წარმომადგენლებიც, თუმცა მათი პირველი ცდები, დამკვიდრებულიყვნენ ახალ ქვეყანაში, წარუმატებელი აღმოჩნდა.

1826 წელს ფრანგმა **კასტელმა** ტფილისში მოაწყო **აბრეშუმსართავი** მანუფაქტურა. მას იაფი ნახევარფაბრიკატით – ნართით უნდა მოემარაგებინა მოსკოვ-პეტერბურგის საფეიქრო ფაბრიკები. კასტელმა სოლიდური თანხა მიიღო ხელისუფლებისაგან და ირწმუნებოდა, რომ ტფილისს აქცევდა მსოფლიო კომერციული ოპერაციების ცენტრად. 1828 წელს კასტელი გარდაიცვალა და მის მიერ წამოწყებული საქმეც ჩაიშალა. კასტელის შემდეგ მთავრობამ ხელი მოჰკიდა აბრეშუმსართავ წარმოებას და შექმნა **„სახაზინო აბრეშუმსართავი სასწავლო სანარმო“**, მაგრამ ფაბრიკა წამგებიანად მუშაობდა და 1844 წელს დაიხურა.

1828-30 წლებში მოაწყვეს, მაგრამ მალე ჩაიშალა საექსპორტო ღვინისათვის **მინის ჭურჭლეულობის** დამამზადებელი წარმოებაც. ადგილობრივი საუკეთესო ხარისხის ღვინის დამზადებას ცადა მთავარმართებელმა **ივანე გუდოვიჩმა**, მაგრამ – უშედეგოდ.

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან შესაძლებელი გახდა სავაჭრო ურთიერთობების გაუმჯობესება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მეზობელ ქვეყნებთან. 1804 წელს შავი ზღვის

ტრაპიზონი

საქართველოს სანაპიროზე საფუძველი ჩაეყარა ახალ ნავმისადგომს – **ყულევს („რედუტ-კალე")**, საიდანაც სამდინარო გზებით ყვირილამდე და შემდეგ ხმელეთით ტფილისში შემოჰქონდათ საქონელი. 1822 წლიდან რუსეთის ხელისუფლებამ, ადგილობრივი ვაჭრობის გამოცოცხლების მიზნით, ამიერკავკასიაში უცხოური საქონლის ტრანზიტზე 10 წლის ვადით დაანესა მინიმალური – 5%-იანი ბაჟი. ხელისუფლებას სურდა ამიერკავკასიაში უცხოური საქონელი მოეზიდა. გარდა ამისა, **ამიერკავკასიულ სატრანზიტო დერეფანს** კონკურენცია უნდა გაეწია ევროპიდან აზიაში **ოსმალეთსა** და **სპარსეთის** ტერიტორიაზე გამავალი სავაჭრო გზისთვის.

მოკლე ხანში ამიერკავკასიაში დიდძალი ევროპული და უცხოური საქონელი შემოვიდა. ძალზე გაიზარდა **ყულევის** ნავსადგურის მნიშვნელობა, საიდანაც ევროპიდან შემოსული საქონელი **ტფილისი-ბაქო-სპარსეთის** გზაზე მიედინებოდა. გაფართოვდა საშინაო ვაჭრობაც. საქართველო ევროპული საქონლის გასაღების ბაზრად იქცა.

ქუთაისი

მალე ევროპულმა სრულიად განდევნა ამიერკავკასიიდან რუსული საქონელი, რამაც ჯერ კიდევ სუსტი რუსული ბურჟუაზიისა და იმპერიის ხელისუფლების შეშფოთება გამოიწვია. რუსეთის საიმპერატორო კარი საკუთარი ბურჟუაზიის მფარველობის გზას დაადგა და 1831 წლის დებულებით უცხოურ საქონელზე შელავათიანი ტარიფი გააუქმა. ყულევი-ტფილისი-ბაქოს სატრანზიტო გზამ სწრაფად შეწყვიტა ფუნქციონირება და კვლავ სპარსეთისა და ოსმალეთის ტერიტორიაზე გადაინაცვლა. ტრაპიზონში დაარსდა ინგლისური სავაჭრო კომპანია და აღმოსავლური ბაზარი ევროპული საქონლით აავსო. ამიერიდან ევროპული საქონელი საქართველომდე **კონტრაბანდის** გზით აღწევდა.

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან უკეთესი პირობები წარმოიშვა **საქალაქო ცხოვრების**



გორი

განვითარებისათვის. **ტფილისი** არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი გახდა. აქ იმყოფებოდა ამიერკავკასიის, ხოლო შემდგომში – კავკასიის რუსული სამხედრო და სამოქალაქო მმართველობის რეზიდენცია, სხვადასხვა საერთო-კავკასიური მნიშვნელობის დაწესებულებები, ორგანიზაციები. ამ გარემოებამ დადებითთან ერთად უარყოფითი შედეგებიც მოიტანა – ტფილისში გამრავლება იწყო არაქართულმა მოსახლეობამ, რის შედეგადაც საქართველოს დედაქალაქი სულ უფრო ინტერნაციონალურ იერს იღებდა.

1809 წლისათვის ტფილისის მოსახლეობამ 18.000 სული შადგინა, ხოლო 1815 წელს 20857 სულს მიაღწია. საქართველოს სხვა ქალაქებიდან

სოხუმი. ლომკინის პარკი.

ამ პერიოდში დანინაურდნენ: **ქუთაისი, გორი, თელავი, სიღნაღი, სოხუმი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი.**

5. დემოგრაფიული პოლიტიკა. საქართველოს სრული დამორჩილებისათვის რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ მიზანმიმართულად დაიწყო **დემოგრაფიული ექსპანსიის** განხორციელება. მან **გადაწყვიტა საქართველოში უცხოტომელთა ჩამოსახლების გზით დემოგრაფიული ვითარება ქართველი ერის საზიანოდ შეეცვალა.** მართალია, რუსეთმა შედარებით ადვილად ჩაიგდო ხელში საქართველო, მაგრამ იმპერიის ხელისუფლება მაინც არ ენდობოდა ქართველებს, რომლებიც ასე იოლად არ შეურიგდებოდნენ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას და უცხო ძალის გაბატონებას. უცხოტომელი მოსახლეობის გამრავლება და მათი დაპირისპირება ქართველებთან რუსეთის იმპერიის ბატონობის კიდევ ერთი გარანტი იქნებოდა.

უცხოტომელთა ჩამოსახლება საქართველოში ჯერ კიდევ პირველმა მთავარმართებლებმა დაიწყეს. 1803 წელს პავლე ციციანოვმა ერევნის სახანოდან ტფილისსა და ქვემო ქართლში 11.000 სომეხი ჩამოასახლა.

1818 წელს საქართველოში 500 გერმანელი კოლონისტის ოჯახი შემოიყვანეს. მათ გამოუყვეს საუკეთესო მიწები, რომელთა ბაზაზეც შეიქმნა კოლონისტთა სოფლები: **მარიენფელდი** (სართიჭალაში), **ალექსანდერსდორფი** (დიდუბეში), **პეტერსდორფი** (სართიჭალასთან), **ელიზავეტალი** (ახლანდელი ასურეთი), **ეკატერინენფელდი** (ბოლნისთან) და სხვ. გერმანელი კოლონისტები სანიმუშო მეურნეობისა და ევროპული სასოფლო კულტურის მოწყობით მაინც კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდნენ ადგილობრივ მოსახლეობაზე.

სრულიად საპირისპირო უნდა ითქვას საქართველოში ჩამოსახლებულ უცხოელთა სხვა ჯგუფებზე. იმპერატორის ხელისუფლება საქართველოში ასახლებდა რუს ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, ქმნიდა კაზაკთა დასახლებებს. XIX საუკუნის 20-40-იან წლებში დაიწყო და შემდგომში გრძელდებოდა სხვადასხვა **სექტანტური** მიმართულების ჯგუფების ჩამოსახლება. 1820 წელს კავკასიის კორპუსის ჯარის ნაწილებში აღმოჩნდა ე. წ. **სკოპეცების სექტა,** რომლებიც სოფ. **მარანში** (ახლანდელი სამტრედიის რაიონი) დაასახლეს. მოგვიანებით ჩამოსული სკოპეცები სოფ. **კოდორსა** და სოფ. **ორპირშიც** (სამტრედიის რაიონი) დასახლდნენ.

1830-40-იან წლებში საქართველოში სასამართლო და ადმინისტრაციული წესით 10.000 სექტანტი ჩამოასახლეს. ამათგან, **დუხობორების** 200 ოჯახი ახალქალაქის მაზრის **ბოგდანოვკის** რაიონში დამკვიდრდა. მთელი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა სხვა სექტანტური ჯგუფების: **სტაროვერების, ბაპტისტების, მალაკნების** და სხვათა ჩამოსახლება.

1829 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის დადებულ ადრიანოპოლის ზავს სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის რადიკალური შეცვლა მოჰყვა. ამ პერიოდამდე ახალციხის საფაშოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას **გამაჰმადიანებული ქართველები** შეადგენდნენ. სამხრეთ საქართველოში დამკვიდრების შემდეგ რუსეთის ხელისუფლება ისე ავიწროებდა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ ქართველ მაჰმადიანთა დიდი ნაწილი ყოფილი საფაშოს ტერიტორიიდან აიყარა და ოსმალეთში გადასახლდა. ადრიანოპოლის ზავის დადებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში სამცხე-საათაბაგოდან ოსმალეთში 70-75 ათასი ქართველი მაჰმადიანი გადასახლდა.

სამაგიეროდ, საქართველოსაკენ დაიძრა ოსმალეთიდან ლტოლვილი **სომეხი** მოსახლეობა. **კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ ნება არ დართო დასავლეთ საქართველოს ქართველობას ყოფილი ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე დასახლებულიყო. სამაგიეროდ, ახალშემოერთებული სამხრეთ საქართველოს ტერიტორია უშურველად დაეთმო ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომეხ ლტოლვილთა ათასობით ოჯახს.** მათი რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ კავკასიის მთავარმართებელი **ივანე პასკევიჩიც** კი შეშფოთებით წერდა: „ჩამოსახლებულთა რაოდენობა ისე დიდი ჩანს, რომ მე იძულებული ვარ, დასასახლებლად გამოვყო ის ადგილები, რომლებიც განკუთვნილი იყო მალოროსიის სამხედრო კაზაკებისათვის, შემოსული სომხები და ბერძნები საქართველოსა და მის გარშემო პროვინციებშიც კი აღარ ეტევიან“.

სულ საქართველოში ჩამოსახლებულ სომეხთა რაოდენობამ 14.044 ოჯახი შეადგინა. აქედან, ყოფილი ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე 5000 ოჯახზე მეტი დამკვიდრდა. ესენი იყვნენ არზრუმიდან გამოსული სომეხი ლტოლვილები, რომლებმაც აქ გადმოსახლების მოტივად არზრუმისა და ჯავახეთის ჰავის მსგავსება დაასახელეს. არზრუმელ სომეხთა 2000 ოჯახი უშუალოდ ახალციხეში ან მის შემოგარენში დაეფუძნა.

„1828 წლიდან მოყოლებული, – წერდა **ივანე ჯავახიშვილი**, – როდესაც ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველმა მაჰმადიანებმა თავიანთი მამაპაპისეული სამოსახლოთაგან აყრა და ოსმალში გადასახლება ირჩიეს. გრაფმა პასკევიჩმა ქართველებს ლიხთიმერეთიდგან იქ გადასახლების ნება არ მისცა და მათ მაგიერ ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომეხთაგან 30000 სომეხი ჩაასახლა... მესხეთში, სადაც 1828 წლამდე ქართველთა მოსახლეობა 95%-ს აღემატებოდა, 1830 წელს უკვე, რუს მოხელეთა წყალობით, უმრავლესობად სომეხნი იქცნენ“.

1830 წლისათვის ახალშექმნილ „ახალციხის ოლქში“ მცხოვრები 38.730 სულიდან 25.545 სომეხი იყო, ქრისტიანი ქართველი – 1859, მაჰმადიანი – 10663.

რუსეთის იმპერიის ხელისუფლება საქართველოს ტერიტორიაზე სხვა უცხოტომელებსაც ასახლებდა.

XIX საუკუნის პირველ მესამედში საფუძველი ჩაეყარა რუსეთის ხელისუფლების მიერ წარმოებულ ანტიქართულ დემოგრაფიულ პოლიტიკას, რომელიც მთელი საუკუნენახევრის განმავლობაში ხორციელდებოდა ჩვენს ქვეყანაში.

თავი IV.

ეროვნული მოძრაობა XIX საუკუნის პირველ მესამედში

§ 1. ქართველი ერის დამოკიდებულება სახელმწიფოებრიობის გაუქმებისადმი

ქართლ-კახეთსა და იმერეთში სახელმწიფოებრიობის გაუქმებას და რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის დამყარებას დიდი უკმაყოფილებით შეხვდა ქართველი ერის ყველა წოდება და სოციალური ფენა: **ბაგრატიონთა სამეფო სახლი, თავადები, აზნაურები, სამღვდელოება, გლეხობა.**

ერეკლე II-ის პრორუსული ორიენტაციით უკმაყოფილება ნელ-ნელა იზრდებოდა გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) დადების შემდეგ. ამ უკმაყოფილების მიზეზი იყო რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა, ხოლო მოგვიანებით – ტრაქტატის ცალმხრივი დარღვევა. 1787 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების შემდეგ, რუსეთმა ქართლ-კახეთიდან ჯარი გაიყვანა და მფარველობაში მიღებული ქვეყანა ისლამური სამყაროს (სპარსეთი, ოსმალეთი, ჩრდილო კავკასიის ხალხები) პირისპირ მარტოდმარტო დატოვა. ცხადია, რუსეთის მიმართ უკმაყოფილებას ზრდიდა რუსეთის საიმპერატორო კარის ღალატი ქართლ-კახეთზე აღა-მაჰმადხანის ლაშქრობის დროს და ლაშქრობის შემდეგ (1795-1797 წწ.). ამ მოვლენებმა **ქართლ-კახეთის სამეფოსა და საერთოდ მთელ საქართველოს ცხადად დაანახა რუსეთის მფარველობაში შესვლის დამლუპველი შედეგები.** ანტირუსული განწყობილება საქართველოში სულ უფრო ძლიერდებოდა. ქართლ-კახეთის სამეფოს მაგალითი რუსეთთან დამოკიდებულებაში სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა იმერეთის მეფეს სოლომონ II-ს. ერეკლე II-ის საგარეო-პოლიტიკური კურსის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სამეფო ოჯახის წევრები და თავადების დიდი ნაწილი. შექმნილ სიტუაციაში რუსეთის საიმპერატორო კარის მითითებით საქართველოში მყოფი რუსი დიპლომატები და სამხედროები დაადგენ ანტირუსული ძალების გათიშვის გზას. რუსმა დიპლომატებმა და სამხედროებმა ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ (1798 წ.) ერთმანეთს დაუპირისპირეს ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრები (დედოფალი დარეჯანი, გიორგი XII და მისი ძმები). **რუსებმა კარგად გამოიყენეს ქართლის თავადების ოპოზიციური განწყობილება ქართლ-კახეთის სამეფო სახლის მიმართ, ასევე – ნინაალმდეგობა იმერეთის მეფესა და სამეგრელოს მთავარს შორის.** ასეთი პოლიტიკით რუსეთის საიმპერატორო კარი აფერხებდა ანტირუსული ძალების აშკარა გამოსვლას, თუმცა რუსეთის ნამდვილი სახე საქართველოს, და განსაკუთრებით ქართლ-კახეთის სამეფოს, პოლიტიკური ელიტისათვის უკვე ცნობილი იყო. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდგომ (1800 წლის დეკემბერი) რუსეთი რომ ქართლ-კახეთის სამეფოს კარგს არაფერს უქადდა, ქვეყნის პოლიტიკური ელიტა ამას ცხადად გრძნობდა. **კატასტროფის თავიდან ასაცილებლად პრაქტიკული ნაბიჯები მხოლოდ იმიტომ ვერ გადაიდგა, რომ ჯერ კიდევ ერეკლე II-ის მეფების ბოლო წლებში, განსაკუთრებით გიორგი XII-ის მეფობის პერიოდში (1798-1800), სამეფო კარმა დაკარგა თავისი ისტორიული ფუნქცია. ქვეყანაში აღარ იყო ის მაორგანიზებელი ძალა, რომელიც მოსალოდნელ კატასტროფას სრულად გაიაზრებდა და სამოქმედო გეგმასაც დასახავდა. სამეფო კარის უუნარობამ პოლიტიკური ელიტის პასიურობა განაპირობა.** აღარაფერს ვამბობთ ერის უდიდეს ნაწილზე – გლეხობაზე. სამეფო კარისა და პოლიტიკური ელიტის უმოქმედობის გამო გლეხობა საერთოდ არ იყო იმის კურსში, თუ რა საფრთხე ელოდა ქვეყანას. აქედან გამომდინარე, ანტირუსული განწყობილება გლეხობაში მხოლოდ რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის დამყარების შემდეგ გამოიკვეთა.

1801 წლის 12 სექტემბერს რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის მიერ ხელმოწერილი მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებ-

ისა და მისი რუსეთთან შეერთების შესახებ ტფილისში მხოლოდ 1802 წლის 12 აპრილს გამოცხადდა. ქართლ-კახეთში რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა. 1810 წელს გაუქმდა იმერეთის სამეფო და იმერეთშიც რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი გაბატონდა.

ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება დიდი ეროვნული ტრაგედია იყო. ამ მოვლენამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო მთელი ერი, მისი ყველა წოდება და სოციალური ფენა.

ბაგრატიონთა სამეფო სახლმა დაკარგა ტახტი და უზენაესი ხელისუფლება. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ფეხქვეშ გათელა 1783 წელს რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის დადებული, ეკატერინე II-ისა და ერეკლე II-ის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულება (ტრაქტატი). დაირღვა **ყველა ქვეყნის მონარქის მიერ აღიარებული ლეგიტიმიზმის პრინციპი, ის პრინციპი, რომელიც ბაგრატიონთა სამეფო სახლის მიმართ არ დაურღვევიათ არც მონღოლ ყაენებს, არც სპარსეთის შაჰებს და არც ოსმალეთის სულთნებს.** მართალია, ბაგრატიონთა სამეფო სახლმა ერთი ღირსეული წარმომადგენლის გარშემო გაერთიანება მაინც ვერ შეძლო, მაგრამ მთლიანად სამეფო სახლის წევრები აშკარად **ანტირუსულ** ორიენტაციას დაადგნენ.

თავადებმა სახელმწიფოებრიობის მოსპობითა და რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის დამყარებით დაკარგეს ის დიდი პრივილეგია, რაც სამეფოს მართვა-გამგეობაში აქტიურ მონაწილეობაში გამოიხატებოდა. თავადთა წრიდან კომპლექტდება ქვეყნის ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის აპარატი, სასამართლო, სამხედრო და საფინანსო უწყება და ა. შ. სახელმწიფო სამსახური თავადებს სოლიდურ ეკონომიკურ შემოსავალს აძლევდა. ამდენად, სახელმწიფოებრიობის გაუქმებამ და რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის დამყარებამ თავადებში სრულიად ბუნებრივად წარმოშვა ანტირუსული განწყობილება.

აზნაურთა მრავალრიცხოვანმა ფენამ ასევე დაკარგა სამეფოს მართვა-გამგეობაში (ძირითადად ადგილობრივი მმართველობის სისტემასა და სამხედრო უწყებაში) მონაწილეობის უფლება, რამაც იგი ეკონომიკურადაც დააზარალა. თავადების მსგავსად აზნაურობაც ანტირუსულ ორიენტაციას დაადგა.

სამღვდელოებამ სახელმწიფოებრიობისა და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ასევე დაკარგა ის ისტორიული ფუნქცია, რომელსაც იგი ერის სულიერ ცხოვრებაში ასრულებდა. უძველესი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესია რუსეთის მართლმადიდებელური ეკლესიის უწმინდესი სინოდის დაქვემდებარებაში მოექცა და ამიერიდან ისე იმართებოდა, როგორც რუსეთის ეკლესიის რიგითი ეპარქია. საქართველოს ეკლესია და სამღვდელოება დაზარალდა ეკონომიკურადაც. ყოველივე ამის გამო სამღვდელოებაც ანტირუსულ ძალად იქცა.

გლეხობამ რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის სუსხი პირველი ხანებიდანვე იგრძნო, რაც რუსი სამხედროების მხრიდან თვითნებობაში, მოსახლეობის აბუჩად აგდებასა და შეურაცხყოფაში გამოიხატებოდა. ცოტა მოგვიანებით ამას დაემატა რუსეთ-სპარსეთისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების პერიოდში გლეხობის უკიდურესი შევიწროვება სხვადასხვა სახის გადასახადითა და ვალდებულებებით. ცხადია, გლეხობაც ანტირუსულ ძალებს შეუერთდა.

ამრიგად, **სახელმწიფოებრიობის გაუქმებამ და რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის დამყარებამ საქართველოს მთელი მოსახლეობა, მთელი ქართველი ერი, ყველა წოდება და სოციალური ფენა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. სწორედ ამიტომ XIX საუკუნის დამდეგიდანვე სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის იბრძოდა მთელი ერი: ბაგრატიონთა სამეფო სახლი, თავადები, აზნაურები, სამღვდელოება, გლეხობა. ბრძოლის მიზანი ერთიანი იყო, მიზნის მიღწევის გზები კი ყველას თავისებურად ჰქონდა გააზრებული.**

§ 2. ეროვნული მოძრაობის დასაწყისი. 1802 წლის პოლიტიკური გამოსვლა კახეთში

ეროვნული მოძრაობა საქართველოში იწყება XIX საუკუნის დამდეგიდან. მაინც რომელი მოვლენა უნდა მივიჩნიოთ ეროვნული მოძრაობის ისტორიაში ათვლის წერტილად? ასეთად უნდა მივიჩნიოთ **1802 წლის 12 აპრილი – ტფილისში ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბ-**

იულონ ბატონიშვილი

ერის მანიფესტის გამოცხადების დღეს მომხდარი მოვლენა. გენერალ კარლ ჯნორინგს მითითება ჰქონდა, რომ მანიფესტის წაკითხვის შემდეგ სიონის ტაძარში შეკრებილები რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაეფიცებინა. კარლ ჯნორინგმა კარგად იცოდა, რომ მანიფესტის წაკითხვას და რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცებას შეიძლებოდა გართულება მოპყოლოდა. სწორედ ამიტომ სიონის ტაძარი და მახლობელი ქუჩები რუსთა ჯარის მიერ ალყაშემორტყმული იყო. მართლაც, **რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცის მიღება არ იკადრა კახეთის თავადებისა და აზნაურების ნაწილმა.** მათ ალყა გაარღვიეს და ტფილისი დატოვეს. ეს მოვლენა უნდა მივიჩნიოთ ეროვნული მოძრაობის დასაწყისად.

კახელ თავადებსა და აზნაურებში ანტირუსული განწყობილება ყველაზე ადრე გადაიზარდა აშკარა პოლიტიკურ გამოსვლაში. კახეთში ანტირუსულ ძალთა ორგანიზება იწყება მაშინვე, როგორც კი სიონის ტაძრის ეზოდან პროტესტის ნიშნად წასული თავადები და აზნაურები კახეთში დაბრუნდნენ. 1802 წლის ივლისში კახეთში, კერძოდ **ქიზიყში, ქელმენჩურის** მიდამოებში შეკრიბნენ კახელი თავადები და მათი თანამგრძნობი ქიზიყელები, სულ რამდენიმე ათასი კაცი. კახეთში დაწყებული პოლიტიკური გამოსვლის აქტიური მონაწილეები იყვნენ ბატონიშვილები **ვახტანგ ერეკლეს ძე** და **თეიმურაზ გიორგის ძე.** კახელი თავადებიდან პოლიტიკურ გამოსვლაში მონაწილეობდნენ: **ანდრონიკაშვილები, ვაჩნაძეები, ჯანდიერები, ჭავჭავაძეები.** თავადთა შორის განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ **ოთარ ჯანდიერი** და **სეიმონ ქობულაშვილი.** დარეჯან დედოფლისა და სპარსეთში მყოფი ბატონიშვილ ალექსანდრე ერეკლეს ძის გეგმის თანახმად იმერეთის მეფეს სოლომონ II-ს, განჯის ხანსა და ახალციხის ფაშას, ასევე ჭარ-ბელაქანის (საინგილოს) ლეკებს უნდა მოეწყოთ ერთობლივი ლაშქრობა ქართლ-კახეთში განლაგებული რუსეთის ჯარების წინააღმდეგ და გამარჯვების შემთხვევაში ქართლ-კახეთის მეფედ **იულონ ერეკლეს ძე** გამოეცხადებინათ. რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ ქელმენჩურში ხალხის დასაშლელად ჯარი გაგზავნა, მაგრამ ქიზიყელებმა რუსთა ბატალიონი დაამარცხეს. შეკრებილებმა (თავადებმა, აზნაურებმა, სამღვდელოებამ, გლეხობამ) ფიცი დადეს იულონ ერეკლეს ძის ერთგულებაზე. მათ წერილით მიმართეს კახეთში განლაგებული რუსეთის ჯარის სარდალს. **კახეთის მოსახლეობა რუსეთის ადგილობრივ ხელისუფლებას ბრალს სდებდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევაში.** გენერალმა გულიაკოვმა წერილის მიმტანი რამდენიმე კაცი დააპატიმრა, რითაც მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა. ქელმენჩურში შეკრებილებმა გადაწყვიტეს უშუალოდ რუსეთის იმპერატორისათვის მიემართათ. თხოვნას ხელი მოაწერა 69 თავადმა. **კახელი თავადები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით და ითხოვდნენ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების აღდგენას.** წერილში უარყოფილი იყო ის ხმები, რომ თითქოს ქართველები მეფობის გაუქმებას ითხოვდნენ. თავადები რუსეთის იმპერატორს ქართლ-კახეთის მეფედ იულონ ერეკლეს ძის დამტკიცებას სთხოვდნენ. **გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების აღდგენაზე უფრო რადიკალური მოთხოვნები ქელმენჩურის შეკრების ინიციატორ კახელ თავადებს არ ნამოუყენებიათ.** გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების დაცვა, რაც ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენას გულისხმობდა, ცხადია, რუსე-

ლექითის ეკლესია. საინგილო

თის საიმპერატორო კარისათვის მიუღებელი იყო.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადამჭრელ ზომებს მიმართა. გაძლიერდა ტფილისის დაცვა. კახეთში დამატებით გაიგზავნა სამხედრო ძალა. სასწრაფოდ გაამაგრეს იმერეთიდან ქართლში გადმოსასვლელი გზები, რათა არ დაეშვათ იმერეთის მეფესთან თავშეფარებული იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილების კახეთში დაბრუნება. ქელმენჩურში პოლიტიკური მოთხოვნების შემდგენელმა თავადებმა რუსეთის ჯარისათვის წინააღმდეგობის გაწევა უაზროდ ჩათვალეს და შეკრებილი ხალხიც დაშალეს. კახეთში შეჭრა გადაიფიქრა ალექსანდრე ბატონიშვილმაც, რომელიც ჭარ-ბელაქანში (საინგილოში) იდგა ჯარით. იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებმაც ვერ შეძლეს საჭირო სამხედრო ძალის თავმოყრა და იმერეთიდან გადმოსვლა. რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ კახელი თავადების ნაწილი შეიპყრო, ნაწილმა თავს გაქცევით უშველა. გაქცეულთა უმრავლესობა შემდეგში სპარსეთში მყოფ ალექსანდრე ერეკლეს ძეს შეუერთდა. შეპყრობილი თავადები ტფილისში ჩამოიყვანეს. ხელისუფლებამ მათ დანაშაული აპატია და რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დააფიცა.

1802 წლის პოლიტიკურმა გამოსვლამ კახეთში ნათელი გახადა, რომ ქართველი ერი არ შეურიგდებოდა სახელმწიფოებრიობის დაკარგვასა და იბრძოლებდა თავისუფლებისათვის.



ლარსი

§ 3. 1804 წლის აჯანყება ქართლის მთიანეთში

1804 წელს ქართლის მთიანეთში რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ დიდი აჯანყება დაიწყო. საქართველოში რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის დამყარების პირველი ხანებიდანვე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა **არაგვის ხეობის** მოსახლეობა. რუსეთი სპარსეთთან და ოსმალეთთან ომისათვის ემზადებოდა. ჯარის გადასაყვანად არსებული გზა გამოუსადეგარი იყო. დაიწყო სამხედრო გზის მშენებლობა. მშენებლობაზე მასობრივად იყენებდნენ არაგვის ხეობის მოსახლეობას. საგზაო ბეგარა განსაკუთრებით აუტანელი იყო ზამთარში. სიცივემ, შიმშილმა და ზვავებმა ბევრი ქართველის სიცოცხლე შეიწირა. ამას თან ერთვოდა **რუსი მოხელეების, ოფიცრებისა და ჯარისკაცების თვითნებობა და თავაშვებულობა: მოსახლეობის შეურაცხყოფა, ცემა, ქალების გაუპატიურება და ა. შ.** იყო შემთხვევები, როცა რუსმა ჯარისკაცებმა ქალები უღელში შეაბეს და მათრახებით ცემეს. სამუშაოდ გასული მთიულებიდან რუსმა მოხელეებმა და ჯარისკაცებმა ცემით მოკლეს 23 კაცი. 1804 წლის მაისში განაწამები **მთიულები** აჯანყდნენ. მათ **თიანეთში** მოკლეს რუსი კაპიტან-ისპრავნიკი, ასევე დახოცეს რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები. აჯანყება თიანეთს გასცდა და არაგვის ხეობაში გავრცელდა. 1804 წლის დამდეგიდან მთავარსარდალი **პავლე ციციანოვი** ერევნის სახანოზე სალაშქროდ ემზადებოდა. 1804 წლის მაისში მან არაგვის ხეობაში ქართველთა ლაშქრის შეკრება და ერევნის ხანის წინააღმდეგ საომრად გაგზავნა ბრძანა. პავლე ციციანოვმა აჯანყებული მთიულების დაშოშმინება თავის მოადგილეს, საქართველოს მმართველს გენერალ **ვოლკონსკის** დაავალა, ხოლო თავად რუსეთის ჯარებით ერევნისაკენ დაიძრა. არაგვის ხეობაში ლაშქარი მართლაც შეიკრიბა, მაგრამ არაგველები ერევანზე სალაშქროდ აღარ წასულან და 1804 წლის ივნისში **რუსეთის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყეს**. აჯანყება მალე მთელი **ქართლის მთიანეთს** მოედო. მთიულების გარდა მასში მონაწილეობდნენ გუდამაყრის, ჭართლის, ხანდოს ხეობათა მცხოვრები, ასევე **ფშაველები, ხევსურები** და თრუსოს ხეობის **ოსები**. სულ აჯანყებაში 4 ათასზე მეტი კაცი ჩაე-

ბა. აჯანყების მოთავეთა შორის გამოირჩეოდნენ ლევან ნაზღაიძე, შიო ბურდული და სხვები. აჯანყებულებმა თავიდანვე ხელთ იგდეს კაიშაურის საგუშაგო, ალყა შემოარტყეს დუშეთსა და ანანურს, ხოლო შემდეგ სტეფანწმინდისაკენ გაიჭრნენ.

აჯანყებულებს ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის აღდგენა ენადათ. მათ მოციქულები გაუგზავნეს იმერეთში მყოფ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს. 1804 წლის ივნისში იულონი და ფარნაოზი ასევე ლევან იულონის ძე გაემართნენ აჯანყებულებთან შესაერთებლად. ბატონიშვილებს შეუერთდა ქართლელ თავადთა ერთი ნაწილი. რუსებმა სასწრაფოდ გადაკეტეს არაგვის ხეობისაკენ მიმავალი გზები. იულონმა და ფარნაოზმა აჯანყებულებთან შეერთება ვერ შესძლეს და ისევ იმერეთში დააპირეს დაბრუნება. სურამთან რუსთა რაზმი, რომელსაც ქართველი თავადი გიორგი ამირეჯიბი მეგზურობდა, მოულოდნელად თავს დაესხა ბატონიშვილებს. მომხდარი შეტაკების შედეგად რუსებმა იულონი შეიპყრეს. ფარნაოზ და ლევან ბატონიშვილებმა გაქცევა შეძლეს. ისინი ახალციხეში გადაიდნენ, საიდანაც სპარსეთის გავლით კახეთში ჩააღწიეს. კახელი თავადებისა და აზნაურების მხარდაჭერით ფარნაოზმა კახეთის სოფლებში ლაშქარი შეკრიბა და აჯანყებულებს შეუერთდა. მოგვიანებით ფარნაოზ ბატონიშვილი ქსნის ხეობაში გადავიდა და იქაც რუსების წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო.

აჯანყებულებმა ისარგებლეს იმით, რომ მთავარსარდალი პავლე ციციანოვი ერევნის სახანოზე სალაშქროდ იყო წასული და 1804 წლის აგვისტოში აიღეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტები – **სტეფანწმინდა** და **დუშეთი.** 1804 წლის აგვისტო აჯანყებულთა ყველაზე დიდი წარმატების პერიოდი იყო. **სამხედრო გზა** აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა. იმავდროულად, რუსეთის ჯარი, რომელსაც პავლე ციციანოვის სარდლობით ერევნის ციხისათვის ალყა ჰქონდა შემორტყმული, სპარსელებმა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდეს. რუსებს დამხმარე ძალის მიღების იმედი აღარ ჰქონდათ. პავლე ციციანოვმა ერევანს ალყა მოხსნა და სასწრაფოდ საქართველოში დაბრუნდა. მან შექმნილი მდგომარეობის შესახებ სასწრაფოდ აცნობა იმპერატორ ალექსანდრე I-ს. იმპერატორის ბრძანების თანახმად ჩრდილო კავკასიიდან დარიალის ხეობის გავლით არაგვის ხეობისაკენ წამოვიდა რუსეთის ჯარი, სულ 3 ათასი ჯარისკაცი 30 ქვე-



ანანური

დარიალის ხეობა

მეხით. ტფილისიდან დიდი ძალებით არაგვის ხეობაში შეიჭრა პავლე ციციანოვი. აჯანყებულები ფარნაოზ ბატონიშვილის წინამძღოლობით ორ ცეცხლს შუა მოექცნენ და ველარ გაუძლეს რეგულარული არმიის შეტევას. ჩრდილო კავკასიიდან დაძრულმა რუსეთის ჯარმა დაიკავა **ლარსი, დარიალი, სტეფანწმინდა, სიონთან** დაამარცხა ფარნაოზ ბატონიშვილის ლაშქარი და 1804 წლის ოქტომბერში **ანანურთან** შეუერთდა პავლე ციციანოვის მთავარ ძალებს. მთელი არაგვის ხეობა რუსთა ჯარის მიერ აღმოჩნდა დაკავებული. ფარნაოზ ბატონიშვილმა სპარსეთში გაქცევა სცადა, მაგრამ ყაზახის მიდამოებში იგი რუსებმა შეიპყრეს.

ფარნაოზ ბატონიშვილის შეპყრობის შემდეგ აჯანყებულებს იმედი ჰქონდათ, რომ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგებოდნენ ბატონიშვილები: **ალექსანდრე, თეიმურაზი** და **ლევანი**. პავლე ციციანოვმა აღარ დაუშვა აჯანყების ხელახალი აღმავლობა.

აჯანყების ჩახშობაში რუსებს დახმარება გაუწია რამდენიმე ქართველმა თავადმა. რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლებასთან განსაკუთრებით აქტიურად თანამშრომლობდნენ **ქსნის ერისთავები**, კერძოდ კი, **რევაზ ერისთავი**. აღსანიშნავია, რომ პავლე ციციანოვმა ქსნის ერისთავებს დაუბრუნა ერეკლე II-ის მიერ ჩამორთმეული ყმა-მამული, რითაც ქსნის ერისთავთა საგვარეულო ბაგრატიონთა სამეფო სახლის წინააღმდეგ დასაყრდენად აქცია. პავლე ციციანოვის დავალებით აჯანყებულთაგან ხევსურების ჩამოშორებას ცდილობდნენ თავადები **მაყაშვილი** და **ქობულაშვილი**. თავადთა ნაწილი მოვლენათა განვითარებას ელოდა და აჯანყებაში არ მონაწილეობდა. ქართლისა და კახეთის, განსაკუთრებით კი კახეთის თავადების უმრავლესობა აჯანყებას თანაუგრძნობდა და აქტიურადაც მონაწილეობდა მასში. რუსებმა

საქართველოს სამხედრო გზა ყაზბეგთან

დიდი სისასტიკით ჩაახშვეს აჯანყება როგორც არაგვის, ისე ქსნის ხეობაში. უშუალოდ აჯანყებულთა და რუსეთის რეგულარულ ჯარებს შორის მომხდარი ბრძოლების დროს დაღუპულთა გარდა დიდი რაოდენობით ქართველი სიკვდილით დასაჯეს დამსჯელმა ექსპედიციებმა. **შეპყრობილი იულონ** და **ფარნაოზ ბატონიშვილები** რუსეთში გადაასახლეს. შეიპყრეს და ციხეში გამოკეტეს ბატონიშვილების მომხრე თავადები. სულ ციხეში აღმოჩნდა აჯანყების 300-ზე მეტი მონაწილე.

1804 წლის ქართლის მთიანეთის აჯანყება იყო პირველი დიდი შეარაღებული გამოსვლა რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ. აჯანყებამ ცხადყო, რომ ქართველ ერში არ ჩამკვდარა სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ მისწრაფება. ცხადი იყო ისიც, რომ რუსეთს არ შეეძლო საქართველოში დაწყებული ეროვნული მოძრაობის შეჩერება.



მლეთის აღმართი. საქართველოს სამხედრო გზა.

§ 4. 1812 წლის აჯანყება კახეთში

1804 წელს დაწყებული რუსეთ-სპარსეთის ომი გაჭიანურდა. გაჭიანურდა 1806 წელს დაწყებული რუსეთ-ოსმალეთის ომიც. 1811 წელს რუსეთის ჯარმა ჯავახეთში ილაშქრა და **ახალქალაქი** აიღო. იმავე წელს საქართველოს მთავარმართებელმა გენერალმა **მარკიზ პაულუჩიმ** ერევანზე ილაშქრა, მაგრამ წარუმატებლად. ამ ორი ლაშქრობისათვის ტვირთის გადასაზიდად აღმოსავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით კახეთის, მოსახლეობისაგან ხელისუფლებამ დიდი რაოდენობით მოითხოვა ურმები გამწევი პირუტყვით და მეურმეებით. რუსეთის ჯარისათვის საჭირო სურსათს, პირველ რიგში პურს, რუსი მოხელეები და სამხედროები მოსახლეობისაგან ყიდულობდნენ. პურში ხელისუფლება საბაზრო ფასებზე ბევრად ნაკლებს იხდიდა. პურის დაბალი საფასურის ნაწილს ხშირად რუსი მოხელეები და სამხედროები ითვისებდნენ. პურის გაყიდვაზე უარის თქმის შემთხვევაში კახეთის სოფლებში **ეგზეკუციებს** გზავნიდნენ, რასაც ძალადობა და უსამართლობა ახლდა თან. სოფლებში პურის მარაგი აღარ დარჩა. დაიწყო შიმშილი. არსებული წესით ომის საჭიროებისათვის მობილიზებული მეურმეებისათვის ხელისუფლებას გარკვეული საფასური უნდა გადაეხადა. ამ საფასურს მეურმეები ან საერთოდ ვერ ღებულობდნენ, ან მის ნაწილს ისევ რუსი მოხელეები და სამხედროები ითვისებდნენ. სოფლებიდან იმდენად დიდი რაოდენობით ხარ-კამეჩი იქნა გაყვანილი, რომ მოსახლეობა თითქმის გამწევი პირუტყვის გარეშე დარჩა. თვეობით უხდებოდათ ოჯახების მიტოვება მეურემეებს მათი ნაწილი იხოცებოდა, ნაწილი დაავადმყოფებული ბრუნდებოდა შინ. ყოველივე ამას თან დაერთო შავი ჭირი, რომელმაც მრავალი ადამიანი იმსხვერპლა. უპატრონოდ დარჩენილ სოფლებს ხელისუფლება კვლავ პურს სთხოვდა. იმატა სოფლებში პურისათვის გაგზავნილი რუსი სამხედროების მხრიდან ძალმომრეობამ, სისასტიკემ და უსამართლობამ: ძარცვა-გლეჯამ, სახლ-კარის გადაწვამ, ადამიანების დასახიჩრებამ და მკვლელობამ, ქალების გაუპატიურებამ. უკიდურესად შეიწროებულმა და შეურაცხყოფილმა მოსახლეობამ აჯანყება დაიწყო. აჯანყება **ახმეტაში** დაიწყო 1812 წლის 31 იანვარს. აჯანყებამ იფეთქა **მატანსა** და **თიანეთშიც**. აჯანყებულებმა გააძევეს კაპიტან-ისპრავნიკი სამხედრო რაზმთან ერთად. მალე აჯანყება მოედო სხვა სოფლებსაც. 1812 წლის 2 თებერვალს კახელთა მრავალათასიანმა ლაშქარმა თავადების **ბებურიშვილისა** და **მაყაშვილის** მეთაურობით **თელავი** აიღო. რუსული გარნიზონი თელავის ციხეში გამაგრდა და იქიდან განაგრძობდა ბრძოლას. 5 თებერვალს ქიზიყის ლაშქარმა **სიღნაღი** დაიკავა. სულ რამდენიმე დღეში აჯანყებულებმა რუსთა რაზმები განდევნეს **ბოდბისხევიდან, ანაგიდან, კაკაბეთიდან, მანავიდან**. აჯანყებულებთან ბრძოლაში დამარცხდა და თავისი ჯარის ნაშთებთან ერთად ტფილისში გაიქცა კახეთის ოლქის უფროსი გენერალი **პორტნიაგინი**.



ფასანური

შეშინებულმა ხელისუფლებამ სცადა მოსახლეობასთან ურთიერთობის მოგვარება. კაპიტან-ისპრავნიკებს ებრძანათ მოსახლეობასთან ურთიერთობაში ზომიერების დაცვა, საერთოდ აიკრძალა სოფლად ეგზეკუციების გაგზავნა. მაგრამ ამ ბრძანების შემსრულებელი უკვე არავინ იყო. კაპიტან-ისპრავნიკები და საეგზეკუციო

სიღნაღი

რაზმები ან აჯანყებულებმა ამოწყვიტეს, ან ციხე-სიმაგრეებში იყვნენ თავშეფარებულნი.

აჯანყების შეჩერება შეუძლებელი გახდა. 1812 წლის 9 თებერვალს მთიულებმა, ფშაველებმა და ხევსურებმა **დუშეთი** და **ფასანაური** აიღეს და საქართველოს სამხედრო გზა გადაკეტეს. შეშფოთებულმა ხელისუფლებამ სასწრაფო ზომები მიიღო ტფილისის გამაგრების მიზნით, რადგან აჯანყებულები **ავჭალაშიც** გამოჩნდნენ. ჯარები გამოიწვიეს იმერეთიდან, შიდა ქართლიდან და რუსეთ-სპარსეთის ფრონტიდანაც კი, ასევე ჩრდილო კავკასიიდან. მოგვიანებით, დამატებითი ჯარების მოსვლის შემდეგ **დუშეთი** და **ანანური** კვლავ ხელისუფლებამ დაიბრუნა, რითაც საგრძნობლად შეავიწროვეს მთიელები. დუშეთიდან და ანანურიდან აჯანყებულების განდევნაში რუსებს დიდი დახმარება აღმოუჩინა **კონსტანტინე მუხრანბატონმა**. კახეთში კი აჯანყება წარმატებით ვითარდებოდა. მთელი კახეთი აჯანყების ალში იყო გახვეული.

შექმნილი კრიტიკული ვითარების გამო საქართველოს მთავარმართებელი გენერალი **ფილიპ პაულუჩი** 1812 წლის 21 თებერვალს რუსეთ-სპარსეთის ფრონტიდან ტფილისში დაბრუნდა და უშუალოდ ჩუდგა სათავეში აჯანყების ჩამხშობ ძალებს. 22 თებერვალს გენერალმა პაულუჩიმ იმპერატორს მოახსენა აჯანყების შედეგად შექმნილი საშიში მდგომარეობის შესახებ.

კახეთში დაწყებულ აჯანყებაში მოსახლეობის **ყველა წოდება და სოციალური ფენა** (გლეხები, თავადები, აზნაურები, დაბალი სამღვდელოება) მონაწილეობდა, მაგრამ ხელმძღვანელი როლი **თავადებს** ეკუთვნოდათ. აჯანყების დაწყებიდანვე განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა თავადი **ოთარ ქობულაშვილი**.

კახეთის მოსახლეობის ყველა წოდება და სოციალური ფენა მოითხოვდა **რუსეთის მიერ ბაგრატიონთა სამეფო სახლის უსამართლოდ შელახული უფლებების აღდგენას, ე. ი. ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენას ბაგრატიონთა დინასტიით სათავეში**. სწორედ ამიტომ აჯანყების დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ოთარ ქობულაშვილის ინიციატივით მეფედ ქართლში მყოფი ბატონიშვილი **გრიგოლ იოანეს ძე** მოიწვიეს.

გრიგოლ ბატონიშვილმა სცადა აჯანყება ქართლშიც დაეწყო, მაგრამ წარმატებას ვერ მი-

მარკიზ პაულუჩი

აღწია. საქართველოს მთავარმართებელმა **ფილიპ პაულუჩიმ** შესძლო ქართლის თავადების ნაწილის მიმხრობა, რამაც ხელისუფლებას საშუალება მისცა აღეკვეთა ქართლში აჯანყების გავრცელების საშიშროება. ქართლში პოზიციების გამაგრებამ შესაძლებელი გახადა არაგვის ხეობის აჯანყებულ მოსახლეობაზე შეტევა.

ქართლში ვითარების ნაწილობრივი სტაბილიზაციის შემდეგ მთავარმართებელი პაულუჩი დიდი სამხედრო ძალით კახეთში შეიჭრა. მას თან ახლდნენ თავადი **ანდრონიკაშვილები**. 1812 წლის 1-2 მარტს სოფელ **ჩუმლაყთან** ერთმანეთს შეხვდნენ გრიგოლ ბატონიშვილისა და გენერალ პაულუჩის ჯარები. 4 ათასი ქართველი თავგანწირულად ებრძოდა რუსეთის რეგულარულ ჯარს. ქართველებმა მტერს დიდი ზიანი მიაყენეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ. ტყვედ ჩავარდა **გრიგოლ ბატონიშვილი**. ამ ბრძოლის შემდეგ აჯანყებულებმა გენერალ პაულუჩის ჯარებს წინააღმდეგობა ველარ გაუწიეს და დროებით ბრძოლა შეწყვიტეს.

ხელისუფლებამ აჯანყებულები სასტიკად დასაჯა, მაგრამ საქართველოს მთავარმართებელი პაულუჩი იძულებული გახდა იმავდროულად გარკვეულ დათმობაზეც წასულიყო. კახეთში

ნაპოლეონ I

გაუქმდა კაპიტან-ისპრავნიკების თანამდებობა, აღდგა მოურავობა. კახეთში ასევე გაუქმდა რუსული სასამართლო და მის ნაცვლად შეიქმნა დროებითი სასამართლოები, სადაც სამოქალაქო საქმეების გარჩევა ქართული კანონებისა და ადათების საფუძველზე მიმდინარეობდა.

1812 წლის 20 აპრილს საქართველოს მთავარმართებლად პაულუჩის ნაცვლად დაინიშნა გენერალი **ნიკოლოზ რტიშჩევი**. ახალმა მთავარმართებელმა დაინახა, რომ აჯანყების ცეცხლი კახეთში ჩამქრალი არ იყო. რტიშჩევმა კახეთში გენერალ **სტალის** მეთაურობით დიდი ჯარი გაგზავნა. ამ ჯარს მალე დაემატა კიდევ რამდენიმე ბატალიონი გენერალ **დიმიტრი ორბელიანის** მეთაურობით. საბოლოოდ ხელისუფლებამ დაპირებებით, ხოლო სადაც დაპირება არ ჭრიდა, სამხედრო ძალის გამოყენებით, შესძლო აჯანყებულთა ლაშქრის დაშლა. თუმცა ცხადი იყო რომ საბრძოლო განწყობილება ხალხში კვლავ მაღალი იყო და აჯანყების საბოლოოდ შეწყვეტა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ შასრულებდა ხელისუფლება დანაპირებს.

1812 წლის ივნისში საფრანგეთის იმპერატორი **ნაპოლეონ I** თავს დაესხა რუსეთს. საფრანგეთის არმიის წარმატებებმა 1812 წლის ზაფხულში მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო რუსეთი. შექმნილი ვითარება კარგად გამოიყენა სპარსეთში გადახვეწილმა ბატონიშვილმა **ალექსანდრე ერეკლეს ძემ**. 1812 წლის სექტემბერში ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთიდან დაბრუნდა და თიანეთში გამაგრდა. მან **კახეთის**, ასევე **არაგვისა** და **დარიალის** ხეობის მოსახლეობას რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოუწოდა. ალექსანდრე ბატონიშვილი დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში. სწორედ ამიტომ მის მონოდებას მოსახლეობა დაუყოვნებლივ გამოეხმაურა. კახეთის გარდა

ამას-მირზა

ალექსანდრე ბატონიშვილი

აჯანყება დაიწყო ფშავსა და ხევსურეთში. ქართლის თავადებისა და აზნაურების ნაწილი ალექსანდრე ბატონიშვილთან გამოცხადდა. ალექსანდრე ბატონიშვილის დასახმარებლად **დაღესტნიდან** გადმოვიდა 1200-კაციანი რაზმი.

ალექსანდრე ბატონიშვილის წარმატებას საერთაშორისო ვითარება აშკარად უწყობდა ხელს. მან საკმაოდ სერიოზული სამხედრო ძალის თავმოყრაც შეძლო. კახელების საბრძოლო შემართებაც ძლიერი იყო. ყოველივე ამის გამო ხელისუფლება კვლავ დიდი საშიშროების წინაშე დადგა. ამასთანავე იყო ერთი მომენტი, რომელიც ხელისუფლების სასარგებლოდ და, ამდენად, ალექსანდრე ბატონიშვილის საზიანოდ მოქმედებდა. **საქართველოს, კერძოდ კი კახეთის, მოსახლეობაში ძლიერი იყო ანტისპარსული განწყობილება.** თუ ალექსანდრე ბატონიშვილი რუსეთის წინააღმდეგ სპარსეთიდან სერიოზულ სამხედრო ძალას მიიღებდა და სპარსეთის ჯარი კახეთში შემოვიდოდა, შეიძლებოდა მოსახლეობაში ანტისპარსეთული გამოსვლებიც კი დაწყებულიყო. სწორედ ამიტომ ალექსანდრე ბატონიშვილი კახეთის მოსახლეობას დაჟინებით განუმარტავდა, რომ სპარსეთის ჯარი საქართველოში შემოვიდოდა არა როგორც დამპყრობელი, არამედ როგორც მოკავშირე რუსეთის წინააღმდეგ.

ალექსანდრე ბატონიშვილმა აჯანყებულთა ლაშქარი სამ ნაწილად გაყო. ერთ ნაწილს ტფილისიდან კახეთში მიმავალი გზების ჩაკეტვა დაავალა, მეორეს საქართველოს სამხედრო გზის მიმართულებით უნდა ემოქმედა. აჯანყებულთა ძირითად ძალებს თავად ალექსანდრე ბატონიშვილი ჩაუდგა სათავეში და კახეთში განლაგებულ რუსეთის ჯარებს შეუტია.

ხელისუფლებამ ალექსანდრე ბატონიშვილის წინააღმდეგ საგანგებო ღონისძიებები გაატარა. რუსეთ-სპარსეთის ფრონტიდან ჯარები

გამოიწვიეს და კახეთში სტრატეგიული პუნქტები გაამაგრეს. სამხედრო გზის დასაცავად ჩრდილო კავკასიიდან დაძრეს ჯარები. კახეთისაკენ დაიძრა იმერეთში განლაგებული რუსეთის ჯარების დიდი ნაწილი. მთავარმართებელმა **ნიკოლოზ რტიშჩევმა** ალექსანდრე ბატონიშვილის მოკვლისათვის ჯილდოდ 20 ათასი მანეთი დააწესა.

გენერალურ ბრძოლაში, ცხადია, რუსეთის ჯარს, რომელსაც სათავეში გენერალი **დიმიტრი ორბელიანი** ედგა, არ უნდა გასჭირვებოდა **ალექსანდრე ბატონიშვილის** ლაშქრის დამარცხება. სწორედ ამის გამო ალექსანდრე ბატონიშვილი თავს არიდებდა გენერალურ ბრძოლას. რამდენიმე ნაწილად გაყოფილი მისი ცხენოსანი ლაშქარი მოულოდნელი თავდასხმებით დიდ ზიანს აყენებდა რუსეთის ჯარს. გენერალი **დიმიტრი ორბელიანი** ვერ ბედავდა ჯარის ნაწილებად დაყოფას. რუსეთის ჯარი ნელა და ზოზინით დასდევდა უკან ალექსანდრე ბატონიშვილის ცხენოსან ლაშქარს. რუსების მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ აჯანყებულები მოსახლეობის საყოველთაო მხარდაჭერით სარგებლობდნენ, რუსეთის ჯარი კი ასეთ მხარდაჭერას მოკლებული იყო. სწორედ ამიტომ გაბოროტებული რუსები მიწასთან ასწორებდნენ კახეთის სოფლებს.

რუსეთის რეგულარულ ჯართან ბრძოლა მაინც დიდი სირთულეების წინაშე აყენებდა აჯანყებულებს. ჩრდილო კავკასიიდან დაძრულმა რუსეთის ჯარებმა შეძლეს აჯანყებული ფშავ-ხევსურების მიერ გადაკეტილი სამხედრო გზის გაწმენდა. ალექსანდრე ბატონიშვილი იძულებული გახდა რუსეთის ჯარებთან გენერალურ ბრძოლაში ჩაბმულიყო. 1812 წლის 10 ოქტომბერს სოფელ **შილდასთან** აჯანყებულებსა და რუსეთის ჯარებს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა. ბრძოლამ შვიდ საათს გასტანა. 6 ათასი აჯანყებული ალექსანდრე ბატონიშვილის წინამძღოლობით მედგრად ებრძოდა მტერს. ბოლოს აჯანყებულებმა უკან დაიხიეს. გენერალმა დიმიტრი ორბელიანმა გადაბუგა სოფლები **შილდა** და **საბუე**. რუსებმა მთლიანად გაკაფეს ბაღ-ვენახი.

ამ დროისათვის რუსეთ-სპარსეთის ფრონტზე საბრძოლო მოქმედებები შეწყვეტილი იყო და საზავო მოლაპარაკება მიმდინარეობდა. ზავზე შეთანხმება ვერ მოხერხდა და საბრძოლო მოქმედებებიც განახლდა. სპარსეთის ჯარი **აბას-მირზას** სარდლობით 1812 წლის ოქტომბერში ტფილისზე დაიძრა. რუსეთ-სპარსეთის ფრონტზე მიმდინარე მოვლენების შესახებ საქმის კურსში იყო ალექსანდრე ბატონიშვილი და იგი მთელ იმედებს აბას-მირზას წარმატებებზე ამყარებდა. მაგრამ რუსებმა აბას-მირზას დაასწრეს და 1812 წლის ოქტომბერშივე სპარსეთის ჯარს სასტიკი მარცხი აგემეს. სპარსელთა ლაშქრობა ტფილისზე ჩაიშალა. აბას-მირზას მარცხმა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო აჯანყებულები.

1812 წლის 1 ნოემბერს სოფელ **ჩალაუბანთან**. გენერალი დიმიტრი ორბელიანი 1300 კაცით ამჯერადაც შეება აჯანყებულებს. ალექსანდრე ბატონიშვილმა კვლავ უკან დაიხია და **ჩალაუბნის ხეობას** შეაფარა თავი. დიმიტრი ორბელიანმა ხეობაში შესვლა ვერ გაბედა. ხეობაში დიდხანს დარჩენა აჯანყებულებს არ შეეძლოთ. 1812 წლის 25 ნოემბერს აჯანყებულები ჩალაუბნის ხეობიდან გამოვიდნენ. აჯანყებულებსა და რუსეთის ჯარებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1812 წლის 26 ნოემბერს სოფელ **მანავთან**. რუსებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ როგორც რიცხობრივი, ასევე შეიარაღების თვალსაზრისით. ალექსანდრე ბატონიშვილს ულალატეს დაღესტნელებმაც. აჯანყებულები დამარცხდნენ, მათი ლაშქარი დაიშალა. მთავარმართებელ **ნიკოლოზ რტიშჩევის** დავალებით გენერალი **დიმიტრი ორბელიანი** და რამდენიმე მოღალატე თავადი ყოველ ღონეს ხმარობდნენ ალექსანდრე ბატონიშვილის შესაპყრობად. მას შეუკრეს გზები. ალექსანდრე ბატონიშვილმა მაინც მოახერხა **თიანეთში** ასვლა, საიდანაც **შატილში** გადავიდა.

მთავარმართებელი **ნიკოლოზ რტიშჩევი** ხვდებოდა, რომ სანამ ალექსანდრე ბატონიშ-

შატილი

ვილი ცოცხალი იყო იგი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას არ მოიშლიდა. რტიშჩევმა ალექსანდრე ბატონიშვილს წერილი გაუგზავნა, რომელშიც ბრძოლაზე ხელის აღებასა და რუსეთის ხელისუფლებასთან შერიგებას ურჩევდა. ალექსანდრე ბატონიშვილს ვერ წარმოუდგინა რუსებთან შერიგება. მას იმედი ჰქონდა, რომ ბრძოლით მიაღწევდა სამშობლოს განთავისუფლებას რუსეთის ბატონობისაგან. ალექსანდრე ბატონიშვილის უარმა ხელისუფლებას ახალი საზრუნავი გაუჩინა. მართალია, 1812 წლის ბოლოსათვის კახეთის დაშოშმინება შესაძლებელი გახდა, მაგრამ შატილში მყოფი ალექსანდრე ბატონიშვილი ხელისუფლებას მოსვენებას არ აძლევდა. 1813 წლის მაისში რუსეთის ჯარები **ხევსურეთში** შეიჭრნენ. 1813 წლის ივნისის დამდეგს დიდი ბრძოლები გაიმართა **შატილისათვის**. უთანასწორო ბრძოლების შემდეგ რუსები საარტილერიო ყუმბარებით დანგრეულ და ცეცხლმოკიდებულ შატილში შეიჭრნენ. ხევსურებმა ბოლომდე უერთგულეს ალექსანდრე ბატონიშვილს და მოახერხეს მისი დაღესტანში გადაყვანა. რუსების ამ ლაშქრობას 700 ხევსურის სიცოცხლე შეენირა. რუსებმა მინასთან გაასწორეს ხევსურეთის 20 სოფელი.

1812 წლის აჯანყების მონაწილეებს ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა. შეპყრობილი მეამბოხეებისაგან სამხედრო სასამართლოს წინაშე წარსდგა 62 მთავარი დამნაშავე. მათი დიდი ნაწილი თავადები და აზნაურები იყვნენ. განსასჯელთა შორის იყო 4 მღვდელი და 2 ქალი. სასამართლომ 29 კაცს ციმბირის სამუდამო კატორღა მიუსაჯა, 31 კაცს – საქართველოს გარეთ ჯარისკაცად განწესება. აჯანყების მონაწილე ორ ქალს – **ეკატერინე ჩოლოყაშვილსა** და **გულქან ნათალიშვილს** – სამუდამო მონაზვნობა მიუსაჯეს და კურსკის გუბერნიის ერთ-ერთ მონასტერში გაგზავნეს. სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასაჯეს უამრავი გლეხი. დამსჯელი ექსპედიციების უფროსებს უფლება მიეცათ „საჭიროებისდა მიხედვით" ჩამოეხრჩოთ აჯანყების მონაწილე გლეხები. ჩამოხრჩობილთა შორის იყო 75 წლის ქალი.

ხელისუფლებამ არ იცმარა აჯანყების მთელი სისასტიკით ჩახშობა, უამრავი ადამიანის სიკვდილით დასჯა, სოფლების გადაბუგვა, ბაღვენახის გაჩეხვა და წელში გატეხილ კახეთის გლეხობას კონტრიბუციის სახით გადაახდევინა დიდი რაოდენობით პური, ასევე ფული.

ხელისუფლება ძალზე შეაშფოთა კახეთის თავადებისა და აზნაურების ანტირუსულმა განწყობილებამ, მათმა თავდადებულმა ბრძოლამ ჯერ 1804 წლის ქართლის მთიანეთის და განსაკუთრებით კი 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს. სწორედ ამიტომ უშუალოდ აჯანყების მიმდინარეობის პერიოდში, ასევე სასამართლოსა და დამსჯელი ექსპედიციების მოქმედების დროს სასტიკად დაარბიეს რუსეთისადმი მტრულად განწყობილი თავადთა საგვარეულოები, ასევე აზნაურთა ოჯახები. იმავდროულად მიმდინარეობდა მოღალატე თავადების ნახალისება.

აჯანყების დამარცხების შემდეგ ხელისუფლებას კახეთში ხალხისათვის მეტად საძულველი კაპიტან-ისპრავნიკების თანამდებობა აღარ აღუდგენია, თუმცა მოურავობა მაინც გააუქმეს. მოურავის ნაცვლად სოფელს ქართველ თავადთა ან აზნაურთა წრიდან „სმოტრიტელს" (მეთვალყურეს, ზედამხედველს) უნიშნავდნენ. ადგილობრივ რუსულ მმართველობაში გაიზარდა ქართველი თავადებისა და და აზნაურების რიცხვი.

1812 წლის აჯანყება კახეთში არ შეიძლება ჩვეულებრივ ანტირუსულ ამბოხად მივიჩნიოთ. ეს იყო ბაგრატიონთა სამეფო სახლის, ქართველი არისტოკრატიის მიერ ორგანიზებული შეიარაღებული გამოსვლა, ომი რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ. ამ აჯანყებაში მონაწილეობდა ქართველი ერის ყველა წოდება და სოციალური ფენა. მთელი ერი აღსდგა შელახული ეროვნული ღირსების დასაცავად და დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად. მართალია აჯანყება ისტორიაში შევიდა როგორც კახეთის აჯანყება, მაგრამ მასში გარდა კახეთის მოსახლეობისა, აქტიურად მონაწილეობდა ქართლის მოსახლეობა, არაგვისა და დარიალის ხეობის მთიელები, განსაკუთრებით ხევსურები და ფშაველები. გეოგრაფიული თვალსაზრისით ლოკალურ აჯანყებას სამშობლოს განთავისუფლების საერთო-ქართული იდეა ასაზრდოებდა.

§ 5. დავით ბატონიშვილის ბრძოლა ქართლ-კახეთის სამეფოს აღსადგენად

ეროვნული მოძრაობის ისტორიაში საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს **დავით გიორგის ძე ბაგრატიონის** ბრძოლა ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენისათვის.

დავით ბატონიშვილი სხვა ბატონიშვილებთან ერთად ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსეთში იქნა გადასახლებული. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის მემკვიდრის ბრძოლა წმინდა **სამართლებრივ** საფუძველს ემყარებოდა. 1783 წელს დადებული გეორგიევსკის ტრაქტატი, როგორც ორ ქვეყანას – ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას – შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულება იმხანად აღიარებული წესების დაცვით გაფორმდა. ორივე მხარემ (ქართლ-კახეთმა და რუსეთმა) წინასწარ შეიმუშავეს და განიხილეს ხელშეკრულების პროექტები. ხელშეკრულების ტექსტზე ხელი მოაწერეს მხარეთა მიერ დანიშნულმა უფლებამოსილმა დელეგაციებმა. ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა ორივე ქვეყნის მონარქმა – ერეკლე II-მ და ეკატერინე II-მ. რუსეთის საიმპერატორო კარმა გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შესახებ არსებული წესის დაცვით აცნობა რუსეთში მყოფი სხვადასხვა სახელმწიფოების ელჩებს და თვით ხელშეკრულების ტექსტიც (გარდა საიდუმლო მუხლებისა) გააცნო მათ. ამრიგად, **გეორგიევსკის ტრაქტატი დაიდო და ძალაში შევიდა იმხანად საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული ნორმების დაცვით.** შემდეგ ხანებში რუსეთმა ცალმხრივად დაარღვია ტრაქტატის ცალკეული მუხლები, მხედველობაში არ მიიღო ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის თხოვნა ხელშეკრულების განახლებისა თუ მასში ცვლილებების შეტანის შესახებ და ბოლოს 1801 წლის 12 სექტემბერს ცალმხრივად უხეშად დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი – ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა. **1801 წლის 12 სექტემბრის აქტით რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ფეხქვეშ გათელა ზოგადად არა მარტო გეორგიევსკის ტრაქტატი, არამედ კონკრეტულად მისი წინამორბედი მონარქის, ეკატერინე II-ის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულება.** დავით ბატონიშვილი სწორედ ამ არგუმენტის გამოყენებას ცდილობდა. როგორც ჩანს, გარდა დავით ბატონიშვილისა რუსეთში გადასახლებული ბატონიშვილების დიდი ნაწილი შესაძლებლად თვლიდა **მშვიდობიანი გზით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს (პრაქტიკულად ქართლ-კახეთის) ავტონომიური სამეფოს აღდგენას ბაგრატიონთა (ერეკლე II-ის შთამომავალთა) დინასტიით სათავეში.**

დავით ბატონიშვილმა თავისი სათხოვარი ალექსანდრე I-ისადმი გაგზავნილ წერილში ჩამოაყალიბა, რომელიც იმპერატორს დავით ბატონიშვილმა 1812 წლის სექტემბერში წარუდგინა. წერილი ასე იყო დასათაურებული: **„საქართველოს უკეთესი მონყობის შესახებ“.** დრო შემთხვევით არ იყო შერჩეული. ეს ის პერიოდია, როცა სპარსეთიდან დაბრუნებული ალექსანდრე ბატონიშვილი კახეთში აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. წერილში დავით ბატონიშვილი სინანულს გამოთქვამდა რუსეთის მიერ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევის, გიორგი XII-ის 1800 წლის სათხოვარი პუნქტების უგულებელყოფისა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების გამო. დავით ბატონიშვილის აზრით, სწორედ ამან გამოიწვია ქვეყნის ტრადიციული მართვა-გამგეობის მოშლა და აჯანყებები რუსეთის წინააღმდეგ. ცხადია, საქართველოში დაწყებული აჯანყებების მიზეზად დავით ბატონიშვილი რუსეთის საიმპერატორო კარის და პირადად ალექსანდრე I-ის პოლიტიკას ვერ მიიჩნევდა. აჯანყებების მიზეზად იგი საქართველოს მთავარმართებელთა მიერ დაშვებულ შეცდომებს ასახელებდა. დავით ბატონიშვილის აზრით, შეცდომა იყო ბატონიშვილებისათვის მამულების ჩამორთმევა და მათი რუსეთში გადასახლება, რადგან ამან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსახლეობაზე და ქართველებში რუსული ორიენტაცია შეარყია. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით დავით ბატონიშვილი იმპერატორს სთავაზობდა შემდეგს: 1) საქართველოში რუსეთის ჯარის მთავარსარდლის (მთავარმართებლის) თანაშემწედ (მოადგილედ) უნდა დანიშნულიყო ერთ-ერთი უფლისწული (ბატონიშვილი), რომელსაც შენარჩუნებული ექნებოდა მეფის ტიტული; 2) ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლების აღდგენის შემთხვევაში საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარის ნაწილი საჭირო აღარ იქნებოდა და მის მაგივრობას შეასრულებდა ერეკლე II-

დავით ბატონიშვილი

ის მიერ დამტკიცებული მორიგე ჯარის შესახებ განჩინების საფუძველზე შეკრებილი ქართული ლაშქარი; 3) სახელმწიფო შემოსავლების გაზრდის მიზნით უნდა მომხდარიყო სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარება, შავი ზღვა უნდა გადაქცეულიყო რუსეთ-საქართველოს საეკონომო არტერიად.

დავით ბატონიშვილის მიერ წარდგენილი წინადადებები რუსეთის საიმპერატორო კარმა უარყო. **რუსეთში უკვე შემუშავებული იყო და პრაქტიკულად ხორციელდებოდა საქართველოს რუსეთის განუყოფელ ნაწილად გადაქცევის გეგმა. ამ გეგმას საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა საქართველოში ავტონომიური მმართველობის შემოღება ნებისმიერი ფორმით, მით უფრო ქვეყნის მართვა-გამგეობაში ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენლების მონაწილეობა. შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში რუსეთი ასევე არ დასთანხმდებოდა საქართველოდან ჯარების თუნდაც ნაწილის გაყვანას და ქართული ლაშქრის შეკრებას. ქართლ-კახეთში ავტონომიური მმართველობის რაიმე ფორმით შემოღება საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ჰეგემონისტურ მისწრაფებებს კავკასიაში და საბოლოოდ მახლობელ აღმოსავლეთში.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დავით ბატონიშვილის პროექტში ზოგიერთი რამ დაუსაბუთებელი და პრაქტიკულად განუხორციელებელი ჩანდა. მაგალითად, გვირგვინოსანი ბაგრატიონი, მეფე, იმავდროულად როგორ უნდა ყოფილიყო საქართველოს მთავარსარდლის (მთავარმართებლის) თანაშემწე (მოადგილე)? როგორ განაწილდებოდა მათ შორის ფუნქციები? თუ მეფის ტიტულის მატარებელი მთავარსარდლის ნების აღმსრულებელი გახდებოდა, მაშინ რა აზრი ექნებოდა ასეთი მეფის არსებობას? ცხადია, დავით ბატონიშვილს ყველაზე მცირე, რაც რუსეთის იმპერატორისათვის უნდა ეთხოვა, იყო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ან 1800 წლის გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტების პირობების აღდგენა. ასეთ თხოვნას იმხანად აზრი არ ჰქონდა და დავით ბატონიშვილიც რაღაც კომპრომისულ ვარიანტს ეძებდა. თუმცა ეს კომპრომისული ვარიანტიც ალექსანდრე I-თვის მიუღებელი აღმოჩნდა.

დავით ბატონიშვილმა 1817 წელს ალექსანდრე I-ს მეორე პროექტი წარუდგინა. ეს პროექტი გაცილებით უფრო რადიკალურია ვიდრე პირველი. მასში აღნიშნულია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით დაირღვა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი. ცხადია, დავით ბატონიშვილს არ შეეძლო უშუალოდ მიეთითებინა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებაში უმთავრეს დამნაშავეზე – იმპერატორ ალექსანდრე I-ზე. **დავით ბატონიშვილი ამჯერად პირდაპირ აყენებდა ქართლ-კახეთის სამეფო დინასტიის ლეგიტიმური უფლებების აღდგენის საკითხს.** იგი რუსეთის იმპერატორს არწმუნებდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენა რუსეთს არავითარ ზიანს არ მოუტანდა, პირიქით, სასარგებლოც კი იქნებოდა მისთვის, რადგან ამ შემთხვევაში რუსეთი შეიძენდა საიმედო მოკავშირეს, დასაყრდენ ძალას.

დავით ბატონიშვილის როგორც პირველი, ასევე მეორე პროექტის განხორციელება ეწინააღმდეგებოდა კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს. სპარსეთთან და ოსმალეთთან გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაბმული და, ჩრდილო კავკასიაში ანტირუსული მოძრაობის დაწყების მომლოდინე რუსეთი ვერ დაუშვებდა პოზიციების შესუსტებას საქართველოში. რუსეთის სახელმწიფოს ინტერესები ქართული სახელმწიფოებრიობის სრულ მოსპობას ითხოვდა. ეს კარგად ესმოდა რუსეთის საიმპერატორო კარს და ამიტომაც დავით ბატონიშვილის მეორე პროექტს პირველის ბედი ეწია.

მიუხედავად იმისა, რომ დავით ბატონიშვილის ორივე პროექტი განუხორციელებელი დარჩა, ეროვნული მოძრაობის ისტორიაში მას თავისი ადგილი უნდა მივუჩინოთ. ეს იყო სამშობლოს უბედურებით თავზარდაცემული ადამიანის ცდა როგორმე, რაიმე ფორმით გადაერჩინა ქართული სახელმწიფოებრიობა.

§ 6. 1819-1820 წლების აჯანყება იმერეთსა და გურიაში

რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი ნელ-ნელა, მაგრამ მყარად იკიდებდა ფეხს იმერეთში. იმერეთის დროებითი მმართველობა, რომელიც 1810 წელს იქნა შემოღებული, თავისი ხასიათით არ იყო ისე აუტანელი, როგორც რუსული მმართველობა ქართლ-კახეთში. თუმცა იმერეთის მოსახლეობასაც მძიმე ტვირთად დააწვა 1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი (რუსეთის ჯარისათვის გზებისა და ხიდების შეკეთება, სატრანსპორტო ბეგარა). პურს, ღომს და სიმინდს რუსი მოხელეები და სამხედროები იმერეთშიც საბაზრო ფასებთან შედარებით ბევრად იაფად ყიდულობდნენ. მიუხედავად ამისა, როგორც აღვნიშნეთ, იმერეთში რუსული მმართველობა მაინც არ იყო ისე აუტანელი, როგორც ქართლ-კახეთში. ცხადია, ასე დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო.

იმერეთში რუსეთის სახაზინო (სახელმწიფო) ფონდი, უმთავრესად სახაზინო (სახელმწიფო) გლეხები და მინები, 1812 წლისათვის გაცილებით მცირე იყო ვიდრე ქართლში, ან კახეთში. მცირე იყო სახაზინო შემოსავალიც. რუსეთის საიმპერატორო კარმა მიზნად დაისახა გაეზარდა იმერეთიდან მიღებული სახაზინო შემოსავალი. **შემოსავლის გაზრდის ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნიეს საეკლესიო რეფორმის გატარება.** საეკლესიო რეფორმის ძალით საეკლესიო გლეხები სახაზინო (სახელმწიფო) გლეხები ხდებოდნენ. საეკლესიო აზნაურებიც მინითურთ სახაზინო უწყებებში უნდა გადაერიცხათ. იზრდებოდა გლეხობაზე შეწერილი საეკლესიო გადასახადი.

მცხეთის საკათალიკოსოს ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა და საქართველოს ეგზარქოსი **თეოფილაქტე რუსანოვი** ცდილობდნენ იმერეთის ეპარქიების დაქვემდებარებას. თეოფილაქტე რუსანოვის დაჟინებული მცდელობის მიუხედავად **აფხაზეთის (აფხაზეთ-იმერეთის) საკათალიკოსო დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა.** უკანასკნელი კათალიკოსის **მაქსიმე ქუთათელის** გარდაცვალების (1795 წ.) შემდეგ საკათალიკოსოს განაგებდა მიტროპოლიტი **დოსითეოს ქუთათელი.** თეოფილაქტე რუსანოვს განზრახული ჰქონდა იმერეთის ცხრა ეპარქიიდან მხოლოდ სამი დაეტოვებინა. ეპარქიების შემცირებასთან ერთად უნდა შემცირებულიყო სამღვდელოების რიცხვიც. თეოფილაქტე რუსანოვს სურდა იმერეთის მთელი საეკლესიო ქონება საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისათვის დაექვემდებარებინა. რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის უწმინდეს სინოდთან შეთანხმებით თეოფილაქტე რუსანოვმა 1819 წელს იმერეთში საეკლესიო რეფორმის გატარება დაიწყო. პირველ რიგში, უნდა მომზდარიყო საეკლესიო ქონების აღწერა.

რეფორმით უკმაყოფილო იყო **მაღალი სამღვდელოება,** რომელიც კარგავდა მონოპოლიას საეკლესიო ქონებისა და ეკლესიის შემოსავლის მართვა-მფლობელობაზე. უკმაყოფილო იყო **დაბალი სამღვდელოება,** რადგან ეპარქიების რიცხვის შემცირების გამო მათი ნაწილი უმუშევარი დარჩებოდა, უკმაყოფილონი იყვნენ **საეკლესიო აზნაურებიც,** რომლებიც რეფორმის ძალით მინიანად და გლეხებიანად სახაზინო უწყებაში უნდა გადაერიცხათ. განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო **გლეხობა,** რომელსაც საეკლესიო გადასახადი ორ-სამჯერ ეზრდებოდა. ამასთან ერთად, გადასახადს ნატურით კი არა, ფულით ითხოვდნენ.

საეკლესიო რეფორმით უკმაყოფილო იმერეთის მოსახლეობა 1819 წლის ივნისში აჯანყდა. ივლისში აჯანყება კიდევ უფრო გაძლიერდა და იმერეთის გარდა **რაჭაშიც** გავრცელდა. რეფორმის გატარების მიზნით რაჭაში ჩასული მოხელეები მოსახლეობამ სოფლებიდან გამორეკა. იმერეთში აჯანყებულებმა ჩახერგეს გზები, დაიკავეს სადარაჯოები. მოსახლეობა რეფორმის შეწყვეტას და იმერეთიდან თეოფილაქტე რუსანოვის გაძევებას ითხოვდა.

საქართველოს მთავარმართებელი გენერალი **ალექსი ერმოლოვი** იმერეთში აჯანყების დაწყების დროისათვის ჩრდილო კავკასიაში იბრძოდა. მის მოვალეობას ასრულებდა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი გენერალი **ველიამინოვი.** ველიამინოვი შეშინდა და იმერეთში აჯანყებულთა დასაშოშმინებლად სერიოზული სამხედრო ძალა გაგზავნა.

იმერეთის აჯანყება თავიდან მიმართული იყო მოსახლეობისათვის არასასურველი საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგ. შემდგომ აჯანყებამ აშკარად ანტირუსული ხასიათი მიიღო და რუსეთის ბატონობისაგან ქვეყნის განთავისუფლების ნიშნით წარიმართა.

იმერეთში დანყებულ აჯანყებაში მოსახლეობის ყველა ფენა (თავადები, აზნაურები, სამღვდელოება, გლეხობა) მონაწილეობდა. თავადებისა და აზნაურების ნაწილი ორჭოფობდა, ნაწილი რუსეთის ხელისუფლებას მიემხრო, მაგრამ იმერეთის თავადებისა და აზნაურების უდიდესი ნაწილი გლეხობისა და სამღვდელოების გვერდით დადგა რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქართლის მთიანეთისა და კახეთის აჯანყებების დროს მიღებული მწარე გამოცდილების კვალობაზე ხელისუფლება ამჯერად ფრთხილობდა. 1819 წლის ივლისში გენერალმა ველიამონოვმა ტფილისიდან იმერეთში მიმართვა გაგზავნა. იგი იმერეთის მოსახლეობას ჰპირდებოდა, რომ საეკლესიო რეფორმას აღარ განახორციელებდნენ და თეოფილაქტე რუსანოვსაც გაიწვევდნენ იმერეთიდან. საქართველოს მთავარმართებელი **ალექსი ერმოლოვი** ძლიერ შიშობდა, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიეღოთ სამეგრელოსა და გურიის მთავრებს. სწორედ ამიტომ ხელისუფლება სამეგრელოსა და გურიის მთავრებს ამშვიდებდა, რომ სამთავროებში საეკლესიო რეფორმას არ გაატარებდნენ. მართლაც, იმერეთში საეკლესიო რეფორმის გატარება შეწყვიტეს, თეოფილაქტე რუსანოვი კი ქუთაისიდან ტფილისს გაემგზავრა. ეს იყო აჯანყებულთა დიდი გამარჯვება.

ხელისუფლების მხრიდან დათმობის შედეგად 1819 წლის შემოდგომისათვის იმერეთში აჯანყება დროებით შენელდა, თუმცა აჯანყებულებს იარაღი არ დაუყრიათ. მოსახლეობა რეპრესიების მოლოდინში იყო. მალე ხელისუფლების მხრიდან გაუაზრებელმა მოქმედებამ ახალი მღელვარება გამოიწვია. ტფილისიდან იმერეთში გაგზავნილი ჯარის მეთაურმა იმერეთის მოსახლეობას „ცოდვების მონანიება" და რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ფიცის ხელახლა დადება მოსთხოვა. მოსახლეობამ ამაზე უარი განაცხადა და აჯანყება განაახლა. აჯანყებულებმა დაიკავეს ქუთაისისაკენ მიმავალი გზები, დაიწყეს რუსების მომხრე თავადებისა და აზნაურების დარბევა. განზრახული იყო ქუთაისის დაკავებაც. ხელისუფლებამ სასწრაფო ზომები მიიღო ქუთაისის გასამაგრებლად.

აჯანყებულებმა იმერეთის სამეფოს აღდგენა განიზრახეს. დაიწყო მეფის კანდიდატურის ძიება. თავადმა **ზურაბ წერეთელმა** მეფედ თავისი ვაჟის **გრიგოლის** კანდიდატურა წამოაყენა. თავადების დიდმა ნაწილმა იმერეთის მეფედ სოლომონ I-ის ქალიშვილის დარეჯანის ვაჟი **ივანე აბაშიძე** დაასახელა. იყო აზრი მეფედ მოეწვიათ ბატონიშვილი **ალექსანდრე ერეკლეს ძე.** როგორც ჩანს, თვითონ ალექსანდრე ბატონიშვილი იმერეთის ტახტისათვის ბრძოლას პერსპექტიულად არ თვლიდა. საბოლოოდ იმერეთის მეფედ აჯანყებულებმა **ივანე აბაშიძე** გამოაცხადეს.

გელათი

1920 წლის დამდეგისათვის ხელისუფლებამ იმერეთში დიდ სამხედრო ძალას მოუყარა თავი და აჯანყებულთა წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებას შეუდგა. 1820 წლის მარტში იმერეთის ახლადდანიშნულმა მმართველმა პოლკოვნიკმა **ივანე პუზირევსკიმ** შეიპყრო ღრმად მოხუცებული მიტროპოლიტები **დოსითეოზ ქუთათელი** და **ექვთიმე გენათელი,** სოლომონ I-ის ასული, ივანე აბაშიძის დედა ბატონიშვილი **დარეჯანი,** თავადები **სეხნია წულუკიძე** და **დავით მიქელაძე.** ივანე აბაშიძემ გაქცევა მოახერხა და თავი გურიას შეაფარა. მიტროპოლიტების შეპყრობა მოხდა ყოვლად უმსგავსო და ცინიკური ფორმით. მათ თავიდან წელამდის ჩამოაცვეს ტომრები და შეუკრეს ხელები. დოსითეოზ ქუთათელს ჯარისკაცებმა სცემეს. ბატონიშვილი დარეჯანი რუსეთში, ქ. პენზაში, გადაასახლეს, ხოლო თავადები სეხნია წულუკიძე და დავით მიქელაძე – ციმბირში. ტფილისისაკენ მიმავალი სურამთან გარდაიცვალა ჯარისკაცებისაგან ნაცემი მიტროპოლიტი **დოსითეოზ ქუთათელი,** ხოლო მიტროპოლიტი **ექვთიმე გენათელი** რუსეთში გადაასახლეს, სადაც იგი მალევე გარდაიცვალა.

მიტროპოლიტების დოსითეოზ ქუთათელისა და ექვთიმე გენათელის, დარეჯან ბატონიშ-

ვილისა და თავადების დაპატიმრებამ იმერეთის მოსახლეობა საშინლად აღაშფოთა. 1820 წლის აპრილში აჯანყება ახალი ძალით გაიშალა, განსაკუთრებით გურიასა და რაჭაში.

გურიაში გაქცეულმა ივანე აბაშიძემ თავის ნათესავს გურიის მთავრის ძმას **ქაიხოსრო გურიელს** მიაშურა. იმერეთის მმართველმა **ივანე პუზირევსკიმ** ქაიხოსრო გურიელს ივანე აბაშიძის გაცემა მოსთხოვა, რაზედაც უარი მიიღო. ამის შემდეგ პოლკოვნიკი პუზირევსკი გურიაში შეიჭრა, სადაც იგი პირადი შეურაცხყოფისათვის გურულმა აზნაურმა **ბოლქვაძემ** სიცოცხლეს გამოასალმა. პუზირევსკის ნაცვლად დანიშნულმა **ზგორელსკიმ** გურიაში **შემოქმედის** ციხის აღება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ზგორელსკის მარცხით აღფრთოვანებულმა გურულებმა **ჩოხატაურში** მყოფი რუსთა რაზმი ამოწყვიტეს. შემდეგ აჯანყებულებმა მდინარე რიონი გადალახეს, სამეგრელოში გადაეიდნენ და სოფელი **ჭალადიდი** დაიკავეს. მღელვარება დაიწყო სამეგრელოშიც. აქ აჯანყებას სათავეში სამეგრელოს მთავრის ძმა **გრიგოლ დადიანი** ჩაუდგა. სამეგრელოს მთავარმა **ლევან დადიანმა** ძმა დაამარცხა, შეიპყრო და რუსებს გადასცა.

1820 წლის ზაფხულში **ივანე აბაშიძე** გურიიდან იმერეთში დაბრუნდა და კვლავ რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. აჯანყება გრძელდებოდა რაჭაშიც.

ტფილისიდან გაგზავნილმა დამსჯელმა ექსპედიციამ მინასთან გაასწორა რაჭის სოფლები. შემდეგ დამსჯელი ექსპედიცია ველური სიმკაცრით იმერეთშიც ამოქმედდა. დამარცხებული ივანე აბაშიძე ოსმალეთში გაიქცა. დამსჯელმა ექსპედიციამ დიდი სისასტიკით დაარბია გურია. **ქაიხოსრო გურიელი** ოსმალეთში გაიქცა. დამსჯელ ექსპედიციასთან ბრძოლის დროს დაილუპა ბევრი აჯანყებული, მრავალი მათგანი აჯანყების ჩახშობის შემდეგ გაუსამართლებლად გამოასალმეს სიცოცხლეს.

აჯანყების მონაწილენი ციხეებში გამოეტეს. შემდეგ მათი ნაწილი რუსეთის სხვადასხვა გუბერნიის ციხეებში გაგზავნეს, ნაწილი ციმბირში გადაასახლეს. მსჯავრდებულთა უმრავლესობა ციხეებსა და გადასახლებაში დაიღუპა. ციმბირში გადასახლებულთა შორის იყვნენ თავადები: სამი წულუკიძე, ორი აბაშიძე, რამდენიმე იაშვილი. მსჯავრდებულ თავადებს, ასევე ივანე აბაშიძეს ყმები და მამული ჩამოართვეს და ხაზინას გადასცეს. საეკლესიო რეფორმა იმერეთში მოგვიანებით მაინც გაატარეს.

1819-1820 წლების აჯანყება, რომელიც იმერეთში დაიწყო და შემდეგ გურიასა და რაჭაშიც გავრცელდა, უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა ეროვნული მოძრაობის ისტორიაში. აჯანყებას, რომელშიც ერის ყველა წოდება და სოციალური ფენა მონაწილეობდა, ერთადერთი მიზანი ჰქონდა. ეს იყო სამშობლოს განთავისუფლება რუსეთის ბატონობისაგან. აჯანყებამ, ფაქტობრივად, ხანგრძლივმა ომმა, რუსეთის რეგულარულ ჯართან, ცხადყო, რომ ქართველი ერი ვერ შეურიგდებოდა სახელმწიფოებრიობის დაკარგვასა და რუსეთის ბატონობას.

***

XIX საუკუნის ეროვნულმა აჯანყებებმა, ფაქტობრივად ომებმა, რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ ცხადყო ქართველი ერის დაუოკებელი ლტოლვა სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ. რუსეთი დიდი სამხედრო ძალის გამოყენებით ახერხებდა აჯანყებების ჩახშობას, მაგრამ დაღვრილი სისხლი კიდევ უფრო აძლიერებდა სიძულვილს დამპყრობლისადმი და იდეურ საზრდოს აძლევდა მომავალ თაობებს.

§ 7. 1832 წლის შეთქმულება

XIX საუკუნის დამდეგს დაწყებული ეროვნული მოძრაობის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა 1832 წლის შეთქმულება. ამასთან, იგი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის **თვისობრივად ახალი საფეხური იყო.** XIX საუკუნის დამდეგის ეროვნული აჯანყებები წარმოადგენდა ქართველი ერის გმირულ ბრძოლას რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს ეს აჯანყებები თავისი ხასიათით **სტიქიური** და **ლოკალური** იყო. აჯანყებულებს არ ჰქონიათ წინასწარ შემუშავებული პროგრამა, თუმცა ყველა აჯანყებულს ამოძრავებდა საერთო იდეა – **სამშობლოს განთავისუფლება.**

1832 წლის შეთქმულებას წინა ეპოქის ეროვნული აჯანყებებისაგან სულ მცირე სამი ნიშანი განასხვავებდა:

პირველი. შეთქმულება არ იყო სტიქიური მოვლენა, იგი დიდი ხნის ფიქრისა და განსჯის შედეგს წარმოადგენდა; **მეორე.** შეთქმულება არ იყო ლოკალური, იგი საერთო-ქართულ მოვ-

ლნად უნდა აღიქვათ; **მესამე.** შეთქმულებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს პროგრამის შემუშავებისა და შეჰდგომი სრულყოფის მიზნით. ყველა საპროგრამო საკითხზე შეთქმულების მონაწილენი ვერ შეთანხმდნენ, მაგრამ ეროვნული მოძრაობის ამ ეტაპზე ეს მოულოდნელი არ იყო.

1. შეთქმულების აღმოცენება. XIX საუკუნის დამდეგის ეროვნული აჯანყებების მარცხმა და ქართველ ერზე თავსდატეხილმა რეპრესიებმა გარკვეული დაღი დასვა ქართველ საზოგადოებას. ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრები რუსეთში, ძირითადად პეტერბურგსა და მოსკოვში, იყვნენ გადასახლებულნი. ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა, სამეფო სახლის ნეკრებს რაც შეიძლება ნაკლები კავშირი ჰქონოდათ სამშობლოსთან. აჯანყებების მონაწილე ქართველი არისტოკრატიის წარმომადგენლები მკაცრად იქნენ დასჯილნი. აუტანელი პირობები შეუქმნეს ყველას, ვინც რუსეთის ხელისუფლებისადმი ოპოზიციური განწყობით გამოირჩეოდა. ამავე დროს წახალისეს ქართველი არისტოკრატიის ის ნაწილი, რომელიც აჯანყებების პერიოდში რუსეთის მხარეზე დადგა, წახალისეს რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილნიც. **XIX საუკუნის 20-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ქართული არისტოკრატიის ის თაობა, რომლის შეგნებული ცხოვრება რუსეთის ბატონობის პირობებში დაიწყო. ეს თაობა, წინა თაობისაგან განსხვავებით, გაცილებით უფრო ლოიალურად იყო განწყობილი რუსეთის ბატონობისადმი.** ძველი არისტოკრატიის ანტირუსული მისწრაფებების დათრგუნვას ხელისუფლება ამ თაობაზე დაყრდნობით აპირებდა. სწორედ ამიტომ უხსნიდა მას ეს ასწავლებლებში, სამოქალაქო და სამხედრო სამსახურში. **ცხადია, ქართველი არისტოკრატიის ახალ თაობაში საკმაოდ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც რუსეთის ბატონობასთან შერიგებას არ აპირებდნენ და არანაირ სამსახურებრივ კარიერას და პირად კეთილდღეობას სამშობლოს თავისუფლების იდეას არ ანაცვალებდნენ.** მაგრამ ქართველ საზოგადოებაში *მაინც იმძლავრა რუსეთის ბატონობასთან შერიგების იდეამ. ცოტა მოგვიანებით ეს განწყობილება* ასე გამოხატა ივანე **აფხაზმა:** „ანინდელი ჩვენი საზოგადოება არს მკვდარი მამულისათვის. ცხოვრობენ უსაგნოდ, დაეხეტებიან უგზოუკვლოდ, ვითარცა ბნელსა ღამესა შინა; ყოველი ფიქრობს საკუთარისა თვისისა სარგებლობისათვის, რომლისა მისაღებად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა და არცა უპატიურსა გზასა, რომელსა ზედა ვლენ. ანგარება არს მათთვის თაყვანსაცემი კერპი, რომლითაცა გვეკარგა პატიოსნება; გარნა ნუ გგონია, რომელ ეს იყო ბუნებითი თვისება ქართველთა; არა, ესე არს მხოლოდ ნაყოფი ოცდაათი წლის მორჩილებისა“.

ასეთ ვითარებაში ეროვნული მოძრაობის გამოცოცხლება, ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია **პეტერბურგსა** და **მოსკოვში** იწყება. ეროვნული მოძრაობისათვის იდეის მიმცემი ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენლები იყვნენ. მათვე გადადგეს პირველი პრაქტიკული ნაბიჯები ამ იდეის განხორციელების მიზნით. რუსეთში გადასახლებული ქართველი ბატონიშვილებიდან განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა **დავით გიორგის ძე,** ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ – **ფარნაოზ ერეკლეს ძე, დიმიტრი იულონის ძე** და **ოქროპირ გიორგის ძე.** ბატონიშვილების ოჯახები პეტერბურგსა და მოსკოვში ქართველი საზოგადოების თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა. აქ გამართულ შეკრებებზე უმთავრესად სამშობლოს მომავალზე ბჭობდნენ.

ცხადია, ხელისუფლებისათვის ცნობილი იყო ქართველი ბატონიშვილების ოჯახებში არსებული განწყობილება. ეს კი ბატონიშვილებს და მათ ოჯახებში შეკრებილთ სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა. სწორედ ამიტომ 1825 წელს პეტერბურგში **დიმიტრი ბატონიშვილის** ხელმძღვანელობით ყალიბდება პირველი საიდუმლო ორგანიზაცია (წრე). ამ წრის წევრები იყვნენ **ფარნაოზ ბატონიშვილი, დიმიტრი ერისთავი, გიორგი ერისთავი, ელიზბარ ერისთავი, დიმიტრი ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, დავით ჯორჯაძე, სოლომონ რაზმაძე, ალექსანდრე ჩოლოყაშვილი** და სხვები. პეტერბურგის წევრები მსჯელობდნენ, თუ როგორ უნდა ეშველათ სამშობლოსათვის. წრე მარტო მსჯელობით არ იფარგლებოდა. განზრახული იყო პრაქტიკული მოქმედების დაწყება. მაგალითად, პეტერბურგიდან საქართველოში მომავალ ელიზბარ

ოქროპირ ბატონიშვილი

ერისთავს დიმიტრი ბატონიშვილმა ასეთი დარიგება მისცა: „თქვენ, ვინც საქართველოში მიდიხართ, უნდა ეცადოთ შეადგინოთ საზოგადოება, მიიმხროთ ხალხი, რათა იმოქმედოთ და სამშობლო გაანთავისუფლოთ“.

1826 წელს მოსკოვში **ოქროპირ ბატონიშვილის** ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა მეორე საიდუმლო ორგანიზაცია (წრე). ამ წრის აქტიური წევრები იყვნენ: **დავით ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, გიორგი ერისთავი** და სხვები. პეტერბურგის წრეშიც მსჯელობდნენ სამშობლოს ხსნის გზებზე. წრე სოლომონ დოდაშვილის მეშვეობით ცდილობდა კავშირის დამყარებას საქართველოსთან პრაქტიკული მოქმედების დაწყების მიზნით.

მალე ტფილისში იქმნება შეთქმულთა ძლიერი ორგანიზაცია. 1827-1829 წლებში რუსეთიდან შეთქმულების ცენტრის ტფილისში გადმოტანაში დიდი როლი შეასრულეს: **ელიზბარ ერისთავმა, სოლომონ დოდაშვილმა, ალექსანდრე ჩოლოყაშვილმა, ოქროპირ ბატონიშვილმა, თამარ ბატონიშვილმა.** ტფილისში შეთქმულთა ორგანიზაციას შეუერთდნენ: **ალექსანდრე ჭავჭავაძე, ზაქარია ჩოლოყაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ლუარსაბ ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, მამუკა ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ფილადელფოს კიკნაძე** და სხვები. ტფილისის ორგანიზაციაში 1830-1832 წლებში ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ: **ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი** და **სოლომონ დოდაშვილი.**

ტფილისის გარდა შეთქმულებმა მუშაობა გაშალეს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. განსაკუთრებით ბევრი მიმდევრები ჰყავდათ მათ ქართლში, კახეთში, იმერეთში. შეთქმულებს თანაუგრძნობდა სამეგრელოს მთავრის მემკვიდრე **დავით დადიანი,** ასევე აფხაზეთის მთავრის მემკვიდრე **კონსტანტინე შერვაშიძე.**

შეთქმულები მიზნად ისახავდნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებათ მთელი კავკასია. ალექსანდრე ორბელიანი აღნიშნავდა: „შეთქმა ისე უნდა მომხდარიყო, რომ მთელი კავკასია შავი ზღვიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდისინ, სრულიად მთებისა და ბარის ხალხი უნდა გავერთიანებულიყავით და ერთიანი აღრეულობა მოგვეხდინა“.

2. შეთქმულთა ორგანიზაციის წესდება. შეთქმულები ცდილობდნენ დაეცვათ კონსპირაცია. მათ შემუშავებული ჰქონდათ ფარული მიმოწერის ხერხები, იყენებდნენ საიდუმლო ანბანს და სხვ. 1830 წელს შეუდგენიათ ფარული ორგანიზაციის წესდება სახელწოდებით **„აქტი გონიური“.** წესდებამ მცირეოდენი ცვლილებები განიცადა 1832 წელს. 1832 წელს მოხდა ფარული საზოგადოების წევრთა დაფიცება „აქტი გონიურის“ ერთგულებაზე.

„აქტი გონიური“ განსაზღვრავდა ფარული საზოგადოების წევრად მიღების პირობებს, წევრთა უფლებებსა და მოვალეობებს. „აქტი გონიური“ მოითხოვდა საიდუმლოების დაცვას. ამ მიმართებით საინტერესოა სიტყვები, რომელიც ოქროპირ ბატონიშვილმა ალექსანდრე ორბელიანს უთხრა: შეთქმულებაზე **„ორ კაცს ერთად ნუ ელაპარაკებიო“.** შეთქმულთა ორგანიზაციის წესდების ერთ-ერთი მუხლი აფრთხილებდა მის წევრებს, რომ მათ რიგებში არ შეპარულიყვნენ საეჭვო პირები და „გაუნათლებელი“ ელემენტები.

1831 წელს ალექსანდრე ორბელიანმა, ელიზბარ ერისთავმა და გიორგი ერისთავმა ერთ-ერთ შეთქმულს, თავად თ. ლორთქიფანიძეს შეუდგინეს ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ემოქმედა შეთქმულთა წრის გაფართოების მიზნით იმერეთში. ამ ინსტრუქციით თ. ლორთქიფანიძეს ევალებოდა გაერკვია იმერეთის საზოგადოების დამოკიდებულება ნიკოლოზ I-ის რუსეთისადმი.



ეახტანგ ორბელიანი

შეთქმულთა ორგანიზაციის წესდებას, ცხადია, ჰქონდა ნაკლი. ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლი ის იყო, რომ შეთქმულების შესახებ ძალიან ბევრმა ადამიანმა იცოდა, რაც ზრდიდა ჩავარდნის საფრთხეს.

3. შეთქმულების პროგრამა. 1832 წლის შეთქმულების უმთავრესი საპროგრამო მოთხოვნა იყო – **„საქართველო ქართველებისათვის"**, ანუ საქართველოს განთავისუფლება რუსეთის ბატონობისაგან. შეთქმულებმა ვერ მოასწრეს თავიანთი პროგრამისათვის საბოლოო, დასრულებული სახის მიცემა. მიუხედავად ამისა, ჩვენს ხელთ არსებული მასალა საშუალებას იძლევა ალვადგინოთ შეთქმულთა ძირითადი საპროგრამო მოთხოვნები.

შეთქმულთა საპროგრამო მოთხოვნები პირველად მოიხსენიებ მის მონაწილეთა ნაწერებში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ფილადელფოს კიკნაძის **„მამულის სიყვარული"**, რომელიც 1829 წელსაა დაწერილი. შეთქმულთა პროგრამის შესახებ ცალკეულ ცნობებს ვპოულობთ შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ დანიშნული გამოძიების მასალებში. ცხადია, დაპატიმრებულები მაქსიმალურად ეცდებოდნენ გამოძიებისათვის დაემალათ ყველაფერი, რაც სასჯელს დაამძიმებდა, მაგრამ მათ ჩვენებებში მაინც ბევრი საინტერესო მასალაა დაცული.

შეთქმულები ღრმა და სერიოზული განათლების მქონე ადამიანები იყვნენ. იმ დროისათვის საუკეთესო განათლება ჰქონდათ მიღებული რუსეთში მცხოვრებ ქართველ ბატონიშვილებს. შეთქმულთა აბსოლუტური უმრავლესობა დიდი ტრადიციების მქონე ქართულ არისტოკრატიულ ოჯახებში იყო აღზრდილი. მათთვის უცხო არ იყო დასავლური და რუსული კულტურა, მწერლობა და ხელოვნების სხვადასხვა დარგები, ფილოსოფიის, ისტორიის და სამართლის მეცნიერებათა მიღწევები. შეთქმულები კარგად იცნობდნენ დასავლეთ ევროპისა და რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების მიმდინარეობებს, მაგალითად, ფრანგულ განმანათლებლობას. რაც მთავარია, მათ შესანიშნავად ჰქონდათ გაანალიზებული საქართველოს წარსული და ბოლომდე აცნობიერებდნენ სამშობლოს წინაშე მდგარ დიდ საფრთხეს.

შეთქმულთა პროგრამიდან შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე საკითხი. ეს ის საკითხებია,

ალექსანდრე ორბელიანი

რომელთა შესახებ შეთქმულების მონაწილეებს სერიოზული მსჯელობა ჰქონდათ.

რუსეთის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლების გზები. შეთქმულებს ხანგრძლივი მსჯელობა ჰქონდათ რუსეთის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლების გზების შესახებ. შეთქმულთა ერთი ნაწილი, რომელთა აზრს გამოხატავდა გენერალი **ივანე აფხაზი**, თვლიდა, რომ ას წელზე ადრე არ შეიძლებოდა რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფის საკითხის დასმა. ასი წლის მანძილზე საქართველო გაძლიერდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ დადგებოდა დამოუკიდებლობის აღდგენის დრო. სხვანაირად საქართველო იქცეოდა სპარსეთისა და ოსმალეთის აგრესიის ობიექტად. შეთქმულთა მეორე ნაწილი, რომელთა აზრს **გრიგოლ ორბელიანი** გამოხატავდა, შესაძლებლად მიიჩნევდა რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას. მათი აზრით ქართველი ერი მზად იყო არა მარტო დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, არამედ მისი შენარჩუნებისათვისაც, კერძოდ, გარეშე მტრებისაგან ქვეყნის დაცვისათვის. შეთქმულთა მესამე ნაწილი, რომელთა აზრს **ალექსანდრე ორბელიანი** გამოხატავდა, მიიჩნევდა, რომ რუსეთის იმპერატორი უნდა დაერწმუნებინათ რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიური სამეფოს შექმნის კანონიერებასა და სარგებლიანობაში.

ამდენად, შეთქმულთა ერთი ნაწილი შეგუებული იყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას ძალზე შორეულ მომავალს უკავშირებდა. მეორე ნაწილი რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების მომხრე იყო და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა და შენარჩუნება რეალურად ესახებოდა. მესამე ნაწილი ფიქრობდა, რომ შესაძლებელი იყო მშვიდობიანი გზით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიური სამეფოს შექმნა.

სოლომონ დოდაშვილი

აჯანყების სოციალური ბაზა. შეთქმულთა აბსოლუტური უმრავლესობა **ქართულ არისტოკრატიას** ეკუთვნოდა. ცხადია, არისტოკრატიასა და გლეხობას შორის არსებობდა გარკვეული დაპირისპირება და წინააღმდეგობა, მაგრამ სამშობლოს მძიმე მდგომარეობა ქართველი ერის სხვადასხვა წოდებასა და სოციალურ ფენას ხშირად ერთი მიზნისათვის რაზმავდა. ასე მოხდა ამჯერადაც. რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების დაწყების შემთხვევაში შეთქმულებს განზრახული ჰქონდათ **გლეხობის** ჩაბმა აჯანყებაში. ფიქრობდნენ **ტფილისელი ხელოსნების** მიმხრობასაც.

მოკავშირის საკითხი. შეთქმულები, ცხადია, თავიდანვე ეძიებდნენ მოკავშირე ძალას. რუსეთის იმპერიის შიგნით ასეთ ძალად ისინი მიიჩნევდნენ **პოლონელებს**. 1830-1831 წლებში პოლონეთში რუსეთის წინააღმდეგ დიდი ეროვნული აჯანყება მიმდინარეობდა და ბუნებრივია, ქართველები პოლონეთის აჯანყების გამოყენებას ცდილობდნენ. შეთქმულები მოკავშირეს ხედავდნენ **ჩეჩნებსა** და **დაღესტნელებშიც**. XIX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს რუსეთის წინააღმდეგ აქაც დიდი მოძრაობა იყო გაჩაღებული.

სახელმწიფოთაგან შეთქმულებს საფრანგეთისა და ინგლისის დახმარების იმედი ჰქონდათ. ოსმალეთისა და სპარსეთის პოზიცია შეთქმულთათვის ცნობილი იყო – ეს ქვეყნები ვერ ურიგდებოდნენ რუსეთის გაბატონებას ამიერკავკასიაში. მიუხედავად ამისა, **ოსმალეთსა და სპარსეთზე შეთქმულები იმედს არ ამყარებდნენ. ეს განპირობებული იყო XIX საუკუნის დამდეგის ეროვნული აჯანყებების გამოცდილებით. არც სპარსეთმა და არც ოსმალეთმა რეალური დახმარება რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებულ ქართველ ერს არ აღმოუჩინა.** სპარსეთის ხელისუფლებისაგან რამდენჯერმე მწარედ მოტყუებული დარჩა ალექსანდრე ბატონიშვილი. გარდა ამისა, XIX საუკუნის პირველ მესამედში ოსმალეთმა და სპარსეთმა რუსეთთან წარმოებულ ომებში სერიოზული მარცხი იწვნიეს და ალიარეს რუსეთის გაბატონება ამიერკავკასიაში. **სპარსეთში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილთან კავშირი არ ნიშნავს იმას, რომ შეთქმულები სპარსეთის დახმარებაზე ამყარებდნენ იმედს.**

სახელმწიფო წყობილების საკითხი. საქართველოს მომავალი სახელმწიფო წყობილების განსაზღვრისას შეთქმულებში ერთსულოვნება არ ყოფილა. ძირითადად გამოიკვეთა სახელმწიფო წყობილების სამი ფორმა: **მონარქია, კონსტიტუციური მონარქია (შეზღუდული მონარქია)** და **რესპუბლიკა**.

მონარქიულ წყობილებას მხარს უჭერდნენ ძირითადად ბატონიშვილები. ცხადია, ისინი მიესწრაფოდნენ ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენას. ბატონიშვილებს თანაუგრძნობდა არისტოკრატიის (თავადების) ნაწილი. მონარქიის აღდგენის შემთხვევაში უნდა აღდგენილიყო ერთიანი ქართული სამეფოც.

კონსტიტუციური (შეზღუდული) მონარქია შეთქმულებს ასე ჰქონდათ წარმოდგენილი. უნდა შექმნილიყო **ორპალატიანი სეიმი მეფით სათავეში**. ამ შემთხვევაში ძალაუფლების გაყოფა ხდებოდა **მეფესა** და **სეიმს** შორის. თავდაპირველად სახელმწიფო წყობილების ამ ფორმამ მხარდაჭერა პოვა. შემდეგში შეთქმულებმა აზრი შეიცვალეს. სეიმის იდეა პოლონეთიდან იყო გადმოლებული, სადაც მეფის ხელისუფლება მემკვიდრეობით არ გადადიოდა, მეფეს სეიმი ირჩევდა. საქართველოში მეფის არჩევითობა, შეთქმულთა უმრავლესობის აზრით, დაუშვებელი იყო.

კონსტიტუციური მონარქიის მეორე პროექტის მიხედვით, რომელიც 1832 წელს



ელიზბარ ერისთავი

გიორგი ერისთავი

ელიზბარ და გიორგი ერისთავებმა შეიმუშავეს, უნდა ჩამოყალიბებულიყო ორპალატიანი პარლამენტი. ზედა პალატის თავმჯდომარედ იქნებოდა მეფე, ნევრები კი – მინისტრები. ქვედა პალატაში დეპუტატები იქნებოდნენ წარმოდგენილნი. მეფე-მონარქი ამ შემთხვევაში სამმკვიდრეო უფლებას ინარჩუნებდა.

რესპუბლიკური წყობილების მომხრე, უფრო ზუსტად, მონარქიული წყობილების მოწინააღმდეგე, იყო **სოლომონ დოდაშვილი.** კონკრეტულად სოლომონ დოდაშვილის პროექტის შესახებ არაფერია ცნობილი.

საქართველოს მომავალი სახელმწიფო წყობილების შესახებ 1831 წელს საინტერესო აზრი გამოუთქვამს **ელიზბარ ერისთავს.** მას საქართველოსათვის სანიმუშოდ მიუჩნევია შვეიცარიაში არსებული სახელმწიფო სისტემა.

სახელმწიფო წყობილების შესახებ უთანხმოების მიუხედავად უნდა ვივარაუდოთ, რომ შეთქმულთა უმრავლესობა 1832 წლის დასასრულისათვის **კონსტიტუციურ მონარქიას** უჭერდა მხარს. შეთქმულები მეფედ **ალექსანდრე ბატონიშვილის** მოწვევას გეგმავდნენ. შერჩეული იყო მინისტრთა კანდიდატებიც: **ალექსანდრე ჭავჭავაძე** (სამხედრო მინისტრი), **ნიკოლოზ ფალავანდიშვილი** (ფინანსთა მინისტრი), **კონსტანტინე მუხრანბატონი** (იუსტიციის მინისტრი), **იაგორ ჭილაშვილი** (შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრი) და სხვ. აღსანიშნავია, რომ გარდა ალექსანდრე ჭავჭავაძისა, მინისტრობის არც ერთმა კანდიდატმა შეთქმულების შესახებ არაფერი იცოდა.



ტფილისი. შეტების ციხე.

სავსებით არ იყო მოულოდნელი, რომ შეთქმულთა შორის ყველაზე ცოტა მომხრე რესპუბლიკურ წყობილებას აღმოაჩნდა. არც ისაა გასაკვირი, რომ მომხრეები ვერ შეიძინა შვეიცარიის მსგავსი სახელმწიფოს აგების ფორმამ. სახელმწიფო წყობილების ეს ფორმები შეთქმულთა გეგმის განხორციელების შემთხვევაში საქართველოში იმხანად ვერ დაინერგებოდა. სავსებით გასაგები იყო, რომ შეთქმულთა აბსოლუტური უმრავლესობა მონარქიასა და კონსტიტუციურ (შეზღუდულ) მონარქიას შორის ცდილობდა არჩევანის გაკეთებას. **მონარქიული წყობილების მხარდაჭერით შეთქმულების ტრადიციულ ქართულ სახელმწიფო წყობილებას უჭერდნენ მხარს.** მონარქიული წყობილების აღდგენა მათთვის პრაქტიკულად უფრო ადვილი იქნებოდა. **კონსტიტუციური (შეზღუდული) მონარქიის შექმნის იდეის წარმოშობა ქართული პოლიტიკური აზრის განვითარების მაჩვენებელი იყო.** იგი ძველი, ტრადიციული სახელმწიფო მმართველობისა და ახლის შერწყმის ცდად უნდა მივიჩნიოთ.

4. აჯანყების მომზადება და მარცხი. აჯანყების დაწყებისათვის შეთქმულები დროს საგანგებოდ არჩევდნენ. რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების ყველაზე მოხერხებულ დროდ პოლონეთის 1830-1831 წლების აჯანყება მიიჩნიეს. თუ რუსეთის წინააღმდეგ დაწყებული პოლონეთის აჯანყება წარმატებით განვითარდებოდა, შეთქმულებს შემდეგნაირად უნდა ემოქმედათ: უნდა მიემხროთ რუსეთის ჯარის ერთი პოლკი, კერძოდ, **ქართველ გრენადერთა პოლკი** და მისი საშუალებით ხელთ ეგდოთ ხაზინა. შეთქმულების მონაწილე ყველა თავადს თავისი ლაშქარი

უნდა გამოეყვანა. ეს ლაშქარი ორ ნაწილად უნდა გაეყოთ და **არსენალი** და **ციხე** დაეკავებინათ. ტფილისში წარმატების შემდეგ უნდა დაწყებულიყო აჯანყება მთელ საქართველოში. აჯანყებულებს ხელთ უნდა ეგდოთ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები და განეიარაღებინათ რუსეთის ჯარები. დახმარების მიღების მიზნით გათვალისწინებული იყო კავშირის დამყარება უცხო ქვეყნებთან. შეთქმულნი ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევდნენ ქართული რეგულარული არმიის შექმნას. ამ გეგმის განხორციელების დაწყება ჩაშალა 1831 წლის სექტემბრისათვის პოლონეთის აჯანყების დამარცხებამ. აჯანყებისათვის მზადება 1832 წელს გამოცოცხლდა. 1832 წელს რუსეთს მდგომარეობა გაურთულდა ჩრდილო კავკასიაში და საქართველოს მთავარმართებელი **როზენი** რუსეთის ჯარით იქ გაემგზავრა. ჩეჩნები და დაღესტნელები **ყაზი-მოლას** წინამძღოლობით მედგრად ებრძოდნენ რუსეთის ჯარებს. ტფილისიდან რუსეთის ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩრდილო კავკასიაში გაყვანა შეთქმულებმა აჯანყების დაწყებისათვის ხელსაყრელ მომენტად მიიჩნიეს. შეთქმულებს იმედი გაუცრუვდათ. რუსებმა ყაზი-მოლა დაამარცხეს და 1832 წლის 23 ნოემბერს რუსეთის ჯარების ძირითადი ნაწილი ტფილისში დაბრუნდა.

1832 წლის ნოემბერში შეთქმულებმა შეიმუშავეს ახალი გეგმა. ამ გეგმას **„პირველი ღამის განკარგულება"** უწოდეს. „პირველი ღამის განკარგულების" შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ **დავით ერისთავი, ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, გიორგი ერისთავი, იასე ფალავანდიშვილი** და სხვები. „პირველი ღამის განკარგულების" წერა დაიწყო 1832 წლის 10 ნოემბერს. შემდეგ იგი ივსებოდა და საბოლოო სახე მიიღო 23 ნოემბერს. „პირველი ღამის განკარგულება" ითვალისწინებდა შემდეგს: აჯანყებულებს უნდა დაეკავებინათ ციხე და განეიარაღებინათ ტფილისსა და მის გარეუბნებში მდგარი რუსეთის ჯარები. ამისათვის თავიანთი გლეხებისაგან სპეციალურ შეიარაღებულ რაზმებს ამზადებდნენ **ელიზბარ ერისთავი, დავით ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი თუმანიშვილი** და სხვები. მათვე უნდა დაეკავებინათ სურსათის საწყობები და სხვა სტრატეგიული ადგილები. შეთქმულებს განზრახული ჰქონდათ საქართველოში გადმოსახლებული პოლონელების (დაახლოებით 500 კაცი) გამოყენება, ასევე ტფილისელი ხელოსნების ჩაბმა აჯანყებაში. შეთქმულთა ერთ ნაწილს ევალებოდა ტფილისში, თათრის მოედანზე, ღვთისმშობლის ხატებით ხელში ხალხის გამოყვანა. აჯანყების გეგმა ითვალისწინებდა შეთქმულების მოწინააღმდეგეთა და მოღალატეთა მკაცრად დასჯას.

ცხადია „პირველი ღამის განკარგულებას" ჰქონდა სერიოზული ნაკლი. მათგან უმთავრესი ის იყო, რომ ტფილისში განლაგებული რუსეთის ჯარების განიარაღება და დამარცხება ადვილი საქმე არ იყო. შეთქმულებს ამის ძალები აშკარად არ გააჩნდათ. არც ხალხის ქუჩაში გამოყვანა იყო ადვილი.

შეთქმულებმა აჯანყების დაწყების დრო რამდენჯერმე შეცვალეს. განზრახული იყო აჯანყების დაწყება 1832 წლის 20 ნოემბერს. შეთქმულთა გეგმით ამ დღეს **ლუარსაბ ორბელიანის** სახლში უნდა გამართულიყო მეჯლისი, სადაც მოიწვევდნენ საქართველოს მთავარმართებელს, მაღალი რიგის სამხედრო და სამოქალაქო პირებს. ღამის პირველ საათზე დაიწყებოდა „პირველი ღამის განკარგულების" განხორციელება. უნდა დაეპატიმრებინათ ბანკეტზე მყოფი რუსი მოხელეები, რაც შეთქმულთა აზრით გააადვილებდა რუსეთის ჯარის განიარაღებას. მოგვიანებით აჯანყება 1832 წლის 6 დეკემბრისათვის დანიშნეს, მალე კი 20 დეკემბრისათვის გადადეს. აჯანყების გადადება ამ შემთხვევაში გამოიწვია იმან, რომ 6 დეკემბრისათვის დანიშნული ქართველი თავადაზნაურობის შეკრება ხელისუფლებამ 20 დეკემბრისათვის გადადო. 20 დეკემბრამდე შეთქმულებს აღარ დასცალდათ.

1832 წლის 9 დეკემბერს შეთქმულების ერთ-ერთმა აქტიურმა მონაწილემ თავადმა იესე ფალავანდიშვილმა შეთქმულები გასცა. შეთქმულების გაცემა შემდეგ ვითარებაში მოხდა. შეთქმულებმა თავად **იესე ფალავანდიშვილს** დაავალეს შეთქმულებაში ჩაება საკუთარი ძმა ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორი **ნიკოლოზ ფალავანდიშვილი.** იესე ფალავანდიშვილმა ძმას შეთქმულების შესახებ აცნობა და თანადგომა სთხოვა. მოულოდნელად ნიკოლოზ ფალავანდიშვილმა ძმას კატეგორიული ფორმით მოთხოვა თავადვე ეცნობებინა ხელისუფლებისათვის შეთქმულების შესახებ. ნიკოლოზ ფალავანდიშვილი ძმას არწმუნებდა, რომ შეთქმულების გაცემით იგი საკუთარ თავსაც გადარჩენდა და დალუპვისაგან იხსნიდან თავის თან-

ამოაბრეკს. ნინაღმდეგ შემთხვევაში ნიკოლოზი იესეს თვითმკვლელობით ემუქრებოდა. **იესე ფალავანდიშვილი ძმას დაემორჩილა და შეთქმულება** გასცა. როგორც ირკვევა, ხელისუფლებას შეთქმულების შესახებ უკვე ჰქონდა ცნობები. შეთქმულთა მიერ მიღებულმა კონსპირაციულმა ზომებმა ვერ უზრუნველყო საიდუმლო ორგანიზაციის აუცილებელი უსაფრთხოება. 1832 წლის ნოემბერ-დეკემბრისათვის შეთქმულების შესახებ უკვე ძალიან ბევრმა ადამიანმა იცოდა, რომელთა ნაწილის საიდუმლო ორგანიზაციაში მუშაობისათვის აუცილებელი არც ცოდნა და არც გამოცდილება არ ჰქონდა. მაგალითად, 1832 წლის დეკემბრის დამდეგს ბორჩალოში ხმა გავრცელდა, რომ შეთქმულებს კავშირი ჰქონდათ ალექსანდრე ბატონიშვილთან.

იესე ფალავანდიშვილის დასმენის შემდეგ ხელისუფლება შეთქმულთა დაპატიმრებას შეუდგა.

5. შეთქმულების მონაწილეთა დასჯა. შეთქმულების მონაწილეთა დაპატიმრება დაიწყო 1832 წლის 11 დეკემბერს. დაპატიმრებები მიმდინარეობდა 1832 წლის დეკემბერში, 1833 წლის იანვარში, თებერვალსა და მარტში. სხვადასხვა დროს დააპატიმრეს: **ალექსანდრე ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ რაზმაძე, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი, იესე ფალავანდიშვილი** და სხვები. გამოძიების შემდეგ გასამართლეს 38 კაცი. სულ კი გამოძიება 145 კაცით დაინტერესდა.

შეთქმულთა დაპატიმრებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ყველა ცდილობდა დაწვრილებით შეეტყო მომხდარის შესახებ. საქართველოს მთავარმართებელმა ბარონმა **როზენმა** გამოაქვეყნა **„მიმართვა ქართველი ხალხისადმი“**, რომელშიც იგი მოსახლეობას სიმშვიდისაკენ მოუწოდებდა.

შეთქმულების საქმის გამოძიება 1833 წლის სექტემბრამდე გაგრძელდა. საზოგადოება სასამართლოსაგან უმკაცრეს განაჩენს მოელოდა. მართლაც, სასამართლომ შეთქმულების აქტიურ მონაწილეებს სიკვდილით დასჯის განაჩენი

დიმიტრი ყიფიანი

გამოუტანა, მაგრამ რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა განაჩენი შეამსუბუქა – **სიკვდილით არავინ დაუსჯიათ.** შეთქმულების მონაწილენი სხვადასხვა ვადით გადაასახლეს რუსეთის იმპერიის გუბერნიებსა და მხარეებში. გადასახლებულთა შორის იყვნენ: **ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი, სოლომონ რაზმაძე** და სხვები. რუსეთის იმპერატორმა ასეთი გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ მას სურდა ჰუმანური ჟესტით ქართული საზოგადოების გული მოეგო. იმპერატორი ვარაუდობდა, რომ ამ გზით ქართულ არისტოკრატიაში რუსეთისადმი ლოიალურ განწყობილებას გააძლიერებდა და მას რუსეთის ბატონობასთან შეგუებისაკენ უბიძგებდა. **მართლაც ქართული არისტოკრატიის ნაწილი ნელ-ნელა შეეგუა რუსეთის ბატონობას და ხელი აიღო თავისთავადობისათვის ბრძოლაზე.** თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არანაირი დათმობებით რუსეთის საიმპერატორო კარს არ შეეძლო ქართული ეროვნული მოძრაობის ლიკვიდაცია. ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა.

1832 წლის შეთქმულებამ ნარუშლელი კვალი დატოვა ეროვნული მოძრაობისა და მთლიანად საქართველოს ისტორიაში. შეთქმულება იყო იმის დამადასტურებელი, რომ ქართველი ერის ასიმილაციის, საქართველოს რუსეთის განუყოფელ ნაწილად გადაქცევის მისწრაფებას განხორციელება არ ენერა. ამავე დროს, 1832 წლის შეთქმულება გახდა სტიმულის მიმცემი შემდგომი ეპოქის დიდი ეროვნული მოძრაობისათვის.

თავი V.

საქართველო XIX საუკუნის 30-50-იან წლებში

§ 1. ეკონომიკის განვითარება

XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დამდეგისათვის ქართული სამეფო-სამთავროების ეკონომიკა გაჩანაგებული იყო. გამუდმებულმა ომებმა დასცა სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის დონე.

მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა. ვითარება სასიკეთოდ არ შეცვლილა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ. რუსეთის მიერ სპარსეთისა და რუსეთ-ოსმალეთის ომებმა კიდევ უფრო დასცა საქართველოს ეკონომიკის დონე, ომებში ქართველთა საკმაოდ დიდი რაოდენობა დაიღუპა. ეკონომიკის განვითარებაზე უარყოფითი გავლენა იქონია XIX საუკუნის დამდეგის ეროვნულმა აჯანყებებმა. რუსებმა მინასთან გაასწორეს მრავალი სოფელი, უთანასწორო ბრძოლაში მრავალი აჯანყებული დაიღუპა.

საქართველოს ეკონომიკაში გარკვეული ძვრები მხოლოდ XIX საუკუნის 30-იან წლების დამდეგიდან შეინიშნება. თუმცა ყირიმის ომის (1853-1856 წწ.) დროს კვლავ სერიოზული ზიანი მიადგა საქართველოს ეკონომიკას: საბრძოლო მოქმედებების გამო გაჩანაგდა აფხაზეთი, სამეგრელო, გურია და კახეთისა და იმერეთის ნაწილი.



მეტეხის ტაძარი და ციხე.

1. სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობის აღმავლობას მნიშვნელოვანნილად შეუწყო ხელი მოსახლეობის ზრდამ. მაგალითად, ტფილისის გუბერნიის მოსახლეობა 1811 წელთან შედარებით 1861 წლისათვის 3,5-ჯერ გაიზარდა. ამავე პერიოდისათვის შედარებით ნაკლები იყო მოსახლეობის ზრდის ტემპი დასავლეთ საქართველოში. ცოტა მოგვიანებით კი მუჰაჯირობის გამო დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

XIX საუკუნის 30-50-იან წლებში სოფლის მეურნეობის განვითარებაზე მეტყველებს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში პურის ნათესების ზრდა. შესაბამისად იზრდებოდა ხორბლის მოსავალიც. მართალია, ხორბალი გაჰქონდათ კიდეც, მაგრამ მოწეული მოსავლის უდიდესი ნაწილი საქართველოშივე მოიხმარებოდა. ხორბლის ექსპორტს გარკვეულწილად აფერხებდა ის, რომ პურს მოსახლეობიდან დიდი რაოდენობით ყიდულობდა რუსეთის ჯარების საინტენდანტო სამსახური.

დასავლეთ საქართველოში **ლომთან** ერთად სულ უფრო დიდ ადგილს იჭერს **სიმინდის** ნათესები. სიმინდი იმდენად დიდი რაოდენობით მოჰყავდათ, რომ მას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საექსპორტო პროდუქციაში. სიმინდის ექსპორტი შესაძლებელი გახდა იმიტომაც, რომ რუსეთის ჯარში მას საკვებად არ იყენებდნენ და საინტენდანტო სამსახური დაინტერესებული არ იყო მისი შესყიდვით.

ეკონომიკის აღმავლობაზე მეტყველებს **მევენახეობა-მეღვინეობის** ზრდა. ეს განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად კახეთში, შეინიშნებოდა. **ღვინო** ძირითადად საშინაო ბაზარზე გადიოდა. მისი მომხმარებელი უმთავრესად ქალაქის, კერძოდ, ტფილისის მოსახლეობა იყო.

საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა **მეაბრეშუმეობას**. იგი განვითარებული იყო როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. აბრეშუმი მოიხმარებოდა ქვეყ-



ტფილისი

ნის შიგნით, მისი დიდი ნაწილი საქართველოს ფარგლებს გარეთ გადიოდა.

XIX საუკუნის 40-50-იანი წლებიდან საგრძნობლად დაწინაურდა **მეთამბაქოეობა**. საქართველოში მოწეული თამბაქო ძირითადად რუსეთის ქარხნებში იგზავნებოდა გადასამუშავებლად.

XIX საუკუნის 30-50-იან წლებში დასავლეთ საქართველოში მისდევდნენ **მებამბეობას**, თუმცა მას დიდი მასშტაბები არ მიუღია.

საქართველოში, განსაკუთრებით ქართლში, იგრძნობა **მებაღეობა-მეხილეობის** აღმავლობა. ხილის ძირითადი მომხმარებელი ტფილისი იყო.

საქართველოს მთიანი რაიონების მოსახლეობა მისდევდა **მესაქონლეობას**, ძირითადად, **მეძროხეობასა** და **მეცხვარეობას**. მესაქონლეობის პროდუქციის ძირითადი მომხმარებელი საშინაო ბაზარი იყო.

2. მრეწველობა. ხელოსნობა ვითარდებოდა როგორც სოფლად, ისე ქალაქად. სოფლად ყმა გლეხი ხელოსნები მუშაობდნენ როგორც საკუთარ ოჯახში, ისე მებატონის მამულში. ქალაქად ხელოსნები გაერთიანებულნი იყვნენ **ამქრებში**. ქალაქის ხელოსნების მეორე ნაწილი ამქრებში არ ყოფილა გაერთიანებული და დამოუკიდებელ სამენარმეო საქმიანობას მისდევდა.

ხელოსნური წარმოების ცენტრი იყო **ტფილისი**. 1865 წლისათვის ტფილისში იყო 76 ამქარი, რომელიც 3 ათასზე მეტ კაცს (ოსტატს, მუშას, ქარგალს) აერთიანებდა. 1859 წლიდან ტფილისის ყველა ხელოსანი (ადგილობრივი თუ მოსული) დაექვემდებარა **ტფილისის საქალაქო მმართველობას**. ამით დაიწყო ამქრების დამოუკიდებლობის შეზღუდვა. ტფილისელ ხელოსანთა შორის იყვნენ: **მეტყავეები, მეაგურეები, მჭედლები, დურგლები, ოქრომჭედლები, მეთუნეები, მეუნაგირეები, მკალავები, ზეინკლე-**



ტფილისის ამქრების ყრილობა

ფაფახებით მოვაჭრის დუქანი

ბი, ხარაზები, თერძები, ხაბაზები, დალაქები, ფეიქრები და სხვ. ტფილისის შემდეგ ხელოსნობის ცენტრებს წარმოადგენდნენ **ქუთაისი, გორი, თელავი.**

XIX საუკუნის დამდეგს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ქალაქებსა და სოფლებში არსებობდა **აგურის, კრამიტის, თიხის ჭურჭლის, კირის გამოსაწვავი, სახერხი, საპნის, ტყავის, არყის, ზეთსახდელის, სამღებრო** და სხვა სანარმოები. ამ სანარმოებში („ქარხნებში") ოსტატებისა და მუშების საკმაო რაოდენობა იყო დასაქმებული. საქართველოში შედარებით მსხვილი საწარმოების აღმოცენება იწყება XIX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან.

ოქრომჭედლის დუქანი

საქართველოში მსხვილი საწარმოების დაარსების საქმე მთლიანად რუსეთის ხელში იყო და მისი ზრდის ტემპებსაც ხელოვნურად აწესრიგებდნენ.

პირველი შედარებით მსხვილი საწარმო – **აბრეშუმსახვევი და საძახავი „ფაბრიკა"** – ტფილისში რუსეთის ხაზინის დახმარებით 1828 წელს დააარსა ფრანგმა ვაჭარმა **კასტელმა**. კასტელის სიკვდილის შემდეგ საწარმო მთლიანად რუსეთის ხაზინის საკუთრებად იქცა. კასტელის საწარმოში ადგილობრივი დაქირავებული მუშების გარდა მუშაობდნენ სამხედრო ტყვეები (თურქები) და რუსეთიდან ჩამოყვანილი პატიმარი ქალები. საწარმოს პროდუქციის ნაწილი ადგილზევე მოიხმარებოდა, ნაწილი რუსეთში იგზავნებოდა.

უფრო მოგვიანებით, XIX საუკუნის 50-60-იან წლებში, დასავლეთ საქართველოში არსებობდა რამდენიმე **აბრეშუმსახვევი** საწარმო. ამ საწარმოთაგან აღსანიშნავია უცხოელთა მიერ დაარსებული „ფაბრიკები": **რაიზმორდიუკისა** ზუგდიდში და **გოხშტრაზერისა** – ორპირში. წარმოებას უცხოელი სპეციალისტები ხელმძღვანელობდნენ, მუშებად ადგილობრივ მოსახლეობას იყენებდნენ. აბრეშუმსახვევი საწარმოების მუშაობა ძალზე შეაფერხა ყირიმის ომმა.

XIX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულსა და 40-იან წლებში დაარსებული საწარმოებიდან აღსანიშნავია **თელავში** ადგილობრივ ვაჭარ **შავერდოვის** მიერ გახსნილი ბამბის „ფაბრიკა", **ანყურის** მახლობლად მოქმედი **ზავილუკის** მინის „ქარხანა", გორის მაზრის სოფელ **ღვარევში** თავად **ერისთავების** მიერ დაარსებული მინის „ქარხანა". XIX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს ტფილისში დაარსდა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მსხვილი საწარმო **ზუბალაშვილის** შაქრის „ქარხანა". XIX საუკუნის 30-50-იან წლებში ადგილობრივმა ვაჭრებმა და უცხოელებმა ტფილისსა და მის მიდამოებში დააარსეს **ტყავის, მაუდის,** აევჯისა და სხვა „ფაბრიკები", ასევე ლითონჩამომსხმელი და მექანიკური „ქარხნები".

საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა **სამთამადნო** წარმოებას, კერძოდ, **ალავერდისა** და **შამბლულის** სპილენძის საწარმოებს. ეს საწარმოები ერეკლე II-მ დააარსა და თავდაპირველად მსხვილ სახელმწიფო მანუფაქტურას წარმოადგენდა. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ალავერდისა

და შამბლულის სანარმოები სახელმწიფო ხაზინის ხელში გადავიდა და ნერილი (კუსტარული) სანარმოს სახე მიიღო.

ზემოთ ხსენებული სანარმოები („ფაბრიკები" და „ქარხნები") ნარმოადგენდნენ მთლიანად ხელით შრომაზე დამყარებულ ტიპურ **მანუფაქტურებს**. თუმცა იყო შემთხვევები გამწვევი პირუტყვის (ცხენის) და წყლის ენერგიის გამოყენებისა. აქა-იქ ორთქლის ძრავის გამოყენება მიგვანიშნებდა **მანუფაქტურიდან ფაბრიკაზე** გარდამავალი პერიოდის დაწყებაზე. თუმცა ეს პროცესი მხოლოდ ჩანასახოვან სტადიაში იმყოფებოდა და საქართველოში არსებითად მანუფაქტურული წარმოება ბატონობდა.

ტფილისის ნერილ ვაჭრები

3. ვაჭრობა. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის პირველი ხანებიდან რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა, საქართველოში განლაგებული რუსეთის მრავალრიცხოვანი არმია ადგილობრივი სურსათ-სანოვაგით დაეკმაყოფილებინა. ამის გამო **რუსეთის სავაჭრო პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ საქართველოში ვაჭრობის მონოპოლია სახელმწიფოს ჩაეგდო ხელში და უზრუნველეყო მისი ნორმალური განვითარება.** ვაჭრობის ხელში ჩაგდება რუსეთს პოლიტიკური მიზნების განხორციელებაშიც დაეხმარებოდა.

საქართველოში ვაჭრობის განვითარებას აფერხებდა მრავალრიცხოვანი შინაგანი საბაჟოები. 1807 წლიდან რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო შინაგანი საბაჟოების გაუქმება. XIX



ტფილისი. ნარიყალა.

საუკუნის 40-იანი წლების დამდეგისათვის მოხერხდა ყველა შინაგანი ბაჟის გაუქმება, რამაც კეთილისმყოფელი გავლენა იქონია ვაჭრობაზე.

XIX საუკუნის 10-იანი წლებისათვის საქართველოს საგარეო ვაჭრობა კვლავ უპირატესად **სპარსეთთან** და **ოსმალეთთან** წარმოებდა. სპარსეთიდან, ოსმალეთიდან, ასევე აზიის სხვა ქვეყნებიდან საქართველოში შემოჰქონდათ: **აბრეშუმი, ბამბა, სხვა ქსოვილები, შაქარი, ყავა, ფოლადი, ტყვია.**

XIX საუკუნის პირველი მეოთხედისათვის ხდება რუსეთსა და აზიის ქვეყნებს შორის ვაჭრობის გაფართოება, რაც ამიერკავკასიას გარკვეულ **სატრანზიტო** ფუნქციას ანიჭებდა. ეს პროცესი სწრაფი ტემპით ვერ ვითარდებოდა, **რადგან რუსეთის ბურჟუაზია შინაგანი ბაზრის დიდი მოცულობის გამო ჯერჯერობით არ ითხოვდა არც შუა აზიის ქვეყნებისა და არც ამიერკავკასიის ბაზრების დაცვას უცხოური საქონლის კონკურენციისაგან.** ამ დროისათვის რუსეთის ბურჟუაზიას საკუთარი ბაზრებიც კი არ ჰქონდა ათვისებული. მომდევნო პერიოდში ვითარება იცვლება.

საქართველოში დამკვიდრების შემდეგ რუსეთის უმაღლეს პოლიტიკურ და ფინანსურ წრეებში გამოიკვეთა ახალი პოლიტიკა – **რუსეთი უნდა ჩაბმულიყო ევროპასა და აზიასთან ვაჭრობაში.** იგი უნდა გამხდარიყო ერთადერთი საშუამავლო ქვეყანა ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობაში. ამიერკავკასიის დაპყრობა რუსეთს ამ თვალსაზრისით დიდ უპირატესობას აძლევდა. რუსეთს მიეცა შესაძლებლობა ხელთ ეგდო **შავი ზღვიდან კასპიის ზღვისაკენ** მიმავალი სავაჭრო გზა და ამით სერიოზული დარტყმა მიეყენებინა მისი მთავარი კონკურენტის – ინგლისისათვის. ამიერკავკასიის სატრანსპორტო გზის გამოცოცხლების მიზნით რუსეთი რადიკალურ ღონისძიებებსაც კი არ ერიდებოდა. 1822 წლიდან ამიერკავკასიაში ათი წლის ვადით ამოქმედდა **შელავათიანი სავაჭრო ტარიფი.** ევროპიდან შემოტანილ საქონელზე დაწესდა ბაჟი, რომელიც საქონლის ღირებულების 5%-ს უდრიდა. დაბალი საბაჟო გადასახადით რუსეთი გეგმავდა, ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობა წარემართა ამიერკავკასიის გავლით, ოდესა-ყულევი-ტფილისი-ბაქოს გზით.

შელავათიანმა საბაჟო ტარიფმა, შედეგი გამოიღო. 1824 წელს ტფილისელი ვაჭრები პირველად გამოჩდნენ გერმანიაში, ლაიპციგის იარმარკაზე. შელავათიანი საბაჟო ტარიფის მოქმედების პერიოდში ტფილისის საბაჟოში **ევროპიდან** შემოდიოდა: **ატლასი, ფარჩა, მაუდი, ჩითი, შაქარი, ძვირფასი ღვინოები, ჭურჭელი.** მრავალრიცხოვანი საქონელი შემოჰქონდათ **სპარსეთიდან** (ბამბა, ოქროქსოვილები, შალი, ხალიჩები, ქეჩა, აბრეშუმი, ბეწვეული, მარილი და სხვ.) და **ოსმალეთიდან** (ფოლადი, თამბაქო, მარილი და სხვ.). შელავათიანი ტარიფის მოქმედების პერიოდში არაჩვეულებრივად გამოცოცხლდა ტფილისი. იგი ვაჭრობის მნიშვნელოვან ცენტრად იქცა. ტფილისში გაიხსნა კომერციული ცენტრები და მაღაზიები.

1832 წელს ამიერკავკასიაში შელავათიანი საბაჟო ტარიფი გაუქმდა. **ახალი საბაჟო პოლიტიკის მიზანი იყო რუსული საქონლის დაცვა უცხოური (ევროპული) საქონლის კონკურენციისაგან.** სწორედ ამიტომ ევროპიდან შემოტანილი საქონელი მისი ღირებულების 25-50%-ით იბეგრებოდა. **ახალი საბაჟო პოლიტიკა არაეფექტური გამოდგა.** ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობა ამიერიდან **ყულევ-ტფილისი-ბაქოს** გზის სანაცვლოდ **ტრაპიზონ-ერზრუმის** გზით წარმოებდა. რუსულ საქონელს სპარსეთსა და ოსმალეთში კვლავ დიდ კონკურენციას უწევდა ევროპული საქონელი. ტფილისელ ვაჭრებს ევროპული საქონელი სპარსეთში ტრაპიზონ-არზრუმის გზით შემოჰქონდათ და დიდ მოგებასაც იღებდნენ. ტფილისში ვაჭრობა ჩაკვდა.

შელავათიანი საბაჟო ტარიფის გაუქმებისთანავე ამიერკავკასიაში ყოველწლიურად მატულობდა **კონტრაბანდული** საქონლის შემოტანა. რუსეთის საბაჟო სისტემა კონტრაბანდასთან ბრძოლაში უძლური აღმოჩნდა. გარდა ამისა საბაჟო გადასახადის თავიდან აცილების მიზნით ვაჭრებს ინგლისური საქონელი სპარსეთული მარკით შემოჰქონდათ, რადგან სპარსეთული საქონელი კვლავ ღირებულების 5%-ით იბეგრებოდა. ინგლისურ საქონელს კი რუსული საქონელი კონკურენციას ვერ უწევდა.

ახალი საბაჟო პოლიტიკით რუსეთმა დიდი ზარალი ნახა. **ამიერკავკასიის ბაზარი რუსული საქონლისათვის ფაქტიურად ჩაკეტილი აღმოჩნდა.** ამიერკავკასია აივსო უცხოური კონტრაბანდული საქონლით. კონტრაბანდული

ქუთაისი

საქონლის მოძალების გამო თითქმის მთლიანად შეწყდა რუსეთ-სპარსეთის ვაჭრობა.

რუსეთის ხელისუფლება არ აპირებდა ამერკავკასიაში საბაჟო პოლიტიკის შეცვლას. მართალია კავკასიის მეფისნაცვლის **მიხეილ ვორონცოვის** ცდამ ამერკავკასიაში შელავათიანი საბაჟო ტარიფი აღედგინა შედეგი ვერ გამოიღო, მაგრამ 1846 წელს ევროპულ საქონელზე ბაჟი ოდნავ შემცირდა. ბაჟის უმნიშვნელო შემცირებამ, ცხადია, ამერკავკასიის სატრანზიტო გზას ძველი მდგომარეობა ვერ დაუბრუნა.

XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისიდან ამერკავკასიაში და, კერძოდ საქართველოში იმატა რუსეთიდან შემოტანილმა საქონელმა. რუსეთიდან შემოდიოდა: **ბამბის, სელის, შალის** და **აბრეშუმის** ნაწარმი, **რკინა** და **რკინის** ნაწარმი, **ფაიფურის ჭურჭელი, შაქარი, ფქვილი** და სხვ. ტფილისის ბაზარზე ვაჭრობდნენ ევროპიდან და აზიიდან შემოტანილი საქონლითაც. ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე რუსეთს საშუალებას არ აძლევდა მთლიანად დაპატრონებოდა საქართველოს ბაზარს.

შინაგანი საბაჟოების გაუქმებამ ხელი შეუწყო საშინაო ვაჭრობის გამოცოცხლებას. საქართველოს საშინაო ვაჭრობის საგანს უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და შინამრეწველობის საქონელი შეადგენდა. როგორც საგარეო ურთიერთობის, ისე ვაჭრობის ცენტრს **ტფილისი** წარმოადგენდა. ყოველკვირეული და ყოველწლიური ბაზრობები იმართებოდა დასავლეთ საქართველოს ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში: **ქუთაისში, ხონში, ჩხარში, საჩხერეში (იმერეთი), ონში (რაჭა), დეკაბზუში, ნაგომარში (გურია), სენაკში (სამეგრელო)**. აღმოსავლეთ საქართველოში ბაზრობები იმართებოდა **გორში, თელავში, სიღნაღში.**

საშინაო ვაჭრობას საქართველოში იმდენად დიდი გაქანება არ მიულია, რომ საქალაქო ცხოვრების აღმავლობა გამოეწვია. მაგალითად, **ტფილისში** საქალაქო ცხოვრებამ აღა-მაჰმადხანის შემოსევის (1795 წ.) წინა პერიოდში არსებულ დონეს მხოლოდ XIX საუკუნის 40-იან წლებში მიაღწია. საქალაქო ცხოვრება ჩამკვდარი იყო **ქუთაისშიც**. XIX საუკუნის 20-30-იან წლებში აღმავლობას განიცდის შავი ზღვის სანაპიროზე მდინარე ხობის შესართავთან მდებარე ნავსადგომი **ყულევი (რედუტ-კალე)**.

მართალია, XIX საუკუნის 30-50-იან წლებში საქართველოს ეკონომიკა გარკვეულწილად გამოცოცხლდა, მაგრამ სერიოზულ აღმავლობას ადგილი არ ჰქონია.

§ 2. სოციალური წყობა

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ცვლილებები განიცადა **ტრადიციულმა ქართულმა სოციალურმა წყობამ**. რუსეთის საიმპერატორო კარი ცდილობდა საქართველოში ისეთივე სოციალური წყობა დაემკვიდრებინა, როგორიც რუსეთში არსებობდა.

XVIII საუკუნის დასასრულისთვის ქართული სამეფო-სამთავროების სოციალური წყობა ასეთი იყო: **არისტოკრატია** (ფეოდალური წოდება) ორ ფენად იყოფოდა **თავადებად** და **აზნაურებად**. ამასთან, აზნაური შეიძლება ყოფილიყო **მეფის (ტახტის), თავადის** და **ეკლესიის** კუთვნილება. გლეხობა რამდენიმე კატეგორიად იყოფოდა: **სამეფო გლეხები, საბატონო (თავადებისა და აზნაურების) გლეხები** და **საეკლესიო გლეხები**. ტრადიციულად საქართველოში თავადსა და აზნაურს შორის დიდი განსხვავება იყო. გარდა იმისა, რომ თავადთა წოდება აზნაურთა წოდებისაგან განსხვავებით ეკონომიკურად გაცილებით ძლიერი იყო, აზნაურთა ნაწილს თავადები ფლობდნენ როგორც საკუთრებას მათი გლეხებითურთ. თავადებს მეფის კარზე

ყარაჩოელები

ეკავათ ისეთი უმნიშვნელოვანესი სამოხელეო თანამდებობები, რომელთა დაკავება აზნაურებს ტრადიციით არ შეეძლოთ. სხვა ვითარება იყო რუსეთში. პეტრე I-ის დროიდან მოყოლებული რუსეთის არისტოკრატია (ფეოდალური წოდება) უფლებრივად (და არ ქონებრივად) გათანაბრებული იყო და მას **„დვორიანსტვო“ („Äâîðÿíñòâî “)** ეწოდებოდა. რუსეთის საიმპერატორო კარმა XIX საუკუნის 20-30-იან წლებში გამოიკვლია ქართველი თავადებისა და აზნაურების **უფლებრივი მდგომარეობა და ეს ორი წოდება** ერთ წოდებად – **თავადაზნაურებად („Äâîðÿíñòâî “)** გაერთიანა. თავადისა და აზნაურის **უფლებრივი** გაერთიანება არ შეხებია მათ **ეკონომიკურ** მდგომარეობას, სამაგიეროდ, საქართველოს გუბერნიებსა და მაზრებში შექმნილ **თავადაზნაურობის საკრებულოებში** თავადები და აზნაურები თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ.

რუსეთისაგან განსხვავებით თავისებურებებით ხასიათდებოდა **ქართული ბატონყმური ურთიერთობა.** საქართველოში ე. წ. **დაბალი სამღვდელოება** (ე. ი. ცოლშვილიანი მღვდლები და არა ბერები) თავადებს და ზოგ შემთხვევაში აზნაურებსაც ყმებად ჰყავდათ. ყმა მღვდლები ღვთისმსახურების გარდა ყმურ მოვალეობასაც იხდიდნენ. 1808 წელს ქართლისა და კახეთის სამღვდელოება განთავისუფლდა ბატონყმური მოვალეობისაგან. იგივე კანონი იმერეთსა და გურიაში გატარდა 1835 წელს.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებასთან დაკავშირებით 1811 წელს ქართლისა და კახეთის **საეკლესიო აზნაურები** გლეხებითურთ გადაირიცხნენ **სახაზინო (სახელმწიფო)** უწყებაში, რითაც საეკლესიო აზნაურები უფლებრივი მდგომარეობით გაუთანაბრდნენ ტახტის (მეფის) აზნაურებს. იმერეთსა და გურიაში საეკლესიო აზნაურები სახაზინო (სახელმწიფო) უწყებაში 1835 წელს გადარიცხეს.

თავადებისა და აზნაურების უფლებრივი გათანაბრების შემდეგ, ცხადია, **აღარ შეიძლებოდა აზნაურის თავადის მფლობელობაში** დარჩენა. 1833 წელს თავადების კუთვნილებაში მყოფი აზნაურები განთავისუფლდნენ ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან. ეს კანონი არ შეხებია იმერეთისა და გურიის სათავადო აზნაურებს. ისინი ბატონყმობის გაუქმებამდე დარჩნენ სათავადო აზნაურებად.

საქართველოში ყმები ჰყავდათ არა მარტო **თავადებსა** და **აზნაურებს**, არამედ **შეძლებულ მოქალაქეებსაც** (ე. წ. გლეხის გლეხი). 1832 წლის კანონით, ყმის ყოლის უფლება ჰქონდათ მხოლოდ თავადებსა და აზნაურებს (თავადაზნაურობას). ეს კანონი არ გავრცელებულა იმერეთზე.

რუსეთის ხელისუფლებამ სხვა ცვლილებებიც შეიტანა ქართულ ბატონყმურ ურთიერთობებში. 1836 წლის კანონით საქართველოში ყოველ **გლეხს შეეძლო სასამართლოს წესით მიეღო თავისუფლება,** თუ მებატონეს არ გააჩნდა კანონიერი საბუთი მისი ფლობის შესახებ.

ტრადიციული ქართული სოციალური წყობის შეცვლით რუსეთი საქართველოში აძლიერებდა იმ სოციალურ დასაყრდენს, რომელიც მას არ გააჩნდა XIX საუკუნის დამდეგს.

§ 3. საქართველოს ისტორიული ტერიტორიების (ჭარ-ბელაქანი, სამცხე-ჯავახეთი) დედასამშობლოში დაბრუნება

1. საქართველო რუსეთ-სპარსეთის 1804-1813 წლებისა და რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლების ომების პერიოდში. ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობამ რუსეთს საშუალება მისცა მოემზადებინა ამიერკავკასიის სხვა ტერიტორიების დაპყრობა. 1802 წლის ბოლოს საქართველოს მთავარსარდალმა გენერალმა **პავლე ციციანოვმა** მოლაპარაკება დაიწყო **ბაქოს, დერბენტის, ყუმის, თალიშის, განჯის**

ხანებთან და **დაღესტნის მმართველებთან.** ყველა მათგანმა დაადასტურა „**მტკიცე, უეჭველი და მუდმივი მშვიდობა რუსეთის მფარველობით**". ასეთი ფორმულირება სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ეს სახანოები რუსეთის მფლობელობაში გადადიოდა. შემდგომში ხანების ნაწილი იცავდა 1802 წელს დადებულ პირობას, ნაწილი კი სპარსეთზე დაყრდნობით ეწინააღმდეგებოდა რუსეთის დამკვიდრებას. 1802 წელს **ყუბის** და **თალიშის ხანები** რუსეთის ქვეშევრდომები გახდნენ. **განჯის ხანმა** უარი განაცხადა რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღებაზე. ამის საპასუხოდ 1804 წელს **პავლე ციციანოვმა** განჯის სახანოს ტერიტორია დაიპყრო. ცხადია, რუსეთის მოქმედებამ ოსმალეთისა და სპარსეთის უკმაყოფილება გამოიწვია. ამ ქვეყნებს აქტიურად უჭერდა მხარს ინგლისი, რომელიც ასევე შეშფოთებული იყო რუსეთის დამკვიდრებით ამიერკავკასიაში.

1804 წლის ივნისში ინგლისის მხარდაჭერით იმედმოცემულმა სპარსეთის შაჰმა რუსეთთან ომი დაიწყო. სპარსეთის ჯარები **აღმოსავლეთ სომხეთის** გავლით ცდილობდნენ **ტფილისისაკენ გაჭრას.** რუსეთს ამიერკავკასიაში იმხანად დიდი სამხედრო ძალა არ ჰყავდა. მიუხედავად ამისა, **პავლე ციციანოვმა** თავდაცვას შეტევა არჩია და **ერევნის** მიმართულებით გაილაშქრა. რუსებმა **ეჩმიაძინთან** სპარსეთის ჯარები დაამარცხეს და **ერევანს** შემოარტყეს ალყა. პავლე ციციანოვის მდგომარეობას ართულებდა 1804 წლის ზაფხულში ქართლის მთიანეთში (არაგვის ხეობაში) დაწყებული დიდი ანტირუსული აჯანყება. არაგვის ხეობაზე გამავალი სამხედრო გზით ჯარების გადაყვანა და მომარაგება გაძნელდა. აჯანყების გაფართოების შიშით პავლე ციციანოვმა ერევანს ალყა მოხსნა და უკან დაიხია. ქართლის მთიანეთის აჯანყების ჩახშობისა და სამხედრო გზაზე წესრიგის აღდგენის შემდეგ 1805 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში პავლე ციციანოვმა კვლავ შეუტია **ერევანს**, მაგრამ, ამჯერადაც უშედეგოდ. სამაგიეროდ, რუსეთის ჯარებმა უკუაგდეს სპარსეთის ტახტის მემკვიდრის **აბას-მირზას** შეტევა, რომელიც **ტფილისის** დაკავებას ისახავდა მიზნად. იმავდროულად გააქტიურდა საბრძოლო მოქმედებები **ჩრდილოეთ აზერბაიჯანში.** 1805 წელს რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა **ყარაბაღის, შაქისა** და **შირვანის სახანოები.** 1806 წელს ბაქოში ქალაქის სიმბოლური გასაღების გადაცემის ცერემონიალის დროს ღალატით მოკლეს გენერალი **პავლე ციციანოვი.** მთავარსარდლად გენერალი ივანე გუდოვიჩი დაინიშნა.

ანყურის ციხე

1806 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი. ამიერკავკასიაში განლაგებულ რუსეთის ჯარებს უკვე ორ ფრონტზე (სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ) უხდებოდა ბრძოლა. ამას თან ერთვოდა რუსეთის არმიის მარცხი **აუსტერლიცთან** (1805 წლის ნოემბერი), რამაც ძალზე გაართულა სამხედრო-პოლიტიკური ვითარება ევროპაში. რუსეთის ჯარების ნაწილი (დუნაის არმია) ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად იყო გამიზნული. რუსეთის ევროპული ნაწილიდან ამიერკავკასიაში დიდი რაოდენობით ჯარების გადმოსროლა შეუძლებელი იყო. ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიაში განლაგებულ რუსეთის არმიას დიდ დახმარებას უწევდა ქართველებისა და სომხების **სახალხო ლაშქარი.**

რუსეთ-ოსმალეთი **ომის პირველ ეტაპზე (1806-1807 წწ.)** ოსმალეთის სარდლობა **ყარსიდან ტფილისის** მიმართულებით აპირებდა გაჭრას. 1807 წლის ივნისში გენერალ **ივანე გუდოვიჩის** სარდლობით რუსეთის ჯარებმა მდინარე **არპაჩაიზე** თურქები დაამარცხა და აიძულა შეტევა შეწყვიტათ. თურქების დამარცხების შემდეგ 1808 წლის ოქტომბერში გენერალმა ივანე გუდოვიჩმა სპარსელების წინააღმდეგ გაილაშქრა და **ერევნის** აღება სცადა, მაგრამ წარუმატებლად. ერევანთან განცდილი მარცხის შემდეგ ივანე გუდოვიჩის ნაცვლად კავკასიის მთავარსარდლად (მთავარმართე-

ბლად) გენერალი **ალექსანდრე ტორმასოვი** დაინიშნა.

ომის მეორე ეტაპზე (1809 წლის ნოემბერი – 1810 წლის ივლისი) რუსეთის ჯარებმა აიღეს **ფოთი, სოხუმი** და **ანაპა.**

ომის მესამე ეტაპზე (1810 წლის აგვისტო – 1812 წლის ივნისი) ინგლისის შუამავლობით სპარსეთის შაჰი და ოსმალეთის სულთანი შეთანხმდნენ რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებაზე. ინგლისის მთავრობამ ოსმალეთსა და სპარსეთს დიდი დახმარება აღმოუჩინა შეიარაღებისა და საბრძოლო აღჭურვილობის სახით. სპარსეთ-ოსმალეთის გაერთიანებულ ჯარს საქართველოდან უნდა განედევნა რუსები. მაგრამ რუსეთის სარდლობამ დასწრო. 1810 წლის სექტემბერში კავკასიის ახალმა მთავარსარდალმა გენერალმა **პაულიჩმა** სპარსელთა და თურქთა გაერთიანებული ჯარები სასტიკად დაამარცხა **ახალქალაქთან.** 1811 წელს რუსებმა ახალქალაქი აიღეს.

სპარსეთმა ძალების მობილიზაცია მოახდინა და 1812 წელს **აბას-მირზას** სარდლობით **ყარაბაღში** შეიჭრა. რუსეთის ჯარებმა მდინარე **არაქსზე ასლანდუზის** ახლოს სპარსელები დაამარცხეს. ამ ბრძოლის შემდეგ რუსეთისა და სპარსეთის ჯარებს შორის მნიშვნელოვანი ბრძოლები აღარ მომხდარა.

რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლების ომი 1812 წლის მაისში **ბუქარესტის ზავით** დამთავრდა. ბუქარესტის ზავი შეეხო ამიერკავკასიასაც. **ოსმალეთმა ცნო ქართლ-კახეთის სამეფოს, იმერეთის, გურიის, აფხაზეთის, სამეგრელოს სამთავროების გადასვლა რუსეთის მფლობელობაში.** რუსეთს გადაეცა სოხუმი და მდინარე ხობის შესართავში მდებარე **რედუტ-კალე.** ამრიგად, რუსეთმა მიიღო შავი ზღვის სანაპირო **სოხუმიდან რედუტ-კალემდე.** ოსმალეთს დაუბრუნდა ომის დროს რუსეთის ჯარების მიერ დაკავებული **ანაპა, ფოთი** და **ახალქალაქი.**

რუსეთის მიერ ნაპოლეონის არმიის განადგურებით შეშინებული სპარსეთი იძულებული გახდა, ზავი დაედო რუსეთთან. ზავი 1813 წლის ოქტომბერში დაიდო **გიულისტანში.** გიულისტანის ზავით **ჭარ-ბელაქანი (საინგილო) რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა.** იმხანად, რუსეთმა ჭარ-ბელაქანში ჯარების შეყვანა ვერ მოახერხა, რის გამოც იქ რუსული



არტანუჯი

მმართველობა არ დამყარებულა. **სპარსეთმა ცნო როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს გადასვლა რუსეთის მფლობელობაში.** გიულისტანის ზავით რუსეთის მფლობელობაში გადავიდა **ყარაბაღის, განჯის, შაქის, შირვანის, დერბენტის, თალიშის, ყუბის, ბაქოს სახანოები** და **დაღესტანი.** კასპიის ზღვაზე რუსეთის გარდა არც ერთ სახელმწიფოს არ ჰქონდა **სამხედრო ფლოტის** ყოლის უფლება.

ამრიგად, რუსეთ-სპარსეთის 1804-1813 წლებისა და რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლების ომებში გამარჯვებამ რუსეთს საშუალება მისცა მტკიცედ დამკვიდრებულიყო ამიერკავკასიაში.

2. რუსეთ-სპარსეთის 1826-1828 წლების ომი და ჭარ-ბელაქნის (საინგილოს) შემოერთება. ინგლისისაგან წაქეზებულმა სპარსეთმა 1826 წლის ზაფხულში რუსეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო. 1826 წლის ივლის-აგვისტო სპარსეთის ჯარების წარმატებული ბრძოლებით აღინიშნა. სპარსეთის 60-ათასიანი ჯარი აზერბაიჯანში

ჯავახეთი. კუმურდოს ტაძარი (X ს.).

ახალქალაქი

შეიჭრა და **ყარაბაღი** და **განჯა** დაიკავა. სპარსელები მიადგნენ **ბაქოს**. იმავდროულად სპარსელებმა საქართველოს საზღვრებისაკენ შეძლეს გაჭრა და საფრთხე შეუქმნეს **ტფილისს**.

რუსეთის ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა ქართველი ერის ანტისპარსეთული განწყობილება. ქართველები მასიურად გავიდნენ სახალხო ლაშქარში. ომში აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის ჯარებში მყოფი ქართველი გენერლები და ოფიცრები: **გენერალ-ლეიტენანტი გიორგი იესეს ძე ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი, ზურაბ ანდრონიკაშვილი** და სხვები.

საქართველოს მთავარმართებელმა გრაფმა **ივანე პასკევიჩმა** შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. რუსებმა სპარსეთის ჯარების შემოტევა შეაჩერეს, 1826 წლის სექტემბერში კი შეტევაზე გადავიდნენ და **შამქორთან** სასტიკად დაამარცხეს სპარსელები. ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქართველებმა. 1826 წლის ბოლოსათვის რუსებმა სპარსელებს მთელი **ჩრდილო აზერბაიჯანი** დაატოვებინეს.

1827 წელსაც რუსეთის ჯარებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს. 1827 წლის ოქტომბერში რუსებმა ქალაქი ერევანი აიღეს. სპარსელებმა დატოვეს **აღმოსავლეთი სომხეთი**. ერევნისათვის ბრძოლებში 600 ქართველი მეომარი

გრიგოლ ორბელიანი

მონაწილეობდა. 1827 წლის ოქტომბერში გენერალ **გიორგი ერისთავის** სარდლობით რუსებმა სამხრეთ აზერბაიჯანის ცენტრალური ქალაქი თავრიზი აიღეს. თავრიზის აღებისათვის გენერალი გიორგი ერისთავი იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა ალექსანდრე ნეველის ორდენით დააჯილდოვა.

რუსების მიერ თავრიზის დაკავებამ შეაშფოთა სპარსეთის შაჰი. სპარსეთმა ზავი ითხოვა. 1828 წლის თებერვალში **თურქმანჩაიში** (ქალაქ თავრიზის ახლოს) დაიდო ზავი რუსეთსა და სპარსეთს შორის. **თურქმანჩაის ზავით რუსეთმა შემოიერთა ერევნისა და ნახიჩევანის სახანოები.** კასპიის ზღვაზე სამხედრო ფლოტი მხოლოდ რუსეთს შეიძლებოდა ჰყოლოდა. სპარსეთს რუსეთის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა კონტრიბუცია.

საინგილო. ალიბეგლოს ეკლესია.

სპარსეთის დამარცხების შემდეგ რუსეთს საშუალება მიეცა, გადაეჭრა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ჭარ-ბელაქანის (საინგილოს) შემოერთების საკითხი. 1826 წელს რუსეთ-სპარსეთის ომის დაწყებისთანავე ჭარ-ბელაქანის მოსახლეობა, მათ შორის ქართველი მაჰმადიანები (ინგილოები), სპარსეთის მხარეზე დადგნენ და ომში რუსეთის დამარცხებას მიესწრაფოდნენ. **თურქმანჩაის ზავმა დაადასტურა გიულისტანის ზავის პირობა ჭარ-ბელაქანის (საინგილოს) რუსეთის მფლობელობაში გადასვლის შესახებ.** სპარსეთის დამარცხების შემდეგ რუსეთის ჯარებმა 1830 წელს ხანგრძლივი ბრძოლებით ჭარ-ბელაქანი დაიპყრეს და იქ რუსული მმართველობა დაამყარეს. იმავე 1830 წელს ჭარ-ბელაქანში

რუსეთის წინააღმდეგ დიდმა აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი მაჰმადიანებიც. რუსებმა აჯანყება სისხლში ჩაახშვეს.

ჭარ-ბელაქანის ტერიტორია რუსებმა ცალკე ოლქად გამოყვეს. მოგვიანებით ჭარ-ბელაქანის ოლქი და კიდევ ზოგიერთი სხვა ტერიტორია (ენისელის სასულთნო) **ზაქათალის ოკრუგში** გაერთიანეს და ტფილისის გუბერნიას დაუქვემდებარეს.



სოხუმი

3. რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომი და სამცხე-ჯავახეთის შემოერთება. რუსეთ-სპარსეთის ომისაგან განსხვავებით რუსეთ-ოსმალეთის ომი მხოლოდ ამიერკავკასიაში არსებული დაპირისპირების შედეგი არ იყო. რუსეთი და ოსმალეთი ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ამ პერიოდისათვის საბერძნეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, სერბია და საერთოდ, მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძული ოსმალეთს ჰქონდა დაპყრობილი. რუსეთი სარგებლობდა ბალკანეთის ქრისტიანი მოსახლეობის მხარდაჭერით და ცდილობდა ოსმალეთის შევიწროვებას ბალკანეთზე. ცხადია, ოსმალეთის განდევნა ბალკანეთიდან სურდათ დასავლეთ ევროპის ქვეყნებსაც (ინგლისს, საფრანგეთს, ავსტრიას), მაგრამ მათ აშინებდათ რუსეთის მოსალოდნელი გაბატონება ამ რეგიონში. მის გამო ოსმალეთის, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების დაპირისპირება ბალკანეთში ძალზე მწვავე და ხანგრძლივი იყო. ამ დაპირისპირებას აძლიერებდა რუსეთისა და ოსმალეთის ინტერესების შეჯახება ამიერკავკასიაში. ეს დაპირისპირება ვერ გადაჭრა რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლების ომმა. გარდაუვალი გახდა რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი.

1828 წლის აპრილში რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. საბრძოლო მოქმედებები დაიწყო 1828 წლის მაისში **ბალკანეთის ნახევარკუნძულზე**. რუსეთის სარდლობა სწორედ აქ გეგმავდა მთავარ სამხედრო ოპერაციებს. **კავკასიის ფრონტზე** ბრძოლებს უნდა შეემსუბუქებინა რუსეთის ჯარების მდგომარეობა ბალკანეთზე.

რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომი ისე დაიწყო, რომ არც რუსეთი და არც ოსმალეთი ომისათვის სერიოზულად არ მომზადებულა. რუსეთის დუნაის არმიას ხანგრძლივი ომის ნარმოებისათვის საჭირო სურსათი, ტანსაცმელი და საბრძოლო საჭურველი არ გააჩნდა. მიუხედავად ამისა, რუსეთის არმია საბრძოლო თვისებებით და საომარი განწყობილებით გაცილებით მაღლა იდგა ოსმალეთის არმიაზე – რუს ჯარისკაცებს და ოფიცრებს, რუსეთის გენერალიტეტს თურქები ტოლს ვერ დაუდებდნენ.

რუსი სამხედროებისა და პოლიტიკოსების აზრით, როგორც კი რუსეთის არმია მდინარე დუნაის გადალახავდა, ოსმალეთი იძულებული გახდებოდა, ზავი ეთხოვა. ეს პროგნოზი არ გამართლდა. რუსეთის 100 ათასიანმა არმიამ **პეტრე ვიტგენშტეინის** სარდლობით გადალახა მდინარე **პრუტი** და **მოლდოვას სამთავროს** ტერიტორიაზე შევიდა. შემდეგ რუსებმა დაიკავეს **იასი** და **ბუქარესტი**. ოსმალეთის არმიის წინააღმდეგობა სულ უფრო იზრდებოდა. 1829 წლის გაზაფხულისათვის რუსეთის არმიამ ხელთ იგდო ძლიერი ციხე-სიმაგრეები – **შუმლა** და **სილისტრია**.

ომში აქტიურად ჩაება რუსეთის სამხედრო ფლოტიც. **ბალტიის ესკადრამ** დარდანელის სრუტის ბლოკირება მოახდინა, ხოლო **შავი ზღვის სამხედრო ფლოტმა** აქტიური მონაწილეობა მიიღო ბულგარეთის სანაპიროზე ქალაქ **ვარნის** აღებისათვის ბრძოლებში. შავი ზღვის სამხედრო ფლოტმა შებოჭა ოსმალეთის სამხედრო ფლოტის მოქმედება შავ ზღვაზე.

1829 წლის ზაფხულში რუსეთის არმიამ გადალახა ბალკანეთის მთები და 1829 წლის 8 აგვისტოს უბრძოლველად შევიდა **ადრიანოპოლში**. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე განლაგებული თურქების არმია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ივანე პასკევიჩი

კავკასიის ფრონტზე საომარი მოქმედებები დაიწყო 1828 წლის ივნისში. ომში რუსეთის მხარეზე იბრძოდა **ქართული სახალხო ლაშქარი**. ომში მონაწილეობდნენ რუსეთის ჯარში მყოფი ქართველი გენერლები და ოფიცრები.

საქართველოს მთავარმართებელმა გრაფმა **ივანე პასკევიჩმა** უნარიანად წარმართა საბრძოლო მოქმედებები.

1828 წლის 23 ივნისს რუსეთის ჯარებმა აიღეს ციხე-ქალაქი **ყარსი**, ხოლო 15 ივლისს – **ფოთი**. ბრძოლები მიმდინარეობდა **ახალციხის** მიმართულებით. 24 ივლისს რუსებმა აიღეს **ახალქალაქი**. 16 აგვისტოს ქართული სახალხო ლაშქრის აქტიური მონაწილეობით დიდი ბრძოლების შემდეგ ალებულ იქნა **ახალციხე**. ახალციხისათვის ბრძოლაში ბევრი ქართველი დაილუპა. რუსებმა დაიკავეს **არტაანიც**. 1828 წლის 28 აგვისტოს რუსეთის ჯარებმა **ალექსანდრე ჭავჭავაძის** სარდლობით დაიპყრეს **ბაიაზეთის საფაშო**. სამწუხაროდ, რუსეთის სარდლობამ **არტანუჯის** მიმართულებით შეტევა აღარ განავითარა და არტანუჯის აღების შანსი ხელიდან გაუშვა.

ფოთის დაკავების შემდეგ რუსეთის ჯარებმა და ქართულმა სახალხო ლაშქარმა 1828 წელსვე შეტევა დაიწყო **ქობულეთ-ბათუმის** მიმართულებით.

1828 წელს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე რუსეთისა და ოსმალეთის ჯარებს შორის ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა. 1828 წელს კავკასიის ფრონტზე მოპოვებული წარმატებები რუსეთის სარდლობას დიდ შეღავათს აძლევდა ბალკანეთზე – თურქები იძულებულნი იყვნენ კავკასიის ფრონტზე მნიშვნელოვანი ძალები დაეტოვებინათ.

1829 წლის დამდეგიდან რუსეთს კავკასიის ფრონტზე მდგომარეობა გაურთულდა. 1829 წელს **თეირანში** მომხდარი აჯანყების დროს მოკლეს რუსეთის ელჩი სპარსეთში, ცნობილი პოეტი **ალექსანდრე გრიბოედოვი**. მართალია, რუსეთმა შესძლო სპარსეთთან ურთიერთობის მოგვარება, მაგრამ შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს თურქებმა და 1829 წლის თებერვალში ალყა შემოარტყეს **ახალციხეს**. ოსმალეთმა ქობულეთში დიდ ძალებს მოუყარა თავი. შეიქმნა **გურიაში** ოსმალეთის ჯარების შეჭრის საშიშროება. გურიაში დაიწყო სახალხო ლაშქრის შეკრება. 1829 წლის 5 მარტს ქობულეთის ახლოს, **ლიმანთან** და **კინტრიშთან**, რუსეთის ჯარებმა და გურიის სახალხო ლაშქარმა დაამარცხეს თურქები. 1829 წლის 6 აგვისტოს თურქები სასტიკად დამარცხდნენ **მუხაესტატესთან**. ამ ბრძოლაში ისევ გამოიჩინა თავი გურიის სახალხო ლაშქარმა.

ყარსის, ბაიაზეთისა და ახალციხის საფაშოების დაკავების შემდეგ 1829 წლის ზაფხულში რუსეთის ჯარებმა შეტევა დაიწყეს და 27 ივნისს **არზრუმი** დაიკავეს. რამდენიმე წარმატებული ბრძოლის შემდეგ რუსებმა სამხრეთიდან **ტრაპეზუნდის** ბლოკირება მოახდინეს. სამაგიეროდ, 1829 წლის სექტემბერში მარცხი განიცადეს **ქობულეთიდან ბათუმის** მიმართულებით შეტევაზე



სტამბოლი



ხერთვისი

გადასულმა რუსეთის ჯარებმა. რუსებმა დიდი მსხვერპლის მიუხედავად **ციხისძირის** ალება ვერ შესძლეს.

ბალკანეთისა და კავკასიის ფრონტებზე რუსეთის არმიის წარმატებებმა აიძულა **ავსტრია**, საერთაშორისო კონგრესის მოწვევის ინიციატივით გამოსულიყო. სულთანი შიშობდა, რომ სანამ ევროპის ქვეყნები რაიმეს მოიმოქმედებდნენ, რუსეთის არმია **სტამბოლს** დაიკავებდა. ამიტომ ოსმალეთი საზღვაო მოლაპარაკებას დასთანხმდა. ზავი ხელს აძლევდა რუსეთსაც. 1829 წლის სექტემბერში **ადრიანოპოლში** რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება. **ადრიანოპოლის ზავით რუსეთმა მიიღო შავი ზღვის სანაპირო მდინარე რიონის შესართავიდან მდინარე ყუბანის შესართავამდე, ასევე თავისუფალი ნაოსნობის უფლება შავ ზღვაზე.** რუსეთს მიენიჭა ბოსფორის სრუტის გამოყენების უფლება. ზავის თანახმად, რუსეთის მფლობელობაში გადავიდა ქალაქები: **ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი, ასევე ასპინძა, აწყური, ხერთვისი, ქვაბლიანი, აბასთუმანი** და **ჭაჭარაქი**. ოსმალეთს დაუბრუნდა ომის დროს რუსეთის ჯარების მიერ დაკავებული: **ყარსი, ბაიაზეთი, არზრუმი.**

ამრიგად, რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის შედეგად რუსეთმა შეიერთა სამცხე-ჯავახეთის ნაწილი და განმტკიცდა შავი ზღვის მთელ სანაპიროზე მდინარე რიონის შესართავიდან მდინარე ყუბანის შესართავამდე.

ომის შედეგად შემოერთებული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიისაგან რუსებმა **ახალციხის** ოლქი შექმნეს. მოგვიანებით ეს ტერიტორია ტფილისის გუბერნიაში გაერთიანდა **ახალციხისა** და **ახალქალაქის** მაზრების სახით.

***

რუსეთ-სპარსეთის 1826-1828 წლებისა და რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომებში გამარჯვებით რუსეთმა სპარსეთსა და ოსმალეთს ამიერკავკასიიდან ფეხი ამოაკვეთინა. **რუსეთის გეოპოლიტიკური მისწრაფებანი რეალობად იქცა.** იმპერიას მახლობელ აღმოსავლეთში პოზიციების მოპოვების რეალური შანსი გაუჩნდა. ცხადია, სპარსეთთან და ოსმალეთთან დაპირისპირებული რუსეთი ქართველი ერის, საქართველოს კეთილდღეობაზე სულაც არ

ზრუნავდა, მაგრამ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დედასამშობლოში დაბრუნებით რუსეთმა ობიექტურად ხელი შეუწყო ქართველი ერის გამთლიანებას, მის კონსოლიდაციას.

§ 4. კავკასიისა და საქართველოს კოლონიური მმართველობის რეორგანიზაცია

XIX საუკუნის დამდეგს დამყარებული რუსული მმართველობის სისტემა 40 წლის მანძილზე მოქმედებდა საქართველოსა და კავკასიაში. არსებული სისტემისადმი უარყოფითი დამოკიდებულება და შეურიგებლობა არაერთხელ გამოხატა ქართველმა ერმა XIX საუკუნის პირველ მეოთხედში მომხდარი აჯანყებებით. მმართველობის უვარგისობას გრძნობდა აგრეთვე კავკასიის რუსული ადმინისტრაციისა და საიმპერიო ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთი ნაწილიც. 1829 წელს კავკასიის მთავარმართებელი **ივანე პასკევიჩი** აღიარებდა, რომ მხარის მმართველობის გარეგნული მოწესრიგებულობა მხოლოდ ფარავდა დიდი ხნის დამკვიდრებულ **უნესრიგობასა** და **ბოროტებას.**

კავკასიის მმართველობის სისტემის რეორგანიზაციის აუცილებლობის საკითხმა განსაკუთრებით წამოიწია წინ რუსეთ-სპარსეთისა (1826-1828 წწ.) და რუსეთ-ოსმალეთის (1828-1829 წწ.) ომების შემდეგ. ამ ომებმა დაასრულეს ამიერკავკასიის რუსეთის იმპერიასთან შერწყმის პირველი პერიოდი. იმპერიის ხელისუფლების წინაშე დადგა კავკასიის რუსეთის სახელმწიფოსთან **სრული ინტეგრაციის** საკითხი, რომელიც უნდა უზრუნველეყო მმართველობის ახალ სისტემას.

მმართველობის რეორგანიზაციის პრობლემებს XIX საუკუნის 30-იან წლებში რამდენიმე პროექტი მიეძღვნა. პროექტების ერთი ნაწილი უფრო მეტად ითვალისწინებდა კავკასიის ადგილობრივი ხალხების ინტერესებს, მათ ზნე-ჩვეულებებს, მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღორძინების პერსპექტივას. ასეთ პროექტთა რიცხვს მიეკუთვნებოდა **ალექსანდრე ჭავჭავაძის** მიერ რუსეთის იმპერატორისადმი წარდგენილი დოკუმენტი **„საქართველოს და მისი მდგომარეობის მოკლე ისტორიული ნარკვევი 1801 წლიდან 1831 წლამდე“.** საყურადღებო იყო **ალექსანდრე გრიბოედოვისა** და **პეტრე ზავილეისკის** მიერ ივანე პასკევიჩისადმი წარდგენილი პროექტიც. მართალია აღნიშნული პროექტები უშუალოდ კავკასიის მმართველობის რეორგანიზაციის პრობლემებისადმი არ იყო მიძღვნილი, მაგრამ ისინი მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საკითხებს განიხილავდნენ და წესით გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული რეორგანიზაციის დროს. მიუხედავად ამისა ეს პროექტები არავის გაუთვალისწინებია.

პროექტების მეორე ნაწილი ითვალისწინებდა რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების ყოველმხრივ განმტკიცებას და **ამიერკავკასიის სრულ ინტეგრაციას** რუსეთის სახელმწიფოსთან. ამ პროექტების ავტორებიც აღიარებდნენ არსებული მმართველობის სისტემის უვარგისობას, ბიუროკრატიულ აპარატში გამეფებულ კორუფციას, მოსახლეობის მძიმე მდგომარეობას, ჩინოვნიკების თავაშვებულობას და ა. შ. მათი აზრით ყველაფერს მხოლოდ მაშინ ეშველებოდა, როცა ამიერკავკასიაში ამოქმედდებოდა იმ კანონმდებლობა და მმართველობის სისტემა, რომელიც რუსეთის სახელმწიფოში არსებობდა. ამგვარი აზრით იყო გაჟღენთილი ის მიმართვები, მოხსენებები, პროექტები, რომლებსაც ადგენდნენ კავკასიის მთავარმართებლები, იმპერატორის მიერ წარმოგზავნილი სენატორი-რევიზორები, გუბერნატორები და სხვა უმაღლესი რანგის მოხელეები.

გრაფი ივანე პასკევიჩი კავკასიის რუსული მმართველობის უმთავრეს ნაკლად მასში ადგილობრივი ელემენტის მონაწილეობას მიიჩნევდა. 1830-1831 წლებში საქართველოში სარევიზიოდ ჩამოსული სენატორები **პ. ქუთაისოვი** და **ე. მეჩნიკოვი** საგანგებოდ აღნიშნავდნენ მსხვილ და წვრილ ჩინოვნიკთა ალვირახსნილობას. მხარის მმართველობის არცერთ

ალექსანდრე ჭაჭაეაძე

რგოლში არ იყო „კანონის მიერ განსაზღვრული წესრიგიც კი". „ჩვენს მიერ შეგროვილი მასალები, – მოახსენებდნენ სენატორები მთავრობას, – ნათლად გვიჩვენებენ, რომ ბოროტმოქმედება და უწესრიგობა საქართველოს მმართველობაში ყოველგვარ ზღვარს სცილდება".

1837 წელს იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა კავკასიაში მოავლინა თავისი ნდობით აღჭურვილი კურლანდიელი ბარონი, სენატორი **პავლე განი.** სენატორს ევალებოდა შეემუშავებინა კავკასიის მმართველობის რეორგანიზაციის პროექტი, რომელიც მოახდენდა ადგილობრივი ბიუროკრატიული სისტემის სრულ **ცენტრალიზაციას** და რუსიფიკაციას. სენატორმა პავლე განმა შეიმუშავა კავკასიის მმართველობის რეორგანიზაციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა გრაფ პასკევიჩის, სენატორების ე. ქუთაისოვისა და პ. მეჩნიკოვის ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს.

სენატორ პავლე განის პროექტი საფუძვლად დაედო 1840 წლის 10 აპრილის კანონს, რომელიც ცვლიდა კავკასიის მმართველობის სისტემას. კანონი სამი დოკუმენტისაგან შედგებოდა და შეეხებოდა სამ სფეროს: **ამიერკავკასიის მმართველობას, საქალაქო საზოგადოებრივ მმართველობას და საერობო საბეგრო სისტემას.**

პირველი დოკუმენტის თანახმად, რომლის სახელწოდება იყო: **„უზენაესად დამტკიცებული დებულება ამიერკავკასიის მმართველობისათვის"**, – ამიერკავკასია ორ ადმინისტრაციულ ერთეულად იყოფოდა: საქართველო-იმერეთის გუბერნიად და **კასპიის ოლქად.** საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შედიოდა: **ტფილისის, გორის, თელავის, გურჯაანის, ქუთაისის, ელიზავეტოპოლის, ალექსანდროპოლის, ერევნის, ნახჭევანის, ახალციხისა** და **გურიის** მაზრები.

მმართველობა **სამსაფეხურიანი** იყო: **მთავარი,** რომელიც მთელი კავკასიის მასშტაბით მოქმედებდა: საგუბერნიო (საოლქო) და **სამაზრო.** მთავარ სამმართველოში შედიოდა: **მთავარმართებელი, სამხედრო გუბერნატორი** და მთავარმმართებლის საბჭო. მთავარმართებელი კავკასიის უმაღლესი პირი იყო, იგი თავმჯდომარეობდა **მთავარმმართველის საბჭოს** და **კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის სარდლად** ითვლებოდა. კავკასიის მთავარმართებელი ფაქტობრივად რუსეთის შიდა გუბერნიების გენერალ-გუბერნატორებთან იყო გათანაბრებული.

რუსეთის შიდა გუბერნიების გენერალ-გუბერნატორებთან შედარებით კავკასიის მთავარმართებელს დამატებითი უფლებამოსილებაც გაჩნდა. მას შეეძლო ზოგიერთი გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიეღო, თუმცა სათანადო ახსნა-განმარტება უნდა წარედგინა ცენტრალური ხელისუფლების სათანადო უწყებისათვის (სამინისტროსათვის).

კავკასიის მთავარმართებლის მოადგილედ **ტფილისის სამხედრო გუბერნატორი** ითვლებოდა, რომელიც მთავარმართებლის არყოფნის შემთხვევაში მხარეს განაგებდა. მთავარმართებლის საბჭოში შედიოდნენ **მთავარმართებელი, სამხედრო გუბერნატორი** და **ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული წევრები.** საბჭო თვალყურს ადევნებდა ყველა ქვემდებარე საგუბერნიო და სამაზრო ინსტანციების საქმიანობას, მართლმსაჯულების აღსრულებას და სხვ.

მმართველობის მეორე საფეხურს **საგუბერნიო მმართველობა** წარმოადგენდა. სა-



გრიგოლ როზენი



ტფილისის ქალაქის მმართველობის შენობა

ქართველო-იმერეთის გუბერნიისა და კასპიის ოლქის მმართველობის სათავეში **სამოქალაქო გუბერნატორები** იდგნენ. საქართველო-იმერეთის გუბერნიის მმართველობა შემდეგ დეპარტამენტებად იყოფოდა: **სახაზინო პალატა, სახელმწიფო ქონებათა პალატა, სისხლის სამართლის პალატა** და **სამოქალაქო სამართლის პალატა, თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულო** და სხვ.

მმართველობის ყველაზე დაბალ საფეხურად **სამაზრო სამმართველო** ითვლებოდა. მასში შედიოდნენ: მაზრის უფროსი, მისი **თანაშემწეები, უბნის მსაჯული, საქალაქო პოლიცია, ხაზინდარი, სასამართლოს წარმომადგენლები** და პროკურორი.

1840 წლის 10 აპრილის კანონით ტფილისში ამოქმედდა დებულება საქალაქო მმართველობის ახალი სისტემის შესახებ შეიქმნა **„საზოგადოებრივი საქალაქო მმართველობა“**, რომელშიც შედიოდა **ქალაქის თავი** და **ექვსი ხმოსანი.** ქალაქისთავს ტფილისის მთელი მოსახლეობა ირჩევდა. ორ-ორ ხმოსანს ირჩევდნენ სამი წოდების წარმომადგენლები: **უძრავი ქონების მფლობელები, ვაჭრები** და **ხელოსნები.** ირჩევდნენ აგრეთვე **სახაზინო გადასახადებისა და ბეგარის გამანაწილებელი კომიტეტის** წევრებს და გადასახადის ექვს ამკრეფს, სულ 36 კაცს. ქალაქის მმართველობის ფუნქციებში შედიოდა შემდეგი სფეროები: ქალაქის კეთილმოწყობა; მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემები სურსათ-საწოვაგით და სამრეწველო საქონლით; მეურნეობის განვითარება; მოქალაქეთა ქონებისა და ხაზინის საკუთრების დაცვა; სახელმწიფო გადასახადების აკრეფა და სხვ.

დებულების თანახმად იქმნებოდა **საგუბერნიო და სამაზრო საერობო საბეგრო კომიტეტები.** კომიტეტების მოვალეობას შეადგენდა: საერობო, სამოქალაქო და სამხედრო ბეგარების ხარჯთაღრიცხვის შედგენა; გადასახადების განაწილება მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის; ფულადი შემოსავლების აღრიცხვა. შეიქმნა აგრეთვე **სახელმწიფო ქონებათა პალატა,** რომლის ამოცანა იყო სახაზინო გადასახადების აკრეფა. პალატა მიწებით უზრუნველყოფდა რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადასახლებულ კოლონისტებს.

მმართველობის სისტემის რეორგანიზაციის უმთავრესი მიზანი იყო **რუსეთის იმპერიის პოზიციების განმტკიცება კავკასიაში.** რეორგანიზაციის შედეგად ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოებიდან სრულიად განიდევნა **ქართული და სხვა ადგილობრივი ენები, ადგილობრივი კანონები, სახელმწიფო და ადგილობრივი მართვის აპარატიდან სრულიად განდევნეს ქართველი და სხვა ეროვნების მოხელეები, ადმინისტრაციული აპარატი დააკომპლექტეს რუსი ჩინოვნიკებით. მოხდა კავკასიის მაქსიმალური რუსიფიკაცია და ბიუროკრატიზაცია.**

„ეს უკვე დასრულებული ნაგებობაა“ – მოახსენებდა იმპერატორს საკუთარი მისიის აღსრულებით კმაყოფილი სენატორი პავლე განი. იგი დარწმუნებული იყო, რომ რუსული კანონების სრული დანერგვა კავკასიაში უზრუნველყოფდა „ხალხის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებას, მის სიმდიდრეს და განათლებას“, ხოლო ამ დიდებული პერსპექტივის დამსახურებას პირმოთნე სენატორი მიაწერდა იმპერატორის „გენიას და ნებას“. ამის შემდეგ, პავლე განი, არც თავის დამ-



ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა

დარბაზი, სადაც 1850 წელს დაიდგა გ. ერისთავის სპექტაკლი „გაყრა"

სახურებას ივინყებდა და ნიკოლოზ I-ის წინაშე თავს იწონებდა: „მე ვტოვებ მხარეს სრულ წესრიგში და სიმშვიდეში; მოხელეები მუყაითად და გულმოდგინედ შრომობენ; დამნაშავეობა შესამჩნევად მცირდება; ბეგარას და გადასახადებს იხდიან და ბედნიერი ვარ დავარწმუნო თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობა, რომ ახალი წყობა სრულიად შეესაბამება ხალხის მოთხოვნებს".

1840 წლის 10 აპრილის კანონის ძალით გატარებული რეორგანიზაციით გამოწვეული უკმაყოფილება იმდენად საყოველთაო იყო, რომ ნიკოლოზ I-მა 1842 წელს ტფილისში საგანგებოდ მოაელინა მაღალჩინოსანი მოხელეები **პოზენი** და სამხედრო მინისტრი **ჩერნიშოვი.** პოზენმა დაადასტურა უკმაყოფილების მთავარი მიზეზი: **კავკასიაში მმართველობის რეორგანიზაცია გატარდა ადგილობრივი ხალხების ცხოვრების პირობების, ადათ-წესებისა და მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლად. მმართველობის მაღალ და დაბალ ინსტანციებში კვლავინდებურად მეფობს კორუფცია, ფორმალიზმი** და ა. შ.

ხელისუფლება მივიდა დასკვნამდე, რომ საჭირო იყო გარკვეული დათმობა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება. ამ მიზნით რამდენიმე კომპრომისული ხასიათის განკარგულებაც მიიღეს. მაზრის სამმართველოებს უფლება მიანიჭეს დამოუკიდებლად მიეღოთ საბოლოო გადაწყვეტილება იმ საქმეებზე, რომელთა ღირებულება არ აღემატებოდა 200 მანეთს. ამასთან, გადაწყვიტეს აღედგინათ **ქართული ზეპირი მართლმსაჯულება** და რიგი საქმეებისა განხილულიყო ადგილობრივი ადათ-ჩვეულებების საფუძველზე.

არსებული მდგომარეობიდან მთავარი გამოსავალი იმპერიის ხელისუფლებამ კავკასიის ადმინისტრაციული მმართველობის უფლების გაფართოებაში დაინახა. 1844 წელს **მთავარმართებლის** თანამდებობის მაგიერ დაწესდა **კავკასიის მეფისნაცვლის** თანამდებობა. მეფისნაცვალი ადგილობრივი მმართველობის წარმართვაში თითქმის შეუზღუდველი უფლებამოსილებით აღჭურვეს. კავკასიის პირველი პირი პასუხს არ აგებდა ცენტრალური ხელისუფლების უწყებების (სამინისტროების) წინაშე. იგი მხოლოდ რუსეთის იმპერატორობის წინაშე იყო პასუხისმგებელი. კავკასიაში ფაქტიურად **ავტონომიური ადმინისტრაციული მმართველობა** დამყარდა. მოხდა მმართველობის მაქსიმალური ცენტრალიზაცია და მართვის სადავეებმა ერთი პირის ხელში მოიყარეს თავი.

1844 წელს ტფილისში ჩამოვიდა კავკასიის პირველი მეფისნაცვალი **მიხეილ ვორონცოვი.** იგი არამარტო თანამდებობით, არამედ მმართველობის მეთოდით და ხასიათითაც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მისი წინამორბედებისაგან, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ მხარის დამპყრობელი გენერლები იყვნენ. **მიხეილ ვორონცოვი პირველ რიგში რუსეთის იმპერიის ერთგული მსახური და ულმობელი კოლონიზატორი იყო.** მისი მთავარი ამოცანა კავკასიის რუსეთის იმპერიასთან შერწყმა გახლდათ. მაგრამ მიხეილ ვორონცოვი შეეცადა ეს გაეკეთებინა არა ძალმომრეობითი და სამხედრო-ბიუროკრატიული მეთოდებით, არამედ მხარის კულტურულ-ეკონომიკური განვითარების და ადგილობრივი საზოგადოების ინტერესების გარკვეული ანგარიშგასაწევი გზით.

მიხეილ ვორონცოვი



პირველი ქართული ჟურნალი „ცისკარი"

მიხეილ ვორონცოვმა მნიშვნელოვან კულტურულ-საზოგადოებრივ ღონისძიებებს შეუწყო ხელი საქართველოში. მისი უშუალო ინიციატივით აღდგა **ქართული თეატრი**, დაარსდა **საჯარო ბიბლიოთეკა**, გამოვიდა ჟურნალი **„ცისკარი"**, რომელიც მეფისნაცვლის სტამბაში იბეჭდებოდა და სხვ. „ამგვარი კულტურული მიმართულება საჭირო იყო წამექეზებინა" – წერდა მიხეილ ვორონცოვი ნიკოლოზ I-ს. სამართლიანად შენიშნავდა არჩილ ჯორჯაძე, რომ მაშინ, როცა XIX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში ეროვნული ცხოვრების დეზორგანიზაცია დასრულებული იყო, **„ვორონცოვის ხანა შეიქმნა კულტურის აღორძინების ხანად"**. მიუხედავად ამისა, კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის სტრატეგიულ მიზანს კვლავინდებურად მხარის **რუსეთთან შერწყმა** წარმოადგენდა. ამავე მიზანს ემსახურებოდა მეფისნაცვლის ინსტიტუტი და კავკასიის პირველი მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვიც. მისი მეფისნაცვლობის პერიოდში გაგრძელდა ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა შიდა რუსეთის მოდელის მიხედვით. 1846 წელს საქართველო-იმერეთის გუბერნიისა და კასპიის ოლქის მაგიერ, შეიქმნა ოთხი გუბერნია: **ტფილისის, ქუთაისის, შემახის დარუბანდის,** რომლებსაც 1849 წელს მიემატა – **ერევნის** გუბერნიაც. მიხეილ ვორონცოვმა რამდენიმე ღონისძიება გაატარა ქართველი თავადაზნაურობის გულის მოსაგებად, რადგან ეს წოდება უკმაყოფილო იყო მმართველობის აპარატიდან და სახელმწიფო სამსახურიდან ფაქტობრივი ჩამოშორების გამო. მიხეილ ვორონცოვის ძალისხმევით 30. 000 კაცს დაუმტკიცდა რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების, მიერ ადრე საეჭვოდ მიჩნეული თავადაზნაურული წოდება.

კავკასიის მეფისნაცვლის ერთპიროვნული უფლებები კიდევ უფრო გაიზარდა მიხეილ ვორონცოვის მემკვიდრის **ალექსანდრე ბარიატინსკის (1856-1862)** დროს. 1858 წლის 21 დეკემბრის დებულებით მეფისნაცვალთან შეიქმნა **მთავარმმართველობა** და **საბჭო**. მთავარმმართველობა შედგებოდა ოთხი დეპარტამენტისაგან: **1. საერთო საქმეთა; 2. სასამართლო საქმეთა; 3. საფინანსო საქმეთა და 4. სახელმწიფო ქონებათა**. აღნიშნული დეპარტამენტები თავისებურ ავტონომიურ უწყებებს წარმოადგენდნენ კავკასიაში. ისინი ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის უწყებებს კი არ ემორჩილებოდნენ, არამედ მეფისნაცვლის წინაშე იყვნენ ანგარიშვალდებულნი. რაც შეეხება მეფისნაცვლის საბჭოს, იგი მცირერიცხოვან დიდმოხელეთაგან შემდგარ **სათათბირო ორგანოს** წარმოადგენდა.

1844-1858 წლების დებულებების შედეგად კავკასიის მეფისნაცვალი დიდი უფლებამოსილების მქონე ერთპიროვნულ მმართველად გადაიქცა. **მეფისნაცვალი და მისი აპარატი ავტონომიურად მართავდა კავკასიას.** კავკასიის ბიუროკრატიული აპარატის ცენტრალიზაცია იმპერიის ხელისუფლების ყოველმხრივ განმტკიცებას და რუსეთთან მხარის უნივერსალურ ინტეგრაციას ისახავდა მიზნად. ამიტომ, XIX საუკუნის 40-50-იან წლებში კავკასიის მმართველობის რეორგანიზაციას ქართველი და სხვა კავკასიელი ხალხების შემდგომი კოლონიზაცია, ეროვნული და სოციალური მდგომარეობის გაუარესება მოჰყვა.

§ 5. გურიის 1841 წლის აჯანყება

1828-1829 წლებში მთავრის ხელისუფლების გაუქმების შემდეგ გურიას „**დროებითი მმართველობა**“ განაგებდა. დროებით მმართველობას **გურული თავადების საბჭო** ახორციელებდა, რომლის სათავეში **რუსი ოფიცერი** იდგა.

1840 წლის 10 აპრილის კანონით გურიაში „დროებითი მმართველობა“ გაუქმეს და იგი ჩვეულებრივ მაზრად აქციეს. ახალმა კანონმდებლობამ გურიის მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის მდგომარეობა დაამძიმა. XIX საუკუნის 60-იანი წლების მონაცემებით, გურიაში 50. 000-მდე სული ადამიანი ცხოვრობდა. თავადაზნაურთა რიცხვი 4. 000-ს აღემატებოდა. მმართველობის რეორგანიზაციის შედეგად გურიის თავადაზნაურობა ჩამოაცილეს საპასუხისმგებლო სამოქალაქო სამსახურს.

გურული თავადების საბჭოს გაუქმებამ და გურიის უბრალო მაზრად გადაქცევამ გაუარესა გურიის გლეხკაცობის მდგომარეობა. გურული გლეხკაცობის მოთმინების ფიალა აავსო ახალი კანონებით გათვალისწინებულმა **ფულადმა გადასახადმა.** 1841 წლის 22 მაისს გადასახადების ამკრეფნი სოფ. **ლანჩხუთს** მიადგნენ და საერობო ფულადი გადასახადების აკრეფას შეუდგნენ. ლანჩხუთელმა გლეხებმა გადასახადების ამკრეფები სოფლიდან გამოყარეს. ორი დღის შემდეგ სოფ. **აკეთის** გლეხებმაც სასტიკი უარი განაცხადეს გადასახადის გაღებაზე და ხელისუფლების წარმომადგენლებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. რამდენიმე დღის შემდეგ ორივე სოფლის შეიარაღებულმა გლეხებმა გურიის მაზრის უფროსს თავიანთი მოთხოვნები წარუდგინეს: ფულადი გადასახადების გაუქმება, შეიარაღებულ წინააღმდეგობაში მონაწილე გლეხებისათვის დანაშაულის პატიება და ერთერთი სოფლის ნაცვლის გადაყენება.

მაზრის უფროსმა **იაცენკომ** ჯარისკაცთა ასეულით მოიარა უკმაყოფილო სოფლები. ამჯერად გლეხები გარეგნულად დაემორჩილნენ ძალას და თითქოს მღელვარებაც ჩაცხრა.

მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მღელვარება აჯანყებაში გადაიზარდა. **აკეთის** თემში



შემოქმედის მონასტერი. ოზურგეთის მაზრა.

თავი მოიყარა 200 შეიარაღებულმა გლეხმა ძმების **ვადაჭკორიების** მეთაურობით. რაზმი **ოზურგეთისაკენ** დაიძრა. გზადაგზა მათ განუწყვეტლივ უერთდებოდნენ გლეხები. აჯანყებულებმა გვერდი აუარეს ოზურგეთს და სოფ. **შემოქმედში** დაბანაკდნენ. 1841 წლის ივნისის მეორე ნახევრისათვის აჯანყებულთა რიცხვმა 1500 კაცს მიაღწია. აჯანყებულები დადიოდნენ სოფლიდან სოფელში და აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ. მოხდა რამდენიმე შეტაკება ამბოხებულებსა და ხელისუფლების ძალებს შორის.

კავკასიის კოლონიურმა ადმინისტრაციამ გადამწყვეტი ზომების მიღება განიზრახა და მნიშვნელოვან სამხედრო ძალებს მოუყარა თავი. სამხედრო რაზმს სათავეში ჩაუყენეს პოლკოვნიკი არლუთინსკი-დოლგორუკოვი. 1841 წლის ივნისის შუა რიცხვებში არლუთინსკი-დოლგორუკოვი ოზურგეთში ჩავიდა. ამ დროისათვის გურიაში მღელვარება კვლავ შენელდა. არლუთინსკი-დოლგორუკოვი რამდენიმე დღეში ოზურგეთიდან გაემგზავრა. იგი დამშვიდებული იყო, რომ მღელვარება დამთავრდა.

გურიის დანყნარება კვლავ დროებითი აღმოჩნდა. 1841 წლის ივლისის ბოლოს რიგმა სოფლებმა კვლავ უარი განაცხადეს ფულადი გადასახადების გადახდაზე. აგვისტოს დასაწყისში აჯანყებამ გურიაში საყოველთაო ხასიათი მიიღო. ტყეში თავშეფარებული შეიარაღებული რაზმელები სოფლებს დაუბრუნდნენ და მოსახლეობას აგულიანებდნენ. ამჯერად გურიის აჯანყებამ არამარტო არნახული მასშტაბურობა, არამედ **ორგანიზებული** და **მიზანდასახული** ხასიათი მიიღო. აჯანყებაში ჩაებნენ გურიის **თავადები** და

აზნაურები. აჯანყებულებს ხელმძღვანელობდა სამხედრო საქმეში შედარებით გარკვეული და ავტორიტეტული პირების ბირთვი, რომელიც თავისებური **შტაბის** როლს ასრულებდა. აჯანყებულებს კონკრეტული სტრატეგიული მიზანი ჰქონდათ: ოზურგეთის აღება, რუს სამხედროთა გამაგრებული პუნქტების დაკავება მთელს გურიაში. აჯანყების გადატანა იმერეთ-სამეგრელოში, ოსმალეთთან საზღვრის მოშლა და მისგან დახმარების მიღება.

სანამ გურიაში აჯანყება მზადდებოდა კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ აჯანყებულებს სერიოზული სამხედრო ძალები დაუპირისპირა.

მთავარი სამხედრო მოვლენები 1841 წლის 9 აგვისტოს განვითარდა. აჯანყებულთა სხვადასხვა რაზმებმა ხელთ იგდეს **ოზურგეთიდან** გამოსული სურსათი და მისი მცველი სამხედრო რაზმი; დაარბიეს **ჩოლოქის** სამხედრო და საბაჟო პოსტები და **ნატანების** საგუშაგო. აჯანყებულები ოზურგეთთან იყრიდნენ თავს და ცდილობდნენ მოწყვიტათ იგი **ნიკოლოზის შეკვეთილის** სიმაგრისაგან. ოზურგეთში გამაგრებული იყო პოლკოვნიკი **ბრუსილოვი** 700-მდე ჯარისკაცით და ზარბაზნებით. ბრუსილოვმა გადაწყვიტა დაესწრო აჯანყებულებისათვის. მან 200 ჯარისკაცით დატოვა ოზურგეთი და ნიკოლოზის სიმაგრისაკენ აიღო გეზი. სოფ. **გოგორეთთან** ბრუსილოვის ნაწილებს გზა გადაუღობა აჯანყებულთა 500-კაციანმა რაზმმა **აბესა ბოლქვაძის** მეთაურობით. ბრძოლა 4 საათს გაგრძელდა და აჯანყებულთა გამარჯვებით დასრულდა. ბრუსილოვმა უკან დაიხია და ოზურგეთში გამაგრდა. მეორე დღეს აჯანყებულებმა აბესა ბოლქვაძის მეთაურობით **ნიკოლოზის** (შეკვეთილის) სიმაგრე აიღეს, რომელიც რუსის ჯარის სურსათისა და იარაღის საწყობს წარმოადგენდა.

გოგორეთთან გამარჯვებას მოჰყვა რუსული ჯარების სხვა გამაგრებული პუნქტების აჯანყებულთა ხელში გადასვლა. მთელი გურია აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა. აჯანყებულებმა დაამარცხეს ხელისუფლების მიერ გურიაში გაგზავნილი იმერეთის თავადაზნაურთა, ხოლო შემდეგ სამეგრელოს თავადაზნაურთა რაზმები (მილიცია).

გურიის აჯანყებულთა ვაჟკაცური ბრძოლისა და სამხედრო წარმატებების ამბავი სწრაფად მოედო საქართველოს. კავკასიის კოლონიურ ადმინისტრაციას ეშინოდა, რომ აჯანყების ალი არ მოსდებოდა საქართველოსა და კავკასიის სხვა პროვინციებს. გურიის აჯანყების გავლენით მღელავრება იმერეთ-სამეგრელოს ზოგიერთ სოფელსაც მოედო. იმერეთში **საჯავახოს** უბნის გლეხებმა უარი განაცხადეს ფულადი გადასახადის გადახდაზე. სამეგრელოში, სოფ. **ჯვარში,** თავი მოიყარა ათასამდე კაცმა და გურიაში გადასვლას აპირებდა აჯანყებულებთან შესაერთებლად.

გურიის აჯანყების ხელმძღვანელებს ესმოდათ, რომ რუსეთის უზარმაზარ იმპერიასთან ბრძოლა მარტოდმარტო უპერსპექტივო იყო და მოკავშირეებს ეძებდნენ. მათ ოსმალეთის დახმარების იმედი ჰქონდათ და ამ მიზნით მჭიდროდ დაუკავშირდნენ **აჭარელ ბეგებს.** აჭარელმა ბეგებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს აჯანყების მომზადებაში, ისინი თოფ-იარაღით და ტყვია-წამლით ამარაგებდნენ ამბოხებულებს, თავშესაფარს აძლევდნენ მათ. განსაკუთრებით ენერგიულად უჭერდა მხარს აჯანყებულთ ქობულეთის ბეგი **ჰასან თავდგირიძე,** გურული თავადიშვილების ჩამომავალი. მიუხედავად აქტიური მორალურ-მატერიალური მხარდაჭერისა, ვერც **ჰასან-ბეგ თავდგირიძემ** და ვერც სხვა ბეგებმა, როგორც ოსმალეთის ქვეშევრდომებმა, რუსეთის ჯარის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში უშუალო მონაწილეობა ვერ მიიღეს. ამის უფლება მათ ოსმალეთის ხელისუფლებამ არ მისცა. გარკვეულ მორალურ-მატერიალურ დახმარებას აჯანყებულებს **ბათუმის, ტრაპიზონის** და **არზრუმის** ბრიტანული საკონსულოებიც უწევდნენ. ყოველივე ამის შედეგი იყო, რომ აჯანყებულებს საკმაოდ კარგი შეიარაღება ჰქონდათ.

აჯანყებული გურია მარტო აღმოჩნდა მრავალრიცხოვანი რუსის ჯარის პირისპირ. კავკასიის სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაცია გადამწყვეტ მოქმედებაზე გადავიდა. პოლკოვნიკი ბრუსილოვი ოზურგეთში იყო ჩაკეტილი და თვითონ ითხოვდა შველას. ამიტომ გურიის წინააღმდეგ მებრძოლი შეიარაღებული ძალების უფროსად ხელმეორედ

დაინიშნა პოლკოვნიკი **არლუთინსკი-დოლ-გორუკოვი.** რუსეთის ჯარმა იმერეთ-გურიის საზღვარი გადალახა და **ნაგომრის** ხიდს მიადგა. პოლკოვნიკ არლუთინსკი-დოლგორუკოვის ამოცანა იყო დახმარებოდა ალყაშემორტყმულ ოზურგეთს, სადაც რუსის ჯარი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ოზურგეთის გარემოცვას უნარიანად ხელმძღვანელობდნენ თავადი **ამბაკო შალიკაშვილი, აბესა ბოლქვაძე** და სხვ. აჯანყებულებმა იერიში მიიტანეს ქალაქზე, მაგრამ ვერ აიღეს ზარბაზნებისა და საალყო ტექნიკის უქონლობის გამო. განმეორებითი იერიშის მაგიერ აჯანყებულებმა ბრუსილოვს შეუთვალეს: რუსებმა ოზურგეთი და გურია დასცალონო. ბრუსილოვს ამ დროისათვის უკვე ჰქონდა ცნობა, რომ მის დასახმარებლად გაგზავნილის ჯარის შესახებ, რის გამოც უარით უპასუხა აჯანყებულებს.

აჯანყებულებმა მტკიცედ გაამაგრეს **იმერეთ-გურიის** საზღვარი და **ნასაკირალის** ხეობაში დაიკავეს პოზიციები. არლუთინსკი-დოლგორუკოვი მოერიდა ბრძოლას. მას მოღალატე ქართველებმა ურჩიეს გვერდი აევლო გამაგრებული ნასაკირალისათვის და სხვა, ძნელად სავალი, გზით ნასულიყო პირდაპირ ოზურგეთისაკენ. პოლკოვნიკი ასეც მოიქცა. 1841 წლის 5 სექტემბერს რუსები ოზურგეთს მიადგნენ. ახლა უკვე მოალყე აჯანყებულები აღმოჩნდნენ ალყაში. ისინი მედგრად იბრძოდნენ, მაგრამ დამარცხდნენ და ოზურგეთს გაეცალნენ. ამის შემდეგ, ნაგომარნასაკირალზე გამაგრებულმა აჯანყებულებმაც უპერსპექტივოდ ჩათვალეს მრავალრიცხოვან რეგულარულ არმიის ნაწილებთან ბრძოლის გაგრძელება და დაიშალნენ. გურიის აჯანყება დამარცხდა.

კავკასიის ადმინისტრაციამ სწრაფად აღადგინა წესრიგი გურიაში. აჯანყების 50 მონაწილე დააპატიმრეს და სხვადასხვა ვადით გადაასახლეს ციმბირში. განსაკუთრებით მკაცრად დაისაჯნენ თავადი **ამბაკო შალიკაშვილი,** თავადი **ქაიხოსრო გუგუნავა,** ძმები **ვადაჭკორიები** და სხვ. **აბესა ბოლქვაძე** დაპატიმრებისთანავე მოკლეს. დამარცხების შემდეგ მთელი გურიის მოსახლეობა დაიფიცეს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე.

„ჯანყი გურიაში“ ქართველი ხალხის ეროვნული მოძრაობის ისტორიის საყურადღებო ეპიზოდია. აჯანყება საყოველთაო ხასიათს ატარებდა და მოსახლეობის ყველა ფენის, მათ შორის, თავადაზნაურობის დიდი ნაწილის უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობდა. იგი მიმართული იყო ქართველებისათვის უცხო რუსული წესწყობილების წინააღმდეგ და მის გაუქმებას ისახავდა მიზნად.

§ 6. ყირიმის ომი (1853-1856 წწ.) და საქართველო

ყირიმის ომი განსაკუთრებული მოვლენა იყო რუსეთისა და ევროპის ისტორიაში. ომმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობებზე და განსაზღვრა ახალი პოლიტიკური სისტემა ევროპაში.

ყირიმის ომში მონაწილეობდნენ: რუსეთი, ოსმალეთი, ინგლისი, საფრანგეთი და სარდინიის სამეფო. ომის მონაწილე ყველა ქვეყანას თავისი გეგმები ჰქონდა.

კავკასიის ფრონტზე თურქთა შეტევითი ოპერაციები ომის ოფიციალურ გამოცხადებამდე დაიწყო. 1853 წლის ოქტომბერში თურქები თავს დაესხნენ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე **შეკვეთილის წმინდა ნიკოლოზის** საგუშაგოს. თურქების თავდასხმის მომენტისათვის საგუშაგოზე იმყოფებოდა რუსთა მცირერიცხოვანი რაზმი და გურიის სახალხო ლაშქარი **გიორგი გურიელის** სარდლობით. თურქების ჭარბ ძალებთან უთანასწორო ბრძოლაში დაილუპა მრავალი ჯარისკაცი და სახალხო მოლაშქრე. ბრძოლაში დაიღუპა გიორგი გურიელი. მებრძოლებმა საგუშაგო მხოლოდ მაშინ დატოვეს, როცა საბრძოლო მასალის მარაგი ამოწურეს.

შეკვეთილის საგუშაგოზე თურქთა შემოტევის პარალელურად **საინგილოში შამილის** ჯარები შეიჭრნენ. მათ **ზაქათალისა** და **ბელაქნის** ციხეების ალება სურდათ. რუსთა რაზმებმა და ქართველთა სახალხო ლაშქარმა გენერალ **გრიგოლ ორბელიანის** სარდლობით მდინარე **ალაზანზე** მომდგარი მტერი უკუაგდო.

ივანე ანდრონიკაშვილი

1853 წლის ნოემბერში თურქთა დიდი ძალები **ახალციხისაკენ** დაიძრა. ახალციხის ხელში ჩაგდებით თურქებს ბორჯომის ხეობით გზა ეხსნებოდათ ტფილისისაკენ. ახალციხეს თურქები ჭარბი ძალებით შემოერტყნენ გარს. რუსთა გარნიზონი საკმაოდ მცირერიცხოვანი იყო. მდგომარეობის ხსნა შესძლო ახალციხის გარნიზონის დასახმარებლად გაგზავნილმა გენერალმა **ივანე ანდრონიკაშვილმა**. 1853 წლის ნოემბერში ივანე ანდრონიკაშვილმა ბევრად მცირერიცხოვანი ძალებით თურქთა ჯარები, დაახლოებით 20 ათასი კაცი, სასტიკად დაამარცხა. ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელა თავი **ქართულმა სახალხო ლაშქარმა**. რუსეთის სარდლობამ კარგად ისარგებლა ახალციხესთან თურქთა განადგურებით და რამდენიმე დღის შემდეგ **ყარსის** მახლობლად, სოფელ **ბაშკადიკლართან**, კვლავ სასტიკი მარცხი აგემა თურქებს.

1853 წლის ნოემბერში **სინოპის ყურეში, ახალციხესა** და **ყარსთან** რუსების მიერ მოპოვებულმა გამარჯვებებმა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ოსმალეთი.

მუხედავად განცდილი მარცხისა, თურქები გამალებით ემზადებოდნენ ახალი ბრძოლებისათვის. გურიის საზღვარზე მათ თავი მოუყარეს 30 ათასზე მეტ კაცს. **ოსმალეთის სარდლობა გურიიდან სამეგრელოს გავლით აფხაზეთში გაჭრას გეგმავდა.** აფხაზეთიდან ოსმალეთის ჯარები ჩრდილო კავკასიაში გადასვლას და შამილთან შეერთებას აპირებდნენ.

შამილი

რუსეთის სარდლობა კავკასიის ფრონტს მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა, ამიტომაც ომის დასაწყისისათვის აქ დიდი ძალები არ ყოფილა თავმოყრილი. ეს თურქებს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა. რეგულარული ჯარების სიმცირის გამო რუსეთის სარდლობა ქართული სახალხო ლაშქრის გამოყენებას აპირებდა. დასავლეთ საქართველოში შექმნილი საშიში მდგომარეობის გამო მოლაშქრეები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გაიწვიეს **გურიიდან, სამეგრელოდან** და **იმერეთიდან**. სახალხო ლაშქარი შედგა კახეთსა და ქართლში.

1854 წლის მარტში ინგლისმა და საფრანგეთმა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტეს და ომი გამოუცხადეს მას. ავსტრიამ რუსეთს აშკარად აგრძნობინა, რომ რუსეთის ჯარების მიერ მდინარე დუნაის გადალახვის შემთხვევაში ავსტრია ყოველნაირად ეცდებოდა ხელი შეეშალა რუსეთისათვის, ხოლო რუსეთის ჯარების მიერ ბალკანეთის მთების გადალახვის შემთხვევაში რუსეთის მიმართ მტრულ პოზიციას დაიკავებდა. ავსტრიის სარდლობა ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე გასაგზავნად ამზადებდა 50 ათასიან ჯარს.

ინგლის-საფრანგეთის ომში ჩაბმამ და ავსტრიის მტრულმა პოზიციამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო რუსეთი. ეს შეეხო **კავკასიის ფრონტსაც**. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში, 1854 წლის მარტში, კავკასიის მეფისნაცვალმა **მიხეილ ვორონცოვმა** ავადმყოფობისა და ასაკის გამო გადადგომა ითხოვა. მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელმა **გენერალმა რეადმა** თურქთა ჭარბი ძალების შემოტევის შიშით გადაწყვიტა, **აფხაზეთში** განლაგებული გარნიზონები ზურგში გამოეყვანა. ამ სამხედრო ოპერაციის წარმატებით განხორციელებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა აფხაზეთის მთავარმა **მიხეილ შერვაშიძემ**. რუსებმა თითქმის უდანაკარგოდ დატოვეს აფხაზეთი. აფხაზეთიდან გამოყვანილი რუსეთის ჯარებით გურიის რაზმი გაძლიერდა. სამაგიეროდ, მთლიანად დაუცველი დარჩა

აფხაზეთი, სამეგრელო და იმერეთი. რუსეთის სარდლობამ აღმოსავლეთ საქართველოდან იმერეთსა და სამეგრელოში ძალების გადასროლა დაიწყო. განზრახული იყო გურიის რაზმის კიდევ უფრო გაძლიერება. ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა, რადგან ამ დროისათვის თურქებმა **ყარსთან** 60 ათასიან ჯარს მოუყარეს თავი და სერიოზული საფრთხე შეუქმნეს **ტფილისს**. ახალციხესთან დაბანაკებული თურქთა 34 ათასიანი ჯარი **ბათუმის** გავლით **გურიაში** აპირებდა შეჭრას.

1854 წლის გაზაფხულზე თურქები **ბათუმიდან ქობულეთში** გადმოვიდნენ. მოკავშირეების ფლოტმა **რედუტ-კალეში, ანაკლიაში, სოხუმსა** და რუსებისაგან მიტოვებულ სხვა სიმაგრეებში ძლიერი დესანტი გადასხა. ასეთ ვითარებაში გურიის რაზმის მეთაურმა გენერალმა **ივანე ანდრონიკაშვილმა ოზურგეთში** გაჩერება მიზანშეუწონლად მიიჩნია და მდინარე **რიონისაკენ** დაიხია. ივანე ანდრონიკაშვილს თურქთა მოსალოდნელი შეტევისაგან **ქუთაისის** დაცვა ჰქონდა განზრახული. ივანე ანდრონიკაშვილის რიონისაკენ უკან დახევის შემდეგ ოზურგეთი და გურიის დიდი ნაწილი მხოლოდ სახალხო ლაშქრის იმედად დარჩა. მალე თურქებმა **ოზურგეთი** დაიკავეს. გურიის სახალხო ლაშქარმა დალუპული გიორგი გურიელის ძმის – **მალაქია გურიელის** სარდლობით თურქებს აუტანელი პირობები შეუქმნა.

თურქების 12 ათასიანი რაზმი მდინარე **სუფსაზე** გადავიდა და **ლანჩხუთის** ხეობით სოფელ **ნიგოეთისაკენ** გაემართა. თურქთა რაზმს ქობულეთელი ბეგი **ჰასან თავდგირიძე** მეთაურობდა. სოფელ **ნიგოეთთან** ქუთაისისაკენ მიმავალ გზას პოლკოვნიკი **ნიკოლოზ ერისთავი** იცავდა. მის განკარგულებაში იყო რუსთა მცირე რაზმი და სახალხო მოლაშქრეები. 1854 წლის მაისში სოფელ ნიგოეთთან გამართულ ბრძოლებში თურქები სასტიკად დამარცხდნენ. გურულმა აზნაურმა **ერასტი ჭანტურიამ** ბრძოლაში მოკლა **ჰასან-ბეგ თავდგირიძე**. შეშინებულმა თურქებმა ოზურგეთი დატოვეს და მდინარე ჩოლოქზე გამაგრდნენ.

გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმა გადაწყვიტა თურქებისათვის შეეტია. მან **ოზურგეთი** დაიკავა, ხოლო შემდეგ გურიის რაზმით მდინარე **ჩოლოქისაკენ** გაემართა. 1854 წლის ივნისში

ნიკოლოზ მურავიოვი

მდინარე ჩოლოქთან ბრძოლაში რუსთა ჯარებმა და ქართულმა სახალხო ლაშქარმა გენერალ **ივანე ანდრონიკაშვილის** სარდლობით თურქები სასტიკად დაამარცხა. ბრძოლაში თავი ისახელეს **დავით ვახვახიშვილმა, ზაქარია ანდრონიკაშვილმა** და სხვებმა. ბრძოლაში დაილუპა იმერეთის სახალხო ლაშქრის მეთაური **ქაიხოსრო მიქელაძე**. თურქთა ჯარების ნარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს.

მდინარე ჩოლოქზე გურიის რაზმის გამარჯვებამ მნიშვნელოვნად შეამსუბუქა კავკასიაში განლაგებულ რუსთა ჯარების მდგომარეობა.

1854 წლის ივლისში **შამილის** რაზმები კახეთში შეიჭრნენ და დაარბიეს მდინარე **ალაზნის** ნაპირები. გაძარცვეს წინანდალი. ტყვედ იგდეს მშვიდობიანი მოსახლეობა, მათ შორის **დავით ჭავჭავაძისა** და **ილია ორბელიანის** მეუღლეები. შამილის რაზმები კახეთს მალევე გაეცალნენ.

1855 წლის ზამთარში თურქები გამალებით ემზადებოდნენ კავკასიის ფრონტზე საბრძოლო მოქმედებების განახლებისათვის. ინგლისელი სპეციალისტების დახმარებით ისინი სერიოზულად ამაგრებდნენ **ყარსს**. ოსმალეთის სარდლობა მოკავშირეებს არწმუნებდა დასავლეთ საქართველოში ზღვით ძლიერი დესანტის გადასხმის აუცილებლობაში.

1855 წლის გაზაფხულზე მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის ნაცვლად ტფილისში ჩამოვიდა გენერალი **ნიკოლოზ მურავიოვი**. 1855 წლის ივნისში იგი რუსთა მთავარი ძალებით **ყარსის** ასაღებად გაეშურა. მოკავშირეთა სარდლობამ გადაწყვიტა შავი ზღვის სანაპიროზე დესანტის გადმოსხმით აეძულებინათ გენერალი ნიკოლოზ მურავიოვი შეწყვიტა ყარსზე ლაშქრობა. დესანტის გადმოსხმა მხოლოდ სევასტოპოლის დაცემის შემდეგ (1855 წლის აგვის-

ნიკოლოზ I

ტოში) გახდა შესაძლებელი. 1855 წლის სექტემბრის დამდეგიდან მთელი თვის განმავლობაში **ბათუმში, ყულევსა** და **ტრაპიზონში** მიმდინარეობდა ოსმალეთის ჯარების გადმოსხმა. ამ ჯარების საერთო სარდლობას **ომერ-ფაშა** ახორციელებდა. **ომერ-ფაშამ ბათუმიდან ყარსის მიმართულებით ცრუ მანევრირება დაიწყო.** მის მიზანს სინამდვილეში დასავლეთ საქართველოს დაკავება წარმოადგენდა. გენერალი ნიკოლოზ მურავიოვი ყურადღებას არ აქცევდა ომერ-ფაშას ცრუ მანევრს და ჯიუტად აგრძელებდა ყარსის ალყას.

1855 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ომერ-ფაშამ 36 ათასიანი ჯარი გადასხა **აფხაზეთში** და სამეგრელოსაკენ დაიძრა. 1854 წლის ოქტომბერში მოხდა **ენგურის** ბრძოლა. რუსეთის ჯარებმა მდინარე ენგურზე ომერ-ფაშას შეჩერება ვერ შესძლეს და მდინარე **ცხენისწყლისაკენ** დაიხიეს. გურიის რაზმის მეთაურმა გენერალმა **ივანე მუხრანბატონმა** დატოვა სამეგრელო, გურია და მანაც მდინარე ცხენისწყლისაკენ დაიხია. თურქების ხელში აღმოჩნდა **აფხაზეთი** და **სამეგრელო**, დაუცველი დარჩა **გურია**. ომერ-ფაშა ამაოდ შეეცადა სამეგრელოს დედოფალ, **ეკატერინე ჭავჭავაძის** გადაბირებას, რის შემდეგ სასტიკად დაარბია სამეგრელო.

ომერ-ფაშას მდგომარეობა უიმედო გახადა 1855 წლის ნოემბერში თურქების მიერ ყარსის ჩაბარებამ. ომერ-ფაშამ უკან დახევა დაიწყო. ამ დროს თურქებმა გადაწვეს **ზუგდიდი**.

1856 წლის მარტში ყირიმის ომი პარიზის ზავით დამთავრდა. ზავის პირობები შეეხო კავკასიასაც. ყარსის სანაცვლოდ მოკავშირეებმა რუსეთს დაუბრუნეს სევასტოპოლი და საერთოდ, ყირიმის ნახევარკუნძული. **თურქებმა** დატოვეს სამეგრელოსა და აფხაზეთში მათ მიერ დაკავებული ტერიტორია.

ყირიმის ომში ქართველმა ერმა დიდი სისხლი გაიღო. მტერმა ააოხრა სამეგრელო, აფხაზეთი და კახეთი. ქართველი გენერლებისა და ოფიცრების, ქართული სახალხო ლაშქრის აქტიური დახმარების წყალობით რუსეთის ჯარებმა შეძლეს რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვება.

§ 7. გურიის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროების გაუქმება

სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროებისათვის შეზღუდული ავტონომიური მმართველობის შენარჩუნებას, როგორც აღნიშნული იყო, რუსეთი პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე დასთანხმდა. ცხადია, საქართველოში მტკიცედ დამკვიდრების შემდეგ რუსეთის საიმპერატორო კარი სამთავროებსაც გააუქმებდა.

1. გურიის სამთავროს გაუქმება. გურიის სამთავროს გაუქმება რუსეთს ადრევე ჰქონდა განზრახული. მაგრამ ბუქარესტის ზავით (1812 წ.) ოსმალეთისათვის ფოთის დაბრუნებამ გარკვეულწილად შეასუსტა რუსეთის პოზიციები შავი ზღვის სანაპიროზე. რუსეთმა ანგარიში გაუწია იმასაც, რომ გურიის მთავარი და გურიის სახალხო ლაშქარი აქტიურად იბრძოდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, გურიის სამთავროს გაუქმების საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. 1826 წელს გარდაიცვალა მთავარი **მამია გურიელი**. მთავრის მემკვიდრე **დავითი** ჯერ მცირეწლოვანი იყო. საქართველოს მთავარმართებლის განკარგულებით სამთავროს მართვა-გამგეობას ახორციელებდა გურიის თავადებისაგან შექმნილი **საბჭო** მთავრის ქვრივის, დედოფალ **სოფიოს** თავმჯდომარეობით. **რუსი მოხელეები უხეშად ერეოდნენ სოფიოს საქმიანობაში და ზღუდავდნენ მის უფლებებს.** სოფიო აშკარად გრძნობდა, რომ რუსები სამთავროს გაუქმებას აპირებდნენ. ამიტომ, როდესაც 1828 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი

დაიწყო, რუსებით უკმაყოფილო სოფიო გურიელი არ აპირებდა რუსების მხარეზე ომში აქტიური მონაწილეობის მიღებას. რუსებმა ეს სოფიო გურიელს ღალატად ჩაუთვალეს და 1828 წლის ოქტომბერში გურიის სამთავროში ჯარი შეიყვანეს. სოფიო გურიელი შვილებთან ერთად ოსმალეთში გაიქცა. ოსმალეთში გაქცეული სოფიო გურიელი უშედეგოდ ცდილობდა რუსეთის იმპერატორის წინაშე თავის მართლებას და ამ გზით სამთავროს გადარჩენას. გურიის სამთავროს ბედი საბოლოოდ დამოკიდებული იყო იმაზე თუ როგორ დამთავრდებოდა რუსეთ-ოსმალეთის ომი. ოსმალეთის ომში დამარცხების შემდეგ სოფიო გურიელს არავითარი შანსი არ ჰქონდა გურიაში დაბრუნებისა. ასეც მოხდა. რუსეთმა ომში გაიმარჯვა, **ფოთი, ახალციხე** და **ახალქალაქი** შეიერთა. ოსმალეთის პოზიციები მნიშვნელოვნად შესუსტდა. გურიის სამთავროს ბედიც გადაწყდა. **1829 წლის დეკემბერში იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა გურიის სამთავრო გაუქმა.**

სოფიო გურიელი 1829 წელს ოსმალეთში გარდაიცვალა. მის შვილებს **დავითსა** და **ეკატერინეს** მოგვიანებით სამშობლოში დაბრუნების ნება მისცეს.

გურიის მმართველობას სამთავროს გაუქმების შემდეგ ანხორციელებდა რუსეთის ხელისუფლების მიერ შექმნილი გურიის **თავადების საბჭო**, რომლის სათავეშიც რუსი ოფიცერი იდგა. მოგვიანებით გურია **მაზრის** სახით **ქუთაისის გუბერნიაში** შევიდა.

2. სამეგრელოს სამთავროს გაუქმება. სამეგრელოს სამთავროს ავტონომიურ მმართველობას რუსეთი ნელ-ნელა ზღუდავდა. მთავარი **ლევან დადიანი** შიშობდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ რუსები მთავრის ხელისუფლებას გააუქმებდნენ. სწორედ ამიტომ 1842 წელს, თავის სიცოცხლეშივე, რუსეთის საიმპერატორო კარის ნებართვით ლევან დადიანმა სამთავროს მართვა-გამგეობა თავის მემკვიდრეს **დავითს** გადააბარა. 1846 წელს ლევან დადიანი გარდაიცვალა და იმავე წელს რუსეთის იმპერატორმა მთავრის ტახტზე **დავით დადიანი (1846-1853)** დაამტკიცა. დავით დადიანის მეუღლე, სამეგრელოს დედოფალი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული **ეკატერინე**. დავით დადიანი გა-

ზუგდიდი. დადიანების სასახლე.

ნათლებული ადამიანი იყო. მას გულით ენადა სამთავროში მართვა-გამგეობის მოწესრიგება, ასევე სხვა გარდაქმნების გატარება. ახალგაზრდა მთავარმა გარდაქმნა სამთავროს ადმინისტრაციული მმართველობა, სასამართლო და საპოლიციო აპარატი. აიკრძალა გლეხის ოჯახის წევრების ცალ-ცალკე გაყიდვა. დავით დადიანი ზრუნავდა ეკონომიკის აღმავლობაზე, ვაჭრობის განვითარებაზე. სამწუხაროდ, რეფორმები და სხვა ღონისძიებანი სათანადო შედეგს ვერ იძლეოდა, რადგან ყოველი ღონისძიება მთავარს რუსეთის ხელისუფლებასთან უნდა შეეთანხმებინა. ისეთი გარდაქმნის გატარება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ინტერესებს, მთავარს არ შეეძლო.

1853 წელს დავით დადიანი გარდაიცვალა. მთავრის ტახტის მემკვიდრე **ნიკოლოზი (ნიკო)** ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო. სამეგრელოს სამთავროს მართვა-გამგეობა მიენდო მთავრის ქვრივს, სამეგრელოს დედოფალ **ეკატერინე ჭავჭავაძეს.**

ყირიმის ომის (1854-1856) დროს სამეგრელოში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. 1854 წლის გაზაფხულზე ოსმალეთის ჯარმა ყულევი აიღო.

ეკატერინე ჭავჭავაძე

საერთხე შექმნა **ზუგდიდს**. დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე ტახტის მემკვიდრე ნიკოლოზ დადიანთან ერთად ჯერ **გორდში** გადავიდა, ხოლო შემდეგ **ლეჩხუმს** შეაფარა თავი. 1855 წლის სექტემბერში **ომერ-ფაშას** ჯარები შავი ზღვის სანაპიროზე გადმოსხდნენ, აფხაზეთი დაიკავეს და მალე **ზუგდიდშიც** შევიდნენ. ომერ-ფაშამ ეკატერინე ჭავჭავაძეს აცნობა, რომ მოკავშირე სახელმწიფოებს (ინგლისს, საფრანგეთს, ოსმალეთს) სამეგრელოს სამთავროს დამოუკიდებლობის აღდგენა სურდათ და ზუგდიდში დაბრუნება სთხოვა. ეკატერინე ჭავჭავაძემ ომერ-ფაშას წინადადება უპასუხოდ დატოვა და ზუგდიდში არ დაბრუნდა. 1855 წლის ბოლოს ომერ-ფაშას ჯარებმა ფრონტზე შექმნილი ვითარების გამო უკან დახევა დაიწყო. თურქებმა გადაწვეს ზუგდიდი. დაიწვა მთავრის სასახლეც. თურქებისაგან დარბეულ და გადამწვარ სამეგრელოში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა.

1855 წელს სამეგრელოს დედოფალი **ეკატერინე** ალექსანდრე II-ის იმპერატორად კურთხევაზე მიიწვიეს პეტერბურგში. დედოფლის პეტერბურგში გამგზავრების გამო რუსეთის ხელისუფლებამ სამეგრელოს სამთავროს მართვა-გამგეობა გარდაცვლილი მთავრის ძმებს გრიგოლს და კონსტანტინეს ჩააბარა. ეკატერინე ჭავჭავაძე საქართველოში მალე დაბრუნდა, მაგრამ შემდეგ იგი რუსებმა ტფილისში შეაყოვნეს. ასე რომ, მეტად რთულ ვითარებაში ეკატერინე ჭავჭავაძე საკმაოდ დიდი ხნით მოსწყდა სამთავროს მართვა-გამგეობას. გრიგოლ და კონსტანტინე დადიანების მმართველობის პერიოდში სამეგრელოს სამთავროში შექმნილი მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. დაიწყო დაპირისპირება გრიგოლ და კონსტანტინე დადიანების მომხრეებს შორის. ომისაგან განანამები გლეხობის მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდებოდა მთავრის მოურავების თვითნებობისა და უსამართლობის გამო. ეკატერინე ჭავჭავაძემ ვერ გამოიჩინა სათანადო უნარი, ვერ შესძლო წესრიგის დამყარება სამთავროში.

რუსეთის საიმპერატორო კარს გადაწყვეტილი ჰქონდა, ესარგებლა სამეგრელოს სამთავროში შექმნილი მძიმე მდგომარეობით და სამთავრო გაუუქმებინა. სამთავროს გაუქმებას ეწინააღმდეგებოდა ეკატერინე ჭავჭავაძე. რუსეთის საიმპერატორო კარმა გამოსავალი იპოვა: ეკატერინე ჭავჭავაძეს შესთავაზეს მთავრის ტახტის მემკვიდრის ნიკოლოზ დადიანის სრულწლოვანებამდე, სათანადო განათლების მიცემის მიზნით რუსეთში გადასულიყო საცხოვრებლად. ნიკოლოზ დადიანის ტახტზე ასვლამდე სამეგრელოში შემოღებულ იქნებოდა **დროებითი მმართველობა**. ეკატერინე ჭავჭავაძე იძულებული გახდა, დასთანხმებოდა ამ წინადადებას. 1857 წელს სამეგრელოს სამთავროში **დროებითი მმართველობა** შემოიღეს. სამეგრელოს დროებითი მმართველობის სათავეში ჩააყენეს რუსი გენერალი **კოლიუბაკინი**. სამეგრელოს მართვა-გამგეობას კოლიუბაკინი ახორციელებდა საგანგებო ორგანოს – **საბჭოს** მეშვეობით. საბჭოს თავმჯდომარედ კოლიუბაკინი ითვლებოდა. მის გარდა საბჭოში კიდევ ხუთი წევრი შედიოდა: ორი რუსი მოხელე ორი თავადი და ერთი აზნაური სამეგრელოდან. სამეგრელოს მმართველს და საბჭოს თავმჯდომარეს კოლიუბაკინს **სამხედრო გუბერნატორის** უფლებები მიენიჭა, თუმცა ადმინისტრაციული თვალსაზრისით იგი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს ემორჩილებოდა. **1857 წელს სამეგრელოს სამთავრო ფაქტობრივად გაუქმდა.**

დავით დადიანი

ნიკო დადიანი

1867 წლამდე სამეგრელოს მმართველი, სამთავროს ისევ მთავარ ნიკოლოზ (ნიკო) დადიანის სახელით განაგებდა. 1867 წელს **ნიკოლოზ დადიანმა**, რუსეთის ხელისუფლების წინადადებით, ნებაყოფლობით თქვა უარი სამეგრელოს მთავრის უფლებებზე. **1867 წელს სამეგრელოს სამთავრო იურიდიულადაც გაუქმდა.**

სამეგრელოს სამთავროს ტერიტორია **ზუგდიდის, სენაკისა** და **ლეჩხუმის** მაზრების სახით **ქუთაისის გუბერნიაში** შევიდა.

3. სვანეთის სამთავროს გაუქმება. სვანეთის სამთავროში დადეშქელიანების ორ შტოს შორის დაპირისპირება ჯერ კიდევ რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის პერიოდში არსებობდა. სვანეთი, ფაქტობრივად, ორ ნაწილად იყო გაყოფილი. **თათარყან** (მონათვლის შემდეგ მიხეილ) და **ციოყ** (მონათვლის შემდეგ ნიკოლოზ) დადეშქელიანებს შორის დაპირისპირება შემდგომ წლებშიაც გაგრძელდა. 1841 წელს **ციოყი** გარდაიცვალა. სამთავროს მართვა-გამგეობას ენერგიულად შეუდგა მისი მემკვიდრე ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა **კონსტანტინე დადეშქელიანი**. 1843 წელს **თათარყანი** კონსტანტინეს სამფლობელოში შეიჭრა. შეჯახებას შეეწირა კონსტანტინეს ბებია. 1850 წელს თათარყანიც გარდაიცვალა. 1855 წელს **ციოყის** შვილებმა, **კონსტანტინეს** უმცროსმა ძმებმა **თენგიზმა** და **ისლამმა** მოკლეს თათარხანის შვილი **ჯანსუღი**. ჯანსუღის შვილები სამეგრელოში გაიქცნენ, ხოლო მათი სამფლობელო კონსტანტინემ დაიკავა. სვანეთში დადეშქელიანთა ორ შტოს შორის მიმდინარე ბრძოლები რუსეთს საბაბს აძლევდა ჩარეულიყო სამთავროს საქმეებში. 1857 წელს კონსტანტინე დადეშქელიანმა **თავისუფალი სვანეთის** კიდევ ორი საზოგადოება დაიმორჩილა და მოსახლეობა თავის ერთგულებაზე დააფიცა. თავისუფალი სვანეთი უკვე 1840 წელს რუსეთის ქვეშევრდომობაში იყო შესული. სწორედ ამიტომ კონსტანტინესა და რუსეთის ხელისუფლებას შორის ურთიერთობა გამწვავდა. **1857 წელს გადაწყდა სვანეთში რუსეთის ჯარების შეყვანა.** კონსტანტინე დადეშქელიანმა სისხლისღვრა უაზროდ ჩათვალა და მოლაპარაკების მიზნით თვითონ გამოცხადდა ზემო სვანეთში დაბანაკებულ რუსეთის ჯარის მეთაურთან. **კონსტანტინე** და მისი ძმა **ალექსანდრე** ტფილისში გაგზავნეს. კონსტანტინეს, იმის გამო, რომ ჯანსუღ დადეშქელიანის მკვლელობაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, დანაშაული აპატიეს, ხოლო მის უმცროს ძმებს **თენგიზსა** და **ისლამს** რუსეთში გადასახლება მოუსაჯეს. მეფისნაცვალმა **ალექსანდრე ბარიატინსკიმ** უკანონოდ მიიჩნია დადეშქელიანების ურთიერთპრეტენზიები, ბრძოლა ერთმანეთის სამფლობელოს მიტაცებისათვის და გადაწყვიტა, აღედგინა სვანეთის მთავრის საგვარეულოს ორივე შტოს უფლებები თავიანთ სამფლობელოებზე. ამასთან დაკავშირებით უნდა მოეხდინათ დადეშქელიანთა ორივე შტოს მამულების აღწერა საზღვრების დაზუსტების მიზნით. ეს აღწერა დაევალა პოლკოვნიკ **უსლარს**. ამ დროისათვის რუსეთის საიმპერატორო კარს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა სვანეთის სამთავროს გაუქმება და შესაფერის დროს ელოდა. მართალია, რუსეთის ხელისუფლებამ კონსტანტინეს მთავრის უფლებები დაუდასტურა, მაგრამ ტფილისიდან დაბრუნებული ქუთაისში შეაყ-



ალექსანდრე ბარიატინსკი



სვანეთის ხედი

ოვნეს. **კონსტანტინე დადეშქელიანს განუცხადეს, რომ სვანეთში მანამ ვერ გაუშვებდნენ, სანამ მისი ძმები თენგიზი და ისლამი ხელისუფლებას არ ჩაბარდებოდნენ.** კონსტანტინე დადეშქელიანმა ქუთაისში ყოფნისას რუსი მოხელეებისაგან მრავალი დაცინვა და აბუჩად აგდება აიტანა. ამასობაში სვანეთიდან დაბრუნდა პოლკოვნიკი უსლარი. მან მეფისნაცვალს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კონსტანტინე დადეშქელიანის სვანეთში დაბრუნება ყოვლად დაუშვებელი იყო. უსლარის აზრით, კონსტანტინე კვლავ გაგრძელებდა თავისუფალი სვანეთის თემების დამორჩილებას. **მეფისნაცვალმა ალექსანდრე ბარიატინსკიმ გადაწყვიტა: სანამ იმპერატორი კონსტანტინე დადეშქელიანის საკითხს განიხილავდა, სვანეთის მთავარი ერევანში გადაესახლებინა.** 1857 წლის 24 ოქტომბერს მეფისნაცვლის გადაწყვეტილება ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა **გაგარინმა** კონსტანტინე დადეშქელიანს გააცნო. კონსტანტინემ სამთავროს საქმეთა მოსაგვარებლად და ცოლშვილთან გამოსამშვიდობებლად რამდენიმე თვით სვანეთს გაშვება ითხოვა. გაგარინმა კონსტანტინეს თხოვნას ანგარიში არ გაუწია და როცა მასსა და კონსტანტინე დადეშქელიანს შორის შელაპარაკება მოხდა, გენერალ-გუბერნატორმა მთავრის განიარაღება ბრძანა. ეს კონსტანტინე დადეშქელიანმა ველარ მოითმინა და ხანჯლით სასიკვდილოდ დაჭრა გაგარინი, ხოლო იქვე მყოფი ორი მოხელე კი მოკლა. კონსტანტინე დადეშქელიანმა მართალია გაქცევა მოახერხა, მაგრამ შეიპყრეს და იმავე 1857 წელს სიკვდილით დასაჯეს. მამულები ხაზინას გადაეცა. მთავრის ქვრივი და შვილები კი სვანეთიდან გაასახლეს. **1857 წელს სვანეთის სამთავრო ფაქტობრივად გაუქმდა.** 1859 წელს რუსეთის ხელისუფლებამ სვანეთის მთავრის უფლებებზე უარი ათქმევინა დადეშქელიანების გვარის მეორე კანონიერ წარმომადგენელს – **თენგიზს. 1859 წელს სვანეთის სამთავრო იურიდიულადაც გაუქმდა.**

4. აფხაზეთის სამთავროს გაუქმება. რუსების მიერ 1810 წელს აფხაზეთის მთავრად დასმული **გიორგი (იგივე საფარ-ბეგ) შერვაშიძე** მოსახლეობაში პოპულარობით ვერ სარგებლობდა. უფრო პოპულარული იყო მისი მაჰმადიანი

სოხუმი

ძმა **ჰასან-ბეგი.** ამის გამო უთანხმოება და დაპირისპირება აფხაზეთის სამთავროში არ შენყვეტილა. 1821 წელს გარდაიცვალა გიორგი შერვაშიძე. სანამ იმპერატორის მიერ მთავრად დამტკიცებული მისი შვილი **დიმიტრი** პეტერბურგიდან აფხაზეთში დაბრუნდებოდა, რუსებმა სამთავროს მართვა-გამგეობა მთავრის ქვრივს, დედოფალ **თამარს** ჩააბარეს. **ჰასან-ბეგმა** გადაწყვიტა ესარგებლა შექმნილი ვითარებით და ხელში ჩაეგდო აფხაზეთის მთავრის ტახტი. სოხუმისაკენ ჯარით დაძრული ჰასან-ბეგი რუსებმა ვითომდა მოლაპარაკებაზე მიიწვიეს და შეიპყრეს. 1821 წელს აფხაზეთში დაბრუნებული **დიმიტრი შერვაშიძე** მთავრად გამოაცხადეს. პეტერბურგში აღზრდილი დიმიტრი შერვაშიძე მთავრის ტახტისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა. მალე იგი მოწამლეს. იმპერატორმა აფხაზეთის მთავრად 1823 წელს დიმიტრის უმცროსი ძმა **მიხეილი** დაამტკიცა.

მიხეილ შერვაშიძე მეტად რთულ ვითარებაში აკიდა აფხაზეთის მთავრის ტახტზე. მოსახლეობაში სულ უფრო ძლიერდებოდა **ანტირუსული** განწყობილება. მიხეილ შერვაშიძეს ხელისუფლებისათვის ებრძოდა მისი ბიძა ჰასან-ბეგ შერვაშიძე. მიხეილ შერვაშიძის აქტიურ პოლიტიკას – წესრიგი დაემყარებინა სამთავროში – ზღუდავდა საქართველოს მთავარმართებელი **როზენი.** რუსეთის ხელისუფლებას არ მოსწონდა ისიც, რომ **სულ უფრო იზრდებოდა მიხეილ შერვაშიძის ავტორიტეტი ჩრდილო კავკასიის ხალხებში (ჩერქეზებში, ადიღეებში).** რუსეთის ხელისუფლება უკმაყოფილო იყო აფხაზეთის მთავრის მცდელობით თავისი ძალაუფლება გაევრცელებინა **სამურზაყანოზე.** 1840 წელს სამურზაყანოში უშუალოდ რუსული მმართველობა იქნა შემოღებული. ამან კიდევ

უფრო დაძაბა მიხეილ შერვაშიძის ურთიერთობა რუსებთან.

ყირიმის ომის დროს მიხეილ შერვაშიძემ დიდი სამსახური გაუწია რუსეთს. 1854 წლის გაზაფხულზე მიხეილ შერვაშიძეს დაეკალა მონანილეობა მიელო აფხაზეთში განლაგებული რუსეთის ჯარების ევაკუაციაში. ამ დავალების წარმატებით შესრულებისათვის მას **გენერალ-ადიუტანტის** წოდება ებოძა და **თეთრი არწივის ორდენი** გადაეცა. მიხეილ შერვაშიძე აპირებდა აფხაზეთში ლაშქრის შეკრებას და მდინარე კოდორზე გამაგრებას. შექმნილი ვითარების გამო ამის განხორციელება შეუძლებელი გახდა. მიხეილ შერვაშიძემ გადაწყვიტა აფხაზეთი დაეტოვებინა და ოჯახთან ერთად სამეგრელოში გადავიდა. რუსეთის ხელისუფლება კვლავ უნდობლობას იჩენდა მიხეილ შერვაშიძისადმი. ამით გაღიზიანებულმა მთავარმა 1855 წლის მაისში თვითნებურად დატოვა სამეგრელო და აფხაზეთში დაბრუნდა. **მიხეილ შერვაშიძე ვერ ეგუებოდა იმას, რომ რუსეთის ხელისუფლება ძალზე გულგრილად უყურებდა აფხაზეთში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობას.** სოხუმის დაკავების შემდეგ თურქები აქტიურად შეუდგნენ მოსახლეობის გადაბირებას. მიხეილ შერვაშიძეს სურდა, წინ აღდგომოდა თურქთა მოქმედებას. სოხუმში ჩასვლისას ოსმალეთის ჯარების სარდალ **მუსტაფა-ფაშას** მიხეილ შერვაშიძემ განუცხადა, რომ მისი სურვილი იყო რუსეთისა და ოსმალეთის ომში ნეიტრალური დარჩენილიყო. ცხადია, ამას მიხეილ შერვაშიძე პოლიტიკური მოსაზრებით აკეთებდა. მას სურდა, ოსმალეთის ხელისუფლებას მისთვის ანგარიში გაეწია, რუსული ორიენტაციის მთავართან კი თურქები ურთიერთობას არ ისურვებდნენ. მიუხედავად ამისა, **კავკასიის მეფისნაცვალმა ნიკოლოზ მურავიოვმა მიხეილ შერვაშიძის „ნეიტრალიტეტი" სახელმწიფო ღალატად ჩათვალა.** ეს კი ძალზე ხელსაყრელი მიზეზი იყო აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისათვის. ყირიმის ომის მიმდინარეობის დროს შექმნილ მძიმე სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში რუსეთის იმპერატორმა თავი შეიკავა აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისაგან.

1855 წლის სექტემბერში აფხაზეთში ომერ-ფაშას ჯარების შემოსვლის შემდეგ მიხეილ შერვაშიძე რუსეთის კავკასიის არმიის სარდლობას

მიხეილ შერვაშიძე

რეგულარულად აწვდიდა ცნობებს ოსმალეთის ჯარების განლაგებისა და მოძრაობის შესახებ.

კავკასიის მეფისნაცვალს ნიკოლოზ მურავიოვს მიხეილ შერვაშიძისადმი დამოკიდებულება არც ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ შეუცვლია. მეფისნაცვალი აფხაზეთის მთავარის რუსეთში გადასახლებას ითხოვდა. მეფისნაცვლის შეხედულება არ გაიზიარა იმპერატორმა ალექსანდრე II-მ. ცხადია, რუსეთის საიმპერატორო კარის ასეთი გადაწყვეტილება პოლიტიკური მოსაზრებით იყო განპირობებული. **ჩრდილო კავკასიაში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა ბრძოლა შამილის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში რუსეთისათვის არ იყო ხელსაყრელი აფხაზეთში მდგომარეობის გართულება.**

მიხეილ შერვაშიძე კარგად ხედავდა, რომ აფხაზეთის სამთავროს არსებობა დამოკიდებული იყო რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთ კავკასიის მთიელთა ბრძოლის შედეგებზე. ამიტომაც აფხაზეთის მთავარი ყოველმხრივ ეხმარებოდა კავკასიის მთიელებს.

სამეგრელოს სამთავროში დროებითი მმართველობის შემოღებისა და სვანეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ აფხაზეთის სამთავროს ბედიც გადაწყვეტილი იყო. აფხაზეთის მთავარმა 1863 წელს თხოვნით მიმართა რუსეთის ხელისუფლებას, მისი შვილი, მთავრის ტახტის მემკვიდრე გიორგი ტფილისიდან სოხუმში დაებრუნებინათ, რათა მისთვის გადაებარებინა სამთავროს მართვა-გამგეობა. ამით მიხეილ შერვაშიძე მთავრის ხელისუფლების არსებობის გახანგრძლივებას ვარაუდობდა. მთავრის თხოვნის მიუხედავად, გიორგი შერვაშიძე რუსებმა სოხუმში არ დაბრუნეს.

იმედგაცრუებულმა მიხეილ შერვაშიძემ 1864 წელს რუსეთის ხელისუფლებისაგან ითხოვა, მისთვის უფლება მიეცათ სიკვდილამდე

ემართა აფხაზეთი. თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, მაშინ მიხეილ შერვაშიძე სახლაურად ერთი მილიონ მანეთს, აფხაზეთში მამულების შენარჩუნებას და, როგორც კერძო პირის, სამშობლოში ცხოვრების უფლებას მოითხოვდა. მიხეილ შერვაშიძის ეს თხოვნა მიუღებლად მიიჩნიეს. **1864 წელს კავკასიის მეფისნაცვლის ბრძანებით მიხეილ შერვაშიძე მთავრის ტახტიდან გადაყენებულად გამოცხადდა.** მთავარი იძულებული გახდა, საკუთარი ხალხისათვის პირადად გამოეცხადებინა სამთავროს გაუქმებისა და რუსული მმართველობის შემოღების შესახებ!

აფხაზეთში შემოღებულ იქნა ე. წ. **„სამხედრო-სახალხო მმართველობა“**. მიხეილ შერვაშიძემ აფხაზეთის რუსულ მმართველობას სთხოვა ნება მიეცათ მისთვის დარჩენილი სიცოცხლე სამშობლოში გაეტარებინა. თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, მაშინ იგი ითხოვდა ნებართვას იერუსალიმში გასამგზავრებლად. რუსებმა მიხეილ შერვაშიძეს არც ერთი თხოვნა არ შეასრულეს. მაშინ მიხეილ შერვაშიძემ თხოვნით მიმართა ოსმალეთის ხელისუფლებას გამოეყო მისთვის ხომალდი იერუსალიმში გასამგზავრებლად. რუსეთის ხელისუფლებამ ეს საბაბად გამოიყენა და 1864 წელს მიხეილ შერვაშიძე **ნოვოროსიისკში** გადაასახლა. ნოვოროსიისკიდან იგი ჯერ **სტავროპოლში**, ხოლო შემდეგ **ვორონეჟში** იქნა გადასახლებული. 1866 წელს მიხეილ შერვაშიძე ვორონეჟში გარდაიცვალა.

აფხაზეთის სამთავრო მოგვიანებით **სოხუმის ოკრუგში** გააერთიანეს და **ქუთაისის გუბერნიას** დაუქვემდებარეს.

***

სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროების გაუქმებით რუსეთის ადმინისტრაციული მმართველობა მთელს საქართველოზე გავრცელდა. ლიკვიდირებულ იქნა სამთავროების ის შეზღუდული ავტონომიური მმართველობაც, რომელთა არსებობასაც რუსეთი გარკვეული მოსაზრებებით XIX საუკუნის დამდეგიდან ითმენდა.

თავი VI.

ეროვნული მოძრაობა XIX საუკუნის 60-80-იან წლებში

§ 1. ეროვნული მოძრაობის პროგრამა და ბრძოლა მისი განხორციელებისათვის

XIX საუკუნის 60-80-იანი წლების ეროვნული მოძრაობა წარმოადგენდა საუკუნის დამდეგის ეროვნული აჯანყებებისა და 1832 წლის შეთქმულების ლოგიკურ გაგრძელებას. განსაკუთრებით მჭიდრო იდეური კავშირი არსებობდა 1832 წლის შეთქმულებასა და XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან დაწყებულ ეროვნულ მოძრაობას შორის. წინა ეპოქის ეროვნული მოძრაობისაგან XIX საუკუნის 60-80-იანი წლების ეროვნულ მოძრაობას განასხვავებდა რამდენიმე ნიშანი: **პირველი.** ეროვნული მოძრაობა იყო არა ლოკალური, კუთხური, არამედ საერთო-ქართული. მისი მიზანი იყო ქართველობისა და საქართველოს გადარჩენა; **მეორე.** ეროვნულ მოძრაობას ჰქონდა უნიკალური პროგრამა, რომლის ეტაპობრივ განხორციელებასაც ქართველი ერი უნდა მიეყვანა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე; **მესამე.** ეროვნული მოძრაობის სათავეში იდგა ქართული არისტოკრატია, თუმცა თვით ეროვნული მოძრაობა ორიენტირებული არ ყოფილა ქართველი ერის რომელიმე სოციალურ ფენაზე, რომელიმე წოდებაზე, იგი მთელი ქართველი ერის, ყველა სოციალური ფენის, ყველა წოდების სულისკვეთების გამომხატველი იყო; **მეოთხე.** რუსეთის იმპერიასა და საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ეროვნული მოძრაობის სტრატეგია უახლოეს მომავალში არ ითვალისწინებდა საერთო-ქართული აჯანყების დაწყებას რუსეთის წინააღმდეგ და ამ გზით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებას. **მეხუთე.** ეროვნული მოძრაობის უახლოეს მიზანს წარმოადგენდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდგომ ქართველი ერის გაუცხოების სამასწლიანი (XVI-XVIII სს.) პერიოდის უარყოფითი შედეგების (საერთო-ქართულის უგულებელყოფის ფონზე კუთხურობის გაძლიერების) დაძლევა, რუსეთის სამოცწლიანი კოლონიური პოლიტიკის დამლუპველი შედეგების ლიკვიდაცია და ბრძოლა მიმდინარე კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

XIX საუკუნის 60-80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის აღიარებული წინამძღოლი იყო ილია ჭავჭავაძე. ძირითადად ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება ეროვნული მოძრაობის პროგრამის შემუშავება. ეროვნული მოძრაობის პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლასაც ასევე ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. ამ დიდ ეროვნულ საქმეში ილია ჭავჭავაძეს მხარში ედგა მოღვაწეთა მთელი დასი: **დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი** და სხვები. ქართულ ისტორიოგრაფიაში მათ **„სამოციანელებს"**, ასევე **„თერგდალეულებს"** უწოდებენ. სამოციანელები ანუ თერგდალეულები **„პირველი დასის"** სახელწოდებითაც არიან ცნობილნი. სამივე შემთხვევაში საქმე გვაქვს მოღვაწეთა იმ ჯგუფთან, რომელიც **XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს დიდ ეროვნულ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში.** შემდგომში მათ შეუერთდნენ ახალგაზრდა მოღვაწეები: **სერგეი მესხი, ვაჟა-ფშაველა** და სხვები. დიდია ყოველი მათგანის ღვაწლი ეროვნული მოძრაობის წინაშე, მაგრამ ილია ჭავჭავაძე მაინც განსაკუთრებულად გამორჩეული იყო. **ილია ჭავჭავაძე იყო იდეის მიმცემი, პირველდამწყები და მუხლჩაუხრელი მებრძოლი.** ყოველივე ამას თვით ილია ჭავჭავაძის თანამოაზრეები აღიარებდნენ. ნიკო ნიკოლაძე წერდა: „1861 წლის ახალ თაობა ჩვენ ცხოვრებაში პატიოსანი გრძნობით აღსებული შემოვიდა... მაგრამ, როგორ ან რისთვის დავმალოთ, რომ ამ თაობას, ამ ახალ რაზმს შეადგენდა, თითქმის მარტო ერთი კაკი, – ილია ჭავჭავაძე, რომელიც წინამძღოლიც იყო და

ილია ჭავჭავაძე

რაზმიც, ან, უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, ურაზმო წინამძღოლი იყო იმ ახალი თაობისა, რომელსაც ჩვენ ცხოვრებაში ფეხი უნდა შემოედგა ამ თორმეტი წლის წინათ?" ილია ჭავჭავაძის ღვაწლი იმდენად დიდია არა მარტო XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნული მოძრაობის ისტორიაში, არამედ საერთოდ ქართველი ერის ისტორიაში, რომ ძნელდება პასუხი გაეცეს უმნიშვნელოვანეს კითხვას: **ილია ჭავჭავაძე იყო იმ დიდი ეპოქის შედეგი, თუ პირიქით – ეპოქა იყო ილია ჭავჭავაძის შექმნილი, ილიათი განსაზღვრული?**

ეროვნული მოძრაობის პროგრამისადმი მიძღვნილი ერთი ან თუნდაც რამდენიმე ნაშრომი ილია ჭავჭავაძეს არ დაუწერია. ეროვნული მოძრაობის პროგრამის ზოგადად ჩამოყალიბებას, მისი ცალკეული საკითხების დამუშავებას მიეძღვნა ილია ჭავჭავაძის უამრავი პუბლიცისტური წერილი, გაზეთების – „დროებისა" და „ივერიისათვის" დაწერილი მოწინავე სტატიები, მოთხრობები, ლექსები, პოემები. ყოველივე ეს იმხანად ლეგალურ გამოცემებში იბეჭდებოდა და ამდენად, ილია ჭავჭავაძეს ყველაფრის პირდაპირ გადმოცემა არ შეეძლო, ცენზურა ამის საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომაც ბევრი რამ ავტორს შეფარვით, ან მხატვრული ნაწარმოებების გმირების პირით აქვს ნათქვამი, ბევრი რამ პუბლიცისტური წერილების სტრიქონებს შორის იკითხება. თუმცა არცთუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც, თუკი ცენზურა ამის საშუალებას იძლეოდა, ილია ჭავჭავაძე სათქმელს პირდაპირ ამბობდა. ყოველივე ამის გამო დღემდე გრძელდება პოლემიკა ილია ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული ეროვნული მოძრაობის პროგრამის ცალკეული დებულების ირგვლივ.

ეროვნული მოძრაობის პროგრამა ბევრ საკითხს მოიცავდა. განვიხილოთ მათგან უმთავრესი.

1. ქართული ეროვნული ცნობიერების აღორძინება. ერთიანი ქართული მონარქიის წარმოქმნის პროცესში (X-XI სს.) ყალიბდებოდა **ერთიანი ქართული ცნობიერებაც.** სწორედ ერთიანი ქართული ცნობიერება ედო საფუძვლად საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ ძლიერებას, ეკონომიკისა და კულტურის არნახულ აღმავლობას XI-XIII საუკუნეებში. ერთიანი ქართული მონარქიის დასუსტებისა და შემდგომ საქართველოს პოლიტიკური დაშლის პერიოდში (XV-XVIII სს.) **ქართულმა ეროვნულმა ცნობიერებამ ძლიერი დარტყმა განიცადა.** ორი ისლამური სახელმწიფოს – სპარსეთისა და ოსმალეთის მზარდი აგრესიის პირობებში აღარ არსებობდა საერთო-ქართული მიდგომა საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი. ყოველ ქართულ სამეფოსა და სამთავროს ხსნის საკუთარი გზა ჰქონდა. **სამეფო-სამთავროები თავის გადარჩენას ხშირად ერთმანეთის განირვის ხარჯზე ახერხებდნენ.** ყოველივე ამას თან ერთვოდა დაუსრულებელი ომები ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის, რაც ეროვნულ ცნობიერებას დიდ ზიანს აყენებდა. ასეთ ვითარებაში **საქართველოს ცალკეულ კუთხეებს შორის დაიწყო გაუცხოება, რასაც თან სდევდა საერთო-ქართულის მივიწყება.**

ქართულ ეროვნულ ცნობიერებას ძლიერი

აკაკი წერეთელი

ნიკო ნიკოლაძე

დარტყმა მიაყენა XIX საუკუნის დამდეგის დიდმა ტრაგედიამ – რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ. **რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიზანი იყო ქართველის ცნობიერებიდან „ქართველისა" და „საქართველოს" აღმოფხვრა, ქართული ენის განდევნა, ქართველი**

იაკობ გოგებაშვილი

ერის ასიმილაცია და საქართველოს გადაქცევა რუსეთის სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად. მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის დამდეგიდანვე საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ ეროვნული მოძრაობა დაიწყო, რუსეთის კოლონიურმა პოლიტიკამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი

გიორგი წერეთელი

წარმატებები მოიპოვა. ყველაზე დიდი ზიანი ამ პერიოდში ქართულმა ეროვნულმა ცნობიერებამ განიცადა.

ილია ჭავჭავაძე უპირველეს ამოცანად დაკნინებული ეროვნული ცნობიერების აღორძინებას მიიჩნევდა. ვითარება ძალზე სავალალო, თითქმის კატასტროფული იყო. 1866 წელს პუბლიცისტურ წერილში „ზოგიერთი რამ" ილია ჭავჭავაძე წერდა: „აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულის ქართლელის მეტმა (ე. ი. გორის მაზრაში მცხოვრებმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო". ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ ეროვნული ცნობიერების დაქვეითებამ ბევრ რაიმეს დაუკარგა მნიშვნელობა ქართულ სინამდვილეში. ასე დაეკარგა პირვანდელი მნიშვნელობა **მამულის** ცნებას. იმავე პუბლიცისტურ წერილში ილია ჭავჭავაძე წერდა: „მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე". ამ მდგომარეობამდე ქართველი ერი ერთბაშად არ მისულა. XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგისათვის შექმნილი ვითარება იმდენად მძიმე იყო, რომ თითქოს ხსნის გზაც კი არ ჩანდა. **ეს გზა ილია ჭავჭავაძემ იპოვა.**

ეროვნული ცნობიერების აღორძინების უმთავრეს პირობად ილია ჭავჭავაძეს ქართულ სინამდვილეში ქართული ენის დაბრუნება, ქართული ენის კანონიერ უფლებებში აღდგენა და ქართული ენის სიწმინდის დაცვა მიაჩნდა. ქართული ენის მდგომარეობა კი ძალზე სავალალო იყო. ენა კარგავდა თავის ბუნებრივ დანიშნულებას. ქართული ენის ადგილს რუსული ენა იჭერდა. პუბლიცისტურ წერილში „ზოგიერთი რამ" ილია ჭავჭავაძე წერდა: „სადღა არის ქართული ენა? ან გვინდაღა ქართული, როცა ჩვენ თითონ ჩვენდა დასალუპავად ქართველობაზედ ხელი ავიღეთ? გონებით რომ აღარ ვსცხოვრობთ, ქართულს ენას აზრს როგორღა გამოვათქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარა ვართ, ერთნაირს სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოვსთხოვთ

გიორგი ერისთავი

ივანე კერესელიძე

ჩვენს ენასა? თუნდ რომ ჩვენს ენას და სიტყვას აზრიც გამოათქმევინოთ, ვის რად გინდათ, ენას აზრს ვინლა სთხოვს? ჩვენ თითონ დავცალიერდით გუდაფშუტასავით, ცალიერი სიტყვებილა გვინდა, ცალიერი ხმები, რომ ენამ პირში იშტვინოს და ყურმა ძარღვი იფხანოს, სხვა რისთვის გვინდა ენა?".

ქართული ენის სიწმინდის დაცვას მოუძღვნა ილია ჭავჭავაძემ 1860 წელს დაწერილი პოლემიკური წერილი **„ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვითგან „შეშლილის" თარგმანზედა"**. სწორედ ამ წერილში წამოაყენა ილია ჭავჭავაძემ საპროგრამო მოთხოვნა: **„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხი გავსცეთ შთამომავლობას?"**. ქართული ენის შენარჩუნება, მისი სიწმინდის დაცვა ქართველი ერისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო, ყოფნა-არყოფნის საკითხი იყო, ამიტომაც აქ კომპრომისი შეუძლებელი იყო. ილია ჭავჭავაძე წერდა: „სხვისა არ ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრება, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს". ქართული ენის სიწმინდის დაცვაში ილია ჭავჭავაძე ასეთი შეურიგებელი იყო სიცოცხლის ბოლომდე.

ქართული ეროვნული ცნობიერების აღორძინების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა განათლებას. ცხადია, განათლების სისტემის რუსიფიკაციის პირობებში, რუსულ სკოლაში ქართველი ბავშვი ეროვნული ცნობიერების საზრდოს ვერ იპოვიდა. განათლების სხვა სისტემა კი საქართველოში არ არსებობდა. ეროვნული მოძრაობის წინამძღოლებმა გამოსავალი იპოვეს. მხედველობაში გვაქვს 1879 წელს **„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" შექმნა.** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მრავალმხრივ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ქართული სკოლების ორგანიზების საქმეს. საზოგადოების დაარსების ინიციატორები იყვნენ **დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი** და სხვები. 1885 წლიდან საზოგადოებას უცვლელად თავმჯდომარეობდა ილია ჭავჭავაძე. მთელი ეს საქმიანობა ქართული ენის ტოტალური დევნის პირობებში მიმდინარეობდა. ორგანიზაციის მასშტაბურობაზე ის მიუთითებს, რომ წერა-კითხვის

ივანე მაჩაბელი



სერგეი მესხი



„საქართველოს გაზეთი"



„ცისკარი"

გამავრცელებელი საზოგადოების სკოლები საქართველოს გარდა გაიხსნა რუსეთის იმპერიის იმ ადგილებში, სადაც ქართველი მოსახლეობა კომპაქტურად ცხოვრობდა (ვლადიკავკაზი, ალაგირი, მოზდოკი, ნალჩიკი, ბაქო); დიდი ყურადღება ექცეოდა ქართული სკოლის გახსნას **სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში, საინგილოში.** იმხანად ქართული სკოლის ორგანიზება ძნელი იყო, სხვას ყველაფერს თავი დავანებოთ, ფინანსური თვალსაზრისითაც. ამ მხრივ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" დიდი დახმარება



„ტფილისის უწყებანი"

აღმოუჩინეს ტფილისისა და ქუთაისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკებმა. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შეარჩია პედაგოგთა ბრწყინვალე კადრები, რომელთაც „დედა ენით" მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა შეასწავლეს და, ამდენად, **ქართულ სინამდვილეს, ქართულ სამყაროს სამუდამოდ დაუკავშირეს ქართველი ბავშვი.** დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმასაც, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გახსნილ სკოლებში ქართულ ენასთან ერთად ყველა სხვა სასწავლო დისციპლინა ქართულ ენაზე ისწავლებოდა – **სამყაროს შეცნობას, აზროვნებას ბავშვი ქართულ ენაზე ინყებდა.** ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული ცნობიერების გაღვიძების საქმეში. ქართული სკოლის ორგანიზებით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" ქართველობისა და საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლაში სრულიად განსხვავებული – გამორჩეული – როლი შეასრულა.

ქართული ეროვნული ცნობიერების გადარჩენის საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენამ". განათლების სისტემის რუსიფიკაციის პირობებში, როცა ქართული სკოლის ორგანიზებაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა, იაკობ გოგებაშვილი ქმნის სახელმძღვანელოებს – **„ქართული ენის**



„დროება"

ანბანი და პირველი საკითხავი ნიგნი მოსნავლეთათვის" (1865) და „დედა ენა" (1876). „დედა ენის" შექმნა საქართველოს ახალი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა რიცხვს განეკუთვნება – „დედა ენა" ქართული ეროვნული ცნობიერების გადარჩენის სახელმძღვანელოც იყო.

ეროვნული ცნობიერების გამოცოცხლებას დიდად შეუწყო ხელი ქართულმა პრესამ, ქართულმა პერიოდულმა გამოცემებმა. პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი" (შემდეგში „ქართული გაზეთი") 1819-1821 წლებში გამოდიოდა, მაგრამ არც მას და არც მეორე ქართულ გაზეთს – „ტფილისის უწყებანს" (1828-1832 წწ.) – არ შეიძლებოდა ეროვნული ცნობიერების გაღვიძების საქმეში მნიშვნელოვანი როლი არ ეთამაშა. ეროვნული

„ცისკარი"

ცნობიერების გაღვიძებას ისახავდა მიზნად **სოლომონ დოდაშვილის** ხელმძღვანელობით 1832 წელს „ტფილისის უწყებანის" დამატების სახით გამოცემულ **„სალიტერატურნო ნანილნი ტფილისის უწყებათანი"** (ამ ჟურნალის სულ ხუთი ნომერი გამოვიდა). მართალია, მწვავე ეროვნულ პრობლემებზე მასალების ბეჭდვის უფლებას არ აძლევდნენ, მაგრამ **გიორგი ერისთავის** ხელმძღვანელობით გამომავალი ჟურნალი **„ცისკარი"** (1852-1853 წწ.) მაინც დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. იგივე ითქმის 1857 წელს **ივანე კერესელიძის** მიერ განახლებულ ჟურნალ „ცისკარზე".

ქართული პრესა და, საერთოდ, ქართული პერიოდული გამოცემები ქართველობისა და საქართველოს გადარჩენისათვის დაწყებულ მოძრაობაში გადაჭრით ჩაებნენ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. 1863 წელს ილია ჭავჭავაძე აარსებს ჟურნალ **„საქართველოს მოამბეს"**, რომელმაც სულ ერთი წელი იარსება. ეროვნულ მოძრაობას დიდი ღვაწლი დასდო გაზეთმა „დროებამ" (1866-1885), რომლის პირველი რედაქტორი **გიორგი წერეთელი** იყო (1869-1883 წლებში გაზეთს **სერგეი მესხი** რედაქტორობდა, შემდეგ, დახურვამდე – **ივანე მაჩაბელი**). ქართული პერიოდული გამოცემების ფლაგმანის როლი ილია ჭავჭავაძის „ივერიას" (1877-1906) ხვდა წილად (1877-1878 წლებში „ივერია" გამოდიოდა კვირეული გაზეთის სახით, 1879-1886 წლებში – თვიური ჟურნალის სახით, 1886 წლიდან კი ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა).

ილია ჭავჭავაძის „ივერია" ქართველი ერისთვის გაცილებით იმაზე მეტს წარმოადგენდა, ვიდრე ჟურნალი ან გაზეთი. „ივერიის" ფურცლებზე აღიძვრებოდა და გადაიჭრებოდა ხოლმე ქართველი ერის წინაშე მდგარი დიდი თუ მცირე პრობლემა. **„ივერიის" მიერ განსაზღვრული მიმართულება, ქართული სინამდვილის რომელ მხარესაც უნდა შეხებოდა იგი, საყოველთაო და გაბატონებული ხდებოდა.** ყოველივე ამაში უდიდესი წვლილი მიუძღოდა „ივერიის" რედაქტორს და მის უახლოეს თანამშრომლებს – **გრიგოლ ყიფშიძეს, ალექსანდრე ყიფშიძეს, სტეფანე ჭრელაშვილს, სოფრომ მგალობლიშვილს, ილია ბახტაძეს, გიორგი ლასხიშვილს, კიტა აბაშიძეს, პეტრე უმიკაშვილს** და სხვებს. „ივერიაში" იბეჭდებოდნენ: **ილია ჭავჭავაძე,**

აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი. სრულიადაც არ არის გადაჭარბებული „ივერიაზე“ თქმული: **„ივერია“ საქართველოს მთავრობა იყოო.**

„ივერიის“ გვერდით საქართველოსა და ქართველობის გადარჩენისათვის ბრძოლაში დიდი წელილი შეიტანეს გაზეთმა „კვალმა“ (1893-1904 წწ.), ჟურნალმა „მოამბემ“ (დაარსდა 1894 წ.), გაზეთმა **„ცნობის ფურცელმა“** (1896-1906 წწ.).

ქართული პრესასთან, ქართულ პერიოდულ გამოცემებთან ბრძოლაში რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის მესვეურებმა სასტიკი მარცხი იწვნიეს – **ქართულმა პრესამ გაიაღვიძა და ერთი მიზნისათვის დარაზმა ერი.**

ქართული წიგნის გამოცემა არ შეიძლებოდა მოგვარებულიყო სახელმწიფო ხელისუფლების დონეზე, პირიქით – კოლონიური ხელისუფლება, რუსეთის ცენტრალური მთავრობა, ყოველმხრივ აფერხებდა ქართული წიგნის ბეჭდვისა და გავრცელების საქმეს. სამოციანელთა თაობამ კარგად დაინახა, რომ ქართული პერიოდული გამოცემების გვერდით აუცილებლად უნდა აღორძინებულიყო ქართული წიგნის გამოცემის საქმე. **ეროვნული ცნობიერების აღორძინებისა და განმტკიცებისათვის აუცილებელი იყო ძველი, კლასიკური, და ახალი ქართული ლიტერატურის ძეგლთა პოპულარიზება.** აღზრდისა და განათლების საქმის ორგანიზება გადაუდებლად ითხოვდა ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო ხასიათის ნაშრომთა, ასევე სახელმძღვანელოთა გამოქვეყნებას. 1851-1867 წლებში დაიბეჭდა იმაზე მეტი წიგნი, ვიდრე წინა 50 წლის განმავლობაში; XIX საუკუნის 60-იან წლებში ყოველწლიურად 5-12 წიგნი იბეჭდებოდა. 1868 წელს დაიბეჭდა 11 სახელწოდების ქართული წიგნი, 1878 წელს – 45, 1893 წელს – 93, 1899 წელს – 112. 1868-1892 წლებში 100 სახელწოდების ქართული სახელმძღვანელო გამოიცა. ეს იყო ჭეშმარიტად დიდი გამარჯვება.

ეროვნული ცნობიერების აღორძინების საქმეში თავისი განსაკუთრებული მისია ეკისრებოდა ქართულ თეატრს. 1850 წელს **გიორგი ერისთავის** მიერ დაარსებული პირველი ქართული თეატრი 1856 წელს დაიხურა. მუდმივი ქართული თეატრი ქართველ მოღვაწეთა ჯგუფმა **ილია ჭავჭავაძისა** და **აკაკი წერეთლის** ხელმძღვანელობით მხოლოდ 1879 წელს

ქართველ მსახიობთა დასი

აღადგინა. 1880 წელს დრამატული თეატრი დაარსდა ქუთაისშიც. მ. კატკოვს, რომლის ცხოვრების მიზანი რუსეთის იმპერიის ძლიერების შენარჩუნება იყო, არაფერი გაუზვიადებია – **მან ზუსტად შეაფასა ის დიდი საფრთხე, რასაც პატრიოტული თემისადმი მიძღვნილი პიესები ქმნიდნენ.**

ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების, შელახული ეროვნული ღირსების აღდგენისათვის ბრძოლაში ნარმოუდგენლად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლას. საქართველოს ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლის ბრწყინვალე ნიმუშები მოგვცა ილია ჭავჭავაძემ პუბლიცისტური წერილების სერიაში „აი ისტორია“ (1889 წ.), რომელიც მიმართული იყო რუსული ნაროდნიკული მოძრაობის ცნობილი მოღვაწის ივანე ჯაბადარის წინააღმდეგ. ნიჰილიზმისა და კოსმოპოლიტიზმის ტყვეობაში მყოფი ივანე ჯაბადარი თავის ნაშრომში „[illegible]“ შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ქართველი ერის ისტორიაში საამაყო არაფერია, რომ ქართველი ერი



ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობა

დაბერდა და მას მომავალი არა აქვს. ამ შემთხვევაში ივანე ჯაბადარი დიდ სამსახურს უწევდა რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას. ილია ჭავჭავაძემ დასაბუთებულად უარყო ივანე ჯაბადარის ყველა არგუმენტი. სომეხ მეცნიერთა, ასევე მათ თანამოაზრე სხვა მეცნიერთა მხრიდან საქართველოს ისტორიის გაყალბების წინააღმდეგაა მიმართული ილია ჭავჭავაძის უბრწყინვალესი ნაშრომი „ქვათა ღაღადი" (1899 წ.). ამ ნაშრომში საქართველოს და სომხეთის ისტორიის ღრმა, მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით ილია ჭავჭავაძემ გამოააშკარავა სომეხ მეცნიერთა შეხედულებების სიყალბე, მათი მისწრაფების პოლიტიკური მიზანი. „ქვათა ღაღადი" დღესაც რჩება მეცნიერული კრიტიკის პუბლიცისტური ფორმით გადმოცემის უბადლო ნიმუშად.

2. ქართული მინის ქართველთა ხელში შენარჩუნება. ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩასახვამ და განვითარებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ქართველი არისტოკრატია (თავადაზნაურობა). ახალმა ეპოქამ, ცხოვრების ევროპეიზაციამ დიდი რაოდენობით ფულის საჭიროება ნარმოშვა. თავადაზნაურობის ძირითადი ნაწილისათვის ფულის ერთადერთ წყაროს მინა ნარმოადგენდა. თავადაზნაურობის მხოლოდ მცირე ნაწილი საზრდოობდა სახელმწიფო სამსახურისაგან მიღებული შემოსავლით. ცალკეული ოჯახის მემკვიდრეობით საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთი თანდათან მცირდებოდა ოჯახის წევრებს (ძმებს) შორის მინის გაყოფის შემდეგ, მცირდებოდა მინისაგან მიღებული შემოსავალი. **უსახსროდ დარჩენილი ქართველი არისტოკრატია სომეხი ბურჟუაზიისაგან ფულის სესხებით ცდილობდა მდგომარეობის ხსნას.** დიდი ნაწილი ვალის დაბრუნებას ველარ ახერხებდა და იძულებული ხდებოდა, ვალი მინის გაყიდვით მიღებული შემოსავლისაგან დაეფარა. **მინის მყიდველი ძირითადად ისევ სომეხი ბურჟუაზია იყო.** ასე ნელ-ნელა გადადიოდა სომეხი ბურჟუაზიის ხელში ქართული მინა. სომეხი ბურჟუაზიის ხელში ქართული მინის გადასვლა მისალები იყო კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციისათვის. **ქართველი თავადაზნაურობის გაღატაკება და არაქართული ბურჟუაზიის ეკონომიკური გაძლიერება რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიზანს ნარმოადგენდა.** ამ უმძიმესი

ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი

ვითარებიდან გამოსავალი ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა იპოვეს. მხედველობაში გვაქვს ტფილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკების დაარსება.

ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკმა, ისევე როგორც ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკმა, პირდაპირ იხსნა საქართველო, ქართული მინა. ბანკის დაარსების იდეა თავის დროზე **დიმიტრი ყიფიანმა** წამოაყენა. ბატონყმობის გაუქმებისას მთავრობამ მემამულეებს მისცა გარკვეული თანხა. დიმიტრი ყიფიანმა, რომელიც იმხანად ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი იყო, დაითანხმა თავადაზნაურობა, რათა მიღებული თანხის ნაწილი არ დარიგებულიყო და გადადებულიყო ბანკის დასაარსებლად. დადგენილება ბანკის დაარსების შესახებ გამოტანილი იყო ჯერ კიდევ 1867 წელს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ **ბანკი არ უნდა ყოფილიყო თავადაზნაურთა წოდებრივი ორგანიზაცია.** ილია ჭავჭავაძე წერდა: ტფილისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკის „ნიშანდობლივი და საყურადღებო თვისება, რომელიც სხვა საადგილმამულო ბანკების წესდებისაგან განარჩევს, ის არის, რომ ბანკის მოგება, გარდა, რაც სხვადასხვა თანხას უნდა მიემატოს, ჰხმარდება ამერეთის არა მარტო მინათმფლობელთა, ესე იგი თავადაზნაურთა, არამედ მინათმოქმედთა საერთო საჭიროებას. ამ სახით, ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი თითქმის ისეთი ერთადერთი დაწესებულებაა საადგილმამულო კრედიტისა რუსეთში, რომლის წესდებითაც სრულიად უარყოფილია კერძო ინტერესი მოგებით

სარგებლობისა“ ცხადია, ასეთი ბანკის დაარსებას დიდი წინააღმდეგობა შეხვდებოდა. საქმე გაჭიანურდა. ბანკის შექმნისათვის გადამჭრელი აქტიური მუშაობა 1872-1873 წლებიდან დაიწყო და ამ საქმეს ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა სათავეში. მან ბანკის ორგანიზაციის საქმე ბოლომდე მიიყვანა. 1875 წელს გახსნილი ტფილისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარედაც **ილია ჭავჭავაძე** აირჩიეს. იგი ამ პოსტზე 30 წელს იმყოფებოდა. დასავლეთ საქართველოში მოქმედებდა ქუთაისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკი, რომელიც ასევე სამოციანელთა თაობის ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით დაარსდა.

ამიერიდან უსახსროდ დარჩენილ ქართველ არისტოკრატიას შეეძლო მიწის გირაოს სანაცვლოდ ფული სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკისაგან მიეღო სესხად და არა სომეხი ბურჟუაზიისაგან. თუ ფულის მსესხებელი ვალს ვერ დააბრუნებდა მისი მამული ბანკის საკუთრება ხდებოდა და არა სომეხი ბურჟუაზიისა. ამასთან ერთად, ბანკის მფლობელობაში გადასული მამული შეიძლებოდა ძველ მფლობელს უკან დაებრუნებინა, თუკი მიწის ღირებულებას გადაიხდიდა.

3. ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელი ძალა. XIX საუკუნე, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი მთელ მსოფლიოში **დიდი ეროვნული** მოძრაობების ეპოქა იყო. **ეროვნულ მოძრაობას ყველგან ახალფეხადგმული ან უკვე მომძლავრებული ბურჟუაზია ედგა სათავეში.** სხვა ვითარება იყო საქართველოში. XIX საუკუნის 60-80-იანი წლების ეროვნული მოძრაობა დაიწყო და მიმდინარეობდა ქართული ბურჟუაზიის, როგორც ქვეყნის ეკონომიკის ბატონ-პატრონისა და როგორც ორგანიზებული პოლიტიკური ძალის, არარსებობის პირობებში. ეს თავისთავად აყენებდა ეროვნული მოძრაობის წინამძღოლის საკითხს. **ქართული სინამდვილიდან გამომდინარე, ეროვნული მოძრაობის წინამძღოლის როლი შეიძლებოდა მხოლოდ ქართულ არისტოკრატიას (თავადაზნაურობას) შეესრულებინა.** ამ სოციალურ ფენას (წოდებას) დიდი ტრადიცია და ისტორიული გამოცდილება ჰქონდა, იგი იყო დიდი



„ივერია“

ინტელექტუალური პოტენციალის მატარებელი. მართალია არისტოკრატიის ნაწილი შეურიგდა რუსეთის ბატონობას, მაგრამ მთლიანად ქართული არისტოკრატია თანაუგრძნობდა ეროვნულ მოძრაობას, უფრო მეტიც: **ქართულმა არისტოკრატიამ დაიწყო წინააღმდეგობის მოძრაობა ეროვნული დროშით.** ასე იყო XIX საუკუნის დამდეგს, ასე იყო 1832 წელს, ასე იყო XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგსაც.

4. წოდებათა შერიგება – საერთო ნიადაგის შექმნა. XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგისათვის ქართველი ერი რამდენიმე წოდებად, სოციალურ ფენად იყოფოდა (თავადები, აზნაურები, სამღვდელოება, გლეხები, ხელოსნები, ვაჭრები). **ყველა სოციალურ ფენას თავის მისწრაფება ჰქონდა.** ეს მისწრაფებები აძნელებდა ერის ერთი მიზნისათვის დარაზმვას. ერის სოციალური ფენების ერთმანეთთან დაპირისპირება დიდ საფრთხეს შეიცავდა. ამ საფრთხეზე ცხადად მიანიშნა ილია ჭავჭავაძემ პუბლიცისტურ წერილში „ზოგიერთი რამ“ წერილში ვკითხულობთ: „ქართველები არ არიან, მაშ რა არიანო? არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი – ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურს – თავადი, გლეხსა ორივე, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დედის

საარტისტო საზოგადოება

საქართველოს ოჯახის შვილნი? თავადის აზრი სათავადოა, აზნაურის – ააზნაურო, გლეხის – საგლეხო, ვაჭრისა – სავაჭრო, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთს თესლზედ აღმოსულნი?" ილია ჭავჭავაძეს დიდ საშიშროებად მიაჩნია ის, რომ „ეს თავადი რომ აზნაურს ზურგს უქცევს, აზნაური – თავადსა, ორივენი – გლეხსა; ეს ვაჭარი რომ სამივეს ერთნაირის სიხარბითა სწოვს".

ნოდებათა, სოციალურ ფენათა დაპირისპირებას ობიექტური მიზეზები განსაზღვრავდა. ამ მიზეზების მოსპობა, ცხადია, ილია ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეთ არ შეეძლოთ. სამაგიეროდ, **ილია ჭავჭავაძეს სავსებით შესაძლებლად მიაჩნდა ეროვნული ცნობიერების აღორძინების საფუძველზე შელახული ეროვნული ღირსების დაცვისათვის ქართველი ერის ყველა ნოდების, ყველა სოციალური ფენის გაერთიანება.** ხსნის სხვა გზა ქართველ ერს არ გააჩნდა. სწორედ ამიტომ წერდა ილია ასე დაბეჯითებით 1888 წელს გაზეთ „ივერიის" ერთ-ერთ მოწინავეში: „ჩვენი გულითადი რწმენა, ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი და გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი ნოდებათა დაუყოფლად, დიდპატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ჰცდილობს ცხოერების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად და საყოველთაოდ".

ქართული სინამდვილიდან გამომდინარე ნოდებათა შერიგებასა და სოციალურ ფენათა დაპირისპირების თავიდან აცილებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც **თავადაზნაურობისა და გლეხობის** ურთიერთობის საკითხს ენიჭებოდა. ილია ჭავჭავაძემ ბატონის წინააღმდეგ ამბოხებული გლეხების კაკოსა და ზაქროს სახეები შექმნა. პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ", ხოლო მოთხრობაში „გლახის ნაამბობი" დახატა მეამბოხე – შურისმაძიებელი გაბრიელი. მათ გვერდით შექმნა გლეხ გიორგის და თავადების არჩილისა და კესოს მეტად საინტერესო პორტრეტები მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრივი". საქართველოს მომავალი ამ ორი ნოდების ერთ მიზნისათვის გაერთიანებაზე, **საერთო ნიადაგზე** დგომაზე იყო დამოკიდებული. მათ შორის ომი ეროვნული მოძრაობის დასამარებას ნიშნავდა. XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს და ცოტა მოგვიანებითაც ილია ჭავჭავაძეს ნოდებათა შერიგება შესაძლებლად მიაჩნდა. XIX საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებმა (მუშათა მოძრაობის დასაწყისში პოლიტიკური მიმდინარეობებისა და პარტიების აღმოცენებამ, სოციალური ვითარების დაძაბვამ სოფლად და ა. შ.) მას ეს იმედი დაუკარგა.

5. ეროვნული მოძრაობის საბოლოო მიზანი – სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ილია ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული ეროვნული მოძრაობის პროგრამაში აშკარად, დეკლარირებულად, არ ყოფილა წამოყენებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა. თუმცა ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის დასაწყისში დაწერილ ნაწარმოებში **„მგზავრის წერილები"** (1861 წ.) ავტორმა მთელი სიცხა-

შენობა, სადაც განთავსებული იყო „საქართველოს მოამბის" რედაქცია

დით დაგვანახა XIX საუკუნის ქართული ეროვნული მოძრაობის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი: **ქართველი ერის შეურიგებლობა რუსულ სახელმწიფოებრიობასთან.** მართალია, ლელთ ლუნიას ნათქვამი – **„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“,** ილია ჭავჭავაძეს არ დაუკონკრეტებია, მაგრამ ცხადია თუ რას გულისხმობდა ამ სიტყვებში მოხვეცა და ილია ჭავჭავაძეც. ლეგალურ გამოცემაში დამოუკიდებლობის იდეის უფრო სრულად, უფრო დაწვრილებით ჩამოყალიბება შეუძლებელი იყო. ეს კარგად გვაგრძნობინა ილია ჭავჭავაძემ შემდეგი სიტყვებით: **„ჩემმა მოხევემ მე კიდევ ბევრი სხვა რამ მითხრა, მაგრამ ყოველი მისი ნაამბობი დასანერად არ გამოდგება შემოხვევისა გამო სხვისა და სხვისა...“**

XIX საუკუნის 60-80-იან წლებში ეროვნული მოძრაობის საბოლოო მიზანი იყო **ქართველი ერის მომზადება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის.** ყველაფერ ამას ემსახურებოდა: ქართული ენის სიწმინდისა და უფლებების დაცვა, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, ქართული ჟურნალ-გაზეთები, ქართული წიგნი, ქართული თეატრი, საქართველოს ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლა, ტფილისისა და ქუთაისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკები, ეროვნული ცნობიერების გამოღვიძება და შელახული ეროვნული ღირსების აღდგენა, საერთო მოქმედების ნიადაგის შექმნა. ეროვნულ **მოძრაობას ქართველი ერი უნდა მიეყვანა იმ ზღვრამდე, რომლის იქითაც დაიწყებოდა ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.** ჯერჯერობით კი რუსეთის იმპერიასა და საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ვითარება შეუძლებელს ხდიდა ეროვნული მოძრაობის წინამძღოლთაგან უფრო რადიკალური პროგრამის წამოყენებას, უფრო რადიკალურ მოქმედებას.

***

XIX საუკუნის 60-80-იანი წლების ეროვნულმა მოძრაობამ დასახულ მიზანს მიაღწია. **ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების კარგად გააზრებულმა, მუხლჩაუხრელმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო. სავსებით ცხადი გახდა, რომ ქართველობა და საქართველო**



ნიკო ნიკოლაძე

გადარჩა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რუსეთის კოლონიურმა პოლიტიკამ მარცხი განიცადა. ქართველი ერის გარუსების, ასიმილაციის, საქართველოს რუსეთის იმპერიის ნაწილად გადაქცევის ცდა უშედეგოდ დამთავრდა. კატასტროფა, რომელიც რუსეთის სამოცწლიანი ბატონობის შემდეგ თითქოს რეალური ჩანდა, თავიდან იქნა აცილებული.

ქართულ ეროვნულ მოძრაობას ჰქონდა სხვა, გაცილებით შორს მიმავალი შედეგებიც. **ილია ჭავჭავაძემ და სამოციანელთა დიდმა თაობამ მემკვიდრეობით მიიღეს შელახული ეროვნული ღირსება, მიმქრალი ეროვნული ცნობიერება, დევნილი და პატივაყრილი ქართული ენა, ორ გუბერნიად გაყოფილი ისტორიული საქართველო, და ნაცვლად ამისა, როცა 1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის იმპერია აღესრულა, ქართველთა გონებაში სრულიად უმტკივნეულოდ გაცნობიერდა ერთიანი საქართველოს, ერთიანი ქართველი ერის გამომხატველი ცნებები: „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო“, „საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა“, „საქართველოს ეროვნული საბჭო“, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“.**

ეს იყო წინა ეპოქის დიდი ეროვნული მოძრაობის მონაპოვარი. სწორედ მას დაემყარა ქართული სახელმწიფოებრიობა 1918 წელს.

§ 2. წინააღმდეგობანი ეროვნული მოძრაობის შიგნით

XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგისათვის ეროვნული მოძრაობის თავკაცებში

ილია ჭავჭავაძე

ძირითადი საპროგრამო საკითხის ირგვლივ **თანხმობა** არსებობდა. **პირველი დასი**, იგივე **სამოციანელები**, იგივე **თერგდალეულები** არ უნდა წარმოვიდგინოთ მკაცრ ორგანიზაციულ-სანესდებო პრინციპებზე დამყარებულ მიმდინარეობად. **ეს იყო ერთი იდეის, ერთი პროგრამის განხორციელებისათვის მებრძოლ მოღვაწეთა დასი ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით.** ამ დასის საპროგრამო მოთხოვნების შემუშავებაში თავიდანვე გამოირჩეოდა სამი მოღვაწე: **ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე** და **გიორგი წერეთელი.** დასის პოლიტიკურ მიმართულებას სწორედ ისინი განსაზღვრავდნენ. ცხადია, ეს ოდნავაც არ აკნინებს სამოციანელთა სხვა ცნობილი წარმომადგენლების **დიმიტრი ყიფიანის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის** და სხვათა დამსახურებას.

გარკვეული წინააღმდეგობანი სამოციანელთა შიგნით თავიდანვე შეინიშნებოდა, მაგრამ მას ხელი არ შეუშლია ეროვნული მოძრაობის საპროგრამო მიმართულებების განსაზღვრაში. XIX საუკუნის 70-იან წლების დამდეგიდან **იდეურმა წინააღმდეგობებმა უფრო გამოკვეთილი, მწვავე ხასიათი მიიღო.** ილია ჭავჭავაძეს აშკარად დაუპირისპირდნენ ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი. მოგვიანებით მათ მიემხრო ახალგაზრდა სერგეი მესხი. რაში მდგომარეობდა სამოციანელებში დაწყებული იდეური უთანხმოების მიზეზები? შევჩერდებით უმთავრესზე.

1. უთანხმოება სამოციანელთა ბანაკში დაინყო ეროვნული მოძრაობის პროგრამაში სოციალური საკითხის ასახვასთან დაკავშირებით. რუსეთში, და მის კვალობაზე საქართველოში, ბატონობის გაუქმების შემდგომმა ეპოქამ, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებამ კიდევ უფრო მეტად გაამწვავა **სოციალური საკითხი.** რუსეთში ფართო გაქანება მიიღო ხალხოსნურმა მოძრაობამ. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სულ უფრო იკიდებდა ფეხს სოციალისტური მოძღვრების სხვადასხვა მიმდინარეობა, ძლიერდებოდა მუშათა მოძრაობა. ყოველივე ეს საქართველოში თავის გამოძახილს პოულობდა. **საქართველოში სოციალური საკითხი არ იდგა ისე მწვავედ როგორც რუსეთში, ან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, მაგრამ ცხადი იყო ისიც, რომ საქართველო ამ პროცესიდან განზე ვერ დარჩებოდა.** სოციალური საკითხი უცხო არ ყოფილა სამოციანელებისათვის, კერძოდ, ილია ჭავჭავაძისათვის. ილია ჭავჭავაძე აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოში ბატონყმობის გაუქმების წინა ხანებში, ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა ბატონისა და ყმის ურთიერთობის სამართლიანად მოგვარებაში. ილია ჭავჭავაძე, როგორც ოფიციალური პირი, ასევე აქტიურად მოღვაწეობდა ერთ-ერთი მწვავე სოციალური საკითხის – ხიზნების საკითხის – პრაქტიკულად გადაწყვეტაში. მწვავე სოციალური პრობლემების მოგვარება უხდებოდა ილია ჭავჭავაძეს დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობისას. სოციალურმა საკითხმა ასახვა ჰპოვა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. ამისი ნიმუშებია მისი „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ" (1860 წ.), „გლახის ნაამბობი" (1863 წ.), „გლეხთა განთავისუფლების პირველი სცენები" (1865 წ.), „1871 წელი, 23 მაისი" (1871 წ.) და სხვ. მიუხედავად ამისა, **ილია ჭავჭავაძე თვლიდა, რომ სოციალური საკითხის ასახვა ეროვნული მოძრაობის პროგრამაში და მით უმეტეს ბრძოლა მისი რეალიზებისათვის იმ ეტაპზე (XIX საუკუნის 60-80-იანი წლები) არ იყო მისაღები. სოციალურ საკითხზე აქცენტის გადატანა ზიანს მოუტანდა ეროვნულ მოძრაობას, გათიშავდა ერს და დაასამარებდა საერთო ნიადაგის შექმნის იდეას.** სხვაგვარად ფიქრობდნენ ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სერგეი მესხი. მათი აზრით, **ეროვნული საკითხი, ეროვნული მოძრაობის პროგრამის განხორციელება უმთავრესი იყო, მაგრამ**

ამასთან ერთად აუცილებელი იყო სოციალური საკითხისადმი მეტი ყურადღების დათმობა – ეროვნული მოძრაობის პროგრამაში სოციალური საკითხის ასახვა, ეროვნულთან ერთად სოციალური საკითხის გადაჭრისათვის ბრძოლა. წინაალმდეგ შემთხვევაში, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლისა და სერგეი მესხის აზრით თავისთავად ეროვნული მოძრაობის პროგრამის განხორციელება გახდებოდა შეუძლებელი, სოციალური საკითხის გადაჭრისათვის დაწყებული მოძრაობა თავის ადგილს მოითხოვდა ქართულ სინამდვილეში.

ილია ჭავჭავაძეს მტკიცედ სწამდა, რომ **სოციალური საკითხის სერიოზულად გამწვავებამდე ეროვნული მოძრაობა გარკვეულ ისტორიულ მიჯნამდე მივიდოდა – დასახულ პროგრამას განახორციელებდა.** სწორედ ამის გამო ილია ჭავჭავაძე პრინციპული წინაალმდეგი იყო ეროვნული მოძრაობის პროგრამაში სოციალური საკითხების შეტანისა და მით უმეტეს მისი განხორციელებისათვის ბრძოლის დაწყებისა.

2. უთანხმოება სამოციანელთა ბანაკში წარმოიშვა ეროვნული ბურჟუაზიის როლისა და ადგილის განსაზღვრისას. XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის არ არსებობდა **ქართული ეროვნული ბურჟუაზია.** მისი წარმოშობისათვის XIX საუკუნის პირველ ნახევარში ხელსაყრელი პირობა არ არსებობდა. ეროვნული ბურჟუაზიის წარმოშობისათვის ხელის შეწყობას არ ითვალისწინებდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკა. პირიქით, რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიზანი იყო უცხოტომელთა (ძირითადად სომხური) ბურჟუაზიის წახალისება. სომხური ბურჟუაზია თავიდანვე დაეუფლა პოზიციებს საქართველოში და ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, XIX საუკუნის 60-80-იან წლებში, კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით ეუფლებოდა საქართველოს ეკონომიკას. **ქართული ბურჟუაზიის პერსპექტივები არცთუ სახარბიელო ჩანდა.** ასეთ ვითარებაში ილია ჭავჭავაძე თვლიდა, რომ ეროვნული ბურჟუაზია საქართველოში ვერ შეასრულებდა ისეთსავე როლს, როგორსაც ასრულებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ანუ **ქართული ბურჟუაზია ვერ გახდებოდა ქვეყნის ეკონომიკის ბატონ-პატრონი.** გიორგი წერეთელი არ ეთანხმებოდა ილია ჭავჭავაძეს. 1872 წელს ჟურნალ „კრებულში" გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში იგი მიუთითებდა საქართველოში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩასახვაზე და ქვეყნის მომავალს მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას უკავშირებდა. **ილია ჭავჭავაძე საქართველოში ბურჟუაზიული ურთიერთობის სწრაფ განვითარებას არ ელოდა და ეროვნული მოძრაობის პერსპექტივებსაც ამ რეალობიდან გამომდინარე სახავდა.**

ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი თვლიდნენ, რომ არცთუ შორეულ მომავალში დასავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსად ბურჟუაზიული ურთიერთობები საქართველოშიც სწრაფად მოსპობდნენ ძველ სოციალურ და ეკონომიკურ წყობას, ქართული ეროვნული ბურჟუაზია გადამწყვეტ როლს შეასრულებდა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, გიორგი წერეთელი მიიჩნევდა, რომ ქართული არისტოკრატია (თავადაზნაურობა) ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარების კვალობაზე სულ უფრო უმნიშვნელო ძალად იქცეოდა. ქართული არისტოკრატიის როლის დაკნინებას 1873 წელს ჟურნალ „კრებულში" გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში გიორგი წერეთელი პროგრესულ მოვლენადაც კი მიიჩნევდა. **ეროვნული ბურჟუაზიის არარსებობის პირობებში ქართული არისტოკრატიის დაკნინება ილია ჭავჭავაძეს დამლუპველ მოვლენად მიაჩნდა.**

3. სამოციანელთა ბანაკში უთანხმოება გამოიწვია ქართველი ერისათვის სანიმუშო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის განსაზღვრამ. ნიკო ნიკოლაძემ და გიორგი წერეთელმა დაიწყეს დასავლეთ ევროპის ქვეყნების ცხოვრების გაიდეალება. გიორგი წერეთელი ახალგაზრდობას მოუწოდებდა ყველაფერი დასავლეთ ევროპიდან გადმოეღოთ. ილია ჭავჭავაძე არ იზიარებდა ასეთ მიდგომას. **ილია უცხო სამყაროდან შემოტანილ ყოველგვარ ღირებულებას დიდი სიფრთხილით ეპყრობოდა და მის ავკარგიანობას ქართულთან მიმართებაში განსაზღვრავდა.**

ამრიგად, სამოციანელთა ბანაკში საქართველოს უახლესი მომავლის ორგვარი ხედვა გამოიკვეთა. **ერთი საერთო აზრის შემუშავება შეუძლებელი გახდა.** ილია ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეებს დაუპირისპირდნენ ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სერგეი მესხი. მოგვიანებით (1894 წ.) მოღვაწეთა ამ ჯგუფს გიორგი წერეთელმა „**მეორე დასი**" უწოდა (XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ თაობას გიორგი წერეთელი „**პირველ დასად**" მიიჩნევდა).

მეორე დასი (ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი) ილია ჭავჭავაძესთან უთანხმოების შემდეგაც ერთგული დარჩა ეროვნული მოძრაობის პროგრამისა. სწორედ **ამიტომ მეორე დასი ეროვნული მოძრაობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.** ამიტომაც მეორე დასის ცალკე გამოყოფა და მისი პირველ დასთან დაპირისპირება გარკვეულწილად **გაუმართლებელია.** მეორედასელებს ხელი არ აუღიათ ეროვნული მოძრაობის იდეალებზე და ბოლომდე იბრძოდნენ მისი განხორციელებისათვის. **როგორც პირველი დასი (ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი), ისე მეორე დასი (ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი) საბოლოო მიზნად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდენას მიიჩნევდა.** მეორე დასის საპროგრამო მოთხოვნების შემდგომი დამუშავება და სრულყოფა არ მომხდარა. ორგანიზაციული თვალსაზრისითაც მეორე დასი არამყარი აღმოჩნდა. სერგეი მესხი 1883 წელს გარდაიცვალა. ნიკო ნიკოლაძე ჯერ ხალხოსნურმა იდეებმა გაიტაცა, ხოლო მოგვიანებით, როდესაც ფოთის ქალაქის თავად აირჩიეს, პრაქტიკულ საქმიანობაზე გადავიდა. რაც შეეხება გიორგი წერეთელს, მან გარკვეული მერყეობის შემდეგ, 1893 წელს გაზეთი „კვალი" დააარსა და ნაციონალ-სოციალიზმის (ეროვნული სოციალიზმის) იდეების ქადაგება დაიწყო. ილია ჭავჭავაძე და მისი ძველი თანამოაზრეები (პირველი დასი) კვლავ XIX საუკუნის 60-იან წლებში შემუშავებული პროგრამის ერთგულნი დარჩნენ და კვლავინდებურად ცდილობდნენ მის განხორციელებას.

XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან ეროვნული მოძრაობა უკვე შეცვლილ ვითარებაში განაგრძობდა არსებობას. ამ დროიდან აღმოცენებას იწყებდნენ სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობანი. ყოველ მათგანს თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა როგორც მთლიანად ეროვნულ მოძრაობასთან, ისე მის ცალკეულ წარმომადგენლებთან. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ **ეროვნული მოძრაობა ქართულ სინამდვილეში ვეღარ შეინარჩუნებდა იმ ყოვლისმომცველ მნიშვნელობას, რაც მას XIX საუკუნის 60-80-იან წლებში გააჩნდა.**

თავი VII.

XIX საუკუნის 60-80-იანი წლების რეფორმები

§ 1. ბატონყმობის გაუქმება რუსეთში

XIX საუკუნის შუა ხანებისათვის რუსეთი თავისი განვითარების დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. ჩამორჩენა განპირობებული იყო **ბატონყმური სისტემის** არსებობით. ეს განსაკუთრებით ცხადი გახადა ყირიმის ომში რუსეთის მარცხმა. ქვეყანა ძირეულ გარდაქმნებს საჭიროებდა. რუსეთის საზოგადოების ყველა ფენა იმედის თვალით შეჰყურებდა ალექსანდრე II-ს.

ალექსანდრე II საფუძვლიანად გაეცნო სოფლად შექმნილ მდგომარეობას ჯერ კიდევ მაშინ, როცა გლეხთა საკითხის გადასაწყვეტად შექმნილი ორი საიდუმლო კომიტეტის თავმჯდომარე იყო. ტახტზე ასვლის შემდეგ ალექსანდრე II დიდი ინტერესით ეკიდებოდა იმ პროექტების შესწავლას, რომელიც ბატონყმობის გაუქმების მომხრეებმა იმპერატორს წარუდგინეს. პირველად ბატონყმობის გაუქმების შესახებ ალექსანდრე II-მ საჯაროდ ისაუბრა 1856 წლის 30 მარტს. ამ დღეს მოსკოვის თავადაზნაურთა წარმომადგენლებთან შეხვედრაზე იმპერატორმა დაუფარავად განაცხადა, რომ მას სურდა **„გლეხებისათვის თავისუფლების მიცემა"**. იქვე იმპერატორმა აღიარა, რომ ბატონყმობის გაუქმებისათვის მზადება დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო, რადგან ამ სისტემის შენარჩუნება დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული. ალექსანდრე II თავადაზნაურობას არწმუნებდა, რომ უმჯობესი იყო ბატონყმობა გაუქმებულიყო **„ზემოდან"**, ვიდრე მოხდებოდა მისი გაუქმება **„ქვემოდან"**.

ალექსანდრე II

ბატონყმობის გაუქმების გადაწყვეტილების მიღება არ იყო ადვილი. თავადაზნაურული ოპოზიციის დაცხრომის მიზნით ალექსანდრე II-მ ბატონყმობის გაუქმების შესახებ პროექტების შემუშავება თვითონ თავადაზნაურებს დაავალა. თავადაზნაურობა თავისი ინტერესების დაცვის მიზნით აქტიურად ჩაება საგლეხო რეფორმის მოსამზადებელ სამუშაოებში.

1. თავადაზნაურობის პროექტები ბატონყმობის გაუქმების შესახებ. ალექსანდრე II-ის რეფორმატულ მოღვაწეობას, კერძოდ, ბატონყმობის გაუქმებას მხარს უჭერდა თავადაზნაურობის **ლიბერალური** ნაწილი. პირველ რიგში, სწორედ ლიბერალური თავადაზნაურობის წარმომადგენლებმა წარუდგინეს იმპერატორს პროექტები ბატონყმობის გაუქმების შესახებ. სულ 1856-1859 წლებში შედგა ასზე მეტი პროექტი. ამ პროექტების შესწავლისას გაირკვა, რომ თავადაზნაურობის აზრი სამად გაიყო.

არაშავმიწანიადაგიანი რეგიონების თავადაზნაურობის პროექტის მიხედვით, გლეხს უნდა მიეღო **პირადი თავისუფლება და მიწის ნაკვეთი (ნადელი)**, რომლითაც ის სარგებლობდა ბატონყმობის გაუქმებამდე. მიწის საფასური მემამულისათვის უნდა გადაეხადა გლეხს, ხოლო პირადი თავისუფლების საფასური – „ყველა წოდებას", ანუ რუსეთის მოსახლეობას.

შავმიწანიადაგიანი რეგიონების თავადაზნაურობის პროექტის მიხედვით, გლეხი იღებდა **პირად თავისუფლებას**, მაგრამ მემამულეთა საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო მიწის მაქსიმალურად დიდი რაოდენობა. **გლეხს იმდენი მიწა უნდა მიეღო, რომ ოჯახის გამოკვება შესძლებოდა.**

სტეპის რეგიონების თავადაზნაურობის პროექტის მიხედვით გლეხობას **პირად თავისუფლებასთან და მიწასთან** ერთად უნდა მიეღო **სამოქალაქო უფლებები.**

სამივე პროექტს აერთიანებდა ერთი მთავარი აზრი – **მემამულური მინათმფლობელობის შენარჩუნება.** არც ერთი პროექტი მემამულური მინათმფლობლობის ლიკვიდაციას არ ითვალისწინებდა.

2. საგლეხო რეფორმის მომზადება. საგლეხო რეფორმის მომზადება თავიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა. 1857 წელს ალექსანდრე II-მ საგლეხო რეფორმის შესამუშავებლად შექმნა **საიდუმლო კომიტეტი,** რომელმაც რეფორმის მომზადება ძალზე გააჭიანურა. ასეთ ვითარებაში ალექსანდრე II-მ გადაწყვიტა ბატონყმობის გაუქმების პროექტები ცალკეულ გუბერნიებში მომზადებულიყო, რათა ყოფილიყო გათვალისწინებული თავადაზნაურობის აზრი.

დიდი მუშაობა მიმდინარეობდა **გლეხთა საკითხის მთავარ კომიტეტში.** 1859 წელს მთავარ კომიტეტთან შეიქმნა **სარედაქციო კომისია,** რომელსაც დაევალა საგუბერნიო კომიტეტების მიერ წარდგენილი პროექტების შესწავლა და საერთო კანონპროექტის მომზადება.

1859 წლის აგვისტოსთვის **„გლეხთა შესახებ დებულების"** პროექტი უკვე მზად იყო. განხილვის პროცესში პროექტმა გარკვეული ცვლილებები განიცადა. **სარედაქციო კომისიამ** შესწორებული პროექტი 1860 წლის ოქტომბერში **გლეხთა საკითხი მთავარ კომიტეტში წარადგინა,** სადაც მისი განხილვა 1861 წლის იანვრამდე მიმდინარეობდა. 1861 წლის 28 იანვარს პროექტი **სახელმწიფო საბჭოს გადაეცა.** სახელმწიფო საბჭოს სხდომის გახსნისას ალექსანდრე II-მ განაცხადა, რომ რეფორმის **„ყოველი შემდეგი შეფერხება შეიძლება დამღუპველი გახდეს სახელმწიფოსათვის".** 1861 წლის 16 თებერვალს სახელმწიფო საბჭოში დასრულდა **„ბატონყმური დამოკიდებულებიდან გამოსული გლეხების შესახებ დებულების"** განხილვა. 1861 წლის 19 თებერვალს ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა დებულებას. იმპერატორმა დაამოწმა მეორე დოკუმენტიც – **მანიფესტი ბატონყმობის გაუქმების შესახებ.** მანიფესტისა და დებულების გამოქვეყნებას ერთი თვე დასჭირდა. პეტერბურგსა და მოსკოვში მანიფესტი და დებულება 1861 წლის 5 მარტს გამოქვეყნდა, გუბერნიებში კი 2 აპრილამდე გაგრძელდა.

3. 1861 წლის 19 თებერვლის „დებულება". 1861 წლის 19 თებერვლის **„დებულება ბატონყმური დამოკიდებულებიდან გამოსული გლეხების შესახებ",** 17 საკანონმდებლო აქტისაგან შედგებოდა. „დებულება" ვრცელდებოდა რუსეთის 45 გუბერნიაზე (ამიერკავკასიის გუბერნიები მათ რიცხვში არ შედიოდა), სადაც 100.428 მემამულე და 22. 563. 000 სული გლეხი ცხოვრობდა.

1861 წლის 19 თებერვლის „დებულებით" ბატონყმობის გაუქმება ერთბაშად არ მომხდარა. გლეხთა განთავისუფლება ხანგრძლივი პროცესი იყო, რომელიც ოც წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. **ალექსანდრე II-ის 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტის გამოქვეყნებისთანავე ყმა გლეხებს თავისუფლება არ მიუღიათ.** „დებულებაში" აღნიშნული იყო, რომ გლეხი ორი წლის მანძილზე, ე. ი. 1863 წლის 19 თებერვლამდე, ვალდებული იყო მემამულის მიმართ კვლავ შეესრულებინა ზოგიერთი მოვალეობა. უქმდებოდა მხოლოდ მძიმე სამუშაო.

ბატონყმობისაგან გლეხის გათავისუფლება მაშინ მოხდებოდა, როცა გლეხი მემამულისაგან **მიწას გამოისყიდდა.** ყმა გლეხი **პირად თავისუფლებას** ალექსანდრე II-ის 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტით დაუყოვნებლივ იღებდა, მაგრამ მიწის გამოსყიდვა იყო რთული პროცესი. „დებულებაში" განსაზღვრული არ იყო ის ვადა, თუ როდის უნდა დამთავრებულიყო მიწის გამოსყიდვა. აღნიშნული იყო მხოლოდ, რომ გლეხს მიწის გამოსყიდვა შეეძლო „დებულების" გამოქვეყნებისთანავე. გამოსყიდვა ხორციელდებოდა ან მემამულისა და გლეხის შეთანხმებით, ან მხოლოდ მემამულის სურვილით. **გლეხს არ შეეძლო მიწა გამოესყიდა მხოლოდ საკუთარი სურვილით, მემამულის თანხმობის გარეშე.**

ალექსანდრე II-ის 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტით, როგორც აღვნიშნეთ, ყმა გლეხი პირად თავისუფლებას იღებდა დაუყოვნებლივ. ეს იყო უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენა. **ყმა გლეხი ხდებოდა მოქალაქე.** მას შეეძლო თავისი სახელით გამოსულიყო



ტფილისის ქარვასლა

სასამართლოში, დაედო სხვადასხვა სახის ხელშეკრულება, გაეხსნა სამრეწველო საწარმო და სავაჭრო დაწესებულება, გადასულიყო სხვა სოციალურ წოდებაში და ა. შ. ყოველივე ეს გლეხს აძლევდა ფართო გასაქანს და იმის უფლებას, რომ თავისი ნიჭი და შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოეყენებინა.

საგლეხო რეფორმის გატარების პროცესში ცენტრალური ადგილი ეკავა **მიწის** საკითხს. „დებულების" მიხედვით, მემამულის პირად საკუთრებად ცხადდებოდა **მთელი მიწა (საკუთრივ მამულიცა და გლეხთა ნადელიც)**, გლეხს მხოლოდ **სანადელო მიწით** სარგებლობის უფლება ჰქონდა. ნადელი, რომლითაც გლეხი ბატონყმობის გაუქმებამდე სარგებლობდა, გლეხის **პირადი საკუთრება** გახდებოდა მემამულისაგან მისი **გამოსყიდვის** შემდეგ.

გლეხისათვის პირად საკუთრებაში გადასაცემი მიწის (ნადელის) რაოდენობა განისაზღვრებოდა ადგილობრივი ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით. ამის გამო ევროპული რუსეთის მთელი ტერიტორია სამ სარტყლად გაიყო: **შავმიწანიადაგიანი, არაშავმიწანიადაგიანი** და **სტეპის**. ყოველი სარტყელი თავისთავად იყოფოდა ერთმანეთისაგან განსხვავებულ ზონებად. შავმიწანიადაგიან და არაშავმიწანიადაგიან სარტყელში დადგინდა გლეხებისათვის გადასაცემი მიწის (ნადელის) „**უმაღლესი**" და „**უდაბლესი**" ნორმა („უდაბლესი" ნორმა „უმაღლესის" ერთი მესამედი უნდა ყოფილიყო). სტეპის ზონაში **ერთი ნორმა** იყო დადგენილი. „დებულება" ითვალისწინებდა მემამულის სასარგებლოდ გლეხისათვის გადასაცემი ნადელის შემცირებას. კერძოდ, **თუ გლეხის ნადელი ანუ ის მიწა, რომლითაც გლეხი სარგებლობდა ბატონყმობის გაუქმებამდე, აღემატებოდა დადგენილ „უმაღლეს" ნორმას, მაშინ გლეხს გამოსასყიდად გადაეცემოდა არა მთელი ნადელი, არამედ მისი ნაწილი, ე. ი. ნადელიდან რაღაც ნაწილი ჩამოეჭრებოდა. „დებულება" გლეხის ნადელზე მიწის მიმატებასაც ითვალისწინებდა. თუ გლეხის ნადელი, ანუ მიწა, რომელსაც გლეხი ბატონყმობის გაუქმებამდე ფლობდა, ნაკლები იყო დაწესებულ „უდაბლეს" ნორმაზე, მაშინ გლეხის ნადელისათვის იმდენი მიწა უნდა მიემატებინათ, რომ იგი დაწესებულ „უდაბლეს" ნორმას ასცილებოდა.** გლეხის ნადელიდან **ჩამოჭრილი** მიწების („ე. წ. ჩამონაჭრების") რაოდენობა გაცილებით მეტი იყო ნადელებისათვის **მომატებულ** მიწებთან შედარებით. ზოგიერთ გუბერნიაში გლეხებს ჩამოაჭრეს მთელი ნადელების 40-65 %, მაშინ როცა მიუმატეს – 3-15%. საერთო ჯამში, **„უმაღლესი" და „უდაბლესი" ნორმის დადგენით მემამულეებმა ისარგებლეს – ჩამონაჭრების სახით ბევრი მიწა წაართვეს გლეხობას.** მემამულეებმა მიწა გლეხებს სხვა გზითაც წაართვეს. კერძოდ, „დებულების" ძალით, თუ მემამულის ის მიწა, რომელიც გლეხებით არ იყო დასახლებული (ე. ი. საკუთრივ მამული), აღმოჩნდებოდა გლეხებით დასახლებული მიწის საერთო რაოდენობის ერთ მესამედზე ნაკლები, მაშინ **მემამულეს კომპენსაცია გლეხთა ნადელიდან მიწის ჩამოჭრის ხარჯზე უნდა მიეღო.** გლეხების მდგომარეობას ამძიმებდა არა მარტო ჩამონაჭერი მიწების რაოდენობა, არამედ ისიც, რომ ჩამოჭრილ მიწებში მეტწილად საუკეთესო ხვდებოდა. **„დებულებით" მეცირემინიან მემამულეებს უფლება ჰქონდათ გლეხის ნადელისათვის მიწა არ მიემატებინათ იმ შემთხვევაშიც, თუ ეს ნადელი „უდაბლეს" ნორმაზეც კი ნაკლები იყო.**

მიწის (ნადელის) გამოსყიდვის შემდეგ გლეხი ილებდა **„მესაკუთრე გლეხის"** თანრიგს. ამის მიუხედავად, გამოსყიდვის შემდეგ, მიწა გადადიოდა არა **გლეხის პირად საკუთრებაში,** არამედ იმ სასოფლო თემის საკუთრებაში, რომელსაც გლეხი ეკუთვნოდა. **მიწის სათემო საკუთრება გამორიცხავდა გლეხის მიერ მისი კუთვნილი ნადელის გაყიდვას.** გლეხს მისი ნადელი იჯარით შეეძლო გაეცა მხოლოდ იმავე სასოფლო თემის ფარგლებში.

1861 წლის საგლეხო რეფორმის ძალით სულ მამრობითი სქესის 10 მილიონმა გლეხმა მიიღო

33,7 მილიონი დესეტინა მინა, მემამულეებმა კი შეინარჩუნეს 2,5-ჯერ მეტი მინა. მამრობითი სქესის 1,3 მილიონი გლეხი პრაქტიკულად უმიწოდ დარჩა.

„დებულების" მიხედვით, მინის გამოსყიდვის შემდეგ **გლეხს თემიდანაც შეეძლო გასვლა**, მაგრამ ეს პროცესი ძალზე გაძნელებული იყო. ამ შემთხვევაში გლეხს მემამულისათვის ერთი წლით ადრე უნდა გადაეხადა ღალა, გადაეხადა სახელმწიფო და სხვა სახის გადასახადები, ასევე წინა წლებიდან დარჩენილი გადასახადები, ეს კი საკმაოდ ძნელი იყო.

1861 წლის 19 თებერვლიდან, სანამ მინას გლეხი გამოისყიდდა, **დროებით ვალდებულებად** ითვლებოდა. დროებითი ვალდებულების პერიოდში გლეხი კვლავ იხდიდა **ღალას**, ასრულებდა **ბეგარას**. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ამჯერად ღალისა და ბეგარის რაოდენობა კანონით მკაცრად იყო განსაზღვრული. რეფორმამდე არსებული ღალის რაოდენობის გაზრდა მემამულეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუ გლეხს ნადელს (მინის ნაკვეთს) გაუზრდიდა.

საგლეხო რეფორმის დამაგვირგვინებელ ეტაპს წარმოადგენდა გლეხის მიერ მემამულისაგან მინის გამოსყიდვა. 1861 წლის 19 თებერვლის „დებულებას" არ დაუდგენია, თუ როდის უნდა დამთავრებულიყო გამოსყიდვა. **ლიტვის, ბელორუსიისა და დნეპრის მარჯვენა ნაპირის უკრაინის გუბერნიებში** სპეციალური ბრძანებით მინის გამოსყიდვა აუცილებლად უნდა დამთავრებულიყო 1863 წლამდე. დანარჩენ 36 გუბერნიაში მინის გამოსყიდვის პროცესი ოც წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. 1881 წლისათვის მინა კვლავ გამოსასყიდი ჰქონდა გლეხთა 15%-ს. 1881 წელს გამოვიდა კანონი, რომლის ძალითაც 1883 წლიდან გლეხების მიერ მინის გამოსყიდვა **სავალდებულო** გახდა. გამოსყიდვა საბოლოოდ 1885 წელს დასრულდა.

მინის გამოსყიდვის პროცესში გლეხების მიერ **გადასახდელი ფასი** გაუტოლეს **რეალურ**, ე. ი. **საბაზრო ფასს**. მინა ძალზე ძვირი ღირდა, გლეხთა აბსოლუტური უმრავლესობა მინის მთელ ღირებულებას ერთბაშად ვერ გადაიხდიდა, ამიტომ **გამოსყიდვის ორგანიზება თავის თავზე აიღო სახელმწიფომ (ფინანსთა სამინისტრომ)**. ფინანსთა სამინისტრო ან ნაღდი ფულით, ან პროცენტინი ფასიანი ქაღალდებით მემამულეს გლეხის ნაცვლად უხდიდა ყოველ გლეხზე გამოსყიდული მინის საერთო ღირებულების 80%-ს. დარჩენილ 20%-ს გლეხი პირადად უხდიდა მემამულეს. სახელმწიფოს მიერ მემამულისათვის გლეხის ნაცვლად გადახდილი მინის ღირებულების 80-% წარმოადგენდა **გლეხისათვის მიცემულ გრძელვადიან სესხს** ყოველწლიური 6%-იანი დანარიცხით. ეს სესხი გლეხობას უნდა დაეფარა 49 წლის განმავლობაში. სინამდვილეში კი, მთლიანი სესხი გლეხობამ სახელმწიფოს 1907 წლისათვისაც ვერ დაუბრუნდა. **1907 წელს ხელისუფლებამ გლეხობას დარჩენილი თანხა აპატია**. სულ 1862 წლიდან 1907 წლამდე გლეხობამ სახელმწიფოს საბანკო პროცენტის ჩათვლით გადაუხადა 1 მილიარდ 540 მილიონი მანეთი.

საგლეხო რეფორმა იყო **ძალზე რთული პროცესი**, რომელიც ხელისუფლების მიერ **კარგად იყო ორგანიზებული**. მიუხედავად ამისა, **ბატონყმობის გაუქმებას არ შეიძლებოდა უმტკივნეულოდ ჩაევლო**. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ 1861-1862 წლებში ადგილი ჰქონდა გლეხთა სტიქიურ გამოსვლებს. თუმცა მათ ხელი ვერ შეუშალეს რეფორმების გატარებას.

საბატონო გლეხების განთავისუფლების შემდეგ გატარდა რეფორმა, რომელიც **საუფლისწულო** და **სახელმწიფო** გლეხობას შეეხო. 1863-1865 წლებში მიწის გამოსყიდვის უფლება მიიღეს საუფლისწულო გლეხებმა. 1866 წელს გამოვიდა კანონი სახელმწიფო გლეხების მიწათმოწყობის შესახებ, თუმცა მიწის გამოსყიდვის რეალური უფლება მათ მხოლოდ 1866 წელს მიეცათ.

საგლეხო რეფორმა გვიან გატარდა **ამიერკავკასიასა** და **ბესარაბიაში**. კერძოდ, საქართველოში საგლეხო რეფორმა დაიწყო 1864 წელს და დამთავრდა 1871 წელს. **აზერბაიჯანსა** და **სომხეთში** საგლეხო რეფორმა 1870 წელს გატარდა. ამიერკავკასიაში გლეხების მიერ მიწის გამოსყიდვა სავალდებულო გახდა მხოლოდ 1912-1913 წლებში. ბესარაბიაში საგლეხო რეფორმა დაიწყო 1868 წელს. გლეხების მიერ მიწის გამოსყიდვა აქ სავალდებულო 1888 წელს გახდა.

1861 წლის საგლეხო რეფორმა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო. რეფორმამ ხელი შეუწყო ფეოდალური ურთიერთობების მოსპობას და ბურჟუაზიული წყობილების ჩამოყალიბებას. მომდევნო პერიოდში რუსეთის იმპერიის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული წინსვლა ძირითადად ბატონყმობის გაუქმებით იყო განპირობებული.

ალექსანდრე II

§ 2. ბატონყმობის გაუქმება საქართველოში

რუსეთის საიმპერატორო კარი არ ჩქარობდა ქვეყნის განაპირა მხარეებში რეფორმის გატარებას. მიუხედავად ამისა, იგი ამიერკავკასიის მმართველობას თავიდანვე საქმის კურსში აყენებდა და მასაც ურჩევდა, ფრთხილად მოესინჯა ადგილობრივი თავადაზნაურობის დამოკიდებულება ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებით.

რეფორმისათვის მზადება კავკასიის სამეფისნაცვლოში დაიწყო 1861 წლის მარტში და სამ წელიწადს გაგრძელდა. რეფორმის ასეთი დაგვიანებით გატარებას ჰქონდა თავისი ობიექტური მიზეზები: **პირველი.** ქვეყანა იმყოფებოდა კოლონიურ მდგომარეობაში; **მეორე.** კავკასიის ადმინისტრაცია არ იყო მზად ბატონყმობის გასაუქმებლად; **მესამე.** უნდა ჩატარებულიყო წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები, კერძოდ გამიჯნულიყო თავადაზნაურთა სამფლობელოები, დადგენილიყო მიწების რაოდენობა; დადგენილიყო ყმათა რაოდენობა და ა. შ.

1861 წლის 29 მარტს კავკასიის მეფისნაცვალმა **ალექსანდრე ბარიატინსკიმ** მთავარმმართველობის უფროსს კრუზენშტერნს აუწყა იმპერატორის დავალება, **სასწრაფოდ შესდგომოდნენ იმ წესების შემუშავებას, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა გლეხთა განთავისუფლება.** მეფისნაცვალი აღნიშნავდა, რომ ბატონყმობის გაუქმების მოსამზადებლად ამიერკავკასიის გუბერნიების იმ მაზრებში, სადაც ბატონყმობა არსებობდა, უნდა შექმნილიყო **სამაზრო კომიტეტები,** ტფილისში კი – **ამიერკავკასიის ცენტრალური საგლეხო კომიტეტი.**

სამაზრო კომიტეტების ხელმძღვანელებად ინიშნებოდნენ სათანადო მაზრის **თავადაზნაურთა წინამძღოლები,** ალექსანდრე ბარიატინსკის ბრძანებით ამიერკავკასიის ცენტრალური საგლეხო კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ალექსანდრე ქავქავაძის სიძე **ბარონი** ნიკოლაი. ნევრებად დაინიშნენ: **ივანე მუხრანბატონი, დიმიტრი ყიფიანი, რევაზ ანდრონიკაშვილი, გიორგი მუხრანბატონი, ანდრია ფადეევი, იაგორ სტარიცკი, იული ვიტე, დავით ქავქავაძე, კონსტანტინე ბოგდანოვ-კალინსკი, კონსტანტინე ორლოვსკი, ნიკოლოზ ბარანოვსკი.** საქმეთა მმართველად – **მიხეილ თუმანიშვილი.**

სამაზრო კომიტეტებს ექვსი თვის ვადაში უნდა შეესწავლათ მემამულეებსა და მათ გლეხებს შორის არსებული ურთიერთობანი და შეემუშავებინათ თავიანთი მოსაზრებანი საგლეხო რეფორმის შესახებ. შემდგომში სამაზრო კომიტეტის მოსაზრებებით ისარგებლებდა **ცენტრალური საგლეხო კომიტეტი** და საბოლოოდ ჩამოაყალიბებდა რეფორმის პრო-



ალექსანდრე ბარიატინსკი

ექტს. ქართველი თავადაზნაურობა არ ეთანხმებოდა მთავრობის გადაწყვეტილებას გლეხთა განთავისუფლების შესახებ. მან თავისი უკმაყოფილება გამოხატა რეფორმის მოსამზადებელი პერიოდის ხელოვნური გახანგრძლივებით. ბოლოს ქართველმა თავადაზნაურობამ მოითხოვა აღნიშნული საკითხები განხილულიყო არა კომიტეტში, არამედ **გუბერნიების თავადაზნაურთა ყრილობაზე.**

ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ყრილობა გაიხსნა ტფილისში 1862 წლის 25 აპრილს. ყრილობაზე თავადაზნაურობამ შეიმუშავა ის ძირითადი დებულებანი, რომელთა საფუძველზედაც უნდა მომზადებულიყო საგლეხო რეფორმის პროექტი. თავადაზნაურობა ითხოვდა: ყმების თავისუფლების სანაცვლოდ **ფულად კომპენსაციას** (სულზე – 100 მანეთი). გლეხს შეეძლო **პირადი საკუთრებით** (სახლ-კარი, კარ-მიდამო), ასევე **საერთო სარგებლობის** ტყით, წყლით და საძოვრით სარგებლობა, თუკი იგი **მინით სარგებლობის გადასახადს** გადაიხდიდა და შეასრულებდა **ბეგარას,** რომელიც რეფორმამდეც არსებობდა. ეს წესი უნდა დარჩენილიყო იმ დრომდე, სანამ თავადაზნაურობა და გლეხობა თვითონ არ მორიგდებოდა.

პროექტის შემდგენელად და ყრილობაზე მომხსენებლად დასახლებული იქნა **დიმიტრი ყიფიანის** კანდიდატურა, რამაც თავადაზნაურობის ზოგიერთი წარმომადგენლის უკმაყოფილება გამოიწვია. კერძოდ, მონინააღმდეგეთა შორის იყვნენ ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი **ალექსანდრე ორბელიანი, ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი** და თვით მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი **გრიგოლ ორბელიანი.** ისინი თავიანთი ღირსების შელახვად მიიჩნევდნენ იმას, რომ ასეთი მნიშვნელოვანი საქმე აზნაურ დიმიტრი ყიფიანს შეესრულებინა. მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, ხმათა უმრავლესობით ყრილობამ დიმიტრი ყიფიანის კანდიდატურას მაინც მხარი დაუჭირა.

ყრილობამ დიმიტრი ყიფიანს დაავალა მაზრების თავადაზნაურთა ყველა წინადადებისა და სურვილის საფუძველზე **საერთო საგუბერნიო პროექტის** უმოკლეს ვადებში წარმოდგენა.

დიმიტრი ყიფიანი

დიმიტრი ყიფიანმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი საგლეხო რეფორმის პროექტის შემუშავებას. მან ქართლ-კახეთის 240 მემამულეს დაუგზავნა ინსტრუქციის სახით შემუშავებული შეკითხვა, რათა გამოეთქვათ თავიანთი შეხედულება, თუ როგორ უყურებდნენ ბატონყმობის გაუქმებას.

240 მემამულის მიერ გამოთქმული შეხედულებებისაგან დიმიტრი ყიფიანმა ჩამოაყალიბა – ე. წ. **„შეკრება ოცდა ერთი ჰაზრისა“**. აღნიშნული დოკუმენტი საფუძვლად დაედო დიმიტრი ყიფიანის მიერ მომზადებულ იმ ვრცელ მოხსენებას, რომელიც აქტიურად იხილებოდა თავადაზნაურთა საგუბერნიო ყრილობაზე (1863 წლის 27 აპრილი – 7 ივნისი). ყრილობას დაესწრო 552 მემამულე. 536 მემამულემ მოიწონა და მხარი დაუჭირა ე. წ. **„უმრავლესობის პროექტს“**. დარჩენილმა 16 მემამულემ (გრიგოლ ორბელიანმა, ჯამბაკურ ორბელიანმა, ივანე ორბელიანმა, გრიგოლ ერისთავმა, დიმიტრი ვეზიროვმა და სხვ.) წარმოადგინა განსაკუთრებული შეხედულება, ე. წ. **„უმცირესობის პროექტი“**. საკუთარი მოსაზრებებით ცალ-ცალკე გამოვიდნენ **ივანე მუხრან-ბატონი** და **ნიკო ჭავჭავაძე.** აღსანიშნავია, რომ ნიკო ჭავჭავაძის მოსაზრებას იზიარებდნენ **დიმიტრი ჯორჯაძე, რევაზ ჯორჯაძე, კონსტანტინე მამაცაშვილი, რევაზ ვაჩნაძე** და **დიმიტრი ფურცელაძე.**

„უმრავლესობის პროექტი“. პროექტის ძირითადი დებულებების შესავალში დიმიტრი ყიფიანი აღნიშნავდა, რომ ქართველი თავადაზნაურობა მსხვერპლს იღებს და ყმა-გლეხობას ანიჭებს თავისუფლებას. ეს თავისუფლება გამოიხატებოდა შემდეგში: გლეხობას ენიჭებოდა **პირადი თავისუფლება,** რომლის

საკომპენსაციოდ მთავრობას ფული უნდა გაეღო: მამრობითი სქესის წარმომადგენელზე 100 მანეთი, მდედრობითი სქესის წარმომადგენელზე 50 მანეთი, ანუ კომლზე საშუალოდ 400 მანეთი.

გლეხთა უმიწოდ განთავისუფლების აუცილებლობას უმრავლესობა ხსნიდა შემდეგი გარემოებებით: **პირველი.** იშვიათად თუ მოიძებნებოდა მიწა, რომელზედაც დავა არ ყოფილიყო, თუ დავას მემამულე წააგებდა. გამოდიოდა რომ იგი უმიწოდ რჩებოდა; **მეორე.** ზოგი მემამულე იმდენად მცირემიწიანი იყო, რომ გლეხის მიერ დაკავებული მიწის დათმობის შემდეგ იგი სრულიად უმიწოდ დარჩებოდა; **მესამე.** მემამულეთა საუკეთესო მიწები გლეხთა სარგებლობაში იყო. თუ გლეხები დამაგრდებოდნენ ამ მიწებზე, მემამულენი უმიწოდ დარჩებოდნენ; **მეოთხე.** თუ მიწები გადაეცემოდათ გლეხებს საკუთრებაში, მაშინ მემამულეთ სხვა რა დარჩებოდათ, გარდა იმისა, რომ აიღო მოგზაურის ჯოხი და ეძებნა პური არსებობისთვისო.

ამრიგად, უმრავლესობის პროექტის მიხედვით გლეხი უმიწოდ თავისუფლდებოდა, იგი ხიზნის მდგომარეობაში გადადიოდა. გლეხს მემამულის მიწით უნდა ესარგებლა და ამისათვის ფულადი და ნატურით გადასახადის გადახდასთან ერთად უნდა შეესრულებინა შრომითი ბეგარაც.

„უმცირესობის პროექტი" არსებითად არ განსხვავდებოდა უმრავლესობის პროექტისაგან. უმნიშვნელო დათმობა კი გლეხთა სასარგებლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ პროექტის ავტორები **გლეხის უფლებას აღიარებდნენ ყოველივე იმაზე, რაც მას საკუთარი ალალი შრომით ჰქონდა შეძენილი და შექმნილი.** კერძოდ: სახლები, სამეურნეო ნაგებობები, ბაღები, ვენახები, ნარგავები იმ მიწის გამორიცხვით, რაზედაც ისინი იყო აგებული და გაშენებული. ასევე შინაური საქონელი, სასოფლო-სამეურნეო იარაღი და მოძრავი ქონებაც გლეხებს უნდა გადასცემოდა სამუდამო სარგებლობაში. **მიწა და სხვა ადგილ-მამული კი მემამულეთა საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო.**

კიდევ უფრო კონსერვატიული ხასიათის მოსაზრება წარმოადგინა **ივანე მუხრან-**

ნიკო ჭავჭავაძე

ბატონმა. მან არა თუ უარყო გლეხებისათვის მიწების გადაცემა, იგი **ყმების მიერ მიწების გამოსყიდვის წინააღმდეგაც** კი წავიდა. ივანე მუხრან-ბატონის პროექტის მიხედვით, გლეხებს შეეძლოთ **გადასახლებულიყვნენ ყოფილ მებატონეთა მიწებიდან,** წაეღოთ მხოლოდ მოძრავი ქონება და გაეყიდათ თავიანთი შრომით მოწეული. მემამულეთა მიწაზე მცხოვრები გლეხები უნდა გადაქცეულიყვნენ მემკვიდრეობით **მოიჯარეებად.**

თავადაზნაურთა პროგრესული ნაწილის ლიბერალური შეხედულებები აისახა **ნიკო ჭავჭავაძისა** და **კონსტანტინე მამაცაშვილის** მიერ წარმოდგენილ პროექტებში.

ტფილისის გუბერნიის მოსამართლე **ნიკო ჭავჭავაძე** აცხადებდა, რომ **„პირადი ან ქონებრივი თავისუფლების გარეშე არ არის და არც შეიძლება იყოს თავისუფლება".** აქედან გამომდინარე, მას მიაჩნდა, რომ **გლეხებს პირად თავისუფლებასთან ერთად უნდა მიეღოთ მიწა.** ნიკო ჭავჭავაძე, სხვა მემამულეებისაგან განსხვავებით, მთავრობას ურჩევდა დაემკვიდრებინა **მიწების გამოსყიდვის წესი,** რომელიც სავალდებულო იქნებოდა, როგორც მემამულეებისათვის, ასევე გლეხებისათვის. მემამულეებს უნდა მიეღოთ **ფულადი ანაზღაურება** მიწის საფასურის მიხედვით, სამა-

კონსტანტინე მამაცაშვილი

ილია ჭავჭავაძე

გიეროდ კი გლეხებისათვის გადაეცათ იმ **მინ-ბის მესამედი**, რომელსაც ისინი ფლობდნენ.

გლეხის მიწიანად განთავისუფლების მომხრე იყო გორელი თავადი, გენერალი **კონსტანტინე მამაცაშვილიც**. იგი თავის მოსაზრებას ასაბუთებდა შემდეგი გარემოებით: **მიწიანად გლეხის განთავისუფლება მეურნეობას უფრო რენტაბელურს გახდიდა და ხელს შეუშლიდა პროლეტარიატის, როგორც ნესრიგისა და მშვიდობიანობის მტრის, ჩამოყალიბებას.** ამავე დროს კონსტანტინე მამაცაშვილი ხაზს უსვამდა წმინდა პატრიოტულ მომენტსაც. ადამიანი, რომელსაც ქვეყანაში ადგილ-მამული არ ჰქონდა, ვერ დაინტერესდებოდა ქვეყნის ბედითა თუ უბედობით.

ქართველი თავადაზნაურობის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი და საგუბერნიო ყრილობაზე განხილული პროექტები, როგორც სამუშაო მასალა, გადაეცა **ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტს.** სწორედ ამ ოფიციალურ დაწესებულებაში უნდა გაგრძელებულიყო მუშაობა რეფორმის პროექტის შესახებ. 1864 წლის თებერვალში ამიერკავკასიის ცენტრალურმა საგლეხო კომიტეტმა, თავადაზნაურობისა და ხელისუფლების ინტერესების გათვალისწინებით შეიმუშავა ე. წ. **„წინასწარი პროექტი“**. პროექტისათვის საბოლოო სახის მიცემამდე მეფისნაცვალმა საჭიროდ ჩათვალა, კვლავ საქმის კურსში ჩაეყენებინა მსხვილი მემამულეები. 35 მათგანს „პროექტის ასლი“ საგანგებოდ გაუგზავნეს გასაცნობად და აზრის გამოსათქმელად.

„წინასწარი პროექტის“ ავტორები ძირითადად ხელმძღვანელობდნენ რუსეთში 1861 წლის 19 თებერვლის დებულებით. ქართველი მემამულეების „მტკიცე პოზიციის“ შედეგად, ხელისუფლება იძულებული გახდა მცირე დათმობაზე წასულიყო მათ მიმართ და რეფორმა საქართველოში მემამულეთათვის უფრო ხელსაყრელ პირობებში განეხორციელებინა, ვიდრე ეს რუსეთში მოხდა.

1864 წლის 6 აპრილს ამიერკავკასიის მთავარი საგლეხო კომიტეტის დებულების წინაალმდეგ **„კრიტიკული შენიშვნებით“** გამოვიდა **ილია ჭავჭავაძე**. იგი ამხელდა პროექტის ბატონყმურ ხასიათს და საჭიროდ მიიჩნევდა მის ძირფესვიანად შეცვლას. ილია გმობდა პროექტის იმ მუხლებს, რომლებიც აკანონებდნენ **გლეხთა დროებით ვალდებულებას, დროებით ვალდებულთათვის ძველი სახით ყველა საბატონო გადასახადისა და ვალდებულების დატოვებას; ჩამონაჭრების მემამულეთათვის გადაცემას; ტყითა და საძოვრებით სარგებლობის შესახებ გლეხთა ადრინდელი უფლებების შეზღუდვას და ა. შ.**

კავკასიის ხელისუფლებამ ილია ჭავჭავაძის „კრიტიკული შენიშვნები“ არ გაითვალისწინა და ტფილისის გუბერნიაში გლეხთა მოწყობის საკუთარი პროექტი წარუდგინა რუსეთის იმპერატორს.

1864 წლის 13 ოქტომბერს ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა შემდეგ ძირითად დებულებებს: **პირველი.** დამატებითი წესები ბატონყმობიდან გამოსულ გლეხთა შესახებ ტფილისის გუბერნიაში; **მეორე.** დებულება მემამულეთა მიწაზე მოსახლე გლეხთა მიწათმოწყობის შესახებ; **მესამე.** წესები გლეხთა საზოგადოების მოწყობისა და მათ მიერ სახაზინო, საერობო და სასოფლო ბეგარა-გადასახადების გალების შესახებ.

1864 წლის 8 ნოემბერს **ტფილისში** და ტფილისის გუბერნიის სამაზრო ქალაქებში: **გორში, თელავში, დუშეთში, სიღნაღში** ხელისუფლების წარმომადგენლებმა საზეიმოდ გამოაცხადეს **ბატონყმობის გაუქმება**.

ტფილისში **ლუნიბის მოედანზე** საგანგებოდ შეკრიბეს თავადაზნაურთა წარმომადგენლები, სოფლის მამასახლისები და გლეხებისგან შერჩეული პირები, რომელთაც „ხელმწიფის წყალობა“ პირადად მეფისნაცვალმა მიულოცა. ლონისძიებისათვის მეტი პომპეზურობის მისაცემად იმ დღეს მეტეხიდან რუსულმა ქვემეხებმა 101 გასროლა მოახდინეს.

1864 წლის 13 ოქტომბრის დებულებით ბატონყმობა იმ გლეხებისათვის, რომელნიც დასახლებულნი იყვნენ მემამულეთა მიწებზე და შინა მოსამსახურეებისათვის **სამუდამოდ უქმდებოდა. გლეხებს ენიჭებოდათ პირადი თავისუფლება და თავისი ქონების მოხმარების უფლება; მემამულეებს აღარ შეეძლოთ გლეხის ყიდვა-გაყიდვა, მის პირად ცხოვრებაში ჩარევა; გლეხს ამიერიდან შეეძლო სოფლის დატოვება და ვაჭრობა-მრეწველობაში ჩაბმა; გლეხს უფლება მიეცა, ჩაწერილიყო „მოქალაქედ" ან ვაჭრად, გამოსულიყო სასამართლოში და ა. შ.**

მიუხედავად ქართველი თავადაზნაურობის მიერ ადრე გამოთქმული დიდი უკმაყოფილებისა, დებულების მეორე მუხლი აცხადებდა **გლეხების მიწიანად განთავისუფლებას.** ხელისუფლებამ ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა არა თავადაზნაურობისადმი **გულგრილობის გამო,** არამედ **სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე.** თუ გლეხს მიწას არ მისცემდნენ, გალატაკებული მასები სახაზინო გადასახადებს ვერ გადაიხდიდნენ. კანონით გლეხს მიწას აძლევდნენ, მაგრამ არა **საკუთრებაში,** არამედ **მუდმივ სარგებლობაში.** გლეხებს მემამულის მიწით სარგებლობისათვის (სანამ მიწას საბოლოოდ არ გამოისყიდდა) უნდა ეხადათ დაწესებული გადასახადები. ამრიგად, გლეხი ხდებოდა **დროებით** ვალდებული. დროებით ვალდებულება საქართველოში გაგრძელდა 1912 წლამდე.

კანონით განისაზღვრა მემამულის მიერ გლეხისათვის მისაცემი მიწის ნორმაც, რომლის უმაღლეს ზღვარს შეადგენდა სარწყავი მიწისთვის 5 დესეტინა, ხოლო ურწყავისათვის – 10 დესეტინა.

მიწები არ ეძლეოდათ იმ გლეხებს, რომელთა სარგებლობაში მიწა რეფორმამდე არ ყოფილა. მემამულეთა ის კატეგორია, რომელთა მიწებიც 60 დესეტინაზე ნაკლები იყო, **თავისუფლდებოდა გლეხისათვის მიწის გამოყოფის მოვალეობისაგან.**

რაც შეეხებოდა ტყეებს, საძოვრებს, სანადირო და სათევზაო ადგილებს, მათზე სარგებლობის საკითხი, მემამულეთა ინტერესების სასარგებლოდ იქნა გადაწყვეტილი. ხელისუფლება ქართველი თავადაზნაურების წინაშე დათმობაზეც წავიდა: **მებატონეებს ყოველ განთავისუფლებულ გლეხში გასამ-**



ტფილისი. გოლოვინის (ამჟამად – რუსთაველის) პროსპექტი.

რეალურად ეძლეოდათ 25 მანეთი. ეს დახმარება ორკეცდებოდა იმათ მიმართ, ვისაც 21 სულზე ნაკლები გლეხი აღმოაჩნდებოდა. ტფილისის გუბერნიაში რეფორმა გატარდა მემამულეთა ინტერესების დაცვით. ამის უტყუარ მაგალითს წარმოადგენდა ის, რომ თუ რეფორმამდე გლეხები სარგებლობდნენ 84.665 დესეტინა მინით, რეფორმის შემდეგ მათ დაუტოვეს 55.679 დესეტინა მინა, დანარჩენი 28.986 დესეტინა კი ჩამოაჭრეს და მემამულეებსა და ხაზინას გადასცეს.

ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შედარებით მოკლე ვადებში იქნა შემუშავებული ძირითადი დებულების დამატებითი წესები **ქუთაისის** გუბერნიისათვის.

ქუთაისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდა **ილია ჭავჭავაძე,** რომელიც 1864 წლის აპრილიდან დანიშნული იქნა საგანგებო მინდობილობათა მოხელედ ქუთაისის გენერალ გუბერნატორთან. ილიას ერთ-ერთი წერილი, რომელიც ქუთაისიდანაა მიწერილი ოლღა გურამიშვილისადმი, ნათლად ასახავს იმერეთის თავადაზნაურობის დამოკიდებულებას და იმ განწყობას, რომელიც მაშინ სუფევდა ბატონყმობის გაუქმების სამზადისთან დაკავშირებით. ილია წერს „... ჩვენი მოსვლა ვერაფრად ეჭაშნიკათ. „აი, ესენი არიან ჩვენი დამლუპველებიო, ყმების ნამრთმეველებიო". ნამეტნავად ჩემზედ თურმე ტლინკუბსა ჰყრიან, რადგანაც მე აქაური არა ვარ და იმათი ფიქრით, სხვა ქვეყნიდამ ვარ მოსული".

1865 წლის 13 ოქტომბერს ბატონყმობის გაუქმება გამოცხადდა **ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთში, რაჭასა და გურიაში).** დებულება და მისი დამატებითი წესები აქაც ძირითადად იმავე პრინციპების მიხედვით იქნა შედგენილი, რა პრინციპებიც ედო მას საფუძვლად ტფილისის გუბერნიაში.

ქუთაისის გუბერნიაში აღინიშნებოდა თავადაზნაურთა მრავალრიცხოვნება და სახნავ-სათესი მიწების ნაკლებობა. ამის გამო დებულებაში მემამულეთა ინტერესების გათვალისწინებით გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი. კერძოდ, თუ ტფილისის გუბერნიაში გლეხებისათვის გადასაცემი მიწების ნორმები ცალ-ცალკე დანესდა სარწყავი და ურწყავი მიწებისათვის, **ქუთაისის გუბერნიაში სარწყავ-ურწყავი მიწისათვის დანესდა ერთი საერთო ნორმა – 4,5 დესეტინა.** მცირემიწიან მემამულედ, რომელსაც არ ეკუთვნოდა გლეხისათვის მიწის მიცემა, ტფილისის გუბერნიაში ჩაითვალა ისეთი მემამულე, რომლის მიწებიც არ აღემატებოდა 60 დესეტინას, ქუთაისის გუბერნიაში კი შესაბამისად – 22,5 დესეტინას. საბოლოო ჯამში, **ქუთაისის გუბერნიაში მიწების განაწილების დროს მემამულეებმა გლეხებს ჩამოაჭრეს არა მარტო მათ სარგებლობაში არსებული მიწები, ასევე მემკვიდრეობით მიღებული და ახლად შეძენილი მიწებიც.** ნაცვლად 4,5 დესეტინისა, გლეხებმა საშუალოდ მიიღეს 2,5 დესეტინა მიწა.

დაახლოებით მსგავსი დებულება იქნა შემუშავებული დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებისთვისაც. 1866 წლის 1 დეკემბერს გლეხთა ყმობიდან განთავისუფლება გამოცხადდა **სამეგრელოსა** და **სადადიანო სვანეთში;** 1870 წლის 8 ნოემბერს **აფხაზეთში;** 1871 წლის 8 ოქტომბერს **სადადეშქელიანო** სვანეთში.

ბატონყმობის გაუქმებას დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. გლეხობა ორიდიულად თავისუფლდებოდა, ირღვეოდა ბატონყმობის სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი და მკვიდრდებოდა ახალი, ბურჟუაზიული წყობილება.

§ 3. სოფლად საზოგადოებრივი მმართველობის შემოღება

ბატონყმობის გაუქმებამდე სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ გლეხები, რომელნიც მფლობელობის მიხედვით სამ ძირითად კატეგორიად იყოფოდნენ; საბატონო, საეკლესიო და სახაზინო (სახელმწიფო). საზოგადოებრივი მმართველობის არარსებობის პირობებში სოფელს განაგებდნენ მებატონეთა და საეკლესიო უწყებათა მიერ დანიშნული მოურავები, ხოლო სახაზინო (სახელმწიფო) გლეხებს – პოლიციის პრისტავები. 1861 წლიდან რუსეთში დამკვიდრდა სოფლის მმართველობის ორსაფეხურიანი სისტემა – თემის და ვოლოსტის მმართველობა.

ალექსანდრე II-ის 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტით, როგორც აღვნიშნეთ, ყმა გლეხი პირად თავისუფლებას იღებდა დაუყოვნებლივ. ეს იყო უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენა. **ყმა გლეხი ხდებოდა მოქალაქე.** მას შეეძლო თავისი სახელით გამოსულიყო სასამართლოში, დაედო სხვადასხვა სახის ხელშეკრულება, გაეხსნა სამრეწველო სანარმო და სავაჭრო დაწესებულება, გადასულიყო სხვა სოციალურ წოდებაში და ა. შ. ყოველივე ეს გლეხს აძლევდა ფართო გასაქანს და იმის უფლებას, რომ თავისი ნიჭი და შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოეყენებინა.

ალექსანდრე II-ის 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტი ითვალისწინებდა საბატონო გლეხებით დასახლებულ სოფლებში **„გლეხთა საზოგადოებრივი მმართველობის"** შემოღებას ცხრა თვის ვადაში. „გლეხთა საზოგადოებრივი მმართველობის" პირველ საფეხურად ითვლებოდა **სასოფლო საზოგადოება (სასოფლო თემი),** რომელიც, თავის მხრივ, ერთი ან რამდენიმე სოფლისაგან შედგებოდა. სასოფლო საზოგადოებას (სასოფლო თემს) განაგებდა, **სასოფლო (სათემო)** ყრილობა. ყრილობაზე ხმის უფლება დამოუკიდებელი გლეხური კომლის უფროსს ჰქონდა. ყრილობა სამი წლის ვადით ირჩევდა სასოფლო საზოგადოების (თემის) **მამასახლისს,** მის **თანაშემწეს** (მოადგილეს) და **გადასახადის ამკრეფს.** სასოფლო საზოგადოების (თემის) ყრილობა ირჩევდა წარმომადგენლებს (დელეგატებს) **ვოლოსტის ყრილობისათვის** (რამდენიმე სასოფლო თემი, რომლის მკვიდრთა საერთო რაოდენობა მამრობითი სქესის 300 გლეხიდან 2000 გლეხამდე მერყეობდა, შეადგენდა ვოლოსტს). ვოლოსტის ყრილობაზე წარსაგზავნი წარმომადგენლების (დელეგატების) რაოდენობა განისაზღვრებოდა შემდეგი პროპორციით – ყოველ ათ დამოუკიდებელ გლეხურ კომლზე – ერთი წარმომადგენელი (დელეგატი). ვოლოსტის ყრილობა განაგებდა სათემო მიწებს, სახელმწიფო გადასახადებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ვოლოსტის ყრილობის გადაწყვეტილებას სასამართლო ძალა ჰქონდა. ვოლოსტის ყრილობა სამი წლის ვადით ირჩევდა ვოლოსტის მამასახლისს და მის თანაშემწეებს (მოადგილეებს), ასევე – ვოლოსტის მმართველობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა **ვოლოსტის მწერალი.**

სასოფლო (სათემო) და ვოლოსტის მმართველობაში ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქცია მამასახლისს ჰქონდა დაკისრებული. თემისა და ვოლოსტის მამასახლისები უსიტყვოდ უნდა დამორჩილებულიყვნენ სასამართლო გამომძიებელსა და პოლიციას.

ვოლოსტის სასამართლო განიხილავდა გლეხთა ქონებრივ დავას, თუ დავის საგნის ღირებულება 100 მანეთს არ აღემატებოდა. სასამართლოს შეეძლო მცირე იძულებითი შრომა, სამ მანეთამდე ფულადი ჯარიმა, შვიდ დღემდე საპატიმროში ჩასმა, გაროზგვა).

საქართველოში, რუსეთისაგან განსხვავებით, **თემი და თემური მინათმფლობელობა არ არსებობდა.** ამიტომაც 1865 წლის 11 აპრილის დებულებით ყველა კატეგორიის გლეხთათვის შემოღებული იქნა სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის ერთსაფეხურიანი სისტემა. სოფლის მმართველობა განაგებდა როგორც სამეურნეო, ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს. **სოფლის საზოგადოებრივი მმართველობა იყო მხოლოდ გლეხთა წოდებრივი დანესებულება და სოფლის მოსახლეობის სხვა ფენები (მემამულენი, ვაჭრები, სამღვდელოება და ა. შ.) მის საქმიანობაში მონაწილეობას არ იღებდნენ.** დებულების მიხედვით სოფლის საზოგადოება აერთიანებდა ერთ დიდ ან რამდენიმე პატარა სოფელს. სოფლის მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა **სოფლის ყრილობა,** რომლის მუშაობაში მონაწილეობის უფლება ყოველი **კომლის უფროსს** გააჩნდა.

სოფლის ყრილობის ფუნქციებში შედიოდა: დებულებით განსაზღვრულ თანამდებობის პირთა არჩევა; სხვადასხვა დადგენილების გამოტანა; ობლად დარჩენილ მცირეწლოვანთათვის მზრუნველობის დანიშვნა; ოჯახების გაყოფაზე ნებართვის გაცემა; საერთო მიწების (საძოვრები, ტყე) კომლებს შორის განაწილება; საერობო და სახაზინო გადასახადების განაწილება; საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გამოსაღების აკრეფა; თანამდებობის პირთა საქმიანობის კონტროლი და ა. შ.

სოფლის აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენდა სოფლის ყრილობის მიერ 3 წლის

ვადით არჩეული **მამასახლისი**, მისი მოადგილე **ნაცვალი** და **გადასახადების ამკრეფი**. ყრილობა ასევე ამტკიცებდა სოფლის საზოგადოების მმართველ აპარატს – **კანცელარიას**, რომელსაც **მწერალი** განაგებდა.

მამასახლისის უფლება-მოვალეობებში შედიოდა: სასოფლო გზების, ხიდების და არხების მეთვალყურეობა; კამერალური სიების შედგენაზე ხელმძღვანელობა; სხვადასხვა სახის გადასახადების აკრეფაზე კონტროლი; გლეხებისათვის საშოვარზე გასასვლელი ნებართვის მიცემა და ა. შ. ყრილობის მიერ არჩეულ მამასახლისს გუბერნატორი ამტკიცებდა. **გუბერნატორს** მისი გადაყენებაც შეეძლო. მამასახლისი ანგარიშვალდებული იყო არა სოფლის ყრილობის, არამედ **მაზრის უფროსის** წინაშე. აქედან გამომდინარე, სოფლის ხელისუფლება, ფაქტობრივად, წარმოადგენდა სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოების უბრალო დანამატს.

1865 წლის 11 აპრილს დებულების მიხედვით, სოფლის საზოგადოების ყრილობა არა ნაკლებ სამი კაცის შემადგენლობით ირჩევდა **სოფლის მოსამართლეებსაც**. სოფლის მოსამართლეებს შეეძლოთ გლეხთა სამოქალაქო საქმეების გარჩევა, ისიც იმ პირობით, თუ დავასაჩივრების ღირებულება 100 მანეთს არ აღემატებოდა. თუ საქმე ეხებოდა ოფიციალური აქტით აღიარებულ საქმეებს ან იგი 100 მანეთის ღირებულებას აჭარბებდა, სოფლის სასამართლოს მისი გარჩევის უფლება არ ჰქონდა. სოფლის სასამართლოს ასევე არ ჰქონდა უფლება გაერჩია **სისხლის სამართლის** საქმეები. ასეთ შემთხვევებში საქმე გადაეცემოდა **სამაზრო სასამართლოს**. სოფლის მოსამართლეებს შეეძლოთ გამოეტანათ შემდეგი განაჩენი: დამნაშავე გაეგზავნა 6 დღის ვადით საზოგადოებრივ სამუშაოზე; დაჯარიმება 100 მანეთამდე თანხით; დაპატიმრება 7 დღის ვადით; ვალის დაუფარაობის შემთხვევაში განსასჯელისათვის ქონების გაყიდვა და ა. შ. სასამართლოს დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალებოდა **მამასახლისს**, რომელიც ასეთ შემთხვევაში **მაზრის უფროსის** ნებართვით იყენებდა პოლიციის მოხელეებს – **ურიადნიკებსა** და **სტრაჟნიკებს**.

XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართული საზოგადოებრიობა მიესალმებოდა სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის შემოღებას და მას **პროგრესულ** მოვლენად მიიჩნევდა, ამავე დროს აღნიშნავდა მის ნაკლოვან მხარეებსაც. ცხადი იყო, რომ სასოფლო მმართველობის გზის შემოღებით ხელისუფლება ზრუნავდა არა გლეხობის, არამედ სასოფლო მმართველობის საკუთარი ინტერესების დასაცავად. სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის ორგანოებს ხელისუფლება კარგად იყენებდა გადასახადების დროულად ასაკრეფად, ბეგარა სამუშაოებზე გლეხების გამოსაყვანად და ა. შ. სწორედ ამ ნაკლოვან მხარეებს გულისხმობდა **ილია ჭავჭავაძე**, როდესაც წერდა: „... რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც დიდისაგან გაჭირვებულს არ ესარჩლება, არას შველის, და რომელიც დიდისათვის კი თავს გამოიდებს ხოლმე, როცა პატარისაგან გაუჭირდება რამ!.. ჩვენი სოფლის სამმართველო და მისნი მოხელენი პოლიციის ბრმა მსახურებს და დარაჯებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე სოფლის საზოგადოების ინტერესებს“.

§ 4. სასამართლო რეფორმა

რეფორმამდელი რუსეთის სასამართლო, რომელიც **ნოდებრიობაზე** იყო დამყარებული, გამოირჩეოდა განუკითხაობითა და სისასტიკით. აქ გაბატონებული იყო დასჯის ისეთი ბარბაროსული მეთოდები, როგორიც იყო, დადაღვა, როზგი და ა. შ. სასამართლოებს **თავადაზნაურთა** წრიდან დანიშნული პირები ხელმძღვანელობდნენ, ხოლო გამოძიებას წარმართავდნენ **პოლიციის** მოხელენი. აქედან გამომდინარე, სასამართლო მთლიანად ხელისუფლებასა და პოლიციაზე იყო დამოკიდებული. სასამართლო საქმის წარმოება **საიდუმლოდ** ხდებოდა, რაც თავის მხრივ ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა **ბიუროკრატიზმისა** და **მექრთამეობის** დასამკვიდრებლად.

სასამართლო რეფორმის მომზადება 1861 წელს დაიწყო. 1864 წელს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა კანონპროექტს **სასამართლო რეფორმის** შესახებ.

ახალი სასამართლო რეფორმა შემდეგ პრინციპებს ემყარებოდა: 1. სასამართლო ხდებოდა არაწოდებრივი, ანუ ყველა წოდებისათვის უნდა შექმნილიყო ერთი სასამართლო; 2. სასამართლო დამოუკიდებელი იყო ადმინისტრაციისაგან; 3. მოსამართლეებისა და სასამართლოს გამომძიებლების გადაყენება არ შეიძლებოდა; 4. ყველა წოდება კანონის წინაშე თანაბარი იყო; 5. განაჩენის გამოტანა იყო ნაფიც მსაჯულთა პრეროგატივა; 6. სასამართლო პროცესზე ბრალდებულს იცავდა ადვოკატი.

რეფორმის ძალით, სასამართლო სამ ინსტანციად დაიყო: 1. **მომრიგებელი სასამართლო** (იქმნებოდა მაზრებსა და ქალაქებში, 500 მანეთამდე ღირებულების სამოქალაქო საქმეებისა და წვრილი სამართალდარღვევების გასარჩევად; **2. საოლქო სასამართლო** (იქმნებოდა გუბერნიებში ნებისმიერი სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმის განხილვის უფლებით); **3. სასამართლოს პალატა** (აერთიანებდა რამდენიმე საოლქო სასამართლოს). **სასამართლო პალატა შედგებოდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის დეპარტამენტისაგან.**

ნაფიცი მსაჯულების მოვალეობას შეადგენდა **ბრალდებულის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობა.** განაჩენი ნაფიც მსაჯულებს არ გამოჰქონდათ. **განაჩენი კანონზე დაყრდნობით გამოჰქონდა სასამართლოს** (სასამართლოს თავმჯდომარესა და სასამართლოს წევრებს). **საოლქო სასამართლოს** განაჩენი, თუ სასამართლო პროცესში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობდნენ, ითვლებოდა საბოლოოდ. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო პროცესში ნაფიცი მსაჯულები არ მონაწილეობდნენ, **საოლქო სასამართლოს განაჩენი** შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო **სასამართლო პალატაში.** საოლქო სასამართლოსა და სასამართლო პალატის განაჩენი, თუ სასამართლო პროცესში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობდნენ, **შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო სენატში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვეული იყო პროცესუალური ნორმები, ან გამოვლინდა საქმესთან დაკავშირებული ახალი გარემოებები. სენატს უფლება ჰქონდა განაჩენი გადაესინჯა, ან, საერთოდ, გაეუქმებინა. სენატი საქმეს არსებითად არ იხილავდა. აუცილებლობის შემთხვევაში იგი საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნდება არა განაჩენის გამომტან სასამართლოს, არამედ სხვა სასამართლოს (საოლქო სასამართლოს ან სასამართლო პალატას). თუ საქმე განაჩენის გამომტან სასამართლოს დაუბრუნდებოდა უკან, ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა შეცვლილიყო სასამართლოს შემადგენლობა (მოსამართლე და წევრები) და ნაფიცი მსაჯულები.**

საოლქო სასამართლოსა და სასამართლო პალატის თავმჯდომარეებს ამტკიცებდა **იმპერატორი, სასამართლოს თავმჯდომარეს – სენატი.** მომრიგებელ სასამართლოს, საოლქო სასამართლოსა და სასამართლო პალატის თავმჯდომარეთა ადმინისტრაციული წესით დროებით გადაყენებაც კი არ შეიძლებოდა. სასამართლოს თავმჯდომარის გადაყენება შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი სასამართლოს მიერ იქნებოდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული. ამ სიტუაციაშიც თანამდებობიდან გადაყენების გადაწყვეტილება **სასამართლოს** უნდა გამოეტანა და არა **ადმინისტრაციას.**

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანესებასთან ერთად შემოღებულ იქნა **სასამართლო გამომძიებლის** ინსტიტუტი. რეფორმის ძალით სისხლის სამართლის საქმეთა ძიების უფლება პოლიციას ჩამოერთვა. ამიერიდან საქმეს იძიებდა სასამართლოს გამომძიებელი, რომელიც ადმინისტრაციას არ ექვემდებარებოდა.

სასამართლო დანესებულებებზე კონტროლს ახორციელებდა **სენატის ობერ-პროკურორი, სასამართლოს პალატის პროკურორი** და **საოლქო სასამართლოს პროკურორი.** ისინი უშუალოდ იუსტიციის მინისტრს ექვემდებარებოდნენ. გენერალური პროკურორის თანამდებობა რეფორმით არ იყო გათვალისწინებული და მის ფუნქციას იუსტიციის მინისტრი ასრულებდა.

სასამართლო რეფორმის ძალით გაუქმდა ფიზიკური სასჯელები (მათრახით ცემა, მწკრივში გატარება და სხვა.)

1864 წლის სასამართლო რეფორმა მხოლოდ 44 გუბერნიას შეეხო და საბოლოოდ მხოლოდ 1896 წელს დასრულდა. რეფორმა არ გავრცელებულა ბალტიისპირეთზე, პოლონეთზე, ბელორუსიაზე, ციმბირზე, კავკასიაზე.

1864 წლის სასამართლო რეფორმა იყო

ყველაზე დემოკრატიული რეფორმა, რომელიც მოასნავებდა ძველი სასამართლოს კვდომას და ახალი სისტემის დამკვიდრებას.

იმპერატორმა მიზანშეწონილად არ ჩათვალა საქართველოში სასამართლო რეფორმის ისეთივე სახით გატარება, რა სახითაც რუსეთში გატარდა. ამის მიზეზად ხელისუფლება ასახელებდა მოსახლეობის მოუმზადებლობას და ადგილობრივ სპეციფიკურ პირობებს. სინამდვილეში კავკასიის კოლონიური მმართველობის შინაგანანესში არ თავსდებოდა რუსული ადმინისტრაციის უფლებების შეზღუდვა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის, თუნდაც თავადაზნაურობისათვის მართვის სადავეების დათმობა.

1868 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა სასამართლო დებულების შეკვეცილი ვარიანტი. გაუქმდა წოდებრივი სასამართლოები, მის ნაცვლად შემოიღეს მოსახლეობის ყველა ფენისათვის და სოციალური ჯგუფისათვის საერთო სასამართლო. დანესდა ადვოკატთა მონაწილეობა სასამართლო პროცესში. სასამართლოების ყველაზე დაბალ ინსტანციას წარმოადგენდა მაზრებში ჩამოყალიბებული მომრიგებელი განყოფილებანი მომრიგებელი მოსამართლეებით. მომრიგებელ მოსამართლეებს ნიშნავდა მთავრობა. მათ ეკისრებოდათ მცირე სისხლის სამართლის საქმეებზე წინასწარი ძიების ჩატარება და სამოქალაქო საქმეების გარჩევა 2000 მანეთამდე ღირებულების ფარგლებში. მომრიგებელ განყოფილებებში გამოძიებული საქმეების აღსრულება ბოქაულებს ევალებოდათ.

გუბერნიებში ჩამოყალიბდა საოლქო სასამართლოები, რომლის შემადგენლობასაც ასევე მთავრობა ნიშნავდა. მთელი ამიერკავკასიისათვის უმაღლეს სასამართლო უწყებას წარმოადგენდა ტფილისის სასამართლო პალატა. ტფილისის სასამართლო პალატის გადაწყვეტილებების გასაჩივრება შეიძლებოდა სენატში.

სასამართლოს იმ მთავარი პრინციპებიდან, რომელნიც რუსეთში დაინერგა, საქართველოში არ შემოულიათ მოსამართლეთა არჩევითობა. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ არჩეული დამოუკიდებელი სასამართლოების ნაცვლად შეიქმნა ხელისუფლებაზე დამოკიდებული და ხელისუფლების ინტერესების გამტარებელი ბიუროკრატიული დანესებულებანი, ე. ნ. „სახელმწიფო სასამართლოები". საქართველოში არ იქნა დამკვიდრებული ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. სასამართლო საქმეების წარმოება კვლავინდებურად მოსახლეობის უმრავლესობისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე წარმოებდა, რაც უდიდეს უკმაყოფილებას იწვევდა.

მართალია, სასამართლო რეფორმა საქართველოში შეკვეცილი სახით გატარდა, ის სხვა რეფორმებთან შედარებით უფრო პროგრესული იყო და გარკვეულწილად მიესადაგებოდა ქვეყანაში ახალ ფეხადგმულ ბურჟუაზიულ ურთიერთობებს. ქართული საზოგადოებრიობა და მისი მოწინავე ნაწილი კარგად ხედავდა რეფორმის მნიშვნელობას და ამავე დროს ხაზს უსვამდა მის უარყოფით მხარეებს. ქართული ინტელიგენცია ხელისუფლებისაგან მოითხოვდა სასამართლოში ქართული ენის დამკვიდრებას, მოსამართლეთა არჩევითობის პრინციპის და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას. გაზეთ „დროების" სიტყვით, „სხვა შემთხვევაში კაცი სამართალს ვერ ეღირსება, სასამართლო კი სარგებლის ნაცვლად, ვნების მეტს ვერაფერს მოიტანსო".

ქართული ინტელიგენციის ძალისხმევა სასამართლო სისტემისა და საერთოდ, მართლმსაჯულების გასაუმჯობესებლად ხელისუფლების მხრიდან უყურადღებოდ რჩებოდა. მთავრობა ამ მიმართულებით არა თუ რამეს აკეთებდა, არამედ პირიქით, XIX საუკუნის 80-იანი წლებში, საერთოდ აკრძალა მომრიგებელ მოსამართლეებად და გამომძიებლებად ქართველთა მიღება და სასამართლოს სრული რუსიფიკაცია განახორციელა.

§ 5. საქალაქო მმართველობის რეფორმა

რუსეთის იმპერიაში საქალაქო თვითმმართველობის დამკვიდრებისათვის პირველი ნაბიჯები XVIII საუკუნის ბოლოს გადაიდგა.

გრიგოლ ორბელიანი

XIX საუკუნის პირველ ნახევარში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება, კაპიტალიზმის ჩასახვა, ქალაქების ზრდა და ახალი წოდების – ბურჟუაზიის – ასპარეზზე გამოსვლა ხელისუფლებას აიძულებდა, ალმავალი კლასისათვის გზა მიეცა. რუსეთის მსხვილ საგუბერნიო ქალაქებთან ერთად ამიერკავკასიაში ასეთი „პრივილეგიები" ერგო მხოლოდ **ტფილისს**. 1840 წელს მთავარმართებელ **ე. გოლოვინის** უშუალო მონაწილეობით შემუშავებულ იქნა **საქალაქო დებულება**, რომელიც ტფილისის მართვა-გამგეობის ზოგიერთ სფეროში მოსახლეობის გარკვეული ფენების მონაწილეობას ითვალისწინებდა. 1841 წელს ჩამოყალიბდა **ტფილისის საზოგადოებრივი მმართველობა**, რომელიც **ექვსი ხმოსნისა** და **ქალაქის თავისაგან** შედგებოდა. ტფილისის საზოგადოებრივ მმართველობას ევალებოდა გადასახადების გაწერა-აკრეფა და ქალაქში მდგარი გარნიზონის საყოფაცხოვრებო პირობებზე ზრუნვა. ქალაქის მართვა-გამგეობა კი კვლავ **პოლიციის** ხელში რჩებოდა.

1866 წლიდან ტფილისში გატარდა ქალაქის მართველობის ნაწილობრივი რეფორმა, რაც 1865 წელს **ამქართა აჯანყების** უშუალო შედეგი იყო.

XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისისათვის ტფილისი საგრძნობლად გაიზარდა, ასევე იზრდებოდა მისი კეთილმოწყობის ხარჯებიც. დეფიციტის დასაფარავად ქალაქის გამგეობამ მთავრობას მიმართა წინადადებით შემოეღოთ ახალი გადასახადები ქალაქის ყველა **სავაჭრო** და **სანარმოო** დაწესებულებებზე, მათ შორის ქარვასლებზეც, სადაც ძირითადად თავს იყრიდნენ ამქრებად გაერთიანებული სხვადასხვა დარგის ვაჭარ-ხელოსნები.

ახალი გადასახადების დაწესება საფაბრიკო-საქარხნო წარმოებისაგან ისედაც შევიწროებულ ფეოდალურ-ამქრულ მეურნეობას კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აყენებდა. ამქართა **უსტაბაშებმა** (მეთაურებმა) ხელისუფლებას მოსთხოვეს გადასახადების გაუქმება. მთავრობამ მათი მოთხოვნები არათუ გაითვალისწინა, გადასახადების გადახდის ვადებიც კი არ გააგრძელა. ახლადარჩეული ქალაქის თავ



ტფილისის ქუჩა. ეტლების სადგური.



ტფილისის ფუნიკულიორი

ვართანოვის განკარგულებით გადასახადების ამკრეფთ მიეცათ დავალება დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ საქმეს. 1865 წლის 26 ივნისს **ხოჯევანქის** სასაფლაოზე თავი მოიყარეს ქალაქის ამქრებმა და მიიღეს გადაწყვეტილება, დაეხურათ ყველა სავაჭრო დაწესებულება. გაფიცვა უნდა გაგრძელებულიყო მანამდე, სანამ მთავრობა მათ მოთხოვნებს არ დაკმაყოფილებდა. იმავე დღეს მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელმა **გრიგოლ ორბელიანმა** უსტაბაშებს განუცხადა, რომ თუ ამქრები მთავრობის საწინააღმდეგო ურჩობას არ შენყვეტდნენ, მთავრობა ძალას გამოიყენებდა. 27 ივნისს, კვირა დილიდან, ამქრებმა დახურეს ყველა სასადილო, დუქანი, ყავახანა, გააჩერეს ეტლები, ფორნები და ათასობით კაცი ამქართა დროშების ფრიალით პასკევიჩის (დღევანდელი თავისუფლების) მოედანზე შეიკრიბა. ისინი მოითხოვდნენ გადასახადების გაუქმებას, ქალაქის თავის გადაყენებას. პოლიციამ და ჟანდარმერიამ ცადა გაფიცულთა დაშოშმინება, მაგრამ გაფიცულებმა მათ ქვები და ხელკეტები დაუშინეს. მოლაპარაკების გზით მანიფესტანტთა დაშლა ვერ შეძლეს **გრიგოლ ორბელიანმა** და ტფილისის სამხედრო გუბერნატორმა **ნიკო ჭავჭავაძემ**. ამის შემდგომ საქმეში ჩაერთო რეგულარული ჯარის ნაწილები, რომელთაც უიარაღო ხალხს ცეცხლი გაუხსნეს. ჯართან შეტაკება ქალაქის სხვა უბნებში მეორე დღესაც გაგრძელდა, რასაც ორივე მხრიდან მსხვერპლი მოჰყვა. მთავრობის მხრიდან დაიღუპა გადასახადების ამკრეფი **ბაუბედოვი**, სერიოზულად დაშავდა რამდენიმე ჯარისკაცი და პოლიციელი, დარბეულ იქნენ ქალაქის თავის ბინა და სახაზინო შენობები. მოქალაქეთა მხრიდან დაიღუპა ოცზე მეტი და დაშავდა ათეულობით ადამიანი. იარაღის ძალით მთავრობამ შესძლო ამქართა აჯანყების ჩახშობა და მისი აქტიური მონაწილეების დასჯა. 16 კაცი ციმბირში იქნა გადასახლებული, 32 კაცს კი სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიესაჯა. ამქართა აჯანყებას უკვალოდ არ ჩაუვლია. მთავრობა გამარჯვების მიუხედავად მაინც იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. შეჩერებული იქნა ახალი გადასახადების შემოღება; მიღებულ იქნა კანონი ამქართა რეორგანიზაციის შესახებ. ამიერიდან კანონი, ამქართა უსტაბაშების მაგივრად ქალაქის ხელოსნებისა და წვრილი მეწარმეების საქმიანობაში, ხელმძღვანელ როლს მთავრობის მიერ ორგანიზებულ **ხელოსანთა გამგეობას** აკისრებდა. ამქართა აჯანყებით შეშინებული მთავრობა დათმობაზე წავიდა ქალაქის მსხვილი ბურჟუაზიის წინაშეც. 1866 წლის 11 აპრილს გამოიცა დებულება **ტფილისის საზოგადოებრივი მმართველობის** შესახებ. დებულება აუქმებდა ქალაქის „ექვსხმოსნიან საბჭოს" და ქალაქის მოსახლეობის ზედაფენას თვითმმართველობაში შედარებით ფართო მონაწილეობის უფლებას ანიჭებდა.



გოლოვინის პროსპექტი ზამთარში



მფისნაცვლის ძველი სასახლე

ქალაქის მოსახლეობა წოდებრივ-ქონებრივი პრინციპით დაიყო **ოთხ** კატეგორიად. **პირველ კატეგორიაში** გაერთიანდნენ შთამომავლობით მსხვილი თავადაზნაურობის წარმომადგენელნი, რომელნიც ქალაქში უძრავ ქონებას ფლობდნენ; **მეორე კატეგორიაში** – უძრავი ქონების მფლობელი აზნაურები და ქალაქის ე. წ. საპატიო მოქალაქენი; **მესამე კატეგორიაში** – უძრავი ქონების მფლობელი მესამე წოდების წარმომადგენელნი; **მეოთხე კატეგორიაში** – ქალაქის დანარჩენი მოსახლეობა, რომელნიც არ ფლობდნენ უძრავ ქონებას, მაგრამ იხდიდნენ საქალაქო გადასახადებს. ოთხივე კატეგორიის ამომრჩეველნი ირჩევდნენ **ასხმიან საქალაქო კრებას, გამგეობას** და **ქალაქის თავს**. 1866 წლის ბოლოს ჩატარებული არჩევნების შედეგად საქალაქო კრების წევრები გახდნენ **გრ. ორბელიანი, ივ. ზუბალაშვილი, მ. ერისთავი, ე. გრუზინსკი, რ. ანდრონიკაშვილი, ზ. საჯიშვილი** და სხვანი. ქალაქის თავად აირჩიეს გადამდგარი გენერალ-მაიორი ე. არწრუნი. 1866 წლის დებულების საფუძველზე ორგანიზებული საქალაქო მმართველობა იცავდა დაღმავალი ფეოდალური კლასის ინტერესებს, ივი ნანილობრივ აკმაყოფილებდა ბურჟუაზიის ინტერესებსაც. დებულება არ პასუხობდა ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნილებას, რომელთაც მაღალი ქონებრივი ცენზი საშუალებას არ აძლევდა მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში და ქალაქის მართვა-გამგეობაში.

ახალმა საზოგადოებრივმა მმართველობამ ვერ მოახერხა კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესება, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმის მონესრიგება, რადგანაც თანხების დიდი ნანილი იხარჯებოდა ჯარისა და პოლიციის შესანახად. **ტფილისის საზოგადოებრივი მმართველობა ფაქტიურად მოექცა ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ და იგი სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის დანამატად გადაიქცა.**

XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის რუსეთის იმპერიის ქალაქები საგრძნობლად გაიზარდნენ, შეიცვალა მათი სოციალური შემადგენლობაც. არსებული საქალაქო თვითმართველობები ველარ აკმაყოფილებდნენ საქალაქო ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებს. რუსეთში საერობო რეფორმის გატარების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ქალაქთა მართვა-გამგეობაში მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ჩაბმის საკითხი.



ქალაქ ტფილისის სათათბირო

საქალაქო თვითმმართველობის რეფორმის მზადება 1862 წლიდან დაიწყო, მაგრამ კანონ-პროექტი ალექსანდრე II-მ მხოლოდ 1870 წელს დაამტკიცა. კანონის მიხედვით, რუსეთის იმპერიის 509 ქალაქში ქონებრივი ცენზის საფუძველზე ყველა წოდებისაგან, ოთხი წლის ვადით უნდა აერჩიათ თვითმმართველობა – **ქალაქის სათათბირო**. ქალაქის სათათბირო ასევე ოთხი



პასეჯერ-ერეენელის მოედანი და სოლოლაკის აღმართი

წლის ვადით ირჩევდა მუდმივმოქმედ აღმასრულებელ ორგანოს – **ქალაქის გამგეობას.** ქალაქის გამგეობა შედგებოდა **ქალაქის თავისაგან, ქალაქის თავის ამხანაგისა (მოადგილის)** და რამდენიმე **წევრისაგან.** ქალაქის თავი იყო როგორც ქალაქის გამგეობის, ასევე ქალაქის სათათბიროს თავმჯდომარე.

ქალაქის სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა 25 წლის ასაკის ყველა მამაკაცს, რომელიც ფლობდა **ცენზით დადგენილ ქონებას და იხდიდა გადასახადებს.** ქალაქის ამომრჩევლები ქონებისა და გადახდილი გადასახადების რაოდენობის მიხედვით **სამ კურიად (კლასად)** იყო დაყოფილი. ქონებრივი ცენზი ძალზე მაღალი იყო, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში. იმ ქალაქებში, რომელთა მოსახლეობა 5 ათას კაცზე ნაკლები იყო, ქონებრივი ცენზის საფუძველზე არჩევნებში საშუალოდ მხოლოდ მთელი მოსახლეობის 10 % მონაწილეობდა, ხოლო იმ ქალაქებში, რომელთა მოსახლეობა 20 ათასიდან 50 ათასამდე მერყეობდა, ხმის უფლება მხოლოდ 4 %- ჰქონდა. მოსკოვში ხმის უფლებით სარგებლობდა მოსახლეობის 3, 4%. პეტერბურგში – 1, 9%.

ქალაქის თვითმმართველობის კომპეტენციაში მხოლოდ სამეურნეო, კულტურულ-საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები შედიოდა (ქალაქის კეთილმოწყობა, ადგილობრივ მრეწველობასა და ვაჭრობაზე ზრუნვა, სკოლებისა და საავადმყოფოების გახსნა და სხვ.).

ქალაქის სათათბიროს ბიუჯეტში თანხა ირიცხებოდა ქალაქის მოსახლეობაზე განერილი **გადასახადებიდან** და სხვა **შემოსავლებიდან.**

ქალაქის სათათბიროსა და გამგეობას იძულებითი ღონისძიებების გასატარებლად შეეძლო გამოეყენებინა **პოლიცია.** რეალურ ძალაუფლებას ქალაქებში ფლობდა **გუბერნატორი** და **პოლიცმეისტერი,** რომელთაც ემორჩილებოდა **ჯარი** და **პოლიცია.**

1870 წელს საქალაქო მმართველობის რეფორმა, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის იმპერიის მხოლოდ 509 ქალაქს შეეხო. 1874 წლიდან საქალაქო მმართველობის რეფორმის გატარება დაიწყო ამიერკავკასიაში, 1875 წლიდან – ლიტვაში, ბელორუსიასა და მარჯვენა ნაპირის უკრაინაში, 1877 წლიდან – ლატვიასა და ესტონეთში.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქების სათათბიროებმა პოლიტიკური უფლებები ვერ მიიღეს, საქალაქო მმართველობის რეფორმამ **გამოაცოცხლა საზოგადოებრივი ცხოვრება, მეტი გასაქანი მისცა ბურჟუაზიას, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარული მომსახურების საქმე, უკეთესი პირობები შექმნა საქალაქო მრეწველობისა და ვაჭრობის აღმავლობისათვის.**

1874 წლის 18 ნოემბერს ტფილისში დაინიშნა **სათბიროს ხმოსანთა** არჩევნები. ქალაქის 100.000-ზე მეტი მცხოვრებიდან არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცა 4494 კაცს, ანუ მოსახლეობის 5-6%-ს. პირველი თანრიგის ამომრჩეველთა სიაში იყო 45 კაცი, მეორეში – 221, დანარჩენი 4228 კაცი მესამე თანრიგის ამომრჩევლებს შეადგენდნენ. პირველი და მეორე თანრიგის ამომრჩევლები, რომელნიც ხმის უფლების მქონეთა 6%-ს შეადგენდნენ, სათათბიროში ირჩევდნენ 48 ხმოსანს, მესამე თანრიგის ამომრჩევლები (94%) – 24 ხმოსანს. ტფილისის სათათბიროში 4 წლის ვადით სულ არჩეულ იქნა 75 ხმოსანი. სათათბიროს წევრები გახდნენ: **გ. აბესალომოვი, ნ. არლუთინსკი, ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი, ი. გრუზინსკი, ი. ჯაყელი, ს. ზუბალაშვილი, ნ. ზუბალაშვილი, ა. მატინოვი** და სხვანი. **ქალაქის თავად** არჩეულ

დიმიტრი ყიფიანი

იქნა ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი, შესანიშნავი მამულიშვილი **დიმიტრი ყიფიანი**, რომელსაც უდიდესი ავტორიტეტისა და გამოცდილების გამო ნდობა ქალაქის ბურჟუაზიამაც გამოუცხადა.

1875 წლის 16 სექტემბერს დაინიშნა ქუთაისის საქალაქო სათათბიროს არჩევნები. სათათბიროში არჩეულ იქნენ: **გ. აბაშიძე, ა. ფიფინაშვილი, კ. ნიჟარაძე, ნ. ღოღობერიძე, ი. სტეფანოვი, პ. თუმანიშვილი, ნ. ნიკოლაძე, კ. ერისთავი** და სხვანი, სულ 52 ხმოსანი. გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ **ანტ. ლორთქიფანიძე** და **ივ. ჯაიანი**, კანდიდატებად – **ბ. ხელთუფლიშვილი** და **სტ. აკოფოვი**, მდივნად – **ჟ. ღულაძე**. მეფისნაცვლის მიერ ქუთაისის ქალაქის თავად დაინიშნა ნ. აბაშიძე. 1876 წელს თვითმმართველობა მიიღეს ქალაქებმა **გორმა** და **ახალციხემ**. გორის ქალაქისთავად არჩეულ იქნა **ი. ელიმირზოვი**, ხოლო ახალციხის ქალაქისთავად **ჟ. ხითაროვი**. 1882 წელს თვითმმართველობა მიიღო ქალაქმა **ფოთმა**. ფოთის ქალაქისთავად არჩეულ იქნა გენერალ-მაიორი **ივ. ვახრამოვი**. თურქთა 300-ნლიანი ბატონობისაგან 1878 წელს განთავისუფლებულმა **ბათუმმა** 1888 წელს უფლება მიიღო ქალაქის სათათბიროში 36 ხმოსანი აერჩია. ბათუმის პირველ ქალაქის თავად დაინიშნა კ. გავროვსკი. საქართველოს დანარჩენ ქალაქებს რეფორმა არ შეხებია, ისინი კვლავინდებურად მაზრის უფროსების ხელში რჩებოდა, ქალაქის მთელ მეურნეობას კი სათავეში პოლიცია ედგა.

ამრიგად, საქალაქო რეფორმა გატარებულ იქნა საქართველოს ექვს დიდ ქალაქში. მიუხედავად მთელი რიგი ნაკლოვანებებისა რეფორმას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: პირველი. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა კოლონიური ქვეყნის ქალაქებმაც ისეთივე უფლებები მიიღეს, რა უფლებებიც რუსულ ქალაქებს ჰქონდა მინიჭებული; მეორე. რეფორმა ხელს უწყობდა ბურჟუაზიული ურთიერთობების განვითარებას; მესამე. ადგილობრივი საზოგადოებრივი ძალები ახერხებდნენ რამდენადმე შეეზღუდათ ბიუროკრატიული აპარატის თვითნებობა და გაეუმჯობესებინათ ქალაქების მდგომარეობა.

თავი VIII.

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარება ბატონყმობის გაუქმების შემდეგ (XIX საუკუნის 60-90-იანი წლები).კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება.

§ 1. სოფლის მეურნეობა

1861 წლის საგლეხო რეფორმა რუსეთის იმპერიაში კაპიტალიზმის შემდგომი სწრაფი განვითარების ძირითადი დამაჩქარებელი ფაქტორი გახდა.

ევროპის მთელი რიგი ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, რუსეთის იმპერიაში კვლავ რჩებოდა ფეოდალურ-ბატონყმური გადმონაშთები, რომელიც კაპიტალიზმის განვითარებას გარკვეულ დაბრკოლებას უქმნიდა. მიუხედავად ამ დაბრკოლებებისა, XIX საუკუნის 60-იან წლებიდან როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარება მაინც შესამჩნევად დაჩქარდა.

XIX საუკუნის 60-90-იან წლებში დიდი ცვლილებები განიცადა საქართველოს სოფლის მეურნეობამ. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავებისა და საქონელწარმოების გაფართოების პარალელურად, საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის **დარგობრივი სპეციალიზაციის** პროცესი, გაბატონებულ მდგომარეობას **სასაქონლო ნარმოება** იკავებდა. მიმოსვლის გაუმჯობესებამ, საშინაო და საგარეო ბაზრის განვითარებამ, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნილების გაზრდამ ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის როგორც ძველი დარგების პროდუქტიულობის გაუმჯობესებას, ასევე ახალი დარგების განვითარებას.

სოფლის მეურნეობის ტრადიციულ დარგებს შორის (მემინდვრეობა, მეცხოველეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა) ყველაზე დიდი ადგილი კვლავინდებურად **მარცვლეულის (ხორბლის, სიმინდის)** ნარმოებას ეკავა. მარცვლეულზე გაზრდილ მოთხოვნილებას არსებული საკარგულები ვერ აკმაყოფილებდნენ, ამიტომაც მიმდინარეობდა ახალი სახნავ-სათესი მიწების ათვისება ტყისა და სათიბ-საძოვრების ხარჯზე.

XIX საუკუნის 80-იან წლებში **ხორბლის, სიმინდისა** და სხვა მარცვლეულის ნათესებს დაახლოებით 700 ათასი ჰექტარი მიწა ეკავა. საშინაო და საგარეო ბაზრის განვითარება განსაკუთრებით სტიმულს აძლევდა მეურნეობის ისეთი ახალი დარგების განვითარებას, როგორიც იყო **მეაბრეშუმეობა, მებამბეობა, მეთამბაქოეობა,** მოგვიანებით **მეჩაიეობა** და სხვა სუბტროპიკული კულტურების გამრავლება.

აღმოსავლეთ საქართველოში წამყვანი კულტურა იყო **ხორბალი,** თუმცა მეტ-ნაკლები რაოდენობით ითესებოდა **სიმინდი, ლობიო, ბრინჯი** და სხვ. ყველა სახის მოსავლის რაოდენობა დაახლოებით 11 მილიონ ფუთს უდრიდა. **ტფილისის, გორის, დუშეთის, თელავის, ახალქალაქისა** და სხვა რაიონებში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა გავლენას ახდენდა თვით წარმოების პროცესზე. შედარებით მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობები ორ და **სამმინდვრიან** სისტემიდან გადადიოდნენ მრავალმინდვრიან სისტემაზე, აუმჯობესებდნენ აგროტექნიკურ დონეს, ტრადიციული შრომის იარაღები ადგილს უთმობდნენ ქარხნული წესით დამზადებულ გუთანს, კულტივატორს, სალწს, ძნასაკრავს და სხვა მანქანებს. XIX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებისათვის მარცვლეულის წარმოებამ აშკარად სავაჭრო ხასიათი მიიღო, საშინაო ბაზრის უზრუნველყოფასთან ერთად, აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ ევროპაში 1.161.378 ფუთი **ხორბალი** გაიტანეს. თითქმის მთლიანად სასაქონლო ხასიათს ატარებდა **მესიმინდეობა** დასავლეთ საქართველოში. **გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში** და **იმერეთის** დაბლობ ზონებში ძირითადად

მემამულურ და კულაკურ მეურნეობებში წარმოებული პროდუქციის 30% ანუ 5-6 მილიონი ფუთი **სიმინდი** დასავლეთ ევროპის ბაზარზეც გადიოდა.

XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მარცვლეულის წარმოება მკვეთრად შემცირდა. ამის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენდა დასავლეთ ევროპაში მაღალხარისხოვანი ამერიკული პროდუქციის, ხოლო საშინაო ბაზარზე რუსული ნანარმის კონკურენცია. მარცვლის მწარმოებელმა შედარებით მსხვილმა მეურნეობებმა დაიწყეს ნათესების შემცირება, ისინი გადადიოდნენ ისეთი პროდუქციის წარმოებაზე, რომელიც ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით გაცილებით რენტაბელურნი და კონკურენტუნარიანნი იქნებოდნენ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ასეთ დარგს კი უპირველეს ყოვლისა უდიდესი ისტორიული ტრადიციების მქონე **მევენახეობა-მეღვინეობა** წარმოადგენდა. ქართული ღვინო დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა მეზობელ ქვეყნებში. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგაც მევენახეობა ერთადერთ დარგად რჩებოდა, რომლის პროდუქტსაც სასაქონლო ხასიათი გააჩნდა. XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის საქართველოს რეგიონებს შორის წამყვანი ადგილი **კახეთს** ეკავა, სადაც 12 ათას დესეტინა ფართობზე წლიურად 2 მილიონ ვედრობზე მეტ ღვინოს ამზადებდნენ. ქართლში მზადდებოდა 500 ათასი ვედრო ღვინო, დასავლეთ საქართველოში – დაახლოებით 3 მილიონი ვედრო. XIX საუკუნის 70-90 წლებში სასაქონლო ღვინის წარმოება განსაკუთრებით განვითარდა **ქართლსა** და **იმერეთში**. რკინიგზის გაყვანა ამ მხარეების მოსახლეობას ხელს უწყობდა, ნაკლები დანახარჯებით გაეტანათ თავიანთი პროდუქცია საშინაო და საგარეო ბაზარზე და კონკურენცია გაწეიათ კახელი მეღვინეებისათვის. როგორც ცნობილია, კახეთში რკინიგზა გვიან გაიყვანეს, მოუწყობელი საურმე გზებით პროდუქციის ტრანსპორტირება კი დიდ დროსა და დანახარჯებს მოითხოვდა. ასეთ ვითარებაში კახური ღვინის თვითღირებულება მნიშვნელოვნად იზრდებოდა, რაც მის კონკურენტუნარიანობას საგრძნობლად ამცირებდა. ღვინის წარმოება შესამჩნევად დაეცა **გურიასამეგრელოშიც**. ყირიმიდან მიხეილ ვორონცოვის ინიციატივით შემოტანილმა ყურძნის უხარისხო ევროპულმა ჯიშებმა და მათთან ერთად ვენახის დაავადებებმა (ნაცარამ, ფილოქსერამ) თითქმის მთლიანად გაანადგურა **ოჯალეშისა** და **ჩხავერის** შესანიშნავი ჯიშები და მევენახეობას უდიდესი ზიანი მიაყენა. მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, საქართველოში მევენახეობა მაინც წამყვან დარგად რჩებოდა. ქვეყანაში წარმოებულ 5 მილიონ ვედრობზე მეტი ღვინიდან დაახლოებით 500 ვედრო რუსეთში გადიოდა. XIX საუკუნის ბოლოს რუსეთში გატანილი ღვინის რაოდენობამ 1 მილიონ ვედროს მიაღწია. პარალელურად იზრდებოდა სასაქონლო **სპირტისა** და **არყის** წარმოებაც.



ავლაბრის ბაზარი

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ფართო ვაჭრობის საგნად იქცა **მეცხოველეობის** ნაწარმიც. მეცხოველეობა მთიანი ზოლის წამყვანი დარგი იყო. საქართველოში ითვლებოდა დაახლოებით 3 მილიონამდე სული საქონელი (ცხენი, კამეჩი, ხარი, ძროხა, ცხვარი, თხა, ღორი და სხვა). მეცხოველეობის პროდუქტები ძირითადად საშინაო ბაზარზე გადიოდა. აღსანიშნავია, რომ მარტო ტფილისი ყოველწლიურად 350-400 ათას სულ შინაურ პირუტყვს მოიხმარდა. რაც შეეხებოდა მეცხოველეობის პროდუქციის იმპორტს, აღსანიშნავია, რომ საქართველოდან მცირე რაოდენობით გაჰქონდათ ძირითადად **მატყლისა** და **ტყავის** ნედლეული. მეცხოველეობის შედარებით მცირე პროდუქტიულობის მიზეზი იყო ის, რომ მოსახლეობა ვერ ახერხებდა მტკიცე საკვები

ბაზის შექმნას. განსაკუთრებით ძნელი იყო პირუტყვისათვის ზამთრის საკვების მომარაგება, ამიტომაც მეცხოველეობას მისდევდნენ ძირითადად იმ რაიონების მცხოვრებნი, რომელთაც საშუალება ჰქონდათ საზაფხულო საძოვრებთან ერთად, გამოეყენებინათ საზამთრო საძოვრებიც. ამ მხრივ აღმოსავლეთ საქართველოში გამოირჩეოდა: **დუშეთის, თიანეთის, ბორჩალოს, სიღნაღის** და **ახალქალაქის** მაზრები, დასავლეთ საქართველოში: **მთიანი რაჭა, სვანეთი, აფხაზეთი** და **აჭარა**.

XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან სასაქონლო ხასიათი მიიღო **მეფრინველეობამაც**. მეფრინველეობა განსაკუთრებით განვითარებული იყო **დასავლეთ საქართველოს ბარში**, რომელიც მთელი ამიერკავკასიის მეფრინველეობის სასაქონლო პროდუქციის თითქმის 60%-ს იძლეოდა. დასავლეთ საქართველოდან ბაზარზე გადიოდა 2,5 მილიონი მანეთის ფრინველის ხორცი და კვერცხი, აქედან 1,5 მილიონი მანეთის კვერცხი საზღვარგარეთ გაჰქონდათ.

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში შესამჩნევად განვითარდა **მეხილეობა-მებოსტნეობა**. ხილის ბაღებს დაახლოებით 11-12 ათასი დესეტინა ფართობი ეკავათ, ბოსტნებს კი თითქმის – 10 ათასი დესეტინა. ყოველწლიურად საშუალოდ ბაზარს მიეწოდებოდა 3 მილიონი მანეთის ხილი და ბოსტნეული. მეხილეობა-მებოსტნეობის დაწინაურებას ასევე ხელი შეუწყო დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში ახალი კულტურების – ჩაისა და ციტრუსის – დანერგვამ.

ამავე პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა **მებამბეობა, მეაბრეშუმეობა** და **მეთამბაქოეობა**. XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ამერიკაში მიმდინარე სამოქალაქო ომის შედეგად ევროპის ბაზარზე საგრძნობლად შემცირდა ამერიკული ბამბის შეტანა, რამაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო საქართველოში მებამბეობის აღმავლობას. განსაკუთრებით მკვეთრად გაიზარდა ბამბის პლანტაციები **იმერეთში**. თუ 1859 წელს აქ მოჰყავდათ 3 ათასი ფუთი ბამბა, 1865 წელს მოინიეს 50 ათასი ფუთი ბამბა, რომლის დიდი რაოდენობა რუსეთსა და ევროპაში იქნა გატანილი. XIX საუკუნის 80-90 წლებში ამერიკული ბამბის შეტანის განახლებამ ევროპაში, საქართველოში ბამბის მოყვანა საგრძნობლად შეამცირა, XIX საუკუნის მიწურულს საქართველოში იწარმოებოდა 10-12 ათასი ფუთი საექსპორტო ბამბა.

მეაბრეშუმეობა ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმებამდე იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც გამოირჩეოდა შედარებით მაღალი საქონლიანობით. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოში აბრეშუმის ქსოვილის შინამრეწველური წარმოება კონკურენციას ვეღარ უწევდა საფაბრიკო წარმოებას და საქართველოდან აბრეშუმის ქსოვილის და ძაფის ნაცვლად ძირითადად ნედლეულის, კერძოდ, აბრეშუმის პარკის, გატანა ხდებოდა. წლიწადში საქართველოდან გადიოდა 40-50 ათასი ფუთი აბრეშუმის პარკი.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს აღმავლობას იწყებს ქართული **მეთამბაქოეობა**. 1877 წელს საქართველოზეც გავრცელდა თამბაქოზე დადებული საიმპერიო ბაჟი (ფუთზე 14 მანეთი). ამით ქართული თამბაქო ფაქტიურად კონკურენციის გარეშე აღმოჩნდა. მეთამბაქოეობა განვითარებული იყო **კახეთში, იმერეთსა** და **გურიაში**, განსაკუთრებით კი **აფხაზეთში**. საქართველოში თამბაქოს პლანტაციებს ეკავა 1 მილიონ 400 ათასი დესეტინა მიწის ფართობი, საიდანაც XIX საუკუნის 80-იან წლებში 100 ათას ფუთ თამბაქოს აწარმოებდნენ, ქართული თამბაქო რუსეთისა და უცხოეთის ბაზარზე გადიოდა.

ამრიგად, XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოში შესამჩნევად ვითარდებოდა **სავაჭრო მწარმოებლობა**. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების (მემინდვრეობა, მევენახეობა, მეცხოველეობა, მეხილეობა-მებოსტნეობა, მებამბეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოეობა და ა. შ.) სასაქონლო პროდუქცია აღწევდა კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ მოცულობას. სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პირობებში ჩნდებოდა **ვაჭართა ფენა**, რომელთა რიგებიც სოფლის მოსახლეობიდან ივსებოდა. ვაჭრები უფრო მდიდრდებოდნენ სოფლის პროდუქციის რეალიზაციით, ვიდრე მისი უშუალო მწარმოებლები. ვაჭრების დიდი ნაწილი მევახშეობასაც მისდევდა და აქედანაც დიდ მოგებას ნახულობდა.

როგორც ცნობილია, საქართველოში საგლეხო რეფორმა ძირითადად მემამულეთა ინტერესების გათვალისწინებით გატარდა. წინათ ყმა-გლეხებით დასახლებული მიწების დიდი ნაწილი მემამულეთა საკუთრებაში დარჩა, გლეხთა უმრავლესობა კი **დროებით ვალდებულთა** კატეგორიაში გადავიდა. გამონაკლისი შეეხო მხოლოდ **აფხაზეთსა** და **სადადეშქელიანო სვანეთს**, სადაც ბაღ-ვენახი და სახნავ-სათესი მიწები გლეხებს სრულ საკუთრებაში უმტკიცდებოდა. ყმა გლეხთა პირადი განთავისუფლების საზღაური თანხის უდიდეს ნაწილს თავადაზნაურობას სახელმწიფო აძლევდა, გლეხს თანხის გაცილებით მცირე ნაწილი უნდა გაეღო. გლეხებს თანხის დასაფარავად ძველი ვალდებულებების ოთხი წლით გაგრძელების უფლება მიეცათ. აფხაზეთსა და სვანეთში დროებით ვალდებულება 4 წელს გაგრძელდა და გლეხებმა საკუთრებაში კომლზე 4-5 დესეტინა მიწა მიიღეს. ამრიგად, **აფხაზეთსა და სვანეთში რეფორმის შემდეგ, შეიქმნა მესაკუთრე გლეხთა გარკვეული რაოდენობა.** რაც შეეხებოდა საქართველოს დანარჩენ რაიონებს, აქ დროებით ვალდებულ გლეხთა განთავისუფლების პროცესი საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობდა. ეს პროცესი ძალზე გახანგრძლივდა და გლეხობას თავისუფლების მოპოვება, საბოლოოდ, მილიონობით მანეთი დაუჯდა.

დროებითვალდებულება მემამულეს უნარჩუნებდა სამომავლო შემოსავლის წყაროს – გლეხის განთავისუფლება მემამულეზე იყო დამოკიდებული. გლეხს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო მიწის გამოსყიდვა, თუკი მემამულე იქნებოდა თანახმა. მხოლოდ **გაჭირვებაში ჩავარდნა (ვალები) აიძულებდა მემამულეს გათავისუფლებინა გლეხები და ამის სანაცვლოდ ფული აეღო.** 1864 წლიდან 1904 წლამდე აღმოსავლეთ საქართველოში ნადელის გამოსყიდვის გზით თავისუფლება მოიპოვა და მესაკუთრეთა კატეგორიაში გადავიდა 4595 კომლი. მათმა უმრავლესობამ გამოიყენა მთავრობის სესხი, ნაწილმა – გარე სამუშაოზე ნაშოვნი ფული. ამის სანაცვლოდ **მიწის გამოსყიდვის პროცესი შედარებით სწრაფად მიმდინარეობდა დასავლეთ საქართველოში.** ქუთაისის გუბერნიის გლეხები გარე სამუშაოზე უფრო აქტიურად მიდიოდნენ და საჭირო რაოდენობის თანხის დაგროვებას ახერხებდნენ. XIX საუკუნის ბოლოსათვის დროებით ვალდებულ გლეხთა 60%-მა მოახერხა მიწების გამოსყიდვა და სრული თავისუფლების მოპოვება. **გარდა გლეხებზე რიცხული მიწისა (ნადელებისა), კაპიტალისტური ურთიერთობის ხანაში ნადელგარეშე მიწების ყიდვა-გაყიდვაც ხდებოდა, რაც ასევე ხელს უწყობდა მრავალრიცხოვან მესაკუთრეთა კატეგორიის ჩამოყალიბებას.**

საგლეხო რეფორმის შემდეგ, როდესაც გლეხებს იურიდიულ თავისუფლებასთან ერთად მიეცათ სამეურნეო დამოუკიდებლობის შესაძლებლობაც, სოფლად საკაჭრო და საკახშო კაპიტალის განვითარებამ და მიწების ყიდვა-გაყიდვის დამკვიდრებამ **დააჩქარა გლეხთა შიდა სოციალური სტრუქტურის შეცვლა, მოხდა გლეხთა კლასობრივი დიფერენციაცია ანუ გლეხების დაყოფა ფენებად.** მდიდარი გლეხები მიწასთან ერთად გამნეე პირუტყვსა და სამეურნეო ინვენტარსაც ფლობდნენ. ღარიბ გლეხებს კი არც მიწა, არც პირუტყვი და არც სასოფლო-სამეურნეო იარაღი არ გააჩნდათ. **ამრიგად, ერთი მხრივ, მიწა და სხვა საწარმოო საშუალებები თავს იყრიდა საერთო მასიდან გამოსული ახლად გამდიდრებული მცირერიცხოვანი ფენების ხელში, ხოლო, მეორე მხრივ, გლეხობის დიდი ნაწილი ღატაკდებოდა, მისი მეურნეობა სრულიად ჩანაგდებოდა, გაღარიბებული გლეხი კი მიწას და სხვა საწარმოო საშუალებებს კარგავდა.** ასე წარმოიშვა **სოფლის ბურჟუაზია (კულაკობა) და სოფლის პროლეტარიატი (უღარიბესი გლეხობა), მაგრამ გლეხობა, როგორც კლასი, არ გამქრალა, მისი ძირითადი ბირთვი კვლავ საშუალო გლეხობა იყო, რომელიც გლეხური მოსახლეობის 60%-შეადგენდა.** შესაბამისად XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისათვის კულაკები სოფლის მოსახლეობის 5%-ს, ხოლო ულარიბესთა ფენა (პროლეტარები) კი – 35%-ს შეადგენდნენ.

საგლეხო რეფორმის შემდეგ კაპიტალისტური ევოლუცია განიცადა **მემამულურმა მეურნეობამაც.** როგორც ცნობილია, ქართველი თავადაზნაურობა დიდი შიშით მოელოდა ბატონყმობის გაუქმებას, უფასო მუშახელისა და

პრივილეგიების დაკარგვას. მაგრამ მათი შიში ბოლომდე არ გამართლდა, რადგანაც ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა თავადაზნაურთა ინტერესების დასაცავად. საბატონო მეურნეობიდან კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლას უამრავი სიძნელე აბრკოლებდა. თვით მემამულეები დროის მოთხოვნას ფეხს ვერ უბამდნენ და მათი მეურნეობა გარდაუვალი დაცემისაკენ მიექანებოდა. ასეთ ვითარებაში თავადაზნაურობა თავიდანვე გამოსავლის ძებნას შეუდგა, ასეთად კი სათავადაზნაურო ბანკი მიიჩნიეს. ბანკის იდეა ეკუთვნოდა 1865 წელს ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლად (წინამძღოლად) არჩეულ **დიმიტრი ყიფიანს.** დიმიტრი ყიფიანი თავადაზნაურობას მოუწოდებდა ბანკის დასაარსებლად გაეღოთ ის თანხა, რომელიც ყმათა განთავისუფლებისათვის მათ ხელისუფლებისაგან მიიღეს. **დიმიტრი ყიფიანის აზრით, ბანკს უნდა შეესრულებინა კომერციული და საადგილმამულო ბანკის ფუნქციები და გაჭირვებაში მყოფი თავადაზნაურობისათვის მიეცა როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიანი სესხები.** ქართველი თავადაზნაურობა დიდი სიხარულით შეეგება ამ წამოწყებას. მათ ბანკი წარმოედგინათ ისეთ დაწესებულებად, საიდანაც სესხს იოლად მიიღებდნენ, ხოლო მის გასტუმრებაზე სომეხ მევახშესავით ყელში არ ნაუჭერდნენ. დიმიტრი ყიფიანმა შეადგინა ბანკის წესდება, თავადაზნაურთა ოჯახებში შეაგროვა ბანკის საწესდებო კაპიტალის ნაწილიც, მაგრამ ოფიციალური ხელისუფლების მიერ შექმნილი უამრავი ბარიერი ვერ დაძლია და იძულებული გახდა, თავის წამოწყებაზე უარი ეთქვა. თავადაზნაურთა მოწინავე ნაწილის თხოვნით ბანკის საქმეს სათავეში ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა. იგი აქტიურად შეუდგა შეთავაზებული საქმის სისრულეში მოყვანას. მას ორჯერ მოუხდა ხანგრძლივი დროით იმპერიის დედაქალაქში ჩასვლა, მთელი თავისი ავტორიტეტისა და გამოცდილების გამოყენება, რათა ბანკის დასაარსებლად მიეღო ოფიციალური ნებართვა და ხაზინიდან საწესდებო კაპიტალისათვის საჭირო რაოდენობის თანხა გამოეტანა. 1874 წლის 7 მაისს დამტკიცდა **ტფილისის გუბერნიის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის** წესდება. ბანკი ამოქმედდა 1875 წელს, მისი თავმჯდომარეობა თვით **ილია ჭავჭავაძემ**

ილია ჭავჭავაძე

იკისრა. ერთი წლის შემდეგ, სათავადაზნაურო ბანკი გაიხსნა ქუთაისშიც, მისი პირველი თავმჯდომარე იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე **ბესარიონ ღოღობერიძე.**

ქართველი თავადაზნაურობა დარწმუნებული იყო, რომ ბანკი საბოლოოდ მოაგვარებდა მათ ფინანსურ პრობლემებს. მემამულეთა უმეტესობა ბანკის სესხებს ყოველდღიური საჭიროებისათვის იყენებდა, ხშირად ფუქსავატური ცხოვრებისთვისაც კი. ხოლო იმაზე, რომ ბანკის სესხით მამული კაპიტალისტურ ყაიდაზე მოეწყოთ და შესაბამისად მოგებაც ენახათ, სულაც არ ზრუნავდნენ. აქედან გამომდინარე თავადაზნაურობა სესხის დაფარვას ვერ ახერხებდა და ბანკში დაგირავებულ მიწებს კარგავდა.

ასეთ ვითარებაში ილია ჭავჭავაძეს და ბანკის გამგეობას თავადაზნაურობა გარკვეულ პრეტენზიებს უყენებდა და როგორც ბანკის დამფუძნებლები შელავათს მოითხოვდნენ. **ილია ჭავჭავაძე მემამულეებს თავიდანვე აფრთხილებდა, რომ კრედიტი ორლესული მახვილია; ბანკიდან გატანილი სესხი მხოლოდ იმას დაეხმარება, ვინც ყაირათიანად, მეურნეობის გაუმჯობესებისათვის მოიხმარს თანხას, მფლანგველ და მოქეიფე დიდკაცებს კი სამარეს გაუთხრისო.** სწორედ ასეთი მფლანგველი აღმოჩნდა ქართველ მემამულეთა დიდი ნაწილი. ისინი ბანკში დაგირავებულ მიწებს კარგავდნენ, ეს მიწები ბანკის საკუთრება ხდებოდა. **აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძე ბანკის ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებას იმაშიც ხედავდა, რომ, თუ ადრე გაკოტრებული ქართველი მემამულის მიწების გასხვისება ხდებოდა (არაქართველი, სომეხი და სხვა ეროვნების მევახშეთა ხელში ვარდებოდა), ამიერიდან ქართული მიწის დაკარგვის**

საშიშროება აღარ იყო, ქართული მამული ქართული ბანკის საკუთრებად გადაიქცეოდა. ილიას მიუღებლად მიაჩნდა ქართველ თავადაზნაურთა პრეტენზიები და მათ განუმარტავდა, რომ კაპიტალისტურ ყაიდაზე გამართულ საადგილმამულო ბანკს არ შეეძლო უგულებელეყო კაპიტალისტური საკრედიტო ურთიერთობის კანონები და თავადაზნაურობისათვის შეღავათები მიენიჭებინა. ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ ისიც დიდი მიღწევა იყო, რომ ამ ბანკის მოგების დიდი ნაწილი საზოგადოების საჭიროებისათვის იხარჯებოდა, ეროვნული საქმის წარმატებისათვის გამოიყენებოდა. აღსანიშნავია, რომ ასეთი მტკიცე პოზიცია, ილიასადმი მტრულად განაწყობდა არა მარტო უქნარა თავადაზნაურებს, არამედ მის მოწინააღმდეგეებად ხშირად ისეთი საზოგადო მოღვაწეებსაც აქცევდა ხოლმე, როგორებიც დიმიტრი ყიფიანი და ივანე მაჩაბელი იყვნენ.

ბანკის საკითხებზე დავაში ილია თავის ოპონენტებთან ყოველთვის მართალი გამოდიოდა. ეს სიმართლე მისმა საქმეებმაც დაამტკიცეს. სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი გაკოტრების მაგივრად მალე ისეთ საფინანსო დაწესებულებად გადაიქცა, რომელიც **ყოველწლიურად უდიდეს მოგებას** ღებულობდა. მოგებული თანხის დიდი ნაწილი კი **ეროვნულ საქმეებს** ხმარდებოდა.

საგლეხო რეფორმის მიერ მიწების დიდი რაოდენობის კვლავ მემამულეთა ხელში დატოვება ამ უკანასკნელთ საშუალებას აძლევდა შეძლებისდაგვარად ძველი ცხოვრებით ეცხოვრათ. **მემამულე მინის ახლებური წესით დამუშავებას არ მისდევდა,** მემამულეს ჰქონდა მიწა, ხოლო გლეხი მიწას მოკლებული იყო. ამან წარმოშვა **იჯარა**. გლეხები მემამულისაგან იჯარით იღებდნენ მიწას. მიწის ერთ ნაწილს მემამულე იჯარით სცემდა **ფულადი რენტის** მისაღებად, მეორე ნაწილს კი **იაფი მუშახელის** გამოყენებით მეურნეობის უზრუნველსაყოფად იყენებდა. ზოგიერთი მემამულე კი იჯარას ორივე დანიშნულებით იყენებდა, რენტასაც იღებდა და საწარმოო მოგებასაც. XIX საუკუნის 80-იან წლებში **ივანე მუხრან-ბატონის** მამულში მცხოვრები 74 კომლი ხიზანი, სახლაურს იხდიდა როგორც **პროდუქტებით**, ისე **შრომით**. შესაბამისად, იხდიდნენ კომლზე 10-53 მანეთის მარცელეულს და მეურნეობაში მუშაობით ქმნიდნენ 17-77 მანეთის ღირებულებას, ივანე მუხრან-ბატონის მამულში 200 დესეტინა ფართობზე მოიჯარე გლეხები ასრულებდნენ სახნავი სამუშაოს 42%-ს, თესვისა და ყანის მოვლის სამუშაოებს მთლიანად, მოსავლის აღების სამუშაოს 70%-ს, ნამჯის დადგმის 64,3%-ს, გალეწვის – 65%-ს. დანარჩენ სამუშაოს ასრულებდნენ დაქირავებული მუშები. მიუხედავად იმისა, რომ ივანე მუხრან-ბატონის მამულში **დაქირავებულ** და **ვალდებულ** გლეხთა შრომის შერწყმა ხდებოდა, მეურნეობის სრულ კაპიტალისტურ ყაიდაზე მოწყობა მაინც ვერ ხორციელდებოდა.

ანალოგიური მდგომარეობა იყო ბევრი ქართველი მემამულის მეურნეობაშიც, რასაც მრავალი ობიექტური პირობა განსაზღვრავდა, კერძოდ: მიწის საკუთრებაზე თავადაზნაურთა მონოპოლია, საგვარეულო მინათმფლობელობა, მიწების გაუმიჯნაობა და სხვა, რაც ბოლოს და ბოლოს **კლავდა მეურნეობის გაუმჯობესების სტიმულს.** ბევრ მემამულეს მიწები საკუთრებაში დამტკიცებული არც კი ჰქონდა, რაც აძნელებდა **კრედიტის** მიღებას. ასეთ მინათმფლობელებს ბანკები სესხს არ აძლევდნენ და ისინი იძულებულნი ხდებოდნენ, ესარგებლათ **სავახშო კრედიტით**, რომლის პროცენტი 4-5 – ჯერ მეტი იყო საბანკო კრედიტის პროცენტზე.

მემამულენი მდგომარეობიდან გამოსავალს გლეხთა ხარჯზე ცდილობდნენ, მოგების მიზნით გლეხებს უზრდიდნენ **იჯარის ფასს** და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ნაგლიჯათ მათთვის. თავის მხრივ, გლეხიც მიწის დროებით სარგებლობაზე ფიქრობდა, მიწის უკეთ დამუშავება მას აზრადაც არ მოსდიოდა, რაც, რა თქმა უნდა, მოსავლიანობის კლებას იწვევდა.

ასეთ ვითარებაში ბევრი მემამულე იძულებული ხდებოდა მიწები **დაეგირავებინა**. 1903 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოში თავადაზნაურობას დაგირავებული ჰქონდა მიწების 65% (350.000 დესეტინა მიწა ბანკებში, 302.000 დესეტინა მეკახშეებში), ხოლო თავადაზნაურობის მთელი ვალი 11,3 მილიონ მანეთს უდრიდა.

მიუხედავად გარდამავალი პერიოდის საერთო სიძნელეებისა, მემამულური მეურნეობების ნაწილი, მართალია, ნელი ტემპით,

მაგრამ საერთო ჯამში მაინც ეგუებოდა **ბაზრის მოთხოვნილებებს, ღებულობდა სავაჭრო ხასიათს.** XIX საუკუნის 80-90-იან წლებში მემამულური მეურნეობიდან ბაზარზე გადიოდა 3-4 მილიონი ფუთი მარცვლეული. სასაქონლო პროდუქტს ძირითადად მსხვილი მეურნეობები იძლეოდნენ. მოგვიანებით, როდესაც მარცვლეულზე მოთხოვნილება შემცირდა, ძირითადი ყურადღება ეთმობოდა მევენახეობა-მეღვინეობას, მებაღეობა-მებოსტნეობას, მეაბრეშუმეობას, მეთამბაქოეობას და სხვა დარგებს, სადაც ძირითადად დაქირავებული შრომის გამოყენება ხდებოდა. მევენახეობა-მეღვინეობის სანიმუშო მარანი ჰქონდათ კახეთში თავად **ჭავჭავაძეებს** (წინანდალში, მუკუზანსა და ყვარელში), ანდრონიკაშვილებს (ბურჯანასა და ბაკურციხეში), თავად **აფხაზსა** და **ვაჩნაძეებს** (კარდანახში), თავად **ჯანდიერს** (ვაჩნაძიანში), თავად **ჩოლოყაშვილს** (ახმეტაში), თავად **ჯორჯაძეს** (საბუეში) და ა.შ. ეს მემამულეები უმაღლესი ხარისხის ღვინოს კახური წესით ამზადებდნენ, გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ თავადი ზ. ჯორჯაძე, რომელიც ევროპული წესით აყენებდა ღვინოს.

ტფილისის გუბერნიაში ყველაზე დიდ ვენახის ფართობებს ფლობდა **ივანე მუხრანბატონი**, რომელმაც საფრანგეთიდან გამოიწერა და დაიქირავა ღვინის სპეციალისტები. მან სოფ. **მუხრანში** აიგო 100 ათასი ვედროს ტევადობის სარდაფი და ღვინის დაყენების ევროპულ წესზე გადავიდა. 1886 წელს ივანე მუხრანბატონმა 30 ათასი ვედრო ღვინისა და 470 ვედრო სპირტის გაყიდვით მიიღო 424 570 მანეთი შემოსავალი. სამეგრელოში, სოფ. **სალხინოში,** მსხვილი მეურნეობა ჰქონდა **სალომე დადიან-მიურატს.** მის ვენახებს XX საუკუნის დასაწყისში ეკავა თითქმის 60 დესეტინა ფართობი, სადაც ძირითადად დაქირავებული შრომა გამოიყენებოდა.

საქართველოში ერთ-ერთი მსხვილი მემამულე იყო **რომანოვების** საგვარეულო. მათ მიერ შეძენილ იქნა 90 ათასი დესეტინა მიწა. რომანოვების საკუთრებაში გადავიდა **ჭავჭავაძის, მუხრანბატონის, ორბელიანის** და სხვათა მამულების დიდი ნაწილი. საუფლისწულო უწყება **კახეთსა** და **ქართლში** მისდევდა მევენახეობა-მეღვინეობას; **ბორჩალოს მაზრაში** – მებამბეობას და მეცხოველეობას; **აჭარაში** – მეჩაიეობას. ყოველ დარგს ცალკეული სამმართველოები განაგებდნენ. ყველა სამუშაო სრულდებოდა სტაჟიანი სპეციალისტებისა (მმართველების, აგრონომების, ტექნოლოგების, ბულალტრების, მოლარეების) და დაქირავებული მუშების მიერ. აქ ყოველწლიურად 500-600 მუდმივი და 2-3 ათასი სეზონური მუშა მუშაობდა. საუფლისწულო მამული ყოველწლიურად ბაზარს აწოდებდა 100-150 ათას ვედრო ღვინოს, 15-20 ათას ფუთ ბამბას, 10-12 ათას გირვანქა ჩაის მზა პროდუქტს, ციტრუსებსა და მეცხოველეობის პროდუქტებს. წლიური შემოსავალი 1 მილიონ მანეთს უდრიდა, სუფთა მოგება კი 500 ათას მანეთს შეადგენდა.

სოფლის მეურნეობაში კაპიტალს აბანდებდა და თავის მიწათმფლობელობას ზრდიდა ქალაქის ბურჟუაზიაც. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ვაჭარ-მრეწველთა ანუ არათავადაზნაურული წარმოშობის კერძო მესაკუთრენი 500 ათას დესეტინა მიწას ფლობდნენ. ისინი სოფლად კაპიტალისტურ მეურნეობებს ქმნიდნენ. დიდვაჭარი **კ. პოპოვი**, რომელიც აჭარაში 300 დესეტინა მიწას ფლობდა, ჩაის კულტურის დანერგვის ერთ-ერთი პიონერი იყო. მან თავის მამულში დააბანდა 2 მილიონი მანეთი და 140 დესეტინა ჩაის პლანტაცია გააშენა. მანვე ააშენა სამეურნეო ნაგებობები და ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა, რომელიც ყოველწლიურად 50-60 გირვანქა მზა პროდუქტს უშვებდა.

1860 წელს იმერეთში 5 ათასი დესეტინა მიწა იყო. აქ ბამბის კაპიტალისტური მეურნეობა გამართა ცნობილმა ვაჭარმა **ალექსანდრე ანანოვმა.** მან შეიძინა ქარხნული გუთნები, სათესი მანქანები და სხვა სამეურნეო იარაღი. ა. ანანოვი მიწის უმეტეს ნაწილს იჯარით სცემდა, მიწის რენტა იყო მისი შემოსავლის მთავარი წყარო. შემდგომში მისმა შვილებმა **მუხრან** და **აბგარ ანანოვებმა** ხელი მოჰკიდეს მეღვინეობას და ხე-ტყის დამზადებას, რაშიც უდიდეს მოგებას ნახულობდნენ. ანანოვის ვარციხის ღვინის სარდაფებიდან ყოველწლიურად იმპერიის ქალაქებში იგზავნებოდა 20-30 ათასი ვედრო **ღვინო,** 30-40 ათასი ბოთლი **შამპანური** და 60 ათასი ბოთლი **კონიაკი.** ხე-ტყის ანანოვის საწარმოში ყოველწლიურად 200-300 კაცი იყო დასაქმებული.

ბორჩალოს მაზრაში მესაქონლეობის პირველი კაპიტალისტური მეურნეობა შექმნა **ალექსანდრე კუჩენბახმა**. იგი 7 ათას დესეტინა მიწას ფლობდა. ა. კუჩენბახის ფერმაში 300-მდე ჯიშიანი ძროხა ითვლებოდა. ა. კუჩენბახის ქარხანაში წლიურად 2000 ფუთ შვეიცარიულ ყველს და 300 ფუთ კარაქს ამზადებდნენ. რძისა და ყველ-კარაქის დამამზადებელი ქარხნის მფლობელი იყო შვეიცარიელი მეწარმე **ამეტერი**, რომელიც ყოველწლიურად ბაზარს აწვდიდა 1200 ფუთ შვეიცარიულ ყველს და 260 ფუთ კარაქს. კაპიტალისტური ფერმებისა და რძის გადამამუშავებელი ქარხნების მფლობელები იყვნენ **ქ. ნიდიგერი, ნ. კეზელი** და სხვები.

განსაკუთრებით ბევრი კაპიტალისტური საწარმო იქმნებოდა **თამბაქოს** მოყვანა-გადამუშავებაზე. აღსანიშნავია, რომ მარტო **აფხაზეთში** ათეულობით წვრილი, საშუალო და მსხვილი პლანტაციის კერძო მფლობელი იყო. ისინი საუკეთესო ხარისხის თამბაქოთი ამარაგებდნენ როგორც საშინაო, ასევე საგარეო ბაზარს. მსგავსი მდგომარეობა მეტ-ნაკლებად შეიმჩნეოდა მეურნეობის სხვა დარგებშიც, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოს სოფელი, მისი მეურნეობა ჩართული იყო, როგორც რუსეთის იმპერიის, ასევე მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემაში.

§ 2. მრეწველობა

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე კოლონიური მმართველობა შეგნებულად აფერხებდა საქართველოში მრეწველობის განვითარებას. სამაგიეროდ, ცდილობდნენ სოფლის მეურნეობის იმ დარგების სტიმულირებას, რომელნიც იმპერიის მსხვილი ქალაქების საწარმოებს იაფი ნედლეულით უზრუნველყოფდა. მიუხედავად ასეთი პოლიტიკისა, **კაპიტალისტური ურთიერთობანი მრეწველობაში, მართალია ნელი ტემპით, მაგრამ მაინც ფეხს იკიდებდა.** ამქრული წვრილი წარმოების გვერდით ჩნდებოდა კაპიტალისტური მანუფაქტურები, სადაც ხდებოდა შრომის დანაწილება. გამოიყენებოდა დაქირავებული მუშახელი. ამ საწარმოებში მზადდებოდა ადგილობრივი ბაზრისათვის საჭირო საქონელი: **ბამბის, აბრეშუმისა** და **შალის ქსოვილები, ფეხსაცმელი, ქუდები, საოჯახო** და **სამეურნეო იარაღი, ხის ავეჯი, საპონი** და ა.შ. ზოგიერთ მანუფაქტურულ საწარმოში გამოიყენებოდა **ხელის დაზგები** და სხვა სპეციალური აღჭურვილობა, ასევე ძრავებიც, რომელნიც წყლის ან გამწვეი პირუტყვის ძალით მოდიოდნენ მოქმედებაში.

XIX საუკუნის 30-40-იან წლებში საქართველოში ჩნდება რამდენიმე მსხვილი კაპიტალისტური საწარმოც (ფაბრიკა-ქარხანა), სადაც ძირითადად **მანქანურ შრომას** იყენებდნენ. ასეთ საწარმოთა რიცხვს განეკუთვნებოდა 1839 წელს **ტფილისში ვაჭარ ზუბალაშვილის** მიერ დაარსებული **შაქრის ქარხანა**, რომელიც 1845 წელს დაიხურა; 1845 წელს სოფ. **ღვარევში ელიზბარ** და **დიმიტრი ერისთავების** მიერ დაარსებული **მინის ქარხანა**; 1848 წელს **ყორღანოვის** მიერ **ტფილისში** დაარსებული **თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა**; 1851 წელს სოფ. **დრეში** გახსნილი **მეიცნერის მაუდის ფაბრიკა**; 1851 წელს **გრაფ როზმარდუკის** მიერ **ზუგდიდში** გახსნილი **ჩაის** გადამამუშავებელი **ფაბრიკა** და სხვა. მაგრამ საერთო სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში მანქანური წარმოების ხვედრითი წილი ჯერ კიდევ 2-3-ჯერ ჩამორჩებოდა წვრილ-ამქრული წარმოებისას.

საქართველოში, ისევე როგორც რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიებში, სამრეწველო გადატრიალება იწყება ბატონყმობის გაუქმების შემდგომ პერიოდში. ბატონყმობის გაუქმებამ და თავისუფალი მუშახელის გაჩენამ, ნატურალური მეურნეობის კარჩაკეტილობის რღვევამ და ბაზრის მასშტაბების გაფართოებამ სტიმული მისცა **კაპიტალისტური მრეწველობის** სწრაფი ტემპით განვითარებას. **წვრილხელოსნური** და **მანუფაქტურული** წარმოებიდან **საფაბრიკო-საქარხნო** წარმოებაზე გადასვლის პროცესში განსაკუთრებული როლი შეასრულა კაუშირგაბმულობისა და მიმოსვლის საშუალებების განვითარებამ.

ყირიმის ომში განცდილი მარცხით გამოფხიზლებულმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი თანხები გამოყო შავ ზღვაზე ნაოსნობის განვითარებისა და პორტების მოწყობისათვის, საქართველოს სამხედრო გზისა და სხვა გზატკეცილების მშენებლობისათვის, კაუშირგაბ-

დავით სარაჯიშვილი

მულობის განვითარებისათვის. აღსანიშნავია, რომ სწორედ XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან იწყება **ფოთის** პორტისა და მისი ინფრასტრუქტურის განვითარება; როგორც საზღვაო, ასევე ახალი სამდინარო **გემების** შემოყვანა, ამიერკავკასიის ზოგიერთი დიდი **ქალაქის ტელეგრაფიით** იმპერიის ქალაქებთან დაკავშირება და სხვა. ამ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა **რკინიგზის** მშენებლობას. 1864 წელს პეტერბურგში დამტკიცებულ იქნა **ფოთიდან ტფილისამდე** რკინიგზის გაყვანის პროექტი. 1872 წელს ამ ხაზზე მატარებლების რეგულარული მიმოსვლა დაიწყო. 1877 წელს ცენტრალურ სარკინიგზო ხაზს შეუერთდა **რიონ-ქუთაისის** მაგისტრალი. 1883 წელს ამოქმედდა **სამტრედია-ბათუმის** და **ბაქო-ტფილისის** ხაზები, რითაც ფაქტობრივად დასრულდა ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის გამართვა. მოგვიანებით ცენტრალურ მაგისტრალს ასევე შეუერთდა **ქუთაისი-ტყიბულის, შორაპან-ჭიათურის** და **ხაშური-ბორჯომის** განშტოებები. 1890 წელს ამიერკავკასიის რკინიგზა დაუკავშირდა რუსეთის რკინიგზას.

რკინიგზებმა დაახლოვა და ეკონომიკურად შეაკავშირა საქართველოს სხვადასხვა კუთხეები, დააჩქარა აღებ-მიცემობის განვითარება და გააადვილა ნიაღისეული სიმდიდრის მოპოვება-დამუშავება, გამოცოცხლდა ცხოვრება. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან შინაური ბაზრის ზრდისა და საქართველოს მსოფლიო ბაზარში ჩართვის შედეგად მანქანურმა წარმოებამ მოიცვა მრეწველობის თითქმის ყველა წამყვანი დარგი. **მანუფაქტურული საწარმოების მანქანური ტექნიკით აღჭურვის გზით ხდებოდა მათი გამსხვილება და ნერილი წარმოებიდან ფაბრიკა-ქარხნულ წარმოებაზე გადასვლა.** დაარსდა ბევრი ახალი საწარმოც, სადაც პროდუქციის დამზადება, ძირითადად, მანქანური შრომის გამოყენებით ხდებოდა.

სამრეწველო გადატრიალებაში უმთავრესი როლი შეასრულა რკინიგზამ. მან ხელი შეუწყო სამთამადნო წარმოების განვითარებას. რკინიგზის საშუალებით სატრანსპორტო ხარჯების შემცირებამ განსაკუთრებით დაანინაურა **ქვანახშირისა** და **მანგანუმის** წარმოება, გააფართოვა მისი მოხმარების არეალი. აღსანიშნავია, რომ ქვანახშირის მსხვილ მომხმარებლად თვით ამიერკავკასიის რკინიგზა იქცა.

ქვანახშირის მრეწველობის უმთავრეს ცენტრს წარმოადგენდა **ტყიბულის** საბადო, სადაც აქტიურად საქმიანობდა ორი ცნობილი ფირმა – **„ნოვოსელსკი"** და საზოგადოება **„ნახშირა"**. ორივე ფირმაში დასაქმებული იყო რამდენიმე ასეული დაქირავებული მუშა, დიდი ყურადღება ექცეოდა წარმოებაში პროცესის დანერგვას. ტყიბულში ნოვოსელსკის ფირმამ დაამონტაჟა პირველი ბრემსბერგი, რომლის სიგრძე 600 საჟენს, ხოლო სიმაღლე კი 60 საჟენს უდრიდა. ნოვოსელსკის მაღაროებიდან ქვანახშირი გამოჰქონდათ ვაგონების საშუალებით ვიწროლიანდაგიანი გზით, რომლის სიგრძე 450 საჟენი იყო. ვაგონები უშუალოდ ბრემსბერგით ჩამოდიოდა რკინიგზის სატვირთო სადგურზე. ქვანახშირს მექანიზაციის გამოყენებით ტვირთავდნენ. ანალოგიური პროცესი ხდებოდა საზოგადოება „ნახშირას" წარმოებაშიც. ასეთი მეთოდით ნოვოსელსკიმ 1890 წელს მოიპოვა 297 ათასი ფუთი ქვანახშირი, ხოლო „ნახშირამ" – 160 ათასი ფუთი. XIX საუკუნის ბოლოსათვის ტყიბულის ქვანახშირის წარმოება მთლიანად საზოგადოება „ნახშირას" ხელში მოექცა. 1899 წელს ამ ფირმის მიერ მოპოვებულ იქნა 2.182 ათასი ფუთი ქვანახშირი.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ევროპის მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში მეტალურგიის სწრაფი ტემპით განვითარებამ მოთხოვნილება გაზარდა ამ დარგისათვის ისეთ უმთავრეს ნედლეულზე, როგორიც იყო **მანგანუმი**, ე.ნ. **შავი ქვა**. მანგანუმის საბადოები საქართველო ჯერ კიდევ XIX საუკუნის 40-იან წლებში აღმოჩნდა ჭიათურის მიმდებარე სოფლების: **რგანის, ზედა რგანის, პერევისის, შუქურეთის,**

დარკვეთის და **ითხვისის** ტერიტორიაზე. მანგანუმის სამრეწველო მნიშვნელობას პირველმა ყურადღება **აკაკი წერეთელმა** მიაქცია. მართალია, აკაკის ეს „ახირება" ხშირად დაცინვის ობიექტიც კი ხდებოდა, მაგრამ მისმა მონდომებამ თავისი გაიტანა. აკაკის მიერ გაგზავნილმა **შავი ქვის** ნიმუშებმა უცხოეთში დიდი დაინტერესება გამოიწვიეს. მარგანეცის პირველი პარტია 1879 წელს საქართველოდან უცხოეთში სწორედ აკაკი წერეთლის სახელით გავიდა. მალე **ჭიათურა** უცხოელ მეწარმეთა ყურადღების ცენტრში მოექცა. აქ უამრავმა საქმოსანმა იწყო ჩამოსვლა, რომლებიც საბადოების ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. მიწები, სადაც მანგანუმი მოიპოვებოდა, ადგილობრივ მემამულეებს ეკუთვნოდათ, რომელთაც მიწების ყიდვა-გაყიდვის პარალელურად, თავადაც დაიწყეს პრიმიტიული იარაღით საბადოების დამუშავება. **რადგანაც მანგანუმის საბადოები ტექნიკისათვის ძნელად მისადგომ ადგილებში იყო, ქართველმა მეწარმეებმა უცხოელ საქმოსნებს ისეთი კონკურენცია გაუწიეს, რომ უცხოელები იძულებულნი ხდებოდნენ მათ მიერ ამოღებული მანგანუმი შეესყიდათ.** XIX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან მანგანუმის წარმოებაში **მსხვილმა კაპიტალმა** ფეხი მაინც მოიკიდა. მანგანუმის მსხვილი ქართველი მრეწველები იყვნენ: **გედევან ჩუბინიძე, ნიკოლოზ ლოლობერიძე, სამსონ აბესაძე, სოლომონ ნერეთელი, ნესტორ კაკაბაძე, დავით ბაქრაძე** და სხვანი; უცხოელთაგან: **ძმები ოგანეზოვები, ივანე ველეევი, გუსტავ ემერინგი** და სხვები. მოპოვებული მანგანუმის 92% ფოთის პორტიდან გადიოდა უცხოეთში, 8% კი ბათუმის პორტიდან გაჰქონდათ. მანგანუმის ექსპორტს ეწეოდნენ ისეთი ფირმები, როგორიც იყო: **„შტუც და ციმერმანის", „ძმები ოგანეზოვების"** და სხვები. ქართველებიდან შავი ქვის ექსპორტიორები ყოფილან მხოლოდ **ნიკოლოზ ლოლობერიძე** და **გედევან ჩუბინიძე**. მსხვილი კაპიტალის შეჭრამ მანგანუმის მრეწველობაში საგრძნობლად გაზარდა მისი მოპოვება. 1887 წელს ამოიღეს 4 მილიონ ფუთზე მეტი, ხოლო გაიტანეს – 3, 7 მილიონი ფუთი. 1890 წლისათვის ამოიღეს 10 მილიონი ფუთი, ხოლო გაიტანეს 8,5 მილიონი ფუთი. მანგანუმის წარმოებაში დასაქმებულ მუშათა რაოდენობა 1156 კაციდან თითქმის 2600 კაცამდე გაიზარდა.

XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებიდან მარგანეცის წარმოებამ მიიღო საკმაოდ ორგანიზებული ხასიათი. წარმოების მთელ პროცესს მეთვალყურეობას უწევდა და მეწარმეთა ინტერესებს იცავდა **მარგანეცის მრეწველთა ყრილობის** მიერ არჩეული **აღმასრულებელი კომიტეტი**, რომელსაც 1896 წლიდან თავმჯდომარეობდა **გიორგი ზდანევიჩ-მაიაშვილი**. აღსანიშნავია, რომ 1900 წლისათვის ჭიათურაში ამოღებულ 50 მილიონ ფუთზე მეტი მარგანეცი მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილების თითქმის ნახევარს შეადგენდა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ყურადღება მიექცა **სპილენძის** დამუშავების საქმეს. სახელმწიფომ მემამულე **ლორის-მელიქოვებისაგან** შეისყიდა **ალავერდისა** და **შამბლულის** მიდამოები და მადნის დამუშავება პოსესიური უფლებით გადასცა ბერძენ ოსტატთა ამხანაგობას. ალავერდსა და შამბლულში ის ამხანაგობა წელიწადში 2-5 ათას ფუთ სპილენძს ადნობდა, რაც სპილენძზე გაზრდილ მოთხოვნილებას აშკარად ვერ აკმაყოფილებდა. 1888 წელს აღნიშნული საბადოები გადავიდა **„ახტალის მაღაროების ფრანგული კომპანიის"** ხელში. ფრანგულმა კომპანიამ სპილენძის წარმოებაში ტექნიკური სიახლეების დანერგვის შედეგად შესამჩნევ წარმატებებს მიაღწია. XIX საუკუნის ბოლოსათვის მოიპოვეს 700 ათასი ფუთი მადანი, ხოლო გამოადნეს 12.700 ფუთამდე სპილენძი.

პროგრესი შეიმჩნეოდა **ნავთობის** მოპოვების საქმეშიც. XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში კახეთში, **მირზაანში** და ტფილისის მახლობლად, **ნავთლუღში** მოქმედებდა რამდენიმე ჭაბურღილი. მათი მეშვეობით წელიწადში 60-70 ათასი ფუთი ნავთობის ამოღება ხდებოდა. მოგვიანებით ნავთობის მოპოვების საქმე საქართველოში ჩიხში მოექცა, რადგანაც ამ პერიოდში იწყება აფშერონის ნახევარკუნძულის ნავთობით მდიდარი საბადოების დამუშავება.

ბაქოს ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ექსპორტირების საჭიროებამ განაპირობა **ბათუმის** სამრეწველო განვითარება. 1883 წელს ინჟინრებმა **ბუნგემ** და **პალაშკოვსკიმ** დააარსეს

„კასპია-შავი ზღვის ნავთობის დამმუშავებელი და სავაჭრო საზოგადოება", რომელიც 1886 წელს როტშილდის პარიზის ფირმის ხელში გადავიდა. ამ ფირმამ ააშენა ნავთობის ექსპორტირებისათვის საჭირო თუნუქის ბიდონებისა და მათი ჩასაწყობი ხის ყუთების დამამზადებელი ქარხანა. მსგავსი პროფილის ქარხნები ბათუმში გახსნეს **სიდერდისმა, რიხტერმა, ხაჩატურიანცმა, მანთაშევმა** და ძმებმა **ციციანოვებმა.** XIX საუკუნის ბოლოსათვის ბათუმის ტარის ქარხნებში დასაქმებული იყო 2-3 ათასი მუშა, ხოლო წლიურად მზადდებოდა 22 მილიონი თუნუქის ბალონი და 11 მილიონი ხის ყუთი. ბათუმის ქარხნების მიერ გამოშვებული ტარის საშუალებით ექსპორტირებულ იქნა 20 მილიონი ფუთი ნავთობი. ბათუმიდან ნავთობის ექსპორტისთვის გემებიც გამოიყენებოდა. გემებში ნავთობს ასხამდა 17 ტუმბო, რომელიც მოქმედებაში მოჰყავდა ორთქლის ძრავას.



სარეკლამო ეტიკეტები

შესამჩნევად განვითარდა **ლითონდამმუშავებელი** მრეწველობა და **მანქანათმშენებლობა,** სადაც წვრილი მექანიკური საწარმოები გაბატონებულ ადგილს უთმობდნენ მსხვილ მანქანურ წარმოებას. XIX საუკუნის 80-იან წლებში თუჯჩამომსხმელი ქარხნები დააარსეს **რენკვისტმა** და **პოპოვიჩმა,** მოგვიანებით – **იარლოვმა, კარაპეტოვმა, ბერეჟანოვმა** და **ანანოვმა.** ამ საწარმოებში მუშათა რაოდენობა 300-ს აღემატებოდა, პროდუქციის ღირებულება კი 316 ათას მანეთს შეადგენდა. ერთ-ერთ უმსხვილეს საწარმოს წარმოადგენდნენ 1883 წელს ტფილისში დაარსებული **ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები,** სადაც წარმოება მთლიანად მექანიზირებული იყო. რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში დასაქმებული იყო 2500 მუშა და სხვა პერსონალი. ამწყობ, სახარატო, ჩამომსხმელ, სამჭედლო, სამღებრო და სხვა საამქროებში ხდებოდა დაზიანებული ტექნიკის აღდგენა, ასევე ახალი აგრეგატებისა და ნაწილების დამზადებაც. ტფილისის სხვა **მექანიკურ ქარხნებშიც** გაფართოვდა მანქანებისა და მისი ნაწილების წარმოება. ამზადებდნენ **ორთქლის ქვაბებს, ტურბინებს** და **წყლის ძრავებს, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს** და ა.შ.

ძირითადად მექანიკურ წარმოებაზე იყო გადასული ხე-ტყის დამუშავება. XIX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში **ტფილისის შვიდ სახერხ ქარხანაში** გამომუშავებული პროდუქციის ღირებულება 200 ათას მანეთს შეადგენდა. დიდი სახერხი ქარხნები ეკუთვნოდა **საუფლისწულო** (რომანოვების გვარის) უწყებას სოფელ **გომში, ზენდემანსა** და **ქართველიშვილს შინდისსა** და **ატენში.** რამდენიმე დიდი სახერხი ქარხანა არსებობდა **ქუთაისის** გუბერნიაშიც, რომელთაგანაც წარმოების მოცულობისა და დასაქმებულ მუშათა რაოდენობით გამოირჩეოდნენ – **სერებრიაკოვის ქარხანა** სენაკის მაზრის სოფ. **მარანში** და **მაქსიმოვის მემკვიდრეების ქარხანა** სოხუმის ოლქის სოფ. **აძიუბჟაში.**

ბორჯომის მინერალური წყლების ექსპლოატაციისა და **ქართული ღვინის** პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით XIX საუკუნის 80-90-იან წლებში მწყობრში ჩადგა რამდენიმე **მინის ქარხანა.** მათგან უმსხვილესი იყო **ბერგმანის** მინის ქარხანა **ბორჯომში,** რომელიც წელიწადში 112 ათასი მანეთის პროდუქციას უშვებდა. წელიწადში 60 ათასი მანეთის ღვინის ბოთლს, წყლისა და სააფთიაქო ჭურჭელს

უალეპოლო გაზიანი წყლის (ლაღიძის) ჯიხური ტფილისში

ამზადებდა **კუჩენბახის** მინის ქარხანა **ბორჩალოს** მაზრაში.

ქალაქმშენებლობის განვითარებამ და სამშენებლო მასალებზე მოთხოვნილების გაზრდამ ცვლილებები მოახდინა **აგურის** წარმოებაში. აგურის ქარხნებში ფართოდ გამოიყენებოდა ორთქლის ძრავები, რაც წარმოების თხევად საწვავზე გადასვლასთან იყო დაკავშირებული. XIX საუკუნის 90-იანი წლების **ტფილისში** ოთხი ასეთი აგურის ქარხანა არსებობდა, სადაც დასაქმებული იყო 100 მუშა, ხოლო გამომუშავებული პროდუქციის ღირებულება 100 ათას მანეთს უდრიდა.

მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა **მსუბუქ მრეწველობაშიც**. მთლიანად სამანქანო წარმოებაზე იქნა გადაყვანილი **ბამბის** დამუშავება. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში **მირზოევის** მიერ ტფილისში დაარსებული ფაბრიკა 1888 წელს ივჯარით აიღო ფრანგმა კაპიტალისტმა **რიშარმა** და იმ პერიოდისთვის უახლესი საქსოვ-სართავი დანადგარებითა და მანქანებით აღჭურვა. ფაბრიკაში დასაქმებული იყო 350 მუშა, ხოლო მის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება წელიწადში 500 ათას მანეთს აღწევდა.

1875 წელს **გრ. ადელხანოვმა** ტფილისში **აგო ტყავის დამამუშავებელი ფაბრიკა**, სადაც ორთქლის ძრავები გამოიყენებოდა. მოგვიანებით ადელხანოვმა გახსნა ქეჩის და **ფეხსაცმლის ფაბრიკებიც**. ეს ფაბრიკები 2 მილიონი მანეთის პროდუქციას უშვებდნენ. ადელხანოვის ტყავის ფაბრიკა 1879 წლიდან წელიწადში 500 ათასი მანეთის ტყავის ნაწარმს ამზადებდა კავკასიაში მყოფი რუსული ჯარისათვის. ქეჩის ნაწარმი კი ძირითადად რუსეთში გადიოდა. 1892 წელს ტფილისში **ზარგარიანცმა** და **ვარტაზარიანცმაც** გახსნეს ტყავის მსხვილი საწარმოები, რომელთაც წელიწადში 130 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში განვითარების მნიშვნელოვან დონეს მიაღწია **თამბაქოს** გადამამუშავებელმა წარმოებამ. თამბაქოს ფაბრიკებში ინერგებოდა მანქანური ტექნიკა, კერძოდ, თამბაქოს საჭრელი დაზგები და სიგარეტის დამამზადებელი მანქანები. თამბაქოს წარმოებაში გამოიყენებოდა ელექტროენერგიაც. 1900 წლისათვის საქართველოში არსებული თამბაქოს 7 მსხვილი ფაბრიკიდან ოთხი ტფილისში მუშაობდა: **ა. ენფიანჯიანცის, ნ. ბოზარჯიანცის**, აქციონერულ საზოგადოება **„მირ"**-ის და **მ. საფაროვის** მემკვიდრეებისა. **ქუთაისში** არსებულ თამბაქოს ფაბრიკას ძმები **ფირალოვები** ფლობდნენ, **ბათუმის** თამბაქოს ორი ფაბრიკიდან ერთი **ბუნიატ ოლლის**, მეორე კი **ა. ლევებერგის** საკუთრება იყო. აღნიშნულ ფაბრიკებში უცხოური და ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით 2 მილიონი მანეთის პროდუქციას აწარმოებდნენ, რომლის დიდი ნაწილი რუსეთში გადიოდა.

სპირტისა და **სპირტიანი სასმელების** ქარხნულად წარმოება დაკავშირებულია ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მეცენატის **დავით სარაჯიშვილის** სახელთან. 1884-1885 წლებში დავით სარაჯიშვილმა **ტფილისში** ააშენა **არყის სახდელი ქარხანა**, სადაც თავდაპირველად სულ 15 მუშა იყო დასაქმებული და წელიწადში გამოშვეული პროდუქციის საერთო ღირებულება 200 ათას მანეთს შეადგენდა. XIX საუკუნის 80-იან წლებში დავით სარაჯიშვილის წარმოება კიდევ უფრო გაიზარდა და წელიწადში მისი პროდუქციის ღირებულებამ 600 ათასი მანეთი შეადგინა. დავით სარაჯიშვილის სახელგანთქმული **კონიაკი, არაყი** და **ღვინო** იგზავნებოდა არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპის ქვეყნებშიც, სადაც სარაჯიშვილს თავისი მაღაზიებიც გააჩნდა.

სპირტიანი სასმელების ქარხნები ჰქონდათ **სოგომონოვსა** და **ხუბლაროვს**, რომელნიც წელინდში 500 ათასი მანეთის პროდუქციას აშზადებდნენ.

ამგვარად XIX საუკუნის ბოლოსათვის საქართველოში მრეწველობის თითქმის ყველა დარგი საფაბრიკო-საქარხნო წარმოებამ მოიცვა. ფაბრიკა-ქარხნების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხვედრითმა წილმა 79-80%-ს მიაღწია, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოში სამრეწველო გადატრიალება განხორციელდა.

§ 3. ვაჭრობა

XIX საუკუნის 70-იან წლებიდან საქართველოში კაპიტალისტური წარმოების ზრდასთან ერთად სწრაფი ტემპით ხდება **ვაჭრობის** განვითარება. კაპიტალიზმმა შეაკავშირა საქართველოს სხვადასხვა კუთხე, გააფართოვა **საშინაო ბაზარი** და საქართველო უფრო აქტიურად ჩაება როგორც შიდა სარუსეთო ეკონომიკურ ურთიერთობებში, ასევე საერთაშორისო ეკონომიკურ ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის მარტო ტფილისში ითვლებოდა სამი ათასამდე **დუქანი** და სავაჭრო დაწესებულება (მათ შორის 17 ქარვასლა). **ტფილისის** საშინაო ვაჭრობის წლიური მოცულობა 8.251.000 მანეთს შეადგენდა. მომდევნო პერიოდში რკინიგზების გაყვანამ, სამთამადნო მრეწველობის განვითარებამ, სავაჭრო მიწათმოქმედების გაფართოებამ და საკრედიტო ორგანიზაციების დაარსებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი ვაჭრობის, განსაკუთრებით კი საგარეო ვაჭრობის განვითარებას. **XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან ქართულ ღვინოსა და სპირტიან სასმელებზე, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის პროდუქტებზე, თამბაქოსა და აბრეშუმზე, განსაკუთრებით კი სიმინდსა და მარგანეცზე მოთხოვნილების გაზრდამ განაპირობა საგარეო ვაჭრობის პასიური მდგომარეობიდან აქტიურ მდგომარეობაში გადასვლა.**

საგარეო და საშინაო ბაზარზე საქართველოს ყველა რაიონი თავისი მეურნეობისათვის დამახასიათებელი საქონლით იღებდა მონაწილეობას. **კახეთი** ბაზარს უმთავრესად ღვინოს ანვდიდა; **ქართლი** – ღვინოსა და მარცვლეულს; **იმერეთი** – ღვინოს, სიმინდს, აბრეშუმის პარკს, მეფრინველეობის პროდუქციას; **გურია-სამეგრელო** – სიმინდს და აბრეშუმის პარკს; **აფხაზეთი** – თამბაქოს; **მთიანეთი** – მეცხოველეობის პროდუქტებს და ა. შ. XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში ამიერკავკასიიდან რკინიგზით რუსეთში გატანილ იქნა 195.932 ფუთი ღვინო, 1891-1894 წლებში კი – 1.036.574 ფუთი. გატანილი პროდუქციის ძირითადი ნაწილი საქართველოზე მოდიოდა. ქართული ღვინო ძირითადად რუსეთის ისეთ დიდ ქალაქებში საღდებოდა, როგორიც იყო პეტერბურგი, მოსკოვი, ვარშავა, ოდესა, ხარკოვი, კურსკი და სხვა. ბევრ ქალაქში ღვინის საწყობები ჰქონდათ **„ივ. მუხრანბატონისა და კომპანიის“** სავაჭრო სახლს, **„ზაქარია ჯორჯაძესა და კომპანიას“, დავით სარაჯიშვილს, საუფლისწულო უნყებას** და ა. შ. სხვათა ქართული ღვინის დიდ ნაწილს მოიხმარდა საშინაო ბაზარი. 1894 წლის მონაცემებით აღმოსავლეთ საქართველოში დაყენებული 5.837.445 ვედრო ღვინიდან ბაზარზე გამოვიდა 3.253.797 ვედრო. ღვინის გაყიდვით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 5.331.053 მანეთი. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში დაყენებული 4.800.000 ვედრო



თიბის ნანარმის დუქანი



სოსიკო მერკვილაძის წიგნის მაღაზია

ღვინიდან 2.462.000 ვედრო ბაზარზე იქნა გატანილი.

XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან ევროპის ბაზარზე სიმინდზე მოთხოვნილების გაზრდამ სტიმული მისცა დასავლეთ საქართველოში **სიმინდით ვაჭრობის** გაფართოებას. სიმინდი უმთავრესად **ფოთის** ნავსადგურიდან გაჰქონდათ, სადაც სიმინდის შემსყიდველი რამდენიმე უცხოური ფირმა არსებობდა. 1881 წელს კი დასავლეთ საქართველოდან უცხოეთში გაიტანეს 858. 000 ფუთი სიმინდი, ხოლო 1884 წელს კი – 5.113.000 ფუთი.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოდან სიმინდის გატანა საგრძნობლად შემცირდა, რაც განპირობებული იყო ევროპის ბაზარზე იაფფასიანი ამერიკული სიმინდის მოზღვავებით. ამ დროიდან ქართული პროდუქცია ძირითადად საშინაო ბაზარს ხმარ-

ხალიჩების დუქანი

დებოდა. დასავლეთ საქართველოში განვითარებული მეფრინველეობა თანდათანობით უფრო მეტი რაოდენობით მოიხმარდა მარცვლეულს.

მეფრინველეობის პროდუქციამაც მნიშვნელოვანი სავაჭრო ღირებულება შეიძინა. განსაკუთრებულად დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა ქართული **კვერცხი**. აღსანიშნავია, რომ მარტო 1898 წელს **ფოთსა** და **ბათუმში** დაარსებულმა უცხოურმა შემსყიდველმა ფირმებმა საზღვარგარეთის ქალაქებში გაიტანეს 1,2 მილიონი მანეთის ღირებულების კვერცხი. **ფრინველის ხორცი** კი ძირითადად საშინაო ბაზარს მიეწოდებოდა.

XIX საუკუნის 80-90 წლებში საქართველოს მეცხოველეობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა **მატყლით** ვაჭრობას. მატყლი გაჰქონდათ საზღვარგარეთ (წლიურად 170-200 ათასი ფუთი). იგი დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა საშინაო ბაზარზეც. მატყლს დიდად მოიხმარდნენ **ადელხანოვის** და **მირზოევის** ფაბრიკები. ამიერკავკასიაში მატყლით ვაჭრობის ცენტრს **ტფილისი** წარმოადგენდა. ტფილისელი მსხვილი ვაჭრები: **იაგორ გუმაზოვი, ასატურ ტერ-აკოფოვი, გევორქ მალდანოვი, ზაქარია ოგანეზოვი, ალექსი ჯენქუგაზოვი, ამბარცუმ სარაჯიევი** და სხვანი წლიურად დაახლოებით ნახევარი მილიონი მანეთის მატყლს ყიდულობდნენ და ყიდდნენ. საშინაო ბაზარს ასევე უხვად მიეწოდებოდა მეცხოველეობის ისეთი პროდუქტები, როგორიც იყო შეეცარული **ყველი, ხორცი, კარაქი** და ა. შ.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა ქართული **თამბაქო**. წარმოებული თამბაქოს ერთ მესამედს ადგილობრივი ფაბრიკები მოიხმარდნენ, დანარჩენს კი ვაჭრები რუსეთსა და უცხოეთში ჰყიდდნენ. ანალოგიური მდგომარეობა იყო **აბრეშუმით** ვაჭრობაშიც. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის ბოლოსათვის გატანილი აბრეშუმის პარკის წლიური ღირებულება ერთ მილიონ მანეთს აჭარბებდა.

საქართველოს **საგარეო ვაჭრობაში** წამყვანი ადგილი ეკავა **მარგანეცით** ვაჭრობას. ცნობილია, რომ XIX საუკუნის 90-იან წლებში ჭიათურის მარგანეცი მსოფლიო ბაზრის თითქმის ნახევარს მოიცავდა. წლიური ექსპორტი 35-40 მილიონ ფუთს შეადგენდა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასა და სამთამადნო წიალისეულთან ერთად ვაჭრობაში გარკვეულ როლს ასრულებდა ადგილობრივი ფაბრიკა-ქარხნებისა და წვრილი საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციაც, რომლის წლიური ღირებულება თითქმის 6 მილიონ მანეთს შეადგენდა. აღნიშნული ნაწარმი ძირითადად **შიდა ბაზარზე** საღდებოდა, ნაწილი კი რუსეთისა და ამიერკავკასიის ქალაქებშიც გადიოდა. მაგალითად, დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა **ადელხანოვის** ფაბრიკის **ტყავისა** და **ქეჩის** ნაწარმი და სხვ. ამ პერიოდში ადგილობრივი და უცხოური საქონელი ფართოდ იყიდებოდა როგორც **იარმარკებსა** და **ბაზრობებზე**, ასევე დაბა-სოფლებსა და ქალაქებში არსებულ მაღაზია-დუქნებში და ქარვასლებში.

ამრიგად, XIX საუკუნის 80-90-იან წლებში სავაჭრო მიმოქცევისა და ფულის ბრუნვის შემდგომი გაფართოება ნათლად ასახავდა ვაჭრობაში კაპიტალიზმის განმტკიცებას.

თავი IX.

სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის 60-80-იან წლებში. ხალხოსნობა საქართველოში.

§ 1. აგრარული მოძრაობა საქართველოში

საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდგომი პერიოდი **სოციალურ ურთიერთობათა** გამწვავებით აღინიშნა. სოფლად მიწის დიდი ნაწილი თავადაზნაურობის (მემამულეების) ხელში აღმოჩნდა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მიწას ფლობდნენ მსხვილი მემამულეები, გაცილებით ნაკლებს – საშუალო და წვრილი მემამულეები. თავადაზნაურობის უდიდესმა ნაწილმა ბურჟუაზიულ ურთიერთობებს ალღო ვერ აუღო და მიწა სათანადოდ ვერ გამოიყენა. თავადაზნაურობის მიწების დიდი ნაწილი ბანკებში აღმოჩნდა დაგირავებული, გირაოს გადახდის შესაძლებლობა კი მემამულეებს არ გააჩნდათ. უფასო მუშახელის (ყმების) დაკარგვის შემდეგ თავადაზნაურობას გაუჭირდა დაქირავებული შრომის გამოყენება – ამგვარი შრომის ანაზღაურება ძალზე მძიმე ტვირთად დააწვა მემამულეთა შემოსავალს. სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა საშუალო და წვრილი მემამულეების გაღატაკება. შედარებით სტაბილურობით გამოირჩეოდა მსხვილ მიწათმფლობელთა ფენა, თუმცა მათი მამულების შემოსავალიც ნელ-ნელა მცირდებოდა. მსხვილ მემამულეთა უდიდესი ნაწილი გამოსაკალს ისევ ბანკებში მიწის დაგირავებაში ხედავდა.

სვანეთი

ბატონყმობის გაუქმების შემდგომ პერიოდში მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა **გლეხობა**. დროებით ვალდებული გლეხების დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო მიწის გამოსყიდვა. ბატონყმური ურთიერთობისაგან განთავისუფლებული გლეხები მცირემიწიანობის გამო ვერ ახერხებდნენ მეურნეობის გამართვას. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სახელმწიფო გლეხები და ხიზნები. გლეხობა სწარაფი ტემპით ღატაკდებოდა. ყოფილი **საბატონო, სახელმწიფო, დროებით ვალდებული გლეხებისა** და **ხიზნების** მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა არსებული **საგადასახადო სისტემა**, განსაკუთრებით – გადასახადი მიწით სარგებლობისათვის.

ბატონყმობის გაუქმების შემდგომ, XIX საუკუნის 60-70-იან წლებში საქართველოში შეინიშნება **აგრარული მოძრაობის** გაძლიერება. აგრარულ მოძრაობაში მონაწილეობდა გლეხთა **ყველა კატეგორია** (ყოფილი საბატონო, დროებით ვალდებული, სახელმწიფო გლეხები და ხიზნები). **აგრარული მოძრაობის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენდა მიწის სიმცირე და სოფლად არსებული საგადასახადო სისტემა.** სოციალური პროტესტის გამოვლენის ფორმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა იყო. თავდაპირველად (XIX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარი – 70-იანი წლების დამდეგი) გლეხობა **პროტესტით** იფარგლებოდა, შემდგომ წლებში **შეიარაღებულ გამოსვლებსაც** ჰქონდა ადგილი.

აგრარული მოძრაობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია 1875-1876 წლების აჯანყებას სვანეთში. 1875 წელს ხელისუფლებამ თავისუფალ

აკაკი წერეთელი

სვანეთში მინების აზომვა დაიწყო. ხალხში ხმა გავრცელდა, რომ აზომვა მიწაზე გადასახადის დაწესების მიზნით წარმოებდა. მოსახლეობაში მღელვარება დაიწყო. **მულახის** საზოგადოების ყრილობაზე შეკრებილმა სვანებმა დაადგინეს: ეთხოვოს ხელისუფლებას ნუ დაწესებს მიწის ახალ გადასახადს, ხოლო უარის მიღების შემთხვევაში ძალის გამოყენებით არ დაუშვან გადასახადის დაწესება. მულახის საზოგადოების ყრილობის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს **მესტიის, ლენჯერის, ლატალის, იფარის, კალას** და **უშგულის** საზოგადოებებმა. მალე სოფელ კალაში მოსახლეობამ ფიცი დადო. სვანებმა გადაწყვიტეს ბრძოლით აიძულებინათ ხელისუფლება, უარი ეთქვა ახალი გადასახადის დაწესებაზე.

სოღნალი

ქუთაისის გუბერნატორი გენერალი **მალაფეევი** სვანების მორჩილებაში მოყვანის მიზნით 1875 წლის ივლისში ჯართან ერთად სვანეთისაკენ გაემართა. გუბერნატორი **ცაგერში** შეჩერდა. ცაგერში ხელისუფლებასთან მოლაპარაკების მიზნით გამოცხადდა სვანეთის დელეგაცია **ყასბულათ შერვაშიძის** ხელმძღვანელობით. მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო. გენერალმა მალოფეევმა სვანეთის დელეგაციასთან ერთად თავისუფალი სვანეთისაკენ აიღო გეზი. წინასწარ ქუთაისის გუბერნატორმა სვანეთში მოსახლეობასთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა ლეჩხუმის მაზრის უფროსი **გრინევსკი**, რომელსაც თან გააყოლა ლეჩხუმის თავადაზნაურობის წარმომადგენლები. გრინევსკის მისია წარუმატებლად დამთავრდა. სვანებმა მაზრის უფროსს არ მოუსმინეს, დაუყოვნებლივ უკან გაბრუნება და სვანეთის დელეგაციის წევრების განთავისუფლება მოსთხოვეს. ამის შემდეგ მოსახლეობას სოფელ **კალაში** ქუთაისის გუბერნატორი გენერალი მალოფეევი შეხვდა. გუბრნატორმა სვანები დაარწმუნა, რომ მიწაზე გადასახადის დაწესება არ მოხდებოდა და ხალხიც დაიშალა. მალე ხელისუფლებამ მღელვარების აქტიური მონაწილეები, მათ შორის **ყასბულათ შერვაშიძე**, დააპატიმრა და ქუთაისის ციხეში გამოკეტა. 1876 წელს ლეჩხუმის მაზრის უფროსი სვანეთში კვლავ აგრძელებდა მღელვარების რამდენიმე დაუსჯელად დარჩენილი მონაწილის ძებნას. გრინევსკიმ სოფელ **ხალდეს** მოსახლეობას მღელვარების მონაწილე თანასოფლელების გაცემა მოსთხოვა. ხალდელებმა მაზრის უფროსს მტკიცე უარი შეუთვალეს. გრინევსკი სოფელ ხალდეში შეიჭრა. ჯარსა და მოსახლეობას შორის მოხდა შეტაკება. აჯანყებულმა სვანებმა მოკლეს მაზრის უფროსი, დახოცეს მისი თანმხლები პირები. ხელისუფლებამ სასწრაფო ზომები მიიღო. სვანეთში ჯარი გაიგზავნა. 1876 წლის აგვისტოში რუსებმა მიწასთან გაასწორეს სოფელი ხალდე. ცოცხლად გადარჩენილი მოსახლეობა მიუვალ მთებში გაიხიზნა. გვიან შემოდგომაზე გახიზნული სვანები მთებიდან ჩამოვიდნენ და ხელისუფლებას ჩაბარდნენ.

სვანეთის აჯანყების მონაწილენი ქუთაისის სამხედრო-საველე სასამართლომ გაასამართლა. სასამართლოზე ბრალდებულებს **აკაკი**

ნერეთელი იცავდა. სასამართლომ სამ ბრალდებულს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა. სიკვდილმისჯილები კავკასიის მეფისნაცვალმა შეინყალა და სასჯელი სამუდამო კატორღით შეუცვალა. განსასჯელთაგან 33 კაცი რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადასახლეს.

1876 წელს გლეხთა მღელვარება დაიწყო **სამეგრელოში**. სოფელ **ლიასა** და **ფახულანში** დაწყებულმა გამოსვლებმა მალე **ზუგდიდის მაზრის** უმეტესი ნაწილი მოიცვა. ოფიციალური მონაცემებით, აჯანყებულთა საერთო რაოდენობამ 20 ათასს მიაღწია. ხელისუფლებამ სამეგრელოში ჯარი გაგზავნა. 1876 წლის ივნისში სოფელ **ლეწურწუმეში** აჯანყებულებსა და ჯარს შორის მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება. აჯანყებულებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით რამდენიმე ათეული კაცი დაკარგეს და უკან დაიხიეს. ამის შემდეგ ხელისუფლებამ შესძლო აჯანყების ჩახშობა.

1878 წელს გლეხთა აჯანყება მოხდა **კახეთში**. აჯანყებამ მოიცვა სახელმწიფო გლეხებით დასახლებული **ქიზიყის** სოფლები. აჯანყების მიზეზად იქცა ხალხში გავრცელებული ხმები რუსეთ-ოსმალეთის ომთან დაკავშირებით ჯარში მოსახლეობის მოსალოდნელი გაწვევის შესახებ. 1878 წლის ივნისში სოფელ **ზემო მაჩხაანში** გლეხებმა უარი განაცხადეს ჯარში წასვლაზე და სოფლის მამასახლისი ცემეს. აჯანყებულთა მხრიდან ანგარიშსწორებას შემთხვევით გადაურჩა სიღნაღის მაზრის უფროსი. 5 ათასამდე აჯანყებულმა სოფელ **ბაკურციხეში** დაარბია თავად **რევაზ ვაჩნაძის** სახლი, სცემეს იქ თავშეფარებულ სიღნაღის მაზრის უფროსს და სხვა მაღალი თანამდებობის მოხელეებს. მოხელეებზე გლეხთა თავდასხმები მოხდა **კარდანახში, ანაგაში, ვაქირში, საქობოში** და სხვაგან. გლეხთა გამოსვლებმა ჩაშალა ჯარში გაწვევა. ამის შემდეგ ხალხი ნელ-ნელა დამშვიდდა. ამით ისარგებლა ხელისუფლებამ და რეპრესიებს მიჰყო ხელი. **სიღნაღში** დაიწყო აჯანყების მონაწილეთა სასამართლო პროცესი. სამხედრო-საველე სასამართლომ პასუხისგებაში მიცემული ოცი გლეხიდან თორმეტს 15 წლის კატორღა მიუსაჯა.

სვანეთის, სამეგრელოსა და კახეთის გლეხთა აჯანყებები, ასევე გლეხთა გამოსვლები საქართველოს სხვა კუთხეებში, სოციალური დაძაბულობის დამადასტურებელი იყო. მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა გლეხობას შეიარაღებული გამოსვლებისაკენ უბიძგებდა. თუმცა სოციალური საკითხი იმდენად არ იყო გამწვავებული, რომ მას საერთო-ქართული გლეხური ამბოხება, გლეხთა ომი მოჰყოლოდა. გამოსვლები ლოკალურ და სტიქიურ ხასიათს ატარებდნენ.

§ 2. ქართველი ხალხოსნები

ხალხოსნობა (ნაროდნიკობა) რუსეთში აღმოცენდა. იგი წარმოადგენდა **სოციალისტური** იდეოლოგიის ერთ-ერთ მიმდინარეობას. როგორც სოციალისტური იდეოლოგია ხალხოსნობა მიზნად ისახავდა **თანასწორთა საზოგადოების** შექმნას. რუს ხალხოსნებს სოციალური უთანასწორობის საფუძვლად **კერძო საკუთრება** მიაჩნდათ. მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობა და მიწის თანასწორი განაწილება ხალხოსნებს სოციალური თანასწორობის მიღწევის საშუალებად ესახებოდათ. კერძო საკუთრების მოსპობა და ქონებრივი გათანაბრება ნაროდნიკების აზრით, მოიტანდა უფლებრივ თანასწორობას – სამართლიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას.

რუსეთში ხალხოსნობას ჰყავდა გამოჩენილი მოღვაწეები, თეორეტიკოსები: **მიხეილ ბაკუნინი, პეტრე ლავროვი, პეტრე ტკაჩოვი** და სხვები. ისინი თანასწორთა საზოგადოების მიღწევის გზების შესახებ ერთი აზრისანი არ იყვნენ, მაგრამ სავსებით ეთანხმებოდნენ ერთმანეთს იმაში, რომ **რუსეთში არსებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემა უნდა მოსპობილიყო და მის ნაცვლად დამყარებულიყო სოციალიზმი.** სოციალიტური საზოგადოების მთავარ შემოქმედად რუსი ხალხოსნები **გლეხობას** მიიჩნევდნენ. სწორედ გლეხობის საყოველთაო ამბოხებას უნდა მოესპო რუსეთში არსებული წყობილება. ხალხოსნების აზრით, **რუსი გლეხი ბუნებით** სოციალისტი იყო, მას ძველთაგანვე ჰქონდა

მისწრაფება სოციალისტური თანსწორობისაკენ და, ამდენად, ხალხოსნების იდეები მისთვის მისაღები იქნებოდა.

1874 წელს რუსმა ნაროდნიკებმა საყოველთაო აჯანყების დაწყების მიზნით გლეხობაში თავიანთი იდეების ფართო პროპაგანდა დაიწყეს. ხელისუფლებამ მრავალი ხალხოსანი დააპატიმრა. **გლეხობის აჯანყების იდეამ მარცხი განიცადა.** მომდევნო ხანებში ხალხოსნებმა დაიწყეს საიდუმლო რევოლუციური ორგანიზაციების შექმნა. 1874 წელს შეიქმნა **„სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაცია“ („მოსკოველთა წრე“).** ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში ცნობილი რუს ნაროდნიკებთან **ლიდია ფიგნერთან, სოფია ბარდინასთან, ვერა ლუბატოვიჩთან** ერთად შედიოდნენ ქართველები: **ივანე ჯაბადარი, მიხეილ ჩიკოიძე, ალექსანდრე ციციშვილი, ალექსანდრე გამყრელიძე.**

რუსეთში შექმნილი საიდუმლო ხალხოსნური ორგანიზაცია ცდილობდა კავშირი დაემყარებინა კოლონიურ მხარეებთან, მათ შორის **საქართველოსთან.** კერძოდ, კავკასიასთან კავშირის დამყარება დავალებული ჰქონდათ **მიხეილ ჩიკოიძესა** და **ალექსანდრე ციციშვილს.** მალე დააპატიმრეს **ალექსანდრე გამყრელიძე, ვერა ლუმატოვიჩი** და სხვები. დაპატიმრებას შემთხვევით გადაურჩა **გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილი,** რომელმაც თავის თავზე აიღო ორგანიზაციის ხსნა საბოლოო განადგურებისაგან და დაპატიმრებულ თანამებრძოლებზე ზრუნვა. მალე გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილიც დააპატიმრეს. სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაციის („მოსკოველთა წრის“) საქმის ძიება ორ წელს გრძელდებოდა. 1877 წელს პეტერბურგში დაიწყო სასამართლო პროცესი, რომელიც ცნობილია **„50-ის პროცესის“** სახელწოდებით.

„50-ის პროცესი“ მთელს რუსეთსა და ევროპაშიც კი გახმაურდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მუშა **პეტრე ალექსეევის** გამოსვლა და მისი ბრწყინვალე სიტყვა სასამართლო პროცესზე. **პეტრე ალექსეევის** გამოსვლის ტექსტის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს **ივანე ჯაბადარმა, მიხეილ ჩიკოიძემ** და **ალექსანდრე ციციშვილმა.** თვით ივანე ჯაბადარს სასამართლო პროცესზე საბოლოო სიტყვა არ



ივანე ჯაბადარი

წარმოუთქვამს. სამაგიეროდ, ძალზე შთამბეჭდავი იყო **გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილის** საბოლოო სიტყვა.

ქართველმა ხალხოსნებმა ივანე ჯაბადარმა, მიხეილ ჩიკოიძემ, ალექსანდრე ციციშვილმა და ალექსანდრე გამყრელიძემ წარუშლელი კვალი დატოვეს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში.

„სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაციის“ განადგურების შემდეგ 1876 წელს აღმოცენდა კიდევ უფრო ძლიერი საიდუმლო ხალხოსნური ორგანიზაცია **„ზემლია ი ვოლია“ („მინა და თავისუფლება“).** „ზემლია ი ვოლიას“ კავშირი ჰქონდა საქართველოსთან. 1876 წელს ტფილისში ჩამოვიდა ცნობილი რუსი ხალხოსანი **სერგეი შევცოვი,** რომელიც ქართველ თანამოაზრეებთან ერთად ეწეოდა ხალხოსნური იდეების პროპაგანდას. ქართველ ხალხოსანთა ცნობილი წარმომადგენელი **ეგნატე იოსელიანი** კავშირში იმყოფებოდა რუსეთიდან ჩამოსულ რევოლუციონერებთან **ალექსი კუზმინთან** და **კოზმა სიმჩენკოსთან.** XIX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარსა და 80-იანი წლების დამდეგს რუსეთში მყოფი ქართველები – **კონსტანტინე ბაქრაძე, სტეფანე მახარაძე, სტეფანე ჭრელაშვილი, ალექსანდრე ნანეიშვილი** და სხვები –



გიორგი ზდანოვიჩი

ნიკო ნიკოლაძე

აქტიურად მონაწილეობდნენ ხალხოსნურ მოძრაობაში.

რუს ხალხოსნებთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა **ნიკო ნიკოლაძეს**, რომელმაც თავის დროზე განიცადა ხალხოსნური იდეების გავლენა.

ქართველი ნაროდნიკების წამყვანი როლი რუსეთის ხალხოსნურ მოძრაობაში, რუსეთში შექმნილი ხალხოსნური ორგანიზაციების კავშირი საქართველოსთან, ცხადია, გარკვეულ გავლენას ახდენდა ქართულ სინამდვილეზე. რუსეთში მიმდინარე მოვლენების კვალობაზე საქართველოში გავრცელებას იწყებს ხალხოსნური იდეოლოგია. საბოლოოდ **ხალხოსნობამ საქართველოში დიდი გაქანება ვერ მიიღო.** ეს ორმა მიზეზმა განაპირობა. **პირველი მიზეზი** მდგომარეობდა იმაში, რომ საქართველოში რუსეთისაგან განსხვავებით **სოციალური საკითხი არ იყო უკიდურესობამდე გამწვავებული** და ამდენად, ხალხოსნური იდეები ნოყიერ ნიადაგზე ვერ მოხვდა. **მეორე მიზეზი** იმაში მდგომარეობდა, რომ XIX საუკუნის 60-70-იანი წლები საქართველოში ეროვნული მოძრაობის მძლავრი აღმავლობის პერიოდი იყო, ეროვნულმა იდეამ, **ეროვნულმა საკითხმა დაჩრდილა სოციალური.** მიუხედავად ამ მიზეზებისა, ხალხოსნურმა მოძრაობამ იმდროინდელი ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხარდაჭერა მაინც ჰპოვა და თავისი კვალიც დაამჩნია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას.

ხალხოსნური ორგანიზაცია საქართველოში 1873-1874 წლებში შეიქმნა. ორგანიზაციის ჩამოყალიბება დაკავშირებულია პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის სტუდენტის ისიდორე ქიქოძის სახელთან, რომელიც 1874 წელს სამშობლოში დაბრუნდა. **ისიდორე ქიქოძესთან** ერთად ხალხოსნური ორგანიზაციის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვით რუსეთში განსწავლულ ქართველ ახალგაზრდებს: **ივანე ჯაბადარს, რომანოზ ფავლენიშვილსა** და **ეგნატე იოსელიანს.**

ხალხოსნური მოძრაობის მთავარ ცენტრებს წარმოადგენდნენ: **ტფილისი, გორი, ქუთაისი, თელავი** და **ოზურგეთი.** ხალხოსანთა ყველაზე დიდი რაოდენობა (200 კაცი) ტფილისში მოღვაწეობდა. ტფილისში მოღვაწეობდნენ: **ეგნატე იოსელიანი, დავით თარხნიშვილი, იოსებ ბაქრაძე, არსენ კალანდაძე, სიმონ კარბელაშვილი, ანდრო ერისთავი, ოლღა ყიფიანი, დიმიტრი კეზელი, სტეფანე ჭრელაშვილი** და სხვ. გორში მოღვაწე ხალხოსნებიდან აღსანიშნავნი არიან: **ვასილ დეკანოზიშვილი, მათე კერესელიძე, პავლე ბურჯანაძე, ივანე ხიმშიაშვილი, ქაიხოსრო ფურცელაძე, ანტონ ფურცელაძე, ვასილ სამადაშვილი, გიგო ავალიშვილი, ნიკოლოზ ფავლენიშვილი, რომანოზ ფავლენიშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, შიო დავითაშვილი** და სხვ. კახეთის ორგანიზაციაში მოღვაწეობდნენ: **ილია ჭიჭინაძე, დარიკო ჯორჯაძე, იოსებ გულისაშვილი, ალექსანდრე ცხვედაძე, სოფიო ჯორჯაძე, იოსებ მაყაშვილი** და სხვები. იმერეთში ხალხოსნური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები იყვნენ: **მიხეილ ყიფიანი, პლატონ გაბიჩვაძე, ილია ბახტაძე, ნესტორ თავდგირიძე**; გურიაში – **ისიდორე ქიქოძე, მელიტონ ნაკაშიძე, ივანე ნაკაშიძე, გიორგი გურიელი, ათანასე ქიქოძე** და სხვები, სამეგრელოში – **ბათუ აფაქიძე, ანტონ იოსელიანი, ნესტორ კანდელაკი** და სხვები.

საქართველოში შექმნილ ხალხოსნურ ორგანიზაციას რაიმე განსაკუთრებული პროგრამა არ ჰქონია. **ქართველი ხალხოსნები იგივე პროგრამის განხორციელებისათვის იბრძოდნენ, რომელიც შეიმუშავეს „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციურმა ორგანიზაციამ“ და „ზემლია ი ვოლიამ“.** ეს პროგრამა კი ითვალისწინებდა რუსეთში არსებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური წყობილების მოსპობას და სოციალური სამართლიანობის დამყარებას.

ქართველი ხალხოსნები მოსახლეობაში

პრიმიტიული სოციალისტური იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ და ამ გზით ცდილობდნენ ხალხის ჩაბმას სოციალიზმისათვის ბრძოლაში. გარდა ზეპირი აგიტაციისა ქართველი ხალხოსნები აერცელებდნენ არალეგალურად შემოტანილ ლიტერატურას, თვითონ წერდნენ პროკლამაციებს. პროკლამაციები და სხვა ლიტერატურა იბეჭდებოდა საიდუმლო სტამბებში. ერთ-ერთი ასეთი სტამბა მოქმედებდა გორის მაზრის სოფელ **ტყვიავში**.

ისევე როგორც რუსეთში, საქართველოშიც გლეხობა გულგრილად შეხვდა ხალხოსნების პროპაგანდას. **გლეხობისათვის ხალხოსნური იდეები უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა.** გლეხობამ მხარი არ დაუჭირა აჯანყების მოწყობის იდეას.

რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტი ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების ჟანდარმერიის სამმართველოების მეშვეობით თვალყურს ადევნებდა ქართველი ხალხოსნების მოღვაწეობას. ჟანდარმერიას ინფორმაციას აწვდიდნენ ჯაშუშები: **იაგორ იოსელიანი, გაბრიელ ბაქრაძე** და **სიმონ გოგოლაძე**. 1876 წელს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში მასობრივად დააპატიმრეს ხალხოსნები. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ: **ეგნატე იოსელიანი, არსენ კალანდაძე, მიხეილ ყიფიანი, ვასილ სამადაშვილი, ლევან ჩერქეზიშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი,** სულ 80-ზე მეტი კაცი. პასუხისგებაში მიცემული 82 კაციდან ოცდათერამეტს ბრალდება ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს. ასევე გაათავისუფლეს ფორმალურად დაპატიმრებული ჟანდარმერიის ორი ჯაშუშიც. ორი ხალხოსანი ძიების პროცესში გარდაიცვალა, კიდევ ორის საქმე პეტერბურგისა და მოსკოვის ჟანდარმერიის სამმართველოებს გადაეცა. პასუხისგებაში მიცემული სამი ქართველი ხალხოსანი ჟანდარმერიამ ვერ დააპატიმრა. განაჩენი გამოუტანეს სულ 34 კაცს. **ეგნატე იოსელიანსა** და **მიხეილ ყიფიანს** მიესაჯათ სამუდამო გადასახლება აღმოსავლეთ ციმბირში. დანარჩენ მსჯავრდებულებს მიესაჯათ ორი წლიდან ორ კვირამდე პატიმრობა, ან 100 მანეთიდან 50 მანეთამდე ფულადი ჯარიმის გადახდა.

1876 წელს ხალხოსნური ორგანიზაციის ჩავარდნის შემდეგ ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში არ შეწყვეტილა. ხალხოსნური იდეების პროპაგანდა და ორგანიზაციების შექმნა გრძელდებოდა XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგსაც. კვლავ ძლიერი იყო ხალხოსნური მოძრაობა **ტფილისსა** და **გორში**, ასევე **კახეთში**. გრძელდებოდა რეპრესიებიც. ამ პერიოდის ყველაზე მასობრივი რეპრესიები განხორციელდა 1883 წელს, თუმცა ხალხოსნური მოძრაობის სრული ლიკვიდაცია ხელისუფლებამ მაინც ვერ შეძლო.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს (1879 წ.) რუს ხალხოსნებში რევოლუციური ბრძოლის ტაქტიკის საკითხებზე განხეთქილება მოხდა. ხალხოსნების ნაწილს კვლავ **აგიტაციის** გზით გლეხთა **აჯანყების დანყების** იმედი ჰქონდა, ნაწილმა კი გლეხთა აჯანყების იმედი დაკარგა და ბრძოლის ტაქტიკად **ტერორი** აღიარა. ხალხოსნებმა შექმნეს ძლიერი ტერორისტული ორგანიზაციები და მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების წინააღმდეგ განახორციელეს ტერორისტული აქტები. მათ შორის ყველაზე ცნობილი იყო იმპერატორ **ალექსანდრე II-ის** მკვლელობა 1881 წლის 1 მარტს. ხალხოსნების ტერორისტულ აქტებს ხელისუფლებამ კიდევ უფრო ძლიერი რეპრესიებით უპასუხა, რასაც მრავალი ხალხოსანი შეეწირა. მიუხედავად ამისა, ტერორი მაინც გრძელდებოდა.

საქართველოში რუსეთისაგან განსხვავებით **ტერორიზმს სერიოზული გაქანება არ მიუღია.** იყო ტერორის მხოლოდ ცალკეული შემთხვევები. **ხალხოსნებმა საქართველოში ძლიერი ტერორისტული ორგანიზაცია ვერ შექმნეს,** თუმცა ამას დაჟინებით ცდილობდნენ რუსეთიდან სხვადასხვა დროს ჩამოსული ხალხოსნები.

ხალხოსნური ორგანიზაცია ქართულ სინამდვილეში უკვალოდ არ გამქრალა. XIX საუკუნის დასასრულიდან და XX საუკუნის დამდეგიდან ხალხოსნების ნაწილი ეროვნულ მოძრაობას შეუერთდა, უდიდესი ნაწილი კი სოციალ-დემოკრატიულ, სოციალისტ-ფედერალისტურ და სოციალისტ-რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება და აქტიური მონაწილეობა მიიღო XX საუკუნის დამდეგისა და შემდგომი პერიოდის რევოლუციურ მოძრაობებში.

კავკასიის მხარე 1900 ნელს



ᲗᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐ

1. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
2. ᲓᲣᲛᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
3. ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
4. ᲡᲘᲚᲜᲐᲦᲚᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
5. ᲒᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
6. ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
7. ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
8. ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
9. ᲑᲝᲠᲩᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ

ᲑᲐᲙᲣᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐ

1. ᲑᲐᲙᲣᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
2. ᲧᲣᲑᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
3. ᲨᲔᲛᲐᲮᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
4. ᲒᲔᲝᲥᲩᲐᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
5. ᲯᲔᲕᲐᲗᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
6. ᲚᲔᲜᲘᲜᲓᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ

ᲕᲐᲢᲘᲙᲐᲜᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐ

1. ᲒᲠᲔᲖᲜᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
2. ᲜᲐᲮᲘᲩᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
3. ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
4. ᲔᲠᲘᲜᲘᲫᲘᲡ (ᲔᲚᲔᲠᲨᲐᲞᲐᲢᲘᲡ) ᲛᲐᲖᲠᲐ
5. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
6. ᲡᲣᲠᲛᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
7. ᲨᲐᲠᲣᲠᲐ-ᲓᲐᲠᲐᲚᲐ�გᲖᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲝᲠᲚᲘ

1. ᲞᲘᲐᲢᲘᲒᲝᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ
2. ᲡᲣᲜᲯᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ
3. ᲧᲘᲖᲚᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ
4. ᲜᲐᲚᲩᲘᲚᲘᲡ ᲝᲠᲚᲘ
5. ᲧᲚᲐᲕᲐᲙᲐᲖᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ
6. ᲒᲠᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ
7. ᲮᲐᲡᲐᲒ-ᲝᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ
8. ᲧᲐᲠᲐ-ᲜᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲣᲚᲝ

ᲓᲝᲜᲘᲡᲯᲘᲡ ᲝᲠᲚᲘ

1. ᲗᲘᲛᲘᲠ-ᲮᲐᲜ-ᲨᲐᲰᲘᲡ ᲝᲠᲚᲘᲡᲘ
2. ᲚᲘᲜᲘᲩᲘᲡ ᲝᲠᲚᲘᲡᲘ
3. ᲧᲐᲜ-ᲧᲣᲛᲔᲗᲘᲡ ᲝᲠᲚᲘᲡᲘ
4. ᲐᲜᲓᲘᲡ ᲝᲠᲚᲘᲡᲘ
5. ᲐᲕᲐᲠᲘᲘᲡ ᲝᲠᲚᲘᲡᲘ
6. ᲧᲐᲢᲐᲯ-ᲗᲐᲑᲐᲡᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲝᲠᲚᲘᲡᲘ
7. ᲙᲘᲠᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲚᲘᲡᲘ
8. ᲡᲐᲛᲣᲠᲘᲡ ᲝᲠᲚᲘᲡᲘ
9. ᲓᲐᲠᲩᲚᲘᲡ ᲝᲠᲚᲘᲡᲘ

ᲡᲐᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐ

1. ᲡᲢᲐᲕᲠᲝᲞᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
2. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
3. ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘᲐᲜᲘᲡᲙᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
4. ᲛᲔᲓᲕᲔᲯᲘᲓᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ
5. ᲐᲠᲘᲣᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲣᲚᲝ
6. ᲤᲠᲣᲜᲖᲔᲚᲘᲡᲙᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ

ᲧᲣᲑᲐᲜᲘᲡ ᲝᲠᲚᲘ

1. ᲤᲘᲠᲐᲪᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ
2. ᲔᲘᲙᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ
3. ᲔᲚᲘᲖᲐᲕᲔᲢᲞᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ
4. ᲛᲐᲙᲝᲠᲘᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ
5. ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ
6. ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ
7. ᲚᲝᲠᲘᲡᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲐᲘᲠᲝᲒᲠᲘᲗᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ

- ⊕ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
- • ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — ᲡᲐᲒᲣᲑᲐᲠᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
- • ᲒᲝᲠᲘ — ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲝᲠᲣᲒᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

თავი X.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი და საქართველო. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოში დაბრუნება

§ 1. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი

საფრანგეთ-პრუსიის ომმა (1870-1871 წწ.) ძირფესვიანად შეცვალა ძალთა განლაგება საერთაშორისო ასპარეზზე. რუსეთის წინააღმდეგ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50-იანი წლების დამდეგს შექმნილი ინგლის-საფრანგეთ-პრუსიის კავშირი საბოლოოდ დაიშალა. **რუსეთის დიპლომატიას პარიზის საზავო ხელშეკრულების გადასინჯვისათვის ხელსაყრელი პირობები შეექმნა.** პრუსიასთან ომში დამარცხებული საფრანგეთი სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა რუსეთს. პრუსიის მთავრობამ ჯერ კიდევ საფრანგეთ-პრუსიის ომამდე ალუთქვა რუსეთს თანადგომა შავი ზღვის ნეიტრალიზაციის შესახებ პარიზის საზავო ხელშეკრულების მუხლის გაუქმების საკითხში. ავსტრია-უნგრეთი გერმანიასთან გართულებას ელოდა და ამიტომ რუსეთს ვერ დაუპირისპირდებოდა. მარტოდ დარჩენილი ინგლისი კი რუსეთთან ომში არ ჩაებმებოდა. რაც შეეხება ოსმალეთს, ევროპელი მოკავშირეების გარეშე იგი რუსეთისათვის სერიოზულ მოწინააღმდეგედ ვერ ჩაითვლებოდა.

1870 წელს რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ალექსანდრე გორჩაკოვმა** პარიზის საზავო ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მთავრობებს საგანგებო ნოტით აცნობა რუსეთის გადაწყვეტილება შავი ზღვის ნეიტრალიზაციის გაუქმების თაობაზე.

1871 წელს ლონდონის კონფერენციაზე რუსეთის მოთხოვნას შავი ზღვის ნეიტრალიტეტის გაუქმების შესახებ წინააღმდეგობა არ შეხვედრია. სამაგიეროდ, ევროპის სახელმწიფოების მხარდაჭერით ოსმალეთმა მიაღწია იმას, რომ ლონდონის კონფერენციის ოქმში შეიტანეს მუხლი **ბოსფორისა** და **დარდანელის სრუტეების** რეჟიმის შესახებ. ხანგრძლივი და მწარე კამათის შემდეგ გადაწყდა, რომ სრუტეები **დახურული** ყოფილიყო ყველა ქვეყნის სამხედრო გემებისათვის. ოსმალეთს უფლება ჰქონდა მშვიდობიანობის დროს სრუტეები გაეხსნა მეგობარი ქვეყნების სამხედრო გემებისათვის. ყოველივე ეს, ცხადია, რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. და მაინც, **ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილებები რუსეთის დიპლომატიის დიდ გამარჯვებას ნიშნავდა.** გაუქმდა შავი ზღვის ნეიტრალიზაციის შესახებ პარიზის საზავო ხელშეკრულების მუხლები. რუსეთმა შავი ზღვის სანაპიროზე სამხედრო სიმაგრეების მშენებლობისა და ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება მიიღო.

შავი ზღვის ნეიტრალიზაციის გაუქმების შემდეგ რუსეთმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე პოზიციების განმტკიცების თვალსაზრისით. **რუსეთი უკვე აღარ ეშინოდა ოსმალეთის გადანაწილებასა და ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდებას.** ალექსანდრე II-მ მიზნად დაისახა ბალკანეთზე განმტკიცება და ბალკანეთის მხრიდან სტამბოლისა და სრუტეების საიმედოდ დაცვა. **ბალკანეთზე რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ზრდას ხელს უშლიდნენ ევროპის დიდი სახელმწიფოები.** სამაგიეროდ, რუსეთის სახით მფარველსა და მოკავშირეს ხედავდნენ ოსმალეთის მიერ დაპყრობილი სლავები (ბულგარელები, სერბები, ბოსნიელები, ჰერცოგოვინელები), ასევე რუმინელები. ასეთ ვითარებაში ოსმალეთის სულთანმა მიზნად დაისახა ბალკანეთის სლავების ეროვნული მოძრაობის ჩახშობა. 1873 წელს სულთანმა გამოსცა რამდენიმე ბრძანება, რომელიც ამძიმებდა ბალკანეთის ქრისტიანი მოსახლეობის მდგომარეობას. სლავების პროტესტს ოსმალეთის მხრიდან რეპრესიები მოჰყვა. გარდა

ალექსანდრე II

ამისა, 1874-1875 წლებში ოსმალეთის სულთანმა გაზარდა ქრისტიანი მოსახლეობის გადასახადები. გადასახადების გაზრდა დაემთხვა მოუსავლიანობას, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა მოსახლეობის მდგომარეობა. გადასახადების აკრეფას თან ახლდა ძალადობა და რეპრესიები.

1875 წელს ოსმალეთის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო **ჰერცოგოვინისა** და **ბოსნიის სერბმა** მოსახლეობამ. მალე აჯანყება სლავებით დასახლებულ ბალკანეთის სხვა მხარეებსაც მოედო. 1876 წელს აჯანყებები დაიწყო **ბულგარეთშიც**. 1875 წლისათვის რუსეთი საომრად მზად არ იყო. ამიტომ 1875-1876 წლებში რუსეთის დიპლომატია ბალკანეთის კრიზისის მშვიდობიანი გზით მოგვარებას ესწრაფოდა. სლავების დამშვიდების მიზნით რუსეთი ცდილობდა ოსმალეთი გარკვეულ დათმობებზე დაეყოლიებინა.

ოსმალეთი დათმობას არ აპირებდა. 1876 წლის ოქტომბერში რუსეთმა ოსმალეთს ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვა 48 საათის განმავლობაში **სერბიასთან** ორთვიანი ზავის დადება. ოსმალეთმა ულტიმატუმი მიიღო და დასთანხმდა სტამბოლში კონფერენციის მოწვევას. რუსეთის ულტიმატუმმა სერბიის არმია განადგურებისაგან იხსნა.

1876 წლის დეკემბერში სტამბოლში გაიხსნა ევროპის ქვეყნების კონფერენცია, რომელსაც უნდა მოეგვარებინა ურთიერთობა ბალკანეთის ხალხებსა და ოსმალეთს შორის. ინგლისის მხარდაჭერით წაქეზებულმა სულთანმა კონფერენციის რეკომენდაციები არ მიიღო. ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა.

1877 წლის მარტში ლონდონში შეიკრიბნენ სტამბოლის კონფერენციის მონაწილე, ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები და ხელი მოაწერეს ოქმს. **ლონდონის ოქმი** ოსმალეთის სულთანს ურჩევდა, მიეღო სტამბოლის კონფერენციის რეკომენდაციები. სულთანმა ლონდონის ოქმი ოსმალეთის შინაურ საქმეებში ჩარევად მიიჩნია და უარყო იგი. იმავდროულად სულთანმა მობილიზაცია გამოაცხადა. რუსეთს უკან დასახევი გზა აღარ რჩებოდა. **ომი გარდაუვალი გახდა.**

1877 წლის 12 აპრილს კიშინიოვში მყოფმა იმპერატორმა **ალექსანდრე II-მ** ხელი მოაწერა მანიფესტს ოსმალეთთან ომის შესახებ.

საბრძოლო მოქმედებები თავიდანვე დაიწყო ორ ფრონტზე – **ბალკანეთსა** და **კავკასიაში**. ოსმალეთის არმია ომის დასაწყისისათვის 450 ათას კაცს ითვლიდა. აქედან 338 ათასი ბალკანეთის ფრონტზე იმყოფებოდა, ხოლო 70 ათასი – კავკასიის ფრონტზე. კავკასიის სარდლობამ ბალკანეთის ფრონტზე 250-ათასიანი არმია დააჯგუფა, კავკასიის ფრონტზე – 55-ათასიანი.

1877 წლის აპრილში რუსეთის არმიამ გადალახა მდინარე **პრუტი** და **რუმინეთის** ტერიტორიაზე შევიდა. 1877 წლის მაის-ივნისში მიმდინარე ცხარე ბრძოლების შემდეგ რუსებმა ბულგარელ მოლაშქრეებთან ერთად მდინარე დუნაი გადალახეს. ამის შემდეგ რუსეთის არმია სამ ნაწილად გაიყო: გენერალ **იოსებ გურკოს** კორპუსს უნდა გადაელახა ბალკანეთის მთები და გადასულიყო ოსმალეთის არმიის ზურგში **ადრიანოპოლის** რაიონში. გენერალ **ნიკოლოზ კრიდერის** კორპუსს უნდა ემოქმედა რუსეთის არმიის მარჯვენა ფლანგზე და დაეკავებინა მნიშვნელოვანი სიმაგრე **პლევნა**. ტახტის მემკვიდრის **ალექსანდრე ალექსანდრის ძის** კორპუსს უნდა ემოქმედა რუსეთის არმიის მარცხენა ფლანგზე და დაეკავებინა მნიშვნელოვანი სიმაგრე **რუშჩუკი**.

გენერალ **იოსებ გურკოს** კორპუსმა სწრაფი შეტევა განახორციელა, დაიკავა ბულგარეთის ძველი დედაქალაქი ტირნოვო და შეუდგა ბალკანეთის მთებზე გადასვლას.

ოსმალეთის სარდლობამ მიზნად დაისახა რუსეთის არმიის სამხრეთ ბალკანეთიდან განდევნა. ოსმალეთის არმია **სულეიმან-ფაშას** სარდლობით 1877 წლის ზაფხულში დიდი

მონდომებით უტევდა შიპკის ულელტეხილზე გამაგრებულ რუსების რაზმს. რუსები მედგრად იცავდნენ თავს. **იოსებ გურკომ** მხოლოდ 1877 წლის შემოდგომაზე მიიღო დამატებითი ძალები. რუსები და ბულგარელები 1877 წლის ნოემბერ-დეკემბერში ზამთრის უმძიმეს პირობებში გმირულად იცავდნენ ულელტეხილს და მაინც არ დაუშვეს ოსმალეთის არმიის სამხრეთ ბალკანეთიდან ჩრდილოეთ ბალკანეთში გადასვლა.

1877 წლის ნოემბერში **პლევნის** გარნიზონის უფროსმა **ოსმან-ფაშამ** კაპიტულაცია გამოაცხადა.

პლევნის აღებამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ომის მსვლელობაზე. 1878 წლის იანვარში გენერალ **იოსებ გურკოს** კორპუსმა ბულგარელ მოლაშქრეებთან ერთად **სოფია** დაიკავა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ თურქებს სასტიკი მარცხი აწვნია **ფილიპოპოლთან**. რუსეთის არმიის მეორე კორპუსმა 1878 წლის 8 იანვარს **ადრიანოპოლი** დაიკავა.

ოსმალეთის არმია უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, რუსების შეტევის შეჩერება მას აღარ შეეძლო.

§ 2. აჭარის და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიების დედასამშობლოში დაბრუნება

რუსეთ-ოსმალეთის ომი მარტო ბალკანეთზე არ მიმდინარეობდა. საომარი მოქმედებები დაიწო ამიერკავკასიაში და კერძოდ **საქართველოში**. ქართველებს იმედი მიეცათ, რომ აჭარა და საერთოდ მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ამჯერად მაინც დაუბრუნდებოდა დედასამშობლოს.

აჭარის, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ **„ოსმალეთის საქართველოს“** საკითხისადმი ქართველი საზოგადოება ფართოდ დაინტერესდა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი ცდილობდნენ კავშირი აღედგინათ ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ძირძველ ქართულ მიწაზე მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ქართველებთან.

შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი

რუსეთ-ოსმალეთის ომის წინ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იმოგზაურეს **დიმიტრი ბაქრაძემ, გიორგი ყაზბეგმა, მამია გურიელმა, ივანე კერესელიძემ, გიორგი ნერეთელმა** და სხვებმა. ივანე კერსელიძე შეხვდა და ესაუბრა აჭარაში პოპულარულ პიროვნებას, აჭარელთა თავკაცს **შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს**. რუსეთ-ოსმალეთის ომის წინა ხანებში, კერძოდ, 1877 წელს, ილია ჭავჭავაძე წერდა: „არ გვაშინებს - მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კვლავ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმადვე შეითვისებს, თავის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს, თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი“. ქართველი საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია 1875 წელს



ბათუმის ნავსადგური

აჭარაში დაწყებულმა აჯანყებამ. ოსმალეთის სულთანმა აჭარაში ჯარის შეკრება და მისი ჰერცოგოვინაში გაგზავნა ბრძანა. აჭარელებმა ეს ბრძანება არ შეასრულეს და აჯანყდნენ. ეს მოვლენა საქართველოში განიხილეს, როგორც აჭარაში **ანტითურქული** მოძრაობის სერიოზული გამოვლენა.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებისთანავე საქართველოში დაიწყო **სახალხო ლაშქრის** შექმნა, რაც შემდგომ ხანებშიც გაგრძელდა. სულ ომის პერიოდში სახალხო ლაშქრობაში გავიდა 38 ათასზე მეტი კაცი. ომის მსვლელობას დაწვრილებით აშუქებდა ქართული პრესა.



დიმიტრი ბაქრაძე

რუსეთის სარდლობამ ოსმალეთის წინააღმდეგ ოთხი მიმართულებით შეტევა გადაწყვიტა. შეტევები უნდა განვითარებულიყო: **ოზურგეთიდან ბათუმისაკენ, ახალციხიდან არტაანისაკენ, ალექსანდრეპოლიდან ყარსისაკენ** და **ერევნიდან ბაიაზეთისაკენ**. კავკასიაში მოქმედი ჯარების (კავკასიის კორპუსის) სარდლად დანიშნა **გენერალი მიხეილ ლორის-მელიქოვი**.

საომარი მოქმედებები კავკასიის ფრონტზე დაიწყო 1877 წლის 30 აპრილს. 1877 წლის მაისში რუსებმა აიღეს ქალაქები **ბაიაზეთი** და **არტაანი**. ბაიაზეთისა და არტაანის დაკავების შემდეგ რუსეთის სარდლობას უნდა ესარგებლა მოპოვებული უპირატესობით და **ბათუმის** მიმართულებით გაეგრძელებინა შეტევა. ნაცვლად ამისა არტაანთან დაბანაკებული ჯარებით რუსებმა **ყარსს** შეუტიეს, ხოლო **ბათუმზე** შეტევა **ოზურგეთიდან** დაიწყეს. ამ სტრატეგიული შეცდომის წყალობით რუსეთის სარდლობამ ინიციატივა ხელიდან გაუშვა. რუსეთის ჯარებმა **ყარსი** ვერ აიღეს, აუცილებელი გახდა ხანგრძლივი ალყის დაწყება. ამან ოსმალეთის სარდლობას საშუალება მისცა ჯარების მობილიზება მოეხდინა. ბოლოს რუსები მიხვდნენ, რომ ყარსთან დიდი ძალების თავმოყრა შეცდომა იყო და **არზრუმის** მიმართულებით შეტევა გადაწყვიტეს. რუსეთის სარდლობამ შეტევის დაწყება დააგვიანა და ამჯერადაც ხელიდან გაუშვა უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა.

არტაანი

თურქებმა ძალების თავმოყრა დაამთავრეს და, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, 1877 წლის ივლისში მძიმე მდგომარეობაში ჩააგდეს **ერევნიდან ბაიაზეთის** მიმართულებით შეტევაზე გადასული რუსეთის ჯარები. რუსეთის სარდლობამ, მართლა შეძლო **ერევან-ბაიაზეთის** მიმართულებით მოქმედი ჯარების მდგომარეობის შემსუბუქება, მაგრამ, 1877 წლის 25 ივნისს **ზივინთან** განცდილი სერიოზული მარცხის შემდეგ რუსეთის ჯარებმა დატოვეს ომის



არზრუმი

დასაწყისში დაკავებული ტერიტორიები. 1877 წლის ივნისიდან სექტემბრის ბოლომდე **მცირე აზიის ფრონტზე** რუსეთის ჯარების მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო, რუსებმა დატოვეს არა მარტო ოსმალეთის ტერიტორია, არამედ **ერევნის გუბერნიის** ნაწილიც კი.

რუსეთის ჯარებმა მარცხი განიცადეს საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, აჭარის მიმართულებით, მართალია, 1877 წლის მაისში **ბათუმის** მიმართულებით შეტევაზე გადასულმა ჯარებმა დაიკავეს სოფლები **მუხაესტატე** და **ხუცუბანი**, მაგრამ შემდეგ წინ ველარ წაინიეს. წარუმატებლობის მიზეზი იყო ის, რომ შავ ზღვაზე რუსეთს სამხედრო ფლოტი არ ჰყავდა. ზღვაზე ოსმალეთის ფლოტი ბატონობდა და ოსმალეთის ჯარები შეუფერხებლად მარაგდებოდნენ შეიარაღებითა და სურსათით, საჭიროების შემთხვევაში ცოცხალი ძალითაც. ბათუმისაკენ მიმავალ გზაზე უმნიშვნელოვანეს სიმაგრეს წარმოადგენდა ზღვის პირას მდებარე **ციხისძირი**. ციხისძირის დასაცავად ოსმალეთის სარდლობამ 35 ათას კაცს მოუყარა თავი. გარნიზონს აქტიურად უჭერდა მხარს სამხედრო ფლოტი. რუსებმა ციხისძირის დასაკავებლად მხოლოდ 25 ათასი კაცის თავმოყრა შეძლეს. ამასთან ერთად, რუსეთის ჯარები ზღვის მხრიდანაც დაუცველნი იყვნენ. ფერხდებოდა ჯარების მომარაგებაც. 1877 წლის ივლისში რუსეთის ჯარების და ქართული სახალხო ლაშქრის შეტევები **ციხისძირის** დასაკავებლად მარცხით დამთავრდა. რუსებმა უკან დაიხიეს.

მარცხი განიცადეს რუსებმა **აფხაზეთშიც**. 1877 წლის მაისში თურქებმა **გუდაუთასთან** ძლიერი დესანტი გადმოსხეს და **სოხუმისაკენ** დაიძრნენ. რუსებმა სოხუმი უბრძოლველად დატოვეს. თურქებმა თითქმის ნახევარი აფხაზეთი დაიკავეს. რუსების მიერ აფხაზეთის მიტოვებას აფხაზების მხრიდან დიდი **ანტირუსული** გამოსვლები მოჰყვა. ეს რუსეთისათვის ძალზე საშიში იყო. აფხაზეთში გენერალ **ალხაზიშვილის** სარდლობით სასწრაფოდ გაიგზავნა დამხმარე ძალა, რომელიც რუსეთის რეგულარული ჯარისა და ქართული სახალხო ლაშქრისაგან შედგებოდა. გადამწყვეტი ბრძოლა **ოქუმის** მიდამოებში გაიმართა. თურქები დამარცხდნენ და უკან დაიხიეს. 1877 წლის 2 სექტემბერს რუსეთის ჯარები სოხუმში შევიდნენ.

არტანუჯი

მალე თურქებმა აფხაზეთი მთლიანდ დატოვეს.

1877 წლის სექტემბერში ახალი ძალებით გაძლიერებული რუსეთის ჯარები **მცირე აზიის ფრონტზე** შეტევაზე გადავიდნენ და სექტემბერ-ოქტომბერში ოსმალეთის არმიის **ანატოლიის** კორპუსი გაანადგურეს. ოსმალეთის ჯარის დარჩენილმა ნაწილმა **ყარსის** ციხე-სიმაგრეს შეაფარეს თავი. რუსეთის ჯარების ერთი ნაწილი **არზრუმის** მიმართულებით გადავიდა შეტევაზე, მეორემ კი **ყარსის** გარშემო ალყის შეკვრა დაიწყო. 1877 წლის 18 ნოემბერს რუსეთის ჯარებმა ქართული სახალხო ლაშქრის დახმარებით **ყარსი** აიღეს, რაც თურქთა დიდი მარცხი იყო.

ციხისძირის დათმობას თურქები არ აპირებდნენ. ბათუმის მიმართულებით შეტევა ფერხდებოდა. რუსეთის სარდლობამ გადაწყვიტა ბათუმზე შეტევა ერთდროულად სამი მიმართულებით – **ქობულეთის, არტაანისა** და **ახალციხისკენ** – ეწარმოებინა. 1877 წლის დეკემბერში რუსეთის ჯარები **არტაანიიდან შავშეთში** შეიჭრნენ და **ხერთვისი** დაიკავეს, რამდენიმე დღეში რუსებმა ქალაქი **არტანუჯი** აიღეს და **ბათუმისაკენ** მიმავალ გზაზე გავიდნენ. 1877 წლის იანვრისათვის მთელი **შავშეთი** რუსეთის ჯარებისა და ქართული სახალხო ლაშქრის მიერ იქნა დაკავებული.

რუსებს **ახალციხის** მხრიდან **აჭარაში** შეჭრისათვის ძალები უკვე თავმოყრილი ჰყავდათ, მაგრამ აჭარელი ბეგების პოზიციის გარკვევამდე ბრძოლის დაწყებას ერიდებოდნენ. ასეთ ვითარებაში **შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა** აჭარაში რუსებს შესვლა სთხოვა და მათაც აღარ დააყოვნეს. **ახალციხის** მხრიდან რუსეთის ჯარები **აჭარისაკენ** დაიძრნენ. თურქები თავგამოდებით იცავდნენ **არზრუმს**.

რუსეთის არმიის გამარჯვებებმა შეაშფოთა

ევროპის სახელმწიფოთა მთავრობები. რუსეთის არმია სულ ახლო იყო **სტამბოლთან**. ევროპის სახელმწიფოები სულთანს ომის შენყვეტას და დაზავებას ურჩევდნენ. ევროპის ქვეყნებთან გართულების თავიდან აცილების მიზნით ალექსანდრე **II**-მ ოსმალეთის სულთნის წინადადება მიიღო და 1878 წლის 19 იანვარს **ადრიანოპოლში** რუსეთსა და ოსმალეთს შორის დროებითი ზავი დაიდო. ზავის მიხედვით, **ბულგარეთი** ავტონომიურ სამთავროდ გამოცხადდა, ხოლო **რუმინეთმა, სერბიამ** და **ჩერნოგორიამ** დამოუკიდებლობა მიიღეს, **ბოსნია** და **ჰერცოგოვინა** კი ავტონომიურ ოლქებად ცხადდებოდა. რუსეთს კავკასიაში ოსმალეთისაგან უნდა მიეღო ან ფულადი კონტრიბუცია, ან ტერიტორია.

ადრიანოპოლის დროებითმა ზავმა ევროპის ქვეყნების პროტესტი გამოიწვია. განსაკუთრებით ავსტრია-უნგრეთი და ინგლისი აქტიურობდა. 1878 წლის 1 თებერვალს ინგლისის სამხედრო ესკადრა **მარმარილოს ზღვაში** შევიდა, ავსტრია-უნგრეთმა კი კარპატებში ჯარების მობილიზაცია დაიწყო. ინგლისის სამხედრო ესკადრის **დარდანელის** სრუტეში შესვლის საპასუხოდ რუსეთმა **სტამბოლზე** შეტევა განაახლა და დასავლეთიდან მიუახლოვდა ოსმალეთის დედაქალაქს.

1878 წლის 19 თებერვალს **სტამბოლიდან** დასავლეთით თორმეტი კილომეტრის დაშორებით მდებარე **დაბა სან-სტეფანოში** რუსეთსა და ოსმალეთს შორის წინასწარი ზავი დაიდო. სან-სტეფანოს ზავის მიხედვით, **სერბიამ, ჩერნოგორიამ** და **რუმინეთმა** დამოუკიდებლობა მიიღეს. **ბულგარეთმა** შეიერთა მაკედონია და ოსმალეთში შემავალ ავტონომიურ სამთავროდ იქცა. ოსმალეთის ჯარები არ უნდა დარჩენილიყვნენ ბულგარეთის ტერიტორიაზე, ხოლო ციხე-სიმაგრეები უნდა დაენგრიათ. ზავის პირობების შესრულებაზე კონტროლის მიზნით ორი წლის ვადით რუსეთის 50-ათასიანი არმია ბალკანეთშივე უნდა დარჩენილიყო. სან-სტეფანოს ზავით რუსეთმა მიიღო **სამხრეთ ბესარაბია**. კავკასიაში რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა: **არტაანი, ყარსი, ბაიაზეთი, აჭარა ბათუმითურთ.**

ოსმალეთმა გადაწყვიტა ესარგებლა იმით, რომ სან-სტეფანოს ზავის დადების მომენტი-

ოტო ფონ ბისმარკი

სათვის ოსმალეთის არმია ჯერ კიდევ ინარჩუნებდა **არზრუმს, ბათუმსა** და **ციხისძირს**. სან-სტეფანოს ზავის თანახმად, რუსეთს შეეძლო მიეღო **არტაანი, ბაიაზეთი, ბათუმი, ყარსი** და სხვა ტერიტორიები, ან მათ სანაცვლოდ აეღო დიდი რაოდენობის კონტრიბუცია. რუსეთმა ტერიტორია არჩია. იმპერატორმა ალექსანდრე **II**-მ განაცხადა: **„მარტო ბათუმი და ყარსი ღირს იმად, რომ რუსეთმა მათთვის გასწიროს რამდენიმე მილიონი“.**

სან-სტეფანოს ზავი კიდევ უფრო მიუღებელი აღმოჩნდა ევროპის ქვეყნებისათვის. რუსეთს ევროპის ქვეყნებთან ომის აშკარა საშიშროება დაემუქრა. 1878 წლის 25 მაისს ინგლისმა და ავსტრია-უნგრეთმა დადეს ხელშეკრულება, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ევროპის ქვეყნებმა რუსეთის გავლენის შეზღუდვისა და, კონკრეტულად, სან-სტეფანოს ზავის პირობების გადასინჯვის მიზნით **საერთაშორისო კონგრესის** მოწვევას მიაღწიეს.

1878 წლის 1 ივნისს ბერლინში გერმანიის კანცლერის **ოტო ფონ ბისმარკის** თავმჯდომარეობით მუშაობას შეუდგა 1856 წლის პარიზის ზავზე ხელმომწერი ქვეყნების კონგრესი. **კონგრესზე რუსეთი იზოლაციაში აღმოჩნდა.** ანტირუსულ ბლოკს ინგლისი ედგა სათავეში. 1878 წლის 1 ივლისს ხელი მოაწერეს **ბერლინის ტრაქტატს**. ბერლინის ტრაქტატით დადასტურდა **რუმინეთის, სერბიისა** და **ჩერნიგორიის** დამოუკიდებლობა. **ბულგარეთი** ორ ნაწილად გაიყო. **ჩრდილოეთ ბულგარეთი** ცნობილ იქნა ოსმალეთის ვასალურ სამთავროდ, ხოლო **სამხრეთ ბულგარეთი**, სახელწოდებით **„სამხრეთ რუმელია“**, გამოცხადდა ოსმალეთის ავტონომიურ პროვინციად. **მაკედონია** გადაეცა

ოსმალეთს, ხოლო **ბოსნია და ჰერცოგოვინა** – ავსტრია-უნგრეთს. **სამხრეთ ბესარაბია** რუსეთის შემადგენლობაში დარჩა. კავკასიაში რუსეთის შემადგენლობაში შევიდა **ყარსი** და **არტაანი**. **აჭარა ბათუმითურთ** ასევე რუსეთის მფლობელობაში გადავიდა, ოღონდ იმ პირობით, რომ ბათუმი **„პორტო ფრანკოდ"** (თავისუფალ ქალაქ-ნავსადგურად) გამოცხადდებოდა. ბერლინის ტრაქტატის ხელმოწერის დროისათვის რუსეთის ჯარები მხოლოდ **ყარსსა** და **არტაანში** იდგნენ, **ბათუმსა** და **ციხისძირში** ჯერ კიდევ ოსმალეთის ჯარები იმყოფებოდნენ. რუსეთის ჯარები და ქართველთა სახალხო ლაშქარი **ბათუმში** 1878 წლის 25 აგვისტოს შევიდა. იმავე დღეს რუსეთის სამხედრო ფლოტის გემებმა ბათუმის ნავსადგური დაიკავეს.

რუსეთის მიერ აჭარის შემოერთებას მოჰყვა მაჰმადიანი ქართველების (აჭარლების) ოსმალეთში გადასახლება (მუჰაჯირობა), რასაც ხელს უწყობდა რუსეთი. **რუსეთი დაინტერესებული იყო სახელმწიფო საზღვრის რაიონიდან რაც შეიძლება მეტი მაჰმადიანი ქართველი მოეშორებინა.** ამიტომაც, რუსებმა აჭარის მაჰმადიან მოსახლეობას **აუტანელი პირობები** შეუქმნეს. მუჰაჯირობას ხელს უწყობდა ოსმალეთის აგენტურაც, რომელიც მოსახლეობას მოუწოდებდა, დაეტოვებინათ რუსეთის შემადგენლობაში გადასული ტერიტორია. სულ 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ **მუჰაჯირობის** პერიოდში აჭარიდან გადაიხვეწა დაახლოებით 30 ათასი ქართველი მაჰმადიანი.

აჭარის დედასამშობლოში დაბრუნება უდიდესი მოვლენა იყო ქართველი ერის ისტორიაში. იმდროინდელმა ქართულმა საზოგადოებამ სწორედ ასე აღიქვა ოსმალეთის ხანგრძლივი ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლება. **იაკობ გოგებაშვილი** წერდა: „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა, ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა", ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა".ქართველ მოღვაწეთა ინიციატივით 1878 წლის ნოემბერში აჭარის დეპუტაცია ტფილისში მიიწვიეს და მათ პატივსაცემად ბანკეტი გამართეს. დეპუტაციაში

იაკობ გოგებაშვილი

შედიოდნენ: **ჰუსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი (ბეჟანიძე), ჰუსეინ აბაშიძე, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი** და სხვები. ძვირფას სტუმრებს მასპინძლობას უწევდნენ: **გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი** და სხვები. ბანკეტზე სტუმრებს ბრწყინვალე სიტყვით მიესალმა **გრიგოლ ორბელიანი**. საპასუხო სიტყვები დახვწილი ქართულით წარმოთქვეს **ჰუსეინ-ბეგ ბეჟანიძემ** და **შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა.**

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომმა აამაღლა რუსეთის იმპერიის საერთაშორისო პრესტიჟი. რუსეთმა მნიშვნელოვნად განიმტკიცა პოზიციები როგორც ბალკანეთზე, ისე მახლობელ აღმოსავლეთში.

§ 3. ქართველი ერის კონსოლიდაცია

XIX საუკუნის დამდეგისათვის, როდესაც საქართველო რუსეთმა დაიპყრო, ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი: **სამხრეთ საქართველო** (სამცხე-ჯავახეთი), **სამხრეთ-დასავლეთ საქართველო** (აჭარა, ლაზეთი, ჭანეთი), **ჩრდილო-დასავლეთ საქართველო** (აფხაზეთი, სამურზაყანო), **სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველო** (ჰერეთი) – ოსმალეთისა და სპარსეთის მიერ იყო მიტაცებული. ამიერიდან კი საქართველოს ისტორიული ტერიტორია **რუსეთს, ოსმალეთსა** და **სპარსეთს** შორის აღმოჩნდა გაყოფილი, თავისთავად სახელმწიფოებრიობის მოსპობა დიდი ტრაგედია იყო ქართველი ერისათვის. დიდი

ტრაგედია იყო ისიც, რომ ქართველი ერი სამი სხვადასხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში აგრძელებდა არსებობას. **სამივე დამპყრობელს ერთი და იგივე მიზანი ამოძრავებდა – ქართველი ერის სრული ასიმილაცია.** საქართველოს მომავალი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად შეძლებდა ქართველი ხალხი წინ აღდგომოდა ასიმილაციის საფრთხეს, შეენარჩუნებინა ეროვნული ცნობიერება, დაეცვა ენა, კულტურა, ტრადიციული სოციალური და ეკონომიკური წყობა, ეროვნული ფსიქიკა.

სამი სახელმწიფოს, სამი განსხვავებული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური გარემო დამლუპველ გავლენას ახდენდა ქართველი ერის ცნობიერებაზე, ბუნებრივად იწვევდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილში მცხოვრები ქართველების ერთმანეთისაგან გაუცხოვებას, საერთო-ქართულის თანდათან დავიწყებას. სპარსეთისა და ოსმალეთის რელიგიური ექსპანსია ძირს უთხრიდა ქართველი ერის რელიგიის ერთიანობის, საქართველოს სიმძლავრის საფუძველს – მართლმადიდებლობას.

XIX საუკუნის დამდეგიდან დაწყებული რუსეთ-სპარსეთისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად 1878 წლისათვის სპარსეთისა და ოსმალეთის სახელმწიფოების შემადგენლობიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადავიდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის უდიდესი ნაწილი. ამ დროიდან იწყება ქართველი ერის გაუცხოების დაძლევის და გამთლიანების პროცესი. **იწყება ქართველი ერის კონსოლიდაცია. კონსოლიდაციის უმთავრესი პირობა იყო ენისა და ტერიტორიის ერთობა. ქართული ენა ერთიანობის უმთავრესი პირობა იყო ყველგან, საქართველოს ყველა კუთხეში. ენა ერთი იყო ყველა სარწმუნოების ქართველთათვის (მართლმადიდებელთა, მუსლიმთა, კათოლიკეთა).**

XIX საუკუნის 70-იანი წლების დასასრულისათვის საქართველოში დაწყებული ეროვნული მოძრაობა მოიცავდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის უდიდეს ნაწილს. **ბრძოლა შელახული ეროვნული ღირსების აღდგენისათვის მიმდინარეობდა მთელს საქართველოში.** ეროვნული მოძრაობის კოორდინირება ხდებოდა ერთი ცენტრიდან. ერთიანმა ეროვნულმა იდეამ მოიცვა სრულიად საქართველო.

ქართული კულტურის მონაპოვარი საერთო იყო საქართველოს ყველა კუთხისათვის. **თანადროულმა კულტურულმა პროცესებმა საერთო ქართული ხასიათი მიიღო.** ქართული ერის კულტურულ ერთიანობას წინ ვერ აღუდგა ქართველთა რელიგიური სხვადასხვაობა.

ქართველი ერის კონსოლიდაციას დიდად შეუწყეს ხელი ბატონყმობის გაუქმების შემდგომ მიმდინარე **ეკონომიკურმა და სოციალურმა პროცესებმა.** მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეები კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან.

ზემოთ ხსენებული პროცესების ერთობლიობამ შესაძლებელი გახადა **ერთიანი ქართული ფსიქიკის ჩამოყალიბება.**

ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი ყოვლისშემცველი და სრულყოფილი არ ყოფილა. ქართველი ერის კონსოლიდაციის დონე საკმარისი არ აღმოჩნდა **კუთხურობის** დაძლევისათვის. ეკონომიკის განვითარების თავისებურებების გამო სოფელსა და ქალაქს შორის ვერ დამყარდა მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა, საქართველო ვერ იქცა **ერთ ეკონომიკურ ორგანიზმად.** ქართული ეროვნული ბურჟუაზიის სისუსტისა და უცხოური კაპიტალის ბატონობის გამო **ქართველი ერი ვერ იქცა თავისი ეკონომიკის ბატონპატრონად.**

ქართველი ერის კონსოლიდაცია, რა თქმა უნდა, დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართველებისა და საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლის წარმატება.

ჰუსეინ-ბეგ ბეჟანიძე

თავი XI.

XIX საუკუნის 80-90-იანი წლების პოლიტიკური რეაქცია და ეროვნული მოძრაობა

§ 1. პოლიტიკური რეაქცია რუსეთში და მისი გამოძახილი საქართველოში

ალექსანდრე II

რუსეთში იმპერატორ **ალექსანდრე II**-ის მმართველობის ხანა **ლიბერალური რეფორმებით** აღინიშნა. რეფორმები შეეხო ეკონომიკის, სოციალურ ურთიერთობათა, პოლიტიკისა და კულტურის სფეროს. **თუმცა რუსეთი მზად არ აღმოჩნდა რეფორმებისათვის.** ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში მყოფი არისტოკრატია (თავადაზნაურობა) რეფორმებში თავისი ინტერესების შელახვას ხედავდა და მოვლენების განვითარებას შიშით შესცქეროდა. გარკვეულ პერიოდამდე ალექსანდრე II და მისი თანამოაზრეები ახერხებდნენ რეფორმების მოწინააღმდეგე არისტოკრატიის განეიტრალებას. მეორეს მხრივ, რეფორმების გატარებას ხელს უშლიდა ხალხოსნური (ნაროდნიკული) მოძრაობის აღმავლობა რუსეთში. **ხალხოსნური მოძრაობის გაძლიერება, ტერორიზმის აღმავლობა კიდევ უფრო აშინებდა რუსეთის არისტოკრატიას და ბუნებრივად წარმოშობდა პოლიტიკური სისტემის გამკაცრებისა და რეპრესიების გაძლიერების მოთხოვნას.** ალექსანდრე II-ის რეფორმატორული კურსის მომხრეებშიც კი უთანხმოებამ იჩინა თავი. ტახტის მემკვიდრე, მომავალი იმპერატორი **ალექსანდრე III**, რეფორმების შეწყვეტისა და ქვეყანაში მკაცრი რეჟიმის დამყარების თავგამოდებული მომხრე იყო. ხალხოსნების მიერ 1881 წელს იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობამ ბოლო მოუღო ლიბერალურ რეფორმებს რუსეთში. ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე III-მ არა მარტო რეფორმები შეწყვიტა, არამედ **კონტრრეფორმების** გატარება დაიწყო. საიმპერატორო კარმა ალექსანდრე II-ის მიერ გატარებული რეფორმები **„საბედისწერო შეცდომად"** გამოაცხადა და იმპერატორის მკვლელობაც ხელისუფლების მხრიდან დათმობების შედეგად მიიჩნია. **რუსეთში დაიწყო პოლიტიკური რეაქციის ხანა.**

პოლიტიკური რეაქცია მთელი იმპერიის მასშტაბით მიმდინარეობდა. ამასთან, იგი ითვალისწინებდა რუსეთის იმპერიაში მცხოვრები დაპყრობილი ერების ჩაგვრის გაძლიერებას, **რუსიფიკატორული პოლიტიკის** გააქტიურებას. ალექსანდრე III შეეცადა მოესპო **ფინეთისა** და **პოლონეთის** შეზღუდული ავტონომიები. პოლონეთის სამეფოს **„ვისლისპირეთის მხარე"** უწოდეს, ხმარებიდან ამოიღეს სახელწოდებანი **„უკრაინა"** და **„ბელორუსია"**. გარდაიქმნა ამიერკავკასიის მმართველობის სისტემაც. 1881 წელს გაუქმდა კავკასიის **მეფისნაცვლის** თანამდებობა, კვლავ აღსდგა კავკასიის **მთავარმართებლის** პოსტი. კავკასიამ დაკარგა **ადმინისტრაციული ავტონომია.** მთავარმართებელი იმპერატორს კი არ ექვემდებარებოდა, არამედ მინისტრებს, უშუალოდ კი – შინაგან საქმეთა მინისტრს. მთავარმართებელი

ალექსანდრე III

ითვლებოდა კავკასიის ჯარების მთავარსარდლად, მის ხელში იყო თავმოყრილი ადმინისტრაციული და საპოლიციო მმართველობა. მთავარმართებელს არ ემორჩილებოდა საფინანსო, საგზაო და განათლებისა და სხვა უწყებანი. ეს უწყებანი შესაბამისი სამინისტროს გამგებლობაში იმყოფებოდნენ. მეფისნაცვლის თანამდებობის გაუქმების შემდეგ აღდგენილ იქნა **გენერალ-გუბერნატორების** თანამდებობები. საქართველოს გუბერნიები უშუალოდ პეტერბურგს დაექვემდებარა. გენერალ-გუბერნატორებს უფლება ჰქონდათ პეტერბურგთან შეუთანხმებლად, საკუთარი შეხედულებისამებრ გუბერნიაში სამხედრო წესები გამოეცხადებინათ და სამხედრო ძალა გამოეყენათ წესრიგის დასაცავად. რუსეთის გუბერნიების მსგავსად ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებიც მაზრებად იყოფოდნენ. მაზრას ერთპიროვნულად განაგებდა **მაზრის უფროსი**. მაზრის **საპოლიციო-ადმინისტრაციული** მმართველობის გაუმჯობესების მიზნით 1885 წელს მაზრები დაიყო **ნაწილებად (უჩასტკებად)**, რომელთაც სათავეში **პრისტავი** ანუ **ბოქაული** ედგა. ბოქაულის მოვალეობას შეადგენდა თვალყური ედევნებინა მოსახლეობის **პოლიტიკური კეთილგანწყობისათვის**, უზრუნველეყო პიროვნების უშიშროება და ქონების ხელშეუხებლობა, აღეკვეთა ყაჩაღობა და ქურდობა, უზრუნველეყო გადასახადების აკრეფა და სხვა სახელმწიფო ვალდებულებების შესრულება. ბოქაული კონტროლს უწევდა სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ **მაზრაში მყარდებოდა მკაცრი საპოლიციო რეჟიმი**. დიდი უფლებებით აღჭურვილ ბოქაულებს სახელმწიფო ძალზე მცირე ხელფასს უხდიდა, რაც ბოქაულს აიძულებდა უკანონო შემოსავალი ეძებნა. ეს კი მძიმე მდგომარეობაში აგდებდა როგორც გლეხობას, ისე ვაჭრებსა და მრეწველებს.

მეფისნაცვლის თანამდებობის გაუქმების შემდეგ მეფისნაცვალი, დიდი მთავარი **მიხეილ რომანოვი** პეტერბურგში გაიწვიეს, ხოლო კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობაზე თავისი კონსერვატიული შეხედულებებით ცნობილი გენერალი **ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი** (1882-1890) დანიშნეს. მთავარმართებელი ა. დონდუკოვ-კორსაკოვი ზედმიწევნით

ალექსანდრე
დონდუკოვ-კორსაკოვი

ზუსტად ატარებდა რუსეთში დაწყებული პოლიტიკური რეაქციის შესაბამის კურსს კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში. მას მხარს უჭერდა თავისი ანტიქართული განწყობილებით ცნობილი საქართველოს ეგზარქოსი, არქიეპისკოპოსი **პავლე** და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი **კირილე იანოვსკი**.

პოლიტიკურ რეაქციას თან ახლდა საქართველოში **უცხოტომელთა** ჩამოსახლება. საუკეთესო მიწებზე ასახლებდნენ რუს კოლონისტებს. გაძლიერდა **სომეხთა** ჩამოსახლება. მასობრივად დაიწყო აფხაზეთის (სოხუმის ოლქის) ტერიტორიაზე **რუსების, სომხების, ესტონელების** და სხვათა დაფუძნება.

დაიწყო ეროვნული ღირსებების დამცველი მოღვაწეების: მწერლების, პუბლიცისტების, პედაგოგების, სამღვდელოების, მოსწავლე-ახალგაზრდობის **დევნა** და **შევიწროება**. კიდევ უფრო **გამკაცრდა** ცენზურა, რამაც მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ქართული ჟურნალ-გაზეთები.

სრულიად რუსეთის იმპერიის სახელმწიფო გერბი

პოლიტიკური რეაქცია უპირველეს ყოვლისა მიმართული იყო ქართული ეროვნული მოძრაობის, მისი მონაპოვრის წინააღმდეგ. ეროვნული მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეებს უაღრესად არახელსაყრელ ვითარებაში უხდებოდათ მოღვაწეობა. ძალზე ძნელდებოდა უკვე მიღწეულის შენარჩუნებაც კი.

§ 2. ბრძოლა შელახული ეროვნული ღირსების აღსადგენად

ქართველი ერის ასიმილაციის უპირველესი ხელისშემშლელი ქართული ენა იყო, სწორედ ამიტომ ქართული ენის დევნა და შევიწროება რუსეთის კოლონიური პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენდა.

ქართული ენის დევნა დაკავშირებულია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის (უფროსის) **კირილე იანოვსკის** სახელთან. 1881 წელს კ. იანოვსკის განკარგულებით, ახალი სასწავლო გეგმის შედგენასთან დაკავშირებით, ყველა ტიპის სკოლაში რუსული ენის სწავლება უნდა დაწყებულიყო დაწყებითი კლასებიდანვე. **ქართული ენის სწავლება ქართულ სკოლებში აღირებული იქნა არასავალდებულოდ.** ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლებას დედა ენის ცოდნა არ უნდა დასდებოდა საფუძვლად. ქართულ ენას, როგორც არასავალდებულო საგანს, პირველ და ნაწილობრივ მეორე კლასში ეთმობოდა საათების უმნიშვნელო რაოდენობა და ისიც ყველა გაკვეთილის შემდეგ. 1885 წლიდან კ. იანოვსკის განკარგულებით **ქართული ენა სავსებით განიდევნა სკოლიდან.** ქართული ენის შესწავლა ქართველ ბავშვებს მხოლოდ ოჯახებში შეეძლოთ. ქართული ენის განდევნა სკოლიდან, პირველი კლასიდანვე ყველა საგნის რუსულ ენაზე სწავლება მძიმე მდგომარეობაში აგდებდა არა მარტო რუსული ენის არმცოდნე ქართველ ბავშვებს, არამედ ქართული ენის არმცოდნე რუს მასწავლებლებსაც. ქართველ ბავშვებს, თუკი ისინი სკოლაში შესვლას მოისურვებდნენ, რუსული ენა წინასწარ უნდა შეესწავლათ.

ქართული ენის დევნას და შევიწროებას თან სდევდა ქართველი ერის დანანილების ცდა. ამ უკეთურ მისწრაფებას საფუძვლად უნდა დასდებოდა ქართული ენის, ქართული ანბანის, ქართული მწიგნობრობის გამოდევნა სამეგრელოდან და სვანეთიდან. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა კირილე იანოვსკიმ ხელზე დაიხვია მეგრული და სვანური სალაპარაკო ენის დაშორება ქართული სალიტერატურო ენისაგან და გადაწყვიტა ქართული ენის სრულებით გამოდევნა საქართველოს ამ კუთხეების სკოლებიდან.

1883 წლიდან სამეგრელოს იმ სკოლებში, რომელიც რუსეთის განათლების სამინისტროს ექვემდებარებოდა, ქართული ენა დამხმარე საგნადაც კი არ იყო დაშვებული. საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ქართული ენა დატოვებულ იქნა დამხმარე საგნად, თუმცა 1890 წლიდან ქართული ენის სასწავლო პროცესში გამოყენება ძალზე შეიზღუდა. **1888-1889 წლებში გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები რუსული ანბანის საფუძველზე მეგრული ენის სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნის მიზნით.** კირილე იანოვსკის აზრით, ასეთი სახელმძღვანელოს შექმნას მეგრელი ბავშვებისათვის უნდა გაეადვილებინა რუსული ენის შესწავლა. 1889 წელს **რუსული ანბანის მიხედვით შეადგინეს მეგრული ანბანი.** დაიწყო საღვთო წიგნების მეგრულ ენაზე გადმოთარგმნა. მზადდებოდა **ნიადაგი სამეგრელოს ეკლესიებში ღვთისმსახურების მეგრულ ენაზე აღსრულებისათვის.**

ქართული საზოგადოებრიობა და, პირველ რიგში, თვით სამეგრელოს მოსახლეობა აღშფოთებით შეხვდა ეკლესიაში მეგრული ენის დამკვიდრების ცდებს. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი **გრიგოლ დადიანი** მეგრულად ათარგმნინებდა საეკლესიო წიგნებს. გრიგოლ ეპისკოპოსის ამ წამოწყების შესახებ 1889 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა: „ეხლა სამეგრელომ აღმოაჩინა წმინდა მამებიც, რომლებსაც სრული იმედია წმინდანებად არ შერაცხავენ. ამათ უკისრნიათ საღვთო წერილის თარგმნა მეგრულ ენაზედ... ამ მამათ, ოღონდ თავიანთი ფარული აზრი საქმედ აქციონ და ამას კი არ დაეძებენ, რომ ერის რელიგიურ გრძნობას შელახავენ და შებღალავენ... ამ ოციოდე წლის წინად მთარგმნელთა გუნდმა კიდეც გადაიღო

მეგრულზე წირვა-ლოცვა, მაგრამ როდესაც ეკლესიაში გაისმა „ჭკვიანურო-გეწიმოდირთიო", ხალხმა იგრიალა და ლანძღვა-გინებით გამოვარდა ეკლესიიდან". **1889 წელს დაბა ახალ სენაკში გამართულმა სამეგრელოს სამღვდელოების კრებამ უარყო ეკლესიებში მეგრულად წირვა-ლოცვის შემოღება და თავის დადგენილებაში აღნიშნა, მეგრულად წირვა-ლოცვის დანესება ხალხში მწვალებლობას გამოინვევსო.**

საბოლოოდ, მეგრული წირვა-ლოცვის შემოღებას ხელი შეუშალა ქართული ენის უფლებების შელახვისადმი სამეგრელოს მოსახლეობის მკვეთრად გამოხატულმა უარყოფითმა დამოკიდებულებამ.

ხელისუფლება ფარ-ხმალს მაინც არ ჰყრიდა და კვლავ აგრძელებდა **ქართველი ერის დაქუცმაცების** პოლიტიკას.

1892 წელს გამოვიდა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორ ლევიცკის მიერ **შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელო მეგრული სკოლებისათვის.** სახელმძღვანელოში რუსული სიტყვები გადათარგმნილია მეგრულად, ხოლო მეგრული სიტყვები დაბეჭდილია რუსული ანბანით. იმავე ანბანით მალე დაიბეჭდა **ლოცვები მეგრულად.** მეგრულად შედგენილ ლოცვებს იყენებდნენ სლავური ლოცვების შესწავლის დროს. 1899 წელს ტფილისში გამოცემულ იქნა **რუსული ანბანის საფუძველზე შედგენილი პირველი მეგრული საკითხავი ნიგნი.** წიგნის წინასიტყვაობაში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი **ზავადსკი** წერდა, რომ წიგნი იბეჭდება მხოლოდ იმ მიზნით, რათა მეგრელ ბავშვებს რუსული წერა-კითხვის შეთვისება გაადვილებოდათ.

ყოველივე ეს უდიდეს საფრთხეს უქმნიდა ქართველი ერის მთლიანობას. ქართველი ინტელიგენცია ცდილობდა, წინ აღდგომოდა ქართული ენის დევნა-შევიწროებისა და ქართველი ერის დანაწილების ცდებს. ამ ბრძოლას სათავეში ედგნენ და წარმართავდნენ **ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი** და სხვები. პრესაში საჯარო გამოსვლებთან ერთად აუცილებელი იყო იმხანად არსებული ლეგალური საშუალებების გამოყენება. კოლონიური პოლიტიკის ამ საშიში გამოვლინების წინააღმდეგ

ილია ჭავჭავაძე

თავისი სიტყვა უნდა ეთქვათ თავადაზნაურობის ოფიციალურ წარმომადგენლობებს. მხედველობაში გვაქვს **ტფილისისა** და **ქუთაისის** გუბერნიების, ასევე მაზრების **თავადაზნაურობის წინამძღოლებისა** და **დეპუტატთა საკრებულოების** არჩევნები. ეს არჩევნები სამ

სერგეი მესხი

წელიწადში ერთხელ იმართებოდა. ეროვნული ძალები ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ არჩევნებში ისეთი კანდიდატების გამარჯვებისათვის, რომლებიც წინ ალუდგებოდნენ **დიდ ეროვნულ საფრთხეს.** 1885 წელს ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად (მარშლად)



კირილ იანოვსკი

გაზეთ „დროების“ აქტიური ჩარევით, აირჩიეს გენერალი **ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი.** ეს პიროვნება დიდი გავლენით სარგებლობდა ოფიციალურ წრეებში. ტფილისის გუბერნიასთან შედარებით პატრიოტული განწყობილება უფრო ძლიერი იყო ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოში. ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს წინამძღოლად (მარშლად) 1885 წელს არჩეულ იქნა ეროვნული მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი. **დიმიტრი ყიფიანმა** ქართული ენის უფლების შელახვისათვის შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ **კირილე იანოვსკის.**

ქართულმა საზოგადოებრიობამ გააცნობიერა დიდი ეროვნული საფრთხე და შესძლო წინ აღდგომოდა ქართული ენის უფლებების შელახვას, ქართველი ერის დანაწევრების ცდას. ჯერ კიდევ 1880 წელს კირილე იანოვსკის ახალი სასწავლო გეგმის რეალიზების დაწყებამდე, უმკაცრეს საცენზურო პირობებში **სერგეი მესხმა** გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდა „ღია წერილი“ იანოვსკისადმი. სერგეი მესხი წერდა: „ორი ათასი წელინადია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიული ცხოვრებით ცხოვრობს ... თითო მტკაველი თავისი სამშობლო მიწისა ... ყოველი ლექსი თავისი სამშობლო ენისა ათი ათას საუკეთესო შვილად ულირს ... თქვენ კი გნებავთ ახლა, რომ... უეცრად მოსპოთ ხალხის ენა... ქართველების სურვილი იგივეა, რაც ყველა ხალხისა: დაიცვან თავისი სამშობლო ენა, მამული, რჯული და სარწმუნოება. თქვენი სურვილია კი, რომ ქართველებს ქართული დაავიწყოთ“. კ. იანოვსკის წინააღმდეგ 1880 წელსვე მწვავე წერილი დაბეჭდა **დიმიტრი ყიფიანმა.** დიმიტრი ყიფიანი იანოვსკის შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: „ახლა მიხვდით თუ ვერა, რასაც თქვენი ქადაგება მოასწავებს, ჩინგის-ხანმა, ლანგ-თემურმა, შაჰ-აბასმა, ნადირ-შაჰმა ვერ შემუსრეს ჩვენი „ხალხის ნება და ახლა თქვენ გინდათ შემუსროთ“? დიმიტრი ყიფიანმა აიძულა იანოვსკი, გაზეთ „კავკაზში“ გამოსულიყო ვრცელი წერილით და პირადად ემართლებინა თავი საზოგადოების წინაშე.

კირილე იანოვსკის ახალი სასწავლო გეგმის კრიტიკას მიეძღვნა **ილია ჭავჭავაძის** წერილი **„ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“**, რომელიც

იაკობ გოგებაშვილი

1881 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“. ლეგალურ პრესაში არსებული შეზღუდვების მიუხედავად, ცენზურისათვის თვალის ახვევის გზით ილია ჭავჭავაძემ წარმოადგინა იანოვსკის სასწავლო გეგმის ყოვლისმომცველი კრიტიკა. ქართველთა ქომაგი ამტკიცებდა, რომ ქართული ენის შესწავლა ქართველი ბავშვისათვის ყოველგვარი ცოდნის, მათ შორის ენის ცოდნის, მიღების საფუძველია. იანოვსკის ახალ სასწავლო გეგმას ილია ჭავჭავაძემ ასეთი განაჩენი გამოუტანა: „იმ პროგრამით კი, როგორც ბ-ნ იანოვსკის მოუფიქრებია, ჩვენებური საერო სკოლა ვერც თავისს საქმეს გაარიგებს და ვერც რუსულ ენას გვაცოდინებს. იმ ვიწრო გზაზედ, რაც საერო სკოლას ჩვენში დანიშნული აქვს, ამ ორიე – სულ სხვადასხვა საგნის – შეხვედრა არც ერთს დააყრის ხეირს და არც მეორესა“. ამავე საკითხთან მიმართებაში ძალზე საინტერესოა **ილია ჭავჭავაძის** წერილების სერია **„პედაგოგიკის საფუძვლები“**, რომელიც 1888 წელს იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში“. ეროვნული სკოლის დანიშნულებას ილია ჭავჭავაძე ასე აყალიბებს: „სკოლამ ისე უნდა ამზადოს და სწურთვნოს, რომ კაცს ღონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს ერთ რამედ ყოფნისა ქვეყნის სასარგებლოდ; ღონე, ხერხი და წყურვილი



დავით ერისთავი

ჰქონდეს, ყოველი ამისათვის მოიპოვოს შესაფერი სწავლა-ცოდნა. ეგრე გამონყურებული, გაღონიერებული და ხერხიანი კაცი არავითარს სიძნელეს საქმისას არ შეუშინდება, არ შეუდრკება და ზნე-ხასიათობაც ეს არის". **ილია ჭავჭავაძემ** შესანიშნავად დაგვანახა, რომ იმდროინდელი სკოლა ამ პრინციპების საწინააღმდეგოდ იყო მოწყობილი. სკოლა არ ზრდიდა ეროვნული იდეალებისათვის თავდადებულ ახალგაზრდობას: „ეხლანდელი სკოლა-კი სულ სხვა საგანს მისდევს და ზნე-ხასიათის ნერთნა თავმინებებულია. ეხლანდელი სკოლა მარტო იმის ცდაშია, რომ პატარა ბავშვის თავში, რაც შესაძლოა, ბევრი ცოდნა დასტიოს, ყმაწვილს ბევრი რამ ასწავლოს მარტო ცოდნისა და სწავლისათვის და არა კაცის გაადამიანებისათვის. ამიტომ არც კაცად ვარგობენ ეხლანდელი ყმაწვილები და არც იმათის სწავლა-ცოდნიდამ გამოდის რამ. ამიტომ სკოლაში მიღებული სწავლა-ცოდნა მეტი ბარგია იმათთვის და არც-კი ენანებათ, რომ ცხოვრების გზაზედ ეს ბარგი დღედადღე ეკარგებათ, როგორც მეტი რამ". ლეგალურ პრესაში სასკოლო სისტემის ამაზე გამანადგურებელი კრიტიკა იმხანად წარმოუდგენელი იყო.

ქართული ენის უფლებების დაცვას მიეძღვნა **იაკობ გოგებაშვილის** რამდენიმე ცნობილი ნაშრომი. 1881 წელს გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნდა იაკობ გოგებაშვილის მეტად პრინციპული მნიშვნელობის წერილი **„მზრუნველი იანოვსკის სამოსწავლო გეგმა სახალხო სკოლებისა"**. იანოვსკის სასწავლო გეგმას წერილის ავტორი ასე აფასებს: „ჩვენი სახალხო სკოლა, ბ. იანოვსკის პლანზედ გამართული, უკუღმა დაატრიალებს სწავლის საქმესა: დაუშლის ქართული წიგნის იმდენად შესწავლას, რომ ბავშვებმა ცხოვრებაში გამოიყენონ, საგნებსაც არ შეათვისებინებს და, რასაკვირველია, ვერც რუსულის ენის ცოდნას მიანიჭებს". საქართველოს სკოლებში დედაენის სწავლების აუცილებლობას ასაბუთებდა **იაკობ გოგებაშვილი** 1881 წელს გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნებულ წერილში **„განათლების მდგომარეობა საქართველოში 1880 წელს"**. მშობლიურ ენაზე სწავლების უპირატესობას ამტკიცებდა **იაკობ გოგებაშვილი** წერილში **„ახალი ნაბიჯი ხალხის განათლებაში"**, რომელიც გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნდა 1883 წელს. ლოჭინის სამეურნეო სკოლის მაგალითზე იაკობ გოგებაშვილი ასეთ დასკვნას აკეთებდა: „ამ ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში დიდძალი ფული დაახარჯა მთავრობამ ლოჭინის სკოლაზედ ... მაგრამ ყველაფერმა თითქმის ამაოდ ჩაიარა, სკოლამ ფესვები ვერ გაიდგა ჩვენს ნიადაგში, არ აყვავდა და არ მოგვცა შესაფერი ნაყოფი უმთავრესად იმ მიზეზების გამო, რომ სწავლება მიდიოდა აქ არა დედა-ენაზედ".

იაკობ გოგებაშვილი ქართული ენის უფლებებს, შელახულ ეროვნულ ღირსებას იცავდა თავისი „დედაენით" და „ბუნების კარით", საქართველოს ისტორიული წარსულის ამსახველი შესანიშნავი მოთხრობებით.

XIX საუკუნის 80-იანი წლების პოლიტიკური რეაქციის პერიოდში ქართული ეროვნული ცნობიერების დაკნინებისაკენ იყო მიმართული **საქართველოს ისტორიის გაყალბების** ცდები. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ **ილია ჭავჭავაძის** წერილების სერია **„აი ისტორია"** (1889 წ.), რომელშიც მან საკადრისი პასუხი გასცა ივანე ჯაბადარის ცდებს გაეყალბებინა საქართველოს ისტორია, რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის **„ქვათა ღაღადს"** (1899 წ.) იგი მრისხანე დოკუმენტია, რომელშიც ავტორმა დასაბუთებული პასუხი გასცა საქართველოს ისტორიის გამყალბებელ სომეხ ისტორიკოსებს.

ქართველთა ეროვნული ღირსების შეურაცხყოფას ისახავდა მიზნად 1882 წელს რუსი შოვინისტების მიერ **ქართული ეროვნული დროშის** შებღალვა. ტფილისში, ქართულ თეატრში **დავით ერისთავის** პიესა **„სამშობლოს"** წარმოდგენის დროს სცენაზე ქართული ეროვნული დროშა გამოიტანეს, რასაც მაყურებლის უდიდესი აღტაცება მოჰყვა. ეს ამბავი ძალზე გახმაურდა. მოსკოვში გამომავალი გაზეთი **„მოსკოვსკიე ვედომოსტი"**, რომლის რედაქტორი **მიხეილ კატკოვი** იყო, კორესპონდენციაში ტფილისიდან ასე გამოეხმაურა თეატრის სცენაზე ქართული ეროვნული დროშის გამოტანის ფაქტს: „ეგ დროშა გირჩევთ აღარ გამოაჩინოთ, გირჩევთ გოდფრუას ცრქს მიყიდოთ თეატრის მიერ გაწეული ხარჯების დასაფარავად". **„მოსკოვსკიე ვედომოსტის" მიერ ქართველი ერის შეურაცხყოფამ აღაშფოთა მთელი ქართული საზოგადოებრი-**

ობა. გაზეთ „დროებაში“ ილია ჭავჭავაძემ დაბეჭდა წერილი სათაურით „კატკოვის პასუხად“. ეროვნული დროშის შეურაცხყოფით აღშფოთებული ილია ჭავჭავაძე წერდა: „გაცვეთილის კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ უკადრისად ხსენება მისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმნიკვლელად დაცვისათვის – არამცთუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან დედამიწის ზურგზედ სიცოცხლეს არ ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია, – იმის ეგრედ უკადრისად ხსენებას, არ ვიცით რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრეთ მომხსენებელი რა სულიერებაში შევრაცხოთ“. კატკოვისა და მისი თანამოაზრეების გასაგონად ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „თვით ბარბაროსიც კი არ იკადრებდა ეგრეთ გაუპატიურებას მთელი ერისას! მაშ, ბარაქალა კატკოვს და მის მომხრეებს, რომ იკადრეს ის, რასაც თვით ბარბაროსიც კი ითაკილებდა“.



გაგრა. აფხაზეთის პირველი კურორტი.

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ აშკარა და უკომპრომისო ბრძოლის გამო 1885 წელს ხელისუფლებამ გაზეთი „დროება“ სამუდამოდ დახურა. საქართველო ყოველდღიური გაზეთის გარეშე დარჩა. 1886 წელს ილია ჭავჭავაძემ მიიღო ნებართვა ყოველთვიური ჟურნალი „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაეკეთებინა. ილია ჭავჭავაძე იყო „ივერიის“ რედაქტორიც და გამომცემელიც. **შელახული ეროვნული ღირსების დაცვისათვის ბრძოლას ამიერიდან „ივერია“ აგრძელებდა.**

XIX საუკუნის 80-იანი წლების პოლიტიკური რეაქციის პერიოდში მძიმე ვითარება შეიქმნა აფხაზეთში. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ **განსაკუთრებით მიზანსწრაფული ხდება რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა აფხაზეთში.** ამ პოლიტიკის უმთავრესი მიზანი იყო: **საქართველოს ნაწილის, ქართველთა განსახლების ტერიტორიის ნაწილის – აფხაზეთის – ჩამოცილება საქართველოდან, ადგილობრივი, მკვიდრი, ქართული მოსახლეობის მაქსიმალური შევიწროვება, აფხაზების ასიმილაცია.** ყოველივე ეს შესაძლებელი გახდებოდა, კერძოდ, მაშინ, თუ აფხაზეთიდან განიდევნებოდა **ქართული ენა, ქართული ეკლესია, ქართული კულტურა,** ე. ი. აფხაზები და იქაური ქართველები მოსწყდებოდნენ ქართულ სამყაროს.

აფხაზეთში კოლონიური პოლიტიკის შედეგიანობის ერთ-ერთი მაჩვენებელი იყო **მუჰაჯირობა** – აფხაზების ნაწილი ვერ შეეგუა რუსეთის გაბატონებას და ოსმალეთში გადასახლდა. ცარისტული ადმინისტრაცია თითქოს წინააღმდეგი იყო აფხაზების ოსმალეთში გადასახლებისა, სინამდვილეში კი სერიოზულ წარმატებას ზეიმობდა: ოპოზიციური ძალის მნიშვნელოვანმა ნაწილმა აფხაზეთი დატოვა და კოლონიური პოლიტიკის გატარება გააადვილა.

აფხაზეთის კოლონიზაციის ფორსირებული ტემპებით განხორციელება დაემთხვა რუსეთში პოლიტიკური რეაქციის დასაწყისს, რომელიც დაკავშირებული იყო იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობასა (1881 წ.) და ალექსანდრე III-ის მეფობის დასაწყისთან. კოლონიური პოლიტიკის



თედო სახოკია

უმთავრეს პრაქტიკულ მიზანს წარმოადგენდა: **პირველი.** დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლა აფხაზეთში, უცხოტომელთა ჩამოსახლების კვალობაზე ქართული მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირება; **მეორე.** ეკლესიიდან ქართული ენის განდევნა; **მესამე.** საეკლესიო-სამრევლო და საერო სკოლებში ქართული ენის სწავლების აკრძალვა; **მეოთხე.** ქართული მოსახლეობის ყოველმხრივი შევიწროება; **მეხუთე.** აფხაზების გარუსება, მათი ასიმილირება.

ამ მიზნის განხორციელებისთვის კოლონიურმა ხელისუფლებამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა. კერძოდ: რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესი სინოდის 1898 წლის 3 სექტემბრის ბრძანებულებით, აფხაზეთის იმ ეკლესიებში, რომელთა მრევლს აფხაზები შეადგენდნენ, **ღვთისმსახურება საეკლესიო-სლავურ ენაზე უნდა აღესრულებინათ.** საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1898 წლის 17 მარტის ბრძანებულებით, აფხაზეთისა და სამურზაყანოს სკოლებში **აიკრძალა ქართული ენის სწავლება.** ღვთისმსახურების საეკლესიო-სლავურ ენაზე აღსრულების და სკოლებში ქართული ენის სწავლების აკრძალვის განხორციელებაზე სასულიერო და ადმინისტრაციულმა ხელისუფლებამ უმკაცრესი კონტროლი დააწესა. **ქართველებისათვის შეიზღუდა სოხუმის ოკრუგის სასოფლო თემების მკვიდრთა მუდმივ მცხოვრებლებად გახდომის შესაძლებლობა.** თემის მუდმივ მცხოვრებლად ითვლებოდა ის, ვინც ამ უფლებით სარგებლობდა 1865 წლამდე. აფხაზეთში დაიწყო **რუსი კოლონისტების** მასობრივი ჩამოსახლება.

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგად XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დამდეგისათვის აფხაზეთში შეიქმნა უმძიმესი, ფაქტობრივად, კატასტროფული სიტუაცია.

აფხაზეთში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის განხორციელებას წინ აღუდგნენ ილია ჭავჭავაძისა და, საერთოდ, სამოციანელთა ტრადიციაზე აღზრდილი მოღვაწეები: **თედო სახოკია, ანთიმოზ ჯუღელი, სპირიდონ ნორაკიძე, ნიკოლოზ თავდგირიძე** და სხვები. ამ ბრძოლაში დიდი იყო ქართული სამღვდელოების დამსახურება. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზი **ალექსანდრე (ოქროპირიძე),** დეკანოზი **დავით მაჭავარიანი,** იმხანად ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მღვდლები **ბესარიონ ხელაია** (შემდეგში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი) მღვდელი **ივანე ჩხენკელი** და სხვები.

ქართული საზოგადოებრიობის, ქართული სამღვდელოების წინააღმდეგობამ შეუძლებელი გახადა აფხაზეთში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის სრულად განხორციელება.

ეროვნული მოძრაობის მოღვაწენი ცდილობდნენ ყველა საშუალება გამოეყენებინათ კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ. 1885 წელს **ბათუმსა** და **ქუთაისს** ესტუმრა კავკასიის ყოფილი მეფისნაცვალი, დიდი მთავარი **მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.** ქუთაისში თავადაზნაურობამ დიდ მთავარს ბანკეტი გაუმართა. ბანკეტს ესწრებოდა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი **დიმიტრი ყიფიანი.** ბანკეტზე ქუთაისის ქალაქის თავმა **ლუკა ასათიანმა** საზეიმო სიტყვაში დიდ მთავარს აგრძნობინა, რომ კავკასიის ადმინისტრაცია უნდობლობას იჩენდა ქართველებისადმი, დევნიდა და ავიწროებდა ქართველ ხალხს. ბანკეტზე სიტყვით გამოსულმა **დიმიტრი ყიფიანმა** უფრო მკვეთრად და გაბედულად გააკრიტიკა კავკასიის ადმინისტრაცია. დიმიტრი ყიფიანმა წერილობით ჩამოაყალიბა ქართველი საზოგადოების თვალსაზრისი კავკასიის მთავარმართებლის ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვის **ანტიქართული პოლიტიკის შესახებ** და ბორჯომში გამართული აუდიენციის დროს დიდ მთავარს გადასცა. მიხეილ რომანოვმა დიმიტრი ყიფიანს განუცხადა, რომ იმპერატორი ალექსანდრე III, თავისი წინამორბედის მსგავსად, დიდი ნდობით უყურებს ქართველებს და ამის შესახებ შეგიძლიათ ყველას განუცხადოთო. ქართველ საზოგადოებას იმედი იმანაც აღუძრა, რომ დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი ტფილისში ყოფნის დროს ერთხელაც არ შეხვედრია კავკასიის მთავარმართებელს. გავრცელდა ხმები ა. დონდუკოვ-კორსაკოვის გადაყენების შესახებ. დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის საქართველოში ვიზიტის დროს შექმნილი ვითარებით შეშფოთებული კავკასიის მთავარმართე-

ბელ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს წერდა: „მისი იმპერატორობითი უმაღლესობის მობრძანებას გასულს შემოდგომაზე ადგილობრივი ხელისუფლების პრესტიჟისათვის სამწუხაროდ არასასიამოვნო შედეგი მოჰყვა. ყველა ელემენტი, რომელიც არ თანაუგრძნობდა აქ დამკვიდრებულ მმართველობის წესს. ცდილობდა მისი უმაღლესობისათვის დაენახვებინა არარსებული შევიწროვება, რომელსაც თითქოს განიცდის ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა. იმ უმაღლეს ყურადღებას, რომელიც დიდმა მთავარმა გამოიჩინა ამგვარი განცხადებისადმი და ეგრეთვე ვითომც წერილმან, მაგრამ მაინც საყურადღებო გარემოებას, რომ მისმა უმაღლესობამ გაიარა რა რამდენჯერმე ტფილისში, არ ისურვა ენახა მთავარმართებელი, რამაც დაბადა მცხოვრებლებში დიდი ჭორები უახლოეს დროში მთავარმართებლის მოხსნის შესახებ, რასაკვირველია, არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა უკანასკნელის ავტორიტეტის დაცემაზე“.

ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი შეეცადა შერყეული ავტორიტეტის აღდგენას. მან ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მეშვეობით **დიმიტრი ყიფიანს** მოსთხოვა ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ რა საფუძველზე შეადგინა უკანანო საჩივარი მთავარმართებლის წინააღმდეგ, ვისი დავალებით შეხვდა და ელაპარაკა დიდ მთავარს ბორჯომში. დიმიტრი ყიფიანი ახსნა-განმარტებაში წერდა: „ჩემი განცხადება, როგორც თავადაზნაურობის წინამძღოლისა, მიმართული იყო უშუალოდ საიმპერატორო კარის უავგუსტესის წევრისადმი და ამ განცხადებას მიზნად ჰქონდა გამორკვეულიყო: მეფის ნება-სურვილია თუ არა ის, რომ ადგილობრივი თანამდებობის ზოგიერთი პირი თუ დაწესებულება გვიცქერის ჩვენ არა ისე, როგორ ამას მიჩვეული ვიყავით 80 წლის მანძილზე ჩვენდამი მონარქის კეთილგანწყობით. მე ვეძებდი მხოლოდ უმაღლეს სამართალს. რაკი ვიპოვე იგი, სავსებით დავკმაყოფილდი“. ცხადია, კავკასიის მთავარმართებელი მიხვდა, რომ მონარქის „კეთილგანწყობას“ ამოფარებული დიმიტრი ყიფიანის დასჯა ამჯერად შეუძლებელი იყო. ამით ისარგებლა დიმიტრი ყიფიანმა და 1886 წელს ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვს ვრცელი მოხსენებითი ბარათი წარუდგინა. მოხსენებით ბარათში **მხილებული იყო კავკასიის ადმინისტრაციის**



დიმიტრი ყიფიანი

ანტიქართული პოლიტიკა. დიმიტრი ყიფიანი წერდა: „შემიძლია მოგახსენოთ ერთი შეურყეველი და ახალი ფაქტი, რომელიც იმას გვეუბნება, რომ არსებობს მიდრეკილება ქართული ენის დევნისა. მოციქულთა დროიდან ქართული ენა იყო საეკლესიო და საკულტო ენა სამეგრელოში და იქ ეს ენა ყველას ესმის. ამჟამად კი ახალ კულტურას ნერგავენ, მეგრულ ენას ასწავლიან სხვა ენის საშუალებით. ასე რომ გავ-ყვეთ,შეიძლება შეიქმნას ახალი კულტურები აჭარლებისა, ფშავ-ხევსურებისა, ინგილოებისა, მთიულებისა და სხვათათვის. სასარგებლო კი იქნება ყოველივე ეს იმ მთავრობისათვის, რომელმაც თავის მფარველობის ქვეშ მიიღო მრავალტანჯული საქართველო, რისთვისაც უსაზღვრო მადლობაც დაიმსახურა?“

პეტერბურგში გადაწყვეტილება უკვე გამოტანილი იყო. ცხადია, საიმპერატორო კარმა არ გაიცხა დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის საქციელი, მაგრამ **დიმიტრი ყიფიანი კი დამნაშავედ სცნო**. რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი კავკასიის მთავარმართებელს წერდა: „... მისმა უმაღლესობამ (მიხეილ რომანოვმა – ვ. გ.) სრულიად საფუძვლიანად განუცხადა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს, რომ მისი

იოსებ ღალიშვილი

უდიდებულესობა მთლიანად დარწმუნებულია ქართველების ტახტისადმი ერთგულებაში და ვინაიდან ეს საეჭვო არაა, მას, დიდ მთავარს, სრული უფლება ჰქონდა დაევალებინა ბატონ ყიფიანისადმი ეთქვა ამის შესახებ ყველასათვის. მაგრამ დიდი მთავრის ეს სიტყვები სრულიად არ აძლევს ბატონ ყიფიანს უფლებას ბორჯომში შემდგარი კერძო საუბრის წერილობით დოკუმენტად გარდაქმნისათვის, მისი გავრცელებისა და თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიაში ოფიციალურად გადაცემისათვის. ბატონ ყიფიანს ასეთი მოქმედება ხელმწიფე იმპერატორს მიაჩნია უადგილოდ და გავალებთ თქვენ გამოუცხადოთ მას სათანადო გაკიცხვა".

დიმიტრი ყიფიანი იმპერატორის გაკიცხვამაც ვერ შეაჩერა. მალე იგი კვლავ მწვავედ დაუპირისპირდა ანტიქართული პოლიტიკის გამტარებელთ. **ანტიქართული პოლიტიკის განხორციელებაში კავკასიის კოლონიურ ადმინისტრაციას დიდად უწყობდა ხელს საქართველოს ეგზარქოსი პავლე, ტფილისის მართლმადიდებელთა რუსული სემინარიის რექტორი დეკანოზი ჩუდეცკი და საერთოდ რუსული სამღვდელოება.** სასულიერო სემინარიაში დამკვიდრებულ უმეცრეს შინაგანანესს ზედ დაერთო ქართული ენის, ქართული კულტურის დევნა, რამაც მოსწავლეთა სამართლიანი პროტესტი გამოიწვია. სემინარიელმა **სილიბისტრო ჯიბლაძემ** სცემა სემინარიის რექტორს დეკანოზ ჩუდეცკის და მას სემინარიის აივნიდან გადაგდებასაც უპირებდა. მაშინ ჩუდეცკი გადარჩა, თუმცა 1886 წელს იგი უსამართლო მოპყრობისათვის მოკლა სემინარიიდან გარიცხულმა **იოსებ ლაღიაშვილმა**. ეს მკვლელობა **ახალი ანტიქართული ისტერიის** დაწყებისათვის იქნა გამოყენებული. საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ დეკანოზ ჩუდეცკის დაკრძალვის დღეს სიონის ტაძარში კავკასიის მთავარმართებლის, საერო და სასულიერო ხელისუფლების უმაღლეს პირთა თანდასწრებით წარმოთქმულ სიტყვაში **წყევლით მოიხსენია ის წრე და გარემო, სადაც ჩნდებოდნენ „ავაზაკ" იოსებ ლაღიაშვილისთანა ადამიანები.** ხელისუფლებამ ჭკუა იხმარა და **„კავკაზში"** გამოქვეყნებულ ეგზარქოსის სიტყვიდან ეს ადგილი ამოიღო. მიუხედავად ამისა, პავლეს მიერ წარმოთქმული წყევლის ამბავი სწრაფად გავრცელდა. ქართველმა საზოგადოებამ სავსებით სწორად მიიჩნა, რომ **იოსებ ლაღიაშვილის მშობელი წრე და გარემო ქართველი ერი და საქართველო იყო.** ქართველი ერის ღირსების დაცვა თავს ისევ **დიმიტრი ყიფიანმა** იდო. ეგზარქოს პავლესადმი გაგზავნილ საპროტესტო მიმართვაში დიმიტრი ყიფიანი წერდა: „თქვენო აღმატებულებავ! მოიღეთ მწყემსმთავრული მოწყალება და შემინდეთ ჩემი დიდი შეცდომა, თუ გატაცებული დაუჯერებელი ხმებით ვსცოდავ თქვენს წინაშე. მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიც თქვენ მოწოდებული ხართ სამწყსოდ და რომელიც ამის გამო მოელოდა თქვენგან მარტოოდენ სიყვარულსა და სათნოებას... თუ ყოველივე ეს, უფალო, მართალია, თქვენი ღირსების გადარჩენა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ შემჩვენებელი დაუყოვნებლივ განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდან". ეგზარქოსმა პავლემ თავი იმართლა და უარყო მის მიერ ქართველი ერისა და საქართველოს დაწყევლის ფაქტი. საერო და სასულიერო ხელისუფლებას ამის დასამტკიცებლად გაზეთ „კავკაზში" დაბეჭდილი ეგზარქოსის სიტყვა მოჰყავდა. **დიმიტრი ყიფიანი ოფიციალურად დაადანაშაულეს ცილისწამებაში.** მთავარმართებელი ა. დონდუკოვ-კორსაკოვი, ცხადია, ამ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა. 1886 წელს დიმიტრი ყიფიანი გადააყენეს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლის თანამდებობიდან და **სტავროპოლში** გადაასახლეს. 1887 წელს, უკვე ღრმად მოხუცი მამულიშვილი, სტავროპოლში მოკლეს. ოფიციალური ვერსიით იგი გაძარცვის მიზნით მოკლა ორმა რეციდივისტმა. გავრცელებული ხმების მიხედვით, **დიმიტრი ყიფიანის მკვლელობის ორგანიზებაში ბრალი ედებოდათ კავკასიის მთავარმართებელს ა. დონდუკოვ-კორსაკოვს და საქართველოს ეგზარქოს პავლეს.** პავლეს საქართველოში დატოვება ხელისუფლებამ მიზანშეუწონლად სცნო და 1887 წელს იგი საქართველოდან გადაიყვანეს. პავლეს გადაყვანას რომ სასჯელის სახე არ მიეღო იმპერატორმა ალექსანდრე III-მ იგი ბრილიანტის ჯვრით დააჯილდოვა.

ქართველმა საზოგადოებამ თავისი პროტესტი ამჯერად დიმიტრი ყიფიანის სტავროპოლიდან ტფილისში გადმოსვენებითა და

დიდი ეროვნული მოღვაწის **მთაწმინდაზე** დაკრძალვით გამოხატა.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაწყებულმა პოლიტიკურმა რეაქციამ ვერ შეანელა ეროვნული მოძრაობა. შეტევა ქართული ენის, ქართული კულტურის წინააღმდეგ გაგრძელდა XIX საუკუნის 90-იან წლებში და XX საუკუნის დამდეგს. ანტიქართულ პოლიტიკას ამჯერად ეროვნულ მოღვაწეთა ახალი თაობა დაუპირისპირდა.

ილია ჭავჭავაძე

§ 3. ეროვნული მოძრაობა XIX საუკუნის 90-იან წლებში. ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მემკვიდრეობის საკითხი

XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან ეროვნული მოძრაობა ახალ სტადიაში შევიდა. ამ პერიოდისათვის **ეროვნულმა მოძრაობამ დაშლა იწყო ცალკე მიმდინარეობებად.** ყოველი მიმდინარეობა თავს XIX საუკუნის 60-იან წლების დამდეგიდან დაწყებული ეროვნული მოძრაობის მემკვიდრედ თვლიდა, თუმცა ზოგიერთი მათგანი ახალ ეპოქაში თავისი მსოფლმხედველობის ნაწილობრივ გადასინჯვასაც არ ერიდებოდა.

ეროვნულ მოძრაობაში აღმოცენებული მიმდინარეობებიდან ყველაზე ძლიერი იყო **ილია ჭავჭავაძის ფრთა (გაზეთ „ივერიის" ბანაკი).** „ივერიის" ბანაკი და მათი იდეური წინამძღოლი ილია ჭავჭავაძე კვლავ **XIX საუკუნის 60-იან წლებში შემუშავებული ეროვნული პროგრამის ერთგული რჩებოდა.** ამ მიმდინარეობას წარმოუდგენლად მიაჩნდა იდეური კომპრომისი და ცდილობდა, მთელი ეროვნული მოძრაობა თავის გარშემო გაეერთიანებინა.

ეროვნული მოძრაობის მეორე განშტოებას წარმოადგენდა **ნიკო ნიკოლაძის მიმდინარეობა (ჟურნალ „მოამბის" ბანაკი).** ნიკო ნიკოლაძე კვლავ ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ საქართველოს მომავალი დასავლეთ ევროპაში არსებული ბურჟუაზიული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წყობილების დამყარებასა და **ქართული ეროვნული ბურჟუაზიის** გაძლიერებაზე იყო დამოკიდებული.

ეროვნული მოძრაობის მესამე მიმდინარეობას წარმოადგენდა **გიორგი წერეთელის ფრთა (გაზეთ „კვალის" ბანაკი).** დიდი ეროვნული მოღვაწე გიორგი წერეთელი თავიდანვე განიცდიდა სოციალისტური დოქტრინის გავლენას. XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგისათვის გიორგი წერეთელი საბოლოოდ **დადგა ნაციონალ-სოციალიზმის (ეროვნული-სოციალიზმის)** პოზიციაზე. მან ბრძოლა **გამოუცხადა კოსმოპოლიტურ სოციალიზმს** და აღიარა, რომ ქართველმა ერმა სოციალიზმის ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენოს **ეროვნული (სახელმწიფო)** ინტერესები, ანუ გიორგი წერეთელი ჯერ ეროვნული საკითხის გადაჭრას მოითხოვდა, ხოლო შემდეგ – სოციალურისას.

სამწუხაროდ, მოვლენები ისე განვითარდა, **რომ შეუძლებელი გახდა ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძისა** და **გიორგი წერეთლის** მიმდინარეობათა მორიგება. **ეროვნული მოძრაობის დაშლა მიმდინარეობებად თავისთავად უარყოფითი მოვლენა იყო. ვითარება კიდევ უფრო მძიმდებოდა იმით, რომ ეროვნული მოძრაობის დაშლის ფონზე საქართველოში ფეხს იკიდებდა სოციალისტური დოქტრინის მიმდინარეობანი: ნაროდნიკული სოციალიზმი და სოციალ-დემოკრატია.** სოციალისტური

ნიკო ნიკოლაძე

გიორგი წერეთელი

დოქტრინის მოძალების საფრთხემაც ვერ შეუწყო ხელი ეროვნული მოძრაობის გამთლიანებას. პირიქით, ნიკო ნიკოლაძე არ მალავდა თავის აშკარა სიმპათიას ნაროდნიკული სოციალიზმის მიმართ, ხოლო გიორგი წერეთელმა როგორც იდეური, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით ხელი შეუწყო პირველი ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის, „მესამე დასის", გამოსვლას სამოღვაწეო ასპარეზზე. მოვლენათა ასეთი განვითარება **საბოლოოდ ასამარებდა ეროვნული მოძრაობის გამთლიანების იდეას.** ეს კი ილია ჭავჭავაძისათვის წარმოუდგენელი იყო.

XIX საუკუნის 90-იან წლებში **გაზეთ „ივერიის" მიმართულებასთან, ე. ი. ილია ჭავჭავაძესთან** სხვადასხვა ფორმით დაპირისპირებულნი აღმოჩნდნენ: საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობებიდან – **ნაროდნიკები** და **სოციალ-დემოკრატები**; ჟურნალ-გაზეთებიდან – **„კვალი", „მოამბე", „ნოვოე ობოზრენიე", „კავკაზი", სომხური პრესა;** აგრეთვე ცნობილი და ნაკლებ ცნობილი მოღვაწეებიდან – **ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, მიხეილ მაჩაბელი, ილია ბახტაძე, გიორგი თუმანოვი** და სხვები. ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლას აგრძელებდა **კავკასიის კოლონიური ადმინისტრაცია** და **სომხური ბურჟუაზია.** ილია ჭავჭავაძე არც თუ ისე ცნობილ თანამოაზრეებთან ერთად ჩაბმული აღმოჩნდა სერიოზული ძალის მქონე მოწინააღმდეგეებთან. ამ იდეურ ბრძოლაში ილია ჭავჭავაძეს მოუხდა მრავალი პოლემიკური ხასიათის წერილის დაწერა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია **„ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე".** ეს წერილი 1896 წელს გამოქვეყნდა გაზეთ **„ივერიაში".** ილია ჭავჭავაძემ მისთვის ჩვეული სარკაზმით წარმოადგინა ქართულ სინამდვილეში ფეხმოკიდებული დამლუპველი სენი – **დასების (პოლიტიკური მიმდინარეობების) მომრავლება.** „მესამე დასის" შექმნას, ცხადია, ილია ჭავჭავაძე უარყოფით მოვლენად მიიჩნევდა. დასების მომრავლებისადმი თავის უარყოფით დამოკიდებულებას ილია ჭავჭავაძე ასე გადმოცემს: „იქნება გეგონოთ, ამით მინდოდეს თავი მოვანონო გ. წერეთელს, რომ „მესამე დასში" შესასვლელად შემეწევა და მე ჩემით მოგაწონეთ თავი, მეოთხე დასს შევადგენ და მეთაურად გავუხდი. ოთხი სამზე ერთით წინ არის და მეც მინდა, თუ ვიქნები, წინ ვიყო. ბ-ნ გ. წერეთლის დიდი ღვაწლი მით არის დაუვიწყარი, რომ ამისთანა ადვილი გზა გვიჩვენა წინაურობისა: საქმე თვლაშია, მეოთხეს მეხუთე მოჰყვება, მეხუთე – მეექვსე და წავა ესე, მინამ ადამიანს სათვალავი შემოაკლდება. ქართული პროგრესი ეს არის და ევროპის კი რა მოგახსენო". ამავე წერილიდან კარგად ჩანს, რომ **ილია ჭავჭავაძე ეროვნული მოძრაობისათვის ყველაზე დიდ საშიშროებას სოციალ-დემოკრატიიდან მოელოდა.** ცხადია, სოციალ-დემოკრატებმაც იგრძნეს, რომ ქართულ სინამდვილეში მათ დამკვიდრებას ყველაზე მედგარ წინააღმდეგობას სწორედ ილია ჭავჭავაძე და „ივერიის" ბანაკი გაუწევდა. სწორედ ამიტომ XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებიდან ერთმანეთს დაუპირისპირდნენ **ილია ჭავჭავაძე და ქართველი სოციალ-დემოკრატები.** ამიერიდან ილია ჭავჭავაძის იდეური მოწინააღმდეგეები შედარებით ნაკლებად აქტიურობენ. ნაკლებად აქტიურობდა სოციალ-დემოკრატების ბანაკში გადასული გიორგი წერეთელიც.

XIX საუკუნის 90-იანი წლების დასასრულისათვის ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ სხვადასხვა ძალების ბრძოლა **ილია ჭავჭავაძის ნაზრევისა და ნაღვანის უარყოფაში გადაიზარდა.** ამის ინიციატორები და სულისჩამდგმელები ქართველი სოციალ-დემოკრატები იყვნენ. ილია ჭავჭავაძის უარყოფის, ილიას ზის უარყოფის მანიშნებელ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ 1897 წელს ილია ჭავჭავაძის 60 წლის იუბილეს ჩაშლა. ქართულმა საზოგადოებამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია იუბილეს ჩაშლის მოსურნეთ! იუბილეს აღნიშნა შეუძლებელი გახდა 1898 წელსაც. უფრო მეტიც, დაიწყო იმ თითო-ოროლა პუბლიცისტისა თუ მწერლის დევნა, რომლებიც ილია ჭავჭავაძის იუბილეს საჯაროდ გამოეხმაურნენ. გაზეთები და

ნოე ჟორდანია

ჟურნალები თავს იკავებდნენ ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი მასალების პუბლიკაციისაგან. ყოველივე ამის უკან სოციალ-დემოკრატები იდგნენ. **ილია ჭავჭავაძის უარყოფას გულგრილად უყურებდა ქართველი საზოგადოებაც!**

ილია ჭავჭავაძის უარყოფის ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენდა **ნოე ჟორდანიას** წერილების სერია **„პრესა"**, რომელიც 1899 წელს გაზეთ „კვალში" გამოქვეყნდა და 1900 წელს წიგნადაც გამოიცა სათაურით **„ქართული პრესა (გუშინ და დღეს)"**. ნოე ჟორდანიამ ილია ჭავჭავაძე უარყო როგორც მოაზროვნე, თუმცა გარკვეული მოსაზრებით აქცენტი გაზეთ „ივერიაზე" გადაიტანა. **ნოე ჟორდანია** წერდა: „... დღეს ჩვენ მწერლობაში „ივერიის" წინამძღოლობით ყოველმხრივი რეაქციაა, რეაქცია აზრის, მოქალაქეობა სულ არა – აი თვისება „გაივერიელებული" პრესის". ასეთი საშინელი ცილისწამებისაგან ილია ჭავჭავაძის დაცვა ვერავინ გაბედა.

ილია ჭავჭავაძე გრძნობდა, რა ძალასთანაც ჰქონდა საქმე. სწორედ ამიტომ 1900 წელს გაზეთ „ივერიაში" მისი პასუხი ნოე ჟორდანიასადმი **„ახალმოსულის"** ფსევდონიმით გამოქვეყნდა. ილია ჭავჭავაძეს სწამდა, რომ ნოე ჟორდანიას ცდა, „წუთისოფლის ბორბალს ღერძი გამოუცვალოს და თავისი ბრძანებისა და

ფილიპე მახარაძე

ნებისამებრ ატრიალოს ცა და ქვეყანა", მარცხით დამთავრდებოდა.

ილია ჭავჭავაძემ 1900 წელს ქართველი სოციალ-დემოკრატების (მესამე დასელების) წინააღმდეგ კიდევ ერთი პასკვილი დაწერა. პასკვილი **„სიმვოლო სარწმუნოებისა"** წარმოადგენს კონკრეტულად გიორგი წერეთლის, ნოე ჟორდანიას, სილიბისტრო ჯიბლაძის, ფილიპე მახარაძის და ზოგადად სოციალისტური იდეოლოგიის მომაკვდინებელ კრიტიკას. **კრიტიკა შინაარსითა და ფორმით იმდენად მწვავე, გამანადგურებელი იყო, რომ ილია ჭავჭავაძემ პასკვილის გამოქვეყნებისაგან თავი შეიკავა.** „სიმვოლო სარწმუნოებისა" გიორგი წერეთელს, სილიბისტრო ჯიბლაძეს, ნოე ჟორდანიას, ფილიპე მახარაძეს და საერთოდ, მთლიანად „მესამე დასს" ხატავს მარქსიზმის ბრმა მიმდევრებად, სამშობლოს მოღალატეებად, რომელთა ოცნებას საქართველოს განადგურება წარმოადგენდა.

XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დამდეგისათვის ილია ჭავჭავაძისა და გაზეთ „ივერიის" გავლენა ქართველ საზოგადოებაზე მნიშვნელოვნად კლებულობს. სოციალ-დემოკრატთა მიერ ილია ჭავჭავაძის უარყოფას მთელი ქართველი საზოგადოება მშვიდად უყურებდა, მის დაცვას, გამოსარჩლებას ვერავინ ბედავდა...

არადა, ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან მთელი ეპოქა შექმნეს საქართველოს ისტორიაში. მათ ქართველობისა და საქართველოს გადარჩენისათვის უთანასწორო ბრძოლაში დიდი გამარჯვება მოიპოვეს. ამასთან ერთად **XIX საუკუნის 90-იანი წლებისათვის აშკარა გახდა, რომ დადგა ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მემკვიდრის, ახალ ვითარებაში ილია ჭავჭავაძის მიერ დაწყებული დიდი ეროვნული საქმის გაგრძელებლის საკითხი.** ცხადია, ეს მისია უნდა ეკისრათ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ **ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მემკვიდრის ტვირთის ზიდვა ვერვინ შეძლო.** პირიქით, ახალგაზრდა მოღვაწეები, რომელთაც არც ნიჭი აკლდათ და განათლებაც შესაფერისი ჰქონდათ, საზოგადოებაში **ილია ჭავჭავაძის მიმართ დამკვიდრებული ნიჰილისტური დამოკიდებულების გავლენაში მოექცნენ.** ახალგაზრდა თაობის ისეთი ცნობილი წარმო-



არჩილ ჯორჯაძე

მადგენელი როგორიც **არჩილ ჯორჯაძე** იყო, ილია ჭავჭავაძის ნააზრევში უპირატესად მისთვის მისაღებსა და სამომავლოდ განსახორციელებელს კი არ ეძიებდა, არამედ მიუღებელსა და უარსაყოფს. ახალგაზრდა თაობის ასეთი დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძეს შეუმჩნეველი არ დარჩენია. კონკრეტულად არჩილ ჯორჯაძის შესახებ **ილია ჭავჭავაძე** წერდა: „ხომ იცი, ვინ ბრძანდება ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე? ეს ის ახალი კაცია, რომელიც მარტო იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ ახლებსაც აამოს და არც ძველები მოიმდუროს. ამიტომაც ამისთანებში ასე ბრძნულად იტყვის ხოლმე: ძველები, მართალია, მიხვდნენ, მაგრამ საქმე ახლებსავით კარგად ვერ გამოშიგნეს, გულღვიძლი კარგად ვერ გაუჩხრიკესო; მიხვედრა ძველებისა, გამოჩხრეკა-კი ახლებისაო“. ეს სიტყვები მარტო არჩილ ჯორჯაძეს არ ეხებოდა, იგი მთელი მოაზროვნე ახლგაზრდობის მიმართ იყო თქმული.

ილია ჭავჭავაძის უარყოფისა და მისი პოლიტიკური მემკვიდრის არარსებობის ფონზე ძალზე საინტერესო მოვლენას წარმოადგენს არალეგალური ორგანიზაცია **„საქართველოს თავისუფლების ლიგა“**. ეს ორგანიზაცია შეიქმნა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქების უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტების ძალებით. კერძოდ, ორგანიზაციაში გაერთიანდნენ **პეტერბურგის, მოსკოვის, ოდესის, კიევის, ხარკოვის, ვარშავის უნივერსიტეტის** სტუდენტები: **გიორგი დეკანოზიშვილი, ვარლამ ჭიჭინაძე, ილია ჯიშკარიანი, ნიკოლოზ ჯაყელი, დავით მდივანი, ანდრია დეკანოზიშვილი, იაკობ ფანცხავა, მიხეილ ხელთუფლიშვილი, გიორგი გვაზავა, ნოე ჟორდანია, შიო დედაბრიშვილი, ფილიპე მახარაძე** და სხვები. 1892 წელს ქუთაისში გაიმართა „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ დამფუძნებელი ყრილობა. 1893 წელს კი შემუშავდა „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ პროგრამა, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა **არჩილ ჯორჯაძემ**. პროგრამა იმავე წელს დაამტკიცა ტფილისში გამართულმა ორგანიზაციის მეორე ყრილობამ.

„საქართველოს თავისუფლების ლიგის“ პროგრამაში ასახვა პოვა როგორც **ეროვნულმა**, ისე **სოციალურმა** საკითხმა. **ორგანიზაცია თავის საბოლოო ამოცანად თვლიდა ქართველი ერის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას.** საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება ორგანიზაციის წევრებს შეუძლებლად მიაჩნდათ, თუ არ დაემხობოდა რუსეთის იმპერია და ამავე დროს არ შეიქმნებოდა ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება. „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ აუცილებლად თვლიდა კავშირის დამყარებას რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ერებთან (პოლონელებთან, ფინელებთან და ა. შ.).

„საქართველოს თავისუფლების ლიგა“ ასევე თავის ამოცანად ისახავდა ქართველი ერის მომზადებას დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, რადგან ორგანიზაციის წევრები ღრმად იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ „ცუდად გამოყენებული თავისუფლება თავისუფლების უქონლობაზე უარესია“.

ზოგადად თუ ვიტყვით, „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ პროგრამა ეროვნულ-დემოკრატიული ხასიათისა იყო. იგი წარმოადგენდა ილია ჭავჭავაძის მიერ XIX საუკუნის 60-იან წლებში შემუშავებული ეროვნული მოძრაობის პროგრამის შემდგომ განვითარებას იმ რეალობის გათვალისწინებით, რომელიც XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგისათვის იყო შექმნილი.

შეძლებდა თუ არა „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ საბოლოოდ ჩამოყალიბებულიყო როგორც ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მემკვიდრე, მისი საქმის გამგრძელებელი, ძნელი სათქმელია, რადგან 1893 წელს ჟანდარმერიამ ორგანიზაციის კვალს მიაგნო და მან არსებობა შეწყვიტა.

ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მემკვიდრის საკითხი არ იყო უბრალოდ გადასაწყვეტი. ეს ამავე დროს იყო ეროვნული მოძრაობისა და მთლიანად საქართველოს მომავლის საკითხი. სამწუხაროდ, XIX საუკუნე ისე მიიწურა, რომ ილია ჭავჭავაძის რეალური მემკვიდრე საქართველოში არ ჩანდა.

თავი XII.

სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დასაწყისი საქართველოში (XIX ს-ის 90-იანი წლები)

§ 1. მუშათა მოძრაობის დასაწყისი

1. მუშათა მოძრაობის წარმოქმნა. კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოს სრულიად ახალი სოციალური ძალა – **მუშათა კლასი** შემატა. მუშათა ხვედრითი წილი ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მცირე იყო. საგლეხო რეფორმის შემდეგ მუშათა კლასის რიგებს ძირითადად ავსებდნენ სოფლიდან ქალაქად წამოსული უმიწოდ ან მცირე მიწის ამარა დარჩენილი გლეხები. მუშათა ძირითადმა რაოდენობამ **ტფილისში** მოიყარა თავი. მათ უაღრესად მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა. მძიმე იყო მუშათა მდგომარეობა **ბათუმშიც**.

მძიმე სამუშაო პირობებისა და სამუშაო დღის არაჩვეულებრივი ხანგრძლივობის (12-13 საათი) მიუხედავად, ხელფასი ძალზე დაბალი იყო. სხვადასხვა სპეციალობისა და კატეგორიის მუშები სხვადასხვა რაოდენობის ხელფასს იღებდნენ. თვიური ხელფასი მერყეობდა 8-10 მანეთიდან 30 მანეთამდე. ხშირ შემთხვევაში მუშები ამ ხელფასსაც ვერ იღებდნენ სრულად, რადგან გავრცელებული იყო ათასგვარი ჯარიმები და დაქვითვები. არ არსებობდა



ტფილისი. ბოტანიკური ბაღის ქუჩა.

ტფილისი. ტრამვაი აგლაბრის ალმართზე.

შრომის კანონმდებლობა, რაც უსამართლოდ დასჯილ მუშებს დაიცავდა თავნებობისაგან. განსაკუთრებით მცირე ხელფასს უხდიდნენ ქალებს და არასრულწლოვანთ, ბავშვებს, რომელთა შრომაც ფართოდ იყო გავრცელებული ფაბრიკა-ქარხნებში.

ტექნიკური ჩამორჩენილობისა და მოუწყობლობის გამო ფაბრიკა-ქარხნებში, ტრანსპორტზე თუ სამთამადნო წარმოებაში ხშირი იყო უბედური შემთხვევები. თითქმის არ არსებობდა **დაზღვევა**. დაზარალებულ მუშას მხოლოდ სასამართლოს წესით შეეძლო მოეთხოვა ფული საკომპენსაციოდ. უაღრესად მძიმე იყო მუშათა საბინაო პირობებიც.

საქართველოს მუშათა კლასის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა განაპირობებდა იმ საპროტესტო მოძრაობას, რომლის მასშტაბებიც სულ უფრო იზრდებოდა.

თავდაპირველად მუშათა მოძრაობას **წმინდა ეკონომიკური ხასიათი** ჰქონდა. ბრძოლის ძირითადი სახე გაფიცვა იყო. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში ტფილისის მუშებმა შვიდი გაფიცვა მოაწყვეს. ზოგ შემთხვევაში გაფიცული მუშები მოთხოვნების დაკმაყოფილებასაც აღწევდნენ. 1878 წლის თებერვალში წარმატებას მიაღწიეს ტფილისის



ბოზარჯიანცის ფაბრიკა

ზეიცერის ფაბრიკის გაფიცულმა მუშებმა. XIX საუკუნის 80-იან წლებში განსაკუთრებით ფართო მასშტაბისა იყო **ამიერკავკასიის რკინიგზის ტფილისის მთავარი სახელოსნოების** მუშათა გაფიცვა. იგი რამდენსამე კვირას გრძელდებოდა. გაფიცულებმა ცხრა მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნები წამოაყენეს. საქმეში ჩაერთო პოლიცია, გუბერნატორი, მაგრამ გაფიცულებიც შეუპოვრად დადგნენ თავიანთ პოზიციაზე. თუმცა, საბოლოოდ გაფიცვა მაინც მარცხით დამთავრდა.

XIX საუკუნის 90-იან წლებში მუშათა მოძრაობამ საქართველოში უფრო ორგანიზებული ხასიათი მიიღო. მოძრაობასთან დაკავშირებას ცდილობდნენ საქართველოში წარმოქმნილი **სოციალურ-დემოკრატიული** ორგანიზაციები, თუმცა ამას ნაკლებად ახერხებდნენ. 1894-1896 წლებში მონყობილი **ტფილისის რკინიგზის (კონკის)** (1894 წ.), **ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის** (1894 წ.), **რკინიგზის მთავარი სახელოსნოების** (1896 წ.), **ენფინჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის** (1897 წ.); **საფაროვის, ბოზარჯიანცის** და **„მირის" თამბაქოს ფაბრიკების** (1897 წ.)მუშების გაფიცვებს **ნმინდა ეკონომიკური** ხასიათი ჰქონდა. მუშებთან ურთიერთობა ჰქონდათ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს, მაგრამ მუშათა მოძრაობაში ხელმძღვანელ როლს ისინი არ ასრულებდნენ.

სტიქიური ხასიათი ჰქონდა 1898 წლის დეკემბერში მომხდარ **ამიერკავკასიის რკინიგზის ტფილისის მთავარი სახელოსნოების** მუშათა დიდ გაფიცვას. მუშების აღშფოთება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ, რომლითაც უქმდებოდა გარკვეული შეღავათები. 1898 წლის 14 დეკემბერს ასეულობით მუშამ მიატოვა სამუშაო და რკინიგზაზე მოძრაობა შეაჩერა. **დეპოსა** და **მთავარ სახელოსნოებს** ჯარის ნაწილებმა ალყა შემოარტყეს. მათ დაიკავეს რკინიგზის სადგურის მისასვლელებიც. მოხდა შეტაკება მუშებსა და ჯარისკაცებს შორის. ხელისუფლება დათმობაზე წავიდა და საქმის ვითარების გამოკვლევამდე ძველი წესების ძალაში დატოვებას შეპირდა მუშებს, რის შემდეგაც გაფიცვა შეწყდა. ამიერკავკასიის რკინიგზის ტფილისის მთავარი სახელოსნოების დეკემბრის გაფიცვა გამოირჩეოდა როგორც ორგანიზებულობით, ისე მასშტაბებით და ნარმატებული შედეგით.

1899 წლის 19 აპრილს ტფილისთან ახლოს 70-მდე მუშა შეიკრიბა და პირველად აღნიშნა საქართველოში **მაისობა** – მუშათა საერთაშორისო დღე. სოციალ-დემოკრატებმა გამოსცეს მაისობისადმი მიძღვნილი პროკლამაცია. პროკლამაცია მოუწოდებდა ქართველ მუშებს ჩაბმულიყვნენ მთელი ქვეყნის „პროლეტარიატთან" ერთად ბრძოლის ფერხულში.

XIX საუკუნის უკანასკნელ ნლებში გახშირებული საქართველოს მუშათა კლასის საპროტესტო გამოსვლები მოწმობდა, რომ მუშათა მოძრაობა სულ უახლოეს მომავალში გახდებოდა სოციალური მოძრაობის მნიშვნელოვანი ფაქტორი.

§ 2. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩამოყალიბება

საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან ჩაისახა. სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელებაში დიდი როლი შეასრულა რუსეთსა და ევროპაში მოსწავლე ქართველმა ახალგაზრდობამ. 1892 წლის 25 დეკემბერს **ზესტაფონში (ყვირილაში)** შედგა ქართველი სოციალისტი ახალგაზრდების პირველი კონფერენცია (ყრილობა), რომელსაც ესწრებოდნენ: **ეგნატე ნინოშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე ჟორდანია, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ისიდორე რამიშვილი, მიხა ცხაკაია, იოსებ კაკაბაძე, დიმიტრი კალანდარიშვილი,**



ეგნატე ნინოშვილი

რაჟდენ კალაძე, არსენ ნითლიძე, ევგენი ვანაძე. ამ შეკრებაზე დაარსდა პირველი ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია **„მესამე დასი“**. ეს სახელი ქართველი სოციალ-დემოკრატების ორგანიზაციას გიორგი წერეთელმა უწოდა მოგვიანებით – 1894 წელს.

ზესტაფონის კონფერენციაზე ორი მიმართულება დაუპირისპირდა ერთმანეთს. დელეგატების ნაწილი **რუსული ხალხოსნური სოციალიზმის**, ხოლო ნაწილი **დასავლეთ ევროპული სოციალ-დემოკრატიის** პლატფორმაზე იდგა. კონფერენციაზე ხალხოსნური სოციალიზმის გავლენის ქვეშ მყოფმა სოციალ-დემოკრატიის ორიენტაციამ გაიმარჯვა.

დასავლური სოციალ-დემოკრატიის ორიენტაციის მომხრე **ნოე ჟორდანია** და მისი თანამოაზრეები დამარცხებას არ შეურიგდნენ. მათი ინიციატივით 1893 წლის თებერვალ-მარტის მიჯნაზე ტფილისში **„მესამე დასის“** მეორე კონფერენცია გაიმართა. კონფერენციას ესწრებოდნენ: **ეგნატე ნინოშვილი, ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნიკოლოზ ჩხეიძე, მიხა ცხაკაია, იოსებ კაკაბაძე, ისიდორე კვიცარიძე, სტეფანე დანდუროვი, ვლადიმერ დარჩიაშვილი.** ნოე ჟორდანიამ კონფერენციას თავისი დაწერილი პროგრამის პროექტი წარუდგინა სათაურით: **„რა ვაკეთოთ“**. კონფერენციამ ნოე ჟორდანიას პროექტი მიიღო. 1894 წელს იგივე საპროგრამო მოხსენება რამდენადმე შეკვეცილი სახით და შეცვლილი სათაურით – **„ეკონომიური ნარმატება და ეროვნობა“** – ჟურნალმა „მოამბემ“ გამოაქვეყნა.

ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე

ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებული **ქართული სოციალ-დემოკრატიის პროგრამა** შეიძლება შემდეგი პუნქტების სახით წარმოვიდგინოთ: 1. ეკონომიკური კეთილდღეობა ადამიანთა ბედნიერების უმთავრესი პირობაა, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მიზანია: ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა. 2. ბურჟუაზიული წყობილების დამყარება ფეოდალიზმთან შედარებით დიდი პროგრესული მოვლენა იყო. 3. მიუხედავად პროგრესულობისა,

ისიდორე რამიშვილი

ბურჟუაზიულ წყობილებას ახასიათებს წინააღმდეგობანი სხვადასხვა კლასებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის. 4. სოციალ-დემოკრატიის მიზანია ერის უმრავლესობის (საშუალო ფენის – მესამე წოდების) ინტერესების დაცვა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. 5. ეროვნული თავისუფლება სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის ერთ-ერთი პირობაა და მისი მიღწევა სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი უახლოესი მიზანია. 6. პიროვნების თავისუფლება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობისა. 7. სოციალ-დემოკრატიის ბრძოლა ეკონომიკური კეთილდღეობისათვის, ერისა და პიროვნების თავისუფლებისათვის არ გულისხმობდა ბურჟუაზიული წყობილების მოსპობას რევოლუციის გზით.

ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებული პროგრამის მილება ტფილისის კონფერენციის მიერ ნიშნავდა **დასავლეთ ევროპული სოციალ-დემოკრატიის ორიენტაციის გამარჯვებას**

ნოე ჟორდანია

ქართულ სოციალ-დემოკრატიაში. ტფილისის კონფერენციამ პრაქტიკულ-ორგანიზაციულ საკითხებზეც იმსჯელა, გადაწყდა „პრაქტიკული მუშაობის დაწყება: წერით, სიტყვით და ორგანიზაციების დაარსებით პირველყოვლისა ტფილისში".

1894 წლის მაისში გარდაიცვალა ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი **ეგნატე ნინოშვილი.** მის დაკრძალვაზე, 1894 წლის 8 მაისს, სოფ. **ჩანჩეთში** (ოზურგეთის მაზრა) მოხდა ქართველი სოციალ-დემოკრატების პირველი საჯარო გამოსვლა. ამ დღეს სიტყვებით გამოვიდნენ და ახალი მოძრაობის დასაწყისი ამცნეს საზოგადოებას **სილიბისტრო ჯიბლაძემ, ვლადიმერ დარჩიაშვილმა, იოსებ კაკაბაძემ** და **პეტრე გელეიშვილმა.**

ზესტაფონისა და ტფილისის კონფერენციებზე მოხდა ქართული სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციული და იდეური ჩამოყალიბება – შეიქმნა **პირველი საერთო-ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მესამე დასი".**

1893-1897 წლებში მიმდინარეობდა სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის შემდგომი დამუშავება და დამკვიდრება საქართველოში. სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის დამუშავებაში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის **ნოე ჟორდანიას.** ეგნატე ნინოშვილის ნაადრევი გარდაცვალების შემდეგ სწორედ ნოე ჟორდანია გახდა ქართველი სოციალ-დემოკრატიის თავკაცი და მთავარი იდეოლოგი საქართველოში. ნოე ჟორდანიას იდეური წინამძღოლობა ეჭვქვეშ ვერ დააყენა იმ გარემოებამ, რომ 1893-1897 წლებში იგი საზღვარგარეთ იმყოფებოდა სასწავლებლად. ევროპიდან გამოგზავნილ ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ მის წერილებს ადგილობრივი სოციალ-დემოკრატები იღებდნენ, როგორც უდავო ჭეშმარიტებას.

საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების იდეალად ნოე ჟორდანიამ ევროპული მოდელი მიიჩნია. ამ მხრივ, იგი XIX-XX საუკუნეების მიჯნის ქართველ „ევროპეისტთა" წარმომადგენელი იყო. „ჩვენი ქვეყანა უკვე ჩადგა მოქალაქეობრივ ხანაში. ეს იხატება პატრიარქალურ წყობილების რღვევაში და კაპიტალისტურის დამკვიდრებაში. ქართველი ხალხის ცხოვრება ევროპიელდება" – წერდა ნოე ჟორდანია. ნოე ჟორდანია სტრატეგიულ ორიენტაციას ასე განსაზღვრავდა: **„გაევროპიელება სწარმოებს ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე, სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა, ქართველობა და ევროპიელობა – აი, რა წერია ახალ დროშაზე."**

რუსეთის იმპერიაში შემავალი ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერების მიერ დასავლურ-ევროპული ორიენტაციის აღიარება, რაც თავისთავად ნიშნავდა რუსული ორიენტაციის უარყოფას, უაღრესად დიდი მნიშვნელობის პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

რუსეთის სოციალ-დემოკრატია ვერ შეურიგდებოდა იმ ფაქტს, რომ ქართულმა სოციალ-დემოკრატიულმა მოძრაობამ დასავლეთ ევროპული ორიენტაცია აიღო. ამიტომ რუსული სოციალ-დემოკრატიული ცენტრები XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდანვე იწყებენ „მესამე დასის" წინააღმდეგ ბრძოლასა და საქართველოს მუშათა მოძრაობაში გავლენის მოპოვებისათვის ზრუნვას.

რუსული სოციალ-დემოკრატია თავიდანვე კოსმოპოლიტურ-ინტერნაციონალისტურ პოზიციებზე იდგა. იგი გამორიცხავდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ქვეყნებში **დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნას.** რუსეთიდან ჩამოსული სოციალ-დემოკრატები საქართველოს რუსეთის შემადგენელ ნაწილად თვლიდნენ. აქედან გამომდინარე, რუსეთის სოციალ-დემოკრატია საქართველოში უნდა დაპირისპირებოდა ეროვნულ მოძრაობას და ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობასაც. მისი მიზანი იყო

საქართველოს მუშათა და გლეხთა სოციალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გაემარჯვა **კოსმოპოლიტურ-ინტერნაციონალისტურ** მიმართულებას, რაც რუსული სოციალ-დემოკრატიის **ცენტრალისტურ-ველიკოდერჟავული** მიმართულების გამარჯვება იქნებოდა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრა. XIX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში ჩამოსახლებულ-ჩამოსული რუსი და არარუსი სოციალ-დემოკრატები: **გიორგი ფრანჩესკი, იპოლიტე ფრანჩესკი, ოსიპ კოგანი, ივანე ლუზინი, ნიკოლოზ კოზერენკო, ვიქტორ კურნატოვსკი, ნიკოლოზ პოლეტაევი** და მრავალი სხვა, ენერგიულად ეწეოდნენ კოსმოპოლიტურ-ინტერნაციონალისტური იდეოლოგიის პროპაგანდას და ამ მიზნით ქმნიდნენ ჯგუფებსა და წრეებს. მათი პროპაგანდის წყალობით მოძრაობაში ჩაება ქართველი სოციალ-დემოკრატების მთელი თაობა: **ვასილ ცაბაძე, ზაქარია ჩოდრიშვილი, მიხეილ ჩოდრიშვილი, მიხეილ ბოჭორიძე, ივანე სტურუა, გიორგი თელია, არაქელა ოქუაშვილი, დავით ხართიშვილი** და სხვ. რომლებიც შემდეგში, სამწუხაროდ, რუსული სოციალ-დემოკრატიის მიმდევრები გახდნენ საქართველოში.

1897 წლის ბოლომდე მესამედასელები სოციალ-დემოკრატიული იდეების ენერგიულ პროპაგანდას ეწეოდნენ გაზ. „კვალის" ფურცლებზე, მაგრამ ნაკლებ მონაწილეობას იღებდნენ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებისა და წრეების საქმიანობაში. ამ პერიოდიდანვე საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, ფაქტობრივად, უკვე არსებობდა ორი მიმდინარეობა: დასავლური ორიენტაციის მატარებელი „მესამედასელები" და რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეური გავლენის ქვეშ მყოფი ჯგუფები და წრეები.

„მესამე დასის" მეორე კონფერენციამ, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1893 წელს მიიღო გადაწყვეტილება, რომ იდეოლოგიურ მუშაობასთან ერთად პრაქტიკულად ჩაბმულიყო მუშათა მოძრაობაში და შექმნა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. ვერც 1893 წელს და ვერც მომდევნო წლებში „მესამე დასმა" ეს ამოცანა ვერ გადაწყვიტა. მუშათა მოძრაობისთვის უფრო ახლომყოფი აღმოჩნდა რუსეთიდან ჩამოსული რუსი ეროვნების სოციალ-დემოკრატების მიერ შექმნილი ორგანიზაციები.

ცხადია, 1893-1899 წლებში სოციალ-დემოკრატები აქტიურად მონაწილეობდნენ ტფილისის ფაბრიკა-ქარხნებში არსებული სოციალ-დემოკრატიული წრეების მუშაობაში, მაგრამ სოციალ-დემოკრატები ჯერ კიდევ არ იყვნენ ამ პერიოდში მიმდინარე გაფიცვების მთავარი ორგანიზატორები. ეს გაფიცვები წმინდა მუშურ ხასიათს ატარებდნენ.

სოციალ-დემოკრატები სულ უფრო ენერგიულად ცდილობდნენ მუშათა მოძრაობასთან დაკავშირებას და მის წარმართვას. 1899 წელს სწორედ სოციალ-დემოკრატთა მიერ იყო ორგანიზებული საქართველოში გამართული პირველი მაისობა. **XX საუკუნის დამდეგიდან საქართველოში მუშათა მოძრაობას სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ჩაუდგნენ სათავეში.**

თავი XIII.

ეროვნულ-პოლიტიკური მიმდინარეობები საქართველოში (XIX ს-ის 90-იანი წლებში.)

§ 1. „საქართველოს თავისუფლების ლიგა“

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტი-ახალგაზრდობა.

ქართველ სტუდენტობაში ფართოდ იყო გავრცელებული თერგდალეულთა ეროვნული იდეოლოგია. სამშობლოს ბედზე დაფიქრებული სტუდენტობა ქვეყნის ხსნის გზებს ეძებდა. ეროვნული და სოციალური პრობლემების შესახებ ფართო დისკუსია მიმდინარეობდა რუსეთის იმპერიის საუნივერსიტეტო ქალაქებში შექმნილ **ქართველ სტუდენტთა სათვისტომოებში.**

1889-1890 წლებიდან **პეტერბურგის, მოსკოვისა** და **ვარშავის** ქართველ სტუდენტთა სათვისტომოები მიწერ-მოწერას ანარმოებდნენ ერთმანეთთან. მათი მიზანი იყო მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინათ ერთმანეთთან, რათა ფარული ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაცია შეექმნათ, რომელიც იბრძოლებდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. მალე ახალგაზრდა პატრიოტთა წრე გაფართოვდა. მათ გადაწყვიტეს შეემუშავებინათ **საპროგრამო დოკუმენტები** და გაემართათ **გამაერთიანებელი ყრილობა.**

1892 წლის 26-29 ივლისს **ქუთაისში** შედგა ქართველ სტუდენტთა სათვისტომოების წარმომადგენელთა პირველი ყრილობა, რომელსაც 20 დელეგატი ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ: **გიორგი გვაზავა, ივანე ელიაშვილი, ვახტანგ ღამბაშიძე, ნიკოლოზ ჯაყელი, იაკობ ფანცხავა, ვარლამ ჭიჭინაძე** და სხვ. ყრილობას თავმჯდომარეობდა **მიხეილ ხელთუფლიშვილი.**

ყრილობამ რვა საკითხი განიხილა და სათანდო გადაწყვეტილებები მიიღო, რომლებიც საფუძვლად დაედო ქართველ სტუდენტთა ფარული პოლიტიკური ორგანიზაციის **პროგრამასა** და **წესდებას.** ორგანიზაციას ეწოდა **„საქართველოს თავისუფლების ლიგა“.**

მეხუთე საკითხად „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ პირველმა ყრილობამ განიხილა პრობლემა: **როგორ ესმოდათ ქართველ სტუდენტებს ეროვნული საკითხი.** ყრილობამ სცადა გამოემუშავებინა ერის განმარტება: **„ერი არის სულიერი ერთობა ადამიანთა ჯგუფებისა, რომელთა საერთო ხვედრია მიზნის ერთობლიობა, რომლებიც შეკავშირებული არიან საერთო ენით, ურთიერთსიყვარულით, ჩვევებით, თვისებებით და წარსულით“.**

მეექვსე საკითხი ეხებოდა **ქართველებისა** და **სომხების** ერთობლივი ბრძოლის შესაძლებლობას საერთო მტრის წინააღმდეგ. ყრილობის უმრავლესობამ ეჭვი გამოთქვა ასეთი შესაძლებლობის შესახებ. ყრილობის დელეგატების აზრით, სომეხთა მთავარი საზრუნავი რუსეთის მხარდაჭერით ოსმალეთის ბატონობაში მოქცეული სომხური ტერიტორიების განთავისუფლება იყო. ქართველთა მიზანს კი რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა.

მეშვიდე საკითხის სახით ყრილობას უნდა გაერკვია: **„როგორი პოზიცია უნდა დაეკავებინა ქართველ სტუდენტობას რუსეთის შინაური საქმეებისადმი“.** საქმე ეხებოდა რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში ქართველების მონაწილეობის მიზანშეწონი-

გიორგი გვაზავა

ლობას. კენჭი უყარეს წინადადებას: **„რომელი უფრო სასარგებლო იქნება, რუსეთის ორგანიზაციებში მონაწილეობა თუ პირიქით, სამშობლოში დამოუკიდებლად მუშაობა“.** უმრავლესობამ რუსეთის ორგანიზაციებში მონაწილეობის საჭიროება უარყო.

– რა მდგომარეობაშია ჩვენი ქვეყანა და რა დახმარებას თხოულობდა იგი ახალგაზრდობისაგან? – ეს კითხვა მერვე საკითხად განიხილა ყრილობამ. ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდობამ **„გულთან მიიტანა“** ერის საჭირბოროტო პრობლემები, რაც იძლეოდა ქვეყნისათვის სასარგებლო მოღვაწეობის იმედს. ყრილობა ხაზს უსვამდა **ეროვნული პრობლემის პრიორიტეტს.**

ლიგამ დასვა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი და მისი განხორციელებისათვის ბრძოლა უმთავრეს მიზნად გამოაცხადა. პროგრამის შესავალ ნაწილში დახასიათებული იყო ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიც საქართველო რუსეთის ბატონობის შედეგად აღმოჩნდა. გამოთქმული იყო იმედი, რომ უცხოელ დამპყრობთაგან არაერთხელ თავდახსნილი ქართველი ერი, ახლაც შეძლებდა **„განვითარების დამოუკიდებელ გზაზე დადგომას“.** ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ მზად იყო, განემარტა ქართველი ერისათვის, მისი ჩამორჩენილობის მიზეზი, რათა ერს მოენდომებინა **„დამოკიდებული მდგომარეობისაგან თავის განთავისუფლება“.**

ლიგამ საქართველოს განთავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი მჭიდროდ დაუკავშირა **კავკასიის ხალხების ერთიანი ბრძოლის** შესაძლებლობას. ლიგა სასურველად მიიჩნევდა კავკასიის ფედერაციულ გაერთიანებას, ოღონდ ეს უნდა ყოფილიყო არა ერთიანი სახელმწიფო, არამედ უკვე დამოუკიდებელი ქვეყნების **ფედერაციული კავშირი.** ლიგა სურვილს გამოთქვამდა **კავკასიის ხალხებს მოეპოვებინათ მათი ჩვეულებების შესაბამისი და ბედნიერების მომტანი წყობილება.**

რა საშუალებებით და გზებით უნდა ებრძოლა ლიგას დამოუკიდებლობისათვის?

„საქართველოს თავისუფლების ლიგამ“ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის რამდენიმე სტრატეგიული მიმართულება ნამოაყენა:

პირველი. რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მხარდაჭერა. თუ რუსეთში მონარქია დაემხობოდა, **„პოლიტიკური თავისუფლებანი“** ხელს შეუწყობდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას;

მეორე. ევროპის ქვეყნების მხარდაჭერის მოპოვება, რაც უნდა განხორციელებულიყო **დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ წრეებთან** ურთიერთობის დამყარების გზით. ლიგა დარწმუნებული იყო, რომ ევროპა კავკასიით დიდად იყი დაინტერესებული. ინტერესს განაპირობებდა კავკასიის ხელსაყრელი მდებარეობა, იგი რამდენიმე დიდ სახელმწიფოს შორის გამავალ **„სავაჭრო გზებზე“** იმყოფებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ლიგამ არაორაზროვნად აირჩია დასავლური ორიენტაცია.

მესამე. იმპერიის მიერ დაპყრობილ ხალხებთან დაკავშირება და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ **„ორგანიზებული და ერთდროული მოქმედება“.** ამ შემთხვევაში პროგრამა რუსეთის იმპერიის მიერ დამორჩილებულ ყველა ხალხს გულისხმობდა, განსაკუთრებით კი გამოყოფდა **პოლონელებთან, ბალტიისპირელებთან** და **ფინელებთან** კავშირის აუცილებლობას. კავკასიელებთან ერთობლივი ბრძოლის საჭიროებას ლიგა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სრულიად განსკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

მეოთხე. ლიგა მიზნად ისახავდა **„ხალხის გონებრივ განვითარებას“** და მასში გულისხმობდა ქართველი ერის მომზადებას ბრძოლისათვის. ლიგა მიზნად ისახავდა მოსახლეობის მომზადებას **თვითმმართველობისათვის.** პროგრამა მთავრდებოდა სიტყვებით „ქართველებო! **„ლიგა“ უკანასკნელად მოგაგონებთ ჰამლეტის კითხვას: „ყოფნა თუ არ ყოფნა?“. ვთქვათ: „ყოფნა“ და დავინყოთ მოქმედება!“**

„საქართველოს თავისუფლების ლიგამ“ დაიწყო მოქმედება და, როგორც პროგრამიდან ჩანდა, ფართო ეროვნულ-პოლიტიკურ მოღვაწეობას აპირებდა. პირველ რიგში, იგი ორგანიზაციის გაფართოებას შეეცადა და სექციების ჩამოყალიბებას შეუდგა. 1893 წლის ივლისში ტფილისში შედგა **„საქართველოს თავისულუბის ლიგის“** მეორე ყრილობა. მასში მონაწილეობდნენ: **თედო სახოკია, ვარლამ ჭიჭინაძე,**

ვახტანგ ღამბაშიძე, შიო დედაბრიშვილი, ნიკოლოზ ნაკაშიძე, გიორგი დეკანოზიშვილი და სხვ. სამწუხაროდ, მეორე ყრილობის შემდეგ ორგანიზაციას საქმიანობის გაგრძელება დიდ ხანს აღარ დასცალდა. 1893 წლის შემოდგომაზე ჟანდარმერიას ხელში ჩაუვარდა ორგანიზაციის პროგრამა და წესდება. ამას მოჰყვა ლიგის ხელმძღვანელობისა და თვალსაჩინო წევრების დაპატიმრებები. **„საქართველოს თავისუფლების ლიგამ“** არსებობა შეწყვიტა.

ხელისუფლებამ საჭიროდ არ ჩათვალა „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ საქმის გახმაურება და მისი მიჩუმათება უფრო ხელსაყრელად მიიჩნია. ცხადია, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მიზნით შექმნილი პოლიტიკური ორგანიზაციის საქმის გამომზეურება ფართო რეზონანსს და ეროვნული ვნებათაღელვის აღმავლობას გამოიწვევდა საზოგადოებაში. ლიგის რამდენიმე ათეულ წევრს წინასწარი პატიმრობა სასჯელის მოხდად ჩაუთვალეს და გაანთავისუფლეს, თუმცა, ბევრ მათგანს პოლიციის მეთვალყურეობა დაუწესეს.

„საქართველოს თავისუფლების ლიგის“ შექმნა და ხანმოკლე არსებობა, უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ქართველი ერის ისტორიაში. ლიგა პირველი ეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკური ორგანიზაცია იყო, რომელმაც დამოუკიდებლობის ლოზუნგი წამოაყენა. ლიგის ხანმოკლე მოღვაწეობაში პოლიტიკური ბრძოლის პირველი გამოცდილება მიიღო XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულმა ქართველი ინტელიგენციის ახალმა თაობამ. ამ თაობამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა XX საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიაში. ლიგამ განსაზღვრა ის სტრატეგიული მიმართულება, რომლებსაც შემდგომში დაეფუძნა XX საუკუნის დასაწყისის ეროვნულ-პოლიტიკური ძალების მოღვაწეობა.

§ 2. „ახალგაზრდა ივერიელთა“ ეროვნულ-რადიკალური მიმდინარეობა

1895 წლის დასაწყისში გაზეთ „ივერიაში“ **ილია ჭავჭავაძის** ინიციატივით თავმოყრა დაიწყო ახალგაზრდა პუბლიცისტების ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ: **გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე, გიორგი დეკანოზიშვილი, ილია ნაკაშიძე, ვასილ წერეთელი, იაკობ ცინცაძე, ილია აღლაძე** და სხვ. ჯგუფის მთავარი წარმომადგენელი იყო ყოფილი ხალხოსანი გიორგი ლასხიშვილი, რომელიც ახლად დაბრუნებული იყო ციმბირის გადასახლებიდან.

გიორგი ლასხიშვილი და მისი ახალგაზრდა თანამოაზრეები აღიარებდნენ თერგდალეულების (სამოციანელების) დიდ დამსახურებას. ისინი სწორედ თერგდალეულთა წყალობით გაერთიანდნენ. „ნაციონალურმა პრინციპმა“ ცენტრალური ადგილი დაიკავა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ცნობიერებასა და მოღვაწეობაში. ამასთან ერთად, ახალგაზრდა პუბლიცისტთა აზრით, XIX საუკუნის 90-იანი წლებისათვის საჭირო გახდა, რომ ეროვნულ იდეებს უფრო **„ფართო ნიადაგი მოეპოვებინათ, გავრცელებულიყვნენ და გამხდარიყვნენ მთელი ერის საკუთრებად“**. ისინი უფრო კონკრეტული ეროვნული პროგრამის შემუშავების და რადიკალური ბრძოლის მომხრეები იყვნენ. თერგდალეულებისაგან განსხვავების მიზნით, გაზეთ „ივერიაში“ თავმოყრილ გიორგი ლასხიშვილისა და მის თანამოაზრეთა ეროვნულ-რადიკალურ ჯგუფს შეიძლება **„ახალგაზრდა ივერიელები“** ვუწოდოთ.

ეროვნულ-რადიკალების რწმენით, **„მტკიცედ განსაზღვრული რეალური ინტერესების“** მქონე ეროვნულ პროგრამას საფუძვლად უნდა დასდებოდა **საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნა.** გიორგი ლასხიშვილი წერდა: **„უახლობელესი საფეხური პოლიტიკურ-ეროვნული თავისუფლება უნდა იყოს, ხოლო შემდეგი – სოციალური თანასწორობა“**. პუბლიცისტის აზრით, მთავარი იყო მოსპობა იმ **„განსაკუთრებული გარემოებებისა“**, რომელშიც **„ჟამთა ვითარებამ“**, ქართველი ერი ჩააგდო. გიორგი ლასხიშვილი რუ-

გიორგი ლასხიშვილი

სეთის იმპერიის ბატონობას გულისხმობდა და მიუთითებდა, რომ **„გარეშე ძალების“** წინააღმდეგ ბრძოლა იყო ქართველი ხალხის წინაშე მდგარი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ერთადერთი გზა.

„ახალგაზრდა ივერიელების“ პოლიტიკური მიზანი **საქართველოს ავტონომია** იყო. ისინი ცდილობდნენ სხვა ქვეყნების მაგალითით მიენიშნებინათ ქართველი მკითხველისათვის ეროვნული ავტონომიის აუცილებლობაზე. 1895 წელს გიორგი ლასხიშვილმა ვრცელი ნეკროლოგი მიუძღვნა ცნობილი მეცნიერის და მოღვაწის იადრინცევის ხსოვნას, რომელიც ახალგაზრდობის პერიოდში ციმბირის ავტონომიისათვის იბრძოდა. „ახალგაზრდა ივერიელთა“ თავკაცს სურდა საქართველოს ავტონომიის საკითხი დაესვა, მაგრამ მძიმე საცენზურო პირობები ამის საშუალებას გამორიცხავდა.

გიორგი ლასხიშვილი აღიარებდა, რომ ქართველი საზოგადოება პოლიტიკურ მიმდინარეობებად იყო დაყოფილი. მათს შორის არსებობდა წინააღმდეგობა, მაგრამ, რადგანაც ამ ძალებს დღესდღეობით ერთი საერთო მტერი – თვითმპყრობელობა ჰყავდა, მათი შეთანხმება უფრო **„ბუნებრივ მოთხოვნილებას“** წარმოადგენდა, ვიდრე წინააღმდეგობას. აქედან გამომდინარე, გიორგი ლასხიშვილს საჭიროდ მიაჩნდა **საქართველოში არსებული სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობების შეთანხმება.** ერთ-ერთ სტატიაში იგი ეკამათებოდა ნიკო ნიკოლაძეს, რომელიც მიესალმა საქართველოში დაწყებულ პარტიების წარმოქმნის პროცესს. გიორგი ლასხიშვილის აზრით, სხვადასხვა პარტიებს წარმოშობდა **„თავისუფალი პოლიტიკური ცხოვრება“**. საფრანგეთში მრავალი სხვადასხვა პარტია განსხვავებული გზებით იბრძოდა „საფრანგეთის კეთილდღეობისათვის“, მაგრამ **საქართველოს პირობებში, აქ არსებული პოლიტიკური სინამდვილისათვის აუცილებელი იყო „ზედშენობის“ – თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გაერთიანება.** მას შემდეგ, რაც დამყარდებოდა პოლიტიკური თავისუფლება, მაშინ „დასებად“ დანანილებაც ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური განვითარების ბუნებრივი საფეხური იქნებოდა. **„დღეს დროთა ვითარების გამო ჩვენ ყველანი შევადგენთ ერთს პარტიას, ერთი აზრით გამსჭვალულს“** – წერდა გიორგი ლასხიშვილი. პუბლიცისტის აზრით, **„რადგან გარეგანი გარემოება ხელს არ გვინყობს, მაშინ ერთობა გვჭირია მწერლობაშიაც და არა ხელოვნურად დაყოფა პარტიებად, რომელთა არსებობა ჩვენის ცხოვრების ბუნებრივს მოთხოვნილებას არ შეადგენს“**.

„ახალგაზრდა ივერიელებმა“ ეროვნული საკითხის გადაჭრა მჭიდროდ დაუკავშირეს კაპიტალიზმის განვითარების პერსპექტივებს და **სოციალური თანასწორობის** პრობლემას. გიორგი ლასხიშვილის აზრით, **„ქართველობის“** მთავარ სიმდიდრეს **მინა** წარმოადგენდა, რომლის უმეტეს ნაწილს თავადაზნაურობა ფლობდა. კაპიტალისტური ფორმაციის განვითარებას საქართველოში **უცხოური კაპიტალის** გაბატონება მოჰყვა, უცხოტომელი კაპიტალისტები ჩალის ფასად ყიდულობდნენ გალატაკების გზაზე მდგარი ქართველი თავადაზნაურობის მამულებს. საჭირო იყო რაიმე ელონათ, რათა მინა „ქართველობის“ ხელში დარჩენილიყო. პირველ რიგში მინა უნდა შეეძინათ იმათ, ვინც მას ამუშავებდა – ე.ი. ქართველ გლეხობას.

კიტა აბაშიძე

ცენზურა ყურადღებით ადევნებდა თვალ-

ყურს „ახალგაზრდა ივერიელთა“ ეროვნულ-რადიკალურ წერილებს, ფარული პოლიტიკური მიზნების შემცველ გამონათქვამებს. კავკასიის ადმინისტრაცია კარგად ხედავდა, რომ „ახალგაზრდა ივერიელები“ ცდილობდნენ თანამოაზრეების შემოკრებას და გაზეთისთვის **ეროვნულ-რადიკალური** მიმართულების მიცემას.

ხელისუფლება საბაბს ეძებდა, რათა „ახალგაზრდა ივერიელების“ გაზეთსაც გასწორებოდნენ. 1896 წლის თებერვლის თვეში „ივერიაში“ გამოქვეყნდა **იაკობ ცინცაძის** წერილი „სურათები მონაფეთა ცხოვრებიდან“. მასში გაკრიტიკებული იყო ტფილისის სასულიერო სემინარიაში გამეფებული ანტიჰუმანური, იეზუიტური ატმოსფერო. 1896 წლის აპრილის დასაწყისში კავკასიის საცენზურო კომიტეტმა ჯერ ილია ჭავჭავაძე გააფრთხილა მკაცრად, ხოლო შემდეგ გაზეთ „ივერიის“ მიმართ ადმინისტრაციული წესის გამოყენება მოითხოვა. სარეცენზიო კომიტეტი აღნიშნავდა, რომ „ივერიის“ მიმართულება არ შეესაბამებოდა მთავრობის ოფიციალურ კურსს. 1896 წლის მაისში კავკასიის ადმინისტრაციამ გაზეთი „ივერია“ დროებით აკრძალა. **1897 წლის დასაწყისში „ივერიის“ გამოცემა აღდგა, მაგრამ მასში „ახალგაზრდა ივერიელები“ აღარ მოღვაწეობდნენ.**

§ 3. ჟურნალ „მოამბის“ ბურჟუაზიულ-ეროვნული ჯგუფი

მეორე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა ჟურნალ „**მოამბის**“ გარშემო ჩამოყალიბდა. ეს იყო **ბურჟუაზიულ-ეროვნული ჯგუფი.** ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმდინარეობის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლები იყვნენ **გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილი** და **იაკობ ფანცხავა.**

ჟურნალმა „მოამბემ“ პუბლიცისტიკის განყოფილების მთავარ თანამშრომლად მოიწვია ძლიერი სავაჭრო-სამრეწველო საქართველოს ძველი იდეოლოგი **ნიკო ნიკოლაძე.** ნიკო ნოკოლაძემ ქართველ საზოგადოებას **ეროვნული ბურჟუაზიის** შექმნის აუცილებლობისაკენ მოუწოდა. ნიკო ნიკოლაძე წერდა: **„... ერის და ქვეყნის გამომყვანი სიღარიბისა და მონობისაგან, უმეცრებისა და უსწორმასნორობისაგან ყოველთვის და ყოველგან მარტო ეს საშუალო დასი, ბურჟუაზია, ყოფილა და იქნება“.**

„მოამბე“ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხში არც „ივერიას“, არც „**კვალს**“ არ ემხრობოდა, რადგან მას თავისი ბურჟუაზიულ-ეროვნული ლოზუნგი ჰქონდა – **საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება და ეროვნული ბურჟუაზიის შექმნა.** ნიკო ნოკოლაძის პირით „მოამბემ“ ქვეყნის ეკონომიკური უძლურების მთავარ მიზეზად ეროვნული მრეწველობის ჩამორჩენილობა მიიჩნია.

ბურჟუაზიული ურთიერთობების განვითარებით ქვეყნის ეროვნული თავისუფლებისათვის ეკონომიკური ნინამძღვრების შექმნა – ეს იყო ნიკო ნიკოლაძის პირით გაცხადებული ჟურნალ „მოამბის“ ბურჟუაზიულ-ეროვნული პლატფორმის არსი. „მოამბე“ თავის საპროგრამო წერილში მიესალმა კაპიტალისტური განვითარების პერსპექტივას საქართველოში. „მოამბის“ საპროგრამო წერილში აღნიშნული იყო: ევროპა დიდი ხანია დაადგა კაპიტალისტური მრეწველობის გზას, **„ჩვენ კი უნინდებურად თუ მინათმოქმედების ამარა დავრჩებით და ვაჭრობას ზურგს შევაქცევთ, იგივე იქნება, რაც კრუპის ზარბაზნების ნინააღმდეგ მშვილდისრებით ბრძოლა“.** ჟურნალის იდეალი იყო ევროპის ცივილიზაცია. „მოამბე“ თავის მოვალეობად თვლიდა ხალხისათვის გაეადვილებინა **„ევროპული განათლების და მოქალაქეობის შეთვისება“.**

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ეროვნული ბურჟუაზიის ტიპიური იდეოლოგი გახდა ყოფილი ხალხოსანი **გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილი.** მან უარყო ხალხოსნური დოქტრინა

გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი)

რუსეთისა და ასევე საქართველოს არაკაპიტალისტური გზით განვითარების შესაძლებლობის შესახებ და პირიქით, **ბურჟუაზიულ-ეროვნული პოზიციებიდან დაინყო საქართველოსათვის კაპიტალიზმის განვითარების საჭიროების ქადაგება.** გიორგი ზდანოვიჩი შეეცადა გაეთვალისწინებინა ის სოციალური პროცესები, რომელსაც კაპიტალიზმის განვითარება გამოინვევდა საქართველოში. პუბლიცისტის აზრით, საქართველოში კაპიტალის განვითარებას, ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, ექნებოდა თავისებურებანი. თუ ევროპაში ახალი ეკონომიკური ფორმაციის გამარჯვებას მოჰყვებოდა გლეხობის გაპროლეტარება, საქართველოში, კერძოდ კი ქუთაისის გუბერნიაში, ეს ნაკლებად იყო მოსალოდნელი. გიორგი ზდანოვიჩი მიესალმებოდა გლეხობის **გამამულიანების** პროცესს და კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ მამულს, „თუკი ერთხელ ხელში ჩაიგდო ჩვენმა გლეხკაცმა, სიკვდილის მეტი ველარა გამოაცლის რა". მეორე მხრივ, გიორგი ზდანოვიჩი ურჩევდა ღარიბ თავადაზნაურობას **შრომისათვის მოეკიდა ხელი,** დაინტერესებულიყო აღებ-მიცემობით და როგორმე მორგებოდა იმ ახალ ეკონომიკურ წყობილებას, რომელიც გარდაუვალი იყო ქვეყნისათვის. ეს იყო ერთადერთი გზა, რომელსაც შეეძლო **თავადაზნაურობა ეხსნა გაღატაკებისაგან.**

გიორგი ზდანოვიჩმა საქართველში **ბურჟუაზიული ფორმაციის განვითარების** საკითხი მჭიდროდ დაუკავშირა **ეროვნულ** პრობლემას. იგი შეშფოთებით უყურებდა საქართველოში მომძლავრებულ **უცხოეთის კაპიტალს,** რომელიც თანდათან ეუფლებოდა ეკონომიკური განვითარების სადავეებს. **უცხოური კაპიტალი ხელიდან აცლიდა ქართველ ერს საკუთარ სიმდიდრეს, მინა-წყალს, მადანს, ფულს.**

გიორგი ზდანოვიჩმა არაერთი წერილი მიუძღვნა ჭიათურის მარგანეცის მოპოვებაგაზიდვის პრობლემატურ საკითხებს. პუბლიცისტის უმთავრესი მიზანი ამ უმნიშვნელოვანესი საბადოს **ქართველი ერის საჭიროებისათვის** გამოყენება იყო. ახლა, როცა ამ შემოსავალს უცხოეთის კაპიტალი ითვისებდა, გიორგი ზდანოვიჩი პრაქტიკულ გზებს ეძებდა ამ არანორმალური ვითარებისაგან თავის დასაღნევად. იგი ასაბუთებდა, რომ უცხოური კაპიტალის დასამარცხებლად წვრილ მრეწველებს ერთადერთი საშუალება ჰქონდათ – სინდიკატის შექმნა. **გიორგი ზდანოვიჩი არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც ჩაება კაპიტალისტური საქართველოს მშენებლობაში და ენერგიულად იღვწოდა ეროვნული მრეწველობის განვითარებისათვის.** 1896-1917 წლებში ის იყო ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭოს უცვლელი თავმჯდომარე და ენერგიულად ცდილობდა უცხოური კაპიტალის მოგერიებას სამრეწველო რაიონში, მათი მონოპოლიის აღკვეთას მანგანუმის რეალიზაციის სფეროში. გიორგი ზდანოვიჩის ინიციატივით ჩამოყალიბდა ქართველ მრეწველთა არაერთი სავაჭრო და სამრეწველო გაერთიანება, ამხანაგობა, სინდიკატი, საავტიო საზოგადოება და სხვ.

ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმართულების ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი **იაკობ ფანცხავა.** იაკობ ფანცხავა მკაცრად აკრიტიკებდა ლიბერალურ-ხალხოსნურ ილუზიებს თემის მეშვეობით საქართველოს არაკაპიტალისტური განვითარების შესაძლებლობის შესახებ. ეს შეუძლებელი იყო როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც, სადაც, ავტორის შენიშვნით, სათემო მიწათმფლობელობა საერთოდ არ არსებობდა, გარდა ქიზიყისა. მიწათსარგებლობის ეს ფორმა „განვითარებულ ერებს და ჩვენც უკვე გავლილი გვაქვსო" – წერდა იგი.

იაკობ ფანცხავას აზრით, საქართველოში არსებობდა **კაპიტალიზმის „გაფურჩქვნის"** სრულიად რეალური პირობები. **ასპარეზზე გამოდიოდა „ერთის მხრივ, ფულის შემქმნელი, მეორე მხრივ კი მუშა ხალხი"** და წინასწარმეტყველების ნიჭი არ იყო საჭირო იმის დასანახად, რომ ასეთი მუშა ხალხი მომავალში **„მთელ არმიებს შექმნიდა".** მართალია, ავტორი ხედავდა ბევრ ნაკლს, რაც ახალ ფორმაციას უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ კაპიტალიზმის განვითარება ერის მომავლისათვის აუცილებლობად ესახებოდა და მკითხველს ანუგეშებდა – უარყოფითი მხარეები დავიწყებულ უნდა იქნას **„... განვითარება და პროგრესი არავის მოუმკია ისე, რომ მძიმე განსაცდელი და ტანჯვა არ აეტანოს, ვარდს ყველგან და ყოველთვის ეკალი თან ახლავს".** ცხადია, კაპიტალიზმის ყველა საშინელება ექსპლოატი-

რებულ კლასებს – პროლეტარიატს და მშრომელ გლეხობას – უნდა გადაეტანა საკუთარ მხრებზე, სამაგიეროდ „... **მოქალაქეობისა და მრეწველობის განვითარება ჩვენი ერისათვის სიცოცხლის და კეთილდღეობის მომნიჭებელი რამ იქნება – ეს აუცილებელი საგანიაო**“ – დაასკვნიდა ავტორი.

როგორც აღვნიშნეთ, 1896 წლის მაისში გაზეთი „ივერია“ დახურეს და „ახალგაზრდა ივერიელთა“ მიმდინარეობის ჩამოყალიბების პროცესის პირველი ეტაპიც დასრულდა. 1897 წლის იანვარში „ივერია“ აღადგინეს, მაგრამ ახალი თაობის წარმომადგენლებმა „**ივერიის**“ ნაცვლად ჯერ „**მოამბის**“, ხოლო შემდეგ ახლადდაარსებულ გაზეთ „**ცნობის ფურცლის**“ გარშემო იწყეს თავმოყრა. „**მოამბის**“ **ბურჟუაზიულ-ეროვნულ** და „**ახალგაზრდა ივერიელთა**“ **ეროვნულ-რადიკალურ** მიმდინარეობებს შორის ბევრი საერთო არსებობდა. მართალია, „მოამბის“ იდეალი ძლიერი ბურჟუაზიული, ეკონომიკურად მოღონიერებული საქართველო იყო, ხოლო „ახალგაზრდა ივერიელები“ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პოლიტიკური რადიკალიზმის ტენდენციებს ამყარებდნენ, მაინც ეროვნული საკითხის გაგება ორივე მიმდინარეობას საერთო ჰქონდა. **ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმართულების „მოამბე“ ისევე ოცნებობდა საქართველოს ავტონომიაზე, როგორც „ახალგაზრდა ივერიელები“**. ეროვნულ საკითხში საერთო პლატფორმამ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პერსპექტივებზე შეხედულებების ნათესაობამ ბურჟუაზიულ-ეროვნული და ეროვნულ-რადიკალური მიმდინარეობების წარმომადგენლები გაერთიანებამდე მიიყვანა. **XIX საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს ჟურნალ „მოამბის“ გარშემო თანდათანობით თავი მოიყარა ეროვნულ-რადიკალური და ბურჟუაზიულ-ეროვნული ინტელიგენციის მთელმა ახალმა თაობამ (კიტა აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, გიორგი ზდანოვიჩი, თედო სახოკია, იაკობ ფანცხავა, იაკობ ცინცაძე, ილო ნაკაშიძე, ივანე ზურაბიშვილი, პალიკო ყიფიანი და სხვ.)**. 1898 წელს ჟურნალის დამაარსებელმა და გამომცემელმა **ალექსანდრე ჯაბადარმა** რედაქციაში მიიწვია „ახალგაზრდა ივერიელთა“

ალექსანდრე ჯაბადარი

ეროვნულ-რადიკალური ჯგუფის აღიარებული ლიდერი **გიორგი ლასხიშვილი**, რომელსაც დაევალა „მოამბის“ პუბლიცისტური ნაწილის გაძღოლა.

„ივერიის“ დახურვის შემდეგ, გაზეთის გარეშე დარჩენილ და ახლა უკვე „მოამბეში“ თავმოყრილ ყოფილ „**ახალგაზრდა ივერიელებს**“ არ აკმაყოფილებდათ ყოველთვიური „მოამბე“. ლიტერატურული ხასიათის პერიოდული გამოცემა არ იძლეოდა საკუთარი ეროვნული და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების გამომუშავებისა და პროპაგანდის საშუალებას. ამიტომ „მოამბის“ ახალგაზრდა თანამშრომელთა და თანამგრძნობთა შორის მომწიფდა აზრი საკუთარი ყოველდღიური გაზეთის გამოცემის შესახებ. 1896 წლის ოქტომბრიდან ტფილისში ცნობილი ქართველი მოღვაწის **ვალერიან გუნიას** რედაქტორობით გამოსვლა იწყო ყოველდღიურმა გაზეთმა „**ცნობის ფურცელი**“. გაზეთში მხოლოდ საინფორმაციო ცნობები, განცხადებები, მთავრობის განკარგულებები და სხვა მსგავსი მასალები იბეჭდებოდა. 1899 წელს ვალერიან გუნიამ გაზეთის დახურვა გადაწყვიტა. ამით ისარგებლეს, ამოქმედდნენ „მოამბის“ ახალგაზრდა პუბლიცისტები და გაზეთი შეიძინეს.

„**ცნობის ფურცელი**“ გახდა ყოფილი „**ახალგაზრდა ივერიელებისა**“ და „**მოამბის**“

ვალერიან გუნია

გარშემო თავმოყრილ ახალგაზრდა მოღვაწეთა ორგანო. ამ ჯგუფს 1902-1903 წლებში **„ცნობის ფურცლის“** ჯგუფს უწოდებდნენ.

XIX საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს დამთავრდა **ბურჟუაზიულ-ეროვნული** და **ეროვნულ-რადიკალური** მიმდინარეობების შემოკრება გაზ. „ცნობის ფურცლის“ გარშემო. ახალმა გაერთიანებამ **ბურჟუაზიული ეროვნულ-რადიკალიზმის** სახე მიიღო, რადგან იგი ბურჟუაზიულ-ეროვნულ და ეროვნულ-რადიკალურ ფრაქციებს აერთიანებდა.

1900 წლის 1 დეკემბერს „ცნობის ფურცელმა“ საპროგრამო წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც სამ ძირითად საკითხზე გაამახვილა ყურადღება:

1. „ცნობის ფურცლის“ ჯგუფი მიესალმა საქართველოში **კაპიტალიზმის განვითარებას** და მის პერსპექტივებს დაუკავშირა ქართველი ერის უკეთესი მერმისი. საქართველო დაადგა „ევროპეიზაციის“ გზას, რაც ნიშნავდა „საეკლესიო-სამრევლო წყობილების“ დამყარებას.

2. „ცნობის ფურცლის“ ჯგუფმა **თერგდალეულთა მემკვიდრედ** გამოაცხადა თავი. საპროგრამო წერილში აღნიშნული იყო: „ჩვენ გვწამს მათი ამაგი, გვწამს სიდიადე მათის იდეალისა და ამიტომაც მოვალენი ვართ განვაგრძოთ მათი შრომა ერის თვითცნობიერების განვითარებისათვის“.

3. გაზეთმა გვერდი აუარა კლასობრივი ბრძოლის საკითხს და **თანამშრომლობისაკენ** მოუწოდა საქართველოს სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობებს. საპროგრამო წერილი აცხადებდა: „სხვადასხვა შეხედულებებმა არ უნდა შეუშალოს ხელი საერთო მუშაობას, რადგანაც ჩვენში ბევრი ისეთი საკითხია, რომელთა შესახებ შეთანხმება მოსახერხებელია“.

ეროვნება, კაპიტალიზმი, თანამშრომლობა – ამ პრინციპების გამოკვეთით დაასრულა ქართულმა ბურჟუაზიულმა ეროვნულ-რადიკალურმა მიმდინარეობამ XIX საუკუნე და ახალ საუკუნეს დასახული მიზნების განხორციელების იმედით შეხვდა.

თავი XIV.

ქართველი სამღვდელოება XIX საუკუნეში

§ 1. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება

ანტონ II

XIX საუკუნის დამდეგისათვის, როდესაც რუსეთის იმპერიამ ქართული სამეფო-სამთავროები დაიპყრო, საქართველოში ორი საკათალიკოსო ტახტი არსებობდა — **მცხეთისა** და **აფხაზეთისა**. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას (1801 წ.) მალე მცხეთის საკათალიკოსოს გაუქმებაც მოჰყვა (1811 წ.), ხოლო იმერეთის სამეფოს გაუქმებას (1810 წ.) — აფხაზეთის საკათალიკოსოს გაუქმება (1814 წ.).

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა **საერთაშორისო ნორმათა დარღვევას** წარმოადგენდა, ხოლო საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება – **საეკლესიო სამართლის**, საერთაშორისო სამართლისა და საეკლესიო სამართლის პრინციპები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რის გამოც **ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებით არ შეიძლებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების გამართლება**. თავის დროზე მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამ (431 წ.) არ დაუშვა ადმინისტრაციულად ბიზანტიის იმპერიაში შემავალი კვიპროსის ეკლესიისა და ანტიოქიის საპატრიარქოს დაქვემდებარება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი, ანუ შენარჩუნებულ იქნა მათი ავტოკეფალია.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა საეკლესიო სამართლის თვალსაზრისით ჩაიდინა შემდეგი უკანონობა: 1) საქართველოს ეკლესიისა (მცხეთისა და აფხაზეთის საკათალიკოსოების) და მსოფლიო ეკლესიის თანხმობის გარეშე გააუქმა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ეკლესიის ავტოკეფალია; 2) მცხეთის საკათალიკოსოს უმაღლესი სასულიერო პირი, კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II 1810 წელს მისი ნების საწინააღმდეგოდ ჩამოაცილეს ეკლესიის მართვა-გამგეობას და ძალდატანებით გაასახლა რუსეთში; 3) აფხაზეთის კათალიკოსის მოვალეობის აღმსრულებელს მიტროპოლიტ დოსითეოზ ქუთათელს 1814 წელს აუკრძალეს კათალიკოსის მოვალეობის აღსრულება, ხოლო 1820 წელს შეიპყრეს და წამებით მოკლეს; 4) საქართველოს ეკლესიას ჩამოართვეს მთელი უძრავ-მოძრავი ქონება; 5) აკრძალეს საქართველოს საეკლესიო კრებების მოწვევა; 6) საქართველოს ეკლესიის მრევლი აიძულეს ედღესასწაულა რუსეთის ეკლესიის წმინდანთა დღეები; 7) საქართველოში ღვთისმსახურება ქართველი მრევლისათვის უცხო ენაზე — რუსულ ენაზე მიმდინარეობდა; 8) საქართველოს ეკლესიას განაგებდა რუსი ეგზარხოსი და სხვ.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება კანონიკურ საფუძველზე არ მომხდარა. ავტოკეფალიის გაუქმებას რომ კანონიკური საფუძველი ჰქონოდა ამისათვის აუცილებელი იყო საქართველოსა და რუსეთის საეკლესიო კრებების გადაწყვეტილება, ასევე აღმოსავლეთის მართლმადიდებელ პატრიარქთა დასტური. ამის სანაცვლოდ საქართველოს

ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება მოხდა რუსეთის იმპერატორის ნებით, ე. ი. იგი გადაწყდა არა როგორც **საეკლესიო**, არამედ როგორც **პოლიტიკური** საკითხი. ჯერ კიდევ 1809 წლის 6 ივნისს მთავარმართებელმა ა. ტორმასოვმა რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის წინაშე დააყენა საკითხი საქართველოს უმაღლესი სასულიერო სამმართველო ორგანოს – **დიკასტერიის** შექმნის შესახებ. დიკასტერია კათალიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს უნდა დაქვემდებარებოდა. იმპერატორმა ალექსანდრე I-მ ა. ტორმასოვის წინადადება მიუღებლად მიიჩნია. იმპერატორის ბრძანების საფუძველზე 1810 წლის 3 ნოემბერს ანტონ II ძალდატანებით, ფაქტობრივად დაპატიმრებული, გაგზავნეს რუსეთში. 1811 წლის თებერვალში მთავარმართებელმა ა. ტორმასოვმა რუსეთის ეკლესიის უწმინდეს სინოდს სთხოვა საქართველოში ეგზარქოსად დაენიშნა არქიეპისკოპოსი **ვარლამი (ერისთავი)**. სინოდმა ეს თხოვნა დააკმაყოფილა. ეგზარქოსმა ვარლამმა შეადგინა **„პროექტი საქართველოს ეკლესიის გარდასაქმნელად“**, რომელიც 1811 წლის 30 ივნისს დაამტკიცა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა. პროექტის მიხედვით საქართველოს ეკლესიას სათავეში უნდა ჩადგომოდა **დიკასტერია**. დიკასტერიაში მღვდელთმთავრებთან (ეპისკოპოსები, მთავარეპისკოპოსები, მიტროპოლიტები) ერთად არქიმანდრიტები და დეკანოზებიც უნდა შესულიყვნენ. მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტს უნდა ჰქონოდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესი სინოდის **ეგზარქოსის** წოდება. ვარლამ ერისთავს ეწოდა **ეგზარქოსის** წოდება და დაუმტკიცდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის **უწმინდესი სინოდის ნევრობა.** ყოველივე ეს დაკანონდა იმპერატორ ალექსანდრემ I-ის ბრძანებით.

კათალიკოს **მაქსიმე ქუთათელის** გარდაცვალების შემდეგ აფხაზთა კათალიკოსის ტიტული იმერეთის მეფე სოლომონ II-მ 1798 წელს მიტროპოლიტ **დოსითეოზ ქუთათელს** უბოძა. დოსითეოზ ქუთათელმა (წერეთელმა) უარი განაცხადა საკათალიკოსო ტახტის დაკავებაზე. ამიერიდან იგი ინოდებოდა აფხაზთა კათალიკოსის **„მონაცვლედ“** ან **„მოვალეობის აღმსრულებლად“**. დოსითეოზ ქუთათელთან ერთად აფხაზთა საკათალიკოს მართვა-გამგეობაში დიდ როლს ასრულებდა მიტროპოლიტი **ექვთიმე გაენათელი (შერვაშიძე)**. კათალიკოს ანტონ II-ის რუსეთში გადასახლებისა (1810 წ.) და მცხეთის საკათალიკოსო ტახტის გაუქმების (1811 წ.) შემდეგ რუსეთის საიმპერატორო კარმა აფხაზეთის საკათალიკოსოს გაუქმებაც გადაწყვიტა. ამ მიზნის მისაღწევად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა იმერეთის სამეფოს გაუქმების (1810 წ.) შემდეგ. 1814 წელს მიტროპოლიტ დოსითეოზ ქუთათელს აუკრძალეს აფხაზთა კათალიკოსის „მონაცვლის“ მოვალეობის აღსრულება. 1814 წლის 30 აგვისტოს შეიქმნა **საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა,** რომელიც, ცხადია, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდეს სინოდს ექვემდებარებოდა. საქართველოს ეგზარქოსი ამიერიდან **საქართველო-იმერეთის ეგზარქოსად** ინოდებოდა. ეგზარქოსი იყო საქართველო-იმერეთის საეგზარქოსოს **სინოდალური კანტორის** თავმჯდომარე. სინოდალურ კანტორაში ეგზარქოსის გარდა შედიოდა ოთხი ნევრი: სამი არქიმანდრიტი და ერთი დეკანოზი. აფხაზთა საკათალიკოსოს გაუქმების შემდეგ ქუთაისში შეიქმნა ორი **დიკასტერია.** ერთი დიკასტერია განაგებდა **იმერეთის** ეკლესიას, მეორე – **გურია-სამეგრელოს** ეკლესიას.

§ 2. ვითარება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ

1810-1811 წლებში აღმოსავლეთ საქართველოში ანუ **მცხეთის საკათალიკოსო ტახტის** დაქვემდებარებაში შემდეგი ეპარქიები იყო: 1. მცხეთის, 2. სიონის ანუ ტფილისის, 3. სამთავროს, 4. რუისის, 5. წალკის, 6. სამთავისის, 7. ურბნისის, 8. ნიქოზის, 9. ალავერდის, 10. ნინოწმინდის, 11. რუსთავის, 12. ნეკრესის, 13. ბოდბის. ამ ცამეტი ეპარქიის გამგებლობაში იყო 799 ეკლესია. ეპარქიებში მოღვაწეობდა 7 არქიეპისკოპოსი, 6 არქიმანდრიტი, 746 მღვდელი, 146 დიაკვანი,

661 ეკლესიის მოსამსახურე, 75 ბერი. ამავე პერიოდისათვის იმერეთში იყო შემდეგი ეპარქიები: 1. ქუთაისის, 2. გაენათის, 3. ხონის, 4. რაჭის. ამ ოთხი ეპარქიის გამგებლობაში იყო 620 ეკლესია, 15 მონასტერი და 693 მღვდელი. სამეგრელოს ტერიტორია შემდეგ ეპარქიებად იყოფოდა: 1. ჭყონდიდის (მარტვილის), 2. ცაიშის, 3. ცაგერის. სამივე ეპარქიის გამგებლობაში იყო 233 ეკლესია. გურიაში მხოლოდ ერთი – **ოზურგეთის** ეპარქია იყო, ხოლო აფხაზეთი სამეგრელოსთან იყო გაერთიანებული. მაგალითად, სამეგრელოს გაერთიანებული ეპარქიების მიტროპოლიტი **გერონტი პაპიტაშვილი** (1859-1862) აფხაზეთის ეპისკოპოსიც იყო.

საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორასა და ეგზარქოსს დაევალათ შეემცირებინათ ქართველი სამღვდელოების რიცხვი, აღარ მოეხდინათ ახლების კურთხევა. რუსეთში მიაჩნდათ, რომ საქართველოში სამღვდელოების რაოდენობა ისედაც დიდი იყო. გადაწყდა ეპარქიათა (საეპისკოპოსოების) რაოდენობის შემცირებაც. 1811 წელს გატარებული რეფორმის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთის საკათალიკოსო ტახტის დაქვემდებარებაში არსებული ცამეტი ეპარქია ორ ეპარქიად, ხოლო 1819 წელს იმერეთის ოთხი ეპარქია ერთ ეპარქიად გაერთიანდა, 1829 წელს სამეგრელოში სამი ეპარქიის ნაცვლად ერთი ეპარქია დატოვეს, რომელიც 1874 წელს საერთოდ გააუქმეს და იმერეთის ეპარქიას შეუერთეს. 1833 წელს გურიის (ჯუმათის) სამიტროპოლიტოც იმერეთის ეპარქიას შეუერთეს. მომდევნო ხანებში განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ეპარქიათა შეერთება, გაუქმება და კვლავ აღდგენა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსეთის იმპერიის ხაზინას გადაეცა საქართველოს საეკლესიო მიწები – სულ 539.649 დესეტინა. გარდა ამისა რუსეთის სახაზინო უწყებას გადაეცა ქართველი საეკლესიო გლეხები – სულ 15.147 კომლი. რუსეთის ხაზინისათვის გადაცემული საქართველოს საეკლესიო მიწების ღირებულება 680.031.250 მანეთად შეფასდა, რაც რეალურ ღირებულებაზე გაცილებით ნაკლები იყო. ამ მიწების საკომპენსაციოდ საქართველოს საეგზარქოსოს რუსეთის ხაზინიდან ყოველწლიურად ეძლეოდა 106.000 მანეთი.

საქართველოს საეკლესიო მიწების რუსეთის სახაზინო ფონდში გადასვლა სამ ეტაპად განხორციელდა. **პირველ ეტაპზე,** 1811-1841 წლებში ქართველი საეკლესიო აზნაურები თავიანთი ყმა-მამულით გადაირიცხნენ სახაზინო უწყებაში. **მეორე ეტაპზე,** 1843-1852 წლებში, მოხდა „უძრავი საეკლესიო მამულების სახაზინო უწყებაში გადასვლა". **მესამე ეტაპზე,** 1853-1869 წლებში, ყველა დასახლებული თუ დაუსახლებელი საეკლესიო მიწა სამუდამოდ გადაეცა სახაზინო უწყებას. ამის სანაცვლოდ სასულიერო უწყებას დაენიშნა ყოველწლიური შემოსავალი 760.000 მანეთის ოდენობით.

რუსეთის საეკლესიო და სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის **უწმინდეს სინოდს** უშუალოდ ემორჩილებოდა ორი სინოდალური კანტორა – **მოსკოვისა** და **საქართველო-იმერეთისა.** საქართველოს ეპარქიებისათვის რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის განყოფილების ფუნქციას ასრულებდა **საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა** ეგზარქოსით სათავეში. სინოდალური კანტორა ირჩევდა კანდიდატებს ვაკანტურ საეკლესიო თანამდებობებზე და დასამტკიცებლად უდგენდა რუსეთის ეკლესიის უწმინდეს სინოდს.

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის სტრუქტურა და უფლება-მოვალეობა ასე გამოიყურებოდა:

1. საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას თავმჯდომარეობდა **საქართველოს ეგზარქოსი.** საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრებს ნიშნავდა რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდი.

2. საქართველოს ეგზარქოსი ინიშნებოდა რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, მას ენიჭებოდა **უწმინდესი სინოდის წევრის** წოდება.

3. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის მიერ დაკისრებული მოვალეობის გარდა განიხილავდა და სინოდალური კანტორის წევრთა საერთო თანხმობით წყვეტდა

საქართველოს ეგზარქატის ტერიტორიაზე არსებული ეპარქიებიდან შემოსულ საქმეებს. სინოდალური კანტორის წევრთა შორის უთანხმოების შემთხვევაში საქმე გადასაწყვეტად გადაეცემოდა რუსეთის ეკლესიის უწმინდეს სინოდს, რომლის გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულო იყო.

4. საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ჰყოლოდა საქართველოს ბერძენი სამღვდელოება, ბერძენთა ეკლესიები და მონასტრები. სინოდალურ კანტორას ნებისმიერი დარღვევა უნდა ეცნობებინა რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდისათვის, რომელიც თავის მხრივ მომხდარს აცნობებდა აღმოსავლეთის მართლმადიდებელ პატრიარქებს.

5. საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას ევალებოდა ღვთისმსახურთა გასამართლება, მას დამნაშავისათვის სასულიერო წოდების ჩამორთმევის უფლება ჰქონდა.

6. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა გასცემდა მეტრიკულ მოწმობებს, ასევე ადასტურებდა ეპარქიებში გაცემულ მოწმობებს.

7. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გამგებლობაში შედიოდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მთელი საეკლესიო ქონება, მისი ყველა შემოსავლითა და გასავლით. სინოდალური კანტორა იღებდა ეპარქიებიდან შემოსულ ანგარიშებს და თავის მხრივ ყოველ წელს ანგარიშს უდგენდა რუსეთის ეკლესიის უწმინდეს სინოდს.

8. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის კანცელარია იმყოფებოდა რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის ობერპროკურორის მიერ გამოყოფილი პროკურორის უწყებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას გაცილებით მეტი უფლებები ჰქონდა, ვიდრე მოსკოვის სინოდალურ კანტორას.

1814 წელს, როგორც აღვნიშნეთ, მიტროპოლიტ **დოსითეოზ ქუთათელს** აეკრძალა აფხაზეთის კათალიკოსის „მონაცვლის" მოვალეობის აღსრულება. 1814 წლის 30 აგვისტოს შეიქმნა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა და ამდენად **აფხაზეთის საკათალიკოსოც ფორმალურად საქართველოს ეგზარქოსის გამგებლობაში უნდა შესულიყო.** 1815 წელს ქუთაისში შეიქმნა **დიკასტერია,** რომელიც **იმერეთის ეპარქიებს** განაგებდა. დასავლეთ საქართველოში არსებული მეორე დიკასტერია **გურიისა და სამეგრელოს ეპარქიებს** განაგებდა. მიუხედავად ამისა რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდი აფხაზეთის საკათალიკოსოს ეპარქიებში თავისი უფლებამოსილების რეალურად განხორციელებას მხოლოდ 1817 წლიდან შეუდგა. ამ წელს საქართველოს პირველმა რუსმა ეგზარქოსმა **თეოფილაქტე რუსანოვმა** იმერეთში საეკლესიო ქონების აღწერა დაიწყო, რასაც 1819-1820 წლებში იმერეთში დიდი აჯანყება მოჰყვა, რომელიც რაჭასა და გურიაშიც გავრცელდა. რუსებმა აჯანყება დიდი სისასტიკით ჩახშვეს. ორი გამორჩეული მოღვაწიდან ერთი – მიტროპოლიტი **დოსითეოზ ქუთათელი** მხეცურად მოკლეს, ხოლო მეორე –მიტროპოლიტ **ექვთიმე გაენათელი** რუსეთში გადაასახლეს.

აფხაზეთის საკათალიკოსოს ტერიტორიაზე არსებული ეპარქიების მართვა-გამგეობას საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა რეალურად აჯანყების ჩახშობის შემდეგ – 1821 წლიდან შეუდგა.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ XIX საუკუნეში საქართველოს ეგზარქოსები იყვნენ: მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი (1811-1817), მიტროპოლიტი თეოფილაქტე რუსანოვი (1817-1821), მიტროპოლიტი იონა ვასილევსკი (1821-1832), მთავარეპისკოპოსი მოსე პლატონოვი (1832-1834), მთავარეპისკოპოსი ევგენი ბაჟანოვი (1834-1844), მიტროპოლიტი ისიდორე ნიკოლსკი (1844-1858), მთავარეპისკოპოსი ევსევი ილინსკი (1858-1877), მთავარეპისკოპოსი იოაკიმ რუდნევი (1877-1882), მთავარეპისკოპოსი პავლე ლებედევი (1882-1887), მთავარეპისკოპოსი პალადი ინაევი (1887-1892), მთავარეპისკოპოსი ვლადიმირ ბოგოიავლენსკი (1892-1898), მთავარეპისკოპოსი ფლაბიანე გოროდეცკი (1898-1901).

§ 3. ავტოკეფალური მოძრაობის ჩასახვა

1819-1820 წლების იმერეთისა და გურიის აჯანყების, ე.ნ. **„საეკლესიო ბუნტის“** ჩახშობის შემდეგ ქართველი სამღვდელოება განუწყვეტელ რეპრესიებს განიცდიდა. რეპრესიები განსაკუთრებით გაძლიერდა 1832 წლის შეთქმულების შემდეგ, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი იდეოლოგები ბერი **ფილადელფოს კიკნაძე** და სასულიერო წოდებიდან გამოსული **სოლომონ დოდაშვილი** იყვნენ. რეპრესიებით დათრგუნული ქართველი სამღვდელოება იძულებული გახდა შეგუებოდა იმას, რომ **საქართველოს ეკლესია რუსეთის იმპერიის კანონების შესაბამისად სახელმწიფოს ხელში მოექცა.**

უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილ ქართველ სამღვდელოებასა და მრევლს დიდი თავგანნირვით ქომაგობდნენ ქართველი მღვდელთმთავრები, მათ შორის გამოირჩეოდნენ ქართველი ეპისკოპოსები **გაბრიელ ქიქოძე** (1825-1896), **ალექსანდრე ოქროპირიძე** (1824-1907) და სხვები.

გაბრიელ ქიქოძე სწავლობდა ტფილისის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ სწავლა განაგრძო ფსკოვის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში გადავიდა, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. გაბრიელ ქიქოძემ სასულიერო აკადემია 1849 წელს დაასრულა. სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა ტფილისის სასულიერო სემინარიაში. 1858 წლიდან გაბრიელ ქიქოძე დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვარია, ხოლო 1860 წლიდან იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსია. მისი ხელმძღვანელობით ქუთაისში 1890 წელს დაარსდა ქალთა სასწავლებელი, ხოლო 1894 წელს სასულიერო სემინარია. გაბრიელ ქიქოძის თაოსნობით იმერეთში აიგო და შეკეთდა მრავალი ეკლესია. გაბრიელ ქიქოძის ქადაგებები მაშინდელ ქართველ საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის ღვაწლს. გაბრიელ ქიქოძის დასაფლავებისას წარმოთქმულ სიტყვაში ილია ჭავჭავაძემ აღნიშნა, რომ იგი დიდი ერთგულებითა და თავგამოდებით ემსახურებოდა ღმერთსა და ერს: „ეს იყო მისი სიმბოლო, ეს იყო მისი განათლებული რწმენა, ეს იყო მისი გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება... კაცთათვის მსახურება მსახურებაა ღვთისაო, — ამას მარტო ღრმად გამეცნიერებული სარწმუნოება იტყვის და ამისთანა სარწმუნოებისა იყო იგი, ვისიც სიბრძნე მარტო ჩვენ არ გვანცვიფრებს“.

ეპისკოპოსი გაბრიელ (ქიქოძე)

ეპისკოპოსმა ალექსანდრე ოქროპირიძემ 1850 წელს დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მოღვაწეობდა ქართლში, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოსა და აფხაზეთში – ჯერ მასწავლებლად, შემდეგ იღუმენად და არქიმანდრიტად. 1862 წელს ეკურთხა ეპისკოპოსად. 1869-1882 წლებსა და 1886-1898 წლებში ალექსანდრე ოქროპირიძე იყო გორის ეპისკოპოსი და ქართლ-კახეთის ეპარქიის პირველი ქორეპისკოპოსი. 1882-1885 წლებში იგი განაგებდა გურიის ეპარქიას, ხოლო 1898 წელს ებოძა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსობა. ეპისკოპოს **ალექსანდრე ოქროპირიძის მოღ-**

ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე)

საქართველოს ტერიტორია რუსეთის იმპერიის პროვინციებად დაყოფაში 1900 წ.

ვანეობის მიზანს ქართველ მრევლში ეროვნული ცნობიერების აღდგენა და ქართული მართლმადიდებლობის მდიდარი ტრადიციების აღდგენა-განვითარება შეადგენდა. ყოველივე ეს კარგად შენიშნა ილია ჭავჭავაძემ, რომელმაც მოღვაწეობის ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით ასე მიმართა ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეს: „თქვენ გწამთ, რომ ადამიანის მხსნელი, მისი ხელმძღვანელი და გამწმენდელი მისი სჯული და სარწმუნოებაა, და ამ გზაზე ღვანლმოსილობისათვის არა დაგიზოგიათ-რა... თქვენის ცხოვრების წმიდათაწმიდა ორი დიდი

ძმები კარბელაშვილები

საგანია: ერთი ღმერთი და მეორე თქვენი სამშობლო ქვეყანა; ღმერთს ღვთისას აძლევდით და ქვეყანას – ქვეყნისას, და ორსავე ემსახურებოდით ერთმანეთის დაუკლისათ, გულმხურვალებით და სიყვარულით“.

ეროვნული ცნობიერების აღდგენა-განმტკიცების კვალობაზე, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ქართველი სამღვდელოების გამოჩენილ მოღვაწეებს, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა საქართველოს ეკლესიის **ავტოკეფალიის** აღდგენის საკითხს. ავტოკეფალის აღდგენის საკითხის პოპულარიზაციას დიდად შეუწყო ხელი პროფესორ **ნიკოლოზ დურ-**

კირიონი (გიორგი სალუაშვილი)

ნოვოს გაბედულმა წერილებმაც. ნიკოლოზ დურნოვო სლავოფილი იყო. მას მიუღებლად მიაჩნდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში პეტრე I-ის დროს გატარებული რეფორმები. სლავოფილებს სურდათ რუსეთის ეკლესიის სინოდალური წესის გაუქმება და პატრიარქობის აღდგენა. სლავოფილებს დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ რუსეთის უმაღლეს წრეებში. თვით ნიკოლოზ დურნოვოც ამ წრეს ეკუთვნოდა. **იგი რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის გაუქმებასთან ერთად საქართველო–იმერეთის სინოდალური კანტორის გაუქმებასაც ითხოვდა.** საქართველოში შექმნილ მძიმე მდგომარეობას იგი სწორედ სინოდალური მმართველობის შედეგად მიიჩნევდა.

საქართველოში ავტოკეფალური მოძრაობის აღმავლობას გარკვეულწილად აფერხებდა ის გარემოება, რომ ქართველ სამღვდელოთა ნაწილი აშკარად არ გამოხატავდა თავის მხარდაჭერას ავტოკეფალიის აღდგენის იდეისადმი. სამაგიეროდ ქართველმა სამღვდელოებამ გაბედულად აიმაღლა ხმა ტფილისის სასულიერო სემინარიასა და სხვა სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების გაუქმებისა (1872 წ.) და

არქიმანდრიტი ლეონიდე (ლონგინოზ ოქროპირიძე)

ამბროსი ხელაია

საქართველოს ისტორიის სწავლების აკრძალვის (1875 წ.) წინააღმდეგ. საპროტესტო მოძრაობაში აქტიურად ჩაებნენ ტფილისის სასულიერო სემინარიისა და სხვა სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეები. ქართველმა სამღვდელოებამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში სამეგრელოს ეკლესიებში ღვთისმსახურების მეგრულ ენაზე წარმოებას, ასევე აფხაზეთის ეკლესიებში ქართულ ენაზე ღვთისმსახურების შეზღუდვას. **XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა სასულიერო მოღვაწეთა ახალი თაობა, რომელთაც მალე აშკარად წამოაყენეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის იდეა.** მათ რიცხვს მიეკუთვნებოდნენ **გიორგი საძაგლიშვილი** (მომავალი კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II), **ლონგინოზ ოქროპირიძე** (მომავალი კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდი), **ამბროსი ხელაია** (მომავალი კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი), **კალისტრატე ცინცაძე** (მომავალი კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე), **სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილი** და სხვ.

XIX საუკუნის ქართველმა სამღვდელოებამ იდეურად მოამზადა ავტოკეფალური მოძრაობა, რომელიც მთელი ძალით გაჩაღდა XX საუკუნის დამდეგიდან.

თავი XV.

XIX საუკუნის ქართული კულტურა

ერის კულტურის ისტორიის შესწავლა განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს. **კულტურის ისტორიაში არ არსებობს უმნიშვნელო საკითხები, რადგან იგი ერის ვინაობის დამადასტურებელი ყველაზე უფრო მეტყველი საბუთია.** წარსულის შესწავლა ხელს უწყობს აწმყოსა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინებას. თუნდაც ამიტომ, კარგად უნდა ვიცოდეთ კულტურული მემკვიდრეობის რაობის შესახებ. შესანიშნავად ბრძანა ილია ჭავჭავაძემ: „წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა". ვინც წარსულს სწავლობს იგი მომავალზეც ფიქრობს.

XIX საუკუნის საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის, კაპიტალიზმის განვითარებას, რომელიც თვისობრივად მკვეთრად განსხვავდება ფეოდალური წყობილებისაგან. **ახალი საზოგადოებრივი ცხოვრება ახალ კულტურულ ურთიერთობას მოითხოვდა.**

კაპიტალიზმი და მისი თანმდევი ცივილიზაცია საქართველოში ძნელად ვითარდებოდა. აქ უცნაური არაფერია. XIX საუკუნის საქართველო კოლონიური ყოფით ცხოვრობდა. **მეტროპოლია ყოველ ღონეს მიმართავდა, რათა შეეზღუდა დაპყრობილი ქვეყნის კულტურული ცხოვრების განვითარება.** იგი ომს უცხადებდა მრავალსაუკუნოვან ქართულ კულტურას, რომელიც უნიკალური იყო ძველ ქრისტიანულ აღმოსავლეთში. **ქართული კულტურისათვის დახშული აღმოჩნდა მსოფლიო ასპარეზი.** უცხო სახელმწიფოს ფარგლებში მოქცეული საქართველო რუკაზედაც თვალუწვდენელი იმპერიის უმნიშვნელო ნაწილად იყო აღქმული. **მეტროპოლიის ინტელიგენციის დიდი ნაწილი უხამსად იყო განწყობილი ქართული კულტურის, ისტორიის, წარსულის მიმართ.** ქართული კულტურისადმი შოვინისტური, აგდებული დამოკიდებულება იმპერიის სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრებში მოდურ თემად გადაიქცა.

რუსული ორიენტალისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი **ოსიპ სენკოვსკი** (1800-1858) სრულიად უარყოფდა ქართულ მატიანეთა დიდი კრებულის, უწმინდესი ეროვნული საუნჯის **„ქართლის ცხოვრების"**, როგორც სამეცნიერო წყაროს მნიშვნელობას „ქართლის ცხოვრებისას", სადაც, სხვათაშორის, მსოფლიო ისტორიის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხიცაა განხილული. **ი. სენკოვსკი შეუპოვრად იცავდა ძველი ქართული საისტორიო მწერლობის „დაბალი ღირსების" მის მიერვე გამოგონილ ვერსიას, უარყოფდა ქართველების და იბერიელების იდენტურობის ფაქტს, ვახტანგ გორგასალს თურქების ბელადად აცხადებდა, „ამტკიცებდა", რომ ქართველებს საქართველოში XII საუკუნემდე არ უცხოვრიათ.**

მსგავს თვალსაზრისს უფრო გვიან დიდი „მეცნიერული" აზარტით ავითარებს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი სომეხი მეცნიერი **ქეროპე პატკანოვი** (1833-1889). ნიშანდობლივია **ედუარდ აიხვალდის** (1795-1876) პასკვილები საქართველოს ისტორიისა და კულტურის თაობაზე. ე. აიხვალდი წერდა: „ქართველები სულ ახლახან მოვიდნენ იქ, სადაც ახლა ცხოვრობენ, ისინი ადრე კავკასიის მთიელთა ერთ ტომს წარმოადგენდნენ. არ შეიძლება დავუჯეროთ ქართველ მემატიანეების ზღაპრებს თავიანთი ისტორიის სიძველეთა შესახებ". ე. აიხვალდს არავითარი საერთო არ ჰქონდა საისტორიო მეცნიერებასთან და, როგორც ისტორიის თემაზე დაწერილი მისი სტატიიდან ჩანს, დილეტანტის დონეზეც კი არ შეეძლო თავისი „თეორიების" დასაბუთება, მაგრამ იგი ფლობდა საკმაოდ შთამბეჭდავ სამეცნიერო ტიტულებს (იყო ცნობილი ბუნებისმეტყველი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დერპტის, ყაზანის უნივერსიტეტების და პეტერბურგის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, „რუსეთის პალეონტოლოგიის" ოთხტომიანი ნაშრომის ავტორი), რაც ისტორიის დარგში მის „აღმოჩენებს" „წონას" მატებდა. მით უფრო, რომ რუსეთის სამეცნი-

ილია ჭავჭავაძე

ერო წრეებში ქართული კულტურის, მისი ისტორიისადმი ფრივოლურ დამოკიდებულებას ნოყიერი ნიადაგი გააჩნდა.

კოლონიური საქართველოს განათლების სისტემაში ქართული ენა არავითარ ადგილს არ ფლობდა. „შეიყვანდნენ თუ არა ბავშვს სკოლაში, მაშინვე რუსულ ენაზე უწყებდნენ ლურტულს და ყველა საგანს ამ ენაზე ანამებდნენ. ქართულ ენას ადგილი არ ჰქონდა სრულიად" – წერდა იაკობ გოგებაშვილი.

მკვლევართა, მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა, პოლიტიკოსთა ყოველგვარი პროპაგანდა ქართული კულტურის სასარგებლოდ პოლიტიკურ მკრეხელობად ითვლებოდა. ამას ის დიდი უარყოფითი შედეგიც ჰქონდა, რომ ქართველი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი ნიჰილისტურად განეწყო მშობლიური კულტურის მიმართ. მშობლიური კულტურის შეფასებისას ისინი თავს იწონებდნენ „ობიექტური" ოპონენტის პოზით და არც თუ უსაფუძვლოდ ვარაუდობდნენ, რომ ასე უფრო ადვილი იქნებოდა საკუთარი კეთილდღეობის მოპოვება. მათ კარგად ესმოდათ, რაც უფრო დაამცირებ და გააბაიბურებ საკუთარ ერს და მის კულტურას, მით უფრო დაგაფასებენ შენი სამშობლოს მტრების ბანაკში. მსგავსი დამოკიდებულების საყურადღებო მაგალითს წარმოადგენს თუნდაც რენეგატი **ივანე ჯაბადარი**, რომელმაც 1889 წელს პეტერბურგის ჟურნალ „Северный вестник"-ში გამოაქვეყნა წერილები სათაურით „Письма о Грузии". ავტორი ხელაღებით, ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთების გარეშე უარყოფდა საქართველოს ისტორიას და კულტურას (ასეთი პრაგმატიზმით ივანე ჯაბადარი იმპერიის სამსახურში დგებოდა, რაც, რა თქმა უნდა, სათანადოდ ჯილდოვდებოდა).

მართალია, ივანე ჯაბადარის უსუსურ არგუმენტებს არავითარი კორექტივის შეტანა არ შეეძლო სინამდვილის საზიანოდ, მაგრამ რამდენადაც მთელი მისი მსჯელობა **თავაშვებული ნიჰილისტური მსოფლმხედველობით** იყო განმსჭვალული, იგი მკითხველს დიდ ვნებას მოუტანდა. ივანე ჯაბადარის წერილებმა, ბუნებრივია, გამოიწვია ქართველ პატრიოტთა გულისწყრომა. ამ საკითხს საგანგებო წერილები უძღვნეს: **აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, გიორგი ნერეთელმა.** განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს **ილია ჭავჭავაძის** შესანიშნავი შრომა **„აი ისტორია"**, რომელიც 1889 წელს გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნდა. ილიასეულმა კრიტიკამ შუქი მოჰფინა ივანე ჯაბადარის ნამდვილ განზრახვას და ნათლად წარმოაჩინა მისი „თეორიების" უსუსურობა. მაგრამ ივანე ჯაბადარის „უპირატესობა" ის იყო, რომ იგი სიყალბეს „Северный вестник"-ში აქვეყნებდა მთელი იმპერიის გასაგონად, ილია კი სინამდვილეს ტფილისის „ივერია"-ში ბეჭდავდა. ეს ფაქტი აფერმკრთალებდა

აკაკი წერეთელი

სიმართლის უძლეველობას. ქართველი ნიჰილისტები იმასაც კი ამტკიცებდნენ, რომ ქართულ მწერლობას XIX საუკუნეში არაფერი საყურადღებო არ შეუქმნია. აკაკი წერეთელი მათი მისამართით წერდა: კაცი, რომელსაც წინ უდევს თუნდაც ნ. ბარათაშვილი და ი. ჭავჭავაძე, რა თქმა უნდა ტყუის.

იყვნენ და არიან ადამიანები, რომლებიც აღტაცებით წერენ და ამტკიცებენ, რომ რუსეთის იმპერიის პატრონობის ქვეშ საქართველო **ევროპულ კულტურას** ეზიარა. იმის თაობაზე კი სდუმან, რომ იმპერიის მსახურთა ნებით საქართველოს დიდებული ტაძრების უძვირფასესი ფერწერული ფასეულობანი ბათქაშის სქელი ფენით დაიფარა, უძველესი ქართული არქიტექტურული შედევრები, ეკლესიათა ულამაზესი გუმბათები მოინგრა და მათ ადგილას ლითონის უსახური გაბერილი მასა წამოსკუპდა, წმინდა სალოცავები წაიბილწა, უიშვიათესი ხატები გაიძარცვა, ეროვნული სკოლები აიკრძალა, ქართულ ენას ოფიციალური არსებობის უფლება წაერთვა, გაუგონარი სისასტიკით ჩაიხშო ყველა ეროვნული გამოსვლა. ქართულ მხატვრულ თუ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გაიდიალებულია დიდი რუსი მოაზროვნეების დამოკიდებულება იმპერიის მიერ დაპყრობილი ხალხების მიმართ და მიიჩნევენ, რომ მათი მხარდაჭერით და თანადგომით ვითარდებოდა რუსეთის ქვეშევრდომი ერების კულტურა. ძალზე ხშირად იმპერიული ამბიციებით შეპყრობილ მსოფლიო სახელის მქონე ადამიანებს დაუმსახურებლად ასახელებენ თავისუფლების ქომაგთა შორის. მაგალითად, რუს პოლიტიკურ მოძალადეთა ადამიანური სინდისის გასაღვიძებლად ქართველი სწავლულები ხშირად მიმართავდნენ ასეთ ტექსტს: „რას ჩადიხართ, პუშკინის და დოსტოევსკის შთამომავალნო“! **ალექსანდრე პუშკინი** ქართული ენციკლოპედიის მიხედვითაც კი „ხალხთა თავისუფლებისმოყვარე პოეტია“. ამ დროს დიდი რუსი პოეტი პუშკინი აღფრთოვანებული იყო კავკასიის ჯალათის ალექსი ერმოლოვის „გმირობით“, რომელმაც საშინელი სისასტიკით დაიპყრო ჩრდილო კავკასია. „თქვენი დიდება ეკუთვნის რუსეთს“ – წერდა გენერალ ერმოლოვს პუშკინი. მსგავსი აღფრთოვანებით ეგებებოდა **თეოდორე დოსტოევსკი** რუსეთის მიერ ნარმოებულ დაპყრობით ომებს: „კონსტანტინოპოლი ჩვენ, რუსებმა, უნდა გამოვსტაცოთ თურქებს, მხოლოდ რუსეთი უნდა ფლობდეს კონსტანტინოპოლს, მის ბოსფორის სრუტეს, სადაც მას ეყოლება ჯარი, ფლოტი და ექნება ციხესიმაგრეები“. ცხადია, ასეთი დამოკიდებულება ხელს ვერ შეუწყობდა დაპყრობილი ხალხების კულტურის განვითარებას.

ასეთი არის სიმართლე, რომლის შეცვლა არავის ძალუძს, რადგან „სიმართლე დროის შვილია და არა ავტორიტეტის“. XIX საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორია იცნობს რუსეთის იმპერიის დიდ მოხელეებს, რომლებიც ლიბერალიზმით გამოირჩეოდნენ. მათ ესმოდათ, რომ რუსიფიკატორთა აშკარა აგრესია აფხიზლებდა და პროტესტანტულად განაწყობდა მოწინავე ქართველ საზოგადოებას, ამიტომ მოქნილ მეთოდურ ღონისძიებებს მიმართავდნენ. მაგალითად, კავკასიის მეფისნაცვალი გრაფი **მიხეილ ვორონცოვი** (1782-1856) იმპერიის ერთგული მსახური ხალისით მიდიოდა პატარ-პატარა ხმაურიან დათმობებზე. განათლებულ და გონაბამახვილ გენერალ-ფელდმარშალს მიაჩნდა, რომ ასეთი პოლიტიკა ხელს შეუწყობდა რუსეთის საბოლოო მიზნის განხორციელებას – საქართველოს სრულ შერწყმას რუსეთის იმპერიასთან. მ. ვორონცოვის დროს აღსდგა ქართული თეატრი, დაარსდა ქართული ჟურნალი „ცისკარი“, გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა. ასეთმა ღონისძიებებმა მას პოპულარობა მოუპოვა, მაგრამ ქართველი ინტელიგენციის გონიერ და პატრიოტულად განწყობილ ნაწილს კარგად ესმოდა, რომ **რუსი მეფისნაცვალი ფარულად ქართულ თვითმყოფად კულტურას ებრძოდა.**

ძველი საგანმანათლებლო ტრადიციების ქვეყანას, სადაც შუა საუკუნეებში მეცნიერებათა აკადემიები (იყალთო, გელათი) არსებობდა, XIX საუკუნეში უმაღლესი სასწავლებელი არ გააჩნდა. იმპერია ყოველნაირად უშლიდა ხელს უმაღლესი სასწავლებლის გახსნას, რათა ქართველი ახალგაზრდობა იძულებული გამხდარიყო, განათლება რუსეთში მიელო. ეს იმპერიის ინტერესებში შედიოდა. ამ გზით **ქართული ეროვნული ცნობიერების დაკნინება უფრო მოსახერხებელი იქნებოდა.** არაერთი ნიჭიერი

ქართველი სამუდამოდ დაიკარგა სამშობლოსთვის და რუსეთის იმპერიის ერთგული მსახური გახდა.

საბედნიეროდ, საქართველოს ყავდა სამშობლოს მოამაგე შვილები, რომელთა გარჯით ჩვენმა ქვეყანამ გაუძლო კოლონიური ცხოვრების მძიმე უღელს. **საქართველომ შეძლო მხარი აება XIX საუკუნის მსოფლიოს, ახალი კულტურული ურთიერთობისათვის. თუ ამ საუკუნის ქართულმა კულტურამ სათანადო მსოფლიო აღიარება ვერ პოვა, ეს კოლონიური ერის ტრაგედიაა, რასაც საკუთარი სახელმწიფოებრიობის უქონლობა განსაზღვრავს.** არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ კოლონიური ქვეყნის კულტურა დანარჩენი მსოფლიოსაგან სულაც იზოლირებული აღმოჩნდეს. და მაინც, XIX საუკუნის საქართველომ შესძლო მსოფლიოსათვის საინტერესო კულტურა შეექმნა.

§ 1. ხალხის მატერიალური და სულიერი ყოფა

XIX საუკუნის განმავლობაში გლეხის ოჯახი საკუთარი მოხმარების სამრეწველო პროდუქციის უმნიშვნელოვანეს ნაწილს თვითონვე, საკუთარი ძალებით ანარმოებდა. შრომის მაღალი კულტურით გამორჩეული ქართველი გლეხი ინტენსიურად ანარმოებდა შინაურ შალს, აბრეშუმს, ტილოს, ბამბის ქსოვილს. XIX საუკუნის დასაწყისიდანვე საქართველოში ვითარდებოდა **ხელოსნობის** ახალი დარგები, დაარსდა სახელოსნო სასწავლებლები, განვითარდა ამქართა ინსტიტუტი. ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა **ვაჭრულ-მევახშურმა** კაპიტალმა. XIX საუკუნის ბოლოს გლეხები უკვე ნაკლებად ენეოდნენ ნედლეულის შინაურულ სამრეწველო გადამუშავებას. ნედლეული უკვე ბაზარზე იყიდებოდა, რამაც, ბუნებრივია, გამოიწვია ბაზრის გაფართოება და მისი მნიშვნელობის გაზრდა. მძიმედ, მაგრამ თანდათან მაინც იკვალავდა გზას კაპიტალიზმი: არსდებოდა ფაბრიკა-ქარხნები, საფუძველი ეცლებოდა ძველ პატრიარქალურ ფეოდალურ ყოფა-ცხოვრებას.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო **სარკინიგზო** მშენებლობა, გამოცოცხლდა **საქალაქო ცხოვრება**, გაიზარდა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში ქალაქების (ტფილისი, ბათუმი, ფოთი, ქუთაისი) როლი. შეიქმნა მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრები. **კაპიტალისტურმა ცხოვრებამ, მოითხოვა ქალაქის იერსახის შეცვლა.** ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გარდამავალი ეპოქის ქალაქი ხასიათდებოდა **ცენტრალური მოედნით**, სადაც განლაგებულია ადმინისტრაციული შენობები, ბაზრები. ქალაქი ხასიათდებოდა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული საცხოვრებელი კვარტლებით. ქალაქის გარეუბნებში გლეხობა სოფლის მეურნეობას მისდევდა.

XIX საუკუნეში საქართველოს სოფლებში გავრცელებული იყო **საცხოვრებელი ბინების** სამი ძირითადი ტიპი. მთის მოსახლეობა (სვანები, ხევსურები, მოხევეები, თუშები) უმეტესად ცხოვრობდნენ სართულებიან **კოშკისებრ** სახლებში, სადაც თავთავიანთი ადგილი ჰქონდათ, როგორც ადამიანებს, ისე პირუტყვს. ცალკე ფართობი იყო გამოყოფილი სამეურნეო იარაღის და პროდუქტის შესანახად. პირველი სართულის დიდი ნაწილი ეჭირა **დარბაზს**, სადაც იდგა **დედაბოძი**. იყო **კერა**, რაზედაც მზადდებოდა საუზმე, სამხარი, სადილი, ვახშამი. კერას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ოჯახის ყოფაში. იმერეთში საშინელებად ითვლებოდა, და დღესაც ითვლება, ასეთი წყევლა „დაგექცა კერია". დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნეში ძირითადად **ოდის** ტიპის სახლები იყო გავრცელებული. ცალკე იდგა **ბეღელი, მარანი, საბძელი, სასიმინდე, ბოსელი.** სასიმინდე შედგებოდა სამი განყოფილებისაგან. სადაც სიმინდი ინახებოდა, იმ ნაწილის კედლები



ქართველი გლეხის კარმიდამო



დასავლურ-ქართული „ოდა"

მოქსოვილი იყო წნელისაგან. აქ სიმინდი ხმებოდა. მიმდებარე სათავსოში, რომელსაც დახვრეტილი იატაკი ჰქონდა, ხის კეტით ცეხვავდნენ სიმინდს. დაცეხვისას მარცვალი ცვიოდა ძირა სათავსოში, რომელსაც **ხულა** ეწოდებოდა. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში საცხოვრებელი სახლის ძირითად სახეობას წარმოადგენდა **ქართული დარბაზი**, ანუ **ერდოიან-გვირგვინიანი სახლი**, რომელიც „მიწური ბანით მომთავრებული და ჰორიზონტალურ დაგეგმარებაში განვითარებული საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსს წარმოადგენდა. კახელი გლეხის საცხოვრებელი XIX საუკუნეში ძირითადად იყო **ერთსართულიანი ქვის სახლი**, რომელსაც მიშენებული ჰქონდა სამეურნეო ნაგებობანი. შეძლებული კახელი **ორსართულიან ქვის** სახლში ცხოვრობდა.

საქართველოში **სატრანსპორტო** საშუალებანი ბუნებრივი პირობების შესაბამისად ვითარდებოდა. ხმარებაში იყო **მარხილი**, რამდენიმე სახის ურემი (ბარის, მთის, ორულლიანი, ცალულელა). გამწევ ძალად გამოიყენებოდა **ხარი, კამეჩი, ცხენი.** XIX საუკუნის დასაწყისიდან ვრცელდება ქართული ყოფისათვის აქამდე უცხო ტრანსპორტი ორთვლიანი „დროშკა", ოთხთვლიანი ეტლები, ცხენის ტრამვაი – „კონკა").

XIX საუკუნემ მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანა ჩაცმულობაში. გავრცელდა ევროპული კოსტიუმი. თუმცა ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი თითქმის საუკუნის დასასრულადე ქართულ ეროვნულ ტანსაცმელს ატარებდა: **ჩოხა, ახალუხი, ნაბადი, ნაბდის ქუდი, ფაფანაკი, ბოხოხი, წურები, ქალამნები, აზიურები, კაბა, ქულაჯა კაცებისათვის, ქართული კაბა, ლეჩაქი, ჩიხტიკოპი, წინდები, ქოშები,** მრავალგვარი სამკაული ქალებისათვის.

ხელუხლებელი დარჩა ქართული **კულინარიული** ხელოვნება, რაც შესანიშნავად წარმოაჩენს ერის კულტურულ რაობას.

ქართველი კაცი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა **ღვინის** დაყენებას. უპირველეს პურად კაცად, სტუმრისადმი კარგი ღვინის მიმრთმევი მასპინძელი ითვლებოდა. **პურადობა** საქართველოში მუდამ უმაღლეს ღირსებად იყო გამოცხადებული, რასაც შესანიშნავად ადასტურებს ხალხური პოეზიის შემდეგი სტრიქონები „პურადი კაცი გულადზე სამი გაფრენით მეტია".

ქართველ კაცს ჯანმრთელობის უპირველეს გარანტიად ყოველთვის მიაჩნდა **ზომიერი კვება, ზომიერი სმა.** იშვიათად ნახავდით ლოთ ადამიანს. ზოგიერთ კერძსა და ღვინოს (უსახელაურს, ალექსანდროულს, საფერავს) სამკურნალოდაც კი იყენებდნენ.

ქართველ ერს მთელი მისი არსებობის მანძილზე მტერთან გამუდმებული ბრძოლა უხდებოდა, რაც, რა თქმა უნდა აუცილებლად მოითხოვდა **სამკურნალო** საშუალებების განვითარებას. ქვეყნის ყველა მხარეში იყვნენ ცალკეული ცნობილი გვარები (თურმანიძეები, ხაბაზები და სხვ.), რომლებიც მოტეხილობის, დამწვრობის თუ ჭრილობის სამკურნალოდ უებარ მალამოებს ამზადებდნენ. XIX საუკუნის საქართველოში თითქმის არ არსებობდნენ მნიშვნელოვანი პროფესიული სამკურნალო დაწესებულებები და ბუნებრივია, რომ ძირითადად მკურნალობის საქმეს ხალხური მედიცინა უძღვებოდა. საინტერესო უნდა იყოს ასეთი სტატისტიკა: XIX საუკუნის დამდეგს საქართველოში სახალხო მედიცინის მიერ დამზადებულ 569 სახეობის წამალს ხმარობდნენ.

ქალაქური ქეიფი

პეტრე უმიკაშვილი



ზაქარია ჭიჭინაძე

დიდი პოპულარობით სარგებლობდა **სპორტის** ეროვნული სახეობანი: **ლახტი, ისინდი, ფარიკაობა, ყაბახი, კრივი, ბურთაობა, ჭიდაობა.**

ქართველი ხალხის ცხოვრებაში ყოველთვის დიდი ადგილი ეჭირა **ლხინს**. საქართველოში საუკუნეთა მანძილზე შეიქმნა გასაოცარი **ცეკვები** და უნიკალური **ქართული მრავალხმიანი სიმღერები**. დიდი ამერიკელი კომპოზიტორი სტრავინსკი ამბობდა: გურული **„კრიმანჭულის“** მსგავსი არაფერი მომისმენიაო. როგორც ცნობილია, ამერიკელებმა კოსმოსში ნაიღეს ქართული სიმღერა „ჩაკრულო“. XIX საუკუნეში **გიტარისა** და **ფორტეპიანოს** გვერდით კვლავ დიდი ყურადღება ექცეოდა ძველ ქართულ მუსიკალურ ინსტრუმენტებს: **სალამურს, ჩონგურს, ფანდურს, ჭიანურს, გუდასტვირს, დოლს, ჩანგს** და სხვ.

ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში ყოველთვის, ყოველ ეპოქაში განსაკუთრებული როლი ეჭირა **ხალხურ პოეზიას**. ქართული ხალხური პოეზიის ზოგიერთი ნიმუში საქართველოს ისტორიის ძვირფას წყაროსაც კი წარმოადგენს. მაგალითად, ლექსში **„ყივჩაღი შემომეყარა“** შესანიშნავად ჩანს ყივჩაღის ბუნება და გარკვეულწილად იგი პასუხობს კითხვას, რას ნიშნავს „ქართლის ცხოვრების“ ცნობა: ძნელად საწვრთნელნი იყვნენ ყივჩაღებიო. ქართული ფოლკლორი მოიცავს ადამიანთა ყოფის, ურთიერთობის, სულიერი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. ქართული ხალხური პოეზია სრულად ადასტურებს დიდი რუსთაველის აზრს: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“. ასეთ შეგონებას ნათელყოფს გენიალური „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“.

XIX საუკუნე ბუნებრივად აგრძელებს ქართული ხალხური პოეზიის დიდ ცხოვრებას. ქართული ფოლკლორის ნიმუშებს აგროვებენ და ბეჭდავენ: **აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, დავით ხიზანიშვილი** და სხვ. XIX საუკუნის ქალაქურმა ფოლკლორმა შემოგვინახა ხელოსან აშუღ პოეტთა სახელები: **იეთიმ გურჯი, ბაჩანა, ჰაზირა, გივიშვილი**; ქალაქური სიმღერების დამკვრელ-შემსრულებლები: **არტემ კუპრიაშვილი, სანო ციცქიშვილი, პავლე მაისურაძე, პეტრე ჩაჩანიძე**. ძველ ტფილისურ სიმღერებს დიდ სიყვარულს უცხადებდნენ: **გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი**. ხალხური პოეზიის ნიმუშებს ბეჭდავდნენ და ავრცელებდნენ: **ზაქარია ჭიჭინაძე, პეტრე უმიკაშვილი, დავით ხიზანიშვილი, რაფიელ ერისთავი** და სხვები. XIX საუკუნის ბევრი ქართველი შემოქმედისათვის ფოლკლორი შთაგონების წყაროდ იქცა.

ახალმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ მოითხოვა ახალი სიტყვების შემოღება, რამაც გაამდიდრა ქართული ენის ლექსიკა, მტკიცდებოდა ახალი ქართული სალიტერატურო ენა.

§ 2. განათლება. მეცნიერება

საქართველოს დაპყრობისთანავე რუსეთის ხელისუფლებამ გააუქმა ქართული ეროვნული სასწავლებლები. დაწყებითი განათლების პრაქტიკული აუცილებლობიდან გამომდინარე, რუსეთის კოლონიური ხელისუფლება იძულებული იყო ჭრრუნა სკოლების გახსნაზე. ტფილისში დაარსდა პირველი **ორკლასიანი დაწყებითი**



ტფილისის სასულიერო სემინარია

სასწავლებელი. მოსწავლეებმა რუსულ ენაზე სწავლა ვერ შეძლეს და სასწავლებელი მალევე დაიხურა. მალე ტფილისში გაიხსნა **კეთილშობილთა სასწავლებელი**. ეს სასწავლებელი თავიდან ორკლასიანი იყო, ხოლო შემდეგ **ექვსკლასიანად** გადაკეთდა. მოგვიანებით კეთილშობილთა სასწავლებლის ბაზაზე დაარსდა **ტფილისის პირველი გიმნაზია**. ეს იყო საქართველოში პირველი ოფიციალური საერო სასწავლებელი. 1850 წელს გიმნაზია **ქუთაისშიც** გაიხსნა, ხოლო ტფილისში პირველ გიმნაზიას მეორეც მიემატა. მეორე გიმნაზიის გახსნამდე ცოტა ადრე ტფილისში დაარსდა **ქალთა პირველი სკოლა-პანსიონი**, რომელიც 1840 წელს **ქალთა ინსტიტუტად** გადაკეთდა. 1830 წელს საქართველოს რამდენიმე მაზრაში გაიხსნა დაწყებითი საერო სკოლები.

რუსეთის ხელისუფლება თავისივე ინტერესებიდან გამომდინარე, შეუდგა საქართველოში სასულიერო განათლების ორგანიზებას. გაიხსნა **ტფილისის მართლმადიდებელთა რუსული სასულიერო სემინარია**. საქართველოს ქალაქებსა და დაბებში (ტფილისში, გორში, თელავში, სენაკსა და სხვ.) გაიხსნა სასულიერო სასწავლებლები. სასულიერო სასწავლებლების დამთავრების შემდეგ შეიძლებოდა სწავლის გაგრძელება ტფილისის სასულიერო სემინარიაში.



მარი ბროსე

საქართველოში უმაღლესი განათლების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია არსებობდა. რუსეთის საიმპერატორო კარი, ცხადია, არ ზრუნავდა საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებაზე. ერთადერთი, რაზეც რუსეთის ხელისუფლება თანმხდებოდა, იყო ტფილისის გიმნაზიის კურსდამთავრებულებისათვის რუსეთის უნივერსიტეტში შესვლის უფლების მიცემა. აღსანიშნავია ისიც, რომ პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში კავკასიელ სტუდენტთათვის ქართული ენის სწავლება შემოიღეს.

განათლების გავრცელების საქმეს ხელს უწყობდა პირველი **საჯარო ბიბლიოთეკის** დაარსება ტფილისში.

ლუარსაბ ბოცვაძე

XIX საუკუნის მეორე ნახევარში განათლების სისტემამ საქართველოში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. **დაწყებითი სახალხო სკოლების** დაარსების უფლება მიეცა ყველა ადგილობრივ ორგანოსა და კერძო პირს. სახალხო სკოლა შეიძლებოდა სხვადასხვა ტიპის ყოფილიყო, მოსწავლეთა მიღება ხდებოდა წოდებათა გაბურჩეულად.

1867 წელს რუსული ენის სწავლების გაფართოებასთან ერთად შემოიღეს ქართული ენის სწავლებაც. მოგვიანებით ქართული ენა მხოლოდ საშუალო სასწავლებელთა პროგიმნაზიულ კლასებში დატოვეს და ისიც არასავალდებულო საგნად. XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგიდან დაიწყო ქართული ენის განდევნა დაწყებითი სკოლებიდანაც. ცნობილი

იაკობ გოგებაშვილი

ქართველი საზოგადო მოღვაწეები და პედაგოგები: **იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ილია ნინამძღვრიშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, ანთიმოზ ჯუღელი, ივანე როსტომაშვილი** და სხვები წინ აღუდგნენ დაწყებითი სკოლის სრულ რუსიფიკაციას, მაგრამ ამაოდ. XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგისათვის ქართული ენა თითქმის საბოლოოდ განიდევნა დაწყებითი სკოლის დაწყებითი პროგრამიდან.

მიუხედავად რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკისა და მრავალი ხელისშემშლელი პირობისა, XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში განათლების ქსელი საგრძნობლად გაფართოვდა. გაიზარდა სკოლების რიცხვი, გარდაიქმნა ძველი და გაიხსნა ახალი სკოლები. გაიზარდა პანსიონების, მუსიკალური და სამხატვრო სკოლების რაოდენობა.

XIX საუკუნის მანძილზე ქართველი ინტელიგენცია არ წყვეტდა ბრძოლას ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის. 1871 წელს ტფილისში უნდა ჩამოსულიყო რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II. გადაწყდა იმპერატორისათვის ეთხოვათ ნებართვა **უნივერსიტეტის** გახსნის შესახებ. მაგრამ მოულოდნელად ეს თხოვნა **კადეტთა კორპუსის** გახსნის მოთხოვნით შეიცვალა. ამას მოწინავე ქართველი საზოგადოების დიდი აღშფოთება მოჰყვა.

ნიკო ცხვედაძე

განათლების სისტემის ჩამოყალიბებაში წარმოუდგენლად დიდია ქართული პედაგოგიკის კლასიკოსი პუბლიცისტისა და საბავშვო მწერლის, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მოღვაწის **იაკობ გოგებაშვილის** (1840-1912) დამსახურება. 1865 წელს გამოვიდა იაკობ გოგებაშვილის **„ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“**, რომელსაც მოჰყვა **„ბუნების კარი“** (1868 წ.) და **„დედა ენა“** (1876 წ.)

განათლების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბებაში დიდია **„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“** წვლილი (1879 წ.).

რუსიფიკატორულ პოლიტიკას წინ აღუდგნენ და განათლების ეროვნული სისტემის დამკვიდრებაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს **იოსებ ოცხელმა, ვასილ ბარნოვმა, სოფრომ მგალობლიშვილმა, მოსე ჯანაშვილმა, თედო ჟორდანიამ, ნიკო ლომოურმა, სილოვან ხუნდაძემ, შიო ჩიტაძემ, თედო რაზიკაშვილმა** და სხვებმა.

საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის არარსებობის გამო ქართველი ახალგაზრდობა უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში მიემგზავრებოდა. ისინი სწავლობდნენ პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, ოდესის, დერპტის (ტარტუს), ვარშავის უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

2. მეცნიერება. XIX საუკუნის პირველი ნახევარი ხასიათდება მეცნიერების დიდი აღმავლობით. **დავით** და **იოანე ბაგრატიონებმა, სოლომონ დოდაშვილმა** და სხვებმა გააგრძელეს წინა თაობის გამოჩენილი ქართველი მეცნიერების ვახუშტი ბაგრატიონის, ანტონ ბაგრატიონისა და სხვათა დაწყებული საქმე.

იოანე ბაგრატიონმა (1772-1830) თხუთმეტი წლის დაუღალავი შრომის შედეგად შექმნა პირველი ქართული მეცნიერული ენციკლოპედია – „კალმასობა“, ასევე ლექსიკოლოგიური, ისტორიოგრაფიული და სხვა ხასიათის ნაშრომები.

დავით ბაგრატიონმა (1767-1819) სამშობლოს ისტორიას მიუძღვნა ნაშრომები: „საქართველოს ისტორია“ და „ახალი ისტორია“.

პლატონ იოსელიანი



თეიმურაზ ბატონიშვილი

მანვე შექმნა ფიზიკის სახელმძღვანელო.

სოლომონ დოდაშვილმა (1805-1836) ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაწერა ფილოსოფიური ხასიათის ნაშრომი „ლოღიკა". მის კალამს ეკუთვნის „შემოკლებული ქართული გრამატიკა", ასევე ქართული წერის დედანი. სოლომონ დოდაშვილი იკვლევდა ქართული ლიტერატურის ისტორიას.

ხასიათის ნაშრომი დაგვიტოვა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, ცნობილმა ქართველოლოგმა **მარი ბროსემ** (1802-1880). მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია „საქართველოს ისტორია". **მარი ბროსემ** **დავით ჩუბინაშვილთან** და **ზაქარია ფალავანდიშვილთან** ერთად 1841 წელს მეორედ გამოსცა **შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი"**.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში იწყებს



დავით ჩუბინაშვილი

დიმიტრი ბაქრაძე

ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრს **თეიმურაზ ბაგრატიონს** (1782-1846). მას ეკუთვნის „ივერიის ისტორია", ასევე გამოკვლევები რუსთველოლოგიის დარგში.

მრავალი ისტორიულ-ფილოლოგიური

მოღვაწეობას პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი ენათმეცნიერი **დავით ჩუბინაშვილი** (1814-1891). შემდგომში გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსები **პლატონ იოსელიანი** (1809-1875) და **სულხან ბარათაშვილიც** (1821-1866) ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ.

ექვთიმე თაყაიშვილი

ივანე თარხნიშვილი

ვასილ პეტრიაშვილი



პეტრე მელიქიშვილი

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის უნივერსიტეტებში სწავლობდა მრავალი ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდა. ცოტა მოგვიანებით მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებაში.



თედო ჟორდანია

ალექსანდრე ხახანაშვილი

XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დამდეგი საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მძლავრი აღმავლობით აღინიშნება.

ფიზიოლოგიური მეცნიერების განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის პროფესორმა და ფიზიოლოგიის კათედრის გამგემ **ივანე თარხნიშვილმა (1846-1908).** აგროქიმიის დარგში შექმნილი გამოკვლევებით გაითქვა სახელი ოდესის უნივერსიტეტის პროფესორმა **ვასილ პეტრიაშვილმა (1845-1908).** ოდესის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა ქიმიის კათედრის გამგე პროფესორი **პეტრე მელიქიშვილი (1850-1927),** რომელიც შემდგომში ტფილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი გახდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველოლოგიურ მეცნიერებათა განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, მრავალი ისტორიულ-ფილოლოგიური ნაშრომის ავტორმა **მარი ბროსემ (1802-1880).** განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი ნაშრომი „საქართველოს ისტორია". პეტერბურგის უნივერ-

ნიკო მარი

ალექსანდრე ცაგარელი

მოსე ჯანაშვილი

სიტეტის აღმოსავლური ენებისა და სიტყვიერების ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის პროფესორმა **დავით ჩუბინაშვილმა (1814-1891)** შეადგინა ქართულ-რუსულ-ფრანგული, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები, ქართული ლიტერატურის ქრესტომათია და ქართული ენის გრამატიკა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობას აგრძელებენ ცნობილი ქართველი ისტორიკოსები **პლატონ იოსელიანი (1809-1875)** და **სულხან ბარათაშვილი (1821-1866)**. პლატონ იოსელიანი ავტორია ცნობილი ნაშრომებისა: „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა", „საქართველოს საეკლესიო ისტორია" და სხვ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი **დიმიტრი ბაქრაძე (1827-1890)**. დიმიტრი ბაქრაძე იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი ნაშრომი „ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან X ს. დასასრულამდე)". **სულხან ბარათაშვილმა** მეცნიერულად შეისწავლა საქართველოს ისტორიის ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა. მან რუსულ ენაზე გამოაქვეყნა განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომი „საქართველოს ისტორია". ეს ნაშრომი ილია ჭავჭავაძის დიდი მოწონებით სარგებლობდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დამდეგს მოღვაწე ისტორიკოსთაგან ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს **ალექსანდრე ცაგარელმა (1844-1929), თედო ურდანიამ (1854-1916), მოსე ჯანაშვილმა (1855-1934), ალექსანდრე ხახანაშვილმა (1862-1911) ექვთიმე თაყაიშვილმა (1863-1953)** და **ნიკო მარმა (1864-1934)**. თედო ურდანია ავტორია კაპიტალური გამოცემისა „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისათვის". ხსენებული გამოცემის სამტომეულში შეივიდა უძვირფასესი მასალა საქართველოს ისტორიისათვის. მოსე ჯანაშვილმა მეცნიერულად დაამუშავა და გამოსცა ძველი ქართული მწერლობის მრავალი ძეგლი. მანვე დაწერა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო. მოსკოვის უნივერსიტეტისა და ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა მრავალი შრომა მიუძღვნა საქართველოს ისტორიის შესწავლას. უაღრესად საყურადღებოა მისი ოთხტომიანი გამოკვლევა „ქართული სიტყვიერების ისტორია". ქართველოლოგიის განვითარებაში საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის უდიდესი წარმომადგენლის ნიკო მარის გამოკვლევებს ქართული ენათმეცნიერების, ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის საკითხებზე.

§ 3. პრესა და პუბლიცისტიკა

პირველი ქართული გაზეთი 1819 წელს დაარსდა. მას ჯერ **„საქართველოს გაზეთი"**, ხოლო შემდეგ **„ქართული გაზეთი"** ეწოდებოდა. პირველი ქართული გაზეთი ყოველკვირეულად გამოდიოდა 1821 წლამდე. „ქართული გაზეთი" ჯერ რუსულად იწერებოდა, ხოლო შემდეგ ქართულად ითარგმნებოდა.

1828-1832 წლებში გამოდიოდა გაზეთი **„ტფილისის უწყებანი"**, რომელიც რუსული „ტიფლისსკიე ვედომოსტის" თარგმანს წარმოადგენდა. „ტფილისის უწყებანის" რედაქტორი სოლომონ დოდაშვილი იყო. 1832 წელს სოლომონ დოდაშვილმა „ტფილისის უწყებანის" დამატების სახით გამოსცა ჟურნალი **„სალიტერატურონი ნანილნი ტფილისის უწყებათანი"**. ეს იყო პირველი ქართული ორგანო, რომელიც თავის შეურყეველ მიზნად ისახავდა ქართული კულტურის სამსახურს. სულ ჟურნალის ხუთი ნომერი გამოვიდა. 1832 წლის შეთქმულებით შეშინებულმა ხელისუფლებამ იგი იმავე წელს დახურა. მომდევნო წლებში იყო ჩანაფიქრი, დაეარსებინათ პერიოდული გამოცემა სათაურით „საქართველოს ფუტკარი", მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. 1838-



N: 1.

1832

ტფილისის უნყებანი



ცისკარი

ქართული

ლიტერატურული ჟურნალი

გამოცემა ი კერესელიძისაგან

ტომი მეორე.

ნომერი.

5.

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში

1859

ცისკარი

1841 წლებში პლატონ იოსელიანი ყოველ-წლიურად ბეჭდავდა ქართულ კალენდარს. 1838 წლიდან ტფილისში გამოდიოდა რუსული გაზეთი **„ზაკავკაზსკი ვესტნიკ“**, რომლის ქართულ თარგმანს პლატონ იოსელიანი 1845 წლიდან გამოსცემდა. 1846 წლიდან გამოსვლა იწყო რუსულმა ყოველკვირეულმა გაზეთმა **„კავ-კაზმა“**, რომელიც მთელი XIX საუკუნის მანძილზე ხელისუფლების ოფიციალურ ორგანოს წარმოადგენდა.

ქართველმა ინტელიგენციამ XIX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ქართული პერიოდული გამოცემის დაარსების შესახებ თხოვნით მიმართა მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს. მეფისნაცვალმა გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით დაკმაყოფილა ეს თხოვნა და 1852 წლის იანვარში **გიორგი ერისთავის** რედაქტორობით კიდეც გამოვიდა ჟურნალი **„ცისკარი“**. ჟურნალს ეკრძალებოდა პოლიტიკური ხასიათის მასალის გამოქვეყნება. იგი ლიტერატურულ ორგანოს წარმოადგენდა. „ცისკარმა“ სულ ორი წელი იარსება – 1853 წლის ბოლოს იგი დაიხურა.

პერიოდული გამოცემების დაარსებასთან ერთად საქართველოში ფეხს იდგამდა პუბლი-ცისტიკა. იმხანად ქართველი პუბლიცისტები ძირითადად რუსულ გაზეთებში მოღვაწეობდნენ, მაგრამ ქართული პუბლიცისტიკაც ნელ-ნელა ვითარდებოდა. ამ ეპოქის პუბლიცისტებიდან უნდა დავასახელოთ გაზეთ „კავკაზის“ თანამშრომლები: **ნიკოლოზ ბერძენიშვილი, გიორგი თუმანიშვილი, დავით ჩუბინაშვილი** და სხვები.

XIX საუკუნის 50-იან წლებში ერთადერთი ქართული გამოცემა იყო ჟურნალი **„ცისკარი“**, რომელიც გიორგი ერისთავმა დააარსა 1852 წელს. 1854 წლიდან „ცისკრის“ გამოცემა შეწყდა. ჟურნალი 1857 წელს აღადგინა და არსებობის ბოლომდე (1875 წ.) რედაქტორობდა **ივანე კერესელიძე**. „ცისკარს“ არ ჰქონია განსაზ-ღვრული პოლიტიკური მიმართულება – იგი ლიტერატურულ ორგანოს წარმოადგენდა. ივანე კერესელიძესთან ერთად „ცისკრის“ ნამყვანი თანამშრომლები იყვნენ: **ლავრენტი არდაზიანი, ალექსანდრე ორბელიანი, დიმიტრი ბაქრაძე, რაფიელ ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი, ანტონ ფურცელაძე**. „ცისკარში“ პირველად დაიბეჭდა დავით გურამიშვილის, იოანე ბაგრატიონის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მხატ-ვრული ნაწარმოებები.



იოანე კერესელიძე

ილია ჭავჭავაძე

1863 წელს **ილია ჭავჭავაძემ** გამოსცა ჟურნალი **„საქართველოს მოამბე“**, რომლის ბეჭდვა იმავე წელს მეთორმეტე ნომერზე შეწყდა. ილია ჭავჭავაძესთან ერთად ჟურნალს დიდი ამაგი დასდეს: კირილე ლორთქიფანიძემ, დავით ყიფიანმა, პეტრე ნაკაშიძემ, გიორგი წერეთელმა,



გაზეთი „ივერია“

სულხან ბარათაშვილმა და სხვ. „საქართველოს მოამბე“ იყო სამოციანელთა (თერგდალეულთა) თაობის პირველი ბეჭდვითი ორგანო.

საქართველოს ახალ ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა გაზეთმა **„ივერიამ“**. გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომერი 1877 წელს გამოვიდა. გაზეთის დამაარსებელი და რედაქტორი **იყო ილია ჭავჭავაძე.** თავდაპირველად „ივერია“ გამოდიოდა ყოველკვირეული გაზეთის, შემდეგ – ყოველთვიური ჟურნალის სახით. საბოლოოდ კი ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა. ილია ჭავჭავაძესთან ერთად „ივერიას“ ქომაგობდა ნიჭიერი პუბლიცისტი სერგეი მესხი, რომელიც ერთხანს გაზეთის თანარედაქტორიც კი იყო. სხვადასხვა დროს „ივერიის“ ძირითადი თანამშრომლები იყვნენ: **გრიგოლ ყიფშიძე, ალექსანდრე ყიფშიძე, სტეფანე ჭრელაშვილი, გიორგი ლასხიშვილი, გიორგი ზდანოვიჩი, კიტა აბაშიძე, ნიკო ხიზანიშვილი, პეტრე უმიკაშვილი** და სხვ. „ივერიაში“ იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავის, ვაჟა-ფშაველას და სხვა გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებები. გაზეთში თანამშრომლობდა იაკობ გოგებაშვილი. **ილია ჭავჭავაძის „ივერია“ საქართველოს უპირველესი გაზეთი, ქართული ეროვნული მოძრაობის უპირველესი ორგანო იყო.** მეოთხედი საუკუნის მანძილზე გაზეთი გეზს აძლევდა მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, განსაზღვრავდა ქართველობისა და საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლის მთავარ მიმართულებას.

დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა გაზეთი **„დროება“** (1866-1885). გაზეთის პირველი რედაქტორი **გიორგი წერეთელი** იყო. შემდეგ გაზეთს რედაქტორობდა **სერგეი მესხი** და ბოლოს – **ივანე მაჩაბელი.** „დროება“ ეროვნული მოძრაობის სამსახურში იდგა და უკანასკნელ ნომრამდე არ უღალატია თავისი დანიშნულებისათვის.

XIX საუკუნის 60-70-იანი წლების გამოცემებიდან უნდა აღინიშნოს **„სასოფლო გაზეთი“**, რომელსაც ჯერ **გიორგი წერეთელი**, ხო-

ნიკო ნიკოლაძე



გიორგი წერეთელი

ლო შემდეგ **პეტრე უმიკაშვილი** რედაქტორობდა.

ქართულ ენაზე გამომავალ გაზეთებთან ერთად ეროვნულ მოძრაობას დიდი სამსახური გაუწიეს რუსულენოვანმა გაზეთებმა – ნიკო ნიკოლაძის **„ობზორმა“** (1878-1880) და გიორგი თუმანიშვილის **„ნოვოე ობოზრენიემ“** (1884-1897).

ქართული პერიოდული გამოცემების ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება გაზეთ **„კვალის“** (1893 წ.), ჟურნალ **„მოამბისა“** (1894 წ.) და გაზეთ **„ცნობის ფურცლის“** (1896 წ.) გამოცემით. გაზეთი **„კვალი“** გიორგი წერეთელმა დააარსა და მოგვიანებით „მესამე დასს“ – ქართველ სოციალ-დემოკრატებს – გადასცა. რაც შეეხება გაზეთ „ცნობის ფურცელს“, იგი ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანოდ იქცა.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში გამოსვლას იწყებენ პირველი ქართული საბავშვო ჟურნალები **„ნობათი“** და **„ჯეჯილი“**.

ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემასთან ერთად ფეხს იდგამდა ქართული პუბლიცისტიკა. ქართული პუბლიცისტიკის სათავეებთან იდგნენ და მისი განვითარების გზები **განსაზღვრეს ილია ჭავჭავაძემ, ივანე კერესელიძემ, ნიკო ნიკოლაძემ, გიორგი წერეთელმა, სერგეი მესხმა** და მათ ტრადიციებზე აღზრდილმა პუბლიცისტთა მთელმა თაობამ, რომლებიც „ივერიაში“, „დროებაში“, „კვალში“, „ცნობის ფურცელსა“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში მოღვაწეობდნენ.

§ 4. ლიტერატურა

XIX საუკუნის ქართველ მწერლებს, სწავლულებს, მოღვაწეებს, ჭეშმარიტებად მიაჩნდათ და სწამდათ დევიზი: **„განათლება გვანიჭებს თავისუფლებას“**. განათლებას კი უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურა იძლევა. ამიტომ ამბობდა **„ჩვენი გონებითი მოძრაობის დედაბოძი“** ილია ჭავჭავაძე: „ლიტერატურა ხალხის ჭკუა, ხალხის გონება, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია“. განათლებულ ქართველ მოღვაწეებს შესანიშნავად ესმოდათ, რომ ეროვნული მოძრაობის განვითარების გზა იყო იმის შეგნება, რომ საზოგადოების უპირველეს საზრუნავს **ეროვნული თავისუფლების** მოპოვება წარმოადგენდა. ასეთი აზრის განმტკიცებას კი ყოველთვის წინამძღოლობს მწერლობა, რომლის ყველაზე დიდი მოვალეობაა თავისი დროის **საზოგადოებრივი ზნეობის** გაუმჯობესება, რაც უპირველესად სამშობლოს სამსახურში უანგაროდ დგომას გულისხმობს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ **XIX საუკუნის საქართველომ ქართულ მწერლობას უდიდესი მისია დააკისრა**, რამაც გარკვეულად გამოიწვია ამ ასწლეულის შესანიშნავი ლიტერატურის დაბადება. საერთოდ, XIX საუკუნეს ახასიათებს ინდივიდუალური თავისებურებანი, რამაც განაპირობა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში **დიდი ლიტერატურის** წარმოშობა.

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურული ცხოვრების თვალსაჩინო წარმომადგენლები კარგად იცნობდნენ ევროპულ განმანათლებლურ იდეებს. გარდამავალი ხანის ქართველ მწერალთა უმრავლესობას რუსეთში მოუხდა ცხოვრება. ბაგრატიონთა გვარის პოეტები რუსეთის მთავრობამ სამშობლოდან გაასახლა. ზოგიერთმა მათგანმა მხატვრულად აღწერა უცხო გარემოში ცხოვრების ეპიზოდები. XIX საუკუნის პირველი ნახევრის მწერლობაში მნიშვნელოვანი სახელებია: **დავით ბატონიშვილი (1767-1819)**, რომელიც მხატვრულად ასახავს საუკუნის პირველი ათწლეულის საყურადღებო მოვლენებს. თელავის სემინარიის რექტორს **დავით ალექსიშვილს** XIX საუკუნის 20-იან წლებში შეუდგენია ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგიები. **დიმიტრი ბაგრატიონს (1746-1820)** დაუწერია „დიმიტრიანი“, აგრეთვე გამოუცია პოემა „ქეთევანიანი“. XVIII საუკუნის დასასრულს და XIX საუკუნის დასაწყისში ერთმანეთს შეხვდა **ძველი და ახალი ქართული ლიტერატურა**. სწორედ ამ პერიოდის მწერლობას ეწოდება **გარდამავალი პერიოდის მწერლობა**.

გარდამავალ პერიოდში მოღვაწეობდა შემოქმედებით ასპარეზზე **იოანე იაღლუზისძე (1770-1830), ნიკო დადიანი (1761-1834), პეტრე ლარაძე (გარდაიცვალა 1837 წ.), მარიამ ბატონიშვილი (1767-1834), თეიმურაზ ბატონიშვილი (1782-1846), გიორგი ავა-**

რუსეთის იმპერია (დასავლეთი ნაწილი) 1905 წელს


© ბონდო ეფსტათიძე, 2004
ტფილისი
ბაკური
ბორჯომი
ბათუმი
ფოთი
ზუგდიდი
ოზურგეთი
ახალციხე
ახალქალაქი
ელენოვკა
ალექსანდროვკა
ეკატერინოვკა
ეკატერინოდარი
ეკატერინოსლავი
ეკატერინენფელდი
ეკატერინენშტადტი
ეკატერინენფელდი
ეკატერინენშტადტ
ეკატერინენფელდ
ეკატერინენშტადტ
ეკატერინენფელ
ეკატერინენშტ
ეკატერინენ
ეკ
ეკ
ეკ

ლიშვილი (1760-1850). გარდამავალ ხანაში შესამჩნევად ვითარდება დრამატურგია, ეპოსი და ლირიკა. ეპოსი გვაძლევს ცნობილ ქვეჟანრებს: რომანს, საისტორიო პოემებს, დიდაქტიკურ და სათავგადასავლო თხზულებებს.

XIX საუკუნის მწერლები ფართოდ იყენებდნენ **ქართული ხალხური შემოქმედების** ნიმუშებს. გაძლიერდა **მთარგმნელობითი** შემოქმედება. ითარგმნებოდა რუსულიდან ქართულად და პირიქით. გარდამავალი ხანის მწერლებს უთარგმნიათ: **ალექსანდრე სუმაროკოვი, ალექსანდრე პუშკინი, ვასილ ჟუკოვსკი** და სხვ. ითარგმნებოდა **რენესანსისა** და **განმანათლებელთა** ეპოქის ევროპელ მწერალთა შემოქმედება: **ვოლტერი, მონტესკიე,** ასევე **გერმანელი** და **ინგლისელი** მწერლები. მთარგმნელობით შემოქმედებას ეწეოდნენ: **დავით ბატონიშვილი, გიორგი ავალიშვილი, დავით ჩოლოყაშვილი, იასე გარსევანიშვილი, იოანე ბატონიშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე** და სხვ.

XIX საუკუნეში მოღვაწეობდნენ ხალხური შემოქმედებით შთაგონებული აშუღები: **შამჩი მელქო, სტეფანე ფერშანგიშვილი, იოსებ ამირიძე** და სხვები.

მემუარული თხზულებები დაგვიტოვეს: **გაბრიელ რატიშვილმა, ნიკოლოზ ონიკაშვილმა, გრიგოლ ბატონიშვილმა, გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელმა, რაფიელ დანიბეგაშვილმა, გიორგი ავალიშვილმა, თეიმურაზ ბატონიშვილმა.**

სამოგზაურო თხზულებათა შინაარსს, უმთავრესად, რუსეთისა და ევროპის ცხოვრების ასახვა შეადგენდა.

ქართული დრამატურგიის მამამთავრად და კლასიციზმტური პიესების პირველ ქართველ მთარგმნელად ითვლება **გიორგი ავალიშვილი (1769-1850).** ამ პატივს დიდხანს მიაწერდნენ გიორგი ერისთავს, რომელიც ახალი XIX საუკუნის ქართული თეატრისა და დრამატურგიის აღმდგენად და ამღორძინებლად უნდა მივიჩნიოთ. გიორგი ავალიშვილმა გარდა მშობლიურისა იცოდა რუსული, სომხური და გერმანული ენები. სწორედ გიორგი ავალიშვილმა გააცნო ქართველ მკითხველს ვოლტერის რომანი, შოტლანდიური ხალხური სიმღერები და სხვ.

1808 წელს რუსეთის განათლების სამინისტროში **გოდერძი ფირალიშვილს** გამოსაცემად წარუდგენია ტრაგედიად გადაკეთებული **„ვეფხისტყაოსანი“**, რომელიც დაუწუნებიათ და არ გამოცემულა. სამაგიეროდ, 1820 წელს დაბეჭდილა ამავე ავტორის **„თვითმასნავლებელი“**. ამ წიგნში ჩართულია **„ერეკლე მეორის გლოვა თუშ-ფშავ-ხევსურთაგან“**. გოდერძი ფირალიშვილს ეკუთვნის მცირე ზომის ლექსები და რუსულიდან თარგმნილი ათამდე ნაწარმოები.

დავით ალექსიშვილმა (დავით რექტორმა) დაგვიტოვა მნიშვნელოვანი პოეტური მემკვიდრეობა, შეავსო სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას, წერდა სახოტბო ლექსებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია **„ქება თამარ მეფისა“**. დავით ალექსიშვილი თელავის სემინარიაში ასწავლიდა დეკლამაციას.

ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც პოეზიაში რომანტიკული განწყობილება გამოამეღავნა არის **ელიზბარ ერისთავი**, რომელსაც ეკუთვნის მუხამბაზები: **„ვაი, ეს დრონი“** და **„ვემონე მას“**.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში მკვიდრი ადგილი უჭირავს **პეტრე ლარაძეს**, რომელიც ცნობილია ფსევდონიმებით: **„ყარიბი“, „ეგრისელი“, „არტანუჯელი“**. იგი ლექსად მიწერ-მოწერას ანარმოებდა თეიმურაზ, იოანე, დავით, თეკლე და სხვა ბატონიშვილებთან. პეტრე ლარაძემ გარკვეული სიტყვა თქვა რომანტიკულ ეპოსშიც („დილარიანი“, „სახე-მგოსანი“).

დავით ბატონიშვილი (1767-1819) ქართველ ვოლტერიანთა თაობის პირველი წარმომადგენელია, რომელსაც ეკუთვნის ვოლტერის ნაწარმოებთა თარგმანები. მანვე დაწერა ფრიად საინტერესო შრომები: **„ნარკვევი“, „საქართველოს მოკლე ისტორია“, „ახალი ისტორია“**, თარგმნა **მონტესკიეს** ოერიდიული ნაშრომი **„გულისხმიყოფისათვის სჯულისა“ („კანონების არსი“).** დავით ბატონიშვილი სატირის ჟანრშიც მოღვაწეობდა („ლომნი კაცურად გარბიან“, „სატირა ქართველებზე“, „რა იქნება ჩვენ ვიყვეთ სენატორი“). მის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სატრფიალო ლირიკას („ესე ხელხება მომენება“, „გულს ასხივე შენი დისკო“, „თეჯლისი – რა

მთოვარი დამესხა თვალნინ").

საინტერესოა **გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელის** (დაიბადა 1792 წ.) ლიტერატურული შემოქმედება. იგი იყო შვილი ერეკლე მეფის ასულის ქეთევანისა და იოანე ბაგრატიონ-მუხრანელისა (ეს ის იოანეა, რომელმაც ხელი მოაწერა 1783 წელს დადებულ გეორგიევსკის ტრაქტატს). გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელის კალამს ეკუთვნის საყურადღებო სათავგადასავლო პოემა **„გრიგოლიანი", „მოთხრობა ივერიისათვის"**, რომელიც შეიცავს ამბებს ფარნავაზის დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე.

გრიგოლ ბაგრატიონს (ბატონიშვილს) (1789-1830) ეკუთვნის სათავგადასავლო პოემა, სადაც უმთავრესად მოთხრობილია ბაგრატიონთა გვარის ისტორიის შესახებ. გრიგოლ ბატონიშვილს შეუდგენია ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია, სადაც მისი ლექსებიც არის შეტანილი.

გაბრიელ რატიშვილს (1770-1825), რომელიც იოანე ბატონიშვილს ახლდა რუსეთში, დაუწერია საყურადღებო ნაწარმოები **„მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა"**. მასში აღწერილია XVIII საუკუნის რუსეთის ცხოვრება. ამ თხზულების ხელნაწერში ავტორს თავისი ლექსებიც შეუტანია. გაბრიელ რატიშვილს ეკუთვნის მრავალი სამეჯნურო და სახოტბო ლექსი.

ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1846) ქართული რომანტიზმის პირველ დიდ წარმომადგენლად გვევლინება. ლექსების წერა მან ადრეულ სიჭაბუკეში დაიწყო. ალექსანდრე ჭავჭავაძემ შექმნა რომანტიზმისათვის დამახასიათებელი მსოფლიო სევდის გამომხატველი მრავალი ლირიკული ლექსი. მისი პოეზიისათვის უცხო არც სიცოცხლით ტკბობის გამოწვეული სიხარულია. ზოგიერთი სანადიმო თუ სატრფიალო ლექსი („მუხამბაზი-ლათაიური", „სიყვარულო ძალსა შენსა") ახალი ქართული ლირიკის მშვენებაა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში ნათლად ჩანს ეროვნული და სოციალური უსამართლობით გულშეძრული პოეტის, მოქალაქის, ადამიანის დიდი სევდა და წუხილი („ვაჰ სოფელსა ამას"), მისი პატრიოტული ლირიკა მუდამ დაიმსახურებს ქართველი საზოგადოებრიობის დიდ ყურადღებას.

ალექსანდრე ჭავჭავაძე

ქართული რომანტიზმის ჭეშმარიტად დიდი წარმომადგენელია **გრიგოლ ორბელიანი (1804-1883)**. „მაღალი ნიჭით ცხებული" პატრიოტი პოეტი. გრიგოლ ორბელიანის ლექსებში ნათლად ჩანს მარადიული ოცნება თავისუფალ სამშობლოზე. იგი ნატრობს იმ დროს **„როს აქვნდათ ტრფობა მამულისადმი გულს აღბეჭდილი"** და პროტესტს უცხადებს ქართული სამოქალაქო ცხოვრების რეალობას, ქვეყნის კოლონიურ ყოფას, რასაც ასე გადმოგვცემს: „შორით მოსული ჩემს მამულში მყვდრის ცხოვრებას, მოყვრულად გვმტერობს, გვიტაცებს ყოველს, გვიქმს ალერსობას": **„თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რაღა გვახარებს"**.

გრიგოლ ორბელიანს თაყვანისცემის საგნად უპირველესად ნიჭი და ღირსება მიაჩნდა („მიეცით ნიჭსა გზა ფართო თაყვანისცემა ღირსებას, ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას"). ახალ ქართულ პოეზიაში გრიგოლ ორბელიანი იყო პირველი პოეტი, რომელმაც მკვეთრად გაილაშქრა იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სასტიკი კოლონიური მმართველობის წინააღმდეგ, მაგრამ შემდგომში რეალობით დათრგუნული გენერალი ორბელიანი რუსეთის იმპერიის ერთგული მოხელის როლში მოგვევლინა. მას მიაჩნდა, რომ ასე უფრო წაადგებოდა თავისი სამშობლოს გაჭირვებას.

გრიგოლ ორბელიანი

ერთი, გარკვევით შეიძლება ითქვას: **გრიგოლ ორბელიანის შესანიშნავი შემოქმედება ქართული ლიტერატურის ძვირფასი საუნჯეა.**

ქართული პოეტური რომანტიზმის ისტორია არ იცნობს უფრო დიდ სახელს, ვიდრე **ნიკოლოზ ბარათაშვილია (1817-1845)**. ნიკოლოზ ბარათაშვილი არავის ბაძავს. მისი მშვენიერი ლექსები ბრძნულად აზროვნების მაგალითია. ეს არ არის მხოლოდ მუსიკა, მხოლოდ რითმი, ეს არის გონების საზრდო, რომელიც ყოველდღიურობაში სასნაულს გვიჩვენებს. ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართულ პოეზიაში სრულიად ახალი მოვლენაა, მაგრამ მისი გამოჩენა არ იყო მოულოდნელი და უცნაური. **ნიკოლოზ**

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ბარათაშვილი მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის კანონიერი და ღირსეული შვილია.

ნიკოლოზ ბარათაშვილთან რომანტიზმი არ არის მხოლოდ სტილი, იგი მდიდარი მსოფლმხედველობაა. თუ ცხოვრება ადამიანს არ აძლევს მისი შემოქმედებისათვის შესაფერის პირობებს, პოეტის აზრით, ასეთი ადამიანი „ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო“ პიროვნებად გადაიქცევა, კარგავს რწმენას, სიმშვიდეს, რაც უდიდესი ტრაგედიაა, რადგან „ძნელი არის მარტოობა სულისა“. მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდი ძალაც იმაშია, რომ მუდამ ეძიებს გზებს თავი დააღწიოს მარტოობას, უიმედობას („არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“).

ნიკოლოზ ბარათაშვილმა ბუნების პოეტურ განცდას ახალი სიმაღლე მიუჩინა. მან არაჩვეულებრივი ინტიმი შესძინა ბუნებასთან ურთიერთობას („ვინ იცის მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი“).

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს სიყვარულის თემას, რომელიც მას წარმოდგენილი აქვს მხოლოდ რომანტიკული გაგებით. მისთვის უცხოა აღმოსავლური პოეზიისათვის დამახასიათებელი შიშველი ენება. პოეტი უმღერის ქალის სულიერ სიმშვენიერეს:

„თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს
მას ვერც შემოხვევა და ვერც ხანი ვერ დაბერებს“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი არ არის ბედის მორჩილი პოეტი, იგი თავისუფლებისათვის მებრძოლი შემოქმედია:

„გასწი გაფრინდი ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამზღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც ან ემონოს შენი მერანი“.

(„მერანი“)

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში დიდი ადგილი დაეთმო ეროვნულ პრობლემას: („სუმბული და მწირი“, „ბედი ქართლისა“).

მისი პოეზიის ენა საკმაოდ დასცილდა ძველ ქართულს და გზა გაუხსნა **ახალი ქართულ სალიტერატურო ენის განვითარებას.** მან უხილავი ხელშესახები გახადა, მის შემოქმედებაში სასნაულებრივი პოეტური მახვილგონიერება ანათებს. გენიალური პოეტი 28 წლისა გარდაიცვალა. თანამედროვე მკითხველისათვის ცნობილია ნიკოლოზ ბარათაშვილის 36 ლექსი და ერთი პოემა – **„ბედი ქართლისა“**. საკითხის ყოველმხრივი შესწავლის შედეგად ირკვევა დიდად სამწუხარო, საკალალო ფაქტი: ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობა სრულად არ მოღწეულა.

პოეტმა, დრამატურგმა, ეთნოგრაფმა **რაფიელ ერისთავმა (1824-1900)** სამწერლო მოღვაწეობა XIX საუკუნის 50-იანი წლების დამდეგს დაიწყო. მისი პირველი ლექსები, რომლებიც 1852 წელს გამოქვეყნდა, ლირიკის ჟანრს

რაფიელ ერისთავი

მიეკუთვნება. 1855-1857 წლებშია დაწერილი პოეტის სოციალური შინაარსის ნაწარმოებები („ბეჩავი", „ნინო", „მთხოვნელი მსაჯულისადმი", „მთხოვარა გლახაკი"). წარმოდგენილ ლექსებში პოეტი პროტესტს უცხადებს არსებულ წყობილებას და თანაუგრძნობს მშრომელ ადამიანებს. რაფიელ ერისთავი დემოკრატი მწერალია, იგი **კრიტიკული რეალიზმის** სათავეებთან დგას.

განსაკუთრებით საყურადღებოა რაფიელ ერისთავის პატრიოტული ლირიკა („სამშობლო ხევსურისა", „ნეტა რას სტირი, დედილო", „რას ერჩი მაგ ბიჭს, თათარო?", „რაზე მიწყრები, ყვენო", „კაცი ის არის").

რაფიელ ერისთავი ფლობდა დიდებულ პოეტურ ნიჭს, მან შეძლო უკვდავი სტრიქონები მიეძღვნა სამშობლოსათვის:

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედ,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედ".

(„სამშობლო ხევსურისა")

ლავრენტი არდაზიანი (1815-1870) ის შესანიშნავი მწერალია, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში პირველმა შექმნა ტიპიური სოციალური რომანები: **„სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი"** და **„მორჩილი"**. პირველი რომანის თემაა სავაჭრო ბურჟუაზიის წარმოშობა და განვითარება. მეორეში ნაჩვენებია თავადაზნაურობის გადაგვარების პროცესი. მწერალს მომავალი წარმოდგენილი აქვს: სრულყოფილი ვაჭრობით, განათლებული თავადაზნაურობით, შეძლებულ მდაბიოთა საზოგადოებით.

დანიელ ჭონქაძის (1830-1860) ერთადერთი საყურადღებო ნაწარმოებია **„სურამის ციხე"**. მასში ავტორმა, ქართველ მწერალთა შორის პირველმა, დაასაბუთა ბატონყმობის გაუქმების აუცილებლობა. „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლება" – წერდა დანიელ ჭონქაძე. „სურამის ციხე" 1860 წელსვე სწრაფად გავრცელდა, მაგრამ მისი შეფასება მხოლოდ 1863 წლიდან იწყეს კონსერვატორებმა (ა. ორბელიანი) და დემოკრატებმაც (ა. ფურცელაძე). 1860 წელს გარდაცვლილი დანიელ ჭონქაძეც საჯაროდ, პრესაში მხოლოდ 1863 წელს დაიტირეს. ეს ის დროა, როცა



ილია ჭავჭავაძე

ბატონყმობა რუსეთში უკვე გაუქმებულია და, ბუნებრივია, „სურამის ციხე" უფრო პოპულარული გახდა. დანიელ ჭონქაძე იყო ქართული კრიტიკული რეალიზმის პირველი ეტაპის უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი.

ილია ჭავჭავაძე (1837-1907). XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ ტიციან ტაბიძე წერდა: **„ამ დიდი ეპოპეის მთავარი მბრძანებელი იყო ილია ჭავჭავაძე"**. ილიას მისმა თანამედროვე მოღვაწემ, ნიკო ურბნელმა **„ჩვენი გონებითი მოძრაობის დედაბოძი"** უწოდა. ეს ორი შეფასება არ არის მხოლოდ სახოტბო სიტყვის ხელოვნება, რასაც სრულად ადასტურებს იაკობ გოგებაშვილის ასეთი განცხადება: **„იქნებ არც ერთს მსოფლიო გენიოსს არ ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამდენიც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსთვის"**.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის გაცნობა ნათელს ხდის, რომ მისი ინტერესების სფერო ფრიად მრავალმხრივია: პოეზია, პუბლიცისტიკა, ისტორია, ენათმეცნიერება, მეცნიერება, იურისპრუდენცია, გეოგრაფია, პოლიტიკური ეკონომიკა, თეატრი, დრამატურგია, ესთეტიკა, სოფლის მეურნეობა, სწავლა-აღზრდის პრობლემები. ილიამ საფუძველი ჩაუყარა ხელოვნების თეორიას, სალიტერატურო კრიტიკას, ლიტერატურის მეცნიერულ ისტორიას.

ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება აღმოცენდა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ მისივე თეორიების საფუძველზე. ილია ჭავჭავაძემ თავისი ცხოვრების აზრი წარმოაჩინა ლექსში „პოეტი", სადაც იგი წერს:

„მე ცა მნიშვნავს და ერი მზრდის მინიერი ზეციურსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ რომ, წარუძღვე წინა ერსა..."

ეს არ არის პატივმოყვარე, გულზვიადი შემოქმედის განცხადება. პოეტმა, მოაზროვნემ, მამულიშვილმა, დიდმა ილიამ იმთავითვე იგრძნო პასუხისმგებლობა და მოვალეობა თავისი სამშობლოსა და ერის წინაშე. ილიას მართებული აზრით ადამიანის უპირველესი მოვალეობაა ემსახუროს თავის ხალხს. ლექსში „იანიჩარი" მისი სამშობლოს მტრის ომში მეომარ უებრო „ევერიელ" ვაუკაცს ილია ასე მიმართავს:

„შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველს ოსმალეთსა?"

ეს ილიასეული სიბრძნე მარადიულია. მისი დავიწყება მომაკვდინებელი დანაშაულია.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, იმას, რომ ილიამ უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიის შესწავლაში ნათელყოფს თუნდაც მხოლოდ: **„ქვათა ღაღადი"** და **„აი ისტორია"**. ილია ჭავჭავაძე ყოველი ღონით უწყობდა ხელს საქართველოს ისტორიის კვლევით დაინტერესებულ მოღვაწეთ, მაგალითად: სულხან ბარათაშვილის წიგნის „საქართველოს ისტორიის" აღიარება ილიას ხელდასმით დაიწყო. ეს შრომა ილიამ რუსულიდან თარგმნა და მისი დიდი ნაწილი თავის მიერ გამოცემულ ჟურნალ „საქართველოს მოამბის" 1963 წლის ნომრებში გამოაქვეყნა.

ილიას მთელი არსებით სძულდა თვითმპყრობელური კოლონიალიზმი, ასეთმა განწყობილებამ დაბადა მისი „პოლიტიკური ლირიკის" ისეთი შედევრი, როგორიცაა **„მესმის, მესმის"**.

ილია ჭავჭავაძე ლიტერატურის პროფესიონალი კრიტიკოსი იყო. არც ერთ ქართველ მწერალს არ უთქვამს თავისი ხალხისათვის იმდენი მწარე სიმართლე, როგორც ილიას. საქართველოს კულტურის ისტორიას არ ახსოვს უფრო მედგარი და გონიერი წინამძღოლი, ვიდრე ილია იყო.

XIX საუკუნის საქართველო თავისუფლებისათვის მებრძოლ, თავდადებულ ქვეყნად გვევლინება. **ილია ჭავჭავაძის ძლევამოსილმა გონებამ მოახერხა ეროვნული თვითშეგნება სარნმუნოების რანგში აეყვანა.** ილიამ შეძლო დაუფლებოდა დროს და ეს იყო მისთვის გამოტანილი საშინელი განაჩენის მიზეზი. ილია ჭავჭავაძის დიდი სიცოცხლე მოწამებრივი სიკვდილით დასრულდა. იგი ეპოქამ შეიწირა საქართველოს მტერ ქართველთა ხელით. აკაკი წერეთელმა ილიას მკვლელობა საქართველოს ბედისწერად გამოაცხადა და ერს ასე მიუსამძიმრა:

„ნუ მინამლავთ მოხუცს გრძნობებს
და ნუ ამბობთ, რაც არ მჯერა,
ნუთუ მართლა დღეს გადანყდა
საქართველოს ბედისწერა".

ძნელია უფრო სრულად შეაფასო და იგლოვო!

აკაკი წერეთელი (1840-1915). აკაკი წერეთლის შემოქმედების, ფიქრის, სიყვარულის, ოცნების და მუზის საგანი იყო სამშობლო. მან უპირველეს სათნოებად მამულისათვის **„სულის შეწირვა"** გამოაცხადა.

დიდი პოეტის მრავალმხრივმა შემოქმედებითმა ნიჭმა სძლია აზრის მხატვრულად გადმოცემის ყოველგვარ სიძნელეს. არ დარჩენილა სალიტერატურო ჟანრის თითქმის არცერთი დარგი (ლირიკა, დრამატურგია, მხატვრული პროზა, პუბლიცისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა, ხალხური ზეპირსიტყვიერება), სადაც აკაკის მყარი ღირსებებით სავსე ორიგინალური სიტყვა არ ეთქვას.

აკაკი წერეთლის შემოქმედებაში მთავარი ადგილი ლირიკას უჭირავს. ეს ჟანრი ქართულ პოეზიაში დიდმნიშვნელოვანი ტრადიციით ხასიათდება. ბრწყინვალე ლირიკოსმა აკაკი წერეთელმა შეძლო აქამდე არნახული პოეტური სინათლე მიენიჭებინა XIX საუკუნის ახალი ქართული ლირიკისათვის. აკაკის ლირიკული ლექსის მთავარი თემა სამშობლოა:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!"



აკაკი წერეთელი

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აკაკი წერეთლის პოემები. შეიძლება ითქვას, რომ აკაკი ქართული ეპიკური პოეზიის რეფორმატორია. მისი პოემები ისტორიულ-გმირული ეპოსის ხასიათს ატარებენ. ამ მხრივ დიდმნიშვნელოვანი ქმნილებებია: **„ბაგრატ დიდი“, „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“, „კიკოლას ნაამბობი“**. ცალკე ყურადღების ღირსია **„გამზრდელი“**. პოემის ლეიტმოტივია გამზრდელსა და გაზრდილს შორის ტრაგიკული ურთიერთობა.

აკაკი წერეთელი ახალი ქართული პროზის დიდოსტატია. მან ლიტერატურის ეს ჟანრიც განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა. დღემდე პატრიოტული პროზის ძვირფას ნიმუშად რჩება **„ბაში-აჩუკი“**. შესანიშნავი მოთხრობებია: **„ვარდი და ეკალი“, „სოფელ ალის აოხრება“, „ორი სიზმარი“, „ჩემი თავგადასავალი“, „გოგია მეჩონგურე“, „ძველი ჩინოვნიკის აღსარება“** და ბევრი სხვა.

აკაკი წერეთლის მაძიებელ გონებას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული თეატრის აღდგენასა და განვითარებაში. იგი იყო შესანიშნავი დრამატურგი. იგი იყო ძვირფასი პიესების ავტორი („თამარ ცბიერი“, „პატარა კახი“, „მედეა“), რეჟისორი, რომელსაც გააჩნდა ჩამოყალიბებული ორიგინალური თეორია სასცენო ხელოვნების შესახებ. აკაკის რიგი დრამატული ნანარმოებების კომიკურ ჟანრს განეკუთვნება: („ძველსა და ახალს შუა“, „კინტო“).

აკაკი წერეთელი იყო ახალი სალიტერატურო ენის სულისჩამდგმელი. ნიკო ნიკოლაძე წერს: აკაკის „ლექსების ენა განირჩეოდა წმინდა, ხალხური კილოს მანამდე გამოუცდელი სიმშვენიერითა და სიმსუბუქით“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აკაკი წერეთლის და ილია ჭავჭავაძის მარადიულად სამაგალითო ურთიერთობა, რისთვისაც მუდამ ერის სამსახურში მდგომ ორ დიდ მამულიშვილს არასოდეს უღალატნიათ. ერთმანეთის პატივისცემა მათთვის არასოდეს ყოფილა მხოლოდ ადამიანური მოვალეობის უბრალო ეთიკა. მათ დარბაისლურ ურთიერთდამოკიდებულებაში მუდამ იგულისხმებოდა სამშობლოს ერთგულთა თანადგომის და ერთიანობის თემა. ილია და აკაკი არ ყოფილან ახლო მეგობრები, მაგრამ მათი განსაკუთრებულად დელიკატური



დავით კლდიაშვილი

ურთიერთობა არასოდეს გაბზარულა, რადგან ორივესათვის უპირველესი იყო: **„ჩემი ხატია სამშობლო“**.

აკაკის პოეზია სცილდება საკუთრივ პოეზიის საზღვრებს, მისი კვლევა დიდ გულისხმევას მოითხოვს. გალაკტიონ ტაბიძეს უთქვამს: **„აკაკი რომ არა, ქართული პოეზია დღემდე ენაბლუ იქნებოდაო“**.

დავით კლდიაშვილი (1862-1931) ქართულ ლიტერატურაში აგრძელებს კლასიკური რეალიზმის ხაზს. მისი შემოქმედების მთავარი თემა იმერეთის გაღარიბებულ წვრილ აზნაურთა უსასოო არსებობაა. მწერლის მახვილმა თვალმა კარგად დაინახა გაღატაკებულ აზნაურთა უსაგნო თავმოყვარეობა და ყოფის ტრაგიკული მდგომარეობა. **განსაკუთრებული ნიჭის დიდმა მწერალმა, ნაზი იუმორით და დიდი ტკივილით დახატა იმერეთის „შემოდგომის აზნაურთა“ რეალური მდგომარეობა, მათი უმომავლო არსებობა.** ასეთი სიმართლის დადასტურებას წარმოადგენენ მწერლის შესანიშნავი მოთხრობები: **„სოლომონ მორბელაძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაჭირვება“**, პიესები **„ირინეს ქორწინება“, „დარისპანის გასაჭირი“** და სხვ.

ალექსანდრე ყაზბეგი (1848-1893)

ალექსანდრე ყაზბეგი

ქართული კრიტიკული რეალიზმის შესანიშნავი წარმომადგენელია. მისი პირველი მოთხრობა **„ციცკა“** დაიბეჭდა 1880 წელს, 1881 წელს კი დროებაში გამოქვეყნდა **„ელგუჯა“**, რომელმაც ავტორს სწრაფად მოუპოვა დიდი მწერლის სახელი. ალექსანდრე ყაზბეგის შემდგომი ნაწარმოებებია: **„ელისო“, „მამის მკვლელი“, „განკიცხული“, „ხევისბერი გოჩა“, „მოძღვარი“.**

ალექსანდრე ყაზბეგმა შეძლო დიდი მხატვრული ძალით წარმოედგინა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ავ-კარგი, ადათები, წესები, ჩვევები, კოლონიური ყოფის აუტანელი პირობები და ბრძოლა რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ.

ალექსანდრე ყაზბეგის კალამს ეკუთვნის პიესები: **„ერთი უბედურთაგანი“, „არსენა“, „წამება ქეთევან დედოფლისა“.**

ალექსანდრე ყაზბეგის მწერლობის უპირველესი მიზანი იყო ადამიანთა ზნეობის გაუმჯობესება, ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის, ტრადიციების, ერთგულების განმტკიცება. მწერალმა შესძლო ახალი სახეებით, იდეებით, პერსპექტივებით გაემდიდრებინა ქართული ლიტერატურა. **ალექსანდრე ყაზბეგმა დიდი მასშტაბურობა შესძინა ქართულ მხატვრულ პროზას.**

ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი) (1861-1915). ვაჟა-ფშაველას პოეტური აზროვნება იმდენად ორიგინალური, ხატოვანი და ბრძნულია, რომ შეიძლება ითქვას: **მას ქართულ პოეზიაში ანალოგი არ მოეპოვება.** პოეტმა ქართული სიტყვის საიდუმლო, ცხოვრებისეული სიბრძნე, ვნება და მისწრაფება ხალხში იპოვა ინტუიციით იგრძნო და შეითვისა. დიდი ეპოსის განუმეორებელი სისრულე და მომხიბვლელობა ქართველ მწერალთა შორის ყველაზე მეტად ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ჩანს. ჩვენი მწერლობა არ იცნობს მეორე ისეთ პოეტს, რომელიც ისე ღრმად სწვდება ბუნების საიდუმლოს, როგორც ვაჟა, ისე უზადოდ უმღერის ბუნების და ადამიანის თანაყოფობას, როგორც იგი. ამის დასტურია თუნდაც პოემა **„ბახტრიონის“** სტრიქონები პროლოგიდან:

„მოგესალმებით, ქედბო,
მომაქეს სალამი გვიანი,
ჩემსამც სამარეს ამკობენ
თქვენი დეკა და ღვიარი.
თქვენგანა გულობს ეს გული,
შიგ გრძნობა უდგას ღვთიანი,
თქვენი მინოდე მეც ძუძუ,
ლაღიან ბარაქიანი“...

ვაჟა-ფშაველა ქართული პროზის დიდოსტატიცაა. განუმეორებელია მოთხრობებში გამოვლენილი მისი დახვეწილი სამწერლო ენის ნათელი. სწორუპოვარია პოეტის ლირიული მოთხრობები: **„შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ია“, „ხმელი ნიფელი“, „მთის ნყარო“, „კურდღელი“, „ქუჩი“, „ფესვები“.** განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დიდებული **„მთანი მაღალნი“**, სადაც პოეტი გასაოცარი სიცხადით წარმოგვიდგენს ადამიანის ბუნებასთან კავშირს: „რატომ არ მღერით მთებო, განა ისე უნდა მოვკვდე, რომ თქვენი ხმა, თქვენი სიმღერა ვერ გავიგონო?!“

ვაჟა-ფშაველა არის მწერალი, მოქალაქე, პატრიოტი, რომელიც თავის შემოქმედებაში დიდ ადგილს უთმობს სოციალური თუ ეროვნული უკუღმართობის თემას. შემოქმედის სიმპათია მუდამ დაჩაგრულის მხარეზეა, და აქ ნათლად ჩანს მისი საზოგადოებრივი იდეალი.

პოეტს მიაჩნია, რომ ცხოვრების გარდაქმნა შეუძლიათ მხოლოდ მაღალი ზნეობის მქონე სულით ძლიერ ადამიანებს.

„ბახტრიონისა“ და **„გველის მჭამელის“** ავტორმა სამყაროს მხატვრულ გააზრებაში ახალი ელემენტი, მთის ელემენტი შემოიტანა.

ვაჟა-ფშაველას ეპიკური შემოქმედების საწყისს განსაზღვრავს ჰეროიკა, ტრაგიზმი, ჰუმანიზმი („მოხუცის ნათქვამი“, „გიგლია“, „ბოგოთურ და აფშინა“, „ალუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, „სისხლის ძიება“, „გველის მჭამელი“). პოეტის აზროვნების საგანია ზოგადკაცობრიული პრობლემები, თემები კაცობრიობის ხვედრისა და დანიშნულების შესახებ.

ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-ფშაველა თარგმნილია ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, რუსულად. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით 1961 წელს ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 100 წლისთავი მთელ მსოფლიოში აღინიშნა.

ტიციან ტაბიძე წერდა: „ვაჟა-ფშაველა ყველაფრის დამტევი იყო, მის გულში ათასი სალამური მღეროდა ხალხური ხმებისა და ამიტომაც მას არ უნევს არასოდეს ჟამის სიმუხდლე... ჩვენი და მომავალი თაობაც დიდხანს მოსწოვს მისი პოეზიის ბარაქიან ძუძუს".

მაგრამ ვაჟას ნიჭიერების თაობაზე ყველაზე კარგად მის ასულს გულქან რაზიკაშვილს უბრძანებია **„მამამ ღმერთს ჩამაჰყარა სახელი."**

ვაჟა-ფშაველას ღვიძლი ძმები იყვნენ **ნიკო (ბაჩანა) და თედო რაზიკაშვილები.**

ბაჩანას (1866-1927) პოეზიის ლირიკული თემაა ეროვნული თავისუფლების მოტივი („ფშაველი ქალის ტირილი", „ტყვე ბულბული", „ჩვენი ნარსულის გემი", „დაბარებული", „ტყვის სიმღერა", „ელეგია", „მთამა თქვა", „გზა ბნელი" და სხვა).

ბაჩანას ლექსები **„ტყვის სიმღერა"** და **„პატარა მთიელის ნატვრა"** იაკობ გოგებაშვილმა „ბუნების კარში" შეიტანა. XIX საუკუნის ბოლოს საშუალო სკოლის სახელმძღვანელოში შეტანილი იყო ბაჩანას ლექსები: **„მუხა", „ფშაველი ქალის ტირილი", „სანუთროს უკულმართობა".**

ბაჩანას ლექსი „მუხა" ქართული ლიტერატურის ერთი ბრნყინვალე ქმნილებაა. მასვე ეკუთვნის ვრცელი პოემები **„ნანლობა", „ნანაის სიმღერა", „თაღლაურა", „საფრთხე"** და სხვა.

ბაჩანას შემოქმედებას დიდ პატივს სცემდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, ვაჟა-ფშაველა. პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი ბაჩანას ლექსებს „ხელიხელ საგოგმანებელ ნაწარმოებებს" უწოდებდა.

თედო რაზიკაშვილის (1869-1922) ლექსები, მოთხრობები პუბლიცისტური წერილები XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან სისტემატიურად იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. იგი, როგორც მწერალი, აღიზარდა სამოციანელების შემოქმედებით პრინციპებზე. მისი სამწერლო მოღვაწეობის მთავარი თემებია პატრიოტიზმი (ლექსები „ძმასთან მიწერილი", „არაგვს", „აკაკის", მოთხრობა „ცირცელი"), ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულება (ლექსები „ელეგია", „გამხნევდით", პოემა „შავი ფიქრები" და სხვა).

თედო რაზიკაშვილი უპირველესად ცნობილია, როგორც საბავშვო მწერალი. უშუალობით, გულწრფელობით და მდიდარი ფანტაზიით შესრულებულ მის მოთხრობებს („გარიელა", „ფითრი", „მონადირე", „ქორის ბახალა") გააჩნიათ სისადავის და უბრალოების მომხიბვლელობა, რომელიც თავისუფალია მშრალი დიდაქტიკისაგან. მწერლის ერთი დიდებული მოთხრობის შესახებ („ფითრი") აკაკი წერეთელი წერდა: ვინც მას „გულდადებით წაიკითხავს ჩვენთან ერთად, იტყვის, მადლობა ღმერთს, ახალი ხანა დგება ჩვენს მწერლობაში".

თედო რაზიკაშვილი 1922 წელს მოკლეს ქართველი ხალხის მტრებმა. იგი დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

გიორგი წერეთელი (1842-1900) იყო ილია ჭავჭავაძის თაობის ეროვნული იდეალებისათვის მებრძოლი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. სხვადასხვა დროს რედაქტორობდა გაზეთ **„დროებას", „სასოფლო გაზეთს"**, ჟურნალ **„კრებულს"**. გაზეთ **„კვალს"** 1873-1878 წლებში გიორგი წერეთელი ცხოვრობდა შვეიცარიასა და გერმანიაში. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს იყო ფრონტზე პეტერბურგის გაზეთ „გოლოსის" კორესპონდენტად.

გიორგი წერეთლის ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია **„მგზავრის წიგნი"**. მასში მწერალი ხატავს იმდროინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას, კაპიტალიზმის დამკვიდრებას ჩვენში. ამავე თემას მიუძღვნა ვრცელი მოთხრობა **„გულქანი"**, რომანი **„პირველი ნაბიჯი"**. ადამიანის გადაგვარების და ზნე-

გიორგი წერეთელი



ვასილ ბარნოვი

ობრივი დაქვეითების თემისადმია მიძღვნილი გიორგი წერეთლის შესანიშნავი მოთხრობები **„რუხი მგელი“** და **„თოფის სროლა“**. საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალურ მომავალს იძლევა მწერალი **„ღვთის ნყალობაში“**.

ადამიანის ზნეობრივი სრულყოფის თემას ემსახურებოდა მწერლის მრავალი პუბლიცისტური წერილი. ჰუმანიზმის და პატრიოტიზმის შეგნებით არის განმსჭვალული გიორგი წერეთლის დრამები („ჯიბრი“, „ოჯახის ასული“, „დარია“), პოემები („ლომ-კაცი“, „არინკა“, „მწუხარი დედა“). ფრიად საყურადღებოა ავტობიოგრაფიული მოთხრობა **„ჩვენი ცხოვრების ყვავილი“**. გიორგი წერეთლის მოღვაწეობა ნამდვილად იმსახურებს ქართული ისტორიოგრაფიის დიდ ყურადღებას. აკაკი წერეთელი საგანგებოდ აღნიშნავს მის დიდ დამსახურებას და წერს, რომ იგი **„ერთი უკეთეს მოღვაწეთაგანი იყო ამ ჩვენს დროში“**.

ვასილ ბარნოვი (1857-1934) – ქართული საისტორიო პროზის ფუძემდებელია. მის რომანებში: **„ტრფობა წამებული“, „შიმქრალი შარავანდედი“, „ისნის ცისკარი“** მაღალმხატვრულადაა აღწერილი ქართველი ხალხის წარსული, საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები.

ეკატერინე გაბაშვილი

ეგნატე ნინოშვილის (1859-1894) სამწერლო მოღვაწეობა სულ შვიდი წელი გრძელდებოდა. მისი ნაწარმოებები პირველად ქართულ პერიოდულ გამოცემებში იბეჭდებოდა („ივერია“, „კვალი“, „მოამბე“). 1892 წელს ცალკე წიგნებად გამოიცა მწერლის **„რამდენიმე მოთხრობა“, „სიმონა“**, 1893 წელს – **„ქრისტინე“**.

ეგნატე ნინოშვილმა შთამბეჭდავი ფერებით დახატა გაუსაძლისი ცხოვრების ჭირ-ვარამი, სახელმწიფო მოხელეთა სისასტიკე და თავგასულობა („გოგია უიშვილი“, „სიმონა“, „განკარგულება“, „პალიასტომის ტბა“, „პარტახი“, „მოსე მწერალი“, „ქრისტინე“, „უცნაური სენი“). ეგნატე ნინოშვილმა განაჩენი გამოუტანა ფეოდალური ყოფის დახავსებულობას („ჩვენი ქვეყნის რაინდი“). დიდად საყურადღებოა მწერლის შესანიშნავი რომანი **„ჯანყი გურიაში“**, სადაც მხატვრული ფერებით გადმოცემულია 1841 წლის გურიის აჯანყების ამბები. რომანი „ჯანყი“, უპირველეს ყოვლისა, გამოცხადებულია, როგორც სოციალური მოძრაობა, რასაც „დაექვემდებარა ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის“. ეგნატე ნინოშვილი ძალზე საინტერესოა როგორც პუბლიცისტი („ძველი დავა ახალ ქურქში“, „უებარი წამალი საქართველოს გამდიდრებისათვის“, „ძველი და ახალი“).

ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის **ნიკო (ნიკოლოზ) ნიკოლაძეს**. კრიტიკოსს, პუბლიცისტს, საზოგადო მოღვაწეს. ნიკო ნიკოლაძე რთული და მეტად შთამბეჭდავი ბიოგრაფიის მქონე მოღვაწეა. 1862 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა მისი მხატვრული ნარკვევი **„პეტერბურგის მხარეზე“**. ამავე წელს იგი რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნდა და თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკართან“. შემდეგ კი კვლავ **პეტერბურგს გაემგზავრა. იყო გაზეთ „ნაროდნაია ბოგატსტვოს“ რედაქტორი.** ჟურნალ „სოვრემენნიკში“ გამოქვეყნდა მისი შესანიშნავი ნარკვევი **„პროვინციული სურათები“**. შემდგომ წლებში ნიკო ნიკოლაძე საზღვარგარეთაა. პარიზიდან თანამშრომლობს გაზეთ **„სანკ-პეტერბურგსკიე ვედომოსტთან“**, აგრეთვე, გაზეთ **„კოლოკოლთან“**. ა. გერცენის თხოვნით გამოაქვეყნა სტატიები: **„გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“, „ჩვენი მომავალი**

ანტონ ფურცელაძე

ვექილები", „მოსკოვსკიე „ვედომოსტის სამსჯავროს წინაშე", „ტფილისიდან", „ივლისის დღეები ტფილისში", „საქართველოდან".

პ. ლაფარგმა ნიკო ნიკოლაძეს ლონდონში კარლ მარქსი გააცნო, რომელსაც მისთვის შეუთავაზებია კავკასიაში პირველი ინტერნაციონალის წარმომადგენლობა. საგულისხმოა, რომ ნიკო ნიკოლაძეს ასეთი წინადადება არ მიუღია.

ნიკო ლომოური

1866 წელს შვეიცარიაში ფრანგულ ენაზე გამოვიდა ნიკო ნიკოლაძის წიგნი **„მთავრობა და ახალი თაობა"**. 1868 წელს მან ჟენევაში დაარსა ჟურნალი **„სოვრემენნოსტი"**, სადაც დაიბეჭდა მისი ბევრი ცნობილი სტატია, მათ შორის: **„რუსული ემიგრაცია", „ევროპის ცხოვრება", „ნაროდნოე დელო"**. შვეიცარიაში ყოფნის დროს მან დაამთავრა ციურიხის უნივერსიტეტი და დაიცვა დისერტაცია. ფრანგულ ენაზე ჟენევაში გამოვიდა მისი დიდად საყურადღებო წიგნი **„განიარალება და მისი ეკონომიკურ-სოციალური შედეგები"**, რისთვისაც მას მიენიჭა ციურიხის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი.

1870 წელს ნიკო ნიკოლაძე სამშობლოში დაბრუნდა. რედაქტორობს ჟურნალ **„კრებულს"**, გამოაქვეყნა მრავალი სამეცნიერო თუ პუბლიცისტური სტატია.

1873 წლიდან ნიკო ნიკოლაძე კვლავ პარიზშია. 1887-91 წლებში რედაქტორობდა ტფილისში გამომავალ გაზეთ **„ნოვოე ობოზრენიეს"**.

ნიკო ნიკოლაძემ დიდი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურის კრიტიკის განვითარებაში. მას ეკუთვნის ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის მხატვრული შემოქმედების ღრმა ანალიზი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნ. ნიკოლაძის განსაცვიფრებლად დახვეწილი ქართული სალიტერატურო ენა.

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განუყოფელი ნაწილია ხალხოსან მწერალთა შემოქმედება. ხალხოსნური რეალიზმის პირველი სერიოზული წარმომადგენელია **ანტონ ფურცელაძე** („სამის თავგადასავალი", „ვაი, მართალთა", „მაცი ხვიტია"). ხალხოსნური მიმართულების პრინციპებზეა დაწერილი პოეტ **იოსებ დავითაშვილის (1852-1887)** ლექსები, **ზაქარია გულისაშვილის (1857-1913) და ეკატერინე გაბაშვილის (1851-1940) მოთხრობები, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას რომანი „მოლიპულ გზაზე"**.

ქართულ ხალხოსნურ რეალისტურ მწერლობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **ნიკო ლომოურს (1852-1915)** („გიგი ღრუბელაშვილი", „ბედი უბედურთა", „ქაჯანა", „ალი", „ყოველი მხრიდან"), **სოფრომ მგალობლიშვილს (1851-1925)** („წარსულიდან", „ღამის მეხრე" „ჯორნაქარა", „ცეცო"). აღსანიშნავია **ლალიონის, დუტუ მეგრელის, სილოვან ხუნდაძის, შიო არაგვისპირელის, შიო მღვიმელის, ეროდიონ ევდოშვილის** შემოქმედება.

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე გააქტიურდა შემოქმედებითი ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან. ქართულად ამეტყველდა **ე. ზოლას, ჯ. ბაირონის, ვ. ჰიუგოს, ო. ბალზაკის** ქმნილებანი.

§ 5. ხელოვნება

1. ხუროთმოძღვრება. საქართველო მდიდარია უძველესი არქიტექტურული ძეგლებით. თუ ძეგლების სახეობებს შევეხებით, XIX საუკუნის ქართულ ხუროთმოძღვრებაში ჭარბობს **საკულტო** ნაგებობები, თუმცა მას რაოდენობით არც **საფორტიფიკაციო** არქიტექტურის ნიმუშები ჩამოუვარდება.

XIX საუკუნის ქართულ ხუროთმოძღვრებას განსაკუთრებული დიდი სიახლე არ განუცდია. საცხოვრებელი სახლები კვლავ ძველი ტრადიციული ეროვნული სტილით შენდებოდა – ორსართულიანი მცირე ზომის **აივნიანი** და **ბანიანი**. XIX საუკუნის დამდეგს ტფილისში აშენდა **გვიანდელი რუსული კლასიციზმის** სტილის უმნიშვნელო რაოდენობის სახაზინო შენობები. მაგალითად, **მეფისნაცვალის პირვანდელი სასახლე** (ხუროთმოძღვარი ო. სიმონსონი) **რენესანსული ფასადი** ჰქონდა სასტუმრო **„ორიანტს“** და **კათოლიკეთა ეკლესიას** (ხუროთმოძღვარი ი. ზალცმანი). რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს **რუსულ-ბიზანტიური** სტილით აშენებდნენ. ქართული ეკლესიები კვლავ **ძველი კლასიკური სტილით** შენდებოდნენ (სამებისა და მთაწმინდის ეკლესიები ტფილისში). XIX საუკუნეში აშენდა **არტისტული საზოგადოების (ახლა რუსთაველის) თეატრი, კონსერვატორიის შენობა, სასტუმრო „ტფილისი“, დიდუბის ტაძარი.** უმნიშვნელოვანესია **ქართული გიმნაზიის** (ამჟამად უნივერსიტეტის პირველი კორპუსი) შენობა, რომლის არქიტექტორია **სიმონ კლდიაშვილი (1865-1820)**. მიუხედავად იმისა, რომ ხუროთმოძღვრებაში გამეფებული იყო სტილისტური ქაოსი, ქართულმა ქალაქებმა შეძლეს შეენარჩუნებინათ თავიანთი არქიტექტურული ინდივიდუალობა, ისევ და ისევ ძველი საცხოვრებელი კვარტლებისა და მონუმენტური ძეგლების ნაშთების მეოხებით.

2. სახვითი ხელოვნება. XIX საუკუნის დასაწყისიდანვე საქართველოში აღმავლობას განიცდის სახვითი ხელოვნების ისეთი დარგები, როგორიცაა **ფერწერა** და **გრაფიკა**, უფრო გვიან კი **ქანდაკებაც**. საქართველოში არასდროს ჩამჭრალა **ოქრომჭედლობის, ქარგვის, მინიატიურის, ჩუქურთმის, ფრესკის ხელოვნების** დიდი ტრადიციები. XIX საუკუნეში ყველაფერ ამასთან ერთად ფეხს იკიდებს პროფესიული ფერწერის ჟანრი – **პორტრეტი**. ტფილისში უცხოელ ხელოვანთა ავტორობით დაიდგა **ალექსანდრე პუშკინის, ნიკოლოზ გოგოლის, მიხეილ ვორონცოვის, დიმიტრი ყიფიანის** ძეგლები. 1901 წ. დაარსდა **ქანდაკებისა და მხატვრობის სკოლა**. უმაღლეს სამხატვრო განათლებას სახვითი ხელოვნების ქართველი ოსტატები XIX საუკუნეში საზღვარგარეთ დაეუფლნენ.



სიმონ კლდიაშვილი

1837-1844 წლებში პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მიიღო განათლება **გიორგი მაისურაძემ (1817-1885)**. იგი პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ყმა იყო, რომელიც 1837 წელს განთავისუფლებულ იქნა ყმობისაგან და ყოფილი ბატონის ხარჯით სასწავლებლად პეტერბურგს იქნა გაგზავნილი. ქართული რეალისტური პორტრეტის ფუძემდებელი გიორგი მაისურაძე პირველი ქართველი ფერმწერია, რომელმაც განათლება პეტერბურგში მიიღო. იგი დიდი რუსი მხატვრის კ. ბრიულოვის მოწაფე იყო. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 1850 წლიდან იგი ხატვას ასწავლიდა ქუთაისის გიმნაზიაში. ჩვენს დრომდე მოაღწია გიორგი მაისურაძის შემოქმედების ძალზე მცირე ნაწილმა, სულ რამდენიმე ნამუშევარმა: ი. ჭიჭინაძის (1853 წ.), ნ. აბულაძის

გიორგი მაისურაძე

(1860-იანი წლები) პორტრეტებმა და ავტოპორტრეტმა (1870-იანი წლები).

თვალსაჩინო ქართველი გრაფიკოსი და ფერმწერი **რომანოზ გველესიანი (1859-1884)** 1879-1881 წლებში სწავლობდა ტფილისის სამხატვრო სასწავლებელში, ხოლო 1881 წლიდან ვიდრე 1884 წლამდე – პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. ამავე დროს იგი ილუსტრატორად მუშაობდა პეტერბურგის ჟურნალ „ნოვის" რედაქციაში. მისი ნამუშევრები „აჭარელი" და „ხევსური" მკვეთრად განსხვავდება იმდროინდელი შაბლონური ეთნოგრაფიული ჩანახატებისაგან. მან პირველმა დიდი რეალისტური გამომსახველობით შეასრულა ტფილისის ხედები („ავლაბრის ხიდთან", „მაიდანი"). რომანოზ გველესიანმა შექმნა მხატვარ გიგო გაბაშვილის შესანიშნავი პორტრეტი, „კახელი დოქით", „თანაკურსელის პორტრეტი", ა. ბერიძის პორტრეტი „ქართველი გლეხის პორტრეტი". მხატვრის უკანასკნელი ნამუშევარია „კონსტანტინე მაღალაშვილის პორტრეტი". რომანოზ გველესიანი სრულიად ახალგაზრდა – 25 წლისა გარდაიცვალა. მისი შემოქმედებითი გზა მხოლოდ 3 წელს გრძელდებოდა და მიუხედავად ამისა, ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქართული რეალისტური ფერწერის განვითარებას.

ქართული რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ფერმწერი და გრაფიკოსი **ალექსანდრე ბერიძე (1858-1917)** ჯერ სწავლობდა ტფილისის „ხელოვნების წამახალისებელ საზოგადოებასთან" არსებულ სამხატვრო სკოლაში, შემდგომ წლებში კი პეტერბურგის აკადემიის თავისუფალი მსმენელი იყო. 1879-1880 და 1883-85 წლებში ცხოვრობდა იტალიაში, მუშაობდა ქ. ნეაპოლის სამეფო სამხატვრო სასწავლებელში. აქ იგი დაეუფლა გრაფიკის ხელოვნებას. 1885 წელს ალექსანდრე ბერიძე სამშობლოში დაბრუნდა. იგი ჟურნალ „თეატრში" აქვეყნებდა გამოჩენილი ქართველი მწერლების და მოღვაწეების პორტრეტებს. 1906 წელს გადასახლდა ვლადიკავკაზში, სადაც კადეტთა კორპუსში ასწავლიდა ხატვას და იქვე გარდაიცვალა. ალექსანდრე ბერიძის საყურადღებო ნამუშევრებია: „რ. გველესიანის პორტრეტი თავდაპირველად, „ქალის პორტრეტი", „უცნობი მოხუცის პორტრეტი", „სალამურიანი ბიჭი", „სალამურზე დამკვრელი", „წინდის მქსოველი გოგო", „მწყემსი ბიჭი" და სხვა.

გიორგი (გიგო) გაბაშვილი (1862-1936) სწავლობდა ტფილისში კ. კეპენის კერძო სამხატვრო სკოლაში, 1886-1888 წლებში პეტერბურგის, 1894-1897 წლებში კი მიუნხენის სამხატვრო აკადემიებში. 1898 წელს მხატვარმა იმოგზაურა იტალიასა და საბერძნეთში. 1891 წელს ტფილისში მოეწყო გიგო გაბაშვილის ნამუშევართა პირველი პერსონალური გამოფენა. მისი შემოქმედების განსაკუთრებულად ნაყოფიერი წლებია XIX საუკუნის მინურული. გიგო გაბაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა, საქართველოში დაამკვიდრა ეროპული მხატვრობის ფორმები. მისი ნამუშევრების უმრავლესობა შესრულებულია ზეთის საღებავებით, აკვარელით, ხატავდა კალმითაც. გიგო გაბაშვილმა შექმნა ქართველ მოღვაწეთა (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრიგოლ ორბელიანი) შესანიშნავი პორტრეტები მხატვრის ცნობილი ნამუშევრებია: „უცნობი ქართველი თავადი", „გრძელულვაშებიანი თავადი", „მძინარე ხევსური", „მთვრალი ხევსური". გიგო გაბაშვილი ქართული ჟანრული და ბატალური მხატვრობის პიონერია („ალავერდობა", „არხოტის დაცვა" განთიადის სასაფლაოს ეკლესიასთან"). გიგო გაბაშვილმა 1894 წელს შუა აზიაში იმოგზაურა, საიდანაც მრავალი ჩანახატი და ეტიუდი ჩამოიტანა. ცალკე განხილვის და დიდი ყურადღების ღირსია მისი შესანიშნავი სურათები შუააზიური ციკლიდან: „ბაზარი სამარყანდში", „მდივანბეგის აუჩი ბუხარაში".

გიგო გაბაშვილმა თავისი შესანიშნავი შემოქმედებით ხელი შეუწყო პროფესიული დონის ამაღლებას ქართულ მხატვრობაში, დაამკვიდრა ეროვნული თემატიკა, საფუძველი დაუმკვიდრა ძირითადი ფერწერული ჟანრების განვითარებას. 1897 წელს მისი თაოსნობით ტფილისში დაარსდა სამხატვრო სტუდია.

გიგო გაბაშვილი

გიგო გაბაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენები მოეწყო 1898, 1901 და 1910 წლებში. გიგო გაბაშვილი არის ტფილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი პროფესორი. იგი 2000 მეტი სურათის ავტორია.

გიგო გაბაშვილის უმცროსი თანამედროვეა თვალსაჩინო ქართველი ფერმწერი და გრაფიკოსი ალექსანდრე რომანოზისძე მრევლიშვილი (1866-1933). დაწყებითი განათლება მან ტფილისის სასულიერო სასწავლებელში მიიღო, სადაც მას ცნობილი ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი ასწავლიდა. მოსე ჯანაშვილმა გარკვეული გავლენა იქონია ალექსანდრე მრევლიშვილის პატრიოტული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. სამხატვრო განათლება ალექსანდრე მრევლიშვილმა მოსკოვის ფერწერის და ხუროთმოძღვრების უმაღლეს სასწავლებელში მიიღო. სადიპლომო შრომისათვის „გოლგოთა" ვერცხლის მედალი დაიმსახურა. 1898-1903 წლებში ალექსანდრე მრევლიშვილი პარიზში, ჟიულიენის აკადემიაში სწავლობდა. იმოგზაურა იტალიასა და გერმანიაში. მის მიერ შექმნილი ნამუშევრები ეროვნული თვითმყოფადობით და ცხოვრებისეული სიმართლით ხასიათდება. მხატვრის ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევრებია: „კრწანისი ბრძოლის შემდეგ", „უკანასკნელი მცველი", „კალოზე", „სოფლის კანცელარიასთან, „დაბალი ღობე", „ვაჟკაცარდინზე".

ალექსანდრე მრევლიშვილმა გააფორმა „დედა ენა", „ბუნების კარი", ქართული ზღაპრების წიგნი. ნაყოფიერად მუშაობდა პორტრეტის ჟანრში.

მოსე თოიძის (1871-1953) სამხატვრო მოღვაწეობა XIX საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო. ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი ამავე სასწავლებელში მუ-

მოსე თოიძე



ნიკო ფიროსმანი

შაობდა. 1893 წელს მოსე თოიძემ შექმნა სურათები „ბერიკაობა" და „ყეენობა", დახატა შოთა რუსთაველის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, რაფიელ ერისთავის, ეგნატე ნინოშვილის პორტრეტები. ამავე პერიოდში იგი თანამშრომლობდა ჟურნალში („კვალი", „ცნობის ფურცელი", „ჯეჯილი", „ნაკადული", „ფასკუნჯი"). 1896 წლიდან მოსე თოიძე პეტერბურგშია, სადაც იგი ხატვის ხელოვნებას ეუფლებოდა დიმიტრიევ-კავკაზოკის სახელოსნოში. შემდეგ მოსე თოიძე ი. რეპინის შუამდგომლობით პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში თავისუფალ მსმენელად ჩაირიცხა, საიდანაც იგი ი. რეპინის სახელოსნოში მოხვდა. ამ პერიოდში შექმნა მოსე თოიძემ „რუსი გლეხი" და „მოხუცის პორტრეტი". სადიპლომო თემად მხატვარმა წარადგინა დიდი ფერწერული ტილო „მცხეთობა", რომელიც შემდგომში ოქროს დიდი მედლით დაჯილდოდა. 1899 წელს მოსე თოიძე სტუდენტთა საპროტესტო დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო აკადემიიდან გარიცხეს. მოსე თოიძემ „პერედვიჟნიკების" გამოფენაში წარადგინა სურათი „მრეცხავი". მხატვრის მიერ XIX საუკუნის დასასრულისათვის შექმნილ ნამუშევრებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ხელოსნის პორტრეტი", „ებრაელის პორტრეტი", „სამჭედლო" და სხვა. მოსე თოიძე მუშაობდა სახვითი ხელოვნების თითქმის ყველა დარგში. მისი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა XX საუკუნის მთელი პირველი ნახევრის მანძილზე გაგრძელდა.

ახალ ქართულ მხატვრობაში განსაკუთრებულად გამორჩეული ადგილი უჭირავს დიდ ქართველ თვითნასწავლ მხატვარს **ნიკოლოზ ფიროსმანაშვილს (ნიკო ფიროსმანს) (1862-1918)** იგი ჯერ კიდევ ბავშვობაში დიდ ინტერესს იჩენდა მხატვრობისადმი. მას სპეციალური

სამხატვრო განათლება არ მიუღია. 1880-იან წლებში ფიროსმანმა თვითნასწავლ მხატვარ გ. ზაზიაშვილთან ერთად ფერნერის სახელოსნო გახსნა და აბრებს აფორმებდა. 1890-1894 წლებში იგი ამიერკავკასიის რკინიგზაზე კონდუქტორად მუშაობდა. შემდეგ ვაჭრობაშიც სცადა ბედი. მაგრამ ამაოდ. ბოლოს ნიკო ფიროსმანი კვლავ მხატვრობას დაუბრუნდა და მიკიტნების შეკვეთით ხატავდა აბრებს, პორტრეტებს, სარეკლამო სურათებს. სიკვდილამდე იგი უკიდურეს მატერიალურ ხელმოკლეობას განიცდიდა. ნიკო ფიროსმანის ძვირფას ნამუშევართა შეგროვებასა და პროპაგანდაში დიდი წვლილი მიუძღვით ძმებს, მხატვარ კირილე და პოეტ ილია ზდანევიჩებს, გრიგოლ რობაქიძეს, მხატვრებს მ. ლედანტიუს, დიმიტრი შევარდნაძეს, ლადო გუდიაშვილს, დავით კაკაბაძეს, განსაკუთრებით – პოეტ გიორგი ლეონიძეს, რომელმაც, სხვათა შორის, ნიკო ფიროსმანის ბიოგრაფიის დიდმნიშვნელოვანი ცნობებიც მოიპოვა. ნიკო ფიროსმანის, როგორც მხატვრის შემოქმედებითი სფერო ფართო და მრავალფეროვანია. ამ მხრივ მას ვერცერთი თანამედროვე ვერ შეედრება. ნიკო ფიროსმანის მხატვრულ შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ლხინისა და დროსტარების სცენებს: „ბეგოგას კამპანია“, „ქეიფი მეარღნე დათიკო ზემელთან“, „თავადების ქეიფი მინდვრად“, „ხუთი თავადის ქეიფი“. საინტერესოა მხატვრის მიერ შესრულებული ნატურმორტები და სცენები სოფლის ცხოვრებიდან („რთველი“, „დღეობა ბოლნისში“, „გლეხი ქალი ვაჟით“, „გლეხკაცი ვაჟით“, „წყალზე მიმავალი ბავშვებიანი დედაკაცი“, „კალოობა“). მხატვარი იშვიათად მაგრამ მაინც მიმართავდა ქალაქურ პეიზაჟებს („ბათუმი“, „ფუნიკულიორი“). განსაკუთრებული პოეტური ფერადოვნება ახლავს მის მიერ დახატულ ღამის სცენებს („არსენალის გორა ღამით“, „ყაჩაღმა ცხენი მოიპარა“, „დათვი მთვარიან ღამეში“. მკვეთრი სოციალური დახასიათებით გამოირჩევა ფიროსმანის მიერ შესრულებული ხელოსნების, მედუქნეების, კინტოების, მუშების პორტრეტები. ფიროსმანის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ანიმალისტურ (ცხოველების შესახებ) ჟანრს. იგი თითქმის დღემდე ერთადერთი ქართველი ანიმალისტია. განსაკუთრებით საუცხოოა „ირემი“, „ჟირაფი“, „თეთრი ლორი გოჭებით“, „შავი ცხენი“, „თეთრი დათვი“. ნიკო ფიროსმანი ისტორიულ პერსონაჟებსაც ხატავდა („რუსთაველი“, „თამარ მეფე“, „ერეკლე II“, „გიორგი საკაძე“). მხატვრის შემოქმედების გაცნობა გვარწმუნებს, რომ მას უყურადღებოდ არ დაუტოვებია ქართველი საზოგადოების არც ერთი ფენა (გარდა ინტელიგენციისა).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში განვითარებას იწყებს ქართული გრაფიკა, რაც უმთავრესად დაკავშირებულია წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების მხატვრულ გაფორმებასთან. საქართველოში გრაფიკული ხელოვნების ფუძემდებელი იყო **გრიგოლ ტატიშვილი (1848-1911)**. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ ოქრომჭედლებთან და თეატრის იტალიელ მხატვრებთან, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გრიგოლ ტატიშვილის როგორც მხატვარ გრაფიკოსის ჩამოყალიბებაში. თავდაპირველად გრიგოლ ტატიშვილი კლიშეებს ამზადებდა ცირკის აფიშებისათვის. 1871 წელს მან გრაფიკულად გააფორმა ჟურნალ „კრებულის“ გარეკანი, 1875-1876 წლებში კი „ყარამანიანი“. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გრიგოლ ტატიშვილის მიერ გაფორმებული „ვეფხისტყაოსანი“ (1887 წ.). შესანიშნავია იაკობ გოგებაშვილის წიგნები: „დედა ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო სკოლებისათვის“ (1878), „ბუნების კარი ანუ ყრმისათვის საკითხავი წიგნი“ (1911 წ.), „ქართული ანბანის თაიგული“ (1885 წ.) – გრიგოლ ტატიშვილისეული გაფორმება. აღსანიშნავია, რომ მხატვარი ნატურად თითქმის ყოველთვის ქართული ჩუქურთმის მოტივებს იყენებდა.

ქართული წიგნის მხატვრულ გაფორმებაში ახალი საფეხური იყო „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემის ილუსტრა-

მიხაი ზიჩი

იაკობ ნიკოლაძე

ციები, რომლებიც ეკუთვნის უნგრელ **მიხაი ზიჩს (1827-1906)**", მიხაი ზიჩი 1881-1882 წლებში კავკასიაში ცხოვრობდა. მსოფლიოში ცნობილი უნგრელი მხატვარი მ. ზიჩი განსაკუთრებული წარმატებით მუშაობდა წიგნის გრაფიკის დარგში. 1881 წელს იგი ტფილისში ჩამოვიდა და ქართველი ინტელიგენციის თხოვნით შეუდგა „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციებზე მუშაობას. შეკვეთილი 14 სურათის ნაცვლად მიხაი ზიჩმა 34 სურთი შექმნა. აქედან „ვეფხისტყაოსნის" საგამმცემლო კომისიამ 27 სურათი აირჩია. ხსენებული ნამუშევრები მიხაი ზიჩმა საჩუქრად გადასცა ქართველ ხალხს. მან ქართულ თემებს მიუძღვნა ორი ძვირფასი ნამუშევარიც – „ქართველი ქალის პორტრეტი" და „იკორთის მონასტერი".

ქართველმა გრაფიკოსმა **ანტონ გოგიაშვილმა (1878-1907)** დაამთავრა ტფილისის სამხატვრო სასწავლებელი. ის იყო პირველი ქართველი მხატვარი, რომელმაც დაასურათა ქართველ მწერალთა ნაწარმოებები 1896 წელს ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი", რაფიელ ერისთავის „სესიას ფიქრები", „სამშობლო ხევსურისა", „თრიალეთელი მწყემსი", „დაჭრილი". მანვე გააფორმა მიხეილ ლერმონტოვის „ჰაჯი აბრეკი". ანტონ გოგიაშვილი თავის ნამუშევრებში ყოველთვის დაკვირვების კარგ უნარს ავლენს, მისი ჩანაფიქრი ყურადღებას იქცევს ორიგინალურობითა და იდეურობით.

ქართული ფერწერა და გრაფიკა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. სახვითი ხელოვნების ამ დარგებს საქართველოში გაჩნდა გარკვეული ტრადიცია, რასაც ვერ ვიტყვით ახალი ქართული ქანდაკების შესახებ, რომლის ფუძემდებელია **იაკობ ნიკოლაძე (1876-1951)**. მისი შემოქმედებითი გზა XIX საუკუნის დასასრულს დაიწყო. იაკობ ნიკოლაძის პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები იყო „იმერელი გლეხი" (1895 წ.), რომელიც დღეისათვის დაკარგულია. 1897 წელს კავკასიის მხატვართა გამოფენაზე საზოგადოება მოწონებით შეხვდა იაკობ ნიკოლაძის მიერ გამოქანდაკებულ შოთა რუსთაველის ფიგურას. ასე დაიწყო ახალი ქართული ქანდაკების დიდი გზა, რომელიც ტრიუმფით გრძელდებოდა მთელი XX საუკუნის მანძილზე.

3. ქართული მუსიკა. XIX საუკუნის დამდეგისათვის ძველი ქართული მუსიკა საეკლესიო საგალობლების და ხალხური სიმღერების სახით არსებობდა. მუსიკის ამ ორივე ჟანრს საქართველოში უძველესი ტრადიციები გააჩნდა.

XIX საუკუნისათვის ძველი სანოტო ნიშნები დაკარგული და დავიწყებული იყო. საქართველოში აღმოსავლური მუსიკის შემოჭრამ შეაფერხა პროფესიული მუსიკის განვითარება. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ საქართველოში რუსულმა და დასავლეთ ევროპულმა მუსიკამ მოიკიდა ფეხი. 1851 წელს ტფილისში **იტალიური ოპერა** დაარსდა, რაც ბუნებრივია ხელს ვერ შეუწყობდა ქართული ეროვნული მუსიკის განვითარებას. მოწინავე ქართველი ინტელიგენცია გრძნობდა მდგომარეობის სირთულეს და ცდილობდა გზა გაეხსნა მშობლიური პროფესიული მუსიკის განვითარებისათვის. 1860 წელს ჯერ ტფილისში, უფრო გვიან კი ქუთაისში დაარსდა ქართული **საეკლესიო გალობის** აღმდგენი **კომიტეტი**, რომელიც მიზნად ისახავდა ქართულ საეკლესიო



ოპერის თეატრი

გალობათა ნოტებით ჩაწერას. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ **ანდრია ბენაშვილი, მიხეილ იპოლიტ-ივანოვი, პოლიევქტოს კარბელაშვილი** და **ფილიმონ ქორიძე**, ადამიანები, რომელთაც შესანიშნავად ესმოდათ პროფესიული მუსიკის რაობა და მნიშვნელობა.

ანდრია ბენაშვილი (1852-1908) ქუთაისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელში ასწავლიდა გალობას, ლოტბარობდა გაბრიელ ეპისკოპოსის მგალობელთა გუნდს, იყო შესანიშნავი მუსიკათმცოდნე. 1885 წელს მან გამოსცა „ქართული ხმები. საეკლესიო გალობა წმინდა იოანე ოქროპირის ნირვის წესისა. ქართლ-კახეთის კილოზე. ხალხური სიმღერები შეკრებილი და ნოტებზე გადმოლებული".

მიხეილ იპოლიტ-ივანოვმა (1859-1935) დაამთავრა პეტერბურგის კონსერვატორია, 1882-1931 წლებში ცხოვრობდა ტფილისში, იყო ტფილისის მუსიკალური სასწავლებლის ხელმძღვანელი. 1924-1925 წლებში ტფილისის კონსერვატორიის რექტორი. მიხეილ იპოლიტ-ივანოვმა ერთ-ერთმა პირველმა შეკრიბა და გამოაქვეყნა ქართული მუსიკალური ფოლკლორი. ავტორია ნაშრომის „ქართული ხალხური სიმღერა და მისი სადღეისო მდგომარეობა".

პოლიევქტოს კარბელაშვილმა (1855-1936), ქართველმა მუსიკოსმა და მგალობელმა დიდი ამაგი დასდო მშობლიური პროფესიული მუსიკის განვითარების საქმეს. 1898 წელს მან გამოსცა წიგნი „ქართული საერო და სასულიერო კილოები, ისტორიული მიმოხილვა", სადაც განხილულია მიქაელ მოდრეკილის „იადგარი" და გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრებები საგალობლებში დასმული სამუსიკო ნიშნების შესახებ, მოცემულია ვარაუდი წარმართული ჰანგებიდან ქართული საეკლესიო მუსიკის წარმოშობის თაობაზე.

ფილიმონ ქორიძე (1829-1911) იყო პირველი ქართველი პროფესიონალი მომღერალი (ბანი), ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი. ვოკალური განათლება მან მიიღო მილანში, მღეროდა „ლასკალაში", გასტროლები ჰქონდა სამხრეთ ამერიკაში, იყო პეტერბურგის მარიამის თეატრის სოლისტი. 1874-1881 წელს ფილიმონ ქორიძემ კორიჯიოს ფსევდონიმით კონცერტები

პოლიევქტოს კარბელაშვილი

გამართა იტალიის ქალაქებში. 1881 წლიდან ერთხანს მღეროდა ტფილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. თავი მოუყარა, ჩაიწერა და გაავრცელა ქართული სიმღერა-გალობანი, შეკრიბა და ოთხ კრებულად გამოსცა საგალობლები, გამოაქვეყნა დიდად საყურადღებო ნაშრომი „სახელმძღვანელო ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის" (1895 წ.).

ახალი ქართული სამუსიკო კულტურის ერთ-ერთი გამოჩენილი მოამაგე იყო **ხარლამპი სავანელი (1842-1890)**. ხარლამპი სავანელმა 1868 წელს დაამთავრა პეტერბურგის კონსერვატორია (ვოკალის განხრით), ხუთი წელი იგი მღეროდა კონსერვატორიის გუნდში. გამოჩენილი ქართველი მომღერალი, საგუნდო დირიჟორი და საზოგადო მოღვაწე ხარლამპი სავანელი 1877 წელს სამშობლოში დაბრუნდა. მან ტფილისში შეკრიბა მუსიკის მოყვარული ადამიანები და ჩამოაყალიბა გუნდი. 1844 წლის 24 აპრილს გაიმართა ამ გუნდის პირველი კონცერტი. ხარლამპი სავანელი იყო საქართველოში სამუსიკო განათლების ერთ-ერთი ინიციატორი. მისი მონაწილეობით გაიხსნა მუსიკალური სკოლა ჯერ მხოლოდ საგუნდო კლასით, შემდგომ კი ვიოლინოსა და თეორიის კლასითაც. სწორედ ამ სკოლის საფუძველზე შემდგომში დაარსდა ტფილისის კონსერვატორია.

ქართული სამუსიკო ხელოვნების განვითარებისათვის ხარლამპი სავანელთან ერთად მოღვაწეობდა **ალიოზ მიზანდარი (1838-1912)**. 1855-1863 წლებში ალიოზ მიზანდარი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე სწავლობდა და უნივერსიტეტის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად კონცერტებს მართავდა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა მ. ბალკირევთან და ა. რუბინშტეინთან, რამაც

დადებითი გავლენა მოახდინა მის შემოქმედებით კარიერაზე. 1883 წელს პეტერბურგში გამოქვეყნდა პირველი ქართველი მუსიკოსის რომანსი „ჩვენ დავშორდით“, რომლის ავტორი იყო ალიოზ მიზანდარი. ალიოზ მიზანდარი 1865-1867 წლებში ცხოვრობდა პარიზში, შემდეგ ვენაში. სადაც იგი წარმატებით მართავდა კონცერტებს. 1874 წელს ალიოზ მიზანდარმა ხარლამპი სავანელთან ერთად დააარსა პირველი ქართული სამუსიკო სკოლა, რომელიც 1886 წელს სამუსიკო სასწავლებლად გარდაიქმნა. ალიოზ მიზანდარი იყო გამოჩენილი პედაგოგი. მან შექმნა ფრიად საინტერესო მუსიკალური ნაწარმოებები: „ორი პატარა ვალსი“, „აღმოსავლური მელოდია და ლეკური“, „მაზურკა“, „მოგონება აბასთუმანზე“ და ბევრი სხვა. ა. მიზანდარი არის ქართული პიანისტური სკოლის ფუძემდებელი.



ლადო აღნიაშვილი

1882 წელს **მელიტონ ბალანჩივაძის (1862-1937)** ხელმძღვანელობით გაიმართა ორი საგუნდო კონცერტი. უფრო დიდხანს იარსება სანდრო კავსაძის (1874-1939) გუნდმა, რომელიც მან გორში დააარსა (ამ გუნდში მღეროდა ვანო სარაჯიშვილი).

სანდრო კავსაძის მიერ 1897 წელს დაარსებული **ხალხური სიმღერების გუნდი** მთელ საქართველოში მართავდა კონცერტებს. თვითონ სანდრო კავსაძე ითვლებოდა ქართული ხალხური სიმღერების „ოროველასა“ და „ურმულის“ უბადლო შემსრულებლად. მისი მოწაფეები იყვნენ ცნობილი ლოტბარები: მ. კავსაძე, ვ. ხატელიშვილი, ს. გველესიანი და სხვები.

ქალაქელი მუსიკოსები

XIX საუკუნის დასასრულს **ძუკუ (პორფილე) ლოლუამ (1887-1924)** ჩამოაყალიბა ხალხური სიმღერების გუნდი, რომელიც დიდი წარმატებით ასრულებდა მეგრულ, აფხაზურ და სვანურ სიმღერებს.

ახალი ქართული მუსიკის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა **„ქართულმა საერო ხორომ“**, რომელიც დააარსა **ლადო აღნიაშვილმა**. „ქართული ხოროს“ ლოტბარი **იყო იოსებ რატილი (ნავრატილი) (1840-1912)**, ჩეხი მომღერალი (ტენორი), ლოტბარი. მან დაამთავრა პრაღის კონსერვატორია, მღეროდა პრაღის და ჰელსინკის ოპერებში. 1880 წლიდან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა ტფილისში. იოსებ რატილი იყო ტფილისის ოპერის სოლისტი. 1885 წლიდან იგი ხელმძღვანელობდა ლადო აღნიაშვილის მიერ დააარსებულ გუნდს. ამ გუნდში უმღერიათ **ზაქარია** და **ივანე ფალიაშვილებს, ია კარგარეთელს, ვანო სარაჯიშვილს.** 1890 წელს იოსებ რატილმა თვითონ შეადგინა ქართული ხალხური სიმღერების გუნდი, ჩაიწერა და დაამუშავა რამდენიმე ქართული სიმღერა. იოსებ რატილისაგან დიდად არის დავალებული ქართული მუსიკალური სამყარო.

მელიტონ ბალანჩივაძე

XIX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში შეიქმნა პროფესიული მუსიკალური ნაწარმოებები, სიმღერა-რომანსები, საგუნდო პიესები, საფორტეპიანო მუსიკა. პირველი კლასიკური ორიგინალური ქართული მუსიკალური ნაწარმოებების ავტორად **მელიტონ ბალანჩივაძე (1862-1937)** უნდა მივიჩნიოთ. სწორედ ის არის ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებელი. 1880 წელს ფილიმონ ქორიძემ მელიტონ ბალანჩივაძე ტფილისის ოპერის თეატრის გუნდში მიიწვია, სადაც მან წარმატებით იმღერა სოლო პარტიები (ზარეცკი „ევგენი ონეგინში" და ვალენტინი „ფაუსტში"). 1882 წელს მელიტონ ბალანჩივაძემ ჩამოაყალიბა ქართული ხალხური სიმღერების გუნდი. 1883 წელს მან ფილიმონ ქორიძესთან ერთად მთელი საქართველო შემოიარა, ჩაიწერა მრავალი ხალხური სიმღერა და გალობა. ამავე ხანებში ჩამოაყალიბა ორკესტრი. 1889 წელს მელიტონ ბალანჩივაძემ მსმენელთა სამსჯავროზე გაიტანა სამი რომანსი: „ნანა", „შენ გეტრფი მარად" და „როდესაც გიცქერ". ეს რომანსები იყო რომანსის ჟანრის პირველი კლასიკური ნიმუშები. 1889-1895 წლებში მელიტონ ბალანჩივაძე პეტერბურგის კონსერვატორიაში ნ. რიმსკი-კორსაკოვის ხელმძღვანელობით სწავლობდა ჯერ ვოკალის განხრით, შემდეგ კომპოზიციის კლასში. იგი რუსეთში მოღვაწეობდა 28 წლის მანძილზე. რუსეთში დაწერა ოპერა „თამარ ცბიერის" პირველი აქტი და მესამე აქტის ნაწილი, რომელიც პირველად 1897 წლის 20 დეკემბერს პეტერბურგში შესრულდა რუსი მომღერლების მონაწილეობით. მელიტონ ბალანჩივაძემ ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული კლასიკური მუსიკის განვითარებას.

განსაკუთრებული ყურადღების საგანია **ალექსანდრე ბოროდინის (1833-1887)** შემოქმედება. ქართველი თავადის ლ. გედევანიშვილის უკანონო შვილი **ალექსანდრე გედევანიშვილი** დაბადებიდან ჩაწერილი იყო როგორც მამამისის მსახურის პორფირი **ბოროდინის** შვილი და იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ამ გვარს ატარებდა. ალექსანდრე ბოროდინი აკადემიკოსი, მედიცინისა და ქიმიის პროფესორი, ამავე დროს მსოფლიო მნიშვნელობის სახელის მქონე კომპოზიტორი იყო. მას ეკუთვნის ოპერა „თავადი იგორი", რომელიც 1890 წელს დაიდგა პეტერბურგის მარიამის თეატრში. ალექსანდრე ბოროდინი რუსული კლასიკური სიმფონიის და კვარტეტის ერთ-ერთი პირველი შემქმნელია. მისი „პირველი სიმფონია" (1867 წ.) წარმოადგენს რუსული სიმფონიის ეპიკურ-ჰეროიკული მიმართულების სანყისს. მსოფლიო ეპიკური სიმფონიზმის მწვერვალია ალექსანდრე ბოროდინის „მეორე სიმფონია" (1876 წ.). ალექსანდრე ბოროდინი ამავე დროს კამერულ-ვოკალური მუსიკის დიდოსტატია. ვოკალური ლირიკის უზადო ნიმუშია მისი ელეგია „შორეული სამშობლოს ნაპირებისათვის". ალექსანდრე ბოროდინის შემოქმედებაში შეინიშნება აღმოსავლეთის ხალხთა მუსიკის კვალი. მისმა შემოქმედებითმა ტრადიციებმა გარკვეული გავლენა იქონიეს ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული მუსიკალური კულტურის განვითარებაზე. მართალია, ალექსანდრე ბოროდინი რუსული კულტურის მოღვაწეა, მაგრამ წარმოშობით ქართველის დიდი შემოქმედის პიროვნებით და შემოქმედებით ქართული ისტორიოგრაფიის დაინტერესება არც უსაგნოა და არც მოულოდნელი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ უცხო სამყაროში ქართველ მეცნიერთა და ხელოვანთა რიგი აღმოჩენები და მიღწევები, გარემოებათა გამო ეროვნული საკუთრების გარეთ დარჩა, სხვის ქვეყანაში მოღვაწე ქართველი კაცის ეროვნული ვინაობა კი ხელოვნური ბურუსით დაიფარა.

§ 6. ქართული თეატრი

ქართული თეატრი აღდგენილ იქნა XIX საუკუნის 50-იანი წლების დამდეგს. თეატრის აღდგენის იდეა დაიბადა **მანანა ორბელიანის** სალონში. თეატრს სათავეში ჩაუდგა დრამატურგი **გიორგი ერისთავი**. უკვე 1850 წლის იანვარში პირველი სპექტაკლი გაიმართა ტფილისის გიმნაზიის შენობაში. წარმოდგენილი იყო გიორგი ერისთავის კომედია **„გაყრა"**. თეატრს ჰყავდა ნიჭიერი დრამატურგები (გიორგი ერისთავი, ზურაბ ანტონოვი, ივანე კერესელიძე და სხვ.) და მსახიობები, რაც სრულ გარანტიას იძლეოდა ახალი პროფესიული თეატრის ჩამოყალიბებისათვის. რუსულმა კოლონიურმა მმართველობამ დაინახა, რომ

თეატრი ხელს უწყობდა ეროვნული ძალების გამოღვიძებას და თეატრს ყოველგვარი ხელშეწყობა და დახმარება მოუსპო. შედეგმაც არ დააყოვნა, 1856 წელს თეატრმა არსებობა შეწყვიტა, თუმცა წარმოდგენები ხან სად და ხან სად მაინც იმართებოდა.

1879 წლიდან იწყება ახალი ხანა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. **აკაკი წერეთლის** და **ილია ჭავჭავაძის** ხელმძღვანელობით ტფილისის ქართული თეატრი კვლავ აღსდგა. XX საუკუნის დამდეგს პროფესიული თეატრი ბათუმშიც ჩამოყალიბდა. ქართულ თეატრს მოევლინენ თეატრალური ხელოვნების უდიდესი ოსტატები.

ლადო ალექსი-მესხიშვილი (1857-1920) იყო უბრწყინვალესი მსახიობი და რეჟისორი. მისი რეჟისორობით დაიდგა მონტის „გაიუს

ლადო ალექსი-მესხიშვილი

გრაკხუსი" და ჰაუპტმანის ფიქრები". ლადო ალექსი-მესხიშვილი ერთხანს მოსკოვის სამხატვრო თეატრშიც მოღვაწეობდა, სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ტფილისისა და ქუთაისის თეატრებს. ლადო ალექსი-მესხიშვილმა შესანიშნავად ითამაშა ლევან ხიმშიაშვილის (დ. ერისთავის „სამშობლო"), გაიოზ ფალავას (ვ. გუნიას „და-ძმა"), სულეიმანის (ა.

მაკო საფაროვა-აბაშიძე



დარბაზი, სადაც დაიდგა „გაყრა"

სუმბათაშვილის „ღალატი"), ჰამლეტის (უ. შექსპირის „ჰამლეტი"), ურიელ აკოსტას (გუცკოვის „ურიელ აკოსტა"), კეისრის (შექსპირის „იულიუს კეისარი"), რუი ბლაზის (ვ. ჰიუგოს „რუი ბლაზი") და სხვათა მეტად რთული როლები.

შესანიშნავი მსახიობი და რეჟისორი **კოტე მესხი (1857-1914)** ტფილისში ქართული თეატრის აღდგენისთანავე მოიწვიეს მთავარ პროფესიულ დასში. 1885 წელს მან პროფესიული თეატრი დააარსა ქუთაისში, რომელსაც 1894 წლამდე ხელმძღვანელობდა. დიდი წარმატებით ითამაშა გოჩას (აკ. წერეთლის „თამარ ცბიერი"), რუსთაველის (კ. მესხის „რუსთაველი"), ოტიას (ვ. გუნიას „და-ძმა"), ანანიას (ა. სუმბათაშვილის „ღალატი"), არბენინის (მ. ლერმონტოვის „მასკარადი"), ჩაცკის (ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან"), ოტელოს (შექსპირის „ოტელო"), ტარტიუფის (მოლიერის „ტარტიუფი") და სხვათა დიდად საინტერესო როლები. თარგმნილი აქვს ქართულად ა. დიუმას, უ. შექსპირის, ნ. გოგოლის და სხვა ავტორთა ნაწარმოებები.

1879 წელს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ტფილისის ქართულ პროფესიულ თეატრში მიიწვიეს **მაკო (მარიამ) საფაროვა-აბაშიძე (1860-1940)**, სადაც იგი დიდი ოსტატობით ასრულებდა როგორც დრამატულ ისე კომედიურ როლებს. იმდროინდელი პრესა აღფრთოვანებით წერდა მაკო-საფაროვა აბაშიძის მიერ შესრულებული ისეთი როლების შესახებ, როგორიც იყო: ნატალია (გ. სუნდუკიანცის „ხათაბალა"), კლოდინა და ანტუანეტი (მოლიერის „ჟორჟ დანდენი", „ეჭვით ავადმყოფი"), ელენე, მაშო (ა. ცაგარელის „კუდურ ხანუმ", „ციმბირელი"), ოფელია (უ. შექსპირის

„ჰამლეტი"), პოლინა (ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი"), ფაიხოში (დ. ერისთავის „სამშობლო"). მ. საფაროვა-აბაშიძე ნარმატებით თარგმნიდა რუსულ და ფრანგულ პიესებს.

ვასო (ვასილ) აბაშიძე (1854-1926) იყო ქართული რეალისტური აქტიორული სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი. ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს საოჯახო ნარმოდგენებში მონაწილეობდა ალ. სუმბათაშვილთან და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან ერთად. 1879 წლიდან ვასო აბაშიძე პროფესიონალი მსახიობი ხდება. მისი შეხედულება პროფესიული თეატრის როლის შესახებ ასახულია სტატიაში „მოკლე ცნობები დრამატული ხელოვნების შესახებ", რომელიც 1894 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში". ვასო აბაშიძემ მრავალი თავისთავადი და საინტერესო სახე შექმნა: ავეტიკა, აკოფა, მაზეთიანი, გასპარა, ოსეფა, გრიქულა (ა. ცაგარელის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ", „ხანუმა", „ციმბირელი", „ბაიყუში", „მათიკო", „ჭკუისა მჭირს"), გეურქა (ა. ანტონოვის „მზის დაბნელება"), ზიმზიმოვი, ისაია (გ. სუნდუკიანის „პეპო", „ხათაბალა"). კლასიკური რეპერტუარიდან განასახიერა ფამესოვის (ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან"), ხლესტაკოვის, გოროდნიჩის (ნ. გოგოლის „რევიზორი"), სკაპენის (მოლიერის „სკაპენის ოინები") და სხვა მრავალი. მონაწილეობდა ოპერეტებში, დაწერა რამდენიმე პიესა, თარგმნა და გადმოაკეთა მრავალი კომედია, შეადგინა და გამოსცა პიესათა და საესტრადო მასალათა კრებულები.

ვასო აბაშიძე

შესანიშნავი მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, თეატრის კრიტიკოსი **ვალერიან გუნია (1862-1938)** ქართულ პროფესიულ თეატრში მოღვაწეობდა 1883 წლიდან. მას შესრულებული აქვს მრავალი როლი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: მეფე ლირი, ოტელო (უ. შექსპირის „მეფე ლირი", „ოტელო") კაკო („კაკო ყაჩაღი" ილ. ჭავჭავაძის მიხედვით), ოიდიპოსი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე"), ოთარ ბეგი (ა. სუმბათაშვილის „ღალატი"), და სხვა. ვალერიან გუნია წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სხვადასხვა ქართულ დრამატულ დასებს. იყო შესანიშნავი დრამატურგი. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ორიგინალური და გადმოკეთებული პიესა. მათ შორის: „და-ძმა", „აღლუმი", „სიძესიმამრი", „ნაოხარაზე", „ვაის გავეყარე, უის შევეყარე". ვალერიან გუნიას ეკუთვნის ზაქარია ფალიაშვილის „დაისის" და დიმიტრი არაყიშვილის „დინარას" ლიბრეტოები. რედაქტორობდა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებს. იყო თეატრის გამოჩენილი ისტორიკოსი. ქართული ისტორიოგრაფიის დიდ ყურადღებას იმსახურებს მისი შესანიშნავი ისტორიული ნარკვევი „ქართული თეატრი 1879-1889" (დაისტამბა 1889 წელს).

რეალისტური სამსახიობო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, შესანიშნავი მსახიობი, საზოგადო მოღვაწე, ლექსიკოგრაფი **კონსტანტინე (კოტე) ყიფიანი (1849-1921)** ღირსეული ქართველი მამულიშვილის დიმიტრი ყიფიანის შვილი იყო. მოსკოვის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და მრავალმხრივ შემოქმედებით ცხოვრებას ეწეოდა. იყო დიდი დიაპაზონის მსახიობი, რაც ნათლად გამომჟღავნდა მის მიერ შესრულებულ როლებში: ანანია (სუმბათაშვილის „ღალატი"), სვიმონ ლეონიძე (დ. ერისთავის „სამშობლო"). მან პირველმა ქართულ სცენაზე შეასრულა შაილოკი და მეფე ლირი (უ. შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი", „მეფე ლირი").

კოტე მესხი იყო 1879 წელს განახლებული ქართული თეატრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მას ეკუთვნის შრომები მსახიობის ოსტატობის შესახებ, დაწერა პიესები („ბედი ქართლისა", „ცოტნე დადიანი", „ორი მამა"), შეადგინა „რუსულ-ქართულ-ლათინური ბოტანიკური ლექსიკონი".

XIX საუკუნის ქართული თეატრალური ხელოვნების შესანიშნავი ნარმომადგენელია **ნატო (ნატალია) გაბუნია (1859-1910)** (დრამატურგ ა. ცაგარელის მეუღლე). სასცენო მოღვაწეობა ნატო გაბუნიამ გორში დაიწყო. 1879 წელს კი მსახიობი მიიწვიეს ტფილისის ქართულ

პროფესიულ თეატრში. როგორც მსახიობი გამოირჩეოდა „ეროვნული კოლორიტით, უშუალობით, ბუნებრივობით. მას ჩინებული სცენური მონაცემები ჰქონდა. ბრწყინვალედ ფლობდა მეტყველებას, პლასტიკურ გამომსახველობას, სიმღერის ხელოვნებას". ნატო გაბუნია ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა. საგანგებოდ მისთვის „წერდნენ პიესებს ილია ჭავჭავაძე („მაჭანკალი"), აკაკი წერეთელი („კინტო"), დავით კლდიაშვილი („დარისპანის გასაჭირი"), ავქსენტი ცაგარელი („ხანუმა"). ნატო გაბუნიას მიერ ნათამაშევი როლების მცირე ნაწილის ჩამოთვლაც კი ნათელს ხდის მის ნაყოფიერ მოღვაწეობას ქართული პროფესიული თეატრის სცენაზე: დედა, ხორეშანი, მაჭანკალი (ილ. ჭავჭავაძის „ქართვლის დედა", „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები", „მაჭანკალი") სალომე (აკ. წერეთლის „კინტო"), „ხანუმა" (ა. ცაგარელის „ხანუმა"), გლეხი დედაკაცი (დ. ერისთავის „სამშობლო"), კუკუშკინა (ნ. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი"), შუშანიკა (გ. სუნდუკიანის „პეპო") და მრავალი სხვა. ნატო გაბუნია დიდი წარმატებით მონაწილეობდა ოპერეტებშიც.

ელისაბედ ჩერქეზიშვილის (1863-1948) სასცენო მოღვაწეობა პროფესიულ თეატრში 1883 წლიდან იწყება. მისი სამსახიობო ნიჭი ძირითადად კომედიურ როლებში გამოვლინდა. ელისაბედ ჩერქეზიშვილის ნამუშევრებია: ხანუმა (ა. ცაგარლის „ხანუმა"), კატინა (ა. ცაგარლის „რაც გინახავს ველარ ნახავ"), ანა ანდრეევნა (ნ. გოგოლის „რევიზორი").

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან პროფესიული თეატრის გვერდით ჩამოყალიბდა და განმტკიცდა **სახალხო** თეატრი. სცენის მოყვარულთა ამხანაგობა წარმოდგენებს მართავდა ავჭალის მოედანზე მდებარე საჩაიეში. 1893 წელს სახალხო თეატრმა **იოსებ იმედაშვილის** რეჟისორობით დადგა პირველი სახალხო წარმოდგენა – „რაც გინახავს ველარ ნახავ". მომდევნო წლებში იდგმებოდა ალექსანდრე ყაზბეგის „არსენა", აგრეთვე ნათარგმნი პიესები: „რევიზორი", „პეპო", „ყაჩაღები", „ურიელ აკოსტა". 1908 წელს აშენდა სახალხო სახლი (ახლანდელი კ. მარჯანიშვილის თეატრი), სადაც სპექტაკლებს დგამდნენ ქართული, რუსული, აზერბაიჯანული და სომხური სახალხო თეატრები.

სახალხო თეატრები შეიქმნა **ჭიათურაში, ხონში, ხაშურში, ქუთაისში, თელავში.** ამ თეატრების ხელმძღვანელებად სხვადასხვა დროს გვევლინებიან: **დ. კლდიაშვილი, ვ. შალიკაშვილი, ნ. გოცირიძე, ა. იმედაშვილი.** ქართული სახალხო თეატრი დიდ როლს თამაშობდა ეროვნული იდეის პროპაგანდაში.

მართალია, კოლონიური ყოფით მცხოვრებ ქვეყანაში შექმნილი კულტურა არ არის ისეთი მონუმენტური, როგორიც XII საუკუნის თავისუფალ საქართველოში იყო, მაგრამ XIX საუკუნის ქართულ კულტურას გააჩნია საქვეყნოდ აღიარებული მყარი ღირსება, სადაც ისე ჩანს დიდი კულტურის ყველა ნიშანი, როგორც ზღვის ნვეთში, ზღვის წყლის ყველა თვისება. სწორედ ამიტომ იგი მსოფლიო კულტურის საყურადღებო ნაწილს წარმოადგენს.

შინაარსი

რედაქტორებისაგან 3

თავი I. საქართველოს ხელისუფლება და მოსახლეობა XIX საუკუნეში (ბონდო კუპატაძე) 6

§ 1. საქართველოს პოლიტიკური რუკა XIX საუკუნეში 6

§ 2.ხელისუფლების სტრუქტურა და ადმინისტრაცია XIX საუკუნეში 9

§ 3. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში 21

§ 4. საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XIX საუკუნეში 26

თავი II. საქართველო XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე (ვახტანგ ჯანჯღავა) 33

§ 1. საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება საქართველოში XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში 33

§ 2. ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობა რუსეთის მიერ 40

§ 3. დასავლეთ საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ 47

თავი III.რუსეთის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის პირველ მესამედში (დიმიტრი შველიძე) 60

§ 1. რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში 60

§ 2. რუსეთის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში 63

თავი IV. ეროვნული მოძრაობა XIX საუკუნის პირველ მესამედში (ვახტანგ გურული) 78

§ 1. ქართველი ერის დამოკიდებულება სახელმწიფოებრიობის გაუქმებისადმი 78

§ 2. ეროვნული მოძრაობის დასაწყისი. 1802 წლის პოლიტიკური გამოსვლა კახეთში 79

§ 3. 1804 წლის აჯანყება ქართლის მთიანეთში 81

§ 4. 1812 წლის აჯანყება კახეთში 84

§ 5. დაავით ბატონიშვილის ბრძოლა ქართლ-კახეთის სამეფოს აღსადგენად. 89

§ 6. 1819-1820 წლების აჯანყება იმერეთსა და გურიაში 91

§ 7. 1832 წლის შეთქმულება 93

თავი V. საქართველო XIX საუკუნის 30-50-იან წლებში (დიმიტრი შველიძე, მერაბ ვაჩნაძე) ... 101

§ 1. ეკონომიკის განვითარება (დიმიტრი შველიძე) 101

§ 2. სოციალური წყობა (დიმიტრი შველიძე) 106

§ 3. საქართველოს ისტორიული ტერიტორიების (ჭარ-ბელაქანი, სამცხე-ჯავახეთი) დედასამშობლოში დაბრუნება (მერაბ ვაჩნაძე) 107

§ 4. კავკასიისა და საქართველოს კოლონიური მმართველობის რეორგანიზაცია (დიმიტრი შველიძე) 114

§ 5. გურიის 1841 წლის აჯანყება (დიმიტრი შველიძე) 119

§ 6. ყირიმის ომი (1853-1856 წწ.) და საქართველო (მერაბ ვაჩნაძე) 121

§ 7. გურიის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროების გაუქმება (მერაბ ვაჩნაძე) 124

თავი VI. ეროვნული მოძრაობა XIX საუკუნის 60-80-იან წლებში (ვახტანგ გურული) 131

§ 1. ეროვნული მოძრაობის პროგრამა და ბრძოლა მისი განხორციელებისათვის 131

§ 2. ნინაალმდეგობანი ეროვნული მოძრაობის შიგნით 141

თავი VII. XIX საუკუნის 60-80-იანი წლების რეფორმები (ვახტანგ გურული, პაატა ფირანიშვილი) .. 145

§ 1. ბატონყმობის გაუქმება რუსეთში (ვახტანგ გურული) 145

§ 2. ბატონყმობის გაუქმება საქართველოში (პაატა ფირანიშვილი) 149

§ 3. სოფლად საზოგადოებრივი მმართველობის შემოღება (პაატა ფირანიშვილი) 154

§ 4. სასამართლო რეფორმა (პაატა ფირანიშვილი) 156

§ 5. საქალაქო მმართველობის რეფორმა (პაატა ფირანიშვილი) 158

თავი VIII. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარება ბატონყმობის გაუქმების შემდეგ (XIX საუკუნის 60-90-იან წლები). კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება (პაატა ფირანიშვილი) 164
§ 1. სოფლის მეურნეობა 164
§ 2. მრეწველობა 171
§ 3. ვაჭრობა 176

თავი IX. სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის 60-80-იან წლებში. ხალხოსნობა საქართველოში (მიხეილ ბახტაძე) 179
§ 1. აგრარული მოძრაობა საქართველოში 179
§ 2. ქართველი ხალხოსნები 181

თავი X. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი და საქართველო. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოში დაბრუნება (მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული) 185
§ 1. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი 185
§ 2. აჭარის და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიების დედასამშობლოში დაბრუნება (ვახტანგ გურული) 187
§ 3. ქართველი ერის კონსოლიდაცია (ვახტანგ გურული) 191

თავი XI. XIX საუკუნის 80-90-იანი წლების პოლიტიკური რეაქცია და ეროვნული მოძრაობა (ვახტანგ გურული) 193
§ 1. პოლიტიკური რეაქცია რუსეთში და მისი გამოძახილი საქართველოში 193
§ 2. ბრძოლა შელახული ეროვნული ღირსების აღსადგენად 195
§ 3. ეროვნული მოძრაობა XIX საუკუნის 90-იან წლებში. ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მემკვიდრეობის საკითხი. 203

თავი XII. სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დასაწყისი საქართველოში (XIX ს-ის 90-იან წლებში) (დიმიტრი შველიძე) 207
§ 1. მუშათა მოძრაობის დასაწყისი 207
§ 2. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩამოყალიბება 208

თავი XIII. ეროვნულ-პოლიტიკური მიმდინარეობები საქართველოში (XIX ს-ის 90-იან წლებში.) (დიმიტრი შველიძე) 212
§ 1. „საქართველოს თავისუფლების ლიგა" 212
§ 2. „ახალგაზრდა ივერიელთა" ეროვნულ-რადიკალური მიმდინარეობა 214
§ 3. ჟურნალ „მოამბის" ბურჟუაზიულ-ეროვნული ჯგუფი 216

თავი XIV. ქართველი სამღვდელოება XIX საუკუნეში (ვახტანგ გურული) 220
§ 1. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება 220
§ 2. ვითარება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ 221
§ 3. ავტოკეფალური მოძრაობის ჩასახვა 224

თავი XV. XIX საუკუნის ქართული კულტურა (გიორგი ნადირაძე) 227
§ 1. ხალხის მატერიალური და სულიერი ყოფა 230
§ 2. განათლება. მეცნიერება 232
§ 3. პრესა და პუბლიცისტიკა 237
§ 4. ლიტერატურა 240
§ 5. ხელოვნება 251
§ 6. ქართული თეატრი. 258

შინაარსი 262